სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

შრომები

ТРУДЫ

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
имени СТАЛИНА

XXXIV a—b

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина

თბილისი 1948

დაიბეჭდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

პასუხისმგებელი რედაქტორი პროფ. ნ. კეცხოველი
საქ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი

1872—1947

მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს

პროფესორ

ფილიპე გოგიჩაიშვილს

დაბადებიდან 75 წლისთავზე

Заслуженному деятелю науки

профессору

Ф. Г. ГОГИЧАЙШВИЛИ

К 75-летию со дня рождения

XXXIV a—b ტომის

შინაარსი

1. პ. გუგუშვილი, პროფესორი ფილიპე გაბრიელისძე გოგიჩაიშვილი 5
2. ნ. ქოიავა, კრედიტი XVIII საუკუნის საქართველოში 21
3. ლ. კარბელაშვილი, სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის ისტორიისათვის საქართველოში 47
4. გ. გამყრელიძე, «გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი» როგორც დემოგრაფიულ-სტატისტიკური ძეგლი 77
5. ირ. მიქელაძე, საქართველოში მრეწველობის ენერგოტევადი დარგების განვითარების ეკონომიური წინამძღვრები 91
6. ა. კაკაბაძე, სახალხო შემოსავლის თეორიის ზოგიერთი საკითხისათვის 103
7. ნ. იაშვილი, კოეფიციენტები სავარგულების გაერთმნიშველოვანებისათვის 123
8. ს. ბერაძე, ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების ეკონომიური არსი 157
9. ვ. ჩანტლაძე, თბილისის საქალაქო შემოსავალი რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801—1864 წ. წ.) 187
10. ლ. ასათიანი, ლოგარითმული სახაზავის გამოყენებისათვის ეკონომიურ გამოანგარიშებაში 215
11. პ. გუგუშვილი, მეფრინველეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში (1801—1821) 231
12. ვ. გიოშვილი, ნავთობის არომატიზაციის თეორიები 257
13. ვ. ბახტაძე, ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიური შეხედულებანი 269
14. ალ. ჯანელიძე, თბილისის მიდამოების და გარე კახეთის გეოლოგიის ზოგი საკითხი 299
15. ნ. ვეკუა, ლოგარითმული პოტენციალის თეორიის ზოგიერთი საზღვრო ამოცანის შესახებ 311
16. დ. უზნაძე, ობიექტივაციის პრობლემა 329
17. გ. ახვლედიანი, ბგერათმონაცვლეობის ზოგიერთი საკითხი ქართულში 355

18. ს. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს „ისტორიის" I, 2-3 თავი და ჰომეროსის „ხომალდთა კატალოგი" 365
19. კ. კეკელიძე, ქართველი ქალები შაჰ-აბაზ პირველის კარზე . . . 373
20. ე. თაყაიშვილი. გორისჯვრის კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი 383
21. გ. ჩუბინაშვილი. ძველი ბაზილიკა ქვაბის-ხევში 391
22. ა. კიკვიძე, თბილისის სასულიერო სემინარია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 399
23. ნ. დგებუაძე, ეკონომიურ ფაქტორთა გავლენის გამოკვლევის ძირითადი საკითხები 417

СОДЕРЖАНИЕ

1. П. Гугушвили, Профессор Филипп Гаврилович Гогичайшвили 5
2. Н. Койава, Кредит в Грузии XVIII века 21
3. Л. Карбелашвили, К истории сельско-хозяйственной статистики в Грузии 47
4. Г. Гамкрелидзе, «Пространный реестр Грузинского вилайета» как статистико-демографический памятник 77
5. Ир. Микеладзе, Экономические предпосылки развития в Грузии энергоемких отраслей промышленности 91
6. А. Какабадзе, К некоторым вопросам теории народного дохода 103
7. Н. Яшвили, Переводные коэфициенты сельско-хозяйственных угодий 123
8. С. Верадзе, Экономическая сущность противопоставления города и деревни 157
9. В. Чантладзе, Городские доходы г. Тбилиси в дореформенной Восточной Грузии (1801—1864 г. г.) 187
10. Л. Асатиани, О применении логарифмической линейки в экономических вычислениях 215
11. П. Гугушвили, Птицеводство в Грузии и Закавказье 231
12. В. Гиошвили, Теория ароматизации нефти 257
13. В. Бахтадзе, Социально-экономические воззрения Ильи Чавчавадзе 269
14. Ал. Джанелидзе, Некоторые вопросы геологии окрестностей Тбилиси и Гаре-Кахети 299
15. Н. Векуа, О некоторых краевых задачах теории логарифмического потенциала 311
16. Д. Узнадзе, Проблема объективации 329
17. Д. Ахвледиани, Некоторые вопросы чередования звуков в грузинском языке 355
18. С. Каухчишвили, Первые главы „Истории“ Геродота и „Перечень кораблей“ Гомера 365

19. К. Кекелидзе, Грузинки при дворе Шах-Абаса I 373
20. Е. Такайшвили, Предалтарный крест Горис-Джвари 383
21. Г. Чубинашвили, Древняя базилика в Квабис-хеви 391
22. А. Киквидзе, Тбилисская духовная семинария и национально-освободительное движение в Грузии 399
23. Н. Дгебуадзе, Основные вопросы исследования влияния экономических факторов 417

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 1948
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV, 1948.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

პროფესორი

ფილიპე გაბრიელისძე გოგიჩაიშვილი[1]

პროფესორ ფილიპე გაბრიელისძე გოგიჩაიშვილს 1942 წელს შეუსრულდა დაბადებიდან 70, ხოლო მეცნიერულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი.

1942 წელს ამ თარიღის აღნიშვნა დიდი სამამულო ომის ვითარების გამო ვერ მოეწყო. ის უდიდესი საშიშროება, რაც ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს რიგი წლების განმავლობაში ემუქრებოდა, კარგა ხანია, რაც გენიალური მხედართ-მთავრის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, სახელოვანი წითელი არმიის მიერ უკვე განადგურებულია.

ჩვენს ქვეყანაში კვლავ დაიწყო პერიოდი მშვიდობიანი მშენებლობისა. ახალ, მეოთხე, ხუთწლედში მოხდება ომის განმავლობაში დაზიანებული სახალხო მეურნეობის არამცთუ მთლიანი აღდგენა, არამედ შემდგომი განუხრელი განვითარება, როდესაც სოციალისტური საზოგადოების ნივთიერი და კულტურული კეთილდღეობა მნიშვნელოვნად გადააჭარბებს ომის წინადროინდელს.

ლენინ-სტალინის დიადი პარტია ყოველთვის დიდად აფასებდა და აფასებს ადამიანებს, რომელთაც საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიც ნებავთ ასპარეზზე, ისე კერძოდ მეცნიერებისა და კულტურის სარბიელზე, თავიანთი უანგარო და კეთილსინდისიერი, გულმოდგინე და ნაყოფიერი მუშაობით მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით.

მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა გაჟღენთილია მეცნიერებისადმი, პროგრესული მეცნიერებისადმი უდიდესი პატივისცემით. საბჭოთა ახალგაზრდობა ყოველთვის მოწიწებით ეპყრობოდა და ეპყრობა მეცნიერების მუშაკთ, რომლებიც თავიანთ დადებითის ცოდნასა და გამოცდილებას ასმარებენ სოციალისტური საზოგადოების შემდგომ კულტურულ დაწინაურებას, ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის ახალი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

---

[1] 1945 წ. 15 დეკემბერს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ალკა ორგანიზაციის მიერ მოწყობილ პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე წაკითხული მოხსენება.

და აი დღეს, მართალია მოგვიანებით, მაგრამ როგორც კი სათანადო პირობები შეიქმნა, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანატი გამოეხმაურნენ **სტუდენტობის კომკავშირული** ორგანიზაციის ინიციატივას, რათა მნიშვნელოვანი მეცნიერულ-პედაგოგიური დამსახურებისათვის პატივისცემისა და კმაყოფილების გრძნობის გამოსახატავად აღნიშნული ყოფილიყო **მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ფილიპე გაბრიელისძე გოგიჩაიშვილის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი.**

ფ. გ. გოგიჩაიშვილი დაიბადა 1872 წლის 20 იანვარს დ. ლანჩხუთში, სოფლის მღვდლის ოჯახში. პატარა ფილიპე ლანჩხუთისავე სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ, 1880 წლიდან, სწავლობს ქ. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც მან დაასრულა 1887 წელს.

ქ. ოზურგეთში თავის მოწაფეობას ფ. გოგიჩაიშვილი ასე იგონებს: „როდესაც პირველად მამაჩემმა სამაზრო ქალაქში ჩამიყვანა, ერთ ოჯახში მიმაბარა. რომელსაც ჩემს შესანახად თვიურად ორ ყველს და ბათმან ფქვილს აძლევდა: მეორე ადგილას კი ჩემი შენახვისათვის თვიურად 15 შაურს ეხდიდა. ოჯახი, სადაც მე მიმაბარეს, ბეტად ღარიბი იყო, — არ გააჩნდათ არც ხარკაბეჭი, არც კავი და არც ძროხა; ერთადერთ სამუშაო იარაღს თოხი წარმოადგენდა. ამ თოხით დამუშაებულ ყანაზე მოწეული მოსავლით ირჩენდა თავს ათი სულისაგან შემდგარი მთელი ოჯახი.

„ამ ოჯახში ერთადერთ და საუკეთესო სადილ-ვახშამს მჭადი წარმოადგენდა, რასაც დღეში ორჯერ გვირიგებდნენ. ერთი მჭადი ოჯახის უფროსს უნდა გაეყო ყველა წევრთათვის. ვახშმად, როდესაც დაბალ სუფრას შემოვჯდებოდით, ყველანი გულისფანცქალით ვადევნებდით თვალყურს მჭადის გამწყობრიგებელს, იმაზე ფიქრით, თუ რა ნაწილი გვერგებოდა თითოეულ ჩვენგანს.

„ოჯახის უფროსი პირჯვარს გადაიწერდა და მერე შეუდგებოდა მჭადის ლახაზვა-დაჩხვრეტას ფრჩხილით, რათა თანაბარ ნაწილებად დაეყო ის. უნდა ითქვას, რომ ეგ დალოცვილი არაჩვეულებრივ მიუდგომლობას და სამართლიანობას იჩენდა და შემდეგ კიდევ მჭადის ნატეხებს ხელში ასწონიდა — არავის დააკლდეს ან ზედმეტი ვინმეს არ ერგოსო. მთელი სადილი ან ვახშამი ამ ერთ ნაჭერ მჭადისაგან შედგებოდა და, რასაკვირველია, ნამცეციც არა რჩებოდა ნასუფრალზე. ხანდახან მჭადს დაერთვოდა ჩვენ მიერ, ბავშვების მიერ, ტყეში მოკრეფილი ეკალა, რომელსაც ტყისავე ტყემალთან ერთად დიასახლისს მივუტანდით, ხოლო უკანასკნელი მათგან საჭამადს ამზადებდა. ტყეში კიდევ ვპოულობდით ველურ პრასას და სხვა მწვანილეულს, რომელთა საჭმელად გამოუსადეგარისაგან გარჩევა ძალიან კარგად ვიცოდით. მაგრამ ზამთრობით ტყეში ასეთი რამეების პოვნა ალარ შეიძლებოდა და ხშირად ასეთ ჩასატანებელსაც მოკლებული ვიყავით.

„ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც მჭადიც არა გვქონდა. მაშინ ერთგვარ ცერცვის მსგავს პარკოვანს (ხანჭკოლა) — რომელსაც არაჩვეულებრივი სიმწარე აქვს — სამი დღით წისქვილის წყალში ჩავდებდით და ამასობაში სიმწარე დაეკარგებოდა. წყლით იტკბინთებოდა, რის მერმეც მას გეახლებოდით. დილით ბავშვები სკოლაში უშმელი მივდიოდით. გზაზე ფურნეში ვამოდებულ ცხელ პურებს სიხარბით ვუცქეროდით...“

არანაკლებ საინტერესოა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის მოგონება იმდროინდელი სკოლისა და სწავლის პირობების შესახებ. ოზურგეთში „რუსულს გვასწავლიდა ერთი სახელმჭიფო მოხელე, რომელიც შემდეგში სამსახურიდან გაიოგდეს; გვარად ჭკუასელი იყო. ვსწავლობდით უშინსკის „Родное Слово“-ს. წიგნი არავის მოგვეპოვებოდა და ვაწარმოებდით ჩაწერას სიტყვებისას, რასაც შემდეგ ვიზეპირებდით. ამ წიგნში არის ერთი თავი „Грибы“, სადაც სხვადასხვა სახისა და, ცაშასადამე, სახელწოდების სოკოებია ჩამოთვლილი.

„მასწავლებელმა სოკოების რუსულ სახელწოდებათა გვერდით ჩამოგვაწერია: პირველთან — „ერთნაირი სოკო“, მეორესთან — „ორნაირი სოკო“ და ასე... „მეცხრენაირ სოკომდე“. ასეთი ქართული შესატყვისი სწორედ იმისათვის უნდა მიგვეკუთვნებინა, რომლის გასწვრივაც იყო ნიშნერილი. წარმოსადგენია, თუ რაოდენ ძნელი იქნებოდა 9—10 წლის ბავშვისათვის ამის დაზეპირება. ასეთი სკოლისა და მასწავლებლის შემდეგ, როდესაც სემინარიაში (თბილისში) მისაღებად წაველიდნენ, „აქცენტი დამიშუშესო“, — ირონიულად დასძინა ფილიპემ.

***

1887—1893 წ.წ. ფილიპე თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობს. მაგრამ სემინარიის პერიოდშიც არ ყოფილა მისი ცხოვრება სახარბიელო. იგი როგორც არა ბურსელი სემინარიის გარეთ დიდ ხელმოკლეობაში ცხოვრობდა. ის თვითონვე აღნიშნავს: „არაჩვეულებრივად თავმომაბეზრებელი და დამჭანცველი იყო ბერების დაუსრულებელი წირვა — რაც ხუთ საათს გრძელდებოდა და რა ხნის განმავლობაშიც ფეხზე დგომა გვიხდებოდა. დროს მოსაგებად მე პატარა რვეული გავიჩინე და (წირვის დროს) ფრანგულს ვსწავლობდი ფარულად, — ვინაიდან მისი სწავლა პროტესტანტული სულის ძაჩვენებლად მიაჩნდათ. რვეულში ვიწერდი ფრანგულ სიტყვებს, რასაც წირვის დროს ვიზეპირებდი. ამისათვის ბევრჯერ კარცერშიც ვმჯდარვარ“-ო.

ფილიპე გოგიჩაიშვილი სემინარიაში არალეგალურ ჯგუფშიც მეცადინეობდა. „ამ ჯგუფში რეფერატების კითხვა, საუბარი, წიგნების კითხვა-გარჩევა წარმოებდა“. მესამე კლასის შემდეგ მას საკუთარი ჯგუფი ჰყავდა, სადაც კითხულობდნენ პისარევს, ჩერნიშევსკის, ნიხაილოვსკის, ლავროვს, „Историческая“-ს და მისთანებს.

სემინარიის კურსდამთავრებულთ ცალკე გამოცდების ჩაბარებების გარეშე უნივერსიტეტში არ ღებულობდნენ. იშოვნა რა თბილისში სათანადო წიგნები, ფილიპე სოფელში წავიდა მოსამზადებლად. მამას იგი მღვდლად უნდოდა

და არ მოეწონა მის მიერ სწავლის გაგრძელების სურვილი. მალე იგი მამამ ნასესხები ფულით სამსახურის საშოვნელად გაისტუმრა.

ერთმა ნაცნობმა (ვ. დარჩიამ) მას დახმარება გაუწია ზესტაფონში, ბარგანეცის ბრეწველის ნიკო ღოღობერიძის კანტორაში მოწყობილიყო — ფრანგული კორესპონდენციის მწარმოებლად. როგორც თვითონ გადმოგვცემს, მას ძალიან შეშინებია ასეთი თანამდებობისა, „ვინაიდან ფრანგი არსად მენახა, ფრანგული ლაპარაკი არსად გამეგონაო“, მაგრამ ბეჯითობამ და გულმოდგინებამ თავისი გაიტანა. მან შესძლო თავისი დამოუკიდებელი მეცადინეობით მიღებული ცოდნით და ლექსიკონების დახმარებით ლონდონიდან მიღებული ფრანგული ხელნაწერი წერილების თარგმნა და თვით პასუხის შედგენაც, თუმცა, მართალია, ამისათვის რამდენიმე ღამე გაათენა. შემდეგში ამ საქმეზე ისე გაიწაფა, რომ ნ. ღოღობერიძე ფილიპეს — თავის ბუხჰალტერ-კორესპონდენტს — თავიდან არ იშორებდა, რადგან მასში შრომისმოყვარე და ერთგული მუშაკი დაინახა.

ფილიპემ ზესტაფონშივე გაიცნო იმ დროისათვის უკვე ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი, რომელმაც შემდგომ შესამჩნევი როლი ითამაშა ფ. გოგიჩაიშვილის ცხოვრებაში. ზესტაფონსა და ბათუმში 2—3 წლის მუშაობის (1894—1896 წ. წ.) შემდეგ პ. უმიკაშვილმა ნიჭიერი ახალგაზრდა ფილიპე თავისი საკუთარი ხარჯით გაგზავნა საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად. ფილიპე ძალით დაიყოლიეს, რომ სხვისი ხარჯით უცხოეთში წასულიყო. უფრო ადრე მან კატეგორიული უარი განაცხადა დ. სარაჯიშვილის (ცნობილი კაპიტალისტ-ბრეწველის) ხარჯზე წასულიყო საზღვარგარეთ.

გერმანიაში იგი უმთავრესად ლაიპციგში სწავლობდა; უცხოეთში ყოველთვიურად პ. უმიკაშვილისაგან ხუთ თუმანს ღებულობდა. უნივერსიტეტის კურსი დასრულებული ჰქონდა, სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობდა, როდესაც მამისაგან, გურიიდან, წერილი მიიღო: „მგზობელ მღვდელმა სამრევლოს წართმევა შემინდომა და საქმის ბოლოდ ის უმჯობესი, თუ შენ ჯანცხადებას შეიტან ეგზარხოსთან — რათა მამიშენის ბრეველი შენ გადმოგცენო“. მოხუცი მამისათვის ცხოვრების სასხვის შენარჩუნებისა, დისერტაციის დასრულებისა, და დაცვის შესაძლებლობის გულისთვის მან ასეთი თხოვნა მართლაც გაბოლგზავნა ეგზარხოსს, თუმცა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ არამცთუ თვითონ არ კურთხეულა მღვდლად, არამედ მამისმაც თავი დაანება ხუცობას და შვილის რჩენაზე გადავიდა.

უკვე ვიცით, რომ ფ. გოგიჩაიშვილი უცხოეთში პ. უმიკაშვილის ხარჯით წავიდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პ. უმიკაშვილი იყო ფ. გოგიჩაიშვილის ნამდვილი სულიერი მამა და ცხოვრების გზის გამკაფავი ადამიანი. ბედნიერების ამგვარი მოვლენა იშვიათია, რომ მე ვებედავ აქ რამდენიმე სიტყვით შევეხო მას.

უწინარეს მოვიყვან 1890-იანი წლების მეორე ნახევრიდან უცხოეთში მცხოვრებ ფ. გოგიჩაიშვილისადმი პ. უმიკაშვილის წერილებიდან ორიოდე ამონაწერს, რაც ამ ათიოდე წლის წინათ გამოქვეყნებულიც იყო. პეტრე

სხვადასხვა დროს სწერდა ფილიპეს: 1. „ჩემი ფიქრი მუდამ შენსკენ არის, მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ ჯანმრთელად ხარ, მუშაობ წრესგადაუსვლელად, გულდამშვიდებული, გონებადამშვიდებული...“ 2. „გეყოფა ფრანცუზული და ნემეცური (ენა). ინგლისურიც გინდოდა გესწავლა. ენების შესწავლას დიდი დრო უნდება და ტვინის მოღალვა...“ 3. „ვეფხის ტყაოსნის სიტყვები მაგონდება... გაქვს კი ვეფხის ტყაოსანი? ხანდახან წაიკითხე და ნემეცურად ჩააკვირდი, ქართულად იგრძენ და მარტოობაში, შორს ყოფნაში, ბეგობრობას გაგიწევს...“ 4. „შენ პირველ წერილში იწერები... (ფულზე უნდა იყოს ლაპარაკი) ამაზე რა ლაპარაკი გინდა. არ მოგიკვდეს პეტრე, არაფერი გაფიქრებინოს. ნუ ხარ ხანდახან ტუტუცი...“ და ბოლოს კიდევ უკანასკნელი ამონაწერი ერთი წერილიდან: 5. „... თავს კარგად მოუარე, გაძელ მანდაურის სიკეთით და მერე, თუ დარი დამიდგა, კარგახანს მანდ ყოფნის შემდეგ, — მოეხვიე თუ ცოცხალს მოუსწარ, შენს პეტრეს“.

ფილიპემ სწავლა დაამთავრა, სადოქტორო დისერტაციაც დაიცვა და ბართლაც რომ ჩამოუსწრო პეტრეს. პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ პირველი ტომის წინასიტყვაობაში ფ. გოგიჩაიშვილი მათი შემდგომი ურთიერთობის შესახებ 1937 წ. მოგონების სახით წერდა: „ჩემი დაბრუნების შემდეგ მხოლოდ ორ წელიწადს იცოცხლა. არ ვიცოდი — არ გაუმხელია — ვინ ეხმარებოდა ჩემ შენახვაში. ვიცოდი მხოლოდ: ნ. ღოღობერიძე და დ. სარაჯიშვილი. მისი სიკვდილის შემდეგ მის ქალალდებში ვიპოვნე ცნობა იმ პირთა შესახებ, რომელნიც მას თურმე ეხმარებოდნენ. დღესაც არ ვიცი, მათში ხომ არ გამორჩა ვინმე. მე იმით ვიხელმძღვანელე, რაც ალმოვაჩინე: იმ პირთ თანდათან, რამდენიმე წლის განმავლობაში, ვალი გადაუხადე მადლობით და ბოდიშობით. „არ გადამიხდია ნ. ღოღობერიძისათვის და დ. სარაჯიშვილისათვის, არც პეტრესთვის. პირველნი ჩვენში სწავლა-განათლების მეცენატები იქნენ და გაცემულს არ იბრუნებდნენ. ხოლო პეტრე ღარიბი კაცი იყო და კი უნდა მიეღო განაცემი, თუმცა არ ვიცი, როგორ უნდა მოხერხებულიყო მისი ღაყოლება ამაზე. სიკვდილმა მოუსწრო.

„მაგრამ რა — რომ კიდეც მოხერხებულიყო, განა ეს იქნებოდა გადახდა? ეს იყო ვალი. რომელიც, რაგინდ მესაღნა, მაინც ვალად დარჩებოდა ძუძუმ და კიდეც დარჩა. აბა სად მეშოვნა ის ზღვა გრძნობა მისთვის იმ სამაგიეროს მისაზღველად, რაც მას ჩემგან მეეფერებოდაო“. — აშკარად, პ. უმიკაშვილს სიცოცხლეში „ვერ გადაუხადა“ — როგორც თვითონ ფილიპე აცხადებს — სამაგიერო, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, გარდა სიცოცხლეში მისთვის მიზღვული სიამისა პ. უმიკაშვილის დასაფლავების მთელი ხარჯი თვითონ გასწია და შემდეგშიც ბევრი რამ გაუკეთა მისი სახელისათვის.

მაგრამ, ცხადია, ვალის გადახდაზე თუ ვილაპარაკებთ, სულიერი მამისა და აღმზრდელისადმი ამის შესრულება უთუოდ უნდა მოიხდარიყო არა ნივთიერი, არამედ სულიერი საზღაურის სახითაც, ხოლო პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა მთელი თავისი ნახევარსაუკუნიანი საზოგადოებრივი, ლიტერატურული, პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობით უხვად აანაზღაურა მისთვს პ. უმიკა-

შვილისა და სხვათა მიერ გაწეული ამაგი, რისი მიზანიც იყო ფ. გოგიჩაიშვილის სწორედ ამ მოღვაწეობისათვის მომზადება.

როგორც აღვნიშნე, უცხოეთში ფილიპე უპირატესად ლაიპციგის უნივერსიტეტში სწავლობდა. მხოლოდ ერთი სემესტრი დაჰყო მან მიუნხენის უნივერსიტეტში. ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის ეკონომიკის (ე. წ. კამერალურ მეცნიერებათა) განყოფილების კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, 1901 წელს, დისერტაციის საჯაროდ დაცვის შედეგად, მან მოიპოვა ფილოსოფიის დოქტორის მეცნიერული ხარისხი (ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხში დამტკიცებულია საქართველოს სსრ განსახკომის მიერ 1935 წელს).

ფ. გოგიჩაიშვილის მიერ ლაიპციგში დოქტორის ხარისხის მოპოვებას ფართოდ გამოეხმაურნენ იმდროინდელი ქართული პერიოდული ორგანოები. მაგალითად, გაზეთ „კვალის" კორესპონდენციაში (გერმანიიდან) ვკითხულობთ: „... ოფიციალური განხილვის შემდეგ პროფესორთა კრებულმა მოიწონა (შრომა) და დისერტანტს დოქტორის ხარისხი მიანიჭეს. ფაკულტეტის პროფესორმა კ. ბიუხერმა (იგი) უმაღლესი ნიშნით დააჯილდოვა, რაც იშვიათ ნოვლენას შეადგენს ბიუხერის ცხოვრებაში..."

„აი, რა მსჯავრი წარმოსთქვა პროფ. ბიუხერმა: „... გარდა იმისა, რომ ბ-ნ დოქტორ გოგიჩაიშვილის შრომა კარგის სტილით არის დაწერილი და ფაქტები ერთს დედა აზრზე ხელოვნურად ასხმული, ავტორს ბევრი ორიგინალური აზრი აქვს გატარებული მეცნიერთა საყურადღებოდ და საგულისხმოდ: მე ძალიან მხიარული ვარ, რომ ჩვენი სემინარის წევრმა ასე საშვალითო შრომა გვიჩვენაო" (იხ. „კვალი", 1901 წ. № 15, გვ. 233).

იმავე 1901 წ. ტუბინგენში ცალკე წიგნად გამოიცა ფ. გოგიჩაიშვილის ხსენებული სადისერტაციო ნაშრომი: „Das Gewerbe in Georgien...". ამ წიგნზე ვრცელი რეცენზია დაიბეჭდა სხვათა შორის იმავე წლის „კვალი"-ს №№ 29 და 30. ფ. გოგიჩაიშვილის ხსენებული შრომა გამოიცა „Zeitschrift für die gesamten Staatswissenschaften"-ის პირველი დამატების სახით; ამრიგად კი „მხოლოდ ისეთი გამოკვლევები იბეჭდება, რომლებიც აკმაყოფილებენ მკაცრ მეთოდოლოგიურ მოთხოვნილებათ და თავისი შინაარსით არსებითად უწყობენ ხელს მეცნიერების განვითარებას". მოყვანა ის ეს თვით გერმანული ჟურნალის რედაქციის ბიერი ზოგადი დახასიათება, „კვალის" რეცენზენტი თავის მხრივ აცხადებს: „აქედან სჩანს, რა მნიშვნელობას აძლევს ახალგაზრდა მეცნიერის შრომას ერთი უდიდესი კორიფეი ეკონომიური მეცნიერებისა ბიუხერი და ჩვენ... ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს წიგნი მეტად საინტერესოა ევროპის მეცნიერებისათვის: იგი აცნობს მათ სრულიად ახალ მხარეს, და იმ მხრივ, რომელიც ხელშეუხებელია ევროპის მეცნიერებისაგან: არა თუ ეკონომიურ-სოციალური მხრით, სახელითაც ძლივს გვიცნობს ჯერ კიდევ ევროპა და ყოველ სხვა ღირსებათა გარდა, ამითაც ძვირფასია ეს შრომა ჩვენთვის". რეცენზენტი ვრცლად გადმოსცემს რა ჟურნალის ორი ნომრის ფურცლებზე ფ. გოგიჩაიშვილის შრომის შინაარსს, დასასრულ აღნიშნავს: „ჩვენთვის მეტად

საინტერესოა გოგიჩაიშვილის შრომა ქართულ ენაზედაც დაიბეჭდოსო" („ქვეყანა", 1901 წ., № 19 და 30, გვ. 686—703).

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა როლი ითამაშა ფ. გოგიჩაიშვილის ამ შრომამ დას. ევროპაში საქართველოს მცოდნეობის გავრცელებისათვის, საკმარისია აღინიშნოს, რომ კარლ ბიუხერმა თავისი ერთ-ერთი საყოველთაოდ ცნობილი ოხზულების — „შრომა და რითმი" — მორიგ გამოცემაში შეიტანა ფ. გოგიჩაიშვილის ცნობათა მიხედვით დაწერილი სპეციალური თავი, ქართ. ძოთ საქართველოს შესახებ (იხ. მეოთხე გერმ. გამოც. 1909 ლაიპც.-ბერლ. გვ. 268—280; უკანასკნელი რუს. გამოც. გვ. 197—207); ბიუხერის ეს წიგნი თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი ხალხების ენებზე; მაგრამ ამ მხრივ იქნება კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობისა იყოს ის გარემოება, რომ იმავე პროფ. კარლ ბიუხერმა თავის მეორე კიდევ უფრო ცნობილი და სხვადასხვა ენებზე ბოლომდე გამოცემული წიგნის — „სახალხო მეურნეობის წარმოშობა" — მეოთხე გამოცემაში (1904 წ.) შეიტანა მასალა ამიერკავკასიის შესახებ და ამ შემთხვევაში იგი ისევ ფ. გოგიჩაიშვილის ზემოხსენებულ მონოგრაფიას ეყრდნობა (იხ. მეექვსე გერმ. გამოცემა, გვ. 105, 160, 166; 1923 წ. რუს. გამოცემა, გვ. 56, 87, 91).

დისერტაციის დაცვის შემდეგ ფ. გოგიჩაიშვილი კიდევ 1 წელიწადი ცხოვრობდა დას. ევროპაში, უმთავრესად პარიზში. სადაც მუშაობდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მიუხედავად წინადადებისა, გაეგრძელებინა სამეცნიერო მუშაობა გერმანიაში, იგი 1902 წ. ბრუნდება სამშობლოში და აქ ებმება ფართო საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ-სამეცნიერო მოღვაწეობაში.

პარალელურად იგი მსახურობდა საზოგადოებრივ დაწესებულებებში: ვანაგებდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სტატისტიკურ ბიუროს, სადაც ხელმძღვანელობდა სტატისტიკურ-ეკონომიურ გამოკვლევებს (1903—1913 წ.წ.); იყო სრულიად რუსეთის საერთო კავშირის რწმუნებულად ამიერკავკასიაში ('914—1916 წ.წ.); კახეთის რკინიგზის გამგეობის თავმჯდომარედ (1917—1918 წ.წ.) და სხვ.

1918 წელს ფ. გოგიჩაიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო, როგორც საინიციატივო ჯგუფის წევრმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში; აქ მან იმთავითვე დაიწყო ლექციების კითხვა სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის ეკონომიურ განყოფილებაში. პირველ ხანებში მას აქ ლექციების კითხვა უხდებოდა თითქმის ყველა ძირითად ეკონომიურ დისციპლინაში, როგორიცაა პოლიტიკური ეკონომია, პრაქტიკული პოლიტიკური ეკონომია, ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია, საფინანსო მეცნიერება, ზოგადი და სპეციალური სტატისტიკა, ტრანსპორტის ეკონომიკა და სხვ. იგი ხელმძღვანელობდა სემინარებსაც ამ დისციპლინებში.

დიდი ხნის განმავლობაში ფილიპე გოგიჩაიშვილი ჩვენს უნივერსიტეტში ძირითადად თითქმის მარტოდ მარტო იყო ფაკულტეტის ხელმძღვანელობაში; მას კისერზე აწვა როგორც დიდძალი ლექციების კითხვა, ასევე ზრუნვა ეკონომიური (სოციალ-ეკონომიური) ფაკულტეტის ადმინისტრაციული და ორგა-

ბიზაციული საკითხების მოგვარებისათვის. ამასთანავე მოსახსენებელია ის სიძნელეებიც, რომლებიც მაშინ, სათანადო ქართული ტერმინოლოგიის დაუმუშავებლობის პირობებში, უნდა გადაელახა ლექტორს, რომელიც ეკონომიური მეცნიერების რამდენიმე დისციპლინის კურსს კითხულობდა. გასაგებია, რომ ასეთი დატვირთულობის პირობებში ფ. გოგიჩაიშვილს, მიუხედავად დიდი სურვილისა, უკვე დრო და შესაძლებლობა არ რჩებოდა ლიტერატურულად გაეფორმებინა მის მიერ წაკითხული კურსები, ე. ი. დაეწერა იმ საგნების სახელმძღვანელოები.

მაგრამ ქართულ ენაზე ძირითად ეკონომიურ დისციპლინებში ლექციების მომზადებისათვის გაწეულმა შრომამ არა პირდაპირი სახით ლიტერატურულად ნაინც თავი იჩინა მარქსიზმის ფუძემდებელთა ეკონომიური თხზულებების იმ დიდებულ თარგმანებში, რომლებიც შესრულებულ იქნა ფ. გოგიჩაიშვილის მიერ.

ანასთანავე 1920 წელს დას. ევროპაში (საფრანგეთს, გერმანიასა და ინგლისში) ყოფნის დროს ფ. გოგიჩაიშვილმა არამცირედი შრომა და ხარჯი გასწია ჩვენი უნივერსიტეტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკისათვის საჭირო დიდძალი ეკონომიური ლიტერატურის შეძენისა და გადმოგზავნის სახით.

*
* *

სამეცნიერო-პუბლიცისტური მოღვაწეობა ფ. გოგიჩაიშვილმა დაიწყო ჯერ კიდევ 1892 წლიდან, რა დროიდანაც მისი კორესპონდენციები და ფელეტონები იბეჭდებოდა ილ. ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“ (პირველი სტატია აქ დაიბეჭდა. გაზეთის № 139, 14 ივლისს, 1892 წ.). აქ გოგიჩაიშვილი აღწერს გურიის გლეხთა ძძიმე ეკონომიურ პირობებს, ცარიზმის ადმინისტრაციის პარპაშს: ეხება აგრეთვე სწავლა-განათლების, კულტურის საკითხებს. პირველ ხანებში იგი ბეჭდავდა „უგვაროს“ ფსევდონიმით.

ამ დროიდან მოყოლებული იგი უახლოესი თანაშრომელია, გარდა „ივერიისა“, ჟურ. „მოამბის“, „კვალის“, გაზ. „ცნობის ფურცლის“, „საქართველოს მოამბისა“ და სხვ ჟურ.-გაზეთებისა. 1905 - 1906 წ. წ. თვითონ რედაქტორობდა გაზ. „ივერიას“. მისი სტატიები, ნარკვევები, ფელეტონები, გაზეთის მოწინავეები ეხებიან იმ დროისათვის საჭირბოროტო საკითხებს, რისთვისაც ცარიზმის ცენზურა ხშირად კრძალავდა მის ნაწერებს. 1909 წ. ფ. გოგიჩაიშვილი დაპატიმრებულიც იყო ცარიზმის საწინააღმდეგო მოღვაწეობისათვის.

კალკე წიგნად მისი ნაშრომი, როგორც აღვნიშნეთ, პირველად გამოიცა 1901 წ. ტუბინგენში: ეს იყო სადისერტაციო შრომა. შემდეგ ცალკე წიგნებად გამოცემულ ნაშრომთა შორის განსაკუთრებული ღირებულება აქვს მის კაპიტალურ გამოკვლევას: „Частное землевладение в Тифлисской и Кутаисской губерниях“, ორ ტომად, 1910 წ. ეს როგორ გადმოგვცემს ფ. გოგიჩაიშვილისათვის ამ შრომის დაწერის დაკვალების გარემოებას გ. ლასხიშვილი თავის „მოგონებაში“: წწვავე აგრარული ვითარების გამო დიდად საჭირო იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის „მიწათმფლობელობისა და სოფლის ეკონომიური ცხოვრების სხვა მხარეთა სტატისტიკური გამოკვლევა. ამ საქმის მოსაგვარებლად მიწვეულ იქნა ჩვენი ცნობილი სახოგადო მოღვაწე და სტატისტიკოსი

ფილიპე გოგიჩაიშვილი, რომელმაც რამდენიმე წლის განმავლობაში შეავროვა და გადაამუშავა ფრიად საინტერესო და დიდი სტატისტიკური მასალა" (იხ. გ. ლასხიშვილი. „მემუარები", 1934 წ., თბ. გვ. 192).

საერთოდ ფ. გოგიჩაიშვილი ავტორია დიდძალი გამოქვეყნებული ლიტერატურული პროდუქციისა; მის შრომების, მონოგრაფიების, საჟურნალო სტატიების, ფელეტონების და პუბლიცისტური სტატიების რაოდენობა 200-ზე მეტი იქნება.

ფ. გოგიჩაიშვილის ეს ნაწერები შეეხება საქართველოსა და კავკასიის იმდროინდელი და ნაწილობრივ წინადროინდელი სოციალ-ეკონომიური ცხოვრების ფრიად მრავალგვარ და აქტუალურ საკითხებს. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები 1890 - 1900-იანი წლების საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გარდა იმ ფრიად სერიოზული როლისა, რაც ამ კატეგორიის მისმა შრომებმა ითამაშეს მაშინდელ პრაქტიკულ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში, იმათი ისტორიული მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მათ გვერდს ვერ აუვლის ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ეკონომიური ცხოვრების, განსაკუთრებით აგრარული ურთიერთობის, ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი.

* * *

განსაკუთრებულის ნაყოფიერებით მუშაობს ფ. გოგიჩაიშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მან, როგორც სათანადო ორგანოების დავალებით ისე საკუთარი ინიციატივით, დიდი, ფრიად რთული და საპასუხისმგებლო მუშაობა ჩაატარა მარქსიზმის ფუძემდებელთა — მარქსისა და ენგელსის - თხზულებათა გერმანულიდან და ფრანგულიდან ქართულად თარგმნის საქმეში. ამ მუშაობისათვის მან მიიღო საქართველოს ცაკის ჯილდო.

1930 წ. გამოვიდა ფ. გოგიჩაიშვილის ძირითადი მონაწილეობით თარგმნილი „კაპიტალის" I ტომი. ხოლო მომდევნო წლებში საკუთრად მის მიერ ითარგმნა და გამოქვეყნდა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" (1932), „ფილოსოფიის სიღატაკე" (1931), „კაპიტალის" II ტომი (1933 წ.), III ტომის I წიგნი (1932 წ.), III ტომის II წიგნი (1934 წ.), „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" (1940 წ.). აჰას გარდა იგი მონაწილეობდა მარქსისა და ენგელსის თითქმის ყველა სხვა თხზულებათა თარგმნასა და რედაქტირებაში. ცხადია, რომ ფ. გოგიჩაიშვილის მიერ გერმანულიდან შესრულებულმა ამ ქარხულმა თარგმანებმა საყოველთაო მოწონება და მაღალი შეფასება მიიღეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მან მთელი ეს მუშაობა, შედარებით, ძლიერ ბოკლე ხნის განმავლობაში შეასრულა. აქვე დავსძენ, რომ ფ. გოგიჩაიშვილმა სულ ამ რამდენიმე ხნის წინათ ახალი სამუშაო შეასრულა; მან ფრ. ენგელსისეული გაანოცენის მიხედვით რედაქცია გაუკეთა (ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილობრივ) „კაპიტალის" I ტომის ქართულ თარგმანს (1930 წ. გამოც.), რომლის მეორედ გამოცემაც ახლო მომავალში უნდა განხორციელდეს.

მარქსიზმის ფუძემდებელთა ძირითადი ეკონომიური შრომების ქართულად თარგმნით პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა არა მხოლოდ დიდი ღვაწლი დასდო თანამედროვე ქართული ეკონომიური ტერმინოლოგიის შექმნის საქმეს, არამედ და ეს განსაკუთრებული ყურადღების ღირსია — პირველად მხოლოდ მისი თარგმნითი მუშაობის მეოხებით შეიქნა შესაძლებელი ქართველი საბჭოთა ახალგაზრდობა და საერთოდ ქართველი მკითხველი საზოგადოება თავის მშობლიურ ენაზე გასცნობოდა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა ამ გენიალურ შრომებს; კვლავ ვიმეორებთ, რომ ეს, ჩვენის ფიქრით, პროფ. გოგიჩაიშვილის ერთ-ერთი უველაზე დიდი დამსახურებაა.

ფ. გოგიჩაიშვილი დღემდე თანამშრომლობს აგრეთვე საბჭოთა პერიოდულ ორგანოებში (ჟურ. „საქ. სოც. მეურნეობა" და სხვ.), სადაც ათავსებს სტატიებს ეკონომიურ საკითხებზე; სწერს და აქვეყნებს მოგონებებს ჩვენ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა შესახებ (მაგ. მოგონებები ილ. ჭავჭავაძეზე. აკ. წერეთელზე. იაკ. გოგებაშვილზე და სხვ.); მისივე რედაქციით და ვრცელი წინასიტყვაობით გამოიცა აგრეთვე პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერება" I ტ. (1939 წ.).

ფ. გოგიჩაიშვილმა ფრიად საყურადღებო მუშაობა ჩაატარა აგრეთვე გერმანულიდან და რუსულიდან რიგი სახელმძღვანელოების თარგმნითა და რედაქტირებით. მანვე ინგლისურიდან თარგმნა ბურჟუაზიულ პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსთა შრომები: დ. რიკარდოს — „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები" (1937), ადამ სმიტის — „ხალხთა სიმდიდრე..." (1938) და სხვ.

ფ. გოგიჩაიშვილი აქტიურ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიისა და საქართველოს სსრ საგეგმო და საფინანსო ორგანოებში; მუშაობდა ამიერკავკასიის და საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიებში, ამიერკავკასიის და საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატებში, საქ. სსრ ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოში. ამ დაწესებულებებში მისი უშუალო მონაწილეობით. ინიციატივითა და კონსულტაციით დამუშავებულია რიგი სახალხო მეურნეობრივი და ფინანსური პრობლემები.

თვალსაჩინოა ფ. გოგიჩაიშვილის დამსახურება საბჭოთა ეკონომისტთა კადრების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ეკონომისტთა რამდენიმე თაობა, რომლებიც ამჟამად მუშაობენ სახალხო მეურნეობის აღრიცხვისა და დაგეგმვის სხვადასხვა დარგებში, ანდა როგორც პროფესორები და დოცენტები ეწევიან მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობას უნივერსიტეტსა და სხვადასხვა ინსტიტუტებში.

უკანასკნელ ხანებშიც, მიუხედავად მისი მოხუცებულობისა, ფ. გოგიჩაიშვილი არაა მოწყვეტილი მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობისაგან, იგი სათანადო დავალებებს ყოველთვის პირნათლად ასრულებს. მაგალითად, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1939 წ. მოსახლეობის საკავშირო აღწერაში: მოხსენებების წაკითხვით, პრესაში გამოსვლით და სხვ.; ეხმარება სტუდენტებსა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთ დამოუკიდებელი

მუშაობის ჩვეულთა გადაცემა-გაზიარებით: არის სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბერიას სახ. საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოების წევრი; თავმჯდომარეობს თ. ს. უ. ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო გამოცდების კომისიას, არის საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. აქ, სხვათაშორის, ის დიდ მუშაობას ეწევა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიური ტერმინოლოგიის შემდგენელთა კოლექტივში.

შრომის მოყვარეობა, დადებითი საქმის სიყვარული და ამ საქმისათვის მთელის ენერგიით ამოძრავება — ფილიპე გოგიჩაიშვილის განუყრელი თვისებაა; ხელს მხოლოდ ისეთ საქმეს და ისეთ დროს მოკიდებს, რომელშიც და როდესაც თავისთავში მტკიცედ არის დარწმუნებული. უდიდესი სიფრთხილე და სიფხიზლე, საქმის აუჩქარებელი და საფუძვლიანი შესწავლა მისი დამახასიათებელია; როგორიც გინდ საქმე არ იყოს, ვისაც გინდ იგი არ ეხებოდეს ძლიერს და გავლენიანს, თუ უძლურს და უხმოს, მის პირად მტერს, თუ მეგობარს, მეცნიერული პუშმარიტებისათვის სამსახური და მიუდგომლობა, — შეიძლება ითქვას, — მისი სტიქიაა. რამდენჯერ ვყოფილვარ მოწმე: სტუდენტს თუ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკს პირში რომ სტუქსავდა, ჭირდავდა, დასცინოდა კიდევაც; როცა ის მოგვცილდებოდა ფილიპე ხშირად იტყოდა: ეგ ძალიან ენერგიული ახალგაზრდაა, მისგან შეიძლება რამე გამოვიდესო. ერთი სიტყვით, პატივცემული ფილიპე გოგიჩაიშვილი თავისთავისთვის ბტრების გაჩენის ოსტატიც არის.

***

ფ. გოგიჩაიშვილს მრავალგვარი საქმისათვის მოუკიდია ხელი. უმსახურია კერძო კაპიტალისტურ წარმოებაში, ყოფილა ჟურნალისტი, გაზეთის კორესპონდენტი და რედაქტორი, უმსახურია ცარიზმის დროინდელ საზოგადოებრივ და მეურნეობრივ ორგანიზაციებში — ერობაში, ქალაქის თვითმმართველობაში, რკინიგზების მშენებლობაში, უმოღვაწია სახელმწიფოებრივი მმართველობის უმაღლეს თანამდებობაზე და დიპლომატიურ ასპარეზზედაც... საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდხანს უმუშავია საგეგმო და საფინანსო უწყებებში, მონაწილეობა მიუღია მრავალ მეურნეობრივ წამოწყებათა დაპროექტებაში, ოცდაშვიდი წელიწადია განუწყვეტლივ მუშაობს ჩვენს უნივერსიტეტში, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი, ხოლო კერძოდ ეკონომიკის ფაკულტეტის ორგანიზატორიც იგი არის, და ყველგან და ყოველთვის იგი მტკიცედ და პირნათლად იდგა და დგას თავის ადგილზე ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ უზადოდ ემსახურება ქართულ კულტურასა და მეცნიერებას, ჩვენი სოციალისტური მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების დიდად საპასუხისმგებლო საქმეს, საერთოდ ქართველი ხალხის ინტერესებს.

პ. გუგუშვილი

1945. XII. 11.

ფ. გოგიჩაიშვილის შრომების ბიბლიოგრაფია[1]

ფ. გოგიჩაიშვილს 1892—1947 წლებში გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნარკვევი და წერილი, რომლებიც ეხება როგორც სპეციალურ საკითხებს ეკონომიური მეცნიერებისას, ისე ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს. 1905—1916 წლებში იგი იყო „ივერიის“, „ერის“, „ცხობის ფურცლის“ და სხვა პერიოდული გამოცემების მუდმივი თანამშრომელი.

ქვემოთ ვათავსებთ ზოგიერთ წერილებისა და ნაშრომების სიას.

რედ.

1897

1. მგზავრის შენიშვნები (ევროპაში) [ნაშრომში ჩართულია მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტის“ პირველი თარგმანი ქართულ ენაზე]: კვალი, 1897, № 39 გვ. 710—713; № 40 გვ. 727—730; № 41 გვ. 74[illegible]—748; № 44 გვ. 785—787; № 45 გვ. 810—811; № 47 გვ. 841—842; № 48 გვ. 856—858; № 49 გვ. 870—871; № 50 გვ. 891—894. ხელწერა: პატრიშვილი ფ.

1898

2. გერმანიის ამბები: კვალი, 1898, № 11 გვ. 188—192; № 12 გვ. 208—211; № 17 გვ. 297—300; № 18 გვ. 316—318.

3. მგზავრის შენიშვნები. ქ. მიუნხენი: კვალი, 1898, № 3 გვ. 47—50; № 4 გვ. 66—69; № 5 გვ. 87—[illegible]9; № 22 გვ. 379—380; № 24 გვ. 394—395; № 24 გვ. 412—414; № 25 გვ. 427—429; № 26 გვ. 442—444; № 28 გვ. 447—478; № 32 გვ. 540—542; № 34 გვ. 570—572; № 36 გვ. 604—606; № 37 გვ. 622—624. ხელწერა: პატრიშვილი ფ.

4. სარეიხსტაგო არჩევნები გერმანიაში: კვალი, 1898, № 29 გვ. 490—493. ხელწერა: პატრიშვილი ფ.

5. საფრანგეთში „რადიკალური“ სამინისტრო: კვალი, 1898, № 30 გვ. 503—506. ხელწერა: პატრიშვილი ფ.

1899

6. ევროპის ძველი და ახალი მეურნეობა: კვალი, 1899, № 27 გვ. 436 440; № 28 გვ. 451—454; № 29 გვ. 467—470; № 30 გვ. 507—510; № 31 გვ. 525—628; № 33 გვ. 582—585; № 34 გვ. 602—604. ხელწერა: პატრიშვილი ფ.

---

[1] ბიბლიოგრაფია შედგენილია ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელობის თბ. სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლების, ისტორ. მეცნიერებათა კანდიდატის ტ. კ ა ს რ ა ძ ი ს ა და ჟ. ს ე ა ნ ი ძ ი ს მიერ.

1900

7. რეც.: რაიხსბერგი ნ. — მუშათა კითხვა უწინდელ და ახლანდელ დროში. თარგმ. ე. სოლოვიოვილისა და თ. კიკვაძისა: ივერია, 1900, № 269. გვ. 3; № 270 გვ. 3—4; № 271 გვ. 3—4; № 275 გვ. 2—3; № 276 გვ. 3—4. ხელწერა: Georgiano.

1901

8. Das Gewerbe in Georgien unter besonderer Berücksichtigung der primitiven Betriebsformen. Tübingen, 1901.

9. რეც.: Gottried Merzbacher. Aus den Hochregionen des Kaukasus. Lpzg, 1901. 2 Bde: ივერია, 1901, № 145, 147, 148.

1902

10. ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეობა პირველი ამბანაგობა: კვალი, 1902, № 17 გვ. 273—275. ხელწერა: Ზ.

11. მოძღვარებელი ამხანაგობანი ევრიპაში: კვალი 1902, № 21 გვ. 347—348; № 22 გვ. 361—362. ხელმოუწერელია.

12. გადასახადები და მათი კლასიფიკაცია: კვალი, 1902, № 24 გვ. 383—384; № 25 გვ. 397—399. ხელწერა: Ზ.

13. ეკონომიური წერილები. შაქარი და შაქრის საექსპორტო პრემიები: კვალი, 1902, № 27 გვ. 431—435. ხელწერა: ფ. გ.

14. საქართველოს ეკონომიური განვითარება მე-XIX-ე საუკუნეში: კვალი, 1902, № 49 გვ. 782—784; № 50 გვ. 800—803. ხელწერა: ფ. გ.

1903

15. მიწის სიმცირე ჩვენს გლეხობაში და საგლეხო ბანკის საჭიროება: ცნ. ფურც. 1903, № 1112 გვ. 1—2; № 213 გვ. 1—3.

16. ბრომის ბაზარი: ცნ. ფურც. 1903, № 2259 გვ. 1—3; № 2276 გვ. 1—3; № 2282 გვ. 1—3; № 2296 გვ. 1—3.

17. К вопросу о малоземельи на Кавказе. Ответ „Новому времени": Новое обозрение 1903, № 6431.

18. Малоземелье среди крестьян Закавказья. Доклад, читанный на заседании имп. Кавк. о-ва с/хоз. 11 февр. 1903 г.: Кавк. с/хоз., 1903, № 472 стр. 933—935; № 473 стр. 954 - 956; № 174 стр. 971—972.

1904

19. სტატისტიკური ცნობები. კავკასიის სივრცე და მცხოვრებნი. საქართველოს სივრცე და მცხოვრებთა რაოდენობა. ცხრილები — წიგნში: საქართველოს კალენდარი ვალ. გუნიას რედ. გვ. 158—170, 228—236, 236—239, 281 282, 282—292. ხელმოუწერელია. აღნიშნული წიგნის რედაქცია და წინასიტყვაობა მასვე ეკუთვნის.

20. საყურადღებო იუბილე [გლეხთა განთავისუფლება ბატონ-ყმობისაგან]: მოამბე, 1904, № 11 გვ. 87—110.

21. სხვადასხვა წოდებანი საქართველოში სწავლა-განათლების მხრით: მოამბე, 1904, № 6 გვ. 74—96.

22. შინაური მიმოხილვა. ნადელების სავალდებულო გამოსყიდვა, ხალხის განათლება და სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოები...: მოამბე, 1904, № 7 გვ. 50—70.

23. შინაური მიმოხილვა. ჩვენი ეკონომიური გაჭირვება: მოამბე, 1904, № 1 გვ. 63—94.

24. 1903 წელი. ეკონომიური მიმოხილვა: ცნ. ფურ. 1904, № 1368 გვ. 2—4.

25. პეტრე უჯიკაშვილი [ნეკროლოგი]: ცნ. ფურც. 1904, № 2507 გვ. 2—3.

26. დროებით ვალდებულ გლეხთა სანადელო მიწების გამოსყიდვის შესახებ: ცნ. ფურც. 1004, № 2522, № 2520 გვ. 1—3, № 2536, № 2556.

27. მოხერხებული დრო [ერობის შემოღების დროულობა საქართველოში]: ცნ. ფურც. 1904, № 2534 გვ. 2—4.

28. პატარა სტატისტიკა: ცნ. ფურც. 1904, № 2641.

29. ჩვენი შეუგნებლობა [ქართული ენის სწავლების უგულველყოფა სკოლებში. ჩართულია სტატისტიკური მასალა]: ცნ. ფურც. 1904, № 2669 გვ. 2—3, № 2676.

30. რეც.: ნორვეგიული პიესა ქართველთა ცხოვრებიდან [კნუტ ჰამსუნი. თამარ შეფე]: ცნ. ფურც. 1904, № 2381 გვ. 2—3; № 2391 გვ. 2—3.

1905

31. წინასიტყვაობა: უმიკაშვილი პ. — სახალხო ლექსები მცირე ტომთა ენებზე, სამზადისი. თბ. 1905, 119[2] გვ.

1909

32. **Тифлисская городская дума. Заседание особого губернского совещания по введению земства в Тифлисской губернии. Прения. Выступление Ф. Гогичайшвили Изв. Тифл. городской думы, 1909, № 11 стр. 108, 118.**

1910

34. **Ред.: Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях. Тб. 1910.**

1919

35. **რედ.: ჟიდი შარლ. პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები. თარგმ. ჟურნ. „კოოპერაციის“ რედაქტორის ა. გაბილაშვილისა. სამი წინასიტყვაობით ქართული გამოცემისათვის: ავტორისა, ფ. გოგიჩაიშვილის და მთარგმნელისგან. ქუთაისი. 1919, 380 გვ.**

1927

35. საინდუსტრიალიზაციო სესხის გაგებისათვის: საქ. ეკონ. 1927, № 11 გვ. 6—31.

1929

36. რედ. და წინასიტყვაობა: გ გუშვილი პ. — ქართული წიგნი 1629—1929. თბ. სახელგამი 1929, 336 გვ..

1930

37. თარგმ.: მარქსი კ. — კაპიტალი. კრიტიკა პოლიტიკური ეკონომისა. თბ. სახელგამი, 1930, ტ. 1. XXII, 804[2] გვ.

1931

38. თარგმ.: მარქსი კ. — ფილოსოფიის სიღატაკე. თბ. სახელგამი. 1931, 396 გვ.

1932

39. თარგმ.: მარქსი კ. — კაპიტალი. კრიტიკა პოლიტიკური ეკონომიისა. თბ. სახელგამი, 1932, ტ. III, ნაწ. 1 [კაპიტალისტური წარმოების ერთობლივი პროცესი] XXV, 457[3] გვ.

40. თარგ.: მარქსი კ. — პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. თბ. სახელგამი, 1932, XII, 387 გვ.

1933

41. თარგმ.: მარქსი კ. კაპიტალი. კრიტიკა პოლიტიკური ეკონომიისა. თბ. სახელგამი, 1933, ტ. II (კაპიტალის მიმოქცევის პროცესი) XXVI, 514 [3] გვ.

1934

42. თარგმ.: მარქსი კ. — კაპიტალი. კრიტიკა პოლიტიკური ეკონომიისა. თბ. პარტგამომცემლობა. 1934, ტ. III, ნაწ. II (კაპიტალისტური წარმოების ერთობლივი პროცესი თავგმ. პ. იაშვილთან ერთად. IV, 429[2] გვ.

1935

43. თარგმ.: მარქსი კ. — რჩეული ნაწერები ორ ტომად. ტ. 1. თბ. საქ. კ. პ. ც. კ-ის გამოც. 1935, XVIII, 439 გვ. (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტ. თბილ. ფილიალი).

1937

44. თარგმ.: რიკარდო დავ. — პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები. თარგმ. ინგლისურიდან. თბ. სახ. უნივ. 1937, XVII, 384[2], პორტრ. (ეკონ. მეცნ. კაბინ.).

45. რედ. და წინასიტყვ.: ჭმიკაშვილი პ. — ხალხური სიტყვიერება, რედაქცია, ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები ფ. გოგიჩაიშვილისა. თბ. 1937, ნაწ. I, LIV, 543 გვ.

1938

46. თარგმ.: სმიტი ადამ — გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ტ. 1. თარგმ. ინგლისურიდან. თბ. სახ. უნივ., 1938. 480 გვ., პორტრ.

1940

47. თარგმ.: მარქსი კ. — ენგელსი ფ. კომუნისტური პარტიის მანიფესტი. თბ. სახელგამი, 1940. 99[3] გვ. (თარგმნილია ფ. გოგიჩაიშვილის მითითებით).

48. იაკობ გოგებაშვილი. მოგონება. წიგნში: იაკობ გოგებაშვილი. საიუბილეო კრებული. თბ. სახ. უნივ., 1940, გვ. 271—281.

49. რეც.: სსრ კავშირის ფულის ციმოქცევა და კრედიტი. შედგ. სსრ სახბანკის მოსკოვის საკრედიტო-ეკონომიური ინსტ. მეცნ. მუშაკ ავტორთა კოლექტივის მიერ, პროფ. ვ. ვ. კონიკოვის ხელმძღვანელობით და ნ. სოკოლოვის რედ. თარგმ. დოც. ნ. დვებუაძის მიერ, პროფ. ნ. ქოიავას რედ. თბ. სახ. უნივ. 1940, 407 გვ.: საქ. სოც. მეურნ. 1641, № 1. 74—80.

1941

50. რეც.: გუგუშვილი პ. — კაპიტალიზმის განვითარება რუსეთსა და ამერკავკასიაში. თბ. 1941: მნათობი, 1941, № 10, გვ. 146—153.

1946

51. თარგმ.: ენგელსი ფრ. — ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. თარგმ. გერმ. ენიდან. თბ. სახელგამი, 1946, 37[2] გვ. (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტ. თბილ. ფილიალი).

1947

52. რეც.: ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები. პროფ. პ. გუგუშვილის რედ. ტ. 1. თბ. 1946: მნათობი, 1947, № 5, გვ. 198—202.

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 1948
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV, 1948

ნ. ჯოლია

კრედიტი XVIII საუკუნის საქართველოში

1. XVIII საუკუნის საქართველოში ჩვენ ფეოდალურ-ბატონყმური საზოგადოება გვაქვს. ამ ხანაში ჩვენ ჯერ კიდევ საქმე გვაქვს ნატურალურ მეურნეობასთან. მაგრამ ნატურალური მეურნეობის გვერდით არსებობს მარტივი სასაქონლო მეურნეობაც; ამ სახოგადოებაში ადგილი აქვს ფულის ტრიალსაც. ამასთან დაკავშირებით XVIII საუკუნის საქართველოში ადგილი აქვს არა მხოლოდ ნატურალურ, არამედ ფულად სესხებსაც.

ნატურალური სესხების საგანია ძირითადად პირველი საჭიროების პროდუქტები — პურეული და ღვინო. რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მოსახლეობის კვებაში. შემთხვევითი არ არის, რომ სამართლის ენანი, აწესრიგებს რა ნატურალური სესხის აღება-გაცემას, იხსენიებს პურს, ქერს, ფეტვს, ღვინოს.

მაგრამ ამასთანავე უნდა გვახსოვდეს. რომ საკმაოდ ხშირი მოვლენაა ფულადი სესხებიც. ჩვენამდე მოღწეული საბუთების უდიდესი ნაწილი სწორედ ფულადი სესხების სფეროს ეკუთვნის, ბაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნატურალური სესხები იშვიათი იყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მრავალი ნატურალური სესხი, განსაკუთრებით სოფლად, არ პოულობდა წერილობითს გაფორმებასა და მით აიხსნება სიმცირე იმ საბუთებისა, რომლებიც გვაუწყებენ ნატურალური სესხების არსებობას XVIII საუკუნის საქართველოში. ცნობილია, რომ ნატურალური სესხი სოფლად ძლიერ ხშირი მოვლენაა, ხოლო მისი წერილობითი გაფორმება იშვიათი.

2. ვინ არიან მსესხებელნი? მსესხებელნი ეკუთვნიან ფეოდალური საზოგადოების ყველა ფენებს. მსესხებელთა შორის ჩვენ ვხედავთ გლეხებს, მაგრამ გლეხს სჭირდებოდა ბატონის ნებართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხი აგებდა პასუხს გამსესხებლის წინაშე მხოლოდ თავისი მოძრავი ქონებით. თუ გლეხი სესხს აიღებდა ბატონის ნებართვით, მაშინ გამსესხებელს უფლება ჰქონდა როგორც მამულზე, ისე კაცზედაც[1]. მსესხებელთა შორის ჩვენ ვხე-

[1] იხ. Д. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты, Тифлис, 1882. გვ. 13, 77; Д. Пурцеладзе, Грузинские дворянские грамоты, Тифлис, 1881. გვ. 43; ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I,

დავთ აგრეთვე ხელოსნებს[1], ვაჭრებს[2], ეკლესიას[3], თავად-აზნაურებს[4], მეფის ოჯახის წევრებს, დედოფალს და თვით მეფესაც[5].

რა არის სესხის აღების მიზეზი? ჩვენ უნდა გვახსოვდეს რომ ფეოდალურ საზოგადოებაში სესხის აღება, როგორც წესი, ხდება პირადი საჭიროებისათვის და არა მოგების მომტანი წარმოებისათვის.

შევჩერდეთ ჯერ გლეხებზე. მაშინდელი გლეხის შრომაში უნდა გავარჩიოთ აუცილებელი და ზედმეტი შრომა; გლეხის მიერ შექმნილ პროდუქტში უნდა გავარჩიოთ აუცილებელი და ზედმეტი პროდუქტი. გლეხი ღებულობს აუცილებელი შრომის პროდუქტს, ზედმეტი შრომის პროდუქტს ღებულობს ფეოდალი წინაკაპიტალისტური მიწის რენტის სახით – შრომითი რენტა. რენტა პროდუქტებით, ფულადი რენტა. ამას ემატება გადასახდელები მეფის და ეკლესიის სასარგებლოდ. გლეხი, ზოგ შემთხვევაში, იძულებულია მისცეს ფეოდალს თავისი აუცილებელი პროდუქტის ნაწილიც. მრავალი გადასახდელის გადახდა, აუცილებელი პროდუქტის სიმცირე აიძულებს გლეხს მიმართოს სესხს. ნატურალური სესხის აღება გლეხს სჭირდება ჯერ ერთი ნატურალური გადასახდელების გასასტუმრებლად და შემდეგ აუცილებელი პროდუქტის შესავსებად. ფულადი სესხის აღების აუცილებლობას ბაღებს ჯერ ერთი ფულადი გადასახდელების გასტუმრება და შემდეგ ისეთი პროდუქტების შეძენა, რომელთაც გლეხი თვითონ ვერ ამზადებს, ან ამზადებს არა საკმარისი რაოდენობით და რომელთა შეძენა შეიძლება სხვებთან მხოლოდ ფულზე. პირველ რიგში ქალაქში ვაჭართან, ან ხელოსანთან. გლეხსა და მისი პროდუქტის მყიდველს შორის ხშირად იდგა მეამავალი, რომელიც მასთან გლეხის კრედიტორიც იყო და რომელიც გლეხის ულმობელ ექსპლოატაციას აწარმოებდა. ამასთან დაკავშირებით მოსაგონებელია ვ. ლენინის შემდეგი სიტყვები: „სავაჭრო კაპიტალის მეორე ფორმა მჭიდროდ უკავშირდება მის შეერთებაში მევახშეობასთან: ფულის მჭრით მუდამ გაჭირვებაში მყოფი გლეხი სესხულობს შემყიდველისაგან ფულს და შემდეგ ვალში აძლევს მას თავის საქონელს. ამ შემთხვევაში საქონლის გასაღება (რაც ძალიან გავრცელებულ მოვ-

---

ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII ს. ს.), თბილისი, 1940, № 444: „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი ჰსჯულნი"; მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. III, ტფ. 1938, ბუხ. მუხ. 14. 16.

[1] იხ. მაგ., Д. Пурцеладзе, Крестьянские грамоты, გვ. 44. 50. 56.

[2] „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი ჰსჯულნი"; მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. III, ტფ. 1938, მუხ. 14.

[3] იხ. მაგ., Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджари (грамоты), Тифлис, 1881, გვ. 62—65; თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903 წ., გვ. 203.

[4] იხ. მაგ., ნ. ბერძენიშვილი, ხს. შრ. № 305, 308, 334. 671, 672; ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბილისი, 1909 წ. №№ 279, 289, 304, 323, 460, 479; ტ. III, თბილისი, 1910 წ., №№ 386, 433, 447, 449, 450, 539, 540; Д. Пурцеладзе, Гр. Кр. гр., გვ. 11, 80; თ. ჟორდანია, ხს. შრ. გვ. 17.

[5] იხ. მაგ., Д. Пурцеладзе, Гр. кр. гр., გვ.გვ. 13, 32, 36, 42—43, 44, 46, 48, 50, 60, 110; АКАК, т. I, № 36.

ლენას წარმოადგენს) ხდება ყოველთვის ხელოვნურად დაწესებულ ფასებში. რის გამოც შინამრეწველს ხშირად ხელში იმდენიც არ რჩება, რამდენის მიღებაც შეუძლია დაქირავებულ მუშას. მასთან ერთად — კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობა აუცილებლად იწვევს უკანასკნელის პირად დამოკიდებულებას. და მოხჩილებას: კრედიტორი სარგებლობს მისი გაჭირვების განსაკუთრებული შემთხვევებით და სხვ.“ [1].

გლეხის დავალიანების მიზეზების გარკვევისას არ უნდა დაგვაეიწყდეს უბედური შემთხვევები, სტიქიური უბედურებანი, ომი, ცყვეების გამოსყიდვა და სხვ.

ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა ხელოსანიც. ხელოსნის ზედმეტი პროდუქტი მიდიოდა სვვადასხვა გადასახდელზე; ეს გადასახდელები ხშირად ეხებოდა აუცილებელ პროდუქტსაც. ხელოსანი იძულებული იყო მიემართა სესხისათვის ამ გადასახდელების გასასტუმრებლად და აუცილებელი პროდუქტის შესავსებად. ხელოსანიც ხშირად ვარდებოდა შემსყიდველის ხელში, რომელიც მისი კრედიტორიც და ექსპლოატატორიც ხდებოდა. ცხადია, რომ უბედური შემთხვევა. სტიქიური უბედურება, ომი და სხვა იწვევდა ხელოსნის დავალიანებასაც.

ვაჭრებიც მიმართავდნენ სესხს თავისი საბრუნავი საშსრების შესავსებად მაშინ, როდესაც საჭირო იყო საქონლის დამზადება უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ამის შესაძლებლობას იძლეოდა მისი საკუთარი საბრუნავი საშსრები. რასაკვირველია. სიძნელეები. რომელთაც ბადებდა ომი. სტიქიური უბედურება, უბედური შემთხვევა (ყაჩაღების დაცემა გზაში. ხომალდის დალუპვა და სხვ.). ვაჭრისაც აიძულებდა მიემართა სესხისათვის.

ეკლესია შედარებით მდიდარი ორგანიზაცია იყო. მაგრამ. ზოგ შემთხვევაში. მასაც ჰქონდა შეუფარდებლობა შემოსავალსა და გასავალს შორის და ზოგჯერ ხანგრძლივიც კი. გლეხის მიერ თავის ვალდებულებათა არშესრულება ეკლესიის წინაშე (სტიქიური უბედურება, ომი და სხვ.) ერთ-ერთი მიზეზი იყო ეკლესიის დავალიანებისა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეკლესია ღებულობდა მონაწილეობას ქვეყნის თავდაცვის საქმეში, მასაც ჰყავდა საკმაოდ ძალა და, ზოგ შემთხვევაში, მისი შემოსავალი არ ფარავდა გასავალს. ომის დროს ეკლესიის შემოსავალი მცირდებოდა, ხოლო გასავალი დიდდებოდა. ჩვენ მოგვეპოვება საბუთი, რომელიც მშვენიერად გვიჩვენებს ეკლესიის მიერ სესხის აღების მიზეზებს: „Есть церковные села, отбывавшие подати и повинности Синодской первви, но в настоящее время они пришли в такое разорение и бедное состояние, что не в состоянии не только уплачивать церковные налоги и оброки, но даже прокармливать себя и свои семейства. Кроме того, вследствие частых нападений турок и стечений неблагоприятных обстоятельств. наше государство терпело крайнюю нужду и потому впало в неоплатные долги, часть которых должна была принять на себя

[1] ვ. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზულებანი, ტ. III, თბილისი 1930, გვ. 351.

Сионская церковь; не имея наличных денег, церковь запяла их, в количестве семидесяти четырех туманов... от лиц, которым заложила за это церковные вещи и имения" [1].

ეკლესიის დავალიანების ერთ-ერთი მიზეზი იყო ფუფუნება, რომელსაც მისდევდა სამღვდელოება.

თავადაზნაურობაც ფართოდ მიმართავდა სესხებს. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ საუკუნემ დაგვიტოვა მრავალი საბუთები თავადაზნაურობის დავალიანების შესახებ.

თავადაზნაურობა ყველა ერთნაირი შეძლებისა არ იყო. ზოგ თავადაზნაურს ძლიერ მცირე მამული ჰქონდა, ძლიერ ცოტა ყმა ჰყავდა. შემოსავალი ასეთი მამულიდან ძლივს ფარავდა მის საჭიროებას. ცხადია, რომ თავადაზნაურობის ეს ნაწილი მუდმივ ვალში იყო ჩავარდნილი, აღებული სესხი ოჯახის რჩენას ხმარდებოდა. თავადაზნაურობის შეძლებულ ნაწილსაც ხშირად არ ჰყოფნიდა შემოსავალი ვასაკლის დასაფარავად. მათ მიერ სესხის აღების მიზეზი იყო არა მხოლოდ საბრძოლო მოვალეობის წესრულება, არამედ ხელგაშლილი ცხოვრება და ფუფუნება. სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარება, ქალაქების ზრდა, უცხოური საქონლით, განსაკუთრებით ფუფუნების საგნებით, ვაჭრობის განვითარება ზრდიდა მათ დავალიანებასაც. დავალიანების ერთ-ერთი მიზეზი იყო გლეხების მიერ თავის ვალდებულებათა არშესრულება. სტიქიურ უბედურებათა ან გამმანადგურებელი ომების შედეგად. სტიქიური უბედურება და ომი არ ზოგავდა თავადაზნაურების სათვისტომო მამულსაც, მათ სახლ-კარს. მემოსავლის შემცირება, ნამუშევრის აღდგენის ხარჯები მოითხოვდნენ სესხის აღებას. აქას უნდა დავმატოთ ის სამხედრო ხარჯებიც, რომლებიც უნდა გაეწია თავადაზნაურობას [2].

ხშირად მიმართავდნენ სესხს მეფის ოჯახის წევრები და თვით მეფეც.

მეფის ხარჯები არა მხოლოდ პირადი, არამედ სახელმწიფო ხარჯებიც იყო. მიმდინარე დეფიციტს მეფე ფარავდა სესხების საშუალებითაც. ნასესხ თანხას მეფე ხმარობდა არა მხოლოდ თავის და თავისი ოჯახის საჭიროებას, არა მხოლოდ თავისი მეურნეობის საჭიროებას, რაშეც საერთო სახელმწიფო საჭიროებასაც, განსაკუთრებით ქვეყნის თავდაცვას. სესხის აღების ძირითადი მიზეზია სწორედ სამხედრო საქმე. დაქირაებული ჯარის შენახვა, იარაღის დამზადება-შეძენა, საქართველოში ჩაძირული რუსეთის ჯარის შენახვა, ომის წარმოება, მტრის მიერ დანგრეულის აღდგენა მოითხოვდა დიდ ხარჯებს და სესხი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მეფე იძულებული იყო მიემართა სესხისათვის იმ ხარჯების დასაფარავადაც კი, რომლებიც გამოწვეული იყო რუსეთში დელეგაციის გაგზავნით. ცხადია, რომ ამას ემატებოდა სესხები, გამოწვეული იმ დიდმშვენიერი ცხოვრებით, რომელსაც მეფე ეწეოდა.

---

[1] Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджари... გვ. 63.

[2] იხ. მაგ., ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები.. №№ 305, 308, 334, 671, 672; ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, №№ 271, 289, 304, 322, 460, 47ა; ტ. III, №№ 386, 437, 447, 449, 450, 539, 540; Д. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты, გვ. 11, 80.

ცხადია, რომ მეფის ბიუჯეტზედაც გავლენას ახდენდა გლეხების მიერ თავის ვალდებულებათა არშესრულება, იქნებოდა ეს უბედური შემთხვევის, სტიქიური უბედურების თუ ომის შედეგი.

XVIII საუკუნემ დაგვიტოვა მრავალი საბუთი, რომლებიც გვიჩვენებენ მეფის და მისი ოჯახის წევრების მიერ სესხის აღებას[1].

3. ვინ არის გამსესხებელი? უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ საკრედიტო დაწესებულება XVIII საუკუნის საქართველოში არ არსებობს. ევროპაში ამ საუკუნეში უკვე არსებობდა კაპიტალისტური ბანკებიც კი, რუსეთში არსებობდა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებები, რომელნიც იძლეოდნენ საგირაო კრედიტს. XVIII საუკუნის საქართველოში არ არის ის დაწესებულებებიც კი, რომლებიც ევროპას და თვით საქართველოსაც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ჰქონდა საკრედიტო ასოციაციების, ჟირო-ბანკების სახით. სამეურნეო ცხოვრების განვითარების დონე. ფულადი კაპიტალების სიმცირე არ უწყობდა ხელს ასეთი ორგანიზაციების დაარსებას.

გამსესხებელნი კერძო, ცალკე პირები არიან. იშვიათად ვნახავთ გამსესხებელთ. შორის გლეხს, განსაკუთრებით ფულადი სესხების განცემს, და ხელოსნებს. მაგრამ ხშირად ვნახავთ გამსესხებელთა შორის თავადაზნაურს, ეკლესიას, განსაკუთრებით ეკვარს, ზარაფს (იხ. ზემოთ დასახელებული საბუთები).

4. როგორც წესი, გასესხების მიზანია პროცენტის მიღება.

საქართველოში, ისე როგორც ყოველ ფეოდალურ-ბატონყმურ საზოგადოებაში, კრედიტი სავახშო იყო. კრედიტის არსი წებირობებული იყო წარმოების წესით. სესხი მსესხებელის მიერ არ გამოიყენებოდა როგორც კაპიტალი. როგორც ზედმეტი ღირებულების მომტანი ღირებულება; ეს შეუძლებელიც იყო, რამდენადაც არ არსებობდა წარმოების კაპიტალისტური წესი. ნებისმიერი მწარმოებელი მიმართავდა სესხს არა მოგების მიღების მიზნით, არამედ თავის საარსებო საშუალებათა შესანარჩუნებლად. თავადაზნაურობა ნასესხ თანხას არანაყოფიერ დანიშნულებას აძლევდა სამხედრო ხარჯები, ფუფუნება. მაგრამ გამსესხებელი კი იყენებდა გასესხებულ თანხას როგორც კაპიტალს. დაგროვილი ფული გამსესხებელის ხელში იქცეოდა ფულად კაპიტალად, ფულადი კაპიტალის მფლობელი იძლეოდა მას სესხად განსაკუთრებულ პროცენტში. ეს ფული მისთვის კაპიტალი იყო, სავახშო კაპიტალი. გამსესხებელი კი — მევახშე. ამრიგად, სავახშო კრედიტის დროს, განსხვავებით კაპიტალისტური კრედიტისაგან, ფული გამოდის როგორც კაპიტალი გამსესხებლისათვის და არა მსესხებლისათვის.

ჩვენ ვთქვით, რომ გასესხების მიზანია, როგორც წესი, პროცენტის მიღება. შევხერდეთ ახლა ამ საკითხს. როგორი იყო პროცენტი XVIII საუკუნის საქართველოში?

---

[1] იხ. მაგ., Д. Пурцеладзе. Крестьянские грамоты, გვ. 13, 32, 36, 42, 44, 46. 47. 50. 60; АКАК, т. I, № 36; Д. Пурцеладзе, Груз. церков. гуджари, გვ. 63—64.

საუკეთესო წყაროს პროცენტის დონის შესასწავლად წარმოადგენს სამართლის წიგნი. იგი არა მხოლოდ აწესებს პროცენტის უკიდურეს ნორმას, არამედ აღნიშნავს, თუ რა დონეზე იდგა პროცენტი ქართლში სამართლის წიგნის შედგენისას.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სესხი იყო როგორც ნატურალური, ისე ფულადიც. ამასთან დაკავშირებით პროცენტიც იყო როგორც ნატურალური, ისე ფულადიც. ამასთან საქმე გვაქვს სხვადასხვა კომბინაციასთან. ნატურალური სესხის დროს პროცენტი აიღებოდა ან ნატურით, ან ფულით; ფულადი სესხის დროსაც პროცენტი აიღებოდა ან ნატურით, ან ფულით.

სამართლის წიგნი გვაუწყებს, რომ სასესხო პროცენტი შეადგენდა 12, 18, 21, 30, 48, 60, 72, 96 და 120-საც პური გაისესხებოდა იმ პირობით, რომ გამსესხებელს დაუბრუნდებოდა ეოთნახევარი, ორმაგი ან სამმაგი, ე. ი. პროცენტი შეადგენდა 50, 100 და 200-საც კი. სამართლის წიგნის ავტორი დასძენს: «მაგ — ძალი უსამართლო არის და ღმრთის საწყენი კიდევ უფრო არის».

ღვინო გაისესხებოდა 300 პროცენტადაც კი. სამართლის წიგნი ამ დასძენს: «მაგრამ ესეც ბევრი არის ღმრთის წინაშე და სახარების» სამართლის წიგნში მოცემულია ცნობა იმის შესახებაც, თუ რა პროცენტი აიღებოდა ნატურით იმ შემთხვევაში, როდესაც სესხი ფულადი იყო. ირკვევა, რომ ეოთ ბარჩილზე წელიწადში აიღებოდა ერთი კოკა ტკბილი, ან ოთხი კოდი სირბალი, ან ოთხი დღის ნაშრომი. თუ გავიღებთ ბეხდველობაში ფასებს, ნაჩვენებს ისევ სამართლის წიგნში (კოკა ტკბილი აბაზი, დღიური ხელფასი შაური და კოდი პური საშუალოდ ნორმალურ პირობებში შაურ-ნახევარი. ხოლო სიძვირის დროს ათშაური, ორი აბაზი. სანი აბაზი), გამოვა, რომ პროცენტი მისი ნატურით აღების შემთხვევაში შეადგენდა ჩვეულებრივ პირობებში 33% (ხელფასის მიხედვით) და 50% (პურის საშუალო ფასის მიხედვით), სიძვირის დროს კი გასესხებულ ფულზე აიღებოდა 267%, 333 და 400%-იც. სამართლის წიგნი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ როგორი იყო ფულადი პროცენტი ნატურალური სესხის გაცემის დროს. სამართლის წიგნის ცნობით გამსესხებელი ღებულობდა პროცენტს პროცენტზედაც[1].

როგორც ვხედავთ, პროცენტი მაღალი იყო, ამ მხრივ ქართლი და საქართველოს სხვა ნაწილები არ წარმოადგენდა გამონაკლისს: ფეოდალურ სახელმწიფოებში ასეთი პროცენტი ჩვეულებრივი ფენომენი იყო. მაღალი პროცენტი თან სდევს საეახშო კაპიტალს. თუ კაპიტალისტური კრედიტის დროს პროცენტის მაქსიმუმი განისაზღვრება მოგებით, საეახშო კრედიტის დროს ასეთი საზღვარი არ არსებობს, ვინაიდან კრედიტი არ გამოიყენება მოგების მისაღებად, იგი გამოიყენება საარსებო მინიმუმის შესავსებად, მეურნეობის შესანარჩუნებლად, ან გამოიყენება ფეოდალის მიერ არანაყოფიერად — სამხედრო

[1] დ. ჩუბინოვი, ქართული ქრესტომათია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან, სპბ. 1846 წ., სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, მუხ. მუხ. 116—119.

ხარჯების დასაფარავად, ფუფუნების საგნების შესაძენად. სავაჭრო კრედიტის დროს პროცენტის დონეს განსაზღვრავს გაჭირვების დონე.

სამართლის წიგნი ვმობს ასეთი მაღალი პროცენტის აღებას და აწესებს პროცენტის უკიდურეს ნორმას; იგი აწესებს, როგორც უკიდურეს ნორმას 12, 18, 24, 30 პროცენტს, თუმცა ამასთანავე აღნიშნავს, რომ ყველაზე უკეთესი იქნება პროცენტის არაღება. სამართლის წიგნი სასტიკად აკრძალავს პროცენტის პროცენტზე აღებას და პროცენტის აღებას მის შემდეგ, რაც პროცენტის ჯამი გაუთანასწორდება გასესხებულ თანხას [1].

როგორც ვხედავთ, სამართლის წიგნი არ არჩევს კანონიერ პროცენტს და პროცენტის უკიდურეს ნორმას, მაგრამ პრაქტიკა იცნობდა კანონიერი პროცენტის ცნებას. კანონიერი პროცენტის ნორმა იყო 12 [2].

სამართლის წიგნი არ აწესებს უკიდურესი პროცენტის ერთ მეტკიცე განაკვეთს; სამართლის წიგნი აწესებს რამდენიმე განაკვეთს და როგორც მაგ. წუნს ასახელებს 30 პროცენტს და პროცენტის განაკვეთის შერჩევას უტოვებს გამსესხებლის სინდისს. 30% როგორც პროცენტის უკიდურესი ნორმა, ძლიერ მაღალ ნორმად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ეს ნორმა გამონდინარეობდა მაშინდელი მდგომარეობიდან: საქართველო ღარიბი იყო ფულადი კაპიტალებით.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ XVIII საუკუნეში დასავლეთ ევროპაში კანონით გათვალისწინებული პროცენტის უკიდურესი ნორმა არსად არ აღემატებოდა 10%-ს, მაგრამ სინამდვილეში იგი გაცილებით უფრო მაღალი იყო [3].

სამართლის წიგნი პროცენტის დაწესების დროს არ არჩევს გროსელადიან და მოკლევადიან სესხს, სესხს გირაოს ქვეშ და გირაოს გარეშე, ადგილობრივ და არა საგაჭრო კრედიტს, რაც ჩვეულებრივი იყო ევროპაში [4].

ეს უნდა აიხსნათ იმ გარემოებით, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარება გაცილებით უფრო დაბალ დონეზე იდგა, ვიდრე ევროპაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოში არ არსებობდა პროცენტის სხვაობა სხვადასხვა ერებისათვის. პრუსიაში, მაგალითად, ებრაელების სასესხო ოპერაციებისათვის არსებობდა სხვა, უფრო მაღალი განაკვეთი [5].

როგორი იყო სინამდვილე სამართლის წიგნის გაბატონების შემდეგ იმ საბუთების მიხედვით, რომელნიც ჩვენ ხელთ გვაქვს.

საბუთების მიხედვით ჩვეულებრივი განაკვეთი არ სცილდებოდა სამართლის წიგნში მოცემულ ფარგლებს — იგი უდრის 12, 18, 24%-ს. მაგრამ ჩვენ ამ საბუთებმა არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში. საბუთებში ადგილი აქვს

---

[1] იქვე, მუხ. 124.

[2] იხ. „ჩვეულებანი", მუხ. 4.

[3] G. Schmoller, Grundriss der allgemeinen Volkswirtschaftslehre, 2. T. 1919, გვ. 801; W. Roscher, Grundlagen der Nationalökonomie, 2. Aufl. 1918, გვ. 597—598.

[4] G. Schmoller. l. c. 801.

[5] იქვე.

პროცენტის განაკვეთის საეჭვო დამთხვევას კანონით დაწესებულ განაკვეთთან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს განაკვეთი ნაჩვენებია ხელწერილში, რომელიც სათანადოდ არის გაფორმებული, რომელსაც ოფიციალური დოკუმენტის ხასიათი აქვს და რომლის ჩავარდნა მოსამართლის, ე. ი. სახელმწიფო მოხელის, ხელში გამორიცხული არ იყო. ცხადია, რომ აშკარა პროცენტი, პროცენტი ნაჩვენები ხელწერილში, არ აღემატებოდა კანონით დაწესებულ უკიდურეს ნორმას. მაგრამ ფაქტიური, ფარული პროცენტი, მრავალ შემთხვევაში უფრო მაღალი იქნებოდა, ვიდრე კანონით გათვალისწინებული და ხელშეკრულებაში ნაჩვენები. უფრო მაღალი პროცენტი აიღებოდა ფარულად — ან თამასუქის ვალუტის გადიდებით, ან გასესხებული თანხიდან პროცენტის გამოკლებით წესი, რომელსაც ფართოდ მიმართავენ ლევახშეები. უნდა ვიფიქროთ, რომ სამართლის წიგნის გამოსვლის შემდეგაც ფაქტიური პროცენტი იდგა იმ დონეზე, რომელსაც აღნიშნავს თვითონ სამართლის წიგნი — ა.შ. 28. 21. 30, 48, 60, 72, 96 და 120-იც კი (იხ. ზუხ. 116). XVIII საუკუნეში საქართველო არ გამდიდრებულა ფულადი კაპიტალით იმდენად, რომ გამქრალიყო გაანსხვავება ფაქტიურსა და პროცენტის კანონით დაწესებულ უკიდურეს ნორმას შორის.

იმ შემთხვევაში, როდესაც პროცენტი გასესხებულ ფულზე ნატურით აღებოდა, სამართლის წიგნი აწესებს ერთ მაზრილზე ან ერთ კოკა ტკბილს, ეთნახევარ — ორ-სამ კოდ პურს, ან ოთხ საშუშაო დღეს (ზუხ. 128, 129. 130). შევიღებთ, რომ ოთხი საშუშაო დღე უდრიდა ამაზს, ვამტკიცებთ, რომ აქ პროცენტი შეადგენს 33.ს. ერთ საბუთში ვკითხულობთ: ამში ოთმანი ერთ გორელი კაცის არის, წელიწადში იოანეტს კოდს პურს ვალდებულ სარგებლად [1]. ამ საბუთიდან ჩანს, რომ მარჩილზე გასესხებული ღებულობდა 0,36 კოდ პურს, რაც უფრო დაბალია, ვიდრე ის განაკვეთი, რომელიც აწესებს სამართლის წიგნი. ეს საბუთი, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ უფრო მაღალი განაკვეთი არ არსებობდა.

სამართლის წიგნი აწესრიგებს ნატურალური პროცენტის დონეს ნატურალური სესხის გაცემის დროს.

«125. პური სამართლიანად ათი თორმეტად, ბაგრამ თუ ულთოება ქნას კაცმან ათი თხუთმეტად კაცგია. ამას ზეით არ უნდა მოაცვინოთ. თუ პურის ძვირობა იყოს რომე კოდი ან ათ მაურად. ან ორ აბაზად, ან სამ აბაზად იყოს, ნაშინ ერთი ორადაც მოიცემის. ქერის და ფეტვისა ასე და ესგავსად ამისად. სოფელში გაჩენა იციან რომე როგორც გააჩენენ ისე მისცემენ; მაგრამ იმას მოსამართლემ ყური არ უნდა უგდოს».

«127. ღვინო თუ ძველი ევალოს ახალი ერთი ორად მისცეს, თუ მაჭარი ევალოს ათი ჩვიდმეტად, ტკბილი ევალოს ათი თხუთმეტად ტკბილი მისცეს, თუ ძველი აუღია ისევე ძველი მისცეს ათი თხუთმეტად კმარა, თუ მაჭარი აუღია და სანაცვლოდ, ან ძველი ისევ და ან ისევ მაჭარი მისცეს ათი თხუთმეტად კმარა, ტკბილი თუ აუღია ერთიორად ისევ ტკბილი მისცეს».

[1] ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, № 473.

როგორც აღვნიშნეთ, სამართლის წიგნი აკრძალავს პროცენტის პროცენტზე აღებას, მაგრამ ეჭვი არ უნდა გეეპარებოდეს, რომ ზოგ შემთხვევაში სინამდვილე გვერდს უხვევდა ამ დებულებას.

თვალსაჩინოა ერთი გარემოება: საბუთებიდან არა ჩანს, რომ მეფე აღებულ სესხზე იხდიდა პროცენტს. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი, როგორც წესი, სესხს ღებულობდა უპროცენტოდ — პროცენტი იქნებოდა მისი წყალობა კრედიტორისადმი. აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის საქართველოში არსებობდა უპროცენტო, მეგობრული სესხი, გაფორმებული თამასუქით. ასეთი სესხი გაიცემოდა მხოლოდ სანდო თვის ვადით. თამასუქში ჩვეულებრივ ეწერა: სანდო თვე ვადა, ვადაზე შენი თეთრი თუ არ მოგცე, თვეში ორი შაური სარგებელი მოგცე[1].

5. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ სავაჭრო კრედიტის დროს სესხის აღების მიზანი არ არის მოგების აღება, მას არ მოაქვს მოგება და, მაშასადამე, მოგება არ არის სესხის დაფარვის წყარო. მაშ, რა არის სესხის და პროცენტის დაფარვის წყარო? სესხის და პროცენტის დაფარვის წყარო არის არა ზედმეტი ღირებულება, რომელიც აქ არც არსებობს, არამედ ყველა შემთხვევაში ზედმეტი პროდუქტი. ნივთში ღებულობდა ზედმეტ პროდუქტს უშუალოდ წვრილი მწარმოებლისაგან, როდესაც უკანასკნელი სესხულობდა ფულს მისგან, და ფეოდალის საშუალებით, როდესაც მსესხებელი უკანასკნელი იყო. სწორედ ამიტომ ფეოდალს სესხებიც მძიმე ტვირთად აწვებოდა წვრილ მწარმოებელს, ფეოდალი აძლიერებდა უკანასკნელის ექსპლოატაციას და სავაჭრო კრედიტი ხშირად შთანთქავდა არა მხოლოდ ზედმეტ პროდუქტს, არამედ აუცილებელ პროდუქტსაც.

6. საბუთები, რომელთაც ჩვენ გავეცანით, გვაუწყებენ, რომ სესხი ხშირად საგირაო იყო, ე. ი. სესხი გაიცემოდა გირაოს ქვეშ. სესხის ეს სახე ჩვეულებრივია ფეოდალურ საზოგადოებაში, სადაც სესხი, როგორც წესი, აიღება არა საწარმოო, არამედ სამომხმარებლო მიზნებისათვის, სადაც სესხის დაბრუნება უზრუნველყოფილია არა მოგებით, არამედ ქონებით. გამონაკლისს არ შეადგენდა არც თავადაზნაურობა, არც ეკლესია, არც მეფის ოჯახის წევრები, არც თვითონ მეფე.

რა იყო გირაო? ზემოთ ნაჩვენები საბუთებიდან ჩანს, რომ გირაოდ გამოიყენებოდა როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონებაც, როგორც ქონება, ისე შემოსავალიც, როგორც ნივთი, ისე ადამიანიც — ყმა. საბუთებში ჩვენ ვპოულობთ გირაოს შემდეგ სახეებს: მამული, სახლი, ოთახი, ბაღი, ფურნე, ყმა, მარანი, დუქანი, წისქვილი, საეკლესიო ნივთები (ხატი, ბისონი, გვირგვინი, ჯვარი, თასი, სახარება), მარგალიტის საყურეები, ოქროს საათი და სხვ.

გლეხები აგირავებდნენ თავის ქონებას და საკუთარ თავსაც კი; თავადაზნაურობა და ეკლესია უძრავი ქონების გარდა აგირავებდნენ მოძრავ

[1] ვ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, № 449.

ქონებასაც და პირველ რიგში ძვირფას ნივთებს, რომლებიც მათ მოეპოვებოდათ. ისინი აგირავებდნენ აგრეთვე თავის ყმებსაც.

მეფე სესხის აღების დროს უჩვენებდა იმ თავის შემოსავალს, რომელიც უნდა ყოფილიყო სესხის დაფარვის წყარო — ერევნის ხარკი, ყაზახის ჯარიმა და სხვ.[1]. აღსანიშნავია, რომ მეფე გიორგის საათი ჰქონდა დაგირავებული და დედოფალ დარეჯანს კი სახლი. ცნობილია, რომ ევროპაში მეფეები ხშირად თავის განძს და სახეიმო ტანსაცმელსაც კი აგირავებდნენ.

ქონება დაგირავებულად ითვლებოდა ვალის გასტუმრებამდე. თუ სარგებლობა ქონებით მსესხებლის ხელში რჩებოდა, მაშინ იგი გამსესხებელს პროცენტს უხდიდა, თუ ქონების შემოსავალით სარგებლობდა გამსესხებელი, მაშინ მსესხებელი ვას პროცენტს არ უხდიდა – პროცენტად ითვლებოდა შემოსავალი (იხ. დასახელებული საბუთები და საბუთების ქვემოთ მოყვანილი ნიმუშები).

7. სესხის აღებას ისი გაფორმება მოჰყვებოდა. მსესხებელი აძლევდა გამსესხებელს ხელწერილს, რომელსაც თამასუქი ერქვა. თამასუქში აღინიშნებოდა მსესხებლის სახელი და გვარი, გამსესხებლის სახელი და გვარი, თარიღი, ვადა, თუ სესხი ვადიანი იყო, თანხა, პროცენტის ანუ სარგებლის სიდიდე. თუ სესხი აიღებოდა გირაოს ქვეშ, აღინიშნებოდა თუ რა იყო დაგირავებული: თამასუქზე დაიკრებოდა ბეჭედი, მას ხელს აწერდნენ მსესხებელი და მოწმეები და აღინიშნებოდა დამწერი.

მოვიყვანოთ საბუთების ორიოდე მაგალითი:

«ავიღე მე ჯ[ა]ვ[ა]ხის-შვილმა ოთარმა შენ, ჯ[ა]ვ[ა]ხის-შვილი რიონის[ა]გან და ძიქაშერმაზან[აან]თ შერმაზ[ა]ნის[ა]გ[ან] ხუთი თუმანი ახალი თეთრი. არის ამისი გირავო ყველი-ჭამას-შვილები თამაზა და გუდია და გეგელა. რ[ა]ს[ა]ც ხანას ესენი შენს ხელთ იყოს. არც შენ[ი] თეთრის სარგებელი ვთხოვო და არც მე ამა სამი კობლი კაცების გამოს[ა]ვ[ა]ლი გთხოვო. რ[ა]ც ფერი გამოს[ა]ვ[ა]ლი ქონდეს, ყველაფერათა (sic) შენ იმსახურო შენის თეთრის სარგებელში. მე არაფერს[ა]ნა იმთ[ა]ნა ხელი არა მქონდეს და როიც[ა] შენი თეთრი მოვცე, ჩემი ეს ს[ა]მი კობლი გლეხები და დამ[ა]ნებო და არც მუშითა ვიმსახურო. არის ამის მოწ[ა]მე ბ[ა]ტონის-შვილი ომან და ბ[ა]ზიართ ხუც[ე]სი ბეჟან და ნ[ა]ზირი ადამ და თამ[ა]ზა მგლოველი და მამასახლისი ელიზბარა. და მე ხეჩ[ა]ტურ[ა]ს-შვილის (sic) პაპას დამიწერია და მოწ[ა]მეც ვარ ამისი. დაიწერა ესე წ[ი]გნი აპრიელის (sic) იე, ქ[რორონი]კ[ონ]ს უიგ. მე ოთ[ა]რს ამ წიგნის ყაბული მაქს ✝»[2].

«ქ. ავიღე მე, გოშპარ გოშპარის-შვილმა თქვენ, ბატონის ამილახორის გივის[ა]გან ოთხი თუმანი თეთრი. ასე რომე ყიზილბაშისაგან ცოლით, შვილით დავტყვევდი და ის შვილი ბატონის ჩემის წიგნის დასტურით თქვენ დამიხსენით და ახლა სან[ა]მდი იმ თქვენს თეთრს მოგართმევდეთ, იმ თეთრისა-

[1] Д. Пурцеладзе, Крестьянские грамоты, გვ. 44, 49, 50.

[2] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები... № 305. ეს თამასუქი ეკუთვნის 1725 წელს.

თვის მე თქვენ გემსახურო. არის ამისი მოწ[ა]მე უზბაში ყაფლ[ა]ნის-შვილი დავით, მურვანის-შვილი მურვან, თობჩიაშვილი აბდულა, უზბაში ფალ[ა]ვანდის-შვილი იესე, მურვანის-შვილი რევაზ. მე მდივნის-შვილს ზურაბს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა აპრილის კე გასულს, ქ[რორონი]კ[ონ]ს ულა † †»[1].

«ქ. ავიღე მე ასლანიშვილი პაპამ შენ ანჩის-ხატის დეკანოზის შვილ პეტრესაგან რვა თუმანი, ახალი თეთრი. რაც ხანს (sic) ჩემს ხელათ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს ორ-ორი შაური სარგებელი მოგცე. არის ამის გირაო ჩემი სახლი, თუ შენი თეთრი ვერ მოგცე, ჩემა სახლმა გაგცეს შენი თეთრის პასუხი. თუ გაგსარჯო, სადივანბეგოსა და საიასაულოს მომცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე სიონის დეკანოზის შვილი მიქელ და გიორგი მხატვარი და დავით და მე პაპას დამიწერია და ყაბულიც ბაქვს. დაიწერა აპრილის ივ გასულს, ქ კ ს უთ †»[2].

«ქ. უნდა მოგცე მე ფალაეანდათ ვახტანგის-შვილმა დათუამ თქვენ მდივან-ბეგ იოვანეს და ამილახვარ ამირინდოს ოთხი მინალითუნი თეთრი, სამი თვე ვადა; ვადაზე შენი თეთრი თუ არ მოგცე, თვეში ორი შაური სარგებელი მოგცე. არის ამისი მოწამე ჩოლოყაშვილი იოვანე და მე ყუბათ დავითას შვილს ისაიას დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა აპრილის ი გასულს, ქ[კ]ს უმ

ქ. ავიღე მე ციციშვილმა სალთ-ხუცესთან ზაქარიამან. თქვენ თავილდამი ოანეზასაგან ოცდა ათი თუმანი თეთრი, ე[ქ]ს ნახევარი იე (თუთხმეტ თუმანს) ამდენს, რაც ხანი ჩვენს ხელთ დაყოს, თუმნის თავს თვეში ორი შაური სარგებელი მოგცეთ. ღვთით ჩვენ რომ მივიდეთ და შენი თეთრი გაულაპარაკებრივ თამამად მოგცეთ თავის სარგებელითა. თუ[ი]თ მე ამღებს სალთხუცეს ზაქარიას ჩემის ხელით დამიწერია და ეს თეთრიც ჩვენ [მი]გვიღია. ოქტომბრის ივ. ქ[კ]ს უოდ»[4].

ეს მაგალითები საკმარისია, მით უმეტეს რომ ძირითადად ყველა თამასუქი ერთნაირია.

მსესხებელი ხელწერილში ზოგჯერ აღნიშნავდა თუ ვალი ვერ დაგიბრუნო ქონება შენ დაგრჩესო, მაგრამ ზოგ შემთხვევაში გირაოს ფასი მეტი იყო, ვიდრე ნასესხი თანხა და ამიტომ მსესხებელს ვალის ვერ-გადახდის შემთხვევაში ფაქტიურად მეტი უნდა მიეცა გამსესხებლისათვის, მაგრამ ასეთ პირობას ძალა არ ჰქონდა და გამსესხებლის დაკმაყოფილება ხდებოდა კანონის

---

[1] იქვე, № 444. ეს საბუთი ეკუთვნის 1743 წელს.

[2] ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, № 433. საბუთი ეკუთვნის 1721 წელს.

იქვე, № 449. საბუთი ეკუთვნის 1752 წ.

[4] იქვე. № 539. ეს საბუთი ეკუთვნის 1787 წ. იგი რამდენადმე განსხვავდება სხვა თამასუქებისაგან (არ ჩანს გირაო, არ არიან მოწმეები), მაგრამ უნდა გავიხსოვდეს, რომ თამასუქს იძლევა ძლიერ მაღალი წოდების და თანამდებობის პირი.

მიხედვით, ე. ი. განსესხებელი ღებულობდა მხოლოდ განსესხებულ თანხას თავისი სარგებლით[1].

იმ შემთხვევაში, როდესაც სესხის ალება არ იყო გაფორმებული ხელწერილით და საქმე გადადიოდა სასამართლოში, მოსამართლე ემყარებოდა მოწმეებს. მოწმეების რაოდენობა თანხის რაოდენობაზე და მოწმეთა წოდებაზე იყო დამოკიდებული. ამ საკითხს აგვარებს სამართლის წიგნის 143. მუხლი, სადაც სწერია: «ვალი რომ კაცს კაცისა ემართოს მოვიდოდეს და ეჩიველოს. უნდა მოადიც მოიყვანონ, თამასუქი უნდა გაუსინჯონ. ბეჭედი, ქორონიკონი. დამწერი და მოწამე ამიტომ რომე ბევრს ტყუილადაც მოიგონებენ. იქნების რომ გარდაეხადოს თამასუქი შერჩებოდეს, ან ერთის რასმე მიზეზით კიდევ წამოელდაოს ესეები იქნების. მაგრამ ეს მოსამართლემ კარგად გულის-ყური უნდა გააელოს და კარგად გამოძებნოს, თუ ვამოძებნით შეიტყო ხომ კარგი იქნება, და თუ ვერ შეიტყო ან მოწმით, ან ფიცით: თეთრი თუ ასი თუმანი არის ხუთს თუმანზედ ორი კაცი მოფიცარი რომ გვითქვამს იქნების ასზედ ხუთმეტი მოფიცარიც კმაროდეს. იქნების თორმეტი არსაცა დაიკვეთების: ესეც უნდა გასინჯოთ თუ მოფიცარი უფრო დიდ-გვარია ცოტა სამს და თუ გვარ დაბალია უფრო ბევრი ხამს».

ეს წესი დასავლეთ საქართველოშიც არსებობდა[2]. ეს წესი არსებობდა სხვაგანაც, მაგ., რუსეთში და ბიზანტიაში[3].

ეს წესი განსხვავდება თანამედროვე წესებისაგან, როდესაც ფულადი ვალის დამტკიცებისას მოწმეთა ჩვენებას ძალა არა აქვს.

8. საინტერესოა საკითხი — რა ფარგლებში მერყეობდა განსესხებული თანხა? შესწავლილი და ზემოთ დასახელებული საბუთების მიხედვით, თუ არ ვიკილებთ მხედველობაში მეფის და მისი ოჯახის წევრების სესხებს, მინიმალური თანხა შეადგენდა ოთხ მინალთუნს, ხოლო მაქსიმალური 800 მინალთუნს. სესხი თუმანზე ნაკლები ან 300 მინალთუნზე მეტი იშვიათია. ამ ფარგლებში ყველაზე უფრო ხშირია თანხა 3 თუმნიდან 8 თუმნამდე. თვალსაჩინოა თანხები, რომლებსაც ღებულობენ სესხად მეფე, დედოფალი და მათი შვილები. შვილების სესხი, როგორც წესი, აღემატებოდა 100 მინალთუნს და, ჩვეულებრივ, შეადგენს რამდენიმე ასეულ მინალთუნს. ყველაზე უფრო მსხვილია მეფის სესხები. იმ საბუთებში, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ და ზევით დავასახელეთ, მინიმალური თანხა შეადგენს 250 მინალთუნს, ხოლო მაქსიმალური 2000 მინალთუნს.

---

[1] „ჩვეულებანი“, მუხ. 11.

[2] იხ. Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, გვ. 342.

[3] Рейц, Опыт истории Российских государственных и гражданских законов. М. 1836, გვ. 329, 333; Ф. Дмитриев, История судебных инстанций и гражданского аппелляционного судопроизводства от судебника до учреждения о губерниях. М. 1859, გვ. 559—560.

არ არის ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი იყო ცალკე პირების სრული დავალიანება, კერძოდ მეფის, რაც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. ჩვენ ბოლოდ ზოგიერთი ცნობები გვაქვს ამის შესახებ. მაგ., ჩვენ ვიცით, რომ დედოფალ დარეჯანს ჯერ კიდევ ალა-ვაჰბადიანის შემოსევამდე ჰქონდა ვალი 14.000 ბილანთური[1]. მეფე თეიმურაზს და ერეკლეს 1753 წ. 24 იანვრისათვის ჰქონდათ ვინმე შელქუა მიგდისის ვალი 8.600 მინალთური[2] რასაკვირველია, საერთო ვალი ასით არ ამოიწურებოდა. მეფე ირაკლის 1800 წ. მარტო ბელიქ შაქროს ვალი ედგა 4000 მინალთურის რაოდენობით

ერთი რამ არის ნათელი — ყველაზე უფრო მსხვილი მსესხებელი მეფე, როგორც ყველაზე უფრო შეძლებული პიროვნება, რომლის შემოსავალ გასაყალი სახელმწიფო შემოსავალ-გასავალიც იყო. საერთოდ კი თვალსაჩინოა საგალო ვალდებულებათა ნომინალის სიმცირე, რაც მძლავრად გამომდინარეობს მეურნეობის განვითარების დონიდან, ფულადი მეურნეობის სუსტი განვითარებიდან.

9. სესხი იყო როგორც უვადო, ისე ვადიანი. უვადო სესხის დაფარვის ინიციატივა ეკუთვნოდა ან მსესხებელს, ან გამსესხებელს. მსესხებელი, ჩვეულებრივ, თამასუქში წერდა: «...როცა შენი თეთრი მოვიდეს...»[3], ან «...როცა საც ხანს ჩემს ხელში დაყოს...»[4]. საბუთებიდან სჩანს, რომ უვადო სესხი ძლიერ გავრცელებული იყო.

ვადიანი სესხიც ჩვეულებრივი იყო. ვადიანი სესხი, იმ საბუთების მიხედვით, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, მოკლევადიანი იყო და არ აღემატებოდა 12 თვეს, ჩვეულებრივი ვადა იყო სამი თვე. ჩვენ არ შეგვხვედრია საბუთები, რომლებიც მოწმობდნენ გრძელვადიანი კრედიტის არსებობას, ე. ი. სესხის გაცემას ათი ვადით, რომელიც აღემატებოდა 12 თვეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უვადო სესხი იქცეოდა გრძელვადიან სესხად, როდესაც ვალი რჩებოდა მსესხებლის ხელში ერთ წელზე მეტი. რომ ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა, ჩანს იქიდანაც, რომ პროცენტის აღება მის შემდეგ, რაც მიღებული პროცენტი გადანაზღაურდებოდა გასესხებულ თანხას, აკრძალული იყო; მიღებული პროცენტის გადანაზღაურება გასესხებულ თანხასთან ტოლდებოდა მხოლოდ რაღაც ე წლის განმავლობაში.

ცხადია, რომ მოკლევადიანი სესხი, რომლის ვადა გრძელდებოდა საბოლოოდ ერთ წელიწადს აღემატებოდა, იქცეოდა გრძელვადიან სესხად.

როგორც ჩვეულებრივ სავაჭრო კრედიტის დროს, ვადას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და არ იყო შეპირობებული საწარმოო საქმიანობის სტადიებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ კაპიტალისტურ კრედიტშიც ვადას შემთხვევითი ხასიათი აქვს.

---

[1] Д. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты, გვ. 64.

[2] იქვე, გვ. 13.

[3] Д. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты.

[4] ბაგ., საქართველოს სიძველენი, ტ. III. № 540

[5] ბაგ., ს. ორბელიანიშვილი, დოკუმენტები... № 308.

10. XVIII საუკუნის საქართველო იცნობდა კრედიტს ნისიად ვაჭრობის საფუძველზედაც: მყიდველ-მომხმარებელი ნისიად ყიდულობდა საქონელს და განსაზღვრული დროის შემდეგ იხდიდა მის ფასს. საქონლის ნისიად ყიდვას ძიძართაევდნენ მოსახლეობის ყველა ფენები და თვით მეფეც კი. ამას ნათლად ადასტურებს თუნდაც ორი საბუთი, რომელიც გამოქვეყნებული იყო დ. ფურცელაძის მიერ[1]. ამ საბუთებიდან ჩანს, რომ მეფეს ნისიად უყიდია ფარჩა ლეკებისათვის.

11. XVIII საუკუნის საქართველოში ადგილი ჰქონდა მეფის მიერ მონეტის გაფუჭებას. მონეტის გაფუჭება საფინანსო ღონისძიებას წარმოადგენდა. მეფე მას ძიძართაევდა შემოსავლის გადიდების მიზნით. მონეტის გაფუჭების შედეგად მონეტის რეალური ღირებულება უფრო დაბალი იყო, ვიდრე მისი ნომინალური ღირებულება. მონეტის გაფუჭება საუკუნის მანძილზე რამდენიმეჯერ მოხდა და საუკუნის მანძილზე აბაზის წონა შემცირდა 7,5 გრამიდან 3 გრამამდე, ე. ი. 2,5-ჯერ[2]. მონეტის გაფუჭებას მოყვებოდა ფასების ზრდა და ფულის მსყიდველობითი ძალის დაცემა. რამდენადაც ვალი ნომინალური იყო, ცხადია, რომ გამსესხებელი მონეტის გაფუჭების შედეგად მიიღებდა ნომინალურად იმავე თანხას, მაგრამ რეალურად კი უფრო მცირე თანხას. მონეტის გაფუჭება აფერხებდა კრედიტს, მის განვითარებას. ყველა გაურბოდა სესხის გაცემას, რამდენადაც იცოდა, რომ მონეტის გაფუჭება შეამცირებდა გასესხებულ თანხას. დანაკარგის ასაცილებლად თამასუქში აღინიშნებოდა რა გვარი მონეტები, რა გვარი „თეთრი", ე. ი. ვერცხლის მონეტები იყო სესხად აღებული. მსესხებელს იმგვარივე მონეტები ან მისი ეკვივალენტი მონეტები უნდა გაეღო სესხის დაფარვის დროს. ამით აიხსნება, რომ მრავალ თამასუქში სწერია: «ავიღე სესხად „ახალი თეთრი". ვავიღე... ერთი თუმანი; ქალაქის სირმა აბაზი რომ აქვს»[3]; «ახალი ზარაფხანის ოთხი დანგიანი აბაზი, რომ იქს არის ნახევარი გ (სამ თუმანს) ამდენი და მოგეც ამის გირაო...»[4]; «ძველი მარჩილი»[5]. ხშირად არის გარჩეული „ძველი" და „ახალი" მონეტა; „ახალი" ყოველთვის უფრო დაბალი ღირებულებისა არის, ვიდრე „ძველი".

როგორც ჩანს საბუთებიდან, აღინიშნება არა ხოლოდ ნომინალი, არამედ ის კონკრეტული აბაზი და მისი ნიშნები, რომელიც იყო აღებული. ასე იზღვევდა თავს გამსესხებელი მონეტის გაფუჭების შედეგებისაგან. ეს ღონისძიება წინაპარი იყო თანამედროვე „ოქროს დათქმისა".

რამდენადაც დათქმა ჩვეულებრივია XVIII საუკუნის კანონიერად გაფორმებულ თამასუქში, უნდა ვიფიქროთ, რომ კანონი არ აკრძალავდა დათქმას;

---

[1] Грузинские крестьянские грамоты, გვ. 58, 59.

[2] იხ. ნ. ჭოიავა, საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში, თბილისი, 1946 წ. ცალკე ამონაბეჭდი: სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, №№ XXVIII და XXIXb.

[3] საქართველოს სიძველენი, ტ. II, № 479.

[4] იქვე, ტ. III, № 540.

[5] Д. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты, გვ. 107.

ყოველ შემთხვევაში სამართლის წიგნში არ ვხედავთ არც ისეთ მუხლს, რომელიც უშვებს დათქმას, არც ისეთს, რომელიც დათქმას კრძალავდეს.

მონეტის გაფუჭების ხანაში, ჩვეულებრივ, მსესხებელი ვალდებული იყო დაებრუნებინა გამსესხებელისათვის ისეთივე მონეტა, როგორც მიიღო იმ შემთხვევაში, თუ ეს დათქმული იყო ხელშეკრულებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უბრუნდება გამსესხებელს იმ მონეტას, რომელიც მიმოქცევაში იმყოფებოდა ვალის დაფარვის დროს.

აღბუღას კანონების 95. მუხლში სწერია: «თუ კაცსა თეთრი წიგნითა ვერცხლი აწონით ევალოს იგი დაპირება თუ არა ოდესღა გარდიხადეს მას დღეს შარვანისა თეთრისა მიზეზი ნუ იკადრების»[1]. ამ მუხლით გათვალისწინებულია მონეტის გაფუჭება, ვინაიდან მონეტის არსებობის პირობებში მონეტების გასესხება წონით ზედმეტია, თუ მონეტის შინაარსი და სინჯი მტკიცეა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სომხური კანონები, რომლებიც თარგმნილი და გამოქვეყნებული იყო ვახტანგ VI-ის დროს, უშვებს დათქმას. იქ სწერია: «ქ. ვინც ვის ავალოს ფლური და თეთრი როგორიც პირობა დასდვან, ამღებმან ეს უთხრას ფლურისათვინ: ისრევ ფლური მოგცეს. და თუ თეთრი იყოს ამისთანას თეთრს მოგცემ. მიცემის დროს რახანაც მისცეს, ისევ უნდა მისცეს როგორიც თეთრ[ი] აუღია»[2].

ცნობილია, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის გვერდით დაშვებული იყო სხვა კანონების გამოყენებაც. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის შესავალში ვკითხულობთ: «... ვიწადეთ სასამართლოსა წიგნისა დაწერა, პირველ დაბადებისა მოსეს მიერ ქმნილნი სამართლიანი და კჭალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდმოთარგმნული, ეგრეთვე კათალიკოზისა და მეფის გიორგისა და ბექას განჩინებული სამართლები შევკრიბეთ და ესე ყოველი ზემორე წერებულმან გამსნოსთ. ხოლო ესეცა ჰსცანთ, იგულეთ და იგულისძოდგინეთ და რომელიც გენებოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ მით ჰსჯიდეთ და მართალსა სამართალსა სამართალს იქმოდეთ»[3].

დათქმა, როგორც ჩანს, კანონიერი იყო.

ამრიგად, დათქმა არც ახალი, არც სპეციფიკური იყო საქართველოსათვის.

12. ვალი დროზე უნდა ყოფილიყო დაფარული. ვალის დროზე არდაფარვა იწვევდა ვალის აღებას იძულებითი წესით. თუ მსესხებელი არ აბრუნებდა, ან ვერ უბრუნებდა გამსესხებელს ფულს. მაშინ სესხის დაფარვის უშუალო წყარო იყო გამსესხებლის მოძრავი ან უძრავი ქონება და თვითონ გამსესხებელიც კი. სამართლის წიგნის 142. მუხლი აცხადებს: «ესეც იქნების

---

[1] სამართალი აღბუღასი პირველი; დ. ჩუბინოვი, ქართული ქრესტომატია, I, სპბ, 1863 წ.

[2] სამართალი სომხური, მუხ. 140. ქართული ვერსია შესრულებული ვახტანგ მე-VI-ის ბრძანებით. გამოსცა ლ. მელიქსეთ-ბეგმა, თბ. 1927 წ.

[3] დ. ჩუბინოვი, ქართული ქრესტომატია... გვ. 395.

მეორალეს, რომ კაცი ვერ აუვიდეს საქონელი არ ქონდეს კაცი მიეცემის იმ საქმით რომ ურჯულოზედ არ გაიყიდოს».

ჩვენ არ შევჩერდებით ამ საკითხის უფლებრივ მხარეებზე, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ საქართველოს კანონმდებლობა იცნობდა ვადის პროლონგაციას და ვალის დეევალვაციას.

პროლონგაციის საფუძველი იყო რაიმე უბედური შემთხვევა: ხანძარი, წყალდიდობა, გაჭირდვა, ბატონის თავდასხმა და სხვ [1].

ვალის დეევალვაციის საფუძველი იყო მსესხებლის სიღარიბეში ჩავარდნა. უნდა ვიფიქროთ, რომ კანონმდებელს მხედველობაში აქვს ნამდვილი და არა ფარული სიღარიბე და იმიც გამოწვეული ობიექტური ობიზებით. კანონმდებელი არჩევს ორ შემთხვევას — რომელსაც მსესხებელს არაფერი არ აქვს და რომელსაც მსესხებელს მცირე ქონება მაინც აქვს. პირველ შემთხვევაში მსესხებელი თავისუფლდება როგორც ვალისაგან, ისე პროცენტის გადახდისაგან, მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ პროცენტის ვალებისაგან [2].

ყურადღებას იპყრობს ვალის ის დეევალვაცია, რომელიც მოჰყვა ალა-ვაჰმადხანის ბიერ თბილისის განადგურებას. ამის შესახებ გვაუწყებს „ჩვეულებათა“ 12. ბუსლი: «ჟამსა ალა-ვაჰადხანისაგან თბილისის აოხრებისა და დაწვისას მოხდა საჩივარი სალხისა და დუქნის მოქალაქეთაგან, მაშინ მეფენან ირაკლიმ მოხელეთ თან დასწერებით დასდგა კანონად ტფილისსა შინა რომელთაც აქუნდათ სახლი გირაოთ რა ერთის თვითრისათვის მათ მოგირავნეთ მეოთხედი მოუკლო და სამი წილი მიაცემინა ოვალეს მსესხებლისათვის და რომელთაც დუქანი ჰქონდათ გირაოთ და დაბრუნეთ მოგირავნეს ააშენებინა და დამგირავებელს მისცემან თვითრი მიაცემინა მსესხებლისათვის რაერთიც ეწეოთა, თუ ორნი სამნი მოგირავნენი იყვენ თავთავის კვალად დაუკლო თვითრი; არა თუ ეს მხოლოდ ტფილისისათვის დასდგა არამედ საყოველთაოდ, რომელსადაც ესეთი ცხადი საბოგადო წახდენა ქალაქისა და დაეცა შემთხვევით მასესხებლით მოვალისათვის ზედა თქმულისაებრ შეეწყობინა».

13. საკრედიტო ურთიერთობა არ იფარგლებოდა საქართველოს საზღვრებით, იგი სცილდებოდა საქართველოს სახელმწიფოსაც, რამდენადაც საქართველოს მცხოვრები სესხულობდა ფულს უცხო ქვეყანაში და უცხოელი საქართველოში, რამდენადაც საქართველოს ვაჭრები ნისიად ყიდულობდნენ ან ჰყიდიდნენ საქონელს უცხოეთში. აღგილად ჩანს, ამრიგად, საერთაშორისო კრედიტსაც იმ სახით, რა სახითაც შეიძლებოდა მისი არსებობა ფეოდალურ საზოგადოებაში.

ჩვენ გვაქვს საბუთი, რომელიც ამტკიცებს XVIII საუკუნის საქართველოში საერთაშორისო კრედიტის არსებობას. ეს საბუთია თვითონ სამართლის წიგნი. ამ წიგნში სწერია: «კაცი რომ უცხოს ქვეყანას წავიდეს და იქ შვილი, ან ძმა დარჩეს ის კაცი იმ უცხოს ქვეყანას დარჩეს და უძღებობაზედ ბევრი

[1] იხ. სამართლის წიგნი, მუხ. 133, 134, 135; ჩვეულებანი... მუხ. 19, 20.

[2] იხ. სამართლის წიგნი, მუხ. 142.

ვალი აიღოს, იმაზედ ძმა და სახლის-კაცი მიუდგების, იმასვე უნდა სთხოვონ; ამიტომ რომ იმ მიბეძმან რატომ ავალა ის რომ ლოთი და არზაქარი იყოს; თუ არ იყო და კაი მართებული ვაჭარი იყო ან ქურდისაგან, ან ყაზახისაგან, ან ხლვით, ან სხვის ზიანით ღატყვა, გაბიანებული იქნების და უნდა სახლის კაცნი მიუდგნენ, თუ კიდევ ამ ქვეყანას აქ ყოფაში ერთად აუღიათ ინამიატ უნდა მიუდგნენ» (მუხ. 148).

როგორც ჩანს, სამართლის წიგნი არჩევს ორ შემთხვევას: დავალიანებას არასაპატიო და საპატიო მიზეზით: პირველ შემთხვევაში პასუხისმგებელია თვითონ მსესხებელი, მეორე შემთხვევაში კი ისაი ფული გაწეული ხათესავო ჯვეულებათა 18 მეხლი გვიდასტურებს საკმაოდ ცალკე საერთაშორისო ტიპის საკრედიტო ურთიერთობაში: «თუ ვინმე მოვიდეს ქალაქიდა სხვას ხალხს და მასესხებელი ეჭიოლებდა მაშინ თუ ია ვალის აბეები იმ ქვეყნის საბრძანებელში იქნებოდა, მოაყვანინებდენ მას იქ სადა ვასესხებელი ცხოვრობდა ან საც ეთვლა, და თუ საბუღვარის გარეთ იქნებოდა იქაურს მეუფეროსეს მისწერდნენ მკგობრულად და სთხოვდენ იმ კაცის გამოგზავნასა, თუ არ მოვიდოდა რაც ჯონება ექნებოდა იქიდან მისცემდენ კმაყოფას.

საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობა არ იყო მოწესრიგებული ხელშეკრულებით; იგი მოწესრიგებული იყო ცალმხრივად, ქართლში, მაგ., სამართლის წიგნით. მაგრამ, როგორც დავინახეთ, ყურადღება გასესხებელის ინტერესებიც მტკიცედ იყო დაცული სამართლის ნორმის მიერ.

ჩვენ გვაქვს სხვა საბუთებიც, რომლებიც გვაუწყებენ XVIII საუკუნის საქართველოში საერთაშორისო კრედიტის არსებობას.

თბილისის მცხოვრებმა ვასილ ვარძიგულოვმა, როდესაც იგი ლეკებთან იყო სავაჭრო საქმეების გამო, ისესხა მაღთან ფული საბრუნავი სახსრების გასადიდებლად[1]. თბილისში მცხოვრები ვაჭარი ბეჟანი გოჩგოჩანოვი აძლევს მინდობილობას ისევ თბილისის მცხოვრებს კარაპეტ ხათაგოევს მიიღოს ინდოეთის სხვადასხვა ქალაქებში თანხები, რომელიც მას მისაღები ჰქონდა სავაჭრო საქმეების შედეგად[2]. კათალიკოსმა დომენტი III სტამბოლიდან წამოსვლისას სესხი მიიღო ერთ-ერთ ვაჭართან ძვირფასი ნივთების გირაოს ქვეშ[3].

ჩვეულებრივი იყო მეფის ოჯახის წევრების მიერ ფულის სესხება ვასალ ხანებთან. მაგალითისათვის მოვიყვანთ იმ საბუთს, რომელშიც დედოფალი დარეჯანი უბრძანებს ყორანაშვილს გადაუხადოს ერევნის ხანს ნაზარას 2310 მინალთუნი, რომელიც ისესხა მისგან ბატონიშვილმა[4].

ქართლ-კახეთის საფინანსო მდგომარეობა კარნახობდა არა მხოლოდ შინაგანი, არამედ საგარეო სესხების აღებასაც, რამდენადაც შინაგანი სახსრები არ იყო საკმარისი მეფის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად.

---

[1] Д. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты, გვ. 98.

[2] იქვე, გვ. 99.

[3] თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 203.

[4] Д. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты, გვ. 46.

ცნობილია, რომ 1713 წ. სულხან-საბა ორბელიანი გაემგზავრა ევროპაში. მან ინახულა რომის პაპი და საფრანგეთის მეფე ლუი XIV; მან ითხოვა სესხი 20 ათასი თუმნის რაოდენობით, მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა — არც რომის პაპი, არც ლუი XIV არ იყვნენ უშუალოდ დაინტერესებულნი შორეული საქართველოს ამბებით[1].

1760 წ. მეფე თეიმურაზი გაემგზავრა პეტერბურგში. ამ დროს რუსეთის იმპერატორი იყო ელისაბედი (პეტრეს ასული), რომელიც გარდაიცვალა 1761 წ., თეიმურაზის იქ ყოფნის დროს; 1762 წ. დასაწყისს მეფე თეიმურაზიც გარდაიცვალა იქვე, პეტერბურგში. რამდენიმე წლის შემდეგ ეკატერინე II ეკითხებოდა გარეშე საქმეთა კოლეგიას: „По какой причине выезжал сюда отец Ираклия?“ (ე. ი. თეიმურაზი). კოლეგია თავის პატაკში აცნობებდა იმპერატორს შემდეგს: «Теймураз, владетель Грузинской, предъявил в Кизляре притчиною приезда своего в Россию принятое им желание и намерение, по примеру предков своих. из которых некоторые бывали на поклоне у всероссийских монархов, чтоб и ему сподобится видеть и воздать почтение блаженные и вечнодостойные памяти государыне императрице Елисавете Петровне, но здесь при дворе будучи, просил о даче ему войска для защищения своего отечества от лезгинцов или о снабжении его для того через некоторые годы знатного денежною суммою, обещая оную при первом поправлении своего состояния возвратить, а между тем, по приведении владения своего в безопасность, стараться укротить и в Персии мятежи и доброжелательного здешним интересам шаха на персидский престол возвести»[2].

აქედან ჩანს, რომ თეიმურაზი ელისაბედს სთხოვდა ან ჯარს, ან ფულს ჯარის შესაქმნელად. ჯარი კი სჭირდებოდა თეიმურაზს ლეკების გონზე მოსაყვანად, ირანში წასაყვანად და ირანის ტახტზე რუსეთისათვის სასურველი შაჰის ასაყვანად. თეიმურაზის მიზანი ორივე მხარისათვის მისაღები იყო, მაგრამ მოლაპარაკება შეწყდა ორივე მხარის მეთაურების სიკვდილის გამო. ძნელია იმის თქმა, თუ რით დამთავრდებოდა ორი მხარის მოლაპარაკება, მაგრამ ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ სესხის მიღების იმედი საკმაოდ მცირე იყო — არც რუსეთის საფინანსო მდგომარეობა, არც მაშინდელი საქართველოს მდგომარეობა არ უწყობდა ხელს ამ ოპერაციას.

მეფე ერეკლემ ჯერ კიდევ 1771 წ. აცნობა ეკატერინე II რუსეთის მფარველობის მიღების პირობები. ერთ-ერთი პირობა იყო ფულადი სესხის მიღება რუსეთისაგან. მეფე ერეკლე სწერდა ეკატერინე II-ს: «დაღათუ ამაზედ თავისწყენისათვის მოვერიდებით ყოვლად დ. კ. თ., მაგრამ რადგან ამ საქმეზედ რამდენჯერმე ჯარების შეყრა მოგვიხდა, ჩვენთვის კმასაყოფელი

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ილაკ. ს. ჯანაშიას რედაქციით თბილისი, 1943 წ., გვ. 334.

[2] А. Цагарели, Грамоты..., т. I, СПБ, 1891 г., стр. 9, 11—12.

ხარჯები დაგვემართა, და კიდევ გზებზედ ჯარისა და ბარგის გარდმოტანისათვის ბევრი დაიხარჯა, და თუ რამ დაგჭირდეს, რაერთიც ვითხოვოთ ვედრებით, რომ ხაზინიდამ სესხად ჩვენის ჯარისათვისაც თეთრი გვებოძოს, და ისევე მიირთვას ყოველად დ. თ.»[1].

რამდენიმე ხნის შემდეგ, სახელდობრ, 1783 წ., ხელშეკრულება რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის დადებული იყო, მაგრამ ქართლ-კახეთის მეფეს სესხი რუსეთისაგან არ მიუღია.

შემდეგშიც, უკვე ხელშეკრულების მოქმედების პირობებში, ქართლ-კახეთის მეფეები მიმართავდნენ რუსეთს სესხის მიღების მიზნით. ასე, მაგ. 1796 წ. მეფე ერეკლე თავის ელჩის, გ. ჭავჭავაძის მეშვეობით სთხოვდა ეკატერინე II სესხს ერთი მილიონი მანეთის რაოდენობით იმ ვადით, რა ვადითაც შესაძლებლად დაინახავდა რუსეთის იმპერატორი; მეფე ერეკლე პირდებოდა სესხის დაფარვას ნაწილ-ნაწილად და სესხის უზრუნველყოფის მიზნით ქართლ-კახეთის მეფე უთმობდა რუსეთის მეფეს თავის სამფლობელოს შემოსავალს. მეფე ერეკლე სესხის აღების აუცილებლობას ახსნიდა იმ საშინელი ზარალით, რომელიც მიაყენა ქვეყანას აღა-მაჰმადხანის შემოსევამ. «ეგოთხე შემთხვევისამებრ ვინაიდგან იტვირთა საქართველომან აღა-მაჰმადხანისაგან უკიდურესი დაქცევა, უცილოდ საჭირო არს გამტკიცება და განმაგრება მისი ჩვეულებად მისსა უშჯობესსა მდგომარეობასა შინა პირის-პირ მტრისა მისისა, იმის სიმაღლე მეფე ყ[ა]დ უყმესად სთხოვს თქვენს იმპერატორებს დიდებულებას, რათა უბოძოთ მას სესხად **ერთი მილიონი** რუბლისა, ცვლითა ვითარსაცა ინებებთ დანიშნულ თანასწორვე გადახდაცა კერძ-კერძად; ოდეს ყოველი იგი აღსრულებულ იყოს ნამდვილად, მეფე წინდად ზემოხსენებული ჯამისა წარადგენს სამფლობელოსა თვისსა, და შ[ე]დ მისსა მემკვიდრეთა მისთ[ა]ს[ა]»[2].

ერთი წლის შემდეგ, 1797 წ., მეფე ერეკლე იმავე გ. ჭავჭავაძის მეშვეობით და იმავე მოტივით სთხოვდა სესხს უკვე იმპერატორს პავლეს, რომელმაც შეცვალა ტახტზე ეკატერინე II უკანასკნელის სიკვდილის გამო. გ. ჭავჭავაძე სწერდა იმპერატორ პავლეს: «გამოსჯასა შინა წარსულთა დაკარგვათა და განსაცდელებათა, რომელნიცა დაითმინა მან მეფემ და ერმან მისმან მრავლითა აღა-მაჰმადხანისათა და წარტაცებისა ძალით ყ[ა]ლთა მისთა ხაზინა და სხვათცა ქონებათა ყ[ა]დ ქვეშემვრდომებრივ ითხოვს მეფე იგი ბოძების თავი მისსა სესხის სასედ ჯამთა რაერთსაცა ინებებთ, ვ[ა]ი ყოვლისათვის მ[ა]რეთა რიცხვთა საქართველოს მხედრობათასა, ესრეთვე განმართვისათვის საქმეთა თვისთა აწინდელთა გარემოებათა შ[ო]ა, რომელსაცა ჯამისა იქმნების იგი მოწყალებელ დანიშნულთა დროთა, ანუ პაექანთა ზედა, და რ[ო]ლისაც ძალუც აღება მისგან მუნ საყოფელს აქაურს მინისტრს იქა სურს შემოსავლიდამ»[3].

---

[1] А. Цагарели. Грамоты, т. II, в. I, გვ. 83.

[2] იქვე, გვ. 125; რუსული თარგმანი — т. II. в. II, გვ. 131.

[3] იქვე, т. II, в. I, გვ. 139; რუსული თარგმანი — т. II, в. II, გვ. 169.

1800 წ. შუკე სეფე გიორგი, ბეფე ერეკლეს მეშვილეე, ცდილობს ციილოს სესხი რუსეთში. იგი სწერდა იმავე გ. ჭავჭავაძეს: «მრავალგზის მოგწერე შე, რომ მათას დიდებულების ქმაღლესის ყარის ხაზინიდამ ვალის სალეთ ითხოვდა ოცი ათასი თუმანი, რაოდენისაც დროს განწესებას იხდებენ, რომლის ჯამისასაც ბლვსთქვავ ლაღებულს დროზედ მოტანა ალვასრულო. უკუთე მეფე ბალსა სასარგებლოსა ამას ჩვენსა — ვა გამოყოლასა ჯარისასა, ესეღვე ყ დ უპოწყალესობით ვალის სახედ ჩვენთვის თეთრის ბოძებას არა შეუდგების სოწყალებითი კეთილნებობა და უშალესი მოხედვა, მაშინ ჩვენ დავშთებით შეშჭიდროებულსა და შესაბრალებელსა მდგომარეობასა შ ა, ვ ა მოუხვეულნი»[1]. ეს ცდაც მარცხით დამთავრდა.

ერთადერთი ქვეყანა, სადაც საქართველოს შეეძლო სესხის მიღება, იყო რუსეთი, მაგრამ საქართველოს ყველა ცდა ამ მიმართულებით 30 წლის განმავლობაში ამაო იყო. ქართველი მეფის თხოვნა რჩებოდა «ხმაც მღალადებლისა ღაბნოსა შინა».

რა იყო მიზეზი ქართველი მეფეების ამ დამარცხებისა? ჯერ ერთი, რუსეთის მთელი XVIII საუკუნის მანძილზე მძიმე საფინანსო მდგომარეობა ჰქონდა. ცნობილია, რომ პეტრე I-მა მოიპატიჟა რუსეთში ჯონ ლო, რომელმაც 1716 წ. საფრანგეთში შექმნა გენერალური ბანკი. რომლის საემისიო ოპერაცია დასაწყისს დიდ შემოსავალს აძლევდა საფრანგეთის ხაზინას. პეტრე პირველი პოულობა ჯონ ლოსავით რუსეთის საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესებას და მას ჰერცოგის ტიტულსაც ჰპირდებოდა, მაგრამ ლოს ექსპერიმენტი დარცხდა და 1720 წ. ლო გაიქცა საფრანგეთიდან.

რუსეთის მეღეები თვითონ ამაოდ ეძებდნენ სესხს უცხოეთში. პირველად მხოლოდ 1769 წ. მიიღო რუსეთმა სესხი ჰოლანდიაში და ისიც ზოგიერთი სახელმწიფო შეწოსავლის გირაოს ქვეშ.

დიდმა საბიუჯეტო დეფიციტმა აიძულა ეკატერინე II დაეარსებინა 1769 წ. ორი სააისიგნაციო ბანკი, რომელთაც გამოუშვეს ერთი მილიონი მანეთის ასიგნაციები, უზრუნველყოფილი სპილენძის ფულით. ძნელი იყო პირველი ნაბიჯი... რუსეთი ძალიან მალე დაადგა ქაღალდის ფულის ემისიის გაბოყენების ფართო გზას. შიმოქცევაში შეიჭრა ფული, რომელიც სულ გაფასების პროცესში იმყოფებოდა და საუკუნის ბოლოსათვის კიდევაც გაფასდა საგრძნობლად. ასეთ პირობებში სესხის მიღება საქართველოსათვის საკმაოდ ძნელი საქმე იყო. მაგრამ იყო სხვა მიზეზებიც. დასაწყისში რუსეთი არ აფასებდა საკმარად საქართველოს როლს და მნიშვნელობას და დიდი სახსრების მოთხვნება საქართველოში მას მიაჩნდა სარისკო და ზედმეტ ოპერაციად.

საქართველო საკუთარი სახსრებით ინახავდა თავს, გამსესხებელი არ ჰქონდა. ცხადია, რომ ასეთ პირობებში მონეტის გაფუჭება დეფიციტის დაფარვის ერთ-ერთი წყარო იყო.

---

[1] А. Цагарели, Грамоты... т. II. в. I, გვ. 171; რუსული თარგმანი — т. II. в. II, გვ. 295.

აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნეში ევროპაში უკვე არსებობდა საკმაოდ ფართოდ განვითარებული კაპიტალისტური საერთაშორისო კრედიტი.

14. როგორი იყო მოძღვრება კრედიტის არსისა და ფუნქციების შესახებ XVIII საუკუნის საქართველოში? სამწუხაროდ, ჩვენ ამაზე პასუხს ვერ ვაცემთ სათანადო საბუთების უქონლობის გამო. შეიძლება ოდესმე გამოჩნდეს საბუთი, რომელიც მოგვცემს პასუხს ამ კითხვაზე. ბაგრამ XVIII საუკუნემ ჩვენ დაგვიტოვა მოძღვრება პროცენტზე და ეს მოძღვრება ჩაწერილია სამართლის წიგნში. სამართლის წიგნით სესხი დაწერებულია. კანონმდებელი ურჩევს გამსესხებელს სულ არ აიღოს პროცენტი, მაგრამ პროცენტის აღებას არ აკრძალავს. კანონმდებელი სიტყვა-სიტყვით შემდეგს ამბობს: «სამართლიანად იეთრისა, პურისა, ღვინისა გავალებ რაგორ ხანს: იეთრი რომ გასცეს კაცმან თუ ძალა ქნას და სული სძულა თუმცა თვეში ხუთმაურად, თუ სული ცოტათ უყვარს ამაზად, თუ უკეთ უყვარს სამაერად, თუ მართლა უყვარს ორშაურად, სულ ღმერთსი ეს არის რომ სარგებელი სულ არ აიღოს» (წუხ. 124).

პროცენტის პროცენტზე აღება სასტიკად აკრძალული იყო. ამის შესახებ სამართლის წიგნის იგივე ნუხლი გვაუწყებს: «სარგებლის სარგებელი არათერის ვალისა არ გაჩნდების, არც იჯახოებს, არც ჰიეცემინებს, რა რომ ერთი ორზედ გარდასცილდების სხვა სარგებელი აღარ გაუჩნდების».

როგორც ჩანს, მოძღვრებას პროცენტზე საფუძვლად უდევს მოძღვრება სულის ცხონების შესახებ. პროცენტის აღება ცოდვაა და ეს ცოდვა იმდენად უფრო მძიმეა, რაც უფრო დიდია პროცენტი. 30% აღების სული უკვე დაკარგულია და კანონმდებელი იცავს ნესესხებელს, როდესაც აწესებს 30%-ს, როგორც საზღვრით პროცენტს. ცხადია, რომ ეს მოძღვრება პროცენტზე შეეშვილია ეკლესიის გავლენით, რომელიც ოფიციალურად აკრძალავდა პროცენტის აღებას. კომპრომისი ნაკარნახევი იყო ულმობელი სინამდვილით: პროცენტის გარეშე სესხს, როგორც წესი, ვერ მიიღებდი და საკრედიტო ურთიერთობის მოსპობა კი შეუძლებელი იყო.

XVIII საუკუნის საქართველოში არსებობდა წესიერი და უწესო სარგებლის ცნება. საკმარისია ჩავხედოთ სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში[1].

«ვასხი ვალის წესიერი სარგებელი» (გვ. 117).

«ვაბში ვალის სარგებლის სარგებელი უწესო» (გვ. 118).

15. როგორი იყო კრედიტის როლი XVIII საუკუნის საქართველოში? ისეთივე, როგორც როლი ყოველივე სავაჭრო კრედიტისა ყოველივე ფეოდალურ საზოგადოებაში. სესხი ხმარდება არა წარმოებას, არამედ მოხმარებას და ამიტომ სესხის დაფარვის წყაროა წვრილი მწარმოებლის მცირე შემოსავალი და ზოგ შემთხვევაში ქონებაც. სავაჭრო კაპიტალი არ ზოგავს ფეოდალ-

[1] ი. ყიფშიძის და ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928 წ.

საც და უკანასკნელი გლეხს. ეს ყველაფერი იწვევდა არა მხოლოდ წვრილი მწარმოებლის, არამედ ფეოდალის მეურნეობის დაცემასაც. ადგილი ჰქონდა გლეხობის, ხელოსნების, ვაჭრების და თვით ფეოდალების განშრევებას. სავახშო კაპიტალი, სავახშო კრედიტი ანადგურებდა შიგნიდან ფეოდალურ საზოგადოებას; ამიტომ სავახშო კრედიტი არ იყო მოკლებული რევოლუციურ როლს: „ამრიგად, მევახშეობა, ერთის მხრივ, არღვევს და ანადგურებს ანტიკურ და ფეოდალურ სიმდიდრეს და ანტიკურ და ფეოდალურ საკუთრებას. მეორე მხრივ, იგი არღვევს და ანადგურებს წვრილ საგლეხო და წვრილ ბურჟუაზიულ წარმოებას, მოკლედ — ყველა იმ ფორმებს, როდესაც მწარმოებელი ჯერ კიდევ მესაკუთრეა თავის საწარმოო საშუალებათა... მევახშეობა არ სცვლის წარმოების წესს, მაგრამ მას მიეკვრის როგორც პარაზიტი და მას საბრალოდ ხდის. იგი სწოვს მას, სისხლიდან სცლის და რეპროდუქციას აიძულებს სულ უფრო და უფრო უბადრუკ პირობებში სრულდებოდეს... ყოველი წინაკაპიტალისტური წარმოების წესის არსებობის დროს მევახშე რევოლუციურ როლს ასრულებს, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი არღვევს და სპობს საკუთრების ფორმებს, რომელთა მტკიცე საფუძველზე და ერთსა დაიმავე ფორმაში რეპროდუქციაზე დამყარებულია ქვეყნის პოლიტიკური წყობილება“ [1].

საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენდა: ზემოთ დასახელებული საბუთები გვიჩვენებენ, რომ ხშირად გამსესხებლის ხელში გადადიოდა მსესხებელის მამული და ყმები. მსესხებელი კი აფართოებდა თავის მამულს [2].

ლიტერატურა

1. კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, 2, თარგმნილი გერმანულიდან ფ. გოგიჩაიშვილის ს. ჯ. იაშვილის ძიერ. თბილისი, 1934 წ.
2. ვ. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზულებანი, ტ. III, თბილისი 1930 წ. გვ. 351.
3. სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, იხ. დ. ჩუბინოვი, ქართული ქრესტომათია ძველ გამოკრებილი ადგილები ქართულთა წერილთაგან, სპბ., 1846 წ.
4. საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად მეფეთა დროთა შემოღებული ჰსჯულნი. კამოსცა პ. გუგუშვილმა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. 1932, ნაკვეთი III, თბილისი, 1939 წ.

   სამართალი სომხური. ქართული ვერსია. შესრულებული ვახტანგ მე-6-ის პრძანებით შოსცა ლ. მელიქსეთ-ბეგმა. თბილისი, 1927 წ.
6. სამართალი აღბუღასი პირველი: დ. ჩუბინოვი. ქართული ქრესტომათია, I. 1863 წ.
7. ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I. ბატონყმური ურთიერთობა (15—18 ს. ს.). თბილისი, 1940 წ.

კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, თარგმნილი გერმანულიდან ფ. გოგიჩაიშვილის და ჯ. იაშვილის მიერ, თბილისი, 1934. გვ. 127—128.

[2] იხ. საქართველოს სიძველენი, ტ. II, №№ 271, 285; ტ. III, № 244.

8. ვ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბილისი, 1909 წ. ტ. III, თბილისი, 1910 წ.
9. თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული აღწერა, ფოთი. 1903 წ.
10. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ე. ყიფშიძის პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ. 1928 წ.
11. ნ. ქოიავა, საქართველოს ფულის მიმოქცევა მე-18 საუკუნეში. ცალკე ამონაბეჭდი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები №№ 28 და 29ბ, თბილისი, 1948 წ.
12. ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დამდეგამდე. აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით. თბილისი, 1943 წ.
13. Акты Кавказской археографической комиссии, том 1.
14. Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПБ 1878.
15. Ф. Дмитриев, Истории судебных инстанций и гражданского апелляционного судопроизводства от судебника до учреждения о губерниях, М. 1859.
16. А. Рейц, Опыт история Российских государственных и гражданских законов, М. 1836.
17. Д. Пурцеладзе, Грузинские дворянские грамоты, Тифлис, 1881.
18. Д. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты, Тифлис, 1882 г.
19. Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджари (грамоты), Тифлис, 1881.
20. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, СПБ, 1891; т. II, в. 1, СПБ, 1898; т. II, в. 2, СПБ, 1902 г.
21. W. Roscher, Grundlagen der Nationalökonomie, 25 Aufl., 1918.
22. G. Schmoller, Grundriss der allgemeinen Volkswirtschaftslehre. 2 T. 1919

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფინანსების და კრედიტის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1948. I. 15).

Н. Коиава

Кредит в Грузии XVIII века

Резюме

1. Грузия XVIII века представляла собой феодально-крепостническое общество. В этом обществе существовал только ростовщический кредит. Наряду натуральными ссудами существовали и денежные ссуды.

2. Среди заемщиков были крестьяне, ремесленники, купцы, светские и духовные феодалы. Причиной задолженности крестьян и ремесленников были: различные платежи, несчастный случай, стихийные бедствия, война, выкуп пленных. Купцы обращались к займам и для восполнения оборотных средств. Причиной задолженности светских и духовных феодалов были

росоть военные расходы, невыполнение крестьянами своих обязательств перед ними.

3. В Грузии XVIII века не существовало кредитных организаций. Заимодавцами являлись купцы, ясаула, феодалы, в некоторых случаях крестьяне и ремесленники.

4. В связи с существованием натуральных и денежных ссуд и процент был или натуральным, или денежным. Фактически денежный процент доходил до 120, натуральный до 300. Натуральный процент иногда взимался и по денежным ссудам, и в переводе на деньги он доходил до 400. Заимодавец брал процент и на проценты. Ссудный процент был очень высок, как всегда при ростовщическом кредите. Уложение царя Вахтанга VI устанавливает в качестве предельной нормы 30%. Практика знала и понятие законного процента — он равнялся 12. Предельная норма процента в Грузии была выше, чем в европейских странах, что объясняется недостатком денежных капиталов в Грузии. Предельная норма процента была одинаковой для всех слоев населения и для всех национальностей.

5. Источником покрытия займа во всех случаях был прибавочный продукт мелкого производителя, а в некоторых случаях и его необходимый продукт.

6. Кредит, как правило, был залоговым. Обеспечением ссуды являлось движимое или недвижимое имущество, доходы и даже сам крестьянин. Имущество считалось заложенным до погашения долга; если заимодавец получал проценты, доход принадлежал заемщику; если же заимодавец процентов не получал, то весь доход принадлежал ему.

7. Получение ссуды оформлялось распиской. Реквизиты расписки установлены были законом. Допущены были свидетельские показания.

8. По опубликованным документам видно, что валюта векселя, не считая царских займов, колебалась от 4-х до 800 миналтунов (рублей). В царских займах минимальная сумма составляла 250 миналтунов, а максимальная 2000 миналтунов. Сведений об общей задолженности отдельных лиц не имеется. Об общей задолженности царя имеется одно сведение, относящееся к 1753 году — задолженность царей Теймураза и Ираклия составляла 8600 миналтунов.

9. Ссуды были бессрочные и срочные. Инициатива погашения бессрочной ссуды принадлежала как одной, так и другой стороне. Срочные ссуды, как видно из опубликованных документов, не превышали 12-ти месяцев.

10. Грузия XVIII века знала кредитные отношения, основанные на торговле в кредит.

11. На основе порчи монеты существовала оговорка, как страховка от результатов падения реальной стоимости монеты.

12. Неуплата долга в срок влекла принудительное взыскание долга Законодательство предусматривало пролонгацию и дезальвацию суд.

13. В Грузии XVIII века существовал и международный кредит в том виде, в каком это возможно было в феодально-крепостническом обществе. Международные кредитные отношения регулировались односторонне — уложением царя Вахтанга VI. Все попытки грузинских царей получить заем за границей окончились неудачей.

14. Из опубликованных материалов нельзя установить, каково было учение о кредите в XVIII веке. Источником учения о проценте является Уложение царя Вахтанга VI. Учение о проценте находится под влиянием учения церкви, под влиянием учения о спасении души. Законодатель советует заимодавцу не брать процентов, но одновременно не воспрещает взимание процентов и лишь устанавливает предельную норму; взыскание процентов на проценты было воспрещено. Компромисс был продиктован недолговечной действительностью — как правило, получить ссуду без уплаты процентов невозможно было.

15. Ростовщический кредит в Грузии, также как и во всяком феодальном обществе, вызывал упадок и расслоение не только хозяйства мелкого производителя, но и феодала. Ростовщический кредит изнутри разрушал феодальное общество и поэтому он не был лишен революционной роли в известном смысле.

ტრუდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXIIIა, 1948
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIIIа, 1948

ლ. ქარბელაშვილი

სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის ისტორიისათვის საქართველოში (1921 წლამდე)

I. ქართული სააღრიცხვო-სტატისტიკური საქმიანობიდან

საქართველოში, რუსეთის ხელისუფლების დამყარებამდე, საკმაოდ მრავალფეროვანი და ძვირფასი სააღრიცხვო-სტატისტიკური მასალების შეკრება უწარმოებიათ. ეს მასალები იმ დროის ისეთ ძირითად სახელმწიფოებრივ საკითხთა მოგვარება-მოწესრიგებას ემსახურებოდა, როგორიც იყო, ერთის მხრივ, — სამხედრო საქმე, ჯარში გასაწვევი კონტინგენტის დადგენა-გამოანგარიშება, და, მეორე მხრივ, — ფისკალური მიზნები, საგადასახადო ობიექტების აღრიცხვა და გადასახადის გამოანგარიშება[1].

მოსახლეობისა და მეურნეობის სააღრიცხვო საქმიანობას აწარმოებდნენ როგორც ქვეყნის მესვეურნი და სახელმწიფო ორგანოები, ისე შემოსეული მტერი, მის მიერ დანიშნული პირები და ზოგჯერ-კი ცალკეული კორპორაციები და ორგანიზაციები.

ეს აღწერები და სააღრიცხვო საქმიანობა განსაზღვრულ მიზანდასახულებით და გარკვეული წესებისა და პროგრამის მიხედვით წარმოებდა.

აღნიშნულზე საკმაოდ ნათელ წარმოდგენას ვღებულობთ მთელ რიგ წყაროებიდან და საბუთებიდან, რომლებიც გამოვლინებულ-შესწავლილია ჩვენი ქვეყნის სახელოვან ისტორიკოსთა მიერ და რომლის შედეგად გაღრმავებული შესწავლა-გამოქვეყნება თავის მკვლევარს ელის.

ჩვენთვის ცნობილი წყაროები და მასალები აქ ნათქვამს ნათლად ადასტურებენ.

1721 წ. დათარიღებულ ერთ-ერთ დავთარში სწერია: «აღვწერეთ ამ დავთართა შინა რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა ხმარებანი, გინა სამეფოთა ხარკთა და ბეგარათა გამოღებანი», ხოლო ვისაც არც იარაღის ტარება შეეძლო და არც გამოსაღებთა გაღება ეკისრებოდა, ანუ «რომელთა არა ძალედვა ყოვლისა რა რასმესი ქმნა და გამოღება... არა ავწერთ წიგნთა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია. თბ. 1946 წ., გვ. 123—124, 247—248 და სხვ.

ამას შინაარ[1]. ოთხიოდე წლის შემდეგ, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გად მოგვცემს, «ოსმალთა ქართლი აღწერეს, ხარკი დასდვეს»[2]. აღნიშნულის მსგავს აღწერებს ამაზე ადრეც და ამაზე გვიანაც ხშირად ჰქონდა ადგილი საქართვე ლოს წარსული პოლიტიკური ცხოვრების პირობებში.

აღწერები ზოლოდ მოსახლეობის რაოდენობა-შემადგენლობის აღრიც ხვით არ ამოიწურებოდა და ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაც საკმაოდ სრულ დაკვირვების ობიექტი ხდებოდა.

საქართველოში გადასახადების აკრეფასთან დაკავშირებით აღწერებსაც მიმართავდნენ. ამ აღწერების დროს „ხეხილის ბაღებისა და ნარგავთა აღრიც ხვას, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, ყოველთვის განსაკუთ რებული ყურადღება ექცეოდა და ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანაში შემოსეული მტრის მიერ ეს დარგები იმდენად მძიმედ იბევრებოდნენ, რომ მწარმოებელი ათწლეულ მდგომარეობაში ვარდებოდა და ზოგჯერ თავისიც ხელახლა სჭირდა ათეული წლები დაკარგული შრომის შესავსებად“[3].

სოფლის მეურნეობის საერთოდ და, კერძოდ, მრავალწლიან ნარგავთა აღრიცხვის მაგალითები საკმაოდ გვხვდება საქართველოს ისტორიის გრძელ მანძილზე.

ჯერ კიდევ მონგოლთა შემოსევისას ყაენ ბათოს დავალებით ჩვენში XIII საუკ. ჩატარებულ აღწერაზე „ჟამთააღმწერელი“ გადმოგვცემს: «ენება გასწორება და აღთვალვა ყოველისა ქონებისა, და ჰპოვა ვინმე კაცი... სახელით არღუი... და ვითარცა მოიწია საქართველოსა, დიდსა ჰირსა მიეც ნეს ყოველნი მკვიდრობა ამის საქმეთანი, და იწყეს აღწერად კაცთა-პირუტ ყუამდე, ყანით-ვენახამდე, წალკოტით-ბოსტნამდე»[4].

ზემო ქართლში მოკალათებული მტერი განსაკუთრებული სიმკაცრით აწარმოებდა გადასახადების აკრეფას და 1730 წელს ახალციხის ფაშას ბრძანე ბით თურქთა მიერ „ყოველ კაცს დაედო თითო დრაჰკანი ხარჯი, თითო ცხვარზე ორი შაური, ძროხაზე აბაზი, ცხენზე და კამეჩე ექვს-ექვსი შაური ხილეულობაზე და ხორაგეულობაზე ბე ფთედი ღირებული ფასისა“[5].

ცხადია, ასეთი გადასახადების აკრეფა საგადასახადო ობიექტების მკაცრ აღრიცხვაზე იყო დამყარებული, რასაც ისეც გაურკვეული მოსახლეობა უფრო მეტი სიმძიმით განიცდიდა და სასოწარკვეთილი მეურნე თავის ნაამაგარ ვენახსა და ბაღსა სჩეხავდა.

პაპუნა ორბელიანის გადმოცემისაებრ, ყიზილბაშთა მიერ 1741 წელს ჩატარებულ «იყო აღწერა... რასაც მოხვდნენ ვაზს ერთი ბისტი დასდვეს, სოფელსა და ბაღს შინა რაც ხე ნახეს თითო შაური დასდვეს... ასეთი

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგ. I. 1930 წ., გვ. 54. ქართლის ცხოვრება», ჩუბინოვისაგან გამოცემული. 1854 წ., გვ. 254.

[2] ლ. კარბელაშვილი. მეხილეობის მნიშვნელობა საქართველოში: საქ. სსრ მეც. «ეკონომიკის ინსტ. შრომები», ტ. I, გვ. 159.

[3] «ქართლის ცხოვრება», ნაწ. I, 1849 წ., გვ. 336—337.

[4] ი. ჯანაშვილი, საქართველოს ძველი ისტორია, 1881 წ., გვ. 210.

ხარჯი დასდვეს, რომ ვოლისა კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო... ამ ამბავთა შინა მრავალი სული აიყარა. ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა, მრავალი კაცი ვენახსა და ახლებსა თავის ხელით კაფვდის და აოხრებდის»[1].

საგადასახადო ნიხნებით აღწერებს ბიძართავდნენ არა მარტო სახელმწიფო ორგანოები, არამედ სასულიერო წოდების წარმომადგენელნიც.

„დასტურლამალში“ ვკითხულობთ: «კოდის პური თუ აღწერამდინ რამდენი გაითვა, აბ კიდევ 1715 წ. 1 აპრილს პროველ ეპისკოპოზის ორბელიძის ნიკოლოზის ბრძანებით წედგენილ დავთრის წინასიტყვაობაში პირდაპირ სწერია: «საყდრის მამული და ყმა სულ დაწიწეოიაო და ეს დავთარი ძველ დროებისათვის (საეკლესიო გადასახადია — ლ. კ.) აწერეო, რომ «საყდარს წოსაველი არ დაეკარგოსო». ღვინის გადამხდელ სოფლების შესახებ ცნობებში ნაჩვენებია, ერთის მხრივ გამოსაღები, „მთელს მამულზე“ ან „მთელს თარხნიმამულზე“ და, მეორე მხრივ, „ნახევარ მამულზე“: ან კიდევ — გადასახადი „მთელს მამულზე საბალნით ღვინო — საბალნე ერთი“ და ა. შ.

ყველაფერი ეს იმის დამადასტურებელია, რომ საქართველოში, ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე სხვა ზოგიერთ თანამედროვე სახელმწიფოში, საკმაო მრავალფეროვანი ცნობები იკრიბებოდა მოსახლეობის რაოდენობა-შემადგენლობაზე და მის სამეურნეო საქმიანობაზე.

თუ რამდენად ბედად საორგანიზაციო-პროგრამულ დონეზე იყო დაყენებული ეს საღრიცხვო საქმიანობა, ამაზე მკაფიო წარმოდგენას ცნებულობთ თუნდაც მოსახლეობის აღწერათა ორგანიზაციის საკუთხეზე.

ერეკლე პიოვნის მიერ 1659 წ. გაცემული ბრძანების თანახმად «თვითეული ოთხი სადროშოს სათავეში მდგომი სარდალი ვალდებული იყო **შვიდ წელიწადში ერთხელ** (ხაზი ჩვენია — ლ. კ.) თავის ხელქვეითი სადროშოს მოსახლეობა აეწერინებია და ხალხის დავთარი ჰქონდა»[2].

აღნიშნულს ადასტურებს აგრეთვე „დასტურლამალი“, რომელიც გვამოგვცემს, რომ ქალაქის აღწერა «**შვიდ წელიწადში ერთხელ** მოსდებიაო», ხოლო შიშთაბარე მოსახლეობა „ელი“, რომელიც ძირითადად მწყაქონლეობას მისდევდა და ხეტად მოძრავი იყო, უფრო ხშირად «**სამ წელიწადში ერთხელ** აიწერებისო»[3].

აღწერის ჩასატარებლად «სარდლები და მღივნები» იგზავნებოდნენ, რომელთაც აღწერა სოფელ-სოფელ ჩამოვლით უნდა ეწარმოებინათ, სადაც «მღივანი აღწერს და დავთარს დაიჭერს»-ო[5].

აღწერის მწარმოებელნი მოსახლეობისაგან სათანადო „სარგოს“ ანუ გასამრჯელოს ღებულობდნენ, რომელსაც აღსამწერლო ეწოდებოდა. აკრეფილი თანხის ერთი ნაწილი სადროშოს მეთაურს ეძლეოდა. ხოლო მეორე

[1] „ქართლის ცხოვრება“, ნაწ. II, 1854 წ., გვ. 345.

[2] ივ. ჯავახიშვილი. საქ. ეკონ. ისტორია, ტ. I, 1930 წ., გვ. 64.

[3] „დასტურლამალი“ ბეფის ვახტანგ მეექვსისა. რედ. პ. უმიკაშვილისა. 1886 წ., გვ. 86.

[4] იქვე, გვ. 75.

[5] იქვე, გვ. 13.

ნაწილი აღმწერთ ანუ მდივნებს ეძლეოდა, როგორც ამაზე მიგვითითებს როსტომ მეფის მიერ 1656 წელს სარდარ ელისე ამილახვრისათვის გაცემული წყალობის სიგელი[1].

ამ გამოსაღების გარდა, სოფლის მოსახლეობას აღსაწერად ჩასულ პირთა სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა ეკისრებოდა («დახდომითაც ის სოფელი უნდა დახვდესო»), იმ დროს, როდესაც ქალაქად მხოლოდ „აღსამწერლო“ გაიღებოდა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აღწერის ჩასატარებლად მიდიოდა ორი მდივან-მწიგნობარი, ან ერთი მდივან-მწიგნობარი და მხლებელი, რომელთაც თან სადროშოს სარდარიც მისდევდა თავისი ამალით, ცხადია, აღწერის წარმოება საკმაო ხარჯებთან იყო დაკავშირებული და მოპოვებული ცნობებიც. იმდროინდელ პირობებთან შეხამებით, საკმაოდ სრული და საიმედო უნდა ყოფილიყო, ბით უმეტეს, რომ ზუსტი ცნობების მოსაპოებლად და შეცდომათა გამოსასწორებლად მთავრობა საკმაო ზომებსაც მიმართავდა[2].

ყველა აღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი ქვეყნის წარსულში საკმაოდ ბრაგალფეროვან და წესიერად წარმოებულ სააღრიცხვო საქმიანობას ჰქონდა ადგილი. მარტო ის რად ღირს, ხომ ხალხთა აღწერების წარმოებისათვის 1689 წლიდან (და იქნება უფრო ადრეც) განსაზღვრული პერიოდულობა იყო შემოღებული ქალაქებისათვის — შვიდწლიანი და „ელი“-სათვის საწლიანი.

ამ წესის შნიშვნელობა მაშინ უფრო საყურადღებო და ძვირფასი ხდება, როდესაც გავიხსენებთ, რომ განსაზღვრული პერიოდულობით წარმოებული აღწერები ჩვენი დროისათვის ცნობილ სახელმწიფოებში გაცილებით უფრო გვიან იქნა შემოღებული[3], სახელდობრ: აშშ-ში 1780 წლიდან (ათწლიური პერიოდებით), ინგლისსა და შოტლანდიაში 1801 წლიდან (ათწლიური), საფრანგეთში — 1831 წლიდან (ხუთ წელიწადში ერთხელ), გერმანიის ცალკეულ სახელმწიფოებში XIX საუკ. 30-იანი წლებიდან (სამ წელიწადში ერთხელ), ნორვეგიაში — 1815 წლიდან, ჰოლანდიაში — 1829 წლიდან, დანიაში — 1840 წლიდან, ხოლო ბელგიაში — 1846 წლიდან.

ერეკლე მეფე იმდენად დიდ ყურადღებას უთმობდა აღწერების წარმოების საქმეს, რომ რუსეთთან დადებული ტრაქტატის ერთ-ერთი მუხლი აღწერების წარმოებას ეთმობა[4], სახელდობრ: «10. როდესაც მოხდება აღწერა ხალხისა უნდა იქმნას კომლეულად და არა თვითო სულად»-ო.

II. მეფის დროინდელი სახელმწიფო სტატისტიკის ისტორიიდან[5]

როგორც ცნობილია, რუსეთის ყოფილ იმპერიაში სოფლის მეურნეობის სტატისტიკური შესწავლა სამი ხაზით წარმოებდა: ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის ცენტრალური კომიტეტის, ბ) მიწათმოქმედების

---

[1] А. Пурцеладзе, Грузинские дворянские грамоты. Т. 1881 г., стр. 62.

[2] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია. 1930 წ., გვ. 47.

[3] А. А. Кауфман, Теория и методы статистики. Москва, 1923 г., стр. 413.

[4] მ. ჯანაშვილი, საქართველოს მოკლე ისტორია. 1884 წ., გვ. 231.

[5] ლ. ა. კარბელაშვილი, მეხილეობა შიდა ქართლში. 1940 წ., გვ. 5—45.

დეპარტამენტის სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკისა და სტატისტიკის განყოფილებისა და გ) საერობო სტატისტიკის ორგანოების მეშვეობით.

საერობო სტატისტიკა XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩაისახა, მიწათმოქმედების დეპარტამენტმა გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო მოქმედება სტატისტიკის დარგში, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაცილებით გვიან, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან.

ამიერკავკასიაში და საქართველოში სტატისტიკური საქმიანობა ძირითადად ამ უკანასკნელ ორგანიზაციასთან არის დაკავშირებული. იმდროინდელი ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი თავის საქმიანობას ადგილებზე საგუბერნიო სტატისტიკური კომიტეტების მეშვეობით ახორციელებდა.

ამ ორგანიზაციას ადგილებზე (მაზრებში და სოფლად) არავითარი სტატისტიკური აპარატი არ გააჩნდა და საჭირო ცნობათა მოპოვება-შეკრებას (ნათესების ფართობი, მოსავლიანობა, მოსავალი და სხვ.) ადმინისტრაციულ-პოლიციური ორგანოების მეშვეობით ახორციელებდა. მთელ ამ საქმიანობაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდა „სოფლის მწერალს“, რომელიც თავის პირდაპირ საქმიანობასთან ერთად სტატისტიკური ცნობების „შეკრებას“ და მათ ცენტრში გაგზავნასაც აწარმოებდა. ამ საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის სტატისტიკურ ცნობათა რაიმე სისრულეზე და სიზუსტეზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია; მათი მეშვეობით შეკრებილი სტატისტიკური მონაცემები, თავის უდიდეს ნაწილში, უფრო ფანტაზიისა და გონებამახვილობის შედეგს წარმოადგენდა, ვიდრე მოვლენათა ობიექტური და უტყუარი შესწავლის ნაყოფს; სწორი და უტყუარი სტატისტიკური ცნობების მოპოვებისათვის მათ არც დრო ჰქონდათ, არც სურვილი და არც შესაფერისი სახსრები და მომზადება. კავკასიაში ადმინისტრაციის მიერ მოცემული ცნობები შეკრებილი იყო: „... торопливо, небрежно, без малейшей обработки, со **значительными ошибками и противоречиями**“ [1].

ყველა აღნიშნულის გამო ამიერკავკასიაში საერთოდ და, კერძოდ, საქართველოში წარსული სამეურნეო ცხოვრების შესახებ სააღრიცხვო-სტატისტიკური მასალები ძალიან მცირედ მოგვეპოვება და, რაც არის, ისიც საეჭვო ღირსებისაა; ამიტომ მკვლევარისაგან დიდი სიფრთხილეა საჭირო მათი გამოყენებისას.

მთელი XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის პირველი მეხუთედის განმავლობაში სააღრიცხვო-სტატისტიკური საქმიანობა სახელმწიფო ორგანოთა სუსტი მზრუნველობის საგანს წარმოადგენდა; ამ საქმის წესიერი ორგანიზაცია და საჭირო თანხებით უზრუნველყოფა მეფის ხელისუფალთ და, შემდეგ, მენშევიკურ მთავრობას ნაკლებად აინტერესებდა.

ერთი სიტყვით, საქართველოშიც ისევე, როგორც საერთოდ „კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სტატისტიკა იყო მხოლოდ და მხოლოდ „კაზიონი ხალხის“ და ვიწრო სპეციალისტების ცოდნის საგანი“ [2], რის შედეგადაც იგი ბევრს არა-

[1] Сборник стат. сведений о Кавказе. 1869 г., стр. 7.

[2] ლენინი, თხუზულებათა კრებული. ტომი II, გვ. 212.

ფერა არ იძლეოდა და, თუ იძლეოდა რამეს, მისი ღირსება საკმაოდ საეჭვო და მდარე იყო.

თუ რამდენად სწორია ასეთი შეფასება წარსული დროის სააღრიცხვო-სტატისტიკური საქმიანობისა, ამას გვიჩვენებს წარსული დროის სტატისტიკური ხასიათის მთავარი გამოცემები.

ერთ-ერთ პირველ ასეთ წყაროს წარმოადგენს — „**Статистическое описание Закавказского Края, с присовокуплением статьи: Политическое состояние Кавказского Края в исходе XVIII века и сравнение оного с нынешним**". **Составил Орест Евецкий в двух частях. С.-Петербург, 1835 г., 306 стр.**

ამ აღწერილობის პირველ ნაწილში საკმაო სისრულით არის განხილული ამიერკავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიული ბუნება (სივრცე, საზღვრები, ჰავა, მდინარეები და სხვ.), რასაც მოსდევს ამიერკავკასიის ადმინისტრაციული დაყოფა, მოსახლეობა, მეურნეობის ცალ-ცალკე დარგები, ვაჭრობა და გზები. შემდეგ ავტორი იხილავს: სარწმუნოებას, ენას, განათლებას, მართვა-გამგეობის სისტემას და სხვა. აღწერილობის მეორე ნაწილში მოცემულია ამიერკავკასიის ცალ-ცალკე „პროვინციების" დახასიათება, ანუ „სტატისტიკური აღწერილობა".

საქართველოს ისტორიულ მიმოხილვას (შესავალს) მოსდევს: ტერიტორია და საზღვრები, მთები, მდინარეები, ნიადაგი, ჰავა, ბუნებრივი სიმდიდრენი დარგობრივად, მოსახლეობა, მრეწველობა, მართვა-გამგეობა და სხვა ცნობები (მაზრებზე, დისტანციებზე და სოფლებზე). იმერეთი, გურია, სამეგრელო სვანეთით, აფხაზეთი, ახალციხისა და სხვა პროვინციები ძირითადად იმავე თვალსაზრისით არიან აღწერილი, როგორც მთლიანი საქართველო.

შემდეგი დროის ერთ-ერთი სტატისტიკური წყარო, რომელიც პასუხს უნდა იძლეოდეს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე, 1870 წლით არის დათარიღებული. მისი სახელწოდებაა: „**Сборник материалов для описания Тифлисской губернии, издаваемый при канцел. Тифлисского губернатора под редакцией правителя оной К. Л. Зиссермана**". **Том I, вып. I. Тифлис, 1870 г.**

ავტორთა წინასიტყვაობისამებრ, ეს პირველი სტატისტიკური შრომაა თბილისის გუბერნიის შესახებ და მკითხველი საშართლიანად ელებს პასუხს მისთვის საინტერესო საკითხებზე, მაგრამ ამაოდ.

ამ „კრებულში" ბევრი დარგი სრულებით არ ჰპოვებს გამოხატულებას და მათ შორის მებაღეობა (ცნობათა უქონლობის გამო)[1]. ის სტატისტიკური მონაცემები კი, რომელიც ამ კრებულშია მოთავსებული, საკმაოდ „საეჭვოა"[2]. თვით ავტორთა განმარტებით, გამოქვეყნებული ცნობების რაიმე შეწოწძებაზე ან შესწორებაზე ავტორებს უარი უთქვამთ საქმის სირთულის გამო. არსებულ

[1] **Сборник...** გვ. 6—7.

[2] იქვე, გვ. 210—211.

მასალას ისე აქვეყნებენ, როგორც იგი მიღებული იყო სათანადო ორგანიზაციებისაგან, რომ ფაქტები „არ დაეშახინჯებინათ".

„კრებულის" წინასიტყვაობაში, ავტორები აცხადებენ, რომ მისი შედგენისათვის ყველაზე დიდი დაბრკოლება სტატისტიკაა, — ვინაიდან სტატისტიკური ცნობათა შეკრების ხერხები, ყოველგვარი სტატისტიკური მუშაობის ჩატარების დროს „მეტისმეტად უსრულოა"-ო.

დასახელებული „კრებულის" გამოცემიდან ათეული წლები გავიდა. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ ხნის განმავლობაში სტატისტიკური საქმიანობა წინ წაიწევდა, გაუმჯობესდებოდა, რაც წინა კრებულში არ იყო, ის უკვე მოპოვებული და თავმოყრილ-შეჯამებული იქნებოდა, უფრო სრული და ბაღალხარისხოვანი საალრიცხვო-სტატისტიკური მასალები დაგროვდებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

1884 წ. გამოდის კანონი, რომლითაც ამიერკავკასიაში საგუბერნიო სტატისტიკური კომიტეტები არსდება. საგუბერნიო სტატისტიკური კომიტეტების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა ცნობების შეკრება მიწების გვარეობაზე მაზრებისა და მფლობელთა წოდების მიხედვით. მაგრამ ამ ამოცანის გადაჭრა გადაულახავ დაბრკოლებას აწყდებოდა და სწორი პასუხის მიღება კვლავ შეუძლებელი ყოფილა.

ცნობები უნდა შეგროვილიყო აგრეთვე სახაზინო მიწების შესახებ (მათი გვარეობის მიხედვით); უნდა გარკვეულიყო, თუ რამდენი მიწაა სახაზინო გლეხობის სარგებლობაში, ან სხვა უწყებათა გაშგებლობაში. მაგრამ, ყველა აღნიშნულის შესახებ. სათანადო საწარმოებლებში ბოლოდ დააბლოებითი ცნობები მოიპოვება და როდესაც ისმის საკითხი თავადაზნაურობის კუთვნილ მიწებზე. სხლომაზე (1884 წ. 2 ოქტომბერის) დამსწრე გუბერნიის თავადაზნაურობა წინააღმდეგი აცხადებს[1], რომ საჭირო ცნობები არამც თუ მას არა აქვს, არამედ თვით მემამულეებმაც კი „არ იციან, თუ რამდენი მიწა აქვთ, რა მიწებია ეს და ბევრს იმის თქმაც არ შეუძლია, თუ სად არის მათი მიწები, რომელი სოფლის აგარაკებშია"-ო.

ამნაირად, პირდაპირ წარმოუდგენელი მდგომარეობაა: სტატისტიკურ ორგანიზაციას არ შეეძლო პასუხი გაეცა სოფლის მეურნეობის ისეთ ძირითად საკითხებზედაც კი, როგორიცაა მიწების ფართობის საერთო რაოდენობა და მისი განაწილება (სახეობის, მაზრებისა და მიწათმფლობელთა მიხედვით).

ამიტომ არის, რომ 1886 წლის „კავკასიის კალენდარში" გამოქვეყნებული ცნობები მიწების საერთო ფართობს შეიცავენ (აბსოლუტურად) და ჯამისადმი მიმართებით ციფრებში მოცემულია მხოლოდ სახნავი, მდელო, ზაძოვრისა და ხაფხულის საძოვრები (203 გვ.). რაც შეეხება ნათესებს, ბაღებს, ვენახებს და სხვა სახის მიწებს, აქ მათზე არაფერია ნაჩვენები; ის ციფრებიც, რაც აქ ქვეყნდება, ავტორთა შენიშვნისამებრ, „შეიძლება ჩათვლილ

[1] **Труди Тифлисского губернского статистического комитета. Вып. I-й. Сведения за 1884 и 1885 г. г. Издано под редакцией секретаря Комитета Игнатовского, Тифлис, 1886 г., стр. II.**

იქნეს მხოლოდ შორეულ მიახლოებად და კალენდარში მოთავსებულია უფრო ზუსტი მონაცემების უქონლობის გამო". თუმცა ავტორები აქვე გვპირდებიან, რომ ცნობები სახაზინო მიწების შესახებ უფრო სწორი და ზუსტი იქნებაო, მაგრამ ესეც „სინამდვილეს მაინც დაშორებულია"-ო, უმატებენ კალენდრის ავტორები.

სოფლის მეურნეობის შესწავლისა და სტატისტიკურ მონაცემთა ერთერთ შედარებით საყურადღებო წყაროს თავისი მრავალფეროვანებით და ადრინდელობით, წარმოადგენენ: „**Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края**".

როგორც თვით შრომის სახელწოდება გვიჩვენებს, აქ სახაზინო გლეხების ეკონომიური მდგომარეობაა განხილული, იმ დროს არსებული ადმინისტრაციული ერთეულების (მაზრების) მიხედვით.

მიმოხილვების შედგენას საფუძვლად აქვს დადებული კავკასიაში საბელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის, ი. ტიხეევის, ხელისმოწერით 1885 წელს გამოქვეყნებული „პროგრამა"[1], რომელიც მიზნად ისახავდა სახაზინო გლეხების ეკონომიური მდგომარეობის შესწავლას. პროგრამა საკმაოდ მრავალმხრივია. პროგრამისადმი მიძღვნილი ინსტრუქცია ცნობების შეკრებას სოფლობრივად ითვალისწინებდა („სახაზინო პალატის" და ადგილობრივ „ტიპური" სოფლებისათვის მოპოვებულ ცნობების საფუძველზე).

ცალკეულ მაზრებს სხვადასხვა ავტორები იკვლევენ და სწერენ, მაგ., გორის მაზრის სახაზინო გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის ნარკვევს ს. ვ. მაჩაბელი[2] იძლევა; მასვე ეკუთვნის თბილისის მაზრის[3] სახაზინო გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის მიმოხილვა; დუშეთის მაზრის მიმოხილვა ნ. კ. ნიკიფოროვს[4] ეკუთვნის და ა. შ.

მაზრების მიხედვით მოცემული სახაზინო გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის დახასიათება შედარებით სრულია როგორც თავისი ტექსტით, ისე ნარკვევში მოთავსებული ციფრობრივი მასალით და დართული ცხრილებით. ამ შრომებში, სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად, როგორიც არის: მაზრის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, მოსახლეობა, მიწებით დაკმაყოფილება, სახაზინო ტყეები, საძოვრები, გადასახადები და სხვ., ავტორები იხილავენ აგრეთვე გლეხთა კეთილდღეობის წყაროებს, რომელშიც შეტანილია აგრეთვე მებაღეობა (ხეხილისა და ვაზის ნარგავები). მართალია, ავტორები აქ მთავარ ყურადღებას ვენახებს აქცევენ, მაგრამ მასთან ერთად ზოგიერთ ცნობებს იძლევიან აგრეთვე ხეხილის ნარგავებზე (აქ გაშენებულ სხვადასხვა ჯურა ხეხილზე, ხილის რეალიზაციის პირობებზე, ხილის გადამუშავებაზე და სხვ.).

---

[1] **Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского Края. Том I. Тифлис. 1885 г., VI—IX.**

[2] **Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского Края. Том VI. Тифлис, 1887 г., стр. 135—309.**

[3] **Тоже, том V, ч. I. Тифлис, 1887 г., стр. 160—315.**

[4] **Тоже, том V, ч. II. Тифлис, 1887 г., стр. 1—166.**

ამ წყაროს ერთ-ერთი სუსტი მხარე ისიც არის, რომ იგი მხოლოდ სახაზინო გლეხებს ეხება; შეიცავს აღებული მაზრების მხოლოდ გამოკვლეულ სოფლებს და მასში ერთად არის მოცემული ბაღ-ვენახების (ვაზი და ხეხილი) ფართობი.

აღნიშნულთან შედარებით უფრო სრულ და ამოწურავ ცნობებს იძლევა XIX საუკუნის მიწურულში გამოქვეყნებული: Свод статистических данных о землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях. Издано Закавказским статистическим комитетом, под редакцией члена того же комитета С. Кондратенко. Тифлис. 1893 г.

ეს შრომა შედგება ტექსტისაგან, სადაც ამ გუბერნიების მიწათმფლობელობის დახასიათებაა მოცემული, და დანართებისაგან, რომლებიც შეიცავენ სტატისტიკურ მონაცემებს ძოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიათა მიწათმფლობელობაზე; ცნობები მოცემულია დროებით ვალდებულ გლეხობაზე, ბიზნებზე და სხვა ჯგუფთა გლეხობაზე.

თბილისის გუბერნიის დროებით ვალდებულ გლეხთა მიწათმფლობელობის მონაცემები (თბილისის საგუბერნიო გლეხთა საქმეთა საკრებულოს და სხვა წყაროთა მიხედვით — 1890 წ.) გამოქვეყნებულია სოფლობრივ, სასოფლო საზოგადოებათა, საპოლიციო უბნებისა და მაზრების მიხედვით. იგი შეიცავს: კომლთა და მოსახლეობის რაოდენობას, სანაკელო მიწების ფართობს, სახნავი და სათიბი მიწების ნაკვეთების დაჯგუფებას (ფართობის მიხედვით), ცნობებს მიწების გამოსყიდვის ოპერაციების მსვლელობაზე (1866—1890 წ. წ.), გადასახადებს და გამოსაღებებს[1].

ცნობები თბილისის გუბერნიის მფლობელთა იმ მიწებზე, რომლებზედაც გლეხები იყვნენ დასახლებულნი 1870 და 1877 წ. წ. დებულებების საფუძველზე (მოცემულია თბილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს 1886 წლის და თბილისის სახაზინო პალატის 1884 წ. მასალებიდან) გამოქვეყნებულია სოფლობრივ და საპოლიციო უბნების მიხედვით.

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ხიზნების ეკონომიური მდგომარეობის ცნობები 1883 წ. (თბილისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოს მონაცემებით) მოცემულია სოფლობრივ, სასოფლო საზოგადოებათა, საპოლიციო უბნებისა და მაზრების მიხედვით.

როგორც ვხედავთ, ეს „სვოდი“ მთელ მოსახლეობას არ ეხება; მასში არ არის შეტანილი პრივილეგიური წოდების, სახელმწიფო და მესაკუთრე გლეხების მიწათმფლობელობის მონაცემები. მოსახლეობის ეს ნაწილი, ისევე როგორც ზევით დასახელებული, განხილულია შრომის მხოლოდ პირველ ნაწილში (ტექსტში).

ჩვენ რომ წარმოდგენა ვიქონიოთ როგორც აქ მოცემულ სტატისტიკურ ცნობებზე, ისე იმდროინდელ მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის პირობებზე, აქ შემდეგი უნდა გავიხსენოთ.

---

[1] Свод статистических данных о землепользовании в Тифлисской и Кутаисской губерниях. Прил. II, стр. 2—145.

ამიერკავკასიაში სახელმწიფო, სათავადაზნაურო და საეკლესიო მიწების მოქმედების გავრცელებასთან დაკავშირებით, ფინანსთა საშინისტროს მიერ 1868 წელს მოვლინებული ყოფილა მანკის წარმომადგენელი[1] ფონ-კრუზე, რომელსაც მთელი რიგი მასალები მოუთხოვნია ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაზე საერთოდ და, კერძოდ, მიწათმფლობელობის შესახებ. მოთხოვნილი ცნობების ერთი ნაწილი შეგროვილ-დამუშავებული ყოფილა, ხოლო მეორე ნაწილი უნდა შეეკრიბათ, რის შესახებაც დასახელებული შრომის წინასიტყვაობაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ თავადაზნაურობისა და გლეხობის კუთვნილი მიწების რაოდენობის გამორკვევას ყველაზე დიდი დაბრკოლებები ელიანება და აოსებული სტატისტიკური მასალები ძლიერ არასაიმედო არისო.

აქედან გასაგებია, რომ მთელი ის მასალა, რომელიც ამ დრომდე იყო გამოქვეყნებული, და შემდეგი დროის ცნობებიც მხოლოდ საორიენტაციო, დაახლოებით ნომაცემებს იძლეოდნენ ჩვენთვის საინტერესო სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

ამ პირობაში გამოქვეყნებული მასალა მოლიანად არის განზოგადებული შემდეგ წლებში დაბეჭდილ სტატისტიკურ კრებულში: **Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края. Изд. Закавказским статистическим комитетом под редакцией члена того же комитета Е. Кондратенко. Тифлис, 1869 г.**

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების გარდა, ამ შრომაში მოცემულია ავლაბრის ბაქოს, ელიზავეტპოლის (თანამედროვე კიროვაბადი) და ერევნის გუბერნიების მიმოხილვები და სათანადო ციფრობრივი მასალა.

საქართველოს წარსულით დაინტერესებული მკვლევარი ამ ნაშრომში ბევრ საყურადღებო ცნობას იპოვის ინდივიდუალურ მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობაზე როგორც გუბერნიებისა და მაზრების მიხედვით, ისე, რაც ბუნებრივია, სოფლობრივადაც; ცხრილებში მოცემულია აგრეთვე ცნობები პირუტყვის რაოდენობაზე, გადასახადებზე, მოსახლეობაზე და სხვ.

შემდეგ წყაროს წარმოადგენს სტატისტიკური კრებული — **Сборник статистических сведений по Закавказскому краю. Составлен по постановлению Закавказского статистического комитета, состоящим при нем отделом. под редакцией старшего редактора отдела Е. Кондратенко. Часть I. Тифлис, 1902 г.**

ეს „კრებული“ ერთადერთი შრომაა, რომელშიც შედარებით სისტემატური სახით არის მოცემული XIX საუკუნის დამლევის სტატისტიკური მასალა.

მართალია, ნაშრომში სრული ამომწურველობით და თანამიმდევრობით არ არის გამოქვეყნებული ყველა საჭირო სტატისტიკური მონაცემები და მთელ რიგ შემთხვევებში თავისი ღირსებით არც სათანადო სიმაღლეზე დგას ეს მასალა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი წარსულით დაინტერესებულთათვის იგი საყურადღებო მონაცემებს იძლევა.

---

[1] იქვე, წინასიტყვაობა, გვ. 3—5.

სას.-სამ. სტატისტიკიდან აქ საყურადღებოა ცნობები: მარცვლეულისა და კართოფილის მოსავალზე ამიერკავკასიაში 1898 წ. გუბერნიებისა და მაზრების მიხედვით და 1894—1898 წ.წ. გუბერნიების მიხედვით; პირუტყვის რაოდენობა ამიერკავკასიაში 1889 წ. გუბერნიების მიხედვით, ეპიზოოტია — ასევე და ვეტენახეობა-მეღვინეობა 1901 წ. იანვრისათვის ამიერკავკასიის გუბერნიებისა და მაზრებისათვის.

დასახელებულ ცნობებთან ერთად ეს კრებული შეიცავს თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის მიწათმფლობელობის ცნობებს სავარგულების მიხედვით (1900 წლისათვის).

ცნობები აქაც მაზრებისა და საპოლიციო უბნების მიხედვით არის მოცემული მიწათმფლობელთა კატეგორიების ჩვენებით. ცხრილის შემასმენელში, სხვა საკითხებთან ერთად, ცალ-ცალკეა გამოყოფილი ფართობი: ვენახების, ბაღებისა და შერეული ბაღ-ვენახების (ხეხილი და ვაზი ერთად). ეს გარემოება ამ წყაროს საკმაო მნიშვნელობას ანიჭებს: მისი უარყოფითი ძხარე ის არის, რომ ცნობები მსხვილი ადმინისტრაციული ერთეულების (მაზრებისა და საპოლიციო უბნების) მიხედვით არის მოცემული.

ეს სტატისტიკური მონაცემები თბილისის სახაზინო პალატის მასალების საფუძველზეა დამუშავებული[1]. ეს ორგანო კი, როგორც ვიცით, ამ მასალას ფისკალური მიზნებით აგროვებდა და „ძლიერ არა საიმედო სტატისტიკურ მასალას წარმოადგენდა“[2].

ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მიერ 1904 წ. მოშავდება საველე „Памятная книжка“, რომლითაც აგროვებენ ცნობებს მოსახლეობის სტატისტიკაზე, რაც ამიერკავკასიაში „ფრიად არა დამაკმაყოფილებლად“[3] იყო მიჩნეული.

„წიგნაკის“ შემდეგი ნაწილი მიწებს ეხება; მის მონაცემებსაც ცენტრალიზებული წესით ამუშავებდა ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტი და ამიტომ მათ ადგილობრივ ორგანოებს არ სთხოვდნენ. რაც შეეხება სხვა სტატისტიკურ ცნობებს, ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის შესახებ, ეს საქმე ავტორთა სიტყვით მოუწყობელია[4]. აღნიშნულის გამო, ადგილებისათვის მუშაობის გაადვილების მიზნით „წიგნაკის“ ავტორებმა გადაუწყვეტიათ პროგრამაში სოფლის მეურნეობის მხოლოდ რამდენიმე ძირითადი დარგის შეტანა და, რაც შეეხება „მეცხოველეობას, მეფრინველეობას, მეფუტკრეობას... მათ შესახებ **Памятная книжка**-ს სტატისტიკურ ნაწილში ცნობების შეტანა ჯერჯერობით“ არა მისურველად არის აღიარებული: „სოფლის მეურნეობის ამ დარგების შესახებ ცნობები შეიძლება მოთავსებულ იქნას მხოლოდ წიგნაკის ალწერილობით

---

[1] იქვე, იხ. სარჩევის 24—25 მუხლი.

[2] **Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края. Издано Закавказским статистическим комитетом под редакцией члена того же комитета Е. Кондратенко. Тифлис, 1899 г., стр. I.**

[3] **Известия Закавказского статистического комитета. 1904 г., том I, стр. 33.**

[4] იქვე, გვ. 34.

ნაწილში და ისიც იმ პროგრამით, რომელსაც უფრო შესასრულებლად მიიჩნევს თავისთვის ესა თუ ის კომიტეტი“ [1].

ამნაირად, როგორც ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტი აღნიშნავს, სას.-სამ. ცხოვრების შესახებ სტატისტიკური ცნობების შეკრება ყველა „სრულიად მოუწესრიგებელია“ და ამ პირობებში იგი მიზნად ისახავს, როგორმე შეკრიბოს ცნობები მხოლოდ მთავარი დარგების შესახებ, დაბარჩენ დარგების შესწავლაზე კი ხელს იღებენ; მათ შესახებ ცნობების წარმოდგენა ნებაყოფლობითია, ცნობები იკრიბება მხოლოდ აღწერილობის სახით და ისიც იშვიათად, ვისაც როგორ მოესურვება.

აი, საქმის ნამდვილი ბიუროკრატიული მიდგომის ნიმუში, მაჩვენებელი „კაზიონი ხალხის“ საქმიანობისა.

პირველი მსოფლიო ომის წინადროინდელ საქართველოს ეკონომიკის შესწავლის საქმეში ერთ-ერთ ღირშესანიშნავ წყაროდაა მიჩნეული თბილისსა და ქუთაისის გუბერნატორების ანგარიშებზე დართული „მიმოხილვები“ (XIX საუკ. დამლევისა და XX საუკ. დასაწყისის ცალკეული წლებისათვის).

ეს „მიმოხილვები“, მთელი რიგი წლების მანძილზე, საკმაოდ სტანდარტული პროგრამით იბეჭდებოდა და ზოგჯერ ერთსა და იმავე ცნობებსაც იმეორებდნენ.

„მიმოხილვის“ პირველ ნაწილში (ტექსტში) ზოგიერთი წლისათვის ცნობები ქვეყნდებოდა აგრეთვე მებაღეობაზე (მაზრობრივ), სახელდობრ: ბაღების რიცხვი, ფართობი, მოსავალი და ზოგჯერ შემოსავალიც. ამ „მიმოხილვაში“ ნათავსებული მასალა მთლად საიმედოდ არ ჩაითვლება. მაგ., ხეხილის ბაღების ფართობი გორის მაზრაში აღებული წყაროთი 1896 წელს 990 დეს. უდრიდა, ხოლო ოთხი წლის შემდეგ, 1900 წლისათვის, — 788 დეს. [2], ე. ი. შემცირებულია თითქმის ერთი მეხუთედით, რაც დაუსაბუთებლად უნდა ჩაითვალოს. პირველი ცნობა მოცემულია ადმინისტრაციულ-საპოლიციო აპარატის მასალების საფუძველზე, ხოლო მეორე — სახაზინო პალატის ბონაცემებია; უკანასკნელი წყარო შედარებით საიმედოდ არის მიჩნეული. ასევე საეჭვოდ მიმაჩნია „მიმოხილვებში“ გამოქვეყნებული ცნობები ხილის მოსავლის შესახებ. მაგ., 1910 წელს ხილის საერთო მოსავალი გორის მაზრაში 81,9 ათ. ფუთით არის ნაანგარიშევი, იმ დროს როდესაც ამავე წელს გორის მაზრიდან რკინიგზებით (და ისიც ნახოლოდ მცირე სისწრაფით) 190 ათასი ფუთი ხილია გაგზავნილი; საგზავრო და დიდი სისწრაფით გაგზავნილი ხილის რაოდენობის ცნობებიც რომ აქ შეგვეტანა, მაშინ ხომ გაცილებით მეტი დაშორება გვექნებოდა ხილის მოსავლისა და მისი გაგზავნის ციფრებს შორის!.

---

[1] Известия Закавказского статистического комитета. 1904 г., том I, стр. 34.

[2] Сборник статистических сведений по Закавказскому Краю. Часть I. 1904 г., стр. 232.

ამ მცირეოდენი შედარებითაც ნათელია, რომ „მიმოხილვებში" გამოქვეყნებული ცნობები საეჭვოა და მათი სარგებლობა-გამოქვეყნების დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო.

ინტერესს არ არის მოკლებული გავიხსენოთ, რომ ნათესებისა და მოსავლის ცნობები, რაც გუბერნატორების წლიურ ანგარიშებში ქვეყნდებოდა, ადმინისტაციულ-საპოლიციო აპარატის მეშვეობით იყო ხოლმე მილებული; პოლიციის ბოქაული სოფლის მამასახლისებისა და მემამულეებისაგან ითხოვდა ამ ცნობებს სახელდახელოდ, სავარაუდოდ. მათ კი „სრულიად გულწრფელი სურვილიც რომ ჰქონოდათ სწორი პასუხის ძოცემისა... არ შეეძლოთ სწორი სურათის მოცემა", რადგან თვითონაც არ იცოდნენ ეს. — როგორც ამაზე მართებულად სწერდა ი. სეგალი[1].

1909—1911 წ.წ. მოცემული ცნობების ნაწილი მოხელეებმა მისაბაჯოლეების მეშვეობით (!?) არის მოპოვებული.

ადმინისტრაციულ-საპოლიციო ცნობათა ზევით აღნიშნული არადამაკმაყოფილობა აქაც ძალაში რჩება; იგივე როგორც „კავკასიის კალენდარში" გამოქვეყნებული სას.-სამ. სტატისტიკის მიმართ[2], ეს ცნობები, მილებული სოფლის მამასახლისებისა და სასოფლო საზოგადოებათა კანცელარიებიდან, „მეტად მცირე უტყუარობით" ხასიათდებოდნენ[3].

აღნიშნულის მიხედვით სავსებით გასაგები ხდება ვ. ი. ლენინის საყვედური მეფის რუსეთის სტატისტიკის შესახებ: „... у нас имеется лишь дикая, неряшливая, канцелярски-путанная статистика разных „ведомств", скорее заслуживающая названия полицейской описки. Российская бюрократия мешает русскому народу узнать всю правду о его положении"[4].

სწორედ ადმინისტრაციული სტატისტიკის ასეთმა არადამაკმაყოფილებელმა მდგომარეობამ[5] აიძულა ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება სტატისტიკურ ცნობათა მოპოვება-თავმოყრისათვის და გამოქვეყნებისათვის მოეკიდა ხელი, რაც ქვევით იქნება განხილული.

წარსულის შესწავლის ერთ-ერთ გავრცელებულ და მნიშვნელოვან წყაროდ ცნობილია აგრეთვე „კავკასიის კალენდარი".

„კავკასიის კალენდარში" მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან 1917 წლამდე (ჩათვლით) ყოველწლიურად მრავალი სტატისტიკური ცნობა ქვეყნდებოდა მთელ კავკასიაზე და მის შემადგენელ ნაწილებზე (გუბერნიები, მაზრები, ქალაქები და სხვ.). ამ ცნობებში ბლომად გვხვდება აგრეთვე სას.-სამ. სტატისტიკის მასალა, მაგ., 1914 წ. „კავკასიის კალენდარში" (სტატისტიკურ განყოფილებაში) მოთავსებული იყო შემდეგი ცნობები: მიწის

---

[1] Кавказское сельское хозяйство. 1903 г., № 466, стр. 838.

[2] Сельско-хозяйственный обзор Тифлисской губернии за 1908 г. Тифлис. 1909 г., стр. 1—2.

[3] იქვე, გვ. 4.

[4] Ленин, Сочинения. Т. IX, стр. 77—78.

[5] Сельско-хозяйственный обзор Тифлисской губернии за 1908 г. Тифлис, 1909 г., стр. 7.

ფართობები, მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი და მოსავალი კავკასიაში (1912 წ.) და პირუტყვის რაოდენობა; 1915 წელს გამოქვეყნებული იყო: მარცვლეული კულტურების ნათესები და მოსავალი, საბეითლო დახმარების ორგანიზაცია, პირუტყვის ეპიზოოტია, პირუტყვის რაოდენობა და ცნობები მევენახეობაზე; 1916 წ. „კავკასიის კალენდარში“ გამოქვეყნდა: მარცვლეულის ნათესები და მოსავალი (1914 წ.), ჩაის კულტურა, მებამბეობა და გადახლების საქმე; 1917 წ. „კავკასიის კალენდარში“ შეტანილია: მარცვლეულის ნათესები და მოსავალი (1915 წ.), პირუტყვის რაოდენობა (1915 წ.) და ჩაის კულტურა.

როგორც ვხედავთ, გამოქვეყნებული ცნობები საკმაოდ მრავალფეროვანია და დაწვრილებითია, მაგრამ მათი ხარისხი არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. მაგალითისათვის ავიღოთ უკანასკნელი ორი წლის (1916 და 1917 წ. წ.) „კავკასიის კალენდარში“ გამოქვეყნებული მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობებისა და მოსავლის სტატისტიკური ცნობები.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ნათესები დაკავებული მთელი ფართობი მოცემულია დესეტინობით, ხოლო ნათესები — ცალკეული კულტურების მიხედვით, ჩეთვერთებში (?!). რატომ არ არის მიღებული ერთიანი საალრიცხვო ერთეული? 1914 წ. ნათეს ფართობებში მოცემული არ არის ზუგდიდის მაზრის ცნობები, ამიტომ არც მთელი კავკასიის გუბერნიის ჯამია გამოქვეყნებული. პირველი მსოფლიო ომის შედეგად ნათესი ფართობების საყოველთაო შემცირება ხდება, მაგრამ თბილისის გუბერნიის ორ მაზრაში ნათესების გაზვიადებული ზრდა არის აღნიშნული, მაგ., გორის მაზრაში ნათესების მთელი ფართობი 1914 წ. 56,4 ათ. დეს. უდრიდა, ხოლო 1915 წ. — 136,5 ათას დესეტინას: ამაზე უფრო მეტი ნახტომი გვაქვს თბილისის მაზრისათვის, სადაც ნათესებს ეკავათ 1914 წ. 31,1 ათ. დეს., ხოლო 1915 წ. — 137 ათ. დეს., ე. ი. ოთხჯერ მეტი. რამ გამოიწვია ასეთი ზრდა? იგი სინამდვილეა, თუ ფანტაზია? ამავე დროს, ამავე თბილისის მაზრაში მარცვლეულის მოსავალი 1914 წელს 215,8 ათ. ჩეთვერთამდე არის ნაჩვენები, ხოლო 1915 წლისათვის იგი 209,2 ათ. ჩეთვერთამდე შემცირდება ზევით აღნიშნული ნათესი ფართობების 4-ჯერ გადიდების პირობებში. რატომ შემცირდა ასე მნიშვნელოვნად მოსავალი?

აი, ღირსება და ხარისხი ადმინისტრაციული ცნობებისა. აქედან სრულიად გასაგებია (ბ. ჩიგოგიძის) დასკვნა „კავკასიის კალენდარში“ გამოქვეყნებულ ცნობათა „ცხად არაკეთილხარისხოვანებაზე“ [1]. ამაზე მრავალი სხვა ავტორიც წერდება და ჩვენც აღვნიშნეთ ზევით.

მაგრამ ზევით აღნიშნული ნაკლი იქნება მხოლოდ მიმდინარე დაკვირვებით მოპოვებულ მონაცემებს ახასიათებდა და უკანასკნელად ჩატარებული აღწერების ორგანიზაცია და მოპოვებულ მასალათა თავმოყრა-გამოქვეყნება ღრმათესად იყო დაყენებული?

[1] Вестник статистики Грузии. 1921 г., № 1, стр. 1.

1916 წ. სრულიად რუსეთის სას.-სამ. (უფრო სწორად — სასურსათო) აღწერის მიზანი[1] იყო სასურსათო რესურსებისა და მარაგის გამოვლინება. აღწერის პროგრამაც ამ ამოცანათა განხორციელებას ემსახურებოდა. აღწერა უნდა შეხებოდა მთელ რუსეთის იმპერიას (ფინეთის გარდა) და 2—3 თვის განმავლობაში ჩატარებულიყო (საექსპედიციო წესით). ფაქტიურად აღწერა მთელ ყოფილ რუსეთის იმპერიას არ შეხებია; იგი არ გავრცელდა არა ევროპის მტრის მიერ იმ დროისათვის დაკავებულ ტერიტორიაზე, არამედ რუსეთის იმპერიის ზოგიერთ თავისუფალ ნაწილებზედაც (ციმბირი, შუა აზია და სხვა კუთხეები).

სოფლად ყველა მეურნეობანი აღიწერებოდნენ, ხოლო სხვაგან (ქალაქებში, სადგურები, აგარაკები, ქალაქების განაპირა უბნები, საქარ.-საფ. ადგილები) თუნდაც სამიწათმოქმედო საქმიანობა ჰქონოდათ, აღრიცხვა არ ტარდებოდა. გლეხური და მფლობელური მეურნეობანი სხვადასხვა სახის ბლანკებით აღიწერებოდნენ. გლეხურ მეურნეობათ აკუთვნებდნენ ისეთ მეურნეობებს, რომელთა წარმოება სრულიად ან ნაწილობრივ თვით პატრონისა და მისი ოჯახის წევრების მეშვეობით ხდებოდა. არაგლეხურ (ანუ მფლობელურ) მეურნეობათ კი აკუთვნებდნენ დაქირავებული შრომით წარმოებულ მეურნეობათ. გლეხური მეურნეობა, თუ მას 50 და ნაკლები დეს. ბიწა ჰქონდა და მეურნეობას საკუთარი ინვენტარით და პირუტყვით აწარმოებდა და შენობებიც ჰქონდა. მფლობელური ბლანკით შეისწავლებოდა.

გლეხურ მეურნეობათა აღწერა სამი სახის ფორმულარით ჩატარდა: ა) ყველა მეურნეობაში, რომელიც სახლის მფლობელთა სიებში იყო შეტანილი, აღირიცხებოდა: მოსახლეობა, მეურნეობის სარგებლობაში მყოფი სახნავი მიწები, პირუტყვი (სახეობისა და ასაკის მიხედვით) და ნათესები (კულტურების მიხედვით); ბ) მექანიკურად შერჩეულ მეურნეობათა 5%-საგან (გარდა წინა ნუხლში ჩამოთვლილისა) ცნობები გროვდებოდა ავრეთვე 1915 წ. პირუტყვზე და ნათესებზე და 1915 და 1916 წ.წ. მოსავალზე; გ) მეურნეობათა 2%-ზე, გარდა წინა მუხლებში აღნიშნული ცნობებისა, იკრიბებოდა მთავარი სასურსათო პროდუქტებისა და ფურაჟის შემოსავალ-გასავალი.

მფლობელურ მეურნეობაში აღირიცხებოდა: მოსახლეობა, პირუტყვი და ნათესები (1915 და 1916 წ.წ.), და მთავარი სასურსათო პროდუქტებისა და ფურაჟის მარაგი.

აღწერით მოპოვებული მასალების დამუშავება მეურნეობათა ძირითად ელემენტებს შეეხო (მოსახლეობა, პირუტყვი და ნათესი ფართობები) და ჩატარებულ იქნა გლეხურ და მფლობელურ მეურნეობების ცალ-ცალკე სამზარეულო და საგუბერნიო ჯამები.

ამ აღწერას მრავალი ნაკლი ახლდა. მაგ., მეურნეობათა კატეგორიების ზუსტი განსაზღვრელობა, ჭრელობა (არ იყო სრული და ყველა მეურნეობათა შემცველი). აღწერა არ იყო საკმარისად მომზადებული და დაჩქარებით ჩა-

[1] ლ. კარბელაშვილი, უახლესი სასოფლო სამეურნეო აღწერები საქართველოში. „სტალინის სახელობის თ. ს. უ. სამეცნიერო სესია". 1945 წ., გვ. 51.

ცარდა; მოსახლეობა უნდობლად შეხვდა აღწერას და შემცირებული მონაცემები მიაწოდა; მეურნეობათა ტიპების მიხედვით მასალების დამუშავებას არ მიექცია საჭირო ყურადღება და სხვ.

აღწერას საკმაოდ ახასიათებდა ორგანიზაციულ-პროგრამული გაურკვევლობაც. ამ აღწერაში მეც ვღებულობდი მონაწილეობას (ლეხურის ხეობაში. განსვენებულ აკად. ს. მ. ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით). ბოლომდე ინსტრუქციით ზაფხულის იალაღებზე გარეკილ საქონელს სოფლებში აღარ ეწერდით, რადგან ეს საქონელი იქ, იალაღებზე, უნდა აღწერილიყო. და როდესაც ორი თვის ინტენსიური მუშაობის შედეგად აღწერის მასალები წარვადგინეთ, მოითხოვეს იალაღებზე გარეკილ საქონლის სოფლებში მეფლობელთა მიხედვით დამატებითი აღწერა. მიუხედავად ჩემ მიერ მიღებული ყოველგვარი ზომებისა, ლეხურის ხეობის სოფლების (ოცდაათამდე) მეორედ ჩამოვლისას. საზაფხულო იალაღებზე გარეკილი საქონლის სრული აღწერა-გაანგარიშება ვეღარ გაძნელდა, რადგან მოსახლეობა უფრო ძლიერ დაეჭვდა აღწერის მიზანდასახულობაში.

1916 წ. აღწერის მასალებიდან საქართველოსათვის მხოლოდ ზოგიერთი ცნობა იქნა გამოქვეყნებული[1], მაგ., მარცვლეული კულტურების ფართობები, ნათესების ფართობები კულტურების მიხედვით, პირუტყვის რაოდენობა.

1917 წ. სასოფლო-სამეურნეო და საადგილმამულო აღწერის შედეგები საქართველოში სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მიერ გამოქვეყნებულია, ერთის მხრივ, „მაზრობრივი ჯამების" სახით, და მეორე მხრივ, ცალ-ცალკე მაზრების მიხედვით (სოფლობრივ) აღმ. საქართველოსათვის; დას. საქართველოს მაზრებისათვის (ზუგდიდის მაზრის გარდა) ასეთი ცნობების გამოქვეყნება ვერ მოხერხდა.

როგორც ცნობილია, ეს აღწერა პირველი მსოფლიო ომით გამწვავებულ სასურსათო კრიზისისა და აგრარული რეფორმის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით ჩატარდა. აღწერა გავრცელდა როგორც გლეხურ, ისე კერძო მიწათმფლობელობაზე და შედარებით ამომწურველი პროგრამით განხორციელდა. აღწერა შეეხო: მოსახლეობას, პირუტყვს, ნათესებს, მრავალწლიან ნარგავებს, მიწათმფლობელობას, მიწის იჯარას, მუშა ხელის დაქირავებას, სას.-სამ. ინვენტარს და სხვა.

გარდა იმისა, რომ აღწერის პროგრამას და ორგანიზაციას მთელი რიგი დეფექტები ახასიათებდა (პროგრამის სირთულე, მომზადებული საალწერო პერსონალის ნაკლებობა და სხვა), არც თვით აღწერის დრო იყო ხელსაყრელი (სასურსათო კრიზისი, ომიანობა), რაც მოსახლეობაში უნდობლობას იწვევდა აღწერისა და საალწერო პერსონალისადმი.

მიწათმფლობელთა მნიშვნელოვანი ნაწილი (თავადაზნაურობა, ვაჭრები, სოფლის კულაკობა და სხვ.), მოსალოდნელი აგრარული რეფორმის მოლოდინში, პირდაპირ მტრულ დამოკიდებულებას იჩენდა აღწერისადმი. გარდა ამისა, „აღწერის დაწყებისთანავე ცენტრალურ ბიუროს დახვდა ადგილებზე

[1] სტატისტიკური კრებული 1909—1921. თბ., 1923 წ., გვ. 15, 18—19, 26—27.

დიდი სიძნელენი, ზოგან კი სრულიად დაუძლეველი დაბრკოლებანიც. საველწერო პერსონალი იწყოფებოდა ძლიერ მძიმე პირობებში, როგორც სურსათის (ზოგ ადგილებში აღმწერებზე სანოვაგეს არ ჰყიდდნენ), აგრეთვე მიმოსვლის საშუალების მხრივ" [1].

ყველა ამან უარყოფით იმოქმედა აღწერის მსვლელობაზე და მისი შედეგები საკმაოდ დეფექტური აღმოჩნდა; ზოგ შემთხვევაში — პროგრამით გათვალისწინებული საკითხები სრულად არ იყო გაშუქებული (მაგ., იჯარის გაცემა და აღება), ხოლო მეორე შემთხვევაში ზოგი საკითხი იმდენად არადამაკმაყოფილებლად იქნა აღრიცხული, რომ მასალის დამუშავებაზე ხელი აიღეს (მაგ., შუშა ხელის დაქირავება, დამხმარე სარეწაოები, საერთო სარგებლობის საძოვრები, ინვენტარი და სხვა).

სხვა ნაკლულოვანებასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ვენახებისა და ბაღის სიერცის ნაწილში არ იქნა განაწილებული ცალკე ვენახებისა და ცალკე ბაღების ქვეშ" [2] მყოფი ფართობი.

აღნიშნულ ნაკლთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე მთელი რიგი სოფლების გამოტოვება; მაგ., ბეხილეობის ერთ-ერთ ცენტრში, თანამედროვე დიცისა და ტირძნისის სას.-საბჭოები სრულებით არა ჩანს გამოქვეყნებულ სოფლობრივ ჯამებში; ამ ორ სას.-საბჭოში 1937 წ. აღრიცხვით ერთიანი ბაღების ფართობი 635,7 ჰექტ. უდრიდა, ხოლო გაფანტული ხეხილის დაახლოებით 224 ჰექტარს, — სულ დაახლოებით 859,7 ჰექტარს. გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში გამოქვეყნებული ცნობა ნაწილობრივია: მაგ., ზოხისისაოვის და ზემო-ხვედურეთისათვის არ არის მოცემული გლეხური მეურნეობები.

თუ იმასაც დავუმატებთ, რომ აღწერით მოპოვებული ცნობები, ერთის მხრივ, აღრიცხვის სიძნელეების გამო, და, მეორე მხრივ, მოსახლეობის აღწერისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზით, საკმაოდ შემცირებულად უნდა ჩაითვალოს, მაშინ უფრო ნათელი გახდება, რომ ამ აღწერის საფუძველზე მიღებული შედეგები მხოლოდ დაახლოებით წარმოდგენას იძლევიან მკვლევარისათვის საინტერესო საკითხებზე. არავითარი საკონტროლო მასალა არ მოიპოვება, რომ შემცირების კოეფიციენტი იქნას გამოანგარიშებული.

III. მეფის დროინდელ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სტავისტიკა

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის შეუსწავლელობა და მისი ავკარგის უცოდნელობა ბევრს აწუხებდა. ქართველი ინტელიგენციის მოწინავე პირები აქცევდნენ ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას, ხაზს უსვამდნენ შექმნილ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას და ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად წვლილი შეეტანათ საქართველოს სინამდვილის შესწავლის საქმეში.

გ. მაიაშვილი თავის წერილში („წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოწინავეთა მიმართ") 1882 წელს წერდა: „მეტისმეტი უარაროობაა ჩვენში შესახებ იმგვარ წყაროთა და მასალათა, რომლის შემწეობით შეიძლებოდეს მტკიცედ მეცნიერულად აღიარებულ და დადგენილ იქნას, რომ აი, ისეთი და ასეთია

[1] „მახრობრივი ჯამები", გვ. 2.
[2] იქვე, გვ. 2—3.

თანამედროვე მდგომარეობა ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისაო. „ჩვენში არ არსებობს არც კერძო ადგილობრივი გამოკვლევანი, არც სტატისტიკური წიგნი, და, დასასრულ, არც ოფიციალური მმართველობის მიერ გამოქვეყნებული ცნობანი“-ო [1].

ამას მოსდევს ავტორის მიერ საჭირო ცნობათა მოპოვების საპროგრამო საკითხების ჩამოთვლა და მათი საკმაო სისრულით და ამომწურველობით განხილვა.

ბოლოს, ავტორი აცხადებს, რომ „მოზეტებული ნაწილი ჩვენში გამოცემულ ბროშურებისა და ჟურნალში დაბეჭდილი სტატიებისა ამტკიცებს, რომ ამ მხრივ ჩვენს მწერლობას სრულებით თავი არ მეცწუხებია, მას არა აქვს შეცნობიერებული მტკიცედ მოფიქრებული და ბოკლედ მოკრილი პროგრამა“-ო [2].

დიახ, საჭირო ცნობათა უქონლობის პირობებში სამოქმედო-საკვლევო პროგრამის უქონლობაც — აი, კიდევ ერთი უარყოფითი შტრიხი იმდროინდელი სახელმწიფოებრიობა-საზოგადოებრიობისა.

ა. ხახანაშვილი ერთ-ერთ წერილში [3] ეხებოდა სტატისტიკის შესწავლობას ეკონომიური ცხოვრებისა და სხვა საკითხთა შესწავლის საქმეში და აღნიშნავდა, რომ ახლა „ჩვენში იდგამს ფეხს ამგვარი ცნობების წარმოება და შეკრება“-ო; ამასთან ერთად, ეხებოდა რა მოსახლეობის შესახებ „კავკასიის კალენდარში“ პერიოდულად ბეჭდილ მასალას, იგი წერდა: „ამ ცნობას ეჭირვება კრიტიკული და ფრთხილი თვალით აწონდაწონა“-ო [4].

ამავე წელს ი ს - ა რ ი ძ ე [5] თავის წერილში „კავკასიის სასტატისტიკო ცნობების მოყვარულთათვის“, იხილავდა რა სტატისტიკური ცნობების შეკრების საჭიროებას საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა ჩხარეთა შესახებ, აღნიშნავდა: „პროგრამის შეწუმავება ფრიად საჭირო და საჩქაროა, რადგან ბევრი ახალგაზრდა არის ცსურველი ამ ნაადგზე იმოქმედოს და უპრავრაღებისა გამო ხელი ვერაფრისთვის ვერ მოუკიდნიათ“-ო. საჭირო ცნობების შეკრება მას შესაძლებლად მიაჩნდა დაევალებოდა: საფილოქსერო დასის მუშაკებს, მასწავლებლებს, სტუდენტებს, ინტელიგენციას.

ავტორი მხედველობაში ღებულობდა რა რუსეთის სტატისტიკური საზოგადოების „კაზიონი ხალხისა“ და „ჩინოვნიკების“ ხელში მოქცევას, სიურთხილეს იჩენდა და თხოულობდა: „ეს არა „საჩინოვნიკო“ საქმე სინდისიერ და წრფელი გულით მომქმედ ახალგაზრდებს მიეანდოთ“-ო.

მაგრამ, ყველა მოთხოვნა, რომ მუშაობა გაშლილიყო, „საქართველოს წარსულის სასტატისტიკო და საეკონომიო შესასწავლად“ (ა. ხახანაშვილი), უშედეგოდ რჩებოდა.

როგორც ზევით მოცემულ მიმოხილვიდან დავინახეთ, მთელი მეცხრამეტე საუკუნე ისე გავიდა, რომ ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მდგომა-

---

[1] „ივერია“, 1882 წ. 9, გვ. 102 და შემდეგი.
[2] იქვე, გვ. 116.
[3] „ქვალი“, 1895 წ., № 15, გვ. 11—12.
[4] იქვე, გვ. 10.
[5] იქვე, გვ. 8—11.

რეობა-განვითარების შესახებ რაიმე სრული და გარკვეული, დაზუსტებული მონაცემები არ გამოქვეყნებულა არც ძირითადი და არც ძიმდინარე სას.-სამ. სტატისტიკიდან, რასაც განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ამიერკავკასიის მეურნეობის ერთ-ერთი მცოდნე არ. ფირალოვი თავის წერილში[1].

ანნაირად, XIX საუკუნის დამლევისათვის მოწინავე ადამიანები სულ უფრო და უფრო მეტად იწაღლებდნენ ხმას საქართველოს სინამდვილის შესწავლის აუცილებლობისათვის. ბაგრამ, ოფიციალური სტატისტიკის წარმომადგენელნი სრულსა და საიმედოს ვერაფერს ვერ იძლეოდნენ.

აღნიშნულის გამო იმდროინდელი სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ორი საყურადღებო ანკეტა მუშავდება. ერთი საერთო ხასიათისაა, რომელიც მიზნად ისახავდა იმდროინდელი სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესწავლას, ხოლო მეორე — სპეციალურად მებაღეობის შესასწავლადაა შედგენილი. ეს ანკეტები განსაკუთრებით საყურადღებოა და საინტერესო.

პირველის შესახებ „საყურადღებო პროექტის“[2] ავტორი 1902 წ. გვაცნობს, რომ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან სტატისტიკური ბიურო დაარსებულა. ბიუროს გამგედ მიუწვევიათ ფ. გ. გოგიჩაიშვილი, რომელსაც შეუმუშავებია ფრიად ამომწურავი პროგრამა იმდროინდელი სოფლის მეურნეობის საჭირბოროტო საკითხთა შესასწავლად. პროგრამაში სამოცამდე კითხვაა დაყენებული, რომლებითაც შეიძლებოდა ფართოს ახდა სოფლის მეურნეობასა და ცხოვრების გაჭირვებული მდგომარეობისათვის, შეიძლებოდა მისი ავკარგიანობის გამომზეურება. ავტორს პროგრამაში შეტანილი აქვს ჩვენი სოფლის ყოველი მხარე და ცალკეული სპეციალური დარგებიც, მაგ., „რამდენადაა გავრცელებული აღნიშნულ რაიონში მეღვინეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, ფრინველებისა და თხეფხის მოვლა-მოშენება? აღწერეთ დაწვრილებითი ტექნიკა, ეკონომიური პირობანი და შემოსავლიანობა თვითეულ აქ დასახელებულ წარმოების დარგთა“[3].

როგორც პროფ. ფ. გ. გოგიჩაიშვილმა გადმოგვცა, მათ ამ პროგრამით საკმაო ცნობები ვერ ჰიულიათ და გაწეულ შრომას სრული ნაყოფი ვერ გამოუღია; დაგზავნილი ანკეტების შევსებაზე თავი ბევრს აო შეუწუხებია.

მეორე ანკეტა „მებაღეობის რუსეთის საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ ბიერ არის შედგენილი[4].

ეს ანკეტა წარმოადგენს პასუხს მებაღეობის სპეციალურად შესწავლის იმ საჭიროებაზე, რომელზედაც მიუთითებდა სოფლის მეურნეობის ბევრი მცოდნე პირი; კერძოდ, ნ. სპეშნევი 1895 წ. წაკითხულ მოხსენებაში ერთერთ მთავარ ღონისძიებად მებაღეობის განვითარებისათვის ამ დარგის სტა-

[1] Кавказское сельское хозяйство. 1894 г., № 13. стр. 238.

[2] „ცნობის ფურცელი“. 1902 წ., № 21, გვ. 343—355.

[3] იქვე, გვ. 344.

[4] Труды Кавказского отд. Российского об-ва садоводства. Том I, Тифлис, 1896 г.

ტისტიკურ შესწავლას სთელიდა, თუნდაც მებაღეობის მთავარ რაიონებში[1]. აძასვე იმეორებდა იგი რამდენიმე წლის შემდეგ[2].

ანკეტის ავტორები კავკასიის მებაღეებს სთხოვდნენ შეევსოთ იგი თავიანთ მეურნეობაზე და დაებრუნებინათ განყოფილებისათვის. ანკეტაში შეტანილია მრავალი ისეთი კითხვა, რომლითაც შეიძლებოდა იმდროინდელი მებაღეობის მდგომარეობა-განვითარების სრული სურათის მიღება და საჭირო პრაქტიკულ ღონისძიებათა დამუშავება.

ამიერკავკასიასა და თბილისში გამოსული მთელი პერიოდიკა (არსებული თბილისის ბიბლიოთეკებში) ყურადღებით გადაეათვალიერე, მაგრამ ვერ ვნახე, თუ რა ბედი ეწვია ამ ანკეტას; შევსებული ცნობები დამუშავდა თუ არა, და თუ დამუშავდა — რა იქნა? თუ ანკეტამ შედეგი გამოიღო და იგი აღმოჩენილ იქნა, ჩვენი მეხილეობის უახლოესი წარსულის მკვლევარს საუკეთესო მასალა ექნება მისი სრული და ამომწურავი გაშუქებისათვის.

როგორც ცნობილია, ადმინისტრაციული სტატისტიკის სისუსტის გამო, მთელ რუსეთის იმპერიაში და მასთან ერთად ამიერკავკასიაშიც, სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ ცნობათა მოპოვების საქმეში, საკმაოდ იყო გავრცელებული საკორესპონდენტო ქსელით სარგებლობა; სოფლის მოსახლეობიდან შერჩეული იყვნენ პირები, რომელნიც ნებაყოფლობის საფუძველზე უსასყიდლოდ აწვდიდნენ დაინტერესებულ ორგანოებს (მათთვის დაგზავნილ ბლანკების მიხედვით) ცნობებს სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

საკორესპონდენტო ქსელის ორგანიზაცია ამიერკავკასიაში XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება.

1890 წელს რუსეთის მიწათმოქმედების დეპარტამენტისა და სოფლის მრეწველობის სტატისტიკურ განყოფილებას მთელი ამიერკავკასიიდან[3] მიღებული ჰქონია მხოლოდ ხუთი კორესპონდენცია (მათ შორის: ერთი თბილისის გუბერნიიდან და ერთიც ქუთაისის გუბერნიიდან). სამიოდე წლის შემდეგ კორესპონდენტთა რიცხვი 111-დე გაზრდილა (მათ შორის: 29 კორესპონდენტი ყოფილა თბილისის გუბერნიიდან და ათდენივე ქუთაისის გუბერნიიდან), ხოლო შემდეგი წლების განმავლობაში საკორესპონდენტო ქსელი თანდათან გაფართოებულა.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სტატისტიკური ბიუროც ამ საკორესპონდენტო ქსელის მონაცემებით სარგებლობს თავისი „მიმოხილვების“ შედგენისას, რომლებიც მან 1908 წელს გამოუშვა ჯერ თბილისის გუბერნიისათვის და შემდეგი წლიდან კი ამიერკავკასიისათვის. დასახელებული სტატისტიკური დაწესებულება თავის მუშაობას თანდათან აფართოებდა, რასაც თან სდევდა საკორესპონდენტო ქსელის გაფართოებაც.

---

[1] Сборник сведений по плодоводству в Закавказском Крае. Тифлис, 1895 г., стр. 9—12.

[2] Труды Кавказского отделения Российского об-ва садоводства. 1898 г., том I стр. 11.

[3] Кавказское сельское хозяйство. Тифлис, 1894 г., № 13, стр. 236.

სტატისტიკურ ბიუროს თავის პირველ მიმოხილვაში: „Сельско-хозяйственный обзор Тифлисской губернии за 1908 год" (Тифлис, 1910 г., XII—64), მხოლოდ ციფრობრივი მასალა (ცხრილები) ჰქონდა გამოქვეყნებული, ხოლო შემდეგ წლებში ციფრობრივ მასალასთან ერთად იგი ტექსტსაც აქვეყნებდა.

აქ გამოქვეყნებული ცნობები საკმაოდ მრავალფეროვანია და ეხება მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც „მიმოხილვის" წინასიტყვაობის ავტორის სამართლიანი შენიშვნით „კავკასიის ლიტერატურაში აქამდე ვერ ჰპოვებდნენ სტატისტიკურ დაწუშავებას მასიური ციფრების გზით" [1].

შემდეგ წლებში „მიმოხილვათა" შინაარსი უფრო უმჯობესდება, მდიდრდება და 1913 წელს იგი [2] უპირველეს წერტილს აღწევს თავისი პროგრამის სიმდიდრისა და ცნობათა შედარებითი ამომწურველობით. ამ „მიმოხილვის" პირველ ნაწილში მოცემულია ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის ტექსტური მიმოხილვა (მეტეოროლოგიური ცნობები, სეტყვა, სას.-სამ. მცენარეთა მავნებლები, მოსავალი და მესაქონლეობის მდგომარეობა), ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს ცხრილებს: თივის აღება და მოსავალი, სას.-სამ. კულტურების (აქ შედის მრავალწლიანი ნარგავებიც) მოსავლიანობის დახასიათება და მრავალწლიანი კულტურების ფართობების ცვლილებები: ყურძნის მოსავალი, ფასები ღვინოზე და ყურძენზე: მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობისა და მესაქონლეობის მდგომარეობის დახასიათება; ფასები სას.-სამ. პროდუქტებზე, მუშახელზე და მიწებზე; საიჯარო გაცემასახადი მიწაზე, 1 დესეტინა ფართობის დასათესად საჭირო თესლის რაოდენობა და სხვ. ყველა ეს ცნობები მაზრებისა და გუბერნიების მიხედვით არის მოცემული.

1913 წლამდე ცნობების შეკრება წელიწადში ერთხელ ხდებოდა, უმეტესად ოქტომბერში, როდესაც მოსავლის აღება დამთავრებული იყო, 1913 წლიდან კი სტატისტიკური ბიუროს ფინანსიური მდგომარეობა გაუმჯობესებულა და საკორესპონდენტო ქსელიც საგრძნობლად გაზრდილა. აღნიშნულის გამო ცნობების შეკრებისათვის სეზონური ხასიათი მიუციათ; კორესპონდენტები ცნობებს წელიწადში ოთხჯერ უგზავნიდნენ სტატისტიკურ ბიუროს (15 მაისისათვის, აგვისტოს დასაწყისისათვის, შუა ოქტომბრისათვის და დეკემბრის დამლევისათვის) [3]. თითოეული პერიოდისათვის (სეზონთან შეფარდებით) სტატისტიკურ ბიუროს სათანადო საკითხები შეჰქონდა კორესპონდენტებისათვის დაგზავნილ ბლანკებში.

ის ნაკლულოვანებები, რომლებიც საბჭოთა სტატისტიკის მიერ არის აღნიშნული საკორესპონდენტო ქსელის შესახებ, ცხადია, შეინიშნებოდა აგრეთვე ამიერკავკასიაშიც.

---

[1] Кавказское об-во сельского хозяйства. Статистическое бюро. Сельско-хозяйственный обзор Тифлисской губернии за 1908 год. Тифлис, 1909 г., стр. 1.

[2] 1913 г. Сельско-хозяйственный обзор по Закавказью. Тифлис, 1914 г., год VI-ой, стр. 56—171.

[3] იქვე, გვ. 3.

უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს კორესპონდენტთა რიცხვი და მათი სოციალური შემადგენლობა.

როგორც აღვნიშნეთ, საკორესპონდენტო ქსელი ამიერკავკასიაში თანდათან ფართოვდებოდა და პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში მან მაქსიმალურ დონეს მიაღწია, მაგ., 1909 წ. 406 კორესპონდენტი იყო, ხოლო 1913 წ. — 1869.

თუმცა საკორესპონდენტო ქსელი გამუდმებით იზრდებოდა, მაგრამ ცალკეულ მაზრებში იგი საკმაოდ ცვალებადი და შედარებით მცირე იყო. ამავე დროს ეს ქსელი აღებული მაზრების ტერიტორიაზე არათანაბრად ნაწილდებოდა; როგორც წესი, კორესპონდენტები უმთავრესად მსხვილ დასახლებულ და რკინიგზების ახლო მდებარე სოფლებიდან იყვნენ წარმოდგენილნი, ხოლო შორშორებით მდებარე ადგილები ხშირად დაკვირვების გარეშე რჩებოდა.

ამასთან ერთად, რაკი ცნობების წარმოდგენა ნებაყოფლობითს ხასიათს ატარებდა, ამიტომ ცნობებს ყველა კორესპონდენტი სისტემატურად არა გზავნიდა; მას მხოლოდ ის ნაწილი ადგენდა, რომელსაც ამისათვის მეტი დრო და შეგნება ჰქონდა. ამის გამო, ეს ცნობები მთლად სრული არ იყო, სოფლის ეკონომიკის ცალმხრივ დახასიათებას იძლეოდა, უფრო შეძლებული და მოწინავე მეურნეობებისათვის, ხოლო დანარჩენი ნაწილი დაკვირვების გარეშე რჩებოდა. ადგილებიდან მიღებულ მასალას ცენტრი „ბრმად“ უნდა დაყრდნობოდა, რადგან მას მცირე საკონტროლო ბასალა ჰქონდა მიღებული ცნობების კრიტიკული განხილვისათვის; ცენტრს არ შეეძლო ადგილებზე მცოდნე პირთა გაგზავნის საშუალებით მათი შემოწმება. ცხადია, ყველა აღნიშნული თავის უარყოფით დაღს ასვამდა ამ გზით მიღებულ მასალას. ამ გარემოებას ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში მიაქციეს ყურადღება. ი. სეგალი სრულიად მართალი იყო, როდესაც იგი მიუთითებდა, რომ საკორესპონდენტო ქსელი მხოლოდ მცირე ტერიტორიალურ უბნებს, ან სოფლის საზოგადოებათ თუ მათ ეკონომიკას ეხება და ამიტომ მას არ შეუძლია ასახოს მსხვილი რაიონის ეკონომიური ვითარება „და ამიტომ ვერ აღწევენ არსებით მიზანსო“ [1]. საკორესპონდენტო ქსელის ტერიტორიის მიხედვით არა დამაკმაყოფილებელ განაწილებას თვით „ნიმოხილვის“ ავტორებიც აღნიშნავდნენ.

შემდეგ წლებში პ. პეტროვს ეს გარემოება (1912—1913 წ. წ.), ქსელის გაფართოების გამო, თუმცა გადალახულად მიაჩნდა, მაგრამ მის ასეთ ოპტიმისტურ შეფასებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ, რადგან მოცემული ცნობები ამაა მთლად არ ადასტურებენ.

აღნიშნულთან ერთად ყურადღებას იქცევს თვით კორესპონდენტთა შემადგენლობა; ვინ იყვნენ ეს კორესპონდენტები, მოსახლეობის რა ჯგუფებს წარმოადგენდნენ და რა მდგომარეობის პირთაგან შედგებოდნენ?

აღნიშნულზე გარკვეულ პასუხს იძლევა შემდეგი ცხრილი, რომელიც ამიერკავკასიის საკორესპონდენტო ქსელის [2] შემადგენლობას შეიცავს (%/%-ში ჯამის მიმართ):

[1] Кавказское сельское хозяйство. Тифлис. 1903 г., № 466, стр. 893.

[2] 1912. Сельско-хозяйственный обзор по Закавказью. Год V-ый, Тифлис, 1912 г., стр. VII.

ცხრილი № 1

წლები	მიწათ-მფლო-ბელნი	ვაჭრები	სასუ-ლიერო წოდება	სოფლის მასწავ-ლებლები	მოურავები და ტყის მცველები	სხვადა-სხვა პირები	გამოუსა-ყველი	სულ
1910	20,8	3,5	24,0	22,4	3.9	15,8	8,0	100
1913	16,1	18,6	8.4	24,4	7,6	14,1	10,8	100

საკორესპონდენტო ქსელის ასეთი შემადგენლობა, ცხადია, მთლად ვერ უზრუნველჰყოფდა სწორი და უტყუარი ცნობების მიღებას. მასში ნაკლებ არის წარმოდგენილი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც შეეძლო სინამდვილის სრული და უტყუარი ასახვა.

ამაზე ნათლად მიგვითითებს ქართლის საკორესპონდენტო ქსელის შემადგენლობა[1] (პერსონალური სიების მიხედვით დამუშავებული) მისი მაქსიმალური განვითარების დროისათვის (1913 წ.).

ცხრილი № 2

ვინ არის კორესპონდენტად	ქალის მაზრა	დუშეთის მაზრა	თბილისის მაზრა	სულ
1. მემამულე	32	2	6	40
2. მღვდელ-დიაკონი	15	10	9	34
3. პოლიციელი, მამასახლისი, სოფლის მწერალი	8	4	6	18
4. მოურავი, მოიჯარადრე	10	1	4	15
5. მასწავლებელი	15	4	4	23
6. აგრონომი	2	—	—	2
7. მებაღე, მევენახე, მებოსტნე, მეცხვარე, მეფუტკრე	4	6	2	12
8. მეტყეე, ტყის მცველი	5	1	—	6
9. გლეხი	6	—	3	9
10. გადასახადების ამკრეფი, მოსამართლე, ინსტრუქტორი და მოანგარიშე	2	—	6	8
11. ტექნიკოსი, ზეინკალი	1	—	1	2
12. ვაჭარი	2	2	—	4
13. გამოუკვეთელი	6	2	2	10
სულ	108	32	43	183

[1] 1913. Сельско-хозяйственный обзор по Закавказью. Тифлис, 1914 г., стр. 159—163.

კორესპონდენტთა უდიდეს ნაწილს შეადგენენ: მიწათმფლობელნი, სამღვდელოება, საპოლიციო-ადმინისტრაციული პერსონალი და მოურავ-მოიჯარადრენი (107 კაცი), ე. ი. გაბატონებული წოდება და მათთან დაახლოებულნი, რომელნიც, მეტწილად, სრული და შემოწმებული ცნობების მოცემისათვის თავს ბევრად არ შეიწუხებდნენ.

აგროპერსონალი და გლეხები, რომელნიც სოფლის მეურნეობაში უშუალოდ იყვნენ ჩაბმულნი, მცირედ იყვნენ წარმოდგენილნი. მასწავლებლებთან ერთად სწორედ ბათ შეეძლოთ შედარებით უკეთესად, ვიდრე სხვა პირებს, სოფლის მეურნეობის მდგომარეობის დახასიათება, ბაგრამ მათი ხვედრითი წონა, როგორც ვხედავთ, შედარებით მცირეა (37 კაცი 183 კაციდან).

რაღა უნდა ითქვას სიაში შეტანილ ვაჭრების, მოსამართლეთა და დანარჩენთა შესახებ, რომელნიც აქ „კორესპონდენტების“ როლში გამოდიან.

ყველა აღნიშნულის გამო, „მიწოხილვებში“ გამოქვეყნებულ ცნობებისადმი განსაკუთრებით დიდი სიფრთხილე გვმართებს, მით უმეტეს, რომ, როგორც თვით ბისი ავტორებიც[1] აღიარებენ, „პრაქტიკამ კვლავ გვიჩვენა, რომ როგორც საშუალებს, ისე მხოლოდ მერყეობათ არა აქვთ და არ შეიძლება რაიმე მეცნიერული ღირებულება ჰქონდეთ კავკასიაში ჰაეის სხვადასხვაობის გამო“. და არა ბარტო ჰაეის, არამედ სოციალ-ეკონომიურ, ჩვენებათა ტერიტორიალური განაწილების, ბათი საერთო რიცხვის, ცნობების მომცემთა შემადგენლობისა და სხვ. პირობათა მიხედვითაც.

სწორედ ამ მიზეზთა ზეგავლენით „მიწოხილვაში“ (1912 წლიდან) აღარ შეაქვთ ციბრობრივი მონაცემები ბაღებში მდგარი ხეხილის რაოდენობის, ხილის მოსავლისა და სხვათა შესახებ[2].

ამნაირად, საკორესპონდენტო ქსელი ჯერ კიდევ იმ დროს ვერ ამართლებდა თავის დანიშნულებას და მით უმეტეს იგი უვარგისი გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როდესაც ამ ქსელში მოხვედრილმა ღრომოებული კლასის წარმომადგენლებმა მასალის მოპოვება-გზავნა კლასობრივი ბრძოლის იარაღად გადააქციეს.

უახლოეს წარსულში დასტაბეჭდულ სტატისტიკურ შრომებს შორის, თავისი სისრულისა და ამომწურველობის ბრივე, განსაკუთრებით საყურადღებო ადგილი უჭირავს შემდეგ ნაბეჭდს: „Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях, изданный Тифлисским Дворянским Депутатским собранием под редакцией Ф. Г. Гогничайшвили“. Тифлис, 1910 г. С XXIV, 661, 323.

კრებული ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში მოცემულია ტექსტი, ხოლო მეორე ნაწილში — ციფრობრივი მასალა (ცხრილები).

თბილისისა და ქუთაისის ყოფ. გუბერნიების კერძო მიწათმფლობელობის კრებსით სტატისტიკურ ცნობებთან ერთად დაწერილებით არის

---

[1] 1912 Сельско-хозяйственный обзор по Закавказью. Тифлис, 1913 г., стр. V

[2] იქვე, გვ. 6.

განხილული თითოეული გუბერნიისა და სოხუმის ყოფ. ოლქის კერძო მიწათმფლობელობა. მაგ., თბილისის გუბერნიის შესახებ, რომელიც უფრო სრულადაა შესწავლილი, აქ მოცემულია:

ა) სტატისტიკური ცნობები კერძო მიწათმფლობელობაზე მიწების გვარეობისა და მიწათმფლობელთა წოდების მიხედვით (სოფლობრივ და მაზრობრივად) და მფლობელობათა განაწილება მათი ფართობების სიდიდისა და მფლობელთა წოდების მიხედვით (სასოფლო საზოგადოებათა, საპოლიციო უბნებისა და მაზრობრივი ჯამებით).

ბ) სტატისტიკური ცნობები დროებით ვალდებულ გლეხთა მიწებით დაკმაყოფილებაზე (სოფლობრივად) მიწების გვარეობისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

გ) სტატისტიკური ცნობები გორის ყოფ. მაზრის 26 სოფლის გლეხური მოსახლეობის მიწებით დაკმაყოფილებაზე. ეს ცნობები ნაშრომის რედაქტორის მიერ ამ სოფლების პირადი ჩამოვლით არის შეკრებილი (1902 წ.) კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სტატისტიკური ბიუროს დავალებით.

დ) სტატისტიკური ცნობები თავადაზნაურთა მფლობელობათა დავალიანებაზე სხვადასხვა ნიშნების მიხედვით დაჯგუფებული.

ე) სტატისტიკური ცნობები კერძო მიწათმფლობელა დავალიანების შესახებ სხვადასხვა ნიშნების მიხედვით დაჯგუფებული.

ამ კრებულში მიწათმფლობელობის შესახებ მოცემული მასალები ცხრილები თავისი სისრულისა და ამომწურველობის მიხედვით სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენენ არა მარტო მასზე უფრო ადრე დამუშავებულ და გამოქვეყნებულ, არამედ ზოგიერთ, მას შემდეგაც გამოცემულ სტატისტიკურ შრომებს შორისაც.

საკითხით დაინტერესებულ მკვლევარს ეს სტატისტიკური კრებული ბევრ საინტერესო მასალას აძლევს. ამასთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცნობები შეიცავენ ფრიად საყურადღებო დაჯგუფებათ მთელ საქართველოზე, რაც არ ითქმის წინა დროისა და შემდეგი პერიოდის მთელ რიგ მასალებზე, რომლებიც საქართველოს მხოლოდ ამა თუ იმ მხარეებს ეხებოდნენ.

მასთან ერთად, მოცემული ცნობები ემთხვევა პირველი რევოლუციის პერიოდს, რაც წარმოდგენას გვაძლევს კაპიტალისტური სისტემის ამ დროის მიწების ფონდზე და მის განაწილებაზე, როგორც სავარგულეთა, ისე მფლობელთა წოდებისა და სოფლების მიხედვით.

პირველადი მონაცემების სოფლობრივ მოცემა საშუალებას იძლევა ეს ცნობები საჭირო ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით გადავაჯგუფოთ და გადავიანგარიშოთ (საჭირო შედარებათა საწარმოებლად), რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს წარსულის შესწავლის საქმისათვის.

როგორც ამ „სტატისტიკურ ცნობათა კრებულის“ წინასიტყვაობაშია აღნიშნული, რედაქტორი სარგებლობდა სახაზინო პალატის 1906 წლის

---

[1] იქვე, გვ. 9—10.

საადგილმამულო წიგნებით და სხვა წყაროებით, რომელთაც სხვა მრავალ მასალასთან შედარებით მეტი სიზუსტე ახასიათებდათ.

ყველაფერი ეს ნათლად მიგვითითებს იმაზე, რომ ჩვენ საქმე გვაქვს განსაკუთრებით ძვირფას და კეთილსინდისიერად, საქმის დიდი ცოდნითა და სიყვარულით თავმოყრილ-გამოკვეყნებულ მასალასთან, რომელიც საჭირო დასკვნათა და შედარებათა წარმოების დროს უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ჰასზე ადრეული, ან ზოვიერთი უფრო დაგვიანებით მოცემული მგზავსი სტატისტიკური მასალა. ვერც ერთი მკვლევარი, დაინტერესებული საქართველოს და მით ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის წარსულით და იმ დროის მიწათმფლობელობით, გვერდს ვერ აუვლის ამ კაპიტალურ შრომას[1], რომელიც ჭვა-კუთხედს წარმოადგენს თითქმის იმ დროის სას.-სამეურნეო და მით ეკონომიური სტატისტიკისათვის, რომლის შექმნაში დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის მეცნიერებათა დამსახურებულ ბოლეაწეს, ქართული სტატისტიკის აოაჰაგეს და ჩვენი თაობის ეკონომისტთა ერთგულ აღმზრდელს პროფ. ს. გ. გოგიჩაიშვილს.

აქ შეიძლებოდა გაგეერჩია აგრეთვე სხვა წყაროები და გამოცემანი, რომლებიც შეიცავენ ამა თუ იმ სას.-სამ. სტატისტიკის ნონაცემებს, მაგრამ საერთო მდგომარეობა ამით დიდად არ შეიცვლებოდა; ის, რაც განხილულზე ითქვა, ძალაში რჩება სხვა წყაროებისა და გამოცემებისათვისაც.

IV. სას.-სამ. სტატისტიკა მენშევიკების ბატონობის წლებში

სამოქალაქო ომმა, მეზობლებთან წარმოებულმა ბრძოლებმა და სტატისტიკისადმი უყურადღებობამ უფრო მეტად დაასუსტა ისეც სუსტი სტატისტიკური აპარატი, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც მიწათმოქმედების სამინისტროს სისტემაში შედიოდა, მთელი თავისი ძალებით ძირითადად 1917 წ. სას.-სამ. და საადგილმამულო აღწერის მასალების თავმოყრაზე მუშაობდა, ხოლო ადგილობრივი სამაზრო სტატისტიკური ორგანიზაციები ცენტრის დავალებათა შესრულებას აწარმოებდნენ და რაიმე დამოუკიდებელ საქმიანობას ვერ აწარმოებდნენ, გარდა რამდენიმე სამაზრო სტატორგანიზაციის ხელმძღვანელისა (მ. ს. ყოჩიაშვილი — სიღნაღის მაზრაში, გ. მ. ბენაშვილი — თბილისის მაზრაში).

მიმდინარე სას.-სამ. სტატისტიკა ძირითადად სამაზრო ერობებიდან, რუმებიდან და მოხალისე კორესპონდენტებისაგან მიღებულ ცნობებს ემყარებოდა, ხოლო საექსპედიციო და საანკეტო გამოკვლევები შედარებით ნაკლებ გამოიყენებოდა, რადგან კადრების სიმცირესთან ერთად საჭირო სახსრების ნაკლებობაც აფერხებდა ამას.

არ დამავიწყდება 1920 წ. ზაფხული, როდესაც ბაშკიჩეთში მოსული დიდი სეტყვისაგან მიყენებული ზარალის გამოსაკვლევად წასასვლელად გამზადე-

---

[1] პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. 1941 წ., გვ. 144—165.

ბულმა ცენტრ. სტატ. კომიტეტის სტატისტიკოსთა ჯგუფმა (კ. როგავა, ე. ასათიანი, ლ. კარბელაშვილი), მიწათმოქმედების სათანადო დეპარტამენტს ძივმართა (ცენტრ. სტატ. კომიტეტი ამ დეპარტამენტსა ემორჩილებოდა) დახმარებისათვის. დეპარტამენტის უფროსმა ჩვენს თხოვნას არც მოუსმინა ბოლომდე და უკმეხად გვიპასუხა: „რა დახმარება გინდათ, ჩვენ რომ დახმარება შეგვეძლოს — პროპაგანდისტებს ვიმოუჩენდით"-ო.

ადგილებიდან და განსაკუთრებით მოხალისე კორესპონდენტებისაგან მიღებული ცნობებიც არ იყო დამაკმაყოფილებელი, მაგ., 1920 წლის სას.-სამ. საქმიანობის შედეგთა გამოსაკვლევად ცენტრ. სტატ. კომიტეტის მიერ მოხალისე კორესპონდენტებისათვის დაგზავნილი 1755 ანკეტიდან უკან იქნა მიღებული მხოლოდ 418 შევსებული ანკეტა (მეოთხედზე ნაკლები). ესთან ერთად, მოცემული ცნობები მთლად დამაკმაყოფილებელი არ იყო; მაგ., ნათესაო ფართობების დინამიკის გასარკვევად დასმულ სამი კითხვიდან — პირველ კითხვაზე გაცემული პასუხით, — ახალქალაქის მაზრაში 1920 წელს, 1919 წელთან შედარებით, ნათესების ფართობი 61 %-ით იყო შემცირებული, ხოლო მეორე და მესამე კითხვებზე გაცემული პასუხებით — ეს ფართობი გაზრდილიყო[1]. აქედან ცხადია, რომ სინამდვილის სისწორით დადგენა მეტად ძნელი იყო.

ასეთ პირობებში რაიმე საყურადღებო გამოანგარიშებათა წარმოება თითქმის შეუძლებელი იყო. მაგ., მარცვლეულის მოსავლის გამოანგარიშებისას დაინტერესებულ პირებს „მნიშვნელოვანი დაბრკოლება ელობებოდათ, უმთავრესად ამ საკითხებზე არსებული მონაცემების დიდი სიჭრელის გამო"[2]. ამ მუშაობის დროს სრულიად უარყოფილი იყო „კავკასიის კალენდარში" გამოქვეყნებული ცნობები „ბევრი ცხადი არაკეთილხარისხიანობის გამო", ხოლო მეორე წყება ცნობებში მნიშვნელოვანი შესწორებები იქნა შეტანილი საექსპერტო და საანკეტო გამოკვლევათა საფუძველზე.

მართალია, საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ კომიტეტში თავმოყრილი მუშაკნი (ხელმძღვანელი — ძველი ბოლშევიკი პ. ნანდელმტამ-ლიანთოვი და ახალგაზრდა სტატისტიკოსები ბ. ჩიგოგიძე, გ. ფერაძე, დ. ტ. რცხილაძე, კ. როგავა, ვ. ი. მაჯგალაძე, მ. კ. ქეზელი, ელ. ლ. იაკობაშვილი-ჩიგოგიძე, ე. მაისურაძე, ე. ასათიანი, ლ. კარბელაშვილი და სხვ.) თავგამოდებით ცდილობდნენ სტატისტიკური საქმიანობის გაუმჯობესებას, მაგრამ არსებული ძნელი პოლიტიკურ-ეკონომიური პირობები, უმაღლეს ორგანოთა სტატისტიკური მუშაობით დაუინტერესებლობა, სახსრებისა და კადრების სიმცირე და სხვ. გარემოებანი შეუძლებელს ხდიდნენ სას.-სამეურნეო და საერთოდ სოციალ-ეკონომიური სტატისტიკის უკეთესად დაყენება-ორგანიზაციას.

---

[1] Д. Рухиладзе, Недосев осени 1920 года. Вестник статистики Грузии. Тб., 1921 г., № 1, стр. 7—8.

[2] В. Чигогидзе, Урожай в Грузии в 1919/1920 г.г.: Вестник статистики Грузии. 1921 г., № 1, стр. 1.

ზევით დასახელებული შრომები და წყაროები უმეტესად არც თავისი პროგრამა — მეთოდოლოგიითა და არც მასალების თავმოყრა-გამოყენებით არ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნილებათ, რაც ასეთ შრომებს წარედგინება.

მათში არ არის მოცემული „რაციონალურად[1] და დეტალურად შედგენილი ჯგუფობრივი და კომბინაციური ცხრილები"; არც ერთ დასახელებულ „გამოცემას არა აქვს დართული აღწერათა... კითხვების სრული ნუსხა"[2], ცნობათა მოპოვების პროგრამა. დიდი ნაწილი დასახელებული მასალებისა ისე არ არის მოპოვებულ-დამუშავებული, რომ მათ საფუძველზე „მიღებულ იქნას პასუხი ზუსტი, ობიექტური, მასიურ ცნობათა აღრიცხვაზე დამყარებული, პასუხი ყველა საკითხებზე"[3], რაც საინტერესოა სოფლის მეურნეობის პრობლემათა შესასწავლად. ძველად მოპოვებული და დაუმუშავებული მასალა ისე არ არის მიცემული „რომ აგ ცნობების ციხედვით შეიძლებოდეს შესწავლილ იქნეს ძველი ბატრაკმური, ბარშჩინური, ნატურალური მეურნეობის ნგრევის და სავაჭრო კაპიტალისტური მიწათმოქმედებით მისი შეცვლის პროცესი"[4], რომ შეიძლებოდეს საკითხის მოსახლეობის ცალკე ფენების მიხედვით შესწავლა, ღარიბ, საშუალო და კულაკური გლეხის როლისა და ნიშვნელობის გამორკვევა და სხვა.

ყველა აღნიშნულის გამო, ჩვენი კვლევითი მუშაობის დროს უნდა ვახდენდეთ არსებული მასალების კრიტიკულ განხილვას, ვარგის ცნობათა უვარგისისგან გამოყოფას და „ხორბლისაგან ღვარძლის გაცრა-გაცლას, - გაშორჩევას შედარებით გამოსადეგი მასალისა გამოუსადეგარისაგან", როგორც ლენინი გვასწავლის[5].

ენგელსი თქვისამებრ კაპიტალისტური სისტემის მიერ დატოვებული სტატისტიკური მასალა „... რაგინდ საეჭვო იყოს ეს ცნობები, მაინც მეტის-მეტად ძვირფასია და არის ის ერთადერთი რამ, რაც ჩვენ ამ საგნის შესახებ მოგვეპოვება"[6].

სტატისტიკური საქმიანობის გაუნჯობესება-განმტკიცებას საერთოდ და კერძოდ სას.-სამ. სტატისტიკის ორგანიზაციის მაღალ საფეხურზე დაყენებას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ჩაეყარა მტკიცე საფუძველი საქართველოს რევკომის მიერ 1921 წლის 4 ივლისის თარიღით გამოცემულ „სახელმწიფო სტატისტიკის დებულების"[7] ნიადაგზე.

---

[1] ლენინი, საერობო სტატისტიკის ამოცანების საკითხისათვის. ტომი 17, გვ. 184 (რუსულიდან).

[2] იქვე, გვ. 183.

[3] იქვე, გვ. 184.

[4] იქვე.

[5] ლენინი, თხზულებანი, ტომი 2, გვ. 510—511.

[6] კ. მარქსი, კაპიტალი, ტომი 3, 1-ლი ნაწილი, გვ. 49, ფრიდრიხ ენგელსის შენიშვნა.

[7] საქართველოს სტატისტიკის მოამბე, 1921 წ., № 1, გვ. 49—59.

მარქსიზმის კლასიკოსთა მოძღვრებისა და უმაღლეს ორგანოთა დადგენილებათა საფუძველზე წარმოებულმა სააღრიცხვო-სტატისტიკურმა საქმიანობამ სადღეისოდ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია და მოგვცა ძვირფასი მასალები სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, საგეგმო-ოპერატიული და მეცნიერულ-კვლევითი მუშაობისათვის.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სტატისტიკის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. V. 25).

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ, XXXIV, 194
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV. 194

Ზ. ᲒᲐᲛᲣᲠᲔᲚᲘᲫᲔ

„ᲒᲣᲠᲯᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲕᲘᲚᲐᲘᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲕᲗᲐᲠᲘ“ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ-ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲫᲔᲒᲚᲘ

I

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ [1], — მეთექვსმეტე საუკუნის დამლევის ისტორიული ძეგლი, — ფ ი ს კ ა ლ უ რ ი შინაარსისა და დანიშნულების ძეგლს წარმოადგენს: შედგენილია ბეგარის (გადასახადების) გაწერისა და აკრეფის მიზნით ოსმალო ხელისუფალთა მიერ.

როგორც ყოველი ფისკალური ხასიათის ძეგლი, ასევე „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ უპირატესად ისეთ ცნობებს მოიცავს, რომლებიც უშუალოდ ფისკალური უწყების მიზნებთანაა დაკავშირებული: იმ სოფლებისა და კომლთა უფროსების ჩამოთვლას, რომლებიც დაბეგვრას ექვემდებარებოდნენ, და იმ გადასახადთა საერთო ჯამისა და მათი ცალკეული სახეების აღნიშვნას, რომელთა აკრეფა იყო ხელისუფალთა მიერ დადგენილი.

ამ ძეგლის ასეთი ვიწრო საუწყებო შინაარსისა და დანიშნულების მიუხედავად, იგი უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც იმდროინდელი საქართველოს სამხრეთი პროვინციების ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს საკმაოდ ფართო და საინტერესო მონაცემებს შეიცავს. ეს მონაცემები აშუქებს ამ მხარის მიწათმოქმედების, ბაღჩა-მებოსტნეობის, მევენახეობის, მეცხოველეობის, წყლის მეურნეობის და სხვ. იმდროინდელ ვითარებას და ნაწილობრივ ხდის საქართველოს ეკონომიური ისტორიის რიგი საკითხი იქნება გარკვეული და გადაჭრილი [2].

---

[1] „გ უ რ ჯ ი ს ტ ა ნ ი ს ვ ი ლ ა ი ე თ ი ს დ ი დ ი დ ა ვ თ ა რ ი “. თურქული ტექსტი გაბოსცა, თარგმნა, გამოკვლევები და კომენტარიები დაურთო ს ე რ გ ი ჯ ი ქ ი ა მ. წიგნი I: ტექსტი. 1947; წიგნი II: თარგმანი. 1941. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა.

[2] ძეგლის ზოგადი დახასიათებისათვის ნ.: С. С. Джикия, Турецкая рукопись музея Грузии „Пространный реестр Грузинского пилайета“ (სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მ ო ა მ ბ ე, ტ. I, № 6, 1940, გვ. 463—497) და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წ. I, წინასიტყვაობა, გვ. VII—XII. „დავთრის“ მასალების საფუძველზე XVI საუკუნის დამლევის სამცხე-საათაბაგოს სოციალურ-ეკონომიური ვითარების გარკვევის ცდა იკუთვნის გ. ტ ი ო ა ძ ს (სამცხე-საათაბაგო «გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის» მიხედვით: „მ ო ა მ ბ ე“, 8, 1946).

ზოგად-ეკონომიური მნიშვნელობის ძეგლთან ერთად „გურჯისტანის ეილაიეთის დიდი დავთარი“ წარმოადგენს აგრეთვე დემოგრაფიულ-სტატისტიკური ხასიათის ძეგლს: შეიცავს სტატისტიკურ ცნობებს მოსახლეობის რიცხვისა და, — არაამომწურავად და ხშირად არაპირდაპირ, — მისი შემადგენლობის (ზოგ დემოგრაფიულ და სხვ. ნიშანთა მიხედვით) შესახებ.

II

„გურჯისტანის ეილაიეთის დიდი დავთრის“ დემოგრაფიულ-სტატისტიკური ცნობები ეხება: ყოფ. თბილისის გუბერნიის ახალციხის, ახალქალაქის და, მცირე ნაწილი, გორის მაზრებს და ყარსის ბახარის არტაანისა და ოლთისის ოლქებს. „დავთარში“ შესულია, ამრიგად, ის პროვინციები, რომლებიც მდ. მტკვრის აუზში მდებარეობენ, როგორიცაა სამცხე, ჯავახეთი, არტაანი. პალაკაციო, კოლა, აგრეთვე — მდ. ჭოროხის აუზში, ოლთისის-წყლის ხეობაში მდებარე ნაწილი ტაოს პროვინციისა.

„დავთრის“ შედგენის დროისათვის — 1595 წ. — ოსმალო დამპყრობთა ძირ. საქართველოსაგან მიტაცებული იყო ქვეყნის სხვა ნაწილებიც, — ბაგრამ ციხაიდან აქ ისინი მტკიცედ დამკვიდრებული არ იყვნენ, ხოლო ქართველი ხალხი მათ წინააღმდეგ ბრძოლას აქ განაგრძობდა[1], — ამიტომ ეს ნაწილები ამ „დავთარში“ არაა შესული.

„დავთარი“ არ შეიცავს აგრეთვე იმ ქართველ თავადაზნაურთ, რომელთაც თავიანთი მდგომარეობა, ოსმალო დამპყრობთა ბიმართ მათი „დამსახურებისა“ გამო, შერჩათ; „დავთარში“ არ არიან შესული აგრეთვე ადმინისტრაციული თანამდებობის პირნი, რომელნიც, საფიქრელია, ამ დროს საკმაო რაოდენობით იქნებოდნენ ახლად დაპყრობილ პროვინციებში.

„დავთარში“ შესული დასახლებული პუნქტები (სოფლები, ქალაქები) დანაწევრებულია ორ-საფეხურიან პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებად: ლივებად და რაონებად. ლივები, რომელთა რიცხვი 8-ს შეადგენდა, იყო: ახალციხისა, ხერთვისისა, ახალქალაქისა, ჩილდირისა, ფოცხოვისა, პეტრესი, ფანაკისა და დიდი არტაანისა.

თითოეულ ლივაში მეტ-ნაკლები რაოდენობის რაიონი იყო გაერთიანებული. სულ რაიონების რიცხვი 28-ს შეადგენდა და ლივების მიხედვით ასე იყო განაწილებული: ახალციხის ლივაში შედიოდა 10 რაიონი — ბზვარის, ჩრდილის, უდისა ქვაბლიანის, აწყურის, ალთუნყალას, ოცხის, ასპინძის, ჭაჭარაქის და ხერთვისის რაიონები; ხერთვისის ლივაში შედიოდა 2 რაიონი — ტყიანი-ჯავახეთის და ბუზმარეთის რაიონები; ახალქალაქის ლივაში შედიოდა 3 რაიონი — აკშეჰირის, თმოგვის და ნიალისყურის რაიონები; ჩილდირის ლივაში შედიოდა 3 რაიონი — ჯხნბაზის, ქანარბელის და მგელციხის

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია. ნაწ. I, 1946, გვ. 318 და შემდ.

რაიონები; ფოცხოვის ლივაში შედიოდა 2 რაიონი: მზვარის და ჩრდილის რაიონები; პეტრეს ლივაში 2 რაიონი შედიოდა — პეტრესა და ქაშვეთის რაიონები; ფანაკის ლივაში 3 რაიონი შედიოდა — ფანაკის, ქიამხისისა და ფანასკერტის რაიონები; დასასრულ, დიდი-არტაანის ლივა 3 რაიონს აერთიანებდა — ზვარის, ჩრდილისა და ტყიან რაიონებს.

ცალკეული რაიონები მეტ-ნაკლები რაოდენობის დასახლებულ პუნქტებს აერთიანებდნენ, რომელთა რიცხვი თითოეულ რაიონში 11-დან (პეტრეს ლივის ქაშვეთის რაიონი) 119-დე (დიდი-არტაანის ლივის ტყიანი რაიონი) აღწევდა. დასახლებული პუნქტების საერთო რიცხვი 1160-ს შეადგენდა.

III

აღრიცხვის რა პროგრამა უდევს საფუძვლად „დავთარში“ შესულ ცნობებს და როგორი წესით არის მოპოვებული ეს ცნობები? რამდენად ზუსტი და სანდოა იგი იმისათვის, რომ მაარის საერთო ეკონომიური და კერძოდ — დემოგრაფიულ-სტატისტიკური დახასიათებისათვის გამოდგეს?

აღრიცხვის პროგრამა, ცხადია, ფისკალური მიზნებით არის განსაზღვრული, ე. ი. „დავთარში“ ის ცნობებია შეტანილი, რაც დაბეგვრის ამოცანების გადაჭრისათვის იყო აუცილებელი. აქედან შესაბამისად იქ შემდეგი კითხვებია გარკვეული:

1. დასახლებული პუნქტი, მისი სარაიონო ცენტრი;
2. ოჯახის (კოლის) უფროსი (სახელი, მამის სახელი, ზოგ შემთხვევაში — პროფესია);
3. გადასახადის საერთო ჯამი მთელი დასახლებული პუნქტისათვის;
4. საკომლო გადასახადის ჯამი;
5. გადასახადების გადამხდელთა რიცხვი;
6. გადასახადის სახით ასაკრეფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ნატურალური და ღირებულებითი გამოსახულებით;
7. გადასახადი ცხოველებზე (ცხვარი, ღორი, ფუტკარი და სხვ.), სათანადო თანხის აღნიშვნით;
8. სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო გადასახადები (ბოსტნის, საძოვრის, მეთევზეობის, წისქვილის და სხვ.);
9. საქორწინო და სხვ. გადასახადების თანხა.

გარდა ამ ძირითადი ცნობებისა „დავთარში“ ეპიზოდურად შეტანილია ზოგი დამატებითი ცნობა წყლის მეურნეობის (სარწყავი წყლის განაწილების), საძოვრების და ვენახის მფლობელების, საეკლესიო გზების და სხვ. შესახებ.

ადვილად დაინახება, რომ დემოგრაფიულ-სტატისტიკური მიზნებისათვის ზემოაღნიშნული კითხვების გარკვევა მეტად მცირე მასალას მოგვცემს: აქ არაა გათვალისწინებული მოსახლეობის დახასიათება არც ფიზიკური და არც სოციალური ნიშნების მიხედვით. მაგრამ არაპირდაპირ ზემოაღნიშნული კითხვების საფუძველზე მოპოვებული ცნობები ერთგვარ საშუალებას იძლევა გავარკვიოთ:

1. მოსახლეობის საერთო რიცხვი დაკვირვებით მოცულ ტერიტორიაზე (იმ გამოკლებით, რაც ზევით იყო აღნიშნული);

2. მოსახლეობის განლაგება ზემოაღნიშნული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით;

3. მოსახლეობის დანაწილება ზოგ სხვა ნიშანთა მიხედვით.

ვინაიდან „დავთარში" შეტანილი ცნობები ამ კითხვების გასარკვევად უშუალო პასუხს არ იძლევა, საჭიროა ამ ცნობების გადამუშავება სათანადო გაახგარიშებისა ან გასარკვევ კითხვასთან ლოგიკურ კავშირში არსებულ სხვა ნიშანთა შესწავლის საფუძველზე, რის შედეგად შესაძლებელია პასუხი გაეცეს დასმულ კითხვებს.

მოსახლეობის რიცხვის გარკვევას შეიძლება საფუძვლად დაედოს ცნობები კომლთა რიცხვის შესახებ, რაც დავთარში ყოველი დასახლებული პუნქტისათვის არის მოცემული. კომლთა რიცხვის გადამრავლება კომლის შემადგენელ წევრთა საშუალოზე (5-ზე) შესაძლებელს გახდის მიახლოებით გაირკვეს მოსახლეობის საერთო რიცხვი.

მოსახლეობის დანაწილება ეროვნების, მოსაქმეობის და სხვ. მიხედვით, ამრიგადვე, შეიძლება არაპირდაპირ გაირკვეს კომლთა უფროსების (სახელის და მამის სახელის, ზოგჯერ — პროფესიის) დასახელებისა და გადასახადთა ცალკეული სახეების ჩაანოთელის საფუძველზე.

ხესი, რომლითაც „დავთარში" შესული ცნობებია მოპოვებული, ჩვენთვის უცნობია: ამის შესახებ „დავთარი" არაა ამბობს. შესაძლებელია ეს ცნობები მოპოვებულია ბეთლიანი სასოფლო-სამეურნეო აღწერის საშუალებით. მაგრამ ასეთი აღწერის ჩატარებისათვის საჭირო იქნებოდა მრავალრიცხოვანი კადრი მომუშავეებისა, რომელთაც ადგილზევე უნდა გაერკვიათ აღწერის პროგრამით გათვალისწინებული ყველა კითხვა. ასეთი კადრებისათვის, უეჭველია, ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენება იქნებოდა აუცილებელი, რაც ოკუპანტი-ხელისუფლებისათვის, უნდა ვიფიქროთ, ძიუღებელი იქნებოდა. უფრო მეტად სავაოაუდებელია, რომ ეს ცნობები ადმინისტრაციული აღრიცხვის წესითაა მიღებული უშუალოდ იმ მოხელეების მეშვეობით, რომელნიც ადგილებზე ადმინისტრაციულ ფუნქციებს ასრულებდნენ. მოპოვებული ცნობების დანიშნულებაც — დაბეგვრის მიზანი — მოითხოვდა იგი უშუალოდ ხელისუფლების წარმომადგენლებს მოეპოვებინათ.

ეს გარემოება, — ადმინისტრაციული აღრიცხვის წესი მასალის მოპოვებისა, — უეჭველია, ერთგვარად უზრუნველჰყოფდა მოპოვებული მასალის სისრულეს: საეარაუდებელია, რომ მასში ხაკლებ არის გამოტოვებული დასახლებული პუნქტები და ბეგარავალდებული მოსახლეობა. ანდენად, მაშასადამე, ეს ცნობები ნდობის ღირსია. ერთგვარ ეჭვს, შესაძლებელია, იწვევდეს დასაბეგრავი შემოსავლის და ქონების სიდიდის აღრიცხვა: ამ ძხრივ შეიძლება ადგილი ჰქონოდა დაბეგვრისაგან თავის არიდების ცდას შემოსავლისა და ქონების დაძალვის ან შემცირების სახით. მაგრამ ზოგად-სტატისტიკური დახასიათებისას ამ გარემოებას არ შეუძლია არსებითი ცვლილების შნიშვნელოვნად შეცვლა.

IV

„გურჯისტანის ვილაიეთის“ დასახლებული პუნქტების, კომლთა და მცხოვრებთა (ზემოაღნიშნული წესით მიღებული) რიცხვი, ლივებისა და რაიონების მიხედვით, შემდეგს შეადგენს:

№ №	ლივა / რაიონი		დასახლებ. პუნქტების რიცხვი		კომლთა რიცხვი		მცხოვრებთა საერთაშორისო რიცხვი	
			აბს.	%%-ით	აბს.	%%-ით	აბს.	%%-ით
1	2		3	4	5	6	7	8
I	**ახალციხის ლივა**	სულ	379	32,7	3925	30,8	19.625	30,8
	აქედან:							
	1. მზვარის რაიონი		30	2,6	430	3,4	2150	3,4
	2. ჩრდილის		28	2,4	391	3,1	1955	3,1
	3. უდის		58	5,0	703	5,5	3515	5,5
	4. ჭვაბლიანის		17	1,5	74	0,6	370	0,6
	5. აწყურის		61	5.3	440	3,4	2200	3,4
	6. ალთუნყალას		17	1,5	201	1,6	1005	1,6
	7. ოცხის		25	2,1	272	2,1	1360	2,1
	8. ასპინძის		43	3,7	385	3,0	1925	3,0
	9. ჯაჯარაქის		62	5,3	487	3,8	2435	3,8
	10. ხერთვისის		38	3,3	542	4,3	2710	4,3
II	**ხერთვისის ლივა**	სულ	81	7,0	432	3,4	2160	3.4
	აქედან:							
	1. ტყიანი-ჯავახეთის რაიონი		69	5,9	365	2.9	1825	2,9
	2. ბუზმარეთის		12	1,1	67	0,5	335	0.5
III	**ახალქალაქის ლივა**	სულ	139	12,0	1043	8,2	5215	8,2
	აქედან:							
	1. აკშეჰირის რაიონი		84	7,2	605	4,7	3025	4,7
	2. თმოგვის		22	2,0	150	1,2	750	1,2
	3. ნიალისყურის		33	2.8	288	2,3	1440	2,3
IV	**ჩილდირის ლივა**	სულ	100	8,6	988	7,7	4940	7,7
	აქედან:							
	1. ჯანბაზის რაიონი		51	4,4	460	3.6	2300	3,6
	2. ქანარბელის		33	2,8	445	3.5	2225	3.5
	3. მგელციხის		16	1,4	83	0,6	415	0,5

1	2		3	4	5	6	7	8
V	ფოცხოვის ლივა	სულ	81	7,0	807	6,4	4035	6.4
	აქედან:							
	1. მზვარის რაიონი		49	4,2	443	3,5	2215	3.5
	2. ჩრდილის „		32	2,8	364	2,9	1820	2,9
VI	პეტრეს ლივა	სულ	49	4,2	37	0,3	185	0,3
	აქედან:							
	1. პეტრეს რაიონი		38	3,2	29	0.2	145	0,2
	2. ჭაშვეთის „		11	1,0	8	0 1	40	0,1
VII	ფანაკის ლივა	სულ	109	9,3	1931	15,2	9655	15,2
	აქედან:							
	1. ფანაკის რაიონი		55	4,7	873	6,9	4365	6,9
	2. ქიამხისის „		16	1,4	237	1,9	1185	1,9
	3. ფანასკერტის „		38	3,2	821	6,4	4105	6,4
VIII	დიდი-არტაანის ლივა	სულ	222	19,2	3575	28,0	17.875	28,0
	აქედან:							
	1. მზვარის რაიონი		67	5 8	1374	10,8	6870	10,8
	2. ჩრდილის „		36	3,:	754	5,9	3770	5,9
	3. ტყიანი „		119	10,3	1447	11,3	7235	11,3
		სულ	1160	100,0	12.738	100,0	63.690	100,0

ამრიგად, „ვილაიეთის“ 8 ლივაში, რომლებშიც 28 რაიონი იყო გაერთიანებული, სულ 1160 დასახლებული პუნქტი ითვლებოდა. დასახლებულ პუნქტთა მეტი წილი (379 ანუ 32,7%) ახალციხის ლივაზე მოდიოდა, შემდეგ — დიდი-არტაანის ლივაზე (292 ანუ 19,2%) და ახალქალაქის ლივაზე (139 ანუ 12,0%). დასახლებული პუნქტების რიცხვი განსაკუთრებით მცირე იყო პეტრეს ლივაში (49 ანუ 4,2%), ხერთვისის ლივასა (81 ანუ 7,0%) და ფოცხოვის ლივაში (81 ანუ 7,0%).

„ვილაიეთის“ კომლთა საერთო რიცხვი 12.738-ს შეადგენდა, ხოლო მცხოვრებთა საერთო სავარაუდო რიცხვი — 63.690-ს. კომლთა და მცხოვრებთა რაოდენობის მხრივ შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი იყო ახალციხის ლივა (3295 კომლი, 17.625 მცხოვრები, 30,8%); შემდეგ მიდიოდა დიდი-არტაანის ლივა (3575 კომლი, 17,875 მცხოვრები, 28,0%); მესამე ადგილზე ამ მხრივ იდგა ფანაკის ლივა (1931 კომლი, 9655 მცხოვრები, 15,2%); მეოთხეზე — ახალქალაქის ლივა (1043 კომლი, 5215 მცხოვრები, 8,2%); და ა. შ., კომლთა და მცხოვრებთა სიმცირის მხრივ გამოირჩეოდა

პეტრეს ლივა, სადაც „ვილაიეთის“ კომლთა და მცხოვრებთა საერთო რიცხვის მხოლოდ 0,3% მოსახლეობდა.

მოსახლეობის განაწილებისა და დასახლებული პუნქტების მიხედვით მათი თავმოყრის სურათს კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ შემდეგი საშუალო სიდიდენი:

№ №	ლივა	მოდიოდა საშუალოდ				
		დასახლებული პუნქტი რაიონზე	კომლი		მცხოვრები	
			ერთ რაიონზე	ერთ დასახლებ. პუნქტზე	ერთ რაიონზე	ერთ დასახლებულ პუნქტზე
1	2	3	4	5	6	7
1	ახალციხისა	37,9	392,5	10,4	1962,5	51,7
2	ზერთვისისა	40.5	216,0	5,3	1080,0	26,6
3	ახალქალაქისა	46.3	347,6	7,5	1738,3	37,5
4	ჩილდირისა	33,3	329,3	9,9	1646.6	49,4
5	ფოცხოვისა	40,5	403.5	9,9	2017,6	49,8
6	პეტრესი	24,5	18.5	0,7	92,4	3,7
7	ფანაკისა	36.3	643,5	17,7	3218.3	88.5
8	დიდი-არტაანისა	74.0	1191,6	16,1	5958,3	80,5
	მთელ „ვილაიეთში“ . .	41,4	454,9	11,0	2274.6	54,9

ამრიგად, თითოეული რაიონი საშუალოდ 41,4 დასახლებულ პუნქტს აერთიანებს, თუმცა ცალკეულ ლივებში ეს რიცხვი საგრძნობად იცვლება; მაგ., დიდი-არტაანის ლივაში თითოეული რაიონი საშუალოდ 74 პუნქტს შეიცავს, ხოლო პეტრეს ლივაში — მხოლოდ 24-ს.

ერთ რაიონზე კომლთა საშუალო რიცხვის მხრივაც განსაკუთრებით დიდი-არტაანის ლივა გამოირჩევა; აქ ერთ რაიონზე საშუალოდ 1191,1 კომლი მოდის, მაშინ როდესაც სხვა ლივებში იგი გაცილებით მცირეა: შეადგენს დაახლოებით 300—400-სს, გარდა ერთი — ფანაკის — ლივისა, სადაც ერთ რაიონზე საშუალოდ 643,6 კომლი მოდის. კომლთა მინიმალურ საშუალოს პეტრეს ლივა იძლევა: ერთ რაიონზე აქ მხოლოდ 18,5 კომლი მოდის.

თითქმის ანალოგიურ სურათს იძლევა კომლთა საშუალო რიცხვი ერთ სოფელზე. ამ მხრივ პირველ ადგილზეა ფანაკის ლივა: აქ ერთ სოფელზე საშუალოდ 17,7 კომლი მოდის; მას უახლოვდება დიდი-არტაანის ლივა (16,1); შემდეგ — დაახლოებით თანაბარ დონეზეა ახალციხის (10,4), ჩილდირისა (9,9) და ფოცხოვის (9,9) ლივები; მინიმალურ საშუალოს (0,7) აქაც პეტრეს ლივა იძლევა.

მცხოვრებთა განაწილებაც დასახლებული პუნქტების მიხედვით, ზემოაღნიშნულის შესაბამისად[1], გვიჩვენებს, რომ პირველ ადგილზე აქაც ფანაკის ლივაა: ერთ პუნქტზე საშუალოდ 88,5 მცხოვრები მოდის; ახლო დგას მასთან დიდი-არტაანის ლივა (80,5); შემდეგ — ახალციხის ლივა (51,7), ფოცხოვის ლივა (49,8), ჩილდირის ლივა (49,4); და ა. შ.. მცხოვრებთა მინიმალურ საშუალოს პეტრეს ლივა იძლევა: ერთ პუნქტზე 3,7 მცხოვრები მოდის[1].

ზემომოტანილი აბსოლუტური და, განსაკუთრებით, საშუალო სიდიდენი, უპირველესად, მოწმობენ მოსახლეობის საგრძნობ სიმცირეს „ვილაიეთსა“ და მასში შემავალ ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში. ის გარემოება, რომ „ვილაიეთის“ ერთ სოფელზე საშუალოდ მოდის დაახლოებით 55 მცხოვრები, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში (რაიონებში) იგი დიდად იხრება ამ საშუალოდან და 4-მდეც კი დადის, თვალსაჩინოდ გვიჩვენებს იმას, რომ სამხრეთ საქართველოს ეს, ერთ დროს მჭიდროდ დასახლებული და ეკონომიურად და კულტურულად აყვავებული, პროვინციები[2] ამ დროისათვის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილისაგან დაცლილი იყო.

მოსახლეობის რიცხვის შემცირების ძირითად მიზეზს, უეჭველია, უცხოელ დაპყრობთა გამუდმებული შემოსევა წარმოადგენდა, რაც განსაკუთრებით მწვავედ საგრძნობი უნდა ყოფილიყო სწორედ ამ პროვინციებისთვის, რომელთაც „საქართველოს სხვა ნაწილებზე ნაკლებ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა“[3]: როგორც დასავლეთიდან, ისე სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იგი მუდმივი მუქარის ქვეშ იყო. ამით აიხსნება, რომ „ვილაიეთის“ დასახლებულ პუნქტთა დიდ ნაწილში მოსახლეობა სრულიად აღარ მოიპოვება, თუმცა ეს პუნქტები „დავთარში“ მაინც შესულია იმის გამო, რომ აქ მდებარე მიწებისათვის გადასახადი მეზობელი სოფლების იმ მოსახლეობისაგან აიღებოდა, რომელიც ამ მიწებს ამუშავებდა. „ვილაიეთის“ 1160 დასახლებული პუნქტიდან 368-ში ანუ 31,7%-ში „დავთრის“ შედგენის მომენტისათვის არცერთი მცხოვრები აღარ ითვლებოდა. განსაკუთრებით უნუგეშო მდგომარეობა იყო ამ მხრივ ჰეტრეს ლივაში,

---

[1] „ვილაიეთის“ როგორც საერთო, ისე ცალკეული ლივებისა და რაიონების ტერიტორიის ფართობის ზუსტად ან, თუნდაც, მიახლოებულად, დადგენის სიძნელის გამო, სამწუხაროდ, ამჟამად შეუძლებელია მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტის გამოანგარიშება იმ წესით, როგორც ეს საერთოდ მიღებულია: ტერიტორიის ფართობისა და მოსახლეობის რიცხვების ერთიმეორისადმი დაპირისპირებით.

[2] სამხრეთი საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ისტორიის შესასწავლად საკმაოდ ფართო სამეცნიერო ლიტერატურა და ისტორიული და ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლები არსებობს, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია გარკვევა და დასაბუთდეს ამ მხარის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების მაღალი დონე X—XIII საუკუნეებში. უკანასკნელ წლებში ეს საკითხი თურქეთისადმი ჩაოთველი ხალხის პრეტენზიების გამო, ქართული პრესის ყურადღების საგანს შეადგენდა. ი: ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ, „კომუნისტი“, 1945 წ. 14 დეკემბერი), ე. თაყაიშვილი, თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს მიწაზე („კომუნისტი“, 1946 წ. 25 და 26 მაისი) და სხვ.

[3] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, l. c., გვ. 318—319

სადაც 48 პუნქტიდან მოსახლეობისაგან სრულიად დაცლილი იყო 41 დასახლებული პუნქტი. ასეთი იყო, მაგ., ბაკურიანი, წაღვერი, კორტანეთი, ახალდაბა, ლიკანი, ქვიშხეთი და სხვ. როგორც ჩანს მოსახლეობა განსაკუთრებით იმ რაიონებიდან გარბოდა, დამპყრობთავან თავდასახსნელად, რომლებიც შიდა-საქართველოს ესაზღვრებოდნენ[1].

მოსახლეობის რიცხვის დინამიკის მოცულობისა და ხასიათის გასათვალისწინებლად, სამწუხაროდ, არც მანამდელი და არც შემდგომდროინდელი სტატისტიკური ცნობები ამ პროვინციებისათვის არ მოიპოვება. „დავთრის“ ცნობებს შესაძლებელია დავუპირისპიროთ მხოლოდ მეტად გვიანდელი სტატისტიკური ცნობები XIX საუკუნის ბოლო წლებისა, როდესაც ეს პროვინციები უკვე რუსეთის იმპერიის ტერიტორიის ფარგლებში იყო მოქცეული. ამ ცნობების მიხედვით ზემოაღნიშნულ პროვინციებში მცხოვრებთა რიცხვი უდრიდა:

	1886 წ.[2]	1897 წ.[3]
ახალციხის მაზრა	58.791	69.144
ახალქალაქის „	63.749	73.362
გორის მაზრის ბორჯომის უბანი	8.734	11.209
არტაანის ოლქი	43.643	65.667
ოლთისის „	19.326	31.721
	194.239	251.103

ამრიგად, როგორც ჩანს, სამი საუკუნის მანძილზე „ვილაიეთის“ მოსახლეობა 3,9-ჯერ ანუ 290%-ით გაზრდილა. რაგინდ ეჭვს იწვევდეს ამ ცნობების სისწორე, მაინც უცილობელია ის გარემოება, რომ მოსახლეობის ასეთი ზრდა ამ პროვინციებში უნდა მიეწეროს არა მარტო მოსახლეობის შემდგომ ბუნებრივ და მექანიკურ ზრდას ამ საუკუნეების განმავლობაში, არამედ — საგრძნობი წილით — იმასაც, რომ თვით ამოსავალი მომენტისათვის — XVI საუკუნის დამლევისათვის — მოსახლეობის რიცხვი აქ განსაკუთრებით შემცირებული იყო პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით: უცხოელ დამპყრობთა შეშფოთებისა და მხარის აწიოკების გამო. ამიტომ მოსახლეობის სიმჭიდროვის დაბალი დონე და დასახლებულ პუნქტთა მნიშვნელოვანი ნაწილის უკაცრიელობა სამხრეთ საქართველოს აღნიშნულ პროვინციებში შეიძლება მივიჩნიოთ როგორც უშუალო შედეგი უცხოელ დამპყრობთა მიერ ამ მხარის ოკუპაციისა.

V

„დავთრის“ ცნობების საფუძველზე, როგორც აღნიშნული იყო, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე მოსახლეობის დანაწილებაც ზოგ დემოგრაფიულ ნიშანთა მიხედვით.

[1] შდრ.: ს. ჯიქია, თურქების მიერ მიტაცებული ქართველთა მკვიდრი მიწა-წყლის შესახებ („კომუნისტი“, 1946 წ. 29 იანვარი, № 21 [7494]).

[2] Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г. Тифлис 1893.

[3] Данные о пространстве и населении Кавказского края. К. К. на 1901 год. Тифлис 1900, III отд., гг. 45—46.

მოსახლეობის დანაწილება სქესის მიხედვით „დავთრის“ მონაცემთა საფუძველზე შეუძლებელია: მასში მხოლოდ მამრობითი სქესის ბეგარავალდებული მოსახლეობაა შეტანილი. ასევე შეუძლებელია გარკვევა მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობისა.

მაგრამ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სურათი ამ მონაცემთა მიხედვით შეიძლება საკმაო საფუძვლით იქნეს გარკვეული. საამისო საფუძველს იძლევა „დავთრის“ ონომასტიკური შესწავლა, საიდანაც ჩანს, რომ თითქმის მთელი მოსახლეობა ქართველებისაგან შედგება[1].

მოსახლეობის მოსაქმეობის შესახებ „დავთარი“ იძლევა არაპირდაპირ, მაგრამ საკმაოდ დამახასიათებელ ცნობებს იმ გადასახადთა სახეებისა და ზომის ჩამოთვლით, რაც მოსახლეობისაგან აიღებოდა. ამ ცნობების მიხედვით მოსახლეობის საქმიანობის ძირითად და, ხშირად ერთადერთ, დარგს სასოფლო-სამეურნეო წარმოება წარმოადგენდა. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ძირითადი სახეები იყო: ხორბალი, ქერი, ჭვავი და სხვ., საერთოდ მარცვლეული კულტურები. ამათ შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სპეციალურ კულტურებს: მევენახეობას, სელის მოყვანას, მეხილეობას, მებოსტნეობას[2].

მემინდვრეობასთან ერთად მოსახლეობის საქმიანობის საგანს შეადგენდა მეცხოველეობა (კერძოდ — მეცხვარეობა) და მეფუტკრეობა, აგრეთვე — მეთევზეობა.

მოსახლეობის სამრეწველო საქმიანობის შესახებ „დავთარი“ მეტად მცირე ცნობას იძლევა: იგი ეპიზოდურად ასახელებს ბეგარავალდებულ პირთა სამრეწველო საქმიანობას. სამრეწველო საქმიანობის ცალკეულ წარმომადგენელთაგან იქ ვპოულობთ:

1. მჭედელს[3],
2. ოქრომჭედელს[4],

---

[1] ამხანაგი ა. ი. ვიშინსკი გენერალური ასაბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე 1947 წლ. 24 ოქტომბერს, ეხებოდა რა სამხრეთ საქართველოს ამ პროვინციების საქართველოსთვისვე დაბრუნების საფუძვლებს, აღნიშნავდა: „1595 წ. გამოცემულ იქნა დოკუმენტი, რომელიც ამჟამადაც დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც აღწერს სხვა რაიონთა შორის ისეთ ზსაც, როგორიცაა ჩილდირი, ფოცხოვი, პანიაკი (ბანა), არტაანი, სადაც მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ, სადაც თურქების რიცხვი უმნიშვნელოა ან ისინი სრულიად არ არიან“ (Делегации СССР, УССР и БССР на второй сессии генеральной ассамблеи организации объединенных наций, 1948, გვ. 87—88). ს. ჯიქია „ვილაიეთის“ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: „... ეს მასალები დიდი მნიშვნელობის მქონე ხდება არა მარტო ონომასტიკის შესწავლის თვალსაზრისით, არამედ ამ ხანის იმდროინდელი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისითაც (ეს მოსახლეობა მთლიანად ქართულია)...“ (Турецкая рукопись... მოამბე, ტ. I, № 6, 1940, გვ. 486—487).

[2] „დავთრის“ მონაცემები საშუალებას იძლევა დადგენილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ცალკე სახეების მიახლოებითი არეალი სათანადო პუნქტების გამოცალკევებით.

[3] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, გვ. 45, 61, 73, 89, 145, 153, 266, 274, 321, 323, 353, 381, 441, 448, 486, 493.

[4] იქვე, გვ. 90, 154, 277.

3. ზეინკალს [1],
4. მკალავს [2],
5. მედოქეს [3],
6. მექეჩეს [4],
7. მეხალიჩეს [5],
8. თერძს [6],
9. მექურქეს [7].

უნდა ვიფიქროთ, რომ სამრეწველო საქმიანობის სხვადასხვა ფორმებიდან მხარეში გავრცელებული იყო როგორც საოჯახო მრეწველობა (რომლის პროდუქცია ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იყო დანიშნული), ისე ხელოსნობა (დანიშნული შემკვეთთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად). სამრეწველო საქმიანობის ზემოდასახელებული წარმომადგენელნი, უეჭველია, ხელოსნური მრეწველობის დარგში მოსაქმენი უნდა ყოფილიყვნენ: ისინი შემკვეთთა განსაზღვრულ წრეს უწევდნენ მომსახურებას და თავიანთ სამრეწველო საქმიანობას ზოგჯერ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასაც უთავსებდნენ. სამრეწველი საქმიანობის ცალკე სახედ უნდა იქნეს აღნიშნული ფქვის საქმე (წისქვილები), რაც „დავთრის“ ცნობების მიხედვით საკმაოდ ფართო საქმიანობის დარგს წარმოადგენდა. მრავალ შემთხვევაში იგი დამოუკიდებელი საქმიანობის საგანს შეადგენდა და, საგულისხმებელია, რეგულარული და საიმედო შემოსავლის წყარო უნდა ყოფილიყო. აქას, ალბათ, ხელს უწყობდა „ვილაიეთის“ ფართოდ განვითარებული საირიგაციო სისტემაც.

მოსახლეობის საქმიანობის ხასიათი განსაზღვრავდა დასახლებულ პუნქტთა ხასიათსაც: „დავთარში“ შეტანილი თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი სოფლის ტიპისაა, მიუხედავად იმისა, რომ „ვილაიეთის კანონთა წიგნი“ ხშირად იხსენიებს, დაბეგვრის წესებთან დაკავშირებით, „ქალაქებს“. ეს უნდა აიხსნებოდეს, უფრო მეტად, ტრადიციით, რომლის გამო „ქალაქის“ სახელი ჰქონდა შენარჩუნებული ისეთ დასახლებულ პუნქტებსაც, რომელთაც ქალაქის ხასიათი უკვე დაკარგული ჰქონდათ. „დავთარში“ მხოლოდ 8 ისეთი პუნქტია მოხსენებული, სადაც თითოეულში 100 კომლზე (ანუ 500 მცხოვრებზე) მეტი ცხოვრობს. ასეთი პუნქტებია: ახალციხის ციხის რაბათი, უდის ციხის რაბათი, აწყურის ციხის რაბათი, ხერთვისის ციხის რაბათი, ზემო- ქვემო- და შუა-არსენაკი, კარნავასი, გურა, სარძაბი. მაგრამ ამ ადგილებშიც, როგორც ჩანს, მოსახლეობის ძირითად საქმიანობას სასოფლო-სამეურნეო წარმოება შეადგენდა.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სტატისტიკის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1948. IX. 30).

[1] იქვე, გვ. 38, 188, 286, 428. [2] იქვე, გვ. 90. [3] იქვე, გვ. 295. [4] იქვე, გვ. 99. [5] იქვე, გვ. 99. [6] იქვე, გვ. 32, 90, 492. [7] იქვე, გვ. 294.

Г. Гамкрелидзе

„Пространный реестр Грузинского вилайета" как статистико-демографический памятник

Резюме

1. „Пространный реестр Грузинского вилайета" — официальный рукописный документ конца XVI в. — является памятником фискального назначения: обнимает перечень налоговых объектов части тех провинций, которые были насильно отторгнуты от Грузии турецкими захватчиками, а именно — бывш. Ахалцихского, Ахалкалакского и, частично, Горийского уездов Тифлисской губернии и Ардаганского и Ольтисского округов Карской области.

2. Несмотря на фискальный характер внесенных в „Реестр" сведений, документ является весьма важным и богатым источником сведений для экономического изучения означенных провинций. Сведения эти затрагивают всю экономику края: сельскохозяйственные культуры, животноводство, рыболовство, водное хозяйство, мельничное хозяйство, дорожное хозяйство, размер и виды налогового обложения, и т. д.

3. „Реестр" представляет несомненный интерес также с точки зрения статистико-демографического изучения упомянутых провинций. Сведения, имеющиеся в „Реестре", позволяют установить численность населения, распределение его по административно-территориальному признаку и состав населения по некоторым признакам (национальность, занятие).

4. Численность населения, после соответствующих расчетов на основании материала „Реестра", определяется в 63.690 жителей, распределенных по административным единицам: „ливам", „районам" и населенным пунктам деревням и городам). По численности населения на первом месте стоит Ахалцихская лива (19.625 жит. или 30,8 % населения всего „вилайета"), далее — Ардаганская лива (17.875 жит. или 28,0 %), Панакская лива (9655 жит. или 15,2 %), и т. д. Средняя численность населения на один населенный пункт по всему „вилайету" составляет 54,9, но по отдельным пунктам она снижается даже до 3,7. Плотность населения относительно высока в ливах: Панакском и Большом Ардаганском. Особо следует упомянуть о том, что значительная часть населенных пунктов (368 из общего количества в 1160) совершенно пустует: к моменту составления „Реестра" в них не было ни одного жителя.

Абсолютная и относительная малочисленность населения в указанных провинциях Южной Грузии, — в одной из наиболее передовых и культурных частей феодальной Грузии, — находит свое объяснение в ра-

зорении и истощении края в результате нашествия турецких захватчиков, приступивших с конца XVI века к отуречиванию насильно захваченных территорий.

5. По национальному составу население „вилайета“ является почти сплошь грузинским (что весьма убедительно подтверждается путем ономастического изучения материалов „Реестра“).

6. Подавляющее большинство населения „вилайета“ занято в сельском хозяйстве, где преобладающими культурами являются: пшеница, ячмень, рожь, и др. полевые культуры, а также — льноводство, огородничество, плодоводство, виноградарство. Значительное место занимает также — животноводство и пчеловодство.

Наряду с домашней промышленностью (для удовлетворения потребностей семьи) развита и ремесленная промышленность (для обслуживания заказчиков-потребителей). Среди представителей последней находим: кузнеца, ювелира, слесаря, лудильщика, гончара, валяльщика, ковродела, портного, скорняка.

ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 1948
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV, 1948

ზ რ ა ქ ლ ი მ ი ქ ე ლ ა ძ ე

საქართველოში მრეწველობის ენერგოტევადი დარგების განვითარების ეკონომიური წინამძღვრები

საქართველოს პოტენციური ენერგეტიკული რესურსების ფრიად დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათ საერთო შედგენილობაში გაბატონებული ადგილი ჰიდროენერგიას ეკუთვნის.

საქართველოში მოიპოვება ქვანახშირის, მურანახშირის და ნავთობის სამრეწველო მნიშვნელობის საბადოები, მაგრამ მათი მარაგი შედარებით შეზღუდულია, მაშინ როდესაც ჰიდროენერგიის მარაგი პრაქტიკულად განუსაზღვრელია.

საქართველო თავისი ჰიდროენერგეტიკული რესურსებით ერთ-ერთი უმდიდრესი რესპუბლიკათაგანია საბჭოთა კავშირში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალების შემსწავლ საბჭოს უკანასკნელი ცნობებით, საქართველოს ტერიტორიის 1 კვ. კლმ-ზე მდინარეთა საშუალო წლიური სიმძლავრე 153,2 კვტ. შეადგენს, ხოლო საბჭოთა კავშირისათვის მთლიანად ეს ნორმა 13,2 კვტ. არ აღემატება.

განსხვაებული მდგომარეობაა ჰიდროენერგიის მხრით. საბჭოთა კავშირში პოტენციური ჰიდროენერგიის საფუძველზე შესაძლებელია საშუალოდ წელიწადში გამომუშავებულ იქნეს 280,6 მილიარდი კვტსაათი, რაც მოსახლეობის ერთ სულზე 12.800 კვტსაათს შეადგენს. საქართველოში შესაძლებელი საშუალო წლიური ჰიდროენერგიის გამომუშავება მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს სულ მცირე — 28.031 კვტსაათს.

ჰიდროენერგეტიკული რესურსების სიუხვით საქართველო უფრო მდიდარია, ვიდრე საფრანგეთი, შვეიცარია, იტალია, ესპანეთი, ნორვეგია, შვეცია, იაპონია და გერმანია.

ჰიდროენერგიის ანუ ე. წ. „თეთრი ნახშირის“ მარაგის ასეთი სიდიდის გამო ელექტროსადგურების მშენებლობა საბჭოთა საქართველოში იმთავითვე უმთავრესად ჰიდროელექტროსადგურების აგების მიმართულებით წარიმართა.

ელექტროსადგურების მშენებლობის ასეთი მიმართულების გამო საქართველოს ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრეში მეტად მაღალია ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრის ხვედრითი წონა. ცალკეულ წლებში ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრის ხვედრითი წონა 70—75 პროც. აღწევს.

1946 წელს საქართველოს რაიონული ელექტროსადგურების სისტემის (ჯაგის) მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საერთო რაოდენობაში 77,5 პროცენტს ჰიდროელექტროენერგია შეადგენდა.

ღირსშესანიშნავია, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმით საქართველოში გათვალისწინებულია 169 ათასი კვტ. სიმძლავრის ოთხი რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობა. ოთხივე ელექტროსადგური დაპროექტებულია როგორც ჰიდროელექტროსადგური: სახელდობრ, ხრამჰესი, სუხუმჰესი, ჩითახევისჰესი და შაორისჰესი.

აღნიშნული სადგურების ამოქმედებით ელექტროენერგიის საერთო გამომუშავებაში კიდევ უფრო გაიზრდება ჰიდროელექტროენერგიის ხვედრითი წონა.

განსხვავებულ შეფარდებას აქვს ადგილი საბჭოთა კავშირში მთლიანად. 1940 წ. ჰიდროელექტროენერგიის ხვედრითი წონა ელექტროენერგიის მთელ გამომუშავებაში შეადგენდა 10,5 პროცენტს, ხოლო 1950 წლისათვის ახალი ხუთწლიანი გეგმის თანახმად განსაზღვრულია მისი გადიდება 15,2 პროცენტამდე.

ელექტრომეურნეობის შემადგენლობაში ჰიდროელექტროსადგურების მაღალი ხვედრითი წონა, რასაც ადგილი აქვს საქართველოს სს რესპუბლიკაში, დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიცაა ნორვეგია, შვეიცარია, კანადა, იტალია, შვეცია, იაპონია და საფრანგეთი *.

საქართველოს მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსები პირობას ქმნიან მრეწველობის ენერგოტევადი დარგების განვითარებისათვის. მრეწველობის ენერგოტევადი დარგები — ეს ისეთი დარგებია, რომელნიც დიდის რაოდენობით მოითხოვენ ელექტროენერგიას ტექნოლოგიური პროცესებისათვის. ელექტროენერგიის გამოყენება ტექნოლოგიური მიზნებისათვის ორი მიმართულებით ხორციელდება. ერთი მხრივ, თერმიულ პროცესებში მაღალი ტემპერატურის მისაღებად (ელექტრომეტალურგია) და, მეორე მხრივ, ქიმიური პროცესებისათვის (ელექტროქიმია).

---

* კრებსით ენერგობალანსში ჰიდროელექტროენერგიის ხვედრითი წონა (ელექტროენერგიის გამომუშავების მიხედვით) ცალკეულ ქვეყნებში შემდეგ პროცენტებში გამოისახება:

ნორვეგიაში . . .	99 % (1938 წ.).	იაპონიაში	81 % (1937 წ.).
შვეიცარიაში . . .	98.8 % (1939 წ.).	საფრანგეთში	54 % (1938 წ.).
კანადაში	98 % (1940 წ.).	აშშ-ში	33 % (1940 წ.).
იტალიაში . . .	97 % (1940 წ.).	გერმანიაში	15 % (1937 წ.).
შვეციაში	94 % (1940 წ.).	მსოფლიო ენერგო-ბალანსში	37 % (1938 წ.)

იხ. Ф. Я. Нестерук, Гидроэнергетические ресурсы мира и основные показатели оборудования главнейших зарубежных гидроэлектростанций. Госэнергоиздат, 1946 г., გვ. 7.

ელექტროენერგიის გამოყენება ტექნოლოგიური მიზნებისათვის სოციალისტური მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქციის ერთ-ერთი მაჩვენებელია.

ელექტროენერგიის გამოყენების გაფართოებაზე ტექნოლოგიური მიზნებისათვის პირდაპირ მითითებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მიღებულ კანონში, სადაც ნათქვამია: „გაფართოვდეს ელექტროტექნოლოგიის გამოყენება მსუბუქი და ფერადი ლითონების, ლეგირებული ფოლადების, ქიმიური პროდუქტების წარმოებისა და ლითონდამუშავებაში".

თერმიული მიზნებისათვის ელექტროენერგიის გამოყენებას მაღალი ეფექტიანობა ახასიათებს. ელექტროღუმელში ლითონის დნობის პროცესი სრულყოფილია, პროდუქციის ხარისხი მაღალია. ელექტრომეტალურგია უზრუნველყოფს ნედლეულისა და სათბობის ხარჯვის ხვედრითი ნორმების მკვეთრ შემცირებას და მაგარი და ზემაგარი ლითონების (ვოლფრამი, ქრომი, მოლიბდენი) დნობის შესაძლებლობას.

ელექტროქიმია შესაძლებლად ხდის ხელოვნური წესით ისეთი პროდუქტების დამზადებას, რომელთა მიღება სავსებით შეპირობებული იყო ბუნებრივი პირობებით. ასეთია სინთეზური სასუქი — აზოტი, სინთეზური კაუჩუკი, ხელოვნური აბრეშუმი და სხვა.

მრეწველობის ენერგოტევადი დარგები მთელ მსოფლიოში უმთავრესად ჰიდროელექტროსადგურების საფუძველზე ეწყობიან. ჰიდროელსადგურები იზიდავენ თავის ირგვლივ ელექტრომეტალურგიულ და ელექტროქიმიურ საწარმოებს. საგულისხმოა, რომ ნორვეგიას, რომელსაც თავის ტერიტორიაზე არ გააჩნია მარგანეცი, შეაქვს იგი ბრაზილიიდან, ადნობს მას ელექტროღუმელებში იაფი ჰიდროელექტროენერგიის საშუალებით.

სწორედ იმ ქვეყნებს, რომელთა ენერგობალანსში ჰიდროელექტროენერგიის ხვედრითი წონა მაღალია, აქვთ განვითარებული ელექტრომეტალურგია და ელექტროქიმია. ნორვეგიას არ მოეპოვება ალუმინის ნედლეული (ბოქსიტი), მაგრამ ჰიდროელექტროენერგეტიკული ბაზის სიმდიდრის გამო იგი ალუმინის ერთ ერთი მსხვილი მწარმოებელია.

საფრანგეთში ალუმინის მრეწველობა დამყარებულია ორი ენერგეტიკული ბაზის საფუძველზე, პირველი ეყრდნობა იმ მდინარეთა ენერგიას, რომელთაც სათავე ალპებში აქვთ, ხოლო მეორე — პირენეის მთებიდან გამომდინარე მდინარეთა ენერგიას.

ინდოეთში არ არსებობს ალუმინის ჟანგის წარმოება, მაგრამ ალუმინის წარმოება მეტად განვითარებულია ვინაიდან ამ ქვეყანაში შესაძლებელია იაფი ჰიდროელექტროენერგიის მიღება.

საბჭოთა კავშირში ელექტროთერმიული და ელექტროლითური წარმოებანი მოწყობილი არიან ჰიდროელსადგურების ბაზაზე. ასე, მაგალითად, ტიროშენადნობთა წარმოების ცენტრებს წარმოადგენენ დნეპროპეტროვსკი — დნეპროპეს საფუძველზე და ზესტაფონი — ზაჰესისა და რიონჰესის ელექტროენერგიის საფუძველზე.

ალუმინის ელექტროლიზის წარმოებანი აგებული არიან აგრეთვე მძლავრ ჰიდროელსადგურების მახლობლად.

ამრიგად, მრეწველობის ენერგოტევადი წარმოებანი ეწყობიან უმთავრესად ჰიდროელექტროსადგურებთან, ვინაიდან ელექტროენერგიის გადაცემა მნიშვნელოვან მანძილზე აძვირებს ელექტროენერგიის ღირებულებას.

მრეწველობის ენერგოტევადი დარგები გარკვეულ მოთხოვნილებებს უყენებენ ენერგეტიკულ ბაზას. ენერგოტევად საწარმოთა ორგანიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში არის ეკონომიური თვალსაზრისით გამართლებული, თუ ელექტროენერგეტიკული ბაზა აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებებს.

წინამდებარე გამოკვლევის მიზანს შეადგენს გაარკვიოს, თუ როგორია ეს მოთხოვნილებები და შესაძლებელია თუ არა მათი დაკმაყოფილება საქართველოს პირობებში.

პირველი მოთხოვნილება მდგომარეობს იმაში, რომ ტექნოლოგიური მიზნებისათვის ელექტროენერგიას წარმოება ღებულობდეს იაფ ფასებში, ხოლო ამისათვის აუცილებელია ელექტროსადგურის მიერ გაცემული კვტსაათის თვითღირებულება იყოს მინიმალური. სწორედ ამ გარემოების გამო ენერგოტევადი საწარმოები მიისწრაფიან ჰიდროელექტროსადგურებისადმი.

ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება, როგორც წესი, 2—2,5-ჯერ დაბალია, ვიდრე თბოელექტროსადგურების ელექტროენერგიისა.

მრეწველობის ენერგოტევადი დარგების წარმოების ხარჯებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ელექტროენერგიის ხარჯს; ელექტროქიმიური წარმოების პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურაში ელექტროენერგიის ხარჯის ხვედრითი წონა 40—50 პროცენტს შეადგენს. ამის გამო მცირე ცვლილებანიც კი ელექტროენერგიის ღირებულებაში უაღრესად შესამჩნევ გავლენას ახდენენ პროდუქციის თვითღირებულებაზე. ამ დებულების ნათელსაყოფად საკმარისი იქნება დავასახელოთ, რომ საშუალო ელექტროტევადობის მქონე წარმოების პროდუქციის გამომუშავება, რომლის ელექტროენერგიის ხვედრითი ნორმა ერთ ტონაზე 3000 კვტსაათს შეადგენს, სხვა თანაბარ პირობებში, ჰიდროელექტროსადგურების ელექტროენერგიის გამოყენებით 30—35 პროცენტით იაფი დაჯდება, ვიდრე იგივე პროდუქტი დამზადებული თბოელექტროსადგურის ელექტროენერგიის საფუძველზე.

სოციალისტურ ეკონომიკაში, სადაც მოქმედებს ღირებულების კანონი შეგნებულად გამოყენებული საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გეგმიანი მართვის პირობებში, საწარმოთა ადგილმდებარეობის შერჩევის დროს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ისეთი პუნქტის მონახვას, სადაც, სხვა თანაბარ პირობებში, პროდუქციის თვითღირებულება მინიმალური იქნება.

სწორედ ამიტომ ენერგოტევად წარმოებათა გეოგრაფიული განლაგების საქმეში ჰიდროენერგეტიკულ რესურსებსა და მათ ხასიათს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ელექტროენერგიის დაბალი თვითღირებულების გარდა ჰიდროელექტროსადგურებს აქვს განსაკუთრებული სახალხო მეურნეობრივი უპირატესობა.

როგორც ცნობილია, ჰიდროელსადგურები იყენებენ მდინარეთა ძალას და არ ამცირებენ ენერგეტიკული რესურსის მარაგს, მაშინ როდესაც თბოელექტროსადგურები სწვავენ სათბობს და ამით ამცირებენ მის მარაგს მიწის წიაღში.

ვინაიდან მრეწველობის ენერგოტევადი დარგები დიდის რაოდენობით საჭიროებენ ელექტრონის ენერგიას, მათი დაფუძნება ჰიდროელექტროენერგიაზე იწვევს სათბობის ხარჯვის უდიდეს შემჭირნეობას. ასე, მაგალითად, როგორც ჩანს საპროექტო მასალებიდან[1], ურალში 100 ათასი ტონა ალუმინის გამოდნობისათვის თბოენერგიის საშუალებით საჭირო იქნება წელიწადში 2.000 ათასი ტონა ქვანახშირი, რაც ამ წარმოების ჰიდროელსადგურზე ორიენტაციის პირობებში დაზოგილი იქნება.

მ ე ო რ ე მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა მდგომარეობს იმაში, რომ ენერგოტევადი წარმოებანი მოეწყონ ჰიდროელექტროენერგიის მხრივ მდიდარ რაიონში. ეკონომიური რაიონი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს ენერგოტევად წარმოებათა მიმზიდველი, თუ ამ რაიონში მოიპოვება საკმარისი ჰიდროენერგეტიკული რესურსები სახალხო მეურნეობის დანარჩენი დარგების ნორმალურ მოთხოვნილებათა დასაფარავად.

ენერგოტევადი დარგების ელექტროდატვირთვათა დაფარვამ როდი უნდა გამოიწვიოს ელექტროენერგიის დანარჩენ მომხმარებელთა (მრეწველობა, ტრანსპორტი, კომუნალური მეურნეობა და სხვა) მოთხოვნილების შეკვეცა.

მ ე ს ა მ ე მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა მდგომარეობს იმაში, რომ ელექტროტევადი წარმოებანი მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყვნენ ელექტროენერგიით ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს ამ დარგების სეზონურ ელექტრომომარაგებას.

მრეწველობის ენერგოტევადი დარგების სეზონურ ენერგიით მომარაგებას აქვს შემდეგი უარყოფითი მხარეები:

ა) მცირდება საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება და ამის გამო იზრდება პროდუქციის ერთეულზე კაპიტალურ დაბანდებათა ოდენობა.

ბ) მცირდება შრომის ნაყოფიერება.

გ) დიდდება მასალის, სათბობის და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმები.

დ) იზრდება პროდუქციის თვითღირებულება.

ენერგოტევადი წარმოებანი უმრავლეს შემთხვევაში ხასიათდებიან საწარმოო ფონდების მაღალი წყობით. მათი მოწყობილობა და აპარატურა ძვირად

[1] იხ. П. Смирнов, Очерки по экономике цветных металлов. 1932 г., გვ. 321.

ფასობს, რაც ეკონომიური თვალსაზრისით მიზანშეუწონლად ხდის ამ საწარშოთა სეზონურ მუშაობას წლის განმავლობაში. ელექტრომეტალურგიული და ელექტროქიმიური წარმოებანი, როგორც წესი, მარაგდებიან მუდმივი ელექტროენერგიით.

სეზონურ ჰიდროელექტროსადგურებს ახასიათებს ენერგიის შედარებით დაბალი თვითღირებულება, მაგრამ მიუხედავად ამისა მრეწველობის ენერგოტევადი დარგები ვერ იქნებიან ასეთ ელექტროენერგიაზე ორიენტირებული. ვინაიდან, სეზონური ელექტრომომარაგებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები იმდენად საგრძნობია, რომ მათთან შედარებით ელექტროენერგიის მცირე ღირებულებით მიღებული ეკონომია სრულიად უეფექტოა.

ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საქართველოში განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია.

საქართველო მეტად მდიდარია ჰიდროენერგიით. ფრიად საგულისხმოა, რომ საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსები არა მარტო სეზონური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესაძლებლობას იძლევიან არამედ შესაძლებელს ხდიან აგრეთვე მთლიანად მოწესრიგებული (დარეგულირებული) ელექტროენერგეტიკული სისტემების შექმნას. თანაც, რაც მთავარია, ელექტროენერგიის რამდენიმე მილიარდი კვტსაათი შეიძლება მიღებულ იქნეს მძლავრ ჰიდროელექტროსადგურებში.

საქართველოს უმთავრეს მდინარეთა ჰიდროტექნიკური და გეოლოგიური პირობები მძლავრი, მოწესრიგებული (დარეგულირებული) ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საშუალებას იძლევიან. ძლავრი დარეგულირებული ელსადგურები იძლევიან იაფი ენერგიის დიდ რაოდენობას, თანაც ეს უკანასკნელი თანაბარი გრაფიკით ნაწილდება წლის განმავლობაში.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ინჟ. პაველ შენგელიას მდინარე რიონის გამოყენების სქემა[1].

მდინარე რიონი თავისი მაღალი ენერგეტიკული მაჩვენებლებით მკვეთრად განირჩევა საქართველოს სხვა მდინარეთაგან. მდინარე რიონს შუა წელში, ქალაქ ონიდან სოფ. ბაშამდე (სიგრძე 140 კლმ, ვარდნა 750 მტრ) ახასიათებს საშუალო ხვედრითი სიმძლავრე — 6.750 კვტ., ბაშიდან როდესაც ზემო წელში (სათავიდან — ქ. ონამდე) ხვედრითი სიმძლავრე უდრის 3.500 კვტ, ხოლო ქვემო წელში (სოფ. ბაშიდან — შესართავამდე) 700 კვტ.

მდ. რიონის შუა წელში ხვედრითი სიმძლავრე მიაღწევს 10.000 კვტ., იმ შემთხვევაში, თუ მდინარე ცხენის წყალი გადასროლილი იქნება მდინარე რიონში, როგორც ეს ინჟ. პ. შენგელიას სქემითაა გათვალ სწინებული.

სწორედ შუა წელში მდინარე რიონი ხასიათდება მეტად ხელშემწყობი ბუნებრივი პირობებით ტევადი წყალსაცავებისა და ჯებირების მშენებლობისათვის, რაც მდინარის ჩადინების სრულ მოწესრიგების საშუალებას იძლევა-

[1] Инж. П. Шенгелия, Каскад гидростанций р. среднего Риона; журн. „Гидротехническое строительство", 1947 г. № 9, стр. 10.

მდ. რიონის შუა წელში ინჟ. პ. შენგელიას სქემით გათვალისწინებულია შვიდი მძლავრი ჰიდროელსადგურის და ექვსი შედარებით მცირე სიმძლავრის ჰიდროელსადგურის აგება.

ჩვენ აქ არ შევუდგებით აღნიშნული სქემის ტექნიკურ მაჩვენებელთა განხილვას. ჩვენი ამოცანაა განვსაზღვროთ ამ სქემით გათვალისწინებული ელექტროენერგეტიკული სისტემის ფრიად დიდი ეკონომიური უპირატესობანი.

მდინარე რიონის ენერგეტიკული გამოყენების ზემოდასახელებული სქემა ითვალისწინებს:

ა) რიონის შუა წელში დიდი ტევადობის წყალსაცავების შექმნას, რის მეშვეობითაც ხორციელდება მდ. რიონის ჩამონადენის მოწესრიგება წლის განმავლობაში. ეს გარემოება, თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის რიონის სეზონური ენერგიის გარდაქმნას მუდმივ ენერგიად.

ბ) მდ. ცხენისწყლის გადმოგდებას მდ. რიონის კალაპოტში და შეერთებული ხარჯის გამოყენებას რამდენიმე გაბსხვეილებული მძლავრი ჰიდროელსადგურის ასაგებად.

გ) მდ. რიონის პოტენციური ენერგიის ენერგეტიკულ ათვისებას ცალკეული საფეხურების მშენებლობით. წინა საფეხურების ჰიდროსადგურების მშენებლობა არამცთუ ხელს არ უშლის ელექტროსადგურთა მომდევნო საფეხურების განხორციელებას, არამედ, პირიქით, ზრდის კიდევაც ადრე ასაგებ საფეხურების ბიერ ენერგიის გაოქუშავებას და აუმჯობესებს მათ ენერგოეკონომიურ მაჩვენებლებს.

დ) ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას ისეთ რაიონში, რომელიც, ერთი ბხოივ, გეოგრაფიულად ხელსაყრელ პირობას ჰქმნის ენერგოტევად წარმოებათა ორგანიზაციისთვის, ვინაიდან ამ რაიონში მოიპოვება ქვანახშირის ბუდობები, კირქვის, ხალცედონის და იშვიათი ლითონების საშრეწველო საბადოები, ხოლო, მეორე მხრივ, აქვს შედარებით დამაკმაყოფილებელი სატრანსპორტო პირობები, რაც აადვილებს ამ რაიონში დიდი ელექტროსადგურების მშენებლობის პრაქტიკულ განხორციელებას.

ამგვარად, სავსებით ნათელია, რომ საქართველოში დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ეკონომიურ პირობებს ქმნის მრეწველობის ენერგოტევადი დარგების განვითარებისათვის.

ამასთან ერთად საგულისხმო ის არის, რომ ამ დარგთა ორგანიზაციისათვის საქართველოში მოიპოვება სათანადო ნედლეული და სათბობი.

რომელია მრეწველობის ის ენერგოტევადი დარგები, რომელთა აღმოცენება საქართველოში შეიძლება ეკონომიურად გაძართლებულად ჩაითვალოს?

ამ საკითხის გასაშუქებლად საჭიროა ჩატარდეს სპეციალური სამეცნიერო კვლევითი მუშაობა ცალკეულ საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების დასადგენად. აუცილებელია ამ ობიექტების შესწავლას სერიოზული ყურადღება მიაქციონ საქართველოს სათანადო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებმა. აქ კი ჩვენს წინასწარ მოსაზრებებს გამოვთქვამთ ამ საკითხზე.

პირველი და ძირითადი საწარმოო კომპლექსი, რომლის განვითარებას საქართველოში ეკონომიური საფუძველი აქვს იაფსა და მუდმივ ჰიდრო-ელექტროენერგიაზე დაყრდნობით, არის ფეროშენადნობთა წარმოება. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ საქართველოში უკვე გადადგმულია. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა საქართველოს ელექტრომეტალურგიის პიონერია. ფეროშენადნობთა მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის საქართველოში მტკიცე ტექნიკურ-ეკონომიური ბაზა მოიპოვება. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სიმძლავრის გასამკეცება ნედლეულით სავსებით უზრუნველყოფილია. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ჭიათურის მარგანეცი, ახკამეთის ხალცედონი, ზემო-რაჭის იშვიათი ლითონები და კვახჭირის კირქვები.

ფეროშენადნობთა მრეწველობასთან ერთად დიდი პერსპექტივები ესახება ლითონური მარგანეცის წარმოებას ელექტროლიზური ხეთოდით; ამის წარმოება სამრეწველო პირობებში ზესტაფონის ქარხნის მიერ უკვე ათვისებულია.

მეორე საწარმოო კომპლექსს შეადგენს სილუმინისა და ლითონის ალუმინის წარმოება.

სილუმინი წარმოადგენს ალიუმო-კაჟბად შენადნობს, რომელსაც თანამედროვე მანქანათმშენებლობაში მეტად დიდი გამოყენება აქვს.

უკანასკნელ დრომდე სილუმინი მზადდებოდა ელექტროლიზური ალუმინისა და კაჟის უშუალო შედნობით. ძირითად მასალათა სიძვირისა და დეფიციტიანობის გამო უკანასკნელ ხანებში ეს მეთოდი ადგილს უთმობს უფრო იაფსა და მარტივ ელექტროთერმიულ მეთოდს.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ამხ. გ. მიქელაძის მიერ ჩატარებული ლაბორატორიული ცდების შედეგად გამოირკვა, რომ ტყიბულის **ხვწავი ფიქალები** ე. წ. ლიპტობიოლიტები სრულ შესაძლებლობას იძლევიან ელექტროთერმიული მეთოდით სილიკო-ალუმინის მიღებისათვის.

ამ მეთოდს ესაჭიროება კიდევ ნახევრად საქარხნო წესით გამოცდა.

ლითონის ალუმინის წარმოება საქართველოში შესაძლებელია დაემყაროს შავი ზღვის სანაპირო რაიონებში (აჭარა, გურია) არსებულ ეგრეთწოდებული ლატერიტის (წითელი) თიხების გამოყენებას, რომელნიც საკმაო რაოდენობით შეიცავენ ალუმინს.

საჭიროა ამ საკითხის სერიოზული დამუშავება, ნახევრად საქარხნო წესით ნედლეულის გამოცდა, რაც უტყუარ პირობებს შექმნის საქართველოში ალუმინის მრეწველობის ორგანიზაციისათვის.

ენერგოტევად წარმოებათა მესამე მსხვილ ობიექტად შესაძლებელია დასახელებულ იქნეს კარბიდ-კალციუმის წარმოება.

ელექტროენერგიის მოხმარების მხრივ კარბიდ-კალციუმის წარმოება არის ენერგოტევადი მრეწველობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი. კარბიდ-კალციუმის წარმოების ძირითად ნედლეულს კირქვა წარმოადგენს. კარბიდ-კალციუმის წარმოების ორგანიზაციისათვის საქართველოში ყველა პირობები მოიპოვება გარდა ელექტროენერგიისა.

კარბიდ-კალციუმის საფუძველზე მოსახერხებელი ხდება ისეთ წარმოებათა მოწყობა, როგორიცაა სინთეზური ძმრის მჟავა, პლასტიკური მასები, ხელოვნური ბრეშუმი და სხვა.

მეოთხე სახის ენერგოტევადი წარმოება, რომელიც შეიძლება მოეწყოს საქართველოში იაფი ელექტროენერგიის გამოყენების საფუძველზე, არის აზოტის სასუქების დამზადება. ელექტროლიზის მეთოდით ერთი ტონა სინთეზური ამონიაკის დამზადებისათვის საჭიროა დაახლოვებით 14 ათასი კვტსაათის ელექტროენერგია.

ცნობილია, თუ რამდენად აქტუალურია საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის აზოტის სასუქების წარმოების ორგანიზაცია. აზოტის წარმოებას ელექტროლიზური მეთოდით ის გამართლება აქვს, რომ ქვანახშირის რესურსები საქართველოში შეზღუდულია, ამიტომ ამონიაკის წარმოებისათვის უფრო მიზანშეწონილია ჰიდროელექტროენერგიის გამოყენება, ვიდრე ქვანახშირისა.

დასასრულ ენერგოტევად წარმოებათა მეხუთე ჯგუფში უნდა მოვიხსენიოთ აბრაზივების წარმოება (კარბორუნდი და ელექტროკორუნდი) კარბორუნდის წარმოებისათვის გამოსავალ ნედლეულს წარმოადგენს კვარცის სილა, კოქსი, ქვის მარილი. ქვის მარილის გარდა ეს წარმოება ადგილობრივი ნედლეულით უზრუნველყოფილია.

ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ენერგოტევადი წარმოებები შესაძლებელია წარმოიქმნან საქართველოში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპზადებული იქნება ელექტროენერგეტიკული ბაზა მძლავრი მოწესრიგებული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. IV. 7).

Ир. Микеладзе

Экономические предпосылки развития в Грузии энергоемких отраслей промышленности

Резюме

Одной из крайне характерных особенностей топливно-энергетических ресурсов Грузии является превалирующее значение в их структуре гидроэнергии. Если в целом по Советскому Союзу удельный вес гидроэнергии в общих энергетических ресурсах не превышает 11 процентов, то по Грузии он составляет около 90 процентов.

По данным Совета по изучению производительных сил Академии Наук Грузинской ССР, по обеспеченности среднегодовой мощностью, Грузия выгодно отличается от других Республик Советского Союза.

Если по СССР в целом среднегодовая мощность на 1 кв. клм. территории составляет 13,2 квт, по Грузии удельная мощность достигает — 153,2 квт.

В отношении гидроэнергетических ресурсов Грузия богаче таких стран, как Франция, Швейцария, Италия, Испания, Норвегия, Швеция, Япония и Германия.

Однако по степени использования своих богатых гидроэнергетических ресурсов Грузия находится еще на низком уровне.

Наряду с гидроэнергетическими ресурсами, Грузия располагает разнообразным сырьем, необходимым для насаждения крупной энергоемкой промышленности.

Наличие богатых гидроэнергетических ресурсов с одной стороны и сырьевых источников с другой стороны создают в Грузии наиболее благоприятные условия для развития энергоемких отраслей промышленности (электрометаллургия и электрохимия).

Энергоемкие отрасли промышленности предъявляют следующие требования к обслуживающей ее энергобазе.

Прежде всего энергоемкие отрасли должны получать электроэнергию для технологических целей по минимальной стоимости. Именно поэтому энергоемкие отрасли ориентируются на гидроэлектрическую энергию.

Себестоимость электроэнергии вырабатываемой гидроэлектростанциями 2—2,5 раза ниже себестоимости электроэнергии тепловых электростанций.

Ввиду того, что элемент электроэнергии в себестоимости изделий энергоемких производств занимает от 40 до 50 процентов, малейшие отклонения в стоимости киловатт-час электроэнергии существенно влияют на уровень себестоимости изделия.

Кроме стоимостного момента, использование гидроэлектроэнергии для технологических нужд промышленности имеет большое народнохозяйственное значение, так как вызывает значительную экономию топлива, потребляемого теплоэлектростанциями.

Второе условие предъявляемое энергобазе энергоемкими производствами продиктовано общими народнохозяйственными соображениями. Согласно этим соображениям размещение энергоемких производств, в условиях социалистической экономики, целесообразно лишь в энергетически богатых районах, где покрытие огромных потребностей в электроэнергии энергоемких производств не исключает возможности удовлетворения нужд других отраслей народного хозяйства.

Наконец, третье требование, которое должно быть предъявлено к энергобазе, заключается в том, что энергоемкие производства должны быть обеспечены электроэнергией по сравнительно ровному графику в течение года.

Удовлетворение указанных требований, предъявляемых со стороны энергоемких производств к энергобазе, представляется возможным в условиях Грузии, где имеются оптимальные условия для строительства крупных районных гидроэлектрических станций с выработкой зарегулированной дешевой электроэнергии.

В этом отношении особое внимание заслуживает Западная Грузия, и в частности бассейн реки Рионп, представляющий исключительный интерес с точки зрения энергетического его использования. Разработанная инженером П. Г. Шенгелия схема средне-рионских ГЭС охватывает весь средний участок реки Риони от г. Они до сел. Баши, протяжением 140 км и падением кругло — 750 м.

Каскад среднего Риони по названной схеме состоит из семи крупных ступеней до г. Кутаиси и шести сравнительно мелких на участке Кутаиси-Баши (см. журнал Гидротехническое строительство 1937 г. № 9, ст. инж. П. Шенгелия „Каскад гидростанции среднего Риона").

Схема средне-рионских ГЭС предусматривает:

а) комбинированное использование водной энергии рек Риони и Цхенис-Цхали путем устройства специальных сооружений по переброске;

б) превращение сезонной энергии р. Риони в источник постоянной зарегулированной энергии, осуществлением строительства при гидроэлектростанциях довольно крупных водохранилищ;

в) постепенное и планомерное освоение энергетических ресурсов р. Риони путем строительства взаимно связанных ступеней, осуществление коих не только увеличивает выработку электроэнергии на ранее осуществляемых электростанциях, но и улучшает их технэкономические показатели.

На базе выработки столь большого количеотва электроэнергии, экономически оправданным является насаждение и развитие в Грузии следующих энергоемких производств:

1) Дальнейшее расширение ферросплавного производства, в состав которого мыслится не только строительство последующих электропечей Зестафонского ферросплавного завода, но и организация производства металлического марганца электротермическим способом и марганце-химических производств (перманганат, двуокись марганца, сульфат марганца и др.).

2) Организация производства силумина электротермическим способом на базе использования горючих сланцев Ткибульского каменноугольного месторождения.

3) Организация производства карбида кальция.

На основании производства карбида кальция представляется возможным насаждение в Грузии производств синтетической уксусной кислоты, пластических масс, искусственного шелка и других.

4) Организация азотно-тукового производства электролитическим способом.

5) Организация абразивных производств, карборунда и электрокорунда.

Перед научно-исследовательскими учреждениями и организациями Грузии ставится весьма ответственная задача по углубленному изучению возможностей организации в Грузии вышеназначенных объектов энергоемких отраслей промышленности, на базе местных сырьевых и топливных ресурсов.

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 19[illegible]
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV, 19[illegible]

ა. ქაქაბაძე

სახალხო შემოსავლის თეორიის ზოგიერთი საკითხისათვის[1]

საბჭოთა კავშირის სახალხო შემოსავლის პრობლემა მრავალ მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ საკითხს შეიცავს. ეს საკითხებია: სახალხო შემოსავლის ცნების, მისი აღრიცხვის და შესწავლის მეთოდების, სახალხო მეურნეობის დარგების, კერძოდ ტრანსპორტის და ვაჭრობის წმინდა პროდუქციის, მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის, სახალხო შემოსავლის განაწილების და მოხმარება-გამოყენების, მისი რესპუბლიკათაშორისი განაწილების, უცხოურ სახელმწიფოთა სახალხო შემოსავალთან შედარების და სხვ. ამ წერილში ჩვენ შევეხებით მოკლედ, ზოგჯერ მხოლოდ საკითხის დაყენების წესით, რამდენიმე საკითხს.

სახალხო შემოსავლის ცნება. სახალხო შემოსავლის ცნების განსაზღვრის აღმოსავალს წარმოადგენს მარქსის მიერ აღმოჩენილი კანონი კაპიტალისტურ საზოგადოებაში საქონელში განსახიერებული შრომის ორმაგი ხასიათის აბსტრაქტული და კონკრეტული შრომის შესახებ. პირველი ჰქმნის წლიური შრომის პროდუქტის ახალ ღირებულებას, მეორეს კი მხოლოდ გადააქვს მოხმარებული წარმოების საშუალებათა ღირებულება წლიურ პროდუქტზე. წლის განმავლობაში შექმნილი მთლიანი პროდუქტის ღირებულება წარმოადგენს ახლად შექმნილი ღირებულების და წარმოების პროცესში მოხმარებული წარმოების საშუალებათა ღირებულების ჯამს. ამ საფუძველზე მარქსმა აღმოაჩინა პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორია — ნაციონალური (სახალხო) შემოსავალი. მთელი საზოგადოების შემოსავალს მარქსი უწოდებს მთლიან შემოსავალს ანუ ნაციონალურ შემოსავალს და შემდეგნაირად განმარტავს მას: „მთლიანი შემოსავალი არის ღირებულების ის ნაწილი და მის მიერ გაზომილი ბრუტო პროდუქტის ანუ მთლიანი პროდუქტის ის ნაწილი, რაც რჩება ღირებულების იმ ნაწილის და მის მიერ გაზომილი მთელი წარმოების პროდუქტის იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც ანახლაურებს წარმოებაში ავანსად გაღებულ და მოხმარებულ მუდმივ კაპიტალს“[2].

---

[1] წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახელობის თბ. სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე 1947 წლის 31 ოქტომბერს.

[2] К. Маркс, Капитал, т. III, 2-ое, 1936 г., стр. 740.

საზოგადოების ეს მთლიანი შემოსავალი, ანუ მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების ნაწილი ახლად იქმნება წლის განმავლობაში გამოყენებული ცოცხალი შრომით. „წლის განმავლობაში ახლად იქმნება წლიური პროდუქტის ღირებულების მხოლოდ გარკვეული ნაწილი; ეს ნაწილი არის ახლად შექმნილი წლიური ღირებულება, რომელშიც განხორციელებულია მოცემული წლის განმავლობაში ამოქმედებული შრომის ჯამი“ [1].

ამრიგად, სახალხო შემოსავალი როგორც ახლად შექმნილი ღირებულება სხვა არა არის რა, თუ არა მატერიალური წარმოების სფეროს წმინდა პროდუქცია, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მთლიანი პროდუქტისა და წარმოების პროცესში მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებას შორის. ის იქმნება უშუალოდ წარმოების პროცესში და მის შედეგად, მოცემული წლის განმავლობაში გამოყენებული შრომის მიერ.

მაგრამ სახალხო შემოსავალი აბსტრაქცია იქნებოდა, ის რომ მხოლოდ წმინდა პროდუქციის სახით მოცემულ უმოძრაო, თავისთავადურ კატეგორიად გვეგულისხმოთ. „წარმოების განხილვა, — წერს მარქსი, — მასში მოქცეული განაწილებისაგან დამოუკიდებლად, აშკარად ცარიელი აბსტრაქცია არის, ვაშინ როდესაც, პირიქით, პროდუქტების განაწილება თავისთავად მოცემულია ამ განაწილებასთან, რომელიც თავდაპირველადვე წარმოების შემადგენელი მომენტია“ [2].

ამიტომ სახალხო შემოსავლის შესწავლა არ შეიძლება მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის რეპროდუქციის პროცესისაგან გამოთიშვით. „ნაციონალური შემოსავლის“ და „ნაციონალური მოხმარების“ საკითხი, — წერს ლენინი, — რომლის გადაჭრა აბსოლუტურად შეუძლებელია, თუ კი ის დამოუკიდებლად დაისვა... აღმოჩნდა სავსებით გადაჭრილად, როცა მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის წარმოების პროცესი გამოირკვა“ [3].

წარმოებაში შექმნილი სახალხო შემოსავალი მთელი საზოგადოებრივი რეპროდუქციის პროცესში გაივლის განაწილების და მოხმარება-გამოყენების სტადიებს. თავდაპირველად ის ნაწილდება ძირითად შემოსავალთა სახით — კაპიტალისტურ საზოგადოებაში ხელფასად, მოგებად და რენტად, ხოლო სოციალისტურ საზოგადოებაში მუშათა ხელფასად, კოლმეურნეობის წევრთა შრომადღეების მიხედვით მიღებულ შემოსავლად და სოციალისტურ საწარმოთა დაგროვებად. ამ განაწილებას მარქსი გამოხატავს ფორმულით v + m, რომელსაც სოციალისტურ მეურნეობაში კაპიტალისტურისაგან პრინციპულად განსხვავებული ბუნება აქვს. სოციალისტური საზოგადოების სახალხო შემოსავალი არის წლის განმავლობაში მატერიალური წარმოების სფეროში გამოყენებული შრომის მიერ ახლად შექმნილი საზოგადოებრივი პროდუქტი, ანუ სოციალისტური სახალხო მეურნეობის წმინდა პროდუქცია.

---

[1] К. Маркс, Капитал, т. II, 1935 г., стр. 270.

[2] იქვე.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. III, სახელგამი თბ., 1930 წ., გვ. 42.

როგორც ასეთი, ის ნატურალური ფორმით არ აღირიცხება, მაგრამ მატერიალური შინაარსის მატარებელია, მისი ღირებულება გამოიხატება ფულით და ნაწილდება ხელფასად, შრომადღეების ანაზღაურებად და სოციალისტურ საწარმოთა დაგროვებად, ე. ი. იქცევა შემოსავლად. წმინდა პროდუქციის ღირებულება იღებს საზოგადოების მთლიანი შემოსავლის ფორმას და მით გაიზომება. ამრიგად, სახალხო შემოსავალი წარმოადგენს ახლად შექმნილ პროდუქტს. წმინდა პროდუქციას, რომელიც იქმნება მატერიალური წარმოების სფეროში. მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, რეპროდუქციის პროცესი მხოლოდ წარმოების სფეროთი არ ამოიწურება. წარმოების აგენტების შებრუნებულ მხარეებს განაწილების ურთიერთობანი წარმოადგენენ და ხელფასი და დაგროვება განაწილების წესებია. მარქსი წერს: „განაწილება თვით არის წარმოების პროდუქტი, — არა მარტო საგნის მიხედვით, რადგან შეიძლება განაწილებულ იქნეს წარმოების მხოლოდ შედეგი, — არამედ ფორმის მიხედვითაც, რადგან წარმოებაში მონაწილეობის განსაზღვრული წესი განსაზღვრავს განაწილების განსაკუთრებულ ფორმას, — ფორმას, რომლითაც თითოეული მონაწილეობას იღებს განაწილებაში“ [1]. ხელფასი, შრომადღეების ანაზღაურება და სოციალისტური დაგროვება წმინდა პროდუქციაში ანუ სახალხო შემოსავალში მონაწილეობის თავდაპირველ ფორმას წარმოადგენენ. სხვანაირად, — ისინი ახლად შექმნილი პროდუქტის, წმინდა პროდუქციის ანუ სახალხო შემოსავლის უშუალო განაწილების ფორმაა.

ამგვარად, სახალხო შემოსავალში წლის განმავლობაში გამოყენებული შრომა არის გასაგნობრივებული, ხოლო $v + m$ ახლად შექმნილი პროდუქტის ჯამოვლინებაა და ის შუალად არის წმინდა პროდუქციის ღირებულების განაწილების ძირითადი ნიშანი. $v + m$ ასახავს პროდუქტთა განაწილებას, განსაზღვრულს წარმოების აგენტების განაწილებით, რომელიც თვით არის წარმოების მომენტი.

„შედეგი, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ, — წერს მარქსი, — არის არა ის, რომ წარმოება, განაწილება, გაცვლა-გამოცვლა და მოხმარება ერთი და იგივეა, არამედ ის, რომ ყველა ისინი ერთობლივობის წევრებს, ერთიანობის შიგნით განსხვაებულობათ წარმოადგენენ, წარმოება მბრძანებლობს როგორც თავის თავზე წინააღმდეგობათა შემცველ წარმოების განსაზღვრაში, ისე ყველა მომენტზე. მისგან ისევ და ისევ ახლად იწყება პროცესი. რომ გაცვლა-გამოცვლას და მოხმარებას არ შეიძლება გაბატონებული მნიშვნელობა ჰქონდეს, ეს თავისთავად ცხადია. იგივე შეიძლება ითქვას განაწილების, როგორც პროდუქტთა განაწილების შესახებ. მაგრამ იგი როგორც წარმოების აგენტთა განაწილება თვით არის წარმოების მომენტი“ [2].

საზოგადოების წლიური პროდუქტის ის ნაწილი (c), რომელიც მხოლოდ აღადგენს მოხმარებული წარმოების საშუალებათა ღირებულებას, შემოსავლად

---

[1] К. Маркс. К критике политической экономии, 1935 г., стр. 19.

[2] იქვე, გვ. 23.

არ იქცევა; მისი მეორე ნაწილი კი, ახლად შექმნილი ღირებულება, მთლიანად იქცევა შემოსავლად. ის „იმისათვისაა დანიშნული, რომ საკუთრებით გადაიქცეს მთლიან შემოსავლად და მიიღოს ხელფასის, მოგების და რენტის ფორმები, რომელთა ჯამი მთლიან შემოსავალს შეადგენს“ [1].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სსრ კავშირის სახალხო შემოსავალი არის მატერიალური წარმოების დარგებში ახლად შექმნილი ღირებულება, მათი წმინდა პროდუქციათა ჯამი, რომელიც მთელი საზოგადოების თვალსაზრისით იღებს მთლიანი შემოსავლის ფორმას, გამოყენებულს მატერიალური წარმოების სფეროს მუშათა ხელფასში, შრომადღეების ანაზღაურებაში და სოციალისტურ საწარმოთა დაგროვებაში. თავდაპირველად ის იქმნება წარმოებაში ახლად გამოყენებული შრომის მიერ და საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქციის კანონების შესაბამისად თავდაპირველად ნაწილდება წარმოების პროცესში მონაწილე აგენტთა შორის. როდესაც მარქსი განიხილავს მთელი საზოგადოების შემოსავალს და ამბობს, რომ „ნაციონალური შემოსავალი შედგება ხელფასისაგან პლუს მოგება, პლუს რენტა, ე. ი. მთლიანი შემოსავლისაგან“ [2], ის გამოდის იმ დებულებიდან, რომ უკანასკნელნი წარმოადგენენ წმინდა პროდუქციის, ე. ი. სახალხო შემოსავლის განაწილებას წარმოების აგენტთა შორის. ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ სახალხო შემოსავლის თავდაპირველი სახე არის ხელფასი პლუს მოგება, პლუს რენტა, არამედ იმას, რომ მატერიალური წარმოების სფეროში თავდაპირველად წმინდა პროდუქციის სახით შექმნილი სახალხო შემოსავალი ნაწილდება უშუალოდ წარმოების აგენტთა შემოსავლის ამ ფორმათა მიხედვით, რომ ახლად შექმნილი ღირებულების დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ის მთლად გადაიქცეს მთლიან შემოსავლად და მიიღოს ხელფასის, მოგების და რენტის ფორმა [3], რომ განაწილების წესი შებრუნებულად მხარეა წარმოების აგენტებისა, რომ ხელფასი, მოგება და რენტა პროდუქტებში, წარმოების შედეგებში მონაწილეობის სახეა [4]. ამრიგად, მარქსი იძლევა ნაციონალური (სახალხო) შემოსავლის ცნების ერთიან განსაზღვრას როგორც წმინდა პროდუქციისა, ახლადშექმნილი ღირებულებისა და მისი შებრუნებული მხარისა, მისი განაწილებითი გამოვლინებისა — მთლიანი შემოსავლისა. ამიტომ უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს სახალხო შემოსავლის ცნების ორგვარი განსაზღვრა — 1) როგორც საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების ნაწილისა, რომელიც რჩება მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულების გამოკლების შემდეგ და 2) როგორც ცალკე კლასების და პირების შემოსავალთა კრებადობისა. ასეთ დებულებას ავითარებს პროფ. დ. ი. ჩერნომორდიკი. ის წერს: „მარქსი იძლევა („კაპიტალის“ III ტომის მე-19 თავში) ნაციონალური შემოსავლის ორგვარ განსაზღვრას. ნაციო-

---

[1] К. Маркс, Капитал, т. III, ч. 2, 1936 г., стр. 740.

[2] იქვე, გვ. 741.

[3] იქვე, გვ. 740.

[4] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 17.

ნაღული ანუ მთლიანი შემოსავალი არის საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილი, რომელიც რჩება მოხმარებული წარმოების საშუალებათა გამოკლების შემდეგ... ერთდროულად, ნაციონალური შემოსავალი, ნაწილდება რა ცალკე კლასებსა და პირებს შორის ამ კლასების შიგნით, წარმოადგენს შემოსავალთა კრებადობას — კაპიტალისტურ საზოგადოებაში — ხელფასის, მოგებისა და რენტის“ [1].

სახალხო შემოსავლის ორგვარი გაგება ეწინააღმდეგება მარქსის მიერ მოცემულ განსაზღვრას, რომლის მიხედვით სახალხო შემოსავალი, განხილული საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქციის ერთობლივ სისტემაში, წარმოადგენს ერთიან კატეგორიას — წმინდა პროდუქციას, ახლად შექმნილ ღირებულებას და მის უშუალო გამოვლინებას — საზოგადოების მთლიან შემოსავალს, მოცემულს ხელფასის, მოგების და რენტის ფორმით (კაპიტალისტურ საზოგადოებაში). ამ მეთოდოლოგიური პრინციპის შესაბამისად სოციალისტური საზოგადოების სახალხო შემოსავალი არის წლის განმავლობაში გამოყენებული შრომით ახლად შექმნილი პროდუქტი, სოციალისტური მეურნეობის მატერიალური წარმოების დარგთა წმინდა პროდუქციის ღირებულება, რომლის შებრუნებულ მხარეს წარმოადგენს მატერიალური წარმოების სფეროში დაკავებულ მშრომელთა ხელფასი, კოლმეურნეობის წევრთა შრომადღეების ანაზღაურება და სოციალის ჯურ საწარმოთა დაგროვება.

სახალხო შემოსავლის აღრიცხვის მეთოდი. სოციალისტური საზოგადოების სახალხო შემოსავალი პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტურისაგან, რამდენადაც ის ემყარება წარმოების სოციალისტურ წესს და პროდუქტების განაწილების სოციალისტურ პრინციპს. ის წარმოადგენს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ახლად შექმნილ ნაწილს, რომელიც ნაწილდება საბჭოთა კავშირის მშრომელთა შემოსავლის და სოციალისტურ საწარმოთა დაგროვების ფორმით, ე. ი. „მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის სისტემატური ამაღლებისა და ქალაქად და სოფლად სოციალისტური წარმოების გაფართოების ინტერესების მიხედვით“ [2].

სახალხო შემოსავლის აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარეობს მისი აღრიცხვის და შესწავლის მეთოდი.

ბურჟუაზიული ეკონომიკური მეცნიერება განიხილავს ნაციონალურ შემოსავალს როგორც ინდივიდუალურ შემოსავალთა ჯამს, რომლებიც მიღებულია როგორც წარმოების, აგრეთვე წმინდა მომსახურების სფეროში. მას მიაჩნია წარმოების თითოეული ფაქტორი (მიწა, კაპიტალი, შრომა) ღირებულების შემქმნელად და ავითარებს ეგრეთ წოდებულ სამ-ერთოვანი ფორმულის თეორიას, რათა წარმოადგინოს გაბატონებულ კლასთა შემოსავალი როგორც

---

[1] Народный доход СССР, его образование и учет. Под ред. Д. И. Черномордика, статья: Д. И. Черномордик, Народный доход в СССР и в капиталистических странах. М. 1939 г., стр. 11.

[2] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, მე-10 გამოც., გვ. 471.

შექმნილი არა მუშათა კლასის, არამედ წარმოების სათანადო ფაქტორის მიერ, რომელსაც, თითქოს, დამსახურებულად ეკუთვნის განსაზღვრული სახის შემოსავალი. ის აიგივებს პირველად და წარმოებულ შემოსავალს, უარყოფს გადასაწილებას და აცხადებს არამწარმოებლური შრომის პირებს იმ ღირებულების შეგქმნელად, რომელსაც ისინი ჯამაგირის სახით იღებენ. ამ მიზნით მათ ორი მეთოდი აქვთ შემუშავებული, რეალური და პერსონალური, რომლებიც საბოლოო ჯამში პირად შემოსავალთა აღრიცხვამდეა დაყვანილი. საერთოდ რეალური მეთოდის მიზანია მეურნეობის თითოეულ დარგში შექმნილი წმინდა პროდუქციის დაანგარიშების გზით მიღება მთელს ქვეყანაში შექმნილი წმინდა პროდუქციისა. მაგრამ ბურჟუაზიული ეკონომისტები აღრიცხავენ წმინდა პროდუქციას ყველა ინდივიდის მიერ მეურნეობის მოცემულ დარგში (წარმოების და მომსახურების სფეროში) მიღებული შემოსავალთა შეჯამებით (კინგი, მიტჩელი). ზოგიერთები კიდევ (ფლაქსი) წარმოებული საქონლის საერთო ღირებულებიდან გამორიცხავენ იმ ღირებულებას, რომელიც მიდის ამორტიზაციაზე და ამ გზით იღებენ წმინდა პროდუქციის თანხას. უკანასკნელს უტოლებენ პირადი და პროფესიული მომსახურების ღირებულებას და განაწილების ღირებულებას, როგორც შექმნილს თვით განაწილებაში. მიღებულ შემოსავალთა ჯამს ისინი უწოდებენ ნაციონალურ შემოსავალს, აღრიცხულს ე. წ. რეალური მეთოდით. აბრიგად, ბურჟუაზიული ეკონომისტების მიერ განსაზღვრული ცნება წმინდა პროდუქციისა, როგორც წარმოების მოცემულ სფეროსთან დაკავშირებულ ყველა პირის მიერ მიღებული შემოსავლის ჯამისა, არსებითად და პრინციპელად განსხვავდება მარქსის მეთოდოლოგიისაგან, რომლის თანახმად წმინდა პროდუქცია, მთლიანი შემოსავალი მიიღება მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებიდან წლის განმავლობაში დახარჯული მუდმივი კაპიტალის ღირებულების გამოკლების გზით.

ნაციონალური შემოსავლის პერსონალური მეთოდით აღრიცხვა (ბოული, სტემპი და სხვ.) გულისხმობს ყველა ინდივიდის შემოსავალთა შეჯამებას, სადაც და რა სახითაც არ უნდა იყოს იგი მიღებული. ბურჟუაზიულ პრაქტიკაში ეს ყველაზე უფრო გავრცელებული მეთოდია. ასეთი გაგებით ნაციონალური შემოსავალი წარმოადგენს იმ შემოსავალთა ჯამს, რომელთაც ცალკე პირები იღებენ საწარმოთაგან და მთავრობისაგან ხელფასის, ჯამაგირის, დივიდენდების, პროცენტების, იჯარის ქირის და კერძო საწარმოთა წმინდა მოგებათა სახით.

სამ-ერთოვანი ფორმულის თანახმად ბურჟუაზიული ეკონომისტები აცხადებენ შემოსავლის ყველა მიმღებს მის შემქმნელად.

საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში სრულიად სამართლიანად უარყოფილია სახალხო შემოსავლის აღრიცხვის ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული მეთოდი — რეალური და პერსონალური. მაგრამ ამავე დროს გამართლებულად ვერ ჩაითვლება რეალური და პერსონალური მეთოდების სინთეზის, ეროლბლიობის დებულებაც. მაგ., პროფ. დ. ჩერნომორდიკი ზემოთ დასახელებულ წიგნში წერს: „მათი (რეალური და პერსონალური მეთოდების — ა. კ.) დაპირისპირება არ არის სწორი. ორივეს გააჩნია არსებობის და გამოყენების

თეორიულად დასაბუთებული სრული უფლება. მათ შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და ერთიანობა“ [1]. საკითხის ასეთი დაყენება გამომდინარეობს სახალხო შემოსავლის ორგვარი გაგებიდან — როგორც წმინდა პროდუქციისა და ამავე დროს როგორც ცალკე კლასთა და პირთა შემოსავლისა, რაც, როგორც დავინახეთ, არ ეთანხმება მარქსის მიერ მოცემულ ამ ცნების განმარტებას. რეალური და პერსონალური მეთოდების ერთობლიობას აღნიშნული ავტორი ასაბუთებს მარქსის მიერ აღმოჩენილ წარმოების და განაწილების ერთობლიობით. მაგრამ ის ივიწყებს, რომ მარქსი არ აერთმნიშვნელოვანებს წარმოებას და განაწილებას, არ ანიჭებს უკანასკნელს იმავე მბრძანებელ მნიშვნელობას, როგორიც პირველს ეკუთვნის [2], არამედ მისგან გამოჰყავს, მით განსაზღვრავს, უწოდებს მას წარმოების „შებრუნებულ მხარეს“. მარქსის განმარტებით ნაციონალური შემოსავალი წარმოადგენა წმინდა პროდუქტს ანუ მთლიან შემოსავალს, განხილულს მთელი საზოგადოების თვალსაზრისით, ხოლო მისი გადაქცევა შემოსავლის ისეთ ფორმებად, როგორიცაა ხელფასი, მოგება და რენტა, მისი შებრუნებული მხარეა, მისი გამოვლინებაა. ამიტომ გაბათლებულად ვერ ჩაითვლება სახალხო შემოსავლის ერთიანი ცნების შესწავლისათვის ორი თანასწორუფლებიანი მეთოდის გამოყენება.

მეორე ავტორი ა. პალცევი უარყოფს რეალური და პერსონალური მეთოდის ერთობლიობას. რეალური მეთოდი მას ძირითადად მიაჩნია, ხოლო პერსონალურს დაქვემდებარებულად სთვლის. „რეალური მეთოდი, — წერს იგი, — მისი მართებული სახით შესაძლებლობას იძლევა. მისი სწორად გამოყენების პირობით, გამოვიანგარიშოთ მუშათა კლასის მიერ შექმნილი ღირებულების მთელი თანხა. მეორე მეთოდს (პერსონალურს — ა. კ.) არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ისევე როგორც იგი არა აქვს თვით განაწილების ურთიერთობებს; ის შეიძლება „მოხდილი სახით“ („в снятом виде“), როგორც დაქვემდებარებული მეთოდი დაცულ იქნეს ერთიან მარქსისტულ მეთოდში, რათა მოემსახუროს იმის გამორკვევას, თუ როგორ ნაწილდება მთელი ნაციონალური შემოსავალი, შექმნილი მატერიალური წარმოების სფეროში და აღრიცხული „რეალური“ მეთოდით, ძირითად შემოსავლად და ყალბ ნახარჯებად (faux frais)“ [3].

სახალხო შემოსავლის აღრიცხვის მეთოდების ასეთი განმარტებაც კომპრომისულ ხასიათს ატარებს. თუ სახალხო შემოსავალი ერთიანი ცნებაა (წმინდა პროდუქცია და შემოსავალთა ფორმით მისი გადაქცევა, როგორც მისი შებრუნებული მხარე) და არა ორგვარი (წმინდა პროდუქცია ერთი მხრივ და ცალკე კლასთა და პირთა შემოსავალი მეორე მხრივ), მაშინ შეიძლება თუ არა ლაპარაკი მისი აღრიცხვის ორ მეთოდზე, რომელთა შორის

---

[1] Народный доход СССР, вз. 11.

[2] იხ. К. Маркс, К критике политической экономии, стр. 23

[3] А. А. Пальцев, К вопросам теории и статистики дохода капиталистического общества: Труды Ленинградского Финансово-экономического института, ГФИ, 1911 г.

ერთი („რეალური") ძირითადია, ხოლო მეორე („პერსონალური") დაქვემდებარებული ან რომელთაც თანასწორი უფლება აქვთ? ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება, რადგან სახალხო შემოსავალი როგორც ახლად შექმნილი პროდუქტი, საზოგადოებას მთლიანი შემოსაეალი შეიძლება სწორად იქნას აღრიცხული იხოლოდ მარქსის მიერ მოცემული წმინდა პროდუქციის აღრიცხვის მეთოდით. ეს შეეხება სახალხო შემოსავლის განაწილებას მის შემქმნელთა შორის ძირითად შემოსავალთა სახით, აქ უკვე იწყება მთელი საზოგადოების თვალსაზრისით განხილული მთლიანი შემოსავლიდან, სახალხო შემოსავლიდან გადასვლა კალკე კლასთა და ჯგუფთა წილზე სახალხო შემოსაეალში, რაც განხილულია ამ კლასთა ურთიერთობის თვალსაზრისით. მაგ., კაპიტალისტურ საზოგადოებაში შუშის ხელფასი ჯამოხატავს მატერიალური წარმოების სფეროში შრომის ძიერ შექმნილი ნაციონალური შემოსავლის იმ წილს, რომელიც მუშამ მიიღო, ხოლო მოგება იმ წილს, რომელიც კაპიტალისტმა მიითვისა. ეს „განაწილება წარმოადგენს საზოგადოებრივ კანონს ინდივიდის მიმართ", „წარმოების ბუნებრივ წანამძღვარს და ისტორიულ შედეგს"[1]. ცალკე აღებულნი ესინი შედეგია სახალხო შემოსავლის განაწილებისა, მისი ძირითადი სახეების შემოსავლად გადაქცევისა, და ამ ძირითად შემოსავალთა აღრიცხვის მეთოდი ისევე რეალურია, როგორც წმინდა პროდუქციის აღრიცხვა.

ამიტომ ძნელია იმის დამტკიცება, რომ არსებობს სახალხო შემოსავლის აღრიცხვის არა თუ თანასწორუფლებიანი ორი — რეალური და პერსონალური — მეთოდი, არამედ ძირითადი (რეალური) და დაქვემდებარებული (პერსონალური) მეთოდიც. არსებობს სახალხო შემოსავლის აღრიცხვის მხოლოდ ერთი მეთოდი, წმინდა პროდუქციის ანუ საზოგადოების მთლიანი შემოსავლის აღრიცხვის მეთოდი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებას უნდა გამოაკლდეს მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულება. მაგრამ, ვინაიდან სახალხო შემოსავალი უმოძრაო კატეგორია არ არის, არამედ საზოგადოებრივი კაპიტალის და ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის რეპროდუქციის პროცესთა შესაბამისად გაივლის გარკვეულ ფაზებს მისი წარმოქმნიდან მოხმარებამდე, ამიტომ მისი შესწავლა არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ წმინდა პროდუქციის აღრიცხვით. აუცილებელია მისი აღრიცხვა და შესწავლა შემოსავალთა სხვადასხვა ფორმით განაწილების მიხედვით, ისევე როგორც ამ შემოსავალთა მოხმარების, გამოყენების შესწავლა. ეს იმას ნიშნავს, რომ სახალხო შემოსავალი როგორც წარმოების უშუალო დასკვნა აღირიცხება წმინდა პროდუქციის სახით, ხოლო მისი განაწილება თვით არის წარმოების შედეგი როგორც ხაგნის, ისევე ფორმის მხრივ. ნაშასადამე, შეიძლება განაწილდეს მხოლოდ წარმოების შედეგები ანუ სახალხო შემოსავალი. ამ განაწილების ფორმა კი, რომლითაც ითითეული იღებს მონაწილეობას განაწილებაში, განისაზღვრება წარმოებაში მონაწილეობის განსაზღვრული წესით. „ინდივიდი, რომელიც დაქირავებული შრომის ფორმით მონაწილეობას იღებს წარმოებაში, ხელფასის ფორ-

[1] К. Маркс, К критике политической экономии, 1935 г., стр. 20.

ით მონაწილეობას იღებს წარმოების შედეგებში, პროდუქტებში"[1]. სწორედ ეს გარემოება არ გვაძლევს საფუძველს ვილაპარაკოთ სახალხო შემოსავლის აღრიცხვის ერთ მეთოდზე. სახალხო შემოსავალი, შექმნილი როგორც წმინდა პროდუქცია, აღირიცხება მარქსის მეთოდოლოგიის შესაბამისად. სახალხო შემოსავლის განაწილება და ამ განაწილების ურთიერთობანი და წესები, როგორც წარმოების აგენტების შებრუნებული ხარეები, აღირიცხება და შეისწავლება როგორც თითოეულის მონაწილეობა უკვე შექმნილი და არსებული სახალხო შემოსავლის განაწილებაში, რადგან, ეიმეორებთ, შეიძლება მხოლოდ წარმოების შედეგების განაწილება. ამ შედეგებს კი წარმოადგენს სახალხო შემოსავალი. მარქსის მთელ ეკონომიკურ მოძღვრებაში ჩვენ ვერ ვხვდებით ძითითებას წარმოების შედეგების და მათი წარმოების აგენტთა შორის განაწილების რეალური თუ პერსონალური მეთოდით აღრიცხვის შესახებ. ეს მეთოდები ბურჟუაზიული ეკონომიკური მეცნიერების და პრაქტიკის ბაერ არის შექმნილი და მათი ამა თუ იმ შეფარდებით და სახით გამოყენება ეწინააღმდეგება მარქსის მეთოდოლოგიას.

პირველადი ანუ ძირითადი და წარმოებული შემოსავალი. სახალხო შემოსავლის შესწავლასთან დაკავშირებულია მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის ცნება და აქედან გამომდინარე ძირითადი და წარმოებული შემოსავლის საკითხი. ძირითადი შემოსავლის წყარო მწარმოებლური შრომაა. წარმოებული შემოსავალი კი მიიღება არამწარმოებლური შრომის სფეროში, წარმოადგენს რა ძირითადი შემოსავლის შემდგომი განაწილების შედეგს. „მწარმოებლური შრომა" კაპიტალისტური წარმოების სისტემაში, — წერს მარქსი, — არის ისეთი შრომა, რომელიც ჰქმნის იმ პირისათვის, რომელიც მას იყენებს, ზედმეტ ღირებულებას, ან სხვანაირად რომ ვთქვათ ის შრომა, რომელიც შრომის ობიექტურ პირობებს კაპიტალად აქცევს, ხოლო მის მფლობელს კაპიტალისტად, მაშასადამე შრომა, რომელიც თავის საკუთარ პროდუქტს კაპიტალის სახით ქმნის.

ამიტომ, როდესაც ჩვენ მწარმოებლურ შრომაზე ვლაპარაკობთ, სახეში გვაქვს საზოგადოებრივად-განსაზღვრული შრომა, ე. ი. შრომა, რომელიც გულისხმობს სრულიად გარკვეულ ურთიერთობებს შრომის მყიდველსა და გამყიდველს შორის" და შემდეგ: „საერთოდ შრომის ჩვეულებრივი პროცესის თვალსაზრისით მწარმოებლურ შრომად ჩვენ საერთოდ წარმოდგენილი გვქონდა ის შრომა, რომელიც პროდუქტში პოულობს რეალიზაციას, უფრო კონკრეტულად — საქონელში. წარმოების კაპიტალისტური პროცესის თვალსაზრისით ემატება უფრო კონკრეტული განმარტება (სახელდობრ), რომ მწარმოებლურია ის შრომა, რომელიც უშუალოდ ადიდებს კაპიტალის ღირებულებას, ანუ ქმნის ზედმეტ ღირებულებას"... „მაშასადამე, ეს ის შრომაა, რომელიც კაპიტალის თვითზრდის უშუალო ფაქტორად, ზედმეტი ღირებულების შექმნის საშუალებად

[1] К. Маркс, К критике политической экономии, 1935 г., стр. 19.

გამოდის“ [1]. ამრიგად, კაპიტალისტური პროცესის თვალსაზრისით მარქსი განიხილავს მწარმოებლურ შრომას არა მარტო როგორც ისეთ შრომას, რომელიც საერთოდ მატერიალურ დოვლათს ქმნის, არამედ როგორც ისეთ შრომას, რომელიც კაპიტალისტურად არის მოწესრიგებული, რომლის თვისებაც გამომდინარეობს არა მისი ნივთიერი პროცესებისაგან, არა მისი პროდუქტის ფიზიკური ბუნებისაგან, არამედ განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმისაგან, წარმოების იმ საზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან, რომელშიც ეს შრომა ხორციელდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ, თუ მწარმოებლური მუშა დაქირავებული მუშაა, აქედან ყველა დაქირავებული მუშა ნწარმოებლური მუშა უნდა იყოს. შრომის ერთი და იგივე კონკრეტული სახე შეიძლება მწარმოებლური და არამწარმოებლურიც იყოს, იმის მიხედვით, ქმნის იგი ზედმეტ ღირებულებას თუ არა. მაგალითად, ერთი და იგივე პირი შეიძლება მწარმოებლური მუშა იყოს, თუ ის მუშაობს კაპიტალისტთან ქარხანაში როგორც დაქირავებული მუშა და არამწარმოებლურიც, თუ ის როგორც შინამოსამსახურე კაპიტალისტს პირად მომსახურებას უწევს. „მომღერალი ქალი, რომელიც თავის სიმღერას თავისი საკუთარი რისკით ჰყიდის — არამწარმოებლური მუშაკია. მაგრამ იგივე მომღერალი ქალი, მოწვეული ანტრეპრენერის მიერ, რომელიც აძღერებს მას იმისათვის, რომ ფული მოიგოს, — მწარმოებლური მუშაკია, ვინაიდან ის კაპიტალს ქმნის“ [2]. „მწერალი იმიტომ კი არ არის მწარმოებლური მუშა, რომ ის იდეებს ქმნის, არამედ იმიტომ, რომ ის ამდიდრებს წიგნით მოვაჭრეს, რომელიც მის თხზულებებს გამოსცემს, ე. ი. ის მწარმოებლურია იმდენად, რამდენადაც კაპიტალისტის დაქირავებულ მუშას წარმოადგენს“ [3]. აქედან გამომდინარეობს არაწარმოებლური შრომის განმარტება, რომელსაც მარქსი ისეთ შრომას უწოდებს, „რომელიც იცვლება არა კაპიტალზე, არამედ უშუალოდ შემოსავალზე, ე. ი. ხელფასზე ან მოგებაზე, და აგრეთვე იმ სხვადასხვა რუბრიკებზე, რომლებიც არსებობს კაპიტალისტის მოგების ანგარიშით, როგორიცაა სარგებელი და რენტა“ [4]. შრომის ეს უკანასკნელი ფორმა არ ეკუთვნის მწარმოებლური შრომის კატეგორიას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი არ შეიძლება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა იყოს.

როდესაც შრომა კაპიტალისტურად არ არის მოწესრიგებული, „მაშინ როგორაა საქმე, — აყენებს კითხვას მარქსი, — დამოუკიდებელი ხელოსნების ან გლეხების მიმართ, რომლებიც არ ქირაობენ მუშებს, ე. ი. აწარმოებენ არა კაპიტალისტების სახით?“ და უპასუხებს: „ისინი... საქონლის მწარმოებელნი არიან, და მე ვყიდულობ მათგან საქონელს... ამ შემთხვევაში პირველიც და მეორეც ჩემს მიმართ საქონლის გამყიდველებად გამოდიან, და არა შრომის გამყიდველებად და, ამრიგად, ამ ურთიერთობას სრულიად არაფერი აქვს

---

[1] К. Маркс, Теории прибавочной стоимости, т. I, 1936 г., стр. 257.
[2] იქვე, გვ. 260.
[3] იქვე, გვ. 160.
[4] იქვე, გვ. 160.

საერთო კაპიტალის გაცვლასთან და, მაშასადამე, მწარმოებლური შრომის არამწარმოებლურისაგან განსხვავებასთან, რაც მხოლოდ იმას ეყარება, იცვლება თუ არა შრომა ფულზე როგორც ასეთზე, თუ ფულზე როგორც კაპიტალზე. ამრიგად ისინი არ ეკუთვნიან არც არამწარმოებლური მუშების კატეგორიას, არც მწარმოებლურის კატეგორიას, თუმცა საქონლის მწარმოებლებს წარმოადგენენ. მაგრამ მათი წარმოება არ ექვემდებარება წარმოების კაპიტალისტურ წესს“ [1].

მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის ბუნებისგან გამომდინარეობს პირველადი და წარმოებული შემოსავლის კატეგორია. მწარმოებლური მუშის ხელფასი პირველადი შემოსავალია, ხოლო არამწარმოებლური მომუშავის მიერ მიღებული ხელფასი — წარმოებული შემოსავალი. კაპიტალისტურ საზოგადოებაში პირველადი შემოსავლის კატეგორიას ეკუთვნის აგრეთვე მრეწველური კაპიტალისტების მოგება და მაწათმფლობელთა რენტა.

წარმოებული შემოსავლის არსი იმაში მდგომარეობს, „რომ შემოსავლის (პირველადი შემოსავლის — ა. კ.) მფლობელი თავის წილს პროდუქტთა ზემოთ აღნიშნულ მასაში უთმობს მეორეს მომსახურებისათვის და ა. შ. ან ვალის გადახდისათვის და ა. შ.“ [2]. საზოგადოების ყველა წევრი როდი იღებს პირდაპირ მონაწილეობას რეპროდუქციაში; საზოგადოების ამ წევრთა ნაწილის შრომა არამწარმოებლურია, მაგრამ სასარგებლოა (მასწავლებელი, ექიმი და სხვ.), მეორე ნაწილის შრომა კი შეიძლება არა თუ სასარგებლო, არამედ საზოგადოებისათვის საზიანო და დამარღვეველიც კი იყოს. ორივე ამ კატეგორიას შეუძლია გარკვეული საბუშაოს შესრულების გამო მიიღოს წლიური საქონლური პროდუქტის წილი. უკანასკნელს ისინი იღებენ ძირითადი კლასების პირველად შემოსავალთა ხარჯვის პროცესში, როდესაც უწევენ მათ ამა თუ იმ სახის მომსახურებას. წარმოებული შემოსავალი აღმოცენდება აგრეთვე მაშინ, როდესაც პირველადი შემოსავლიდან მიღებული გადასახადების ხარჯზე სახელმწიფო ინახავს სახელმწიფო მმართველობის მოსამსახურეებს. ამ შემთხვევაში წარმოიქმნება წარმოებულიდან წარმოებული შემოსავალი, რადგან პირველადი შემოსავლიდან მიღებული გადასახადები სახელმწიფოსათვის წარმოებულ შემოსავალს წარმოადგენს, ხოლო უკანასკნელის ხარჯზე სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასი წარმოებულიდან წარმოებული შემოსავალი იქნება. მარქსი შესანიშნავად განმარტავს წარმოებულ შემოსავალთა არსს: „საზოგადოების ყველა იმ წევრს, რომელიც არ იღებს პირდაპირ მონაწილეობას რეპროდუქციაში, იქნება ეს მონაწილეობა შრომით თუ მონაწილეობა შრომის გარეშე, შეუძლია მიიღოს წლიური საქონლური პროდუქტის თავისი წილი, ე. ი. თავისი მოხმარების საშუალებანი, პირველ რიგში მხოლოდ იმ კლასებისაგან, რომელთაც პირველ რიგში ერგო პროდუქცია: მწარმოებლური მუშებისაგან, მრეწველური კაპიტალისტებისაგან და მიწათმფლობელებისაგან. ამ გაგებით მათი შემოსავალი მატერიალურად

[1] К. Маркс, Теории прибавочной стоимости, т. I, 1936 г., стр. 262—263.
[2] К. Маркс, Теории прибавочной стоимости, т. II, кн. 1, 1936 г., стр. 164

წარმოშობილია ხელფასისაგან (მწარმოებლური მუშების), მოგებისა და მიწის რენტისაგან და ამიტომ წარმოადგენენ წარმოებულ შემოსავალს ამ პირველად შემოსავალთა მიმართ»[1].

ამრიგად, ყველა შემოსავლის, როგორც პირველადის, ისევე წარმოებულის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს შრომა, რომელიც საზოგადოების მთლიან პროდუქტშია გასაგნობრივებული. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში პირველად შემოსავალთა მრავალგზისი განაწილების პროცესში ყველა კონკრეტულ შემოსავალსა და ახლად შექმნილ ღირებულებას შორის წარმოიქმნებიან შუალედური რგოლები, რომლებიც ფარავენ შემოსავალთა წყაროს ერთიანობას და ქმნიან იმის ყალბ ხილვადობას, რომ წარმოებული შემოსავლის მიმღებნი თავიანთი ფუნქციების შესრულებაში შემოსავლის პირველად წყაროს ხედავენ. სახალხო შემოსავლის განაწილების პრობლემის შესწ ვლის დროს ამ გარემოების მხედველობაში მიღებას არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც განმეორებითი აღრიცხვის, აგრეთვე სახალხო შემოსავლის განაწილების სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურის დამახინჯების აცილებისათვის. ბურჟუაზიულ პრაქტიკაში კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, სახალხო შემოსავალში აღირიცხება ყოველგვარი შემოსავალი მისი წარმოშობის წყაროსაგან დამოუკიდებლად და ერთ ჯგუფშია მოქცეული მუშებისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს მოხელეთა და სხვათა შემოსავალი, რაც ხელოვნურად ზრდის სახალხო შემოსავლის მოცულობას და აყალბებს მის კლასობრივ შინაარსს.

სოციალისტურ საზოგადოებაში მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის კატეგორია პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტურისაგან. სოციალისტური ეკონომიკის პირობებში, სადაც ლიკვიდირებულია ექსპლოატაციის ურთიერთობანი, მწარმოებლურია მატერიალური წარმოების სფეროს ის შრომა, რომელიც სოციალისტური მეურნეობის გაფართოებული რეპროდუქციის პროცესებს ემსახურება. რაც შეეხება სოციალისტური მეურნეობის შრომის კატეგორიას, რომელიც გამოყენებულია არა მატერიალურ სფეროში, ისიც კაპიტალისტურისაგან პრინციპულად განსხვავებულ შინაარსს ატარებს. მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ მეურნეობაში არამწარმოებლური შრომის პირთა შენახვის ხარჯების უდიდესი ნაწილი საზოგადოებრივად არასასარგებლო ხარჯებია, სოციალისტურ მეურნეობაში არამატერიალური წარმოების სფეროს შრომა საზოგადოებრივად აუცილებელი და სასარგებლო შრომაა. რამდენადაც იგი სახელმწიფოებრივი და მეურნეობრივი მმართველობის, რეგულირების და ადმინისტრირების ფუნქციებს ასრულებს.

ამ შრომით გამოიხატება სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი როლი სოციალისტური გაფართოებული რეპროდუქციის პროცესში. მისი წეშეობით ხორციელდება სახალხო-მეურნეობრივი დაგეგმვა, გეგმის შესრულების აღრიცხვა და კონტროლი, მას უაღრესად სახალხო-მეურნეობრივი ხასიათი აქვს. მაშასადამე, ამ შრომის გარეშე არ წარმოიდგი-

[1] К. Маркс, Капитал, т. II, 1938 г., стр. 322.

ნება სოციალისტური მეურნეობის წარმოებითი პროცესების განხორციელება. ამიტომ შრომის ეს კატეგორია არა თუ სასარგებლოა, არამედ აუცილებელიცაა, ის ორგანულადაა გადაჯაჭვული მატერიალური წარმოების სფეროში გამოყენებულ შრომასთან.

შრომის განხილულ კატეგორიებთან დაკავშირებით ისმება კითხვა, რომელი შრომა უნდა იქნეს მიჩნეული სახალხო შემოსავლის შემქმნელად. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებიდან გამომდინარეობს, რომ სახალხო შემოსავალს ქმნის ისეთი შრომა, რომელიც მატერიალური წარმოების სფეროშია გამოყენებული. არამწარმოებლური შრომა კი, თუნდაც იგი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა იყოს, სახალხო შემოსავალს არ ქმნის, ხოლო მონაწილეობს მის განაწილებაში და მის მიერ მიღებული შემოსავალი წარმოებული შემოსავალია. კაპიტალიზმის პირობებში წარმოებული შემოსავლის გადახდა საბოლოო ანგარიშით მწარმოებლური შრომის ბუშათა შემოსავლიდან ხორციელდება და არამწარმოებლური შრომის პირები უკანასკნელთა ხარჯზე არსებობენ. სსრ კავშირში არამატერიალური სფეროს მუშაკთა შემოსავლის ყადამწყვეტ წყაროს სოციალისტური მეურნეობის დაგროვება წარმოადგენს. ისინი ახორციელებენ სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელ და ორგანიზატორულ ფუნქციებს და თავიანთი სასარგებლო, აუცილებელი და უალრესად სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობის შრომის შესრულებისათვის ბათ სრული საფუძვლით ეკუთვნის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის გარკვეული ხვედრი.

მაგრამ ზემოთ აღნიშნულიდან არ გამომდინარეობს, რომ სახალხო შემოსავალს ცხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობათა თვალსაზრისით განხილული მწარმოებლური შრომა ქმნის. სახალხო შემოსავალს ისეთი შრომაც ქმნის, რომელიც საერთოდ მატერიალურ დოვლათს აწარმოებს ქვეყნის ყველა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეს იქნება, მაგალითად, წვრილი საქონლის მწარმოებელთა შრომა. სოციალისტური ეკონომიკის პირობებში ეს არის შინაარეწველების, კოლმეურნეობრივი გლეხობის პირად მეურნეობაში გამოყენებული საკუთარი შრომა.

საბჭოთა კავშირის და უცხო სახელმწიფოთა სახალხო შემოსავლის შედარების საკითხი. საბჭოთა კავშირის სახალხო შემოსავლის შესწავლის ზოგად საკითხთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის მისი, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სახალხო შემოსავალთან შედარების საკითხს. ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს ჩვენი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის პრინციპულ განსხვავებას და მის უდავო უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. საბჭოთა წყობილების უპირატესობანი უშუალოდ ვლინდებიან საბჭოთა ქვეყნის სახალხო შემოსავლის ზრდის მაღალ ტემპებში, რაც შემდეგიდან ჩანს. სახალხო შემოსავლის მოცულობა (1926/27 წლის უცვლელი ფასებით) შეადგენდა: 1913 წელს—21,0 მილიარდ მან., 1920 წ.—10,5 მლრდ. მან., 1926 წ.—21,7 მლრდ. მან., 1928 წ.—25,0 მლრდ. მან., 1932 წ.—45,5 მლრდ. მან., 1937 წ.—96,3 მლრდ. მან., 1940 წ.—128,3 მლრდ. მან., სოლო 1950 წლისათვის მისი მოცულობა ნაყარაუდევია 177 მლრდ. მან. რაო-

დენობით[1]. ზრდის ასეთი ტემპები უჩვეულო და შეუძლებელია კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგ., ამერიკის შეერთებულ შტატებში სახალხო შემოსავლის ზრდის მაქსიმალური ტემპი შეადგენდა 90%-ს 1881—1890 წ.წ. პერიოდში, ასეთი ტემპები იქ ამის შემდეგ არ განმეორებულა მთელს შემდგომ ისტორიულ პერიოდში. ამავე დროს კი სსრკ-ში 1928 წლიდან 1940 წლამდე სახალხო შემოსავალი გაიზარდა 400%-ზე მეტად. ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო შემოსავლის ინდექსი შეადგენდა 1937 წ. 86,1 — შედარებით 1929 წელთან. აღნიშნული ტემპები მოწმობენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის უდავო უპირატესობას. ეს უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, რომ უცხო სახელმწიფოთა სახალხო შემოსავალი აღირიცხოს მარქსისტულ-ლენინური მეთოდით. მაშინ მისი მოცულობა უფრო ნაკლები იქნებოდა განმეორებითი აღრიცხვის აცილების გამო, ხოლო, თუ ამავე დროს, მისი ფიზიკური მოცულობა უცვლელი ფასებით იქნა გამოსახული, ზრდის ტემპებიც შეუდარებლად უფრო დაბალი იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით აქტუალურია შემდეგი საკითხის დაყენება: მართებულია თუ არა ორივე სისტემაში სახალხო შემოსავლის აღრიცხვის არსებულ პირობებში მათ მოცულობათა შედარება?

სსრ კავშირში და კაპიტალისტურ ქვეყნებში სახალხო შემოსავლის აღრიცხვისათვის გამოყენებული განსხვავებული მეთოდების გამო მიიღება ერთმანეთისაგან განსხვავებული და შეუდარებელი კატეგორიები და ოდენობანი. კაპიტალისტური ქვეყნების პრაქტიკაში გამოყენებული მეთოდით აღრიცხვის შედეგად მიღებული შემოსავალი წარმოადგენს არა სახალხო შემოსავალს მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მიხედვით, არამედ ცალკე პირების შემოსავალთა ჯამს. ბურჟუაზიულ მეცნიერებაში და პრაქტიკაში სახალხო შემოსავლად მიაჩნიათ სწორედ ეს, ინდივიდუალურ შემოსავალთა ჯამი, დამოუკიდებლად იმისაგან, თუ ვის მიერ, სად და რისთვის არის მიღებული ეს შემოსავალი. სახალხო შემოსავლის ასეთი გაგების დროს გამორიცხულია პირველადი და წარმოებული შემოსავლის ცნება. აქ ერთ ჯამში აღირიცხება არა მარტო პირველადი შემოსავლის ყველა სახე, არამედ წარმოებული პირველადისაგან და, კიდევ მეტი, წარმოებული თვით წარმოებულისაგან. საკმარისია, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ინდივიდი ეწეოდეს არა მარტო მწარმოებლურ შრომას, არამედ ყოველგვარი სახის მომსახურებას, რომ ის გამოცხადებულ იქნეს სახალხო შემოსავლის შემქმნელად. ინდივიდუალურ შემოსავალთა ჯამი შეიცავს კიდევითი უნარის მრავალგზის გადაცემას და განმეორებით თანხებს, რაც ხელოვნურად ადიდებს სახალხო შემოსავლის საერთო მოცულობას. გარდა ამისა, რაც ძთავარია, ამ გზით მიღებული საერთო შემოსავალი არის არა სახალხო შემოსავალი, ახლად შექმნილი პროდუქტის, წმინდა პროდუქციის ღირებულება, არამედ მოსახლეობის ცალკე პირთა ყველა სახის შემოსავალთა ჯამი. ამიტომ მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია საბჭოთა კავშირის სახალხო შემოსავლის და კაპიტალისტური

[1] А. Палцев, Народный доход и народное потребление в четвертой пятилетке: გაზ. „Известия", № 99, 1946 г.

ქვეყნების სახალხო შემოსავლის მოცულობის შედარება როგორც ორი ერთმანეთთან შეუდარებელი სიდიდისა. ასეთი შედარება შესაძლებელი იქნებოდა და მას გარკვეული აზრი ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ კაპიტალისტური ქვეყნების სახალხო შემოსავალი აღრიცხოს იმავე მეთოდით, როგორც სსრ კავშირისა. საბჭოთა ქვეყნის სახალხო შემოსავალი ნამდვილად წარმოადგენს სახალხო შემოსავალს, წმინდა პროდუქციას, წლის განმავლობაში ახლად შექმნილ პროდუქტს, ხოლო კაპიტალისტურ პრაქტიკაში აღრიცხული შემოსავალი მხოლოდ და მხოლოდ ყველა ინდივიდუალური შემოსავლის ჯამია; პირველი მთელი საზოგადოებრივი რეპროდუქციის სისტემაში განიხილება და შეისწავლება. მეორე კი ბურჟუაზიულ მეცნიერთა მიერ აღებულია როგორც თითქოს დამოუკიდებლად არსებული განაწილების და გაცვლა-გამოცვლის სფეროს კატეგორია. ამიტომ ბურჟუაზიულ პრაქტიკაში ჩვენსვადგმული მეთოდით აღრიცხულ სახალხო შემოსავალს მხოლოდ პირობით თუ შეიძლება ვუწოდოთ სახალხო შემოსავალი.

მაგრამ, თუ უმართებულოა სოციალისტური სახელმწიფოს სახალხო შემოსავლის და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სახალხო შემოსავლის მოცულობათა შედარება, სამაგიეროდ აუცილებელი და აქტუალურია მათი კლასობრივი შინაარსის შედარება და შესწავლა. ასეთი შესწავლის შედეგად დღის სინათლეზე ვლინდება კაპიტალისტური კონკურენციის სფეროს მოვლენები, რომელშიც „ყველაფერი წარმოდგენილია ყალბი და დამახინჯებული სახით“ [1], რომელშიც აღმოცენდება ხოლმე სინამდვილის შემნიღბველი გარეგნული ხილვადობის მრავალი ზედაპირული მოვლენა, როგორც მაგ., „ყალბი სოციალური ღირებულება“, წარმოების ყალბი ნახარჯები (faux frais), მოგების შემცირებული და მშრომელთა ხელფასის გაზვიადებული ასახვა კაპიტალისტური წარმოების ზედაპირზე, პირველადი და წარმოებული შემოსავლის მიჩქმალვა, კაპიტალისტური ექსპლოატაციის შენიღბვა და სხვ.

როგორც ცნობილია, ყველა შემოსავლის — პირველადის და წარმოებულის — ერთადერთი წყაროა შრომა, განსახიერებული ახლად შექმნილ ღირებულებაში. მაგრამ კაპიტალიზმის პირობებში შემოსავალთა წყაროს ეს ერთიანობა შენიღბულია კონკრეტულ შემოსავალთა და ამ ღირებულებას შორის მოქმედი შეცდომური რგოლებით, რომლებიც წარმოქმნიან ხოლმე სახალხო შემოსავლის განაწილების ყალბ ხილვადობას და ცდილობენ დაფარონ შემოსავალთა ცალკე ფორმების წინააღმდეგობა და მუშათა კლასის შეფარდებითი და აბსოლუტური გაღატაკების ფაქტი. პირველად და წარმოებულ შემოსავალში ახლად შექმნილი ღირებულება წარმოდგენილია ფეტიშისტური ფორმით და მათი საერთო წყარო, მუშათა კლასის შრომა, მიჩქმალულია.

წარმოების სამი ფაქტორის თეორიის სამ-ერთოვანი ფორმულის მიზანია კაპიტალიზმის ზედაპირზე ზედმეტი ღირებულების შემცირებული სახით ჩვენება. ხარჯვის პროცესში ზედმეტ ღირებულებას ბურჟუაზიული პრაქტიკა უჩვენებს არა როგორც შექმნილი შემოსავლის, არამედ როგორც დახარჯული

[1] К. Маркс, Теории прибавочной стоимости, т. II, ч. 2, 1886 г., стр. 31.

კაპიტალის ნაწილს. მის გადაქცევას კაპიტალად აბორციელებენ ბუღალტრულ ანგარიშწარმოებაში შემოსავლის ფორმით ფტარების გარეშე. ამ მიზნით, ისეთ ხარჯებს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო წარმოების პროცესებთან, როგორიცაა, მაგ., კაპიტალისტურ გაერთიანებათა საკუთარი პოლიციის და სხვადასხვა ჯაშუშური კვლევითი ბიუროების შენახვის, გზაში ან საწყობებში მყოფი საქონლის და ფაბრიკა-ქარხნების დაზღვევის ხარჯები. ბუღალტერიაში ატარებენ წარმოების ნამატვილ დანახარჯებთან ერთად, მათი ღირებულება გადააქვთ ბზა პროდუქციაზე, შეაქვთ რა წარმოების დანახარჯების კალკულაციაში. ასეთსავე მანიპულაციებს აწარმოებენ ისეთი დანახარჯების მიმართ, როგორიცაა საწარმოთა კონსერვაციის, ზედმეტ სიმძლავრეთა განადგურების და სხვა ხარჯები, რომელთაც ლპობადი კაპიტალიზმის პირობებში თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის. ნამდვილად ეს დანახარჯები ყალბი ხარჯებია, რომლებიც „უნდა იფარებოდეს ზედმეტი ღირებულებიდან და წარმოადგენენ მის გამოკლებას“ [1].

ასეთი ხერხებით ბურჟუაზიული ეკონომიკური მეცნიერება მის მიერ შექმნილ ყალბ ხილვადობას იყენებს ექსპლოატატორული კლასების შემოსავალთა დონის შემცირებისათვის და სახალხო შემოსავალში მშრომელთა წილის გაზვიადებისათვის.

წარმოების სამი ფაქტორის თეორიის საფუძველზე ბურჟუაზიული აპოლოგეტიკა ამართლებს კაპიტალების გახიდვის და უცხოეთში მათი ინვესტიციების შედეგად კოლონიების, ნახევარკოლონიების და სხვა ქვეყნების სახალხო შემოსავლის წილის მითვისებას კაპიტალების გამხიდველი ქვეყნების მიერ. კაპიტალების გაზიდვის საფუძველზე წარმოებს ამ ქვეყნის (სადაც კაპიტალი შეიზიდება) მწარმოებელ ძალთა გამოყენება, მის მშრომელთა მიერ ახლად შექმნილი ღირებულების, სახალხო შემოსავლის წარმოქმნა და უკანასკნელის ნაწილის უცხო კაპიტალისტთა შემოსავლად, მოგებად გარდაქმნილი ფორმით გადაადგილება ამ ქვეყნიდან კაპიტალების გამზიდველ ქვეყანაში. უცხოური კაპიტალი ყიდულობს ქვეყნის მშრომელთა სამუშაო ძალას და მის სხვა მწარმოებელ ძალებს, იწყებს მრეწველურ წარმოებას და ითვისებს ზედმეტ ღირებულებას. ამით იზრდება კაპიტალების გამზიდველი ქვეყნის კაპიტალისტთა შემოსავალი საერთოდ, მაგრამ არა ამ ქვეყნის სახალხო შემოსავალი, ვინაიდან ეს შემოსავალი შექმნილია არა ამ ქვეყნის, არამედ სხვა ქვეყნის (სადაც კაპიტალები გაიზიდა) მშრომელთა მიერ, ხოლო მითვისებულია პირველის მიერ. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სახალხო შემოსავლის ასეთი თვალსაზრისით შესწავლა ააშკარავებს მისი ეკონომიკური ბაზის ექსპლოატატორულ არსს არა მარტო ნაციონალური, არამედ ინტერნაციონალური მასშტაბით, ხოლო მეორე მხრივ ბურჟუაზიისა და მისი თეორეტიკოსების ცდებს მიჩქმალონ უკანასკნელი.

სოციალისტურ მეურნეობაში, რომელსაც განსაზღვრავს და წარმართავს ერთიანი სახელმწიფო სახალხო მეურნეობრივი გეგმა, სადაც არ არსებობს

[1] К. Маркс. Капитал, т. II, 1936 г., стр. 162.

კონკურენციის სფეროს მოვლენები, ყველაფერი წარმოდგენილია პირდაპირი სახით. მისთვის უცხოა ისეთი კატეგორიები და მოვლენები, როგორც ყალბი სოციალური ღირებულება, წარმოების ყალბი დანახარჯები, შენოსავალის შემცირება და სხვ. ამიტომ საბჭოთა ქვეყნის სახალხო შემოსავალი არის სოციალისტური სახალხო მეურნეობის და მისი მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის განუხრელი ზრდის სარკე; მისი ეკონომიკური ბაზა მისი ზრდის მაღალი ტემპების წანამძღვარია. საბჭოთა კავშირის სახალხო შემოსავლის შესწავლა და ანალიზი ცხადყოფს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდავო უპირატესობას კაპიტალისტურ მეურნეობასთან შედარებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს სსრ კავშირის სახალხო შემოსავლის რესპუბლიკათაშორისი განაწილების შესწავლა. ასეთმა შესწავლამ უნდა გამოააშკარაოს საბჭოთა კავშირის როგორც სოციალისტური საკავშირო სახელმწიფოს უდიდესი როლი ნაციონალურ რესპუბლიკათა მეურნეობრივ-კულტურული აღმავლობის საქმეში, რაც სსრკ-ის სახალხო შემოსავლის რესპუბლიკათაშორისი განაწილების მეშვეობით და მოკავშირე რესპუბლიკათა ურთიერთდახმარების და თანამშრომლობის საფუძველზე ხორციელდება. ეს საკითხი საბჭოთა კავშირის სახალხო შემოსავლის ერთ-ერთი შეუსწავლელი საკითხთაგანია. მისი შესწავლა დიდ თეორიულსა და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფინანსებისა და კრედიტის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1948. VII. 24).

А. И. Какабадзе

К некоторым вопросам теории народного дохода

Резюме

Проблема народного дохода СССР содержит много важных теоретических и практических вопросов. В настоящей статье кратко рассмотрены только некоторые из них.

Существенным является вопрос о понятии народного дохода. Маркс установил, что стоимость валового продукта, произведенного в течение года, представляет сумму вновь созданной стоимости и стоимости потребленных в процессе производства средств производства. На этой основе он открыл категорию национального (народного) дохода. Весь доход общества Маркс называет валовым доходом или национальным доходом и определяет его как часть валового продукта, которая остается за вычетом той

его части, которая возмещает авансированный и потребленный в производстве постоянный капитал. Валовой доход общества или часть общественного валового продукта вновь создается в течение года примененным живым трудом. Таким образом народный доход представляет чистую продукцию сферы материального производства; он создается непосредственно в процессе производства трудом, применяемым в течение года. Созданный в сфере материального производства народный доход, т. е. чистая продукция проходит в процессе всего общественого воспроизводства стадии распределения и потребления-использования. Первоначально она распределяется в виде основных доходов. Это распределение Маркс выражает формулой v + m, которая в социалистическом обществе имеет принципиально отличную от капиталистического природу. Чистая продукция не исчисляется в натуральной форме, но является носителем материального содержания, ее стоимость выражается в деньгах и распределяется в СССР на зарплату, возмещение трудодней и накопления социалистических предприятий, т. е. превращается в доход, принимает форму валового дохода общества и им измеряется. Когда Маркс говорит, что национальный доход состоит из зарплаты, плюс прибыль, плюс рента, т. е. валового дохода, он исходит из того положения, что последние представляют распределение чистой продукции или народного дохода между агентами производства. И это вовсе не означает того, что первоначальная форма национального дохода выражается в виде зарплаты, прибыли, ренты, а то, что созданный в виде чистой продукции национальный доход распределяется между агентами производства в соответствии с указанными формами, что назначение вновь созданной стоимости заключается в том, что она целиком превращается в валовой доход и принимает форму отдельных доходов, что способ распределения является оборотной стороной агентов производства и зарплата и социалистическое накопление представляют собой виды участия в результатах производства.

Из сказанного явствует, что народный доход, как чистая продукция, является единым понятием, и потому неправомерно его двоякое определение как части стоимости общественного продукта и в то же время как совокупности доходов отдельных классов и лиц. Такое двоякое определение народного дохода противоречит пониманию этой категории Марксом.

Из вышеприведенного понимания народного дохода вытекает метод его исчисления и изучения на всех фазах движения.

Общеизвестна апологетическая сущность традиционных буржуазных методов исчисления народного дохода — реального и личного. В советской экономической литературе вполне справедливо отвергаются реальный и личный методы исчисления народного дохода как самостоятельные и отличные друг от друга методы. Но вместе с тем, необоснованным является метод синтеза, единства и равноправности этих методов, предлагаемый

некоторыми авторами, что вытекает из двоякого понимания категории народного дохода. Они обосновывают единство этих методов открытым Марксом единством производства и распределения, но забывают, что Маркс не отождествляет производство и потребление, не признает за последним такого же господствующего положения, которое принадлежит первому, а выводит из него, им определяет и называет распределение „оборотной стороной" производства. Нельзя также согласиться с авторами, которые, правда, отрицают единство реального и личного методов, но рассматривают реальный метод как основной, а личный как подчиненный, не имеющий самостоятельного значения и используемый для того, чтобы показать, как распределяется народный доход.

Если народный доход является единым понятием, то неправильно допускать существование двух методов его исчисления. Существует единственно правильный метод исчисления народного дохода, как чистой продукции. Изучение же его распределения, т. е. его превращения в форму доходов представляет исчисление доли агентов производства в созданном народном доходе.

С изучением народного дохода связана категория производительного и непроизводительного труда и, в связи с этим, вопрос об основных и производных доходах.

Маркс определяет производительный труд не только с точки зрения обычных процессов труда вообще, который реализуется в продуктах, конкретнее в товарах, но одновременно и с точки зрения процесса капиталистического производства, как труд занятий в сфере материального производства, который непосредственно увеличивает стоимость капитала, т. е. создает прибавочную стоимость.

Непроизводительным Маркс называет труд, который обменивается не на капитал, а непосредственно на доход, т. е. труд, занятый в сфере оказания нематериальных услуг. Из такого понимания производительного и непроизводительного труда вытекает понятие основных и производных доходов. Доходы производительного рабочего относятся к основным доходам, а доходы непроизводительного — к производным. Разграничение этих двух видов доходов имеет большое значение для правильного изучения распределения народного дохода.

Большой научный и практический интерес представляет вопрос о сравнимости народного дохода СССР с народным доходом капиталистических стран. В результате принципиально различных методов, применяемых для исчисления народного дохода в СССР и в странах капитализма, получаются несравнимые величины. Народный доход, исчисляемый в буржуазной практике, является не народным доходом в определении Маркса, а суммой доходов, получаемых отдельными индивидуумами независимо от характера их труда и источников получения этих доходов.

Таким образом, в буржуазной практике исчисляется не чистая продукция, т. е. не народный доход в собственном смысле, а исчисляются все виды доходов, реализуемых в сфере распределения и обмена в отрыве от сферы производства.

Это обстоятельство, наряду с искусственным раздуванием объема народного дохода, прикрывает истинную классовую, эксплоататорскую сущность его распределения.

В эпоху империализма вывоз капиталов является фактором распределения народного дохода между отдельными странами, фактором присвоения значительной части народного дохода одних стран странами, вывозящими капитал.

В условиях СССР межреспубликанское распределение народного дохода является показателем неуклонного проведения ленинско-сталинской национальной политики.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ, XXXIV, 1943
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV, 1943

ნ. ᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲔᲤᲘᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲕᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ, ᲒᲐᲔᲠᲗᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ[1]

ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

რთული მოვლენის შესაცნობად, ჩვეულებრივ, მიმართავენ მისი შემადგენელი ნაწილების ყველა ხილული თვისების ცალკეულ გარჩევას; შემდეგ თანმიმდევრული ინტეგრაციით ამ თვისებათა ჯგუფურად შესწავლას; და, ბოლოს, მთელი მოვლენის ყველა მხარის ურთიერთმოქმედებასა და მთლიანობაში გათვალისწინების მეთოდს, ამ მოვლენის ელემენტთა მიზეზობრივ განპირობებულობის დასადგენად.

სხვადასხვაგვარი მოვლენების განზომილებისა და გაერთმნიშვნელოვანებისათვის მისაყენებელი კოეფიციენტების აგების ცდები საუკუნეთა ხვეულებში იკარგება. პროპორციებისა და შეთანაბრებების საკითხს გულმოდგინედ იკვლევდნენ ჯერ კიდევ ანტიკური ქვეყნის მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკნი. დროთა ვითარებაში ასეთი ცდები კეთდებოდა ხშირად და იმდენად მრავალი მოვლენის მიმართ, რომ დღეს ჩვენ ნოგვეპოება კოეფიციენტების ნაირნაირი სისტემები მეცნიერებისა და პრაქტიკის სულ სხვადასხვა სფეროდან.

მოსახლეობის განსხვავებული შემადგენლობის (სქესი, ასაკი, პროფესია, ყოფიერება) სხვადასხვა თვალსაზრისით შესწავლა; სასურსათო თუ სხვაგვარი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნაირნაირი ნაწარმის სამოხმარებლო გეგმური და ფაქტიური ბალანსების შედგენა; ქერძოდ, სურსათისა და საკვების ვრცელი ასორტიმენტის გამოხატვა არა მხოლოდ წონის ერთეულებში, არამედ კალორიებში, საკვებ ერთეულებში, სახამებლისა და თივის ეკვივალენტებში, თერმებში და სხვა; შინაურ ცხოველთა სხვადასხვა სახის ფუ განსხვავებული სქესობრივი და ასაკობრივი, ან კონდიციისა და ნასუქობის ჯგუფების გამოხატვა ერთ ციფრში; თავიდანვე სხვადასხვა სიხშირის, ან შემდეგ გამეჩხერებულ განსხვავებულ ასაკოვან ნარგავთა და ნათესების მიყვანა სტანდარტულ სიხშირესა და ნორმალურ მოსავლიანობასთან; აუარებელი ნაირნაირი სისტემის მექანიკური ძრავების საერთო ძალოვანების გაანგარიშება თათვის – მიდაწვის ძრავების (ტრაქტორთა პარკი და ავტოპარკი) — ცხენძალა და ელექტროძრავებისათვის კი — კილოვატსაათებიც; მათი მუშაობის მრავალგვარი ტექნიკური მაჩვენებლის პარალელურად, სასოფლო სამეურნეო სამუშაოთა რბილ ხვნაზე გადათვლა: მრავალფეროვანი ნიადაგების ხვედრითი წინააღმდეგობის შეფარდება და სხვა; აი, ერთი ნაწილი სოფლის მეურნეობრ

[1] საკითხის შემოკლებული და წინასწარი განხილვა.

ნ ბრაკალ და რთულ მოვლენებისა, რომელთა ანალიზისათვის დადგენილია და ფართოდ არის გამოყენებული გაერთმნიშვნელოვანების კოეფიციენტები. კიდევ უფრო მეტად ბრაკალგვარი და ნაირნაირია კოეფიციენტები მრეწველობაში.

კოეფიციენტთა აგების დროს მეტწილად გამოიყენება პ ი რ ო ბ ი თ გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ე ბ ა თ ა მ ე თ ო დ ი. ყოველ ცალკე შემთხვევაში გამოიძებნება ყველაზე უფრო მისაღები შესადარებელი საზომი ერთეული. ამისათვის უმრავლეს შემთხვევაში ნატურალურ მაჩვენებლებს იყენებენ. პირობითი ერთეულები, პირობითი მაჩვენებლები უდიდეს სამსახურს გვიწევენ; ამიტომ მათ გამოყენებას, ან პირობით მაჩვენებელთა ახალი სისტემის ჩამოყალიბებას ღრმად მოაზრებული და ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი მიდგომა ესაჭიროება.

დ. ს ა ვ ი ნ ს კ ი ს თქმით[1] „პირობით ნატურალურ მაჩვენებელთა აზრი მდგომარეობს იმაში, რომ საწარმოს, ან მისი ცალკეული უბნის, მთელი სხვადასხვაგვარი პროდუქცია გამოიხატება ერთი პროდუქტის ერთეულში, რომელიც პირობით საზომ ერთეულად არის მიღებული". ამ მიზნით საჭიროა წინასწარ იქნეს დადგენილი გარკვეული შეთანაბრება სხვადასხვა პროდუქტების ერთეულებს შორის. აქ მთავარი საკითხია, თუ რა მაჩვენებლებით უნდა დავადგინოთ ეს შეთანაბრება. ამა თუ იმ კოეფიციენტთა აგების საფუძვლის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს წარმოების მიზნები და ამოცანები. სტატისტიკურ-ეკონომიური ხანგრძლივი კვლევის პროცესში ჩამოყალიბებულია პირობით გამოხატულებათა საზომების აგების შემდეგი ვარიანტები:

1) კოეფიციენტების აგება პროდუქციის საბრძანებლო მნიშვნელობის (ანდა მოსავლიანობის და შემოსავლიანობის) მიხედვით,

2) კოეფიციენტების აგება შრომის ან სხვა დანახარჯთა მიხედვით,

3) კოეფიციენტების აგება პროდუქციის ერთეულის გეგმური თვითღირებულების საფუძველზე (ანდა შრომის ერთეულზე მიღებული პროდუქციისა, თუ კიდევ შრომის ანაზღაურების მიხედვით).

სავარგულთა გაერთმნიშვნელოვანებისათვის კოეფიციენტების გამოყვანის საქმეში ჩვენ სამივე მიდგომას ვიყენებთ და სპეციალურ კოეფიციენტებთან ერთად სინთეზურ კოეფიციენტებსაც ვადგენთ.

ამავე დროს, პირობით ნატურალურ გამოხატულებათა საზომში არ შეიძლება ერთდროულად მოთავსდეს საქმიანობის მრავალი დარგი; ვთქვათ, მთელი მრეწველობა, ან სოფლის მეურნეობის ყველა დარგი. ასეთ განზოგადებათა განზოგადებისათვის ისევ ვალერისტული მეთოდი უნდა იქნეს მიღებული და მთელი ნატურა გადაირიცხოს ღირებულებაში; ამიტომ პროდუქციის თასებში გამოხატვას ჩვენ არა ერთხელ მივმართავთ.

1. სავარგულების გაერთმნიშვნელოვანების საჭიროება

სოფლის მეურნეობის მხოლოდ ზოგ დარგში და რიგ ელემენტთა მიმართ იყო წინათ გამომუშავებული კოეფიციენტები. მათ ძალა და მნიშვნელობა ჰქონდათ მხოლოდ მოცემული დარგისა და კონკრეტულ ელემენტთათვის. სხვა

[1] Д. В. Савинский, Курс промышленной статистики. Москва, 1944, стр. 67

დარგებისა და ელემენტებისათვის სათანადო კოეფიციენტები მომავალში უნდა დაისახოს. სოფლის მეურნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის მიმართ, როგორიც არის საექსპლოატაციო ტერიტორია, მიწა და მისი შემადგენელი სავარგულები, რომელნიც საწარმოო მნიშვნელობის მხრით დიდი ნაირნაირობით ხასიათდებიან, დღემდე არაეის უცდია, ჩვენს შრომაში ნაგულისხმევი თვალსაზრისით, რაიმე საერთო საზომების ძიება, აგება და დადგენა მათი გაერთმნიშვნელოვანებისათვის. სავარგულების გაერთმნიშვნელოვანების ასეთი საზომების—კოეფიციენტების არსებობა ფრიად საჭიროდ მიგვაჩნია. უამისოდ ჩვენი ვარაუდები სავარგულების ურთიერთშედარების დარგში, მოცემულ დროს და კონკრეტულ ადგილზე, დიდად გაძნელებულია. კიდევ უფრო მძიმეა სარაიონთაშორისო და რესპუბლიკათაშორისი შედარებები.

როცა ჩვენ აღვნიშნავთ, რომ, მაგალითად, საქართველოში ამდენი საერთო საექსპლოატაციო ფართობია, ხოლო უკრაინაში თუ კაზახისტანში ამდენი, არა მარტო აბსოლუტურად, არამედ ერთ კომლზე, მუშაზე თუ სულზე გადათვლით, ეს ძალიან ცოტა რასმე გვეუბნება საწარმოო და სამეურნეო თვალსაზრისით; ე. ი. იმის შესახებ თუ რამდენად დატვირთულია სამუშაოებით, ან რამდენი შემოსავლის იმედი უნდა ჰქონდეს იქაურ მეურნეს. ცხადია, რომ ერთი ჰექტარი ბუნებრივ-სამეურნეო და სამიწათმოქმედო სავარგულთა ფართობი განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ სახელდობრ რომელი სავარგული და რა პროპორციით შედის მიწით უზრუნველყოფის ამ მაჩვენებელში. ერთი ჰექტარი ჩაის, ციტრუსების, ვაზის, ხეხილის და სხვა ნარგავისა, იმდენად არ ჰგავს ერთ ჰექტარ ხორბალს, ქვავს, ქერს, სიმინდს, ბამბას, სელს, შაქრის ჭარხალს, თამბაქოს და სხვას, რომ მათი ფართობების შეჯამება და სხვადასხვა შეთანაბრებათაგან განსაზღვრული საშუალო ჰექტარი მეტად შორეულ წარმოდგენას გვაძლევს საკითხის ნამდვილ ვითარებაზე.

დღემდე ამ საკითხის დაზუსტებას იმით ვაღწევდით, რომ ვიხილავდით და ვმსჯელობდით ცალკე ყოველი სავარგულის აბსოლუტურ და შეფარდებით ციფრებზე; მაგრამ სავარგულთა ნაირნაირობის, სხვადასხვა ადგილზე და ხანგრძლივ პერიოდში განხილვისათვის იმზომ დიდი ციფრული მასალა ვროვდება, რომ მათი ერთობლივი ანალიზი და საერთო დასკვნების გაკეთება გაძნელებულია და ხშირად გამორიცხულიც. ამიტომ დროა გვქონდეს საზომები, რომლებითაც ერთი სახის სავარგულის მეორესთან, მათი სამეურნეო მნიშვნელობის მიხედვით, შედარების დროს დავინახავთ, თუ რამდენად მეტია, ან ნაკლები ერთი და იგივე ფიზიკური ფართობის სავარგულის სამეურნეო მნიშვნელობა მეორესთან შედარებით; ან უფრო ხარისხად რომ ვთქვათ, რას უდრის ერთი ჰექტარი ციტრუსი, ჩაი, ვაზი, ხეხილი, ბოსტანი, ან სახნავი, ფართობთა ურთიერთშედარების შემთხვევებში. სხვაგვარად, ამ ნაირნაირ სავარგულთა ფართობების შეჯამება და საერთო ციფრით სარგებლობა, რასაც ხშირად დღემდე მივმართავთ, აცილებულ ნამდვილ სურათს. აქ იმალება ის დიდი განსხვავებები, რომლებითაც ესა თუ ის სავარგული ხასიათდება და ჩვენი წარმოდგენა საკითხზე სინამდვილეს ძალზე შორდება.

ამ მოვლენას დიდი ხანია ვგრძნობთ, როცა სხვადასხვა სახის შინაურ პირუტყეს ვსწავლობთ და მათ რაოდენობას ვიხილავთ. აქ არ გამოგვყავს ნარტივი ჯამი, ან სხვა არითმეტიკული მანიპულაცია, მაგალითად, ღორისა და აქლების, ან ცხვრისა და კამეჩის სულადობაზე; მათ ციფრებს ჯერ ცალ-ცალკე ვიხილავთ შემდეგ პირუტყვის სახეებს შორის პროპორციებისა და სტრუქტურული ურთიერთდამოკიდებულების დასადგენად მათ სულადობას წინასწარ გადავრიცხავთ მსხვილი რქოსანი პირუტყვის სრულ ჰასაკში და მერმე ვაჯამებთ მათ რიცხვებს; აქედან თითოეული ელემენტის პროცენტი გამოვყავს, ხვედრითი წონებისა და სხვა გარემოებათა შესახებ ვმსჯელობთ.

სრულიად აუხსნელია, რა უფლების ძალით ვიქცევით სხვაგვარად სავარგულების მიმართ? აქ ჩვენ მოურიდებლად შევკრებთ ხოლმე 100 ჰექტარ ჩაის პლანტაციას 50 ჰექტარ ციტრუსებთან, 400 ჰექტარ ვაზთან, 80 ჰექტარ ბოსტანთან, 500 ჰექტარ სახნავთან და 600 ჰექტარ საძოვარ-საბალახოებთანაც კი; მერმე ჯამს 100% მივიღებთ და თითოეული სავარგულის პროცენტით ვმსჯელობთ მათ ხვედრით წონაზე. აქ ხომ ერთმა ჰექტარმა სახნავმა ისეთივე წილი მიიღო, როგორც 1 ჰექტარ ლიმონის ნარგავმა!... რა უფლების ძალით? განა ერთ ჰექტარ ლიმონსა და ერთ ჰექტარ სიმინდის, ხორბლის, კომბოსტოს ბალახის ნათესებს, ან არა და ერთ ჰექტარ საძოვარ-საბალახოს თუ ტყე-ბუჩქნარს შორის უფრო მეტი ეკონომიური განსხვავება არ არის, ვიდრე ერთ სულ ცხენსა და ხარს, ღორსა და ცხვარს, თუ ფურსა და ფურ-კამეჩს შორის?!.. მაგრამ ამ სულადობის სტრუქტურის შესასწავლად ხომ დიდი ხანია გამომუშავებულია და ფართოდ ვიყენებთ ხსხვილ რქოსან პირუტყვზე გადარიცხვის კოეფიციენტებს. მაშ რაღა დააშავეს ციტრუსებმა, ტყე-ბუჩქნარმა, ვაზმა და საძოვარ-საბალახომ, თაბაქომ და ღოის ნათესმა, რომ მათ ყველას ერთ ქვაბში ვხარშავთ?!.. არა გვაქვს ამის არავითარი საბუთი, რომლის გამართლებაც შეიძლებოდეს სამეურნეო და საწარმოო რომელიმე თვალსაზრისით.

სხვადასხვა სავარგულების შეჯამება, მათი შეფარდებები დაკავშირებულ ელემენტებთან და მომდევნო მსჯელობა შეიძლება მხოლოდ ამ სავარგულების წინასწარ გაერთმნიშვნელოვანების შემდეგ. დროა ბოლო მოეღოს ჩვენს ციფრობრივ ვარაუდებში სავარგულების გათანაბრებას და მათი კვალიფიკაციის უგულებელყოფას[1]. ამ მიზნით აუცილებელია თითოეული სავარგულისათვის შესაფერისი, მისი სამეურნეო და საწარმოო წონის ამსახველი კოეფიციენტის დადგენა და მათი მიღება ყველა ვარაუდებში ამ წონისა და მნიშვნელობის მიხედვით.

ამ მსჯელობიდან ნათელია სავარგულთა გაერთმნიშვნელოვანებისათვის შესაფერი კოეფიციენტების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობა, დროულობა და საჭიროება. ეს საკითხი, მეთოდურადაც კი, საქართველოში უნდა გადა-

[1] მით უფრო რომ, რაც დრო გადის, „ჩვენი მეურნეობა უფრო კვალიფიციური და პროდუქტიული ხდება, ხოლო ცოდნის დანერგვას რეალური საფუძველი ექმნება". ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მეთერთმეტე გამოცემა, გვ. 719.

იჭრას, რადგან არსად საბჭოთა კავშირში და იშვიათად კი, — მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყანაში მოიპოვება სავარგულების იმხომ დიდი ნაირნაირობა, როგორც ეს საქართველოშია. საკითხი მხოლოდ ისაა, თუ როგორ მივუდგეთ, მეთოდურად როგორ გადავწყვიტოთ ეს ამოცანა.

II. სავარგულების კოეფიციენტების აგების მეთოდიკისათვის

ეს პრობლემა დიდ მეცნიერულ და საწარმოო ინტერესს შეიცავს და წარმოადგენს უფრო ფართე პრობლემის — მიწების ხარისხობრივი აღრიცხვის ნაწილს. იგი საერთოდ და განსაკუთრებით სსრ კავშირის პირობებისათვის დაბუშავებული სრულიად არ არის, ამ დებულებას ვერ ცვლის ის გარემოება, რომ რუსეთში უკვე XVI საუკუნეში „при писповых описаниях применялись расчетные коэфициенты для „доброй", „средней" и „худой" земли".

ამ შედარებითობას არ გასცილებია ის უდიდესი სამუშაოებიც, რომლებიც გასული საუკუნის მთელ მანძილზე, განსაკუთრებით მეორე ნახევარში. და აგრეთვე მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთში ერობების მიერ ტარდებოდა და ევროპის სხვადასხვა, უპირატესად, სახელმწიფო ორგანოების მიერ წარმოებდა მიწის კადასტრის, ანუ შეფასების დარგში.

მიწის კადასტრში იმდროინდელი თვალსაზრისით იგულისხმებოდა იმ ღონისძიებათა მთელი სისტემა. რომლითაც შესაძლო გახდებოდა საადგილმამულო ქონებაზე გადასახადების დაწესება. გადასახადები, რა თქმა უნდა, იცვლებოდა დროისა და ადგილის პირობებში — ერთი და იგივე ნაკვეთი წლების მანძილზე სხვადასხვა შემოსავალს იძლეოდა და ერთ რომელიმე წელს სხვადასხვა ნაკვეთზე განსხვავებული შემოსავალი მიიღებოდა. ორსავე შემთხვევაში გადასახადებიც განსხვავებული უნდა დაედგინათ.

აღნიშნულის საჭირო იყო მიდგომის გამომუშავება, საზომების და პროცედურების დადგენა. ბოლო დროს ასეთ მიდგომად მიწის ფასი ჰქონდათ; საზომად კი, მიწის სიერცე (ჰექტარების რაოდენობა) იყო მიჩნეული. მიწის ფასების ნორმირებაში მეტ შემთხვევაში რენტის კაპიტალიზაციას აწარმოებდნენ; მაგრამ უფრო ხშირად ივიღე შემოსავლის თეორიულად გაანგარიშების საფუძვლად იღებდნენ ნიადაგების გამოკვლევებსა და ამ მასალის მიხედვით მის ბონიტურს — კლასებად დაჯგუფებას.

განსაკუთრებით დიდია ცდები და ლიტერატურა კადასტრების შესახებ უცხო სახელმწიფოებში. მაიგან პარცელების კადასტრს (ფრანგული კადასტრები) მიზნად ჰქონდა ბუნებრივი და ეკონომიური პირობების სხვაობათა მინიმუმამდე დაყვანა; მაგრამ დიდი მასივების მიწების შეფასების საჭიროება ამ სხვაობათა გათვალისწინების უფრო მრავალგვარ და რთულ მეთოდებს მოითხოვდა. ზემოაღნიშნულ პერიოდში დიდი მეცნიერული და საგამოკვლევო მუშაობა ჩატარდა ევროპის რიგ ქვეყნებში და რუსეთშიც. მიწის კადასტრის სამუშაოებში ასხვავებდნენ ორ ნაწილს: სავარგული მიწის აღრიცხვა ნიადაგების სხვაობათა მიხედვით და სხვადასხვა სავარგულ მიწებზე ნაკვეთების შეფასების თანრიგების დადგენა ცალკე ნიადაგების ტიპების მიხედვით.

სავარგული მიწების და ნიადაგების მოსავლიანობის ნაირნაირობამ ის გამოიწვია, რომ რუსეთში სხვადასხვა ერობები ადგენდნენ ერთიმეორეზე უფრო

რთულ სისტემებს მიწების საერობო შეფასების დარგში. ისინი ცდილობდნენ ბუნებრივ და ეკონომიურ პირობათა მაჩვენებლების კომპლექსში განხილვას; მაგრამ ამისათვის საფუძვლად იღებდნენ ხან მიწის ფასს, ხან მის შემოსავლიანობას. რუსეთში ერობებსა იმზომ დიდი მასალა დააგროვეს და ცვალებად პირობათა იმზომ დიდი ნაირნაირობა გამოარკვიეს, რომ კადასტრების პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობა საეჭვო გახადეს. ამიტომ გადასახადების ოდენობის დადგენის ობიექტური საზომის ძიებას თავი დაანებეს და გადავიდნენ საგადასახადო ნორმების ნაბისმიერად დადგენაზე.

მიწების კადასტრის რთულ მეთოდებს და დაგროვილ მასალას, თუ პრაქტიკულად მისაღები შედეგი არ მოჰყოლია ბურჟუაზიული რუსეთის ერობათა მუშაობისათვის, ცხადია არავითარი ხნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს მაშინ დადგენილ კადასტრებს სოციალისტური მეურნეობისათვის მას შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო მიწაზე კერძო საკუთრება.

ასეთი იყო ამ დარგში რევოლუციამდელი ძიებანი.

წინამდებარე შრომის ორიგინალობა იმით არ იჩრდილება, რომ მიწების გადასაყვანი კოეფიციენტების საკითხი, უფრო ვიწრო გაგებით დასმული იყო გეოგრაფოსების საერთაშორისო კონგრესზე 1938 წელს (ვარშავაში). კერძოდ ვ. სტანიევიჩმა (პოლონეთიდან) აქ წამოაყენა წინადადება „მიწის სტატისტიკური ერთეულის“ შესახებ და ამ ერთეულებით შეუფარდა: სახნავი ი. ტყე — 0,15, საძოვარი - 0,2, სათიბი — 0,4, ბაღი — 3 და ასე ქვევით; ასევე სარწყავი ნათესი კულტურების კოეფიციენტები, მაგრამ მხოლოდ შრომატევადობის მიხედვით, რამდენადმე გამოყენებულ იქნა შუააზიის საბჭოთა რესპუბლიკებში თესლბრუნვების დასანერგად წარმოებულ სამუშაოებში.

მაგრამ ყველა ეს ცდა იყო შემთხვევითი ხასიათისა და ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულან რამდენადმე მწყობრი მეთოდიკური ხერხის სახით. ჩვენი ძირითადი მიზანი სწორედ ამ უკანასკნელი ამოცანის გადაჭრა იყო და ამ საკითხის კვლევაძიებას ჯერ კიდევ 1935 წლიდან შევუდექით. წამოყენებული საკითხის თეორიული მხარე იქნება ავტორის მომავალი ხანგრძლივი ძიების საგანი.

ერთი და იგივე სავარგულის ფარგალში, მაგრამ ნაკვეთის სხვადასხვა ადგილზე მდებარეობის დროს მისი ეკონომიური ხნიშვნელობა განსხვავებულია ნიადაგის ნოყიერების და ნაკვეთის ადგილმდებარეობის მიხედვით (დიფერენციული რენტა პირველი რიგისა) და წარმოების ტექნიკის მიყენება-გამოყენების მიხედვით (დიფერენციული რენტა მეორე რიგისა). ამ პირობებს ვიღებთ თანაბრად ჩავთვლით (დროებითი აბსტრაჰირება), მაშინ მიწის ნაკვეთების ეკონომიური სხვაობა იმ სავარგულთა მიხედვით განისაზღვრება, რომელნიც განლაგებული არიან მიწის ნოცემულ ნაკვეთზე.

ამა თუ იმ სავარგულის ყოველი ჰექტარი გადამრავლებული უნდა იქნეს ისეთ ნაჩვენებლებზე, რომელიც შეეფერება მის სამეურნეო-საწარმოო ხნიშვნელობას. ასეთი ნაჩვენებელი იმდენია საჭირო, რამდენიც სხვადასხვა სახის სავარგული არსებობს. ამ სავარგულთაგან შესადარებელ ერთეულად, პირობითი შერჩეული უნდა იქნეს რომელიმე, ვთქვათ, საშუალოზომიერი საბეურნეო მნიშვნელობის მქონე სავარგული, როგორადაც შეიძლება მივიჩნიოთ სახნავი მიწა.

თუ სახნავს ერთეულად მივიღებთ და დანარჩენი სავარგული მიწების ფიზიკურ ფართობს გადავაძრავლებთ იმდენზე, რამდენჯერაც მეტია, ან ნაკლები, თითოეული მათგანის სამეურნეო მნიშვნელობა სახნავთან შედარებით, მივიღებთ პირობით ფართობებს, რომელნიც გაერთმნიშვნელოვანებული იქნებიან და რომელთა შეჯამებაც, როგორც ერთგვაროვანი ოდენობებისა, გაცილებით უფრო მეტი საფუძვლით შეიძლება, ვიდრე ამას დღემდე ვაკეთებთ.

მაშასადამე, საჭიროა დადგენილ იქნეს იმდენი კოეფიციენტი, რამდენი სახის სხვადასხვა სავარგულიც არსებობს მოცემულ სინამდვილეში. კიდევ მეტი: ეს იქნება კოეფიციენტების ერთი გარკვეული სისტემა. მაგრამ იმავე სავარგულების მიმართ შესაძლოა კოეფიციენტთა რამდენიმე სისტემა იქნეს შემუშავებული და სავარგულები კოეფიციენტთა სხვადასხვა სისტემით გაერთმნიშვნელოვანდნენ. გამორიცხული არ არის ერთი, ორი, სამი და მეტი სისტემის კოეფიციენტების გამოყენება. აქ გამოყვანილია კოეფიციენტები: 1) მოსავლიანობის, 2) შემოსავლის, 3) საჭირო კაცდღეების და 4) ერთი კაცდღის ანაზღაურების მიხედვით[1]. აღნიშნული პრინციპებით დადგენილი კოეფიციენტების თითოეული სისტემა თავისთავადი მნიშვნელობისა არის და ყოველი მათგანი შეიძლება საფუძვლად დაედოს სავარგული მიწების გაერთმნიშვნელოვანების საქმეს. ბაგრამ ცხადია, რომ ყოველი მათგანი უპირატესად გაბატონებულ სავარგული მიწების სამეურნეო და საწარმოო მნიშვნელობის რომელიღაც ერთ მხარეს.

ცხადია, თუ შეძელით ყველა ზემოაღნიშნულ ხარეთა ერთდროულად გათვალისწინება და ისეთი კომპლექსი კოეფიციენტების დადგენა, რომელშიც სინთეზურად იქნება მოქცეული აღნიშნული მოძღვრები, მაშინ ამ კოეფიციენტებს მეტი საფუძველი ექნებათ გაერთმნიშვნელოვანების იარაღად მიღებისათვის. ამიტომ სპეციალურ კოეფიციენტების სისტემათაგან გამოყვანილია ბარტივი სამუალო არითმეტიკული ოდენობების სახით სინთეზური კოეფიციენტები. მარტივი არითმეტიკულისა იმიტომ, რომ სპეციალური კოეფიციენტები აქ დადგენილია ყველა სავარგულის ერთ ჰექტარზე, ე. ი. სასწორი აქ ყველგან ერთია და, ამასადამე, რთული ან შეწონილი სამუალოების გამოყენება ამჟამად, ვფიქრობთ, არც შესაძლებელია და არც საჭირო.

1) მოსავლიანობის კოეფიციენტების დადგენა—პირველადნაზომელ ოდენობებში, ე. ი. ნატურაში — წონის ერთეულებში — შეუძლებელია არ შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ, მაგ., 2.500 კგრ. ჭაი და 3.000 კგრ. ჯურძენი, ან 4.400 კგრ. თივა, თუ 3.500 კგრ. ტუნგოს ნაყოფი. ამ მოსავლიანობის შესადარებელი სახით წარმოდგენის ერთადერთი მისაღები საშუალებაა მათი გადათვლა ღირებულებაში და დადგენა იმ თანხების ურთიერთმიმართების კოეფიციენტებისა, რომლებსაც მივიღებთ თითოეული სავარგულის მოსავლიანობის მისი ერთეულის ფასებზე გადამრავლებით. ასეც არის

[1] ამ ამოცანის სრულად გადაჭრისათვის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს „ინტენსივობის კოეფიციენტს" (ცოცხალი და განივეთებული შრომის დახარჯული ფართობის ერთეულზე) დავამუშავებთ უახლოეს მომავალში ამ სამუშაოს დეტალიზაციის პროცესში.

გამოანგარიშებული კოეფიციენტები მოსავლიანობის მიხედვით, რადგან სხვადასხვაგვარი პროდუქციის შეჯამების ყველაზე გავრცელებული ხერხია ამ პროდუქციის ფულადი გამოხატულების გამოყენება[1].

2) კოეფიციენტები მოსავლიანობის მიხედვით — გამოთვლილია მოსავლიანობის იმ ბაზა ნორმების საფუძველზე, რომლებიც მოცემულია ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამმართველოს მიერ. აქ ბოლოდ მათი პროპორციებია დადგენილი.

3) კოეფიციენტები კაცდღეების მიხედვით — აგრეთვე პირდაპირ პროპორციების დადგენის შემწეობით არის მიღებული. აქ ნატურალური პირველადმხომელი ერთეულები ერთნაირია და კაცდღეებშია მოცემული ყველა სავარგულისათვის. ამიტომ ისინი შუალედ გაანგარიშებებს არ საჭიროებენ.

4) კოეფიციენტები ერთი კაცდღის ანაზღაურების მიხედვით — წარმოებულია პირველი და მესამე კოეფიციენტებისაგან. თითოეული სავარგულის ძმარით ისინი გამოყვანილია ერთ ჰექტარზე მოსავლის ღირებულების გაყოფით მასზე საჭირო კაცდღეების წლიურ რაოდენობაზე.

5) სინთეზური კოეფიციენტები — წარმოადგენენ ცხენებული სპეციალური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულ ოდენობას; თავის არსებაში შეიცავენ სპეციალური კოეფიციენტებით ასახულ ყველა მოვენებს და აქედან ისინი არიან გამოყენებული საანალიზო ობიექტის, საქართველოს სავარგულების მნიშვნელოვანებისათვის.

სანამ ამ ციფრთა ბეჭდვის მოთხრობამდე, საჭიროა რამდენიმე სიტყვა ითქვას სპეციალური კოეფიციენტების დასადგენად აუცილებელი მასალის მოპოვებასა და დამუშავებაში გამოყენებული წესის შესახებ; ეს საკითხი ცხება: ა) მოსავლიანობის ნორმატივებს, ბ) კაცდღეების ხარჯვის ნორმებს და გ) ფასებს პროდუქციაზე.

თითოული ეს გამზომი ფრიად ცვალებადია სივრცესხვა ადგილზე და სხვადასხვა წელს. საგრამ აქ დრო და ადგილი ელიმინირებულია. აღებულია საშუალო რესპუბლიკური მონაცემები და, ამრიგად, დასაკვირვებელ ცვალებად ობიექტად მხოლოდ სავარგულებია ნაგულისხმები. რაღა თქმა უნდა, ამ განზოგილებებს არავითარი აბსოლუტური მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეთ. ამგვარი კვლევის ამოცანა შედარებითობის ხასიათის დადგენაა.

ა) მოსავლიანობის ნორმები — დადგენილია მრავალი წყაროს მიხედვით ყველა სავარგულისათვის. განსაკუთრებული გულისყურით მოვეკიდეთ სამეწყობისმეცნიერო ორგანოებისა და საგეგმო კომისიის მიმდინარე ოპერაციულ, ვეგეტურ და საანგარიშგებო მონაცემებს; მაგრამ გადავათვალიერეთ და გამოვიყენეთ ცალკე საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობათა საწარმოო-საფინანსო და საორგანიზაციო-საწარმოო გეგმების მონა-

[1] გამოხატვა კალორიებში, სახამებლის ერთეულებში, ან საკვებ ერთეულებში შეიძლება მხოლოდ გარკვეული ცალკე ჯგუფის კულტურებისა და ისიც უპირატესად მემინდვრეობაში. ვაზის, ხეხილის, ბოსტნის, ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს და სხვათა მიმართ, ცხადია, არ შეიძლება ხსენებული ნატურალური მაჩვენებლების გამოყენება.

ცემები[1]. ეს იყო ძირითადი წყარო საქართველოს სპეციფიკური კულტურებისათვის, რადგან გამოქვეყნებულ ლიტერატურულ მასალებში მათ შესახებ ცოტა რამ მოიპოვება. იგივე მასალებია ჩინდვრის და ბოსტნის საყოველთაოდ გავრცელებული კულტურების ჩოსავლიანობის მთავარი წყარო, რადგან შედარებებმა, რომელიც ოვახდინეთ სხვადასხვა ცნობარების მასალებთან[2], გვიჩვენეს მათი მეტი უფლებამოსილება ამ სამუშაოში გამოყენებისათვის. აღნიშნული წყაროების მიხედვით შედგენილი შედარებითი ტაბულის მონაცემთა ანალიზის შედეგად მიღებულ იქნა საანგარიშოდ ჩოსავლიანობის საშუალო ციფრები იმ საბით, როგორც ის ქვემოთ № 2 ტაბულაშია (გვ. 133).

ბ) კაცდღეთა საჭირო რაოდენობა 1 ჰექტარზე — გამორკვეულ იქნა აღნიშნული წყაროების საშუალოზე, შედარებით ტაბულაშია ცალკე დამუშავებული და ქვემოთ გამოყენებულია № 3 ტაბულაში (გვ. 135).

გ) ფასები — ყველა სახის პროდუქტის ნატურალურ ოდენობათა გადასათვლელად ღირებულებით ხაჩვენებლებში აღებულია 1926/27 წლის შეცვლელი ფასების მიხედვით[3]. დანარჩენი ეკონომიკური ჩატარებულია აღნიშნული გამოსაყალი მასალის საშუალოზე ქვემოთ ჩოთხრობილი წესით.

III. სხვადასხვა კოეფიციენტები სავარგულების გაერთმნიშვნელოვანებისათვის

საბოლოო სინთეზური თითოეული კოეფიციენტი გამოყვანილია 4 სპეციალური კოეფიციენტის გასაშუალებით; ხოლო თვით სპეციალური კოეფიციენტები კი ასე არის დადგენილი:

1) შემოსავლიანობის კოეფიციენტები — გამოანგარიშებულია ძირითადად ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე, გადასახადების დასადგენად განსაზღვრული შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით (ნორმების სხვადასხვა ოთხი სისტემის გასაშუალებით)[4]. სახნავისათვის მიღებულია მინდვრის ძირითადი კულტურების შემოსავლიანობის ნორმები. სახნავის შემოსავლიანობის ნორმის დასადგენად მინდვრის ყველა

---

[1] გამოყენებულია მასალა: ა) ორგ. გეგმები — ბაშკიჩეთის, სოღანლუღის, ნასაკირალის, ჯინიოს, მუხრანსტატეს, ხაშმისა და შინახის საბჭოთა მეურნეობებისა და ოყჯინიკიძის სახელობის ხობისა და ტალანის სახელობის საკავშირო ინსტიტუტების კოლმეურნეობებისა; ბ) საწარმოო-საფინანსო გეგმები ჩაქვის, წალენჯიხის, ნასაკირალისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებისა; გ) გენ. გეგმები საბგოლისა და კოლხეთის სასოფლო-სამეურნეო ათვისებისა.

ამ მასალების უდიდესი ნაწილი დაკომპლექტებულია ავტორის ხელმძღვანელობით.

[2] Слезкин, Переект-Солтан, Беккер-Диллиген, Справочники Агронома, председателя колхоза, овощевода и т. д.

[3] იხ. Цены 1926—27 г. на продукты сельского хозяйства, принятые Госпланом СССР и ЦУНХУ Госплана СССР для расчетов валовой продукции сельского хозяйства по неизменным ценам და საქართველოს საგეგმო კომისიის დამატებები ჩვენი სპეციფიკური კულტურებისა და პროდუქტებისათვის.

[4] Сел. хоз. налог на 1932 г. Пост. СНК ССР Грузии от 26/V—32 г. Госиздат, Тифлис, 1932 г., стр. 24; სას. სამ. გადასახადი 1934 წ. სჭ. სსრ სახკომსაბჭოს დადგენილება 1934 წ. 14 VI, თბ. 1934 წ., გვ. 30—31; კანონი სას. სამ. გადასახადის შესახებ, თბ. 1940 წ., გვ. 2; В. С. Данков, Сельскохозяйственный налог. Москва, 1935 г., стр. 9.

კულტურის შემოსავლიანობა 1941 წლის ფაქტიური ფართობიდან გაეყავით მთელ ნათეს ფართობზე და დავადგინეთ შემოსავალი ერთ ჰექტარ ნათესზე. ეს შემოსავლიანობა იქნა მიღებული შესადარებელ ერთეულად და ანის მიმართ არის გაპოყვანილი დანარჩენი სავარგულების კოეფიციენტები. ოღონდ წინასწარ სახნავის ეს კოეფიციენტი შემცირებულია 10%, რადგან საქართველოში ნაბუსები არის სახნავის 90%-ზე.

სახნავის შემოსავლიანობის ეს ნორმა მიღებულ იქნა ერთეულად და ამის მიხედვით არის თითოეული წლის შემოსავლიანობის ნორმიდან გამოყვანილი კოეფიციენტები მასალებში მოცემული სავარგულების მიმართ. ანალიზებულია 4 სხვადასხვა წლის კოეფიციენტთა საშუალო არითმეტიკული ოდენობანი და ციფრების დამრგვალებით მიღებულია საშუალო კოეფიციენტები: სახნავისათვის — 1 (ის დგას მეშვიდე ადგილზე); სათიბი — 0,5 (ბერვეზე); დაფნის — 3 (მეექვსეზე); ბოსტანი და ბაღჩა — 6 (მეხუთეზე); სუბტროპიკული კულტურები, საშუალოდ — 7 (მეოთხეზე); ბაღი — 8 (მესამეზე); ვენახი — 9 (მეორეზე); მანდარინი — 15 (პირველ ადგილზე)[1].

სურათი ძირითადად სწორია, მაგრამ ფრიად განსაზღვრული რაოდენობის სავარგულებს ეხება, დაზუსტება სჭირდება და მოცემულია შემდეგ ტაბელაში.

ფინანსთა სამინისტროს მიერ დასაბეგრი შემოსავლიანობის ნორმები და მათზე აგებული კოეფიციენტები

ტაბულა № 1

№ ბრეზე	წლები და მაჩვენებლები / კულტურები	1932		1934		1937—42		1943—45		საშუალოდ		შენიშვნები
		შემოსავ. ნორმები	კოეფიც.	შემოსავ. ნორმები	კოეფიც.	შემოსავ. ნორმები	კოეფიც.	შემოსავ. ნორმები	კოეფიც.	შემოსავ. ნორმები	კოეფიც.	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	ბოსტანი და ბაღჩა . . .	329	6.2	550	8.7	2300	5.3	17000	6.2	5093	6,0	6
2	ბაღი	310	6,0	700	11,1	4000	9.2	20000	7,4	6252	7,6	8
3	ვენახი	380	7.4	800	12.6	6000	12.3	22000	8,1	7295	8,9	9
4	მანდარინი	784	15,3	—	—		—	—	—	—	15,3	15
5	დაფნა	—	—	200	3,1	—		—	—	200	3,1	3
6	სამ. სუბტ. კულ. . . .	—	—	—	—		—	20000	7.4	—	7.4	7
7	სახნავი	51	1	63	1	486	1	2700	1	812	1	1
8	სათიბი	18	0,3	28	0.4	400	0.82	700	0,25	287	0.4	0.5

2) მოსავლიანობის კოეფიციენტები - მათი დადგენა შესაძლო იქნებოდა ბოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა კულტურის მოსავლიანობას წინა-

[1] სავარგულების და კულტურების შემოსავლიანობისა და კაპიტალდაბანდების ნორმებს ითვალისწინებს აგრეთვე სას. სამ. ბანკი გრძელვადიანი საწარმოო კრედიტების ნორმების გამოყვანისა და კრედიტის დაფარვის წესის დადგენის დროს. ჩვენ ეს მასალაც გვაქვს მიღებული ხელთ.

სწარ გადავრი კხავდით შესადარებელ ერთეულებში. ამ მიზნით ყველა სავარგულის მოსავლიანობა გადავთვალეთ ფულად გამოხატულებაში. სახნავის 1 ჰექტარის მოსავლიანობის ღირებულების თანხა მიჩნეულ იქნა ერთეულად და თითოეული სავარგულისათვის მივიღეთ შემდეგი სურათი (იხ. ტაბულა № 2.).

მოსავლიანობის კოეფიციენტები ტაბულა № 2.

№ ნომრები	მაჩვენებლები / სავარგულები	მოსავალი 1 ჰექტ. ცენტნ.	1 ცენტნერ. ღირებ.	მთელი ღირებულ.	კოეფიციენტი	რომელი ადგილი უჭირავს
1	2	3	4	5	6	7
1	კარმიდამო		—	—	—	—
2	ბოსტანი	90	6,0	540,0	4.3	9
3	ბალჩა	100	4.0	400,0	3,2	12
4	ბაღი თესლოვანი	80	8,35	668.0	5,3	7
5	„ კურკოვანი	70	10,00	700.0	5,6	6
6	ვენახი	50	17,0	850.0	6 8	5
7	მანდარინი	400	0,02	8000.0	63,6	2
8	ლიმონი	300	0.05	15000,0	119,3	1
9	ფორთოხალი	350	0,03	7875,0	62,6	3
10	ჩაი	25	55,0	1375,0	10,9	4
11	ტუნგო	35	15	525,0	4,2	10
12	რამი	30	7,0	210,0	1.7	15
13	ბუშმელა	35	15.0	525,0	4,2	10
14	ფეიხოა	15	20.0	300,0	2,4	14
15	იაპონური ხურმა	40	15,0	600,0	4,8	8
16	დაფნა	8	60.0	480.0	3,8	11
17	დაკ. სუბტროპიკ. კულტ.	20	20,0	400,0	3,2	12
18	თუია	50	3,00	150.0	1,2	16
19	ევკალიპტი	60	2,5	150,0	1,2	16
20	თხილი	10	37.0	370.0	2.9	13
21	ხელოვნური ტყე	50	2,5	125,0	0,9	18
22	სახნავი	—	—	125,7	1	17
23	სათიბი	25	3.35	83,6	0,7	19
24	საბალახო	15	3,35	50,3	0,4	21
25	საძოვარი	20	3,35	67,0	0,5	20
26	ტყე	30	3.0	90,0	0,7	19
27	ბუჩქნარი	5	2,0	10,0	0,1	22

ამრიგად, მოსავლიანობის მიხედვით მიიღეს კოეფიციენტები და დაიკავეს ადგილი: პირველი — ლიმონმა, კოეფიციენტით 119,3, ე. ი. ლიმონი 119-ჯერ

მეტ შემოსავალს იძლევა სახნავთან შედარებით; მეორე — შანდარინმა, კოეფიციენტით 63,6; ხესამე — ფორთოხალმა, 62.6; ხეოთხე — ჩაიმ, 10,3; მეხუთე — ვენახმა, 6,8; მეექვსე — კურკოვანმა ხეხილმა, 5,6; მეშვიდე — თესლოვანმა ხეხილმა, 5,3; მერვე — იაპონურმა ხურმამ, 4,8; მეცხრე — ბოსტანმა, 4,3; მეათე — ჩაისმა, 4,2; მეთერთმეტე — დაფნამ, 3,8; მეთორმეტე — დანარჩენმა სუბტროპიკულმა მცენარეებმა, 3,2; მეცამეტე — თხილმა, 2,9; მეთოთხმეტე — ფეიხოამ, 2,4; ხეთხუთმეტე — რამიმ, 1,7; ხეთექვსმეტე — თუთამ და ევკალიპტმა, 1,2; მეჩვიდმეტე — სახნავმა, 1,0; მეთვრამეტე — ხელოვნურმა ტყემ, 0,9; მეცხრამეტე — სათიბმა და ტყემ (ბუნებრივმა), 0,7; მეოცე — საძოვარმა, 0,5; ოცდამეერთე — საბალახომ, 0,4 და ოცდამეორე — ბუჩქნარმა, 0,1.

3) კოეფიციენტები შრომის დანახარჯების მიხედვით[1] — პირდაპირ იქნა დადგენილი სხვადასხვა სავარგულის ერთ ჰექტარზე საჭირო კაცდღეების ურთიერთშეფარდებით (იხ. ტაბ. № 3 გვ. 135). აქაც შესადარებელ ერთეულად მივიღეთ სახნავი. კაკლღეებს ხარჯი სახნავზე გამოყვანილია საშუალო შეწონილი ოდენობის სახით. იგივე 1941 წლის ნათესი ფართობებისა და თითოეულ კულტურაზე საჭირო ოუშახელის ნაწარმოებთა ჯამი გაყოფილია ნათესების საერთო სიერცეზე. მიღებული რაოდენობა (51,4) შეცირებულია 10%-ით და კაკლღეთა ეს ციფრი (46,4) მიჩნეულია სახნავზე კაცდღეთა ხარჯვის ნორმად. ამასთან არის შედარებული ყველა სხვა სავარგულის მოთხოვნილება კაკლღეებზე და გამოყვანილია მათი კოეფიციენტები.

აწნაირად შრომატევადობის მიხედვით ასე განლაგდნენ სავარგულები სახნავთან შედარებით: პირველი ადგილი დაიჭირა ლიმონმა, როელსაც 7,6-ჯერ მეტი კაცდღე სჭირდება; მეორე — ფორთოხალმა, 7,4; მესამე გაიყვეს მანდარინმა და ბოსტანმა — 6,9; მეხუთე ვენახმა, 5,4; მეექვსე — ბალმა, 5,2; მეშვიდე — რამიმ, 3,5; მერვე — იაპონურმა ხურმამ, 3,2; მეცხრე — დაფნამ, 3,0; მეათე — დანარჩენმა სუბტროპიკულმა კულტურებმა, 2,8; მეთერთმეტე — მუშმულამ, 2,6; მეთორმეტე — თესლოვანმა ხეხილმა, 2,5; მეცამეტე — კურკოვანმა ხეხილმა, 2,4; მეთოთხმეტე — ტუნგომ, 2,2; მეთხუთმეტე — ფეიხოამ, 1,9; მეთექვსმეტე — თუთამ, 1,7; მეჩვიდმეტე — ევკალიპტმა, 1,5; მეთვრამეტე — თითონ შესადარებელ სავარგულს, სახნავს, უჭირავს კოეფიციენტით — 1; მეცხრამეტე — ტყემ, 0,5; ხეოცე — სათიბმა და ბუჩქნარმა, 0,2 და ოცდამეერთე გაინაწილეს საძოვარმა და საბალახომ — 0,1.

4) კოეფიციენტები კაცდღეთა ანაზღაურების მიხედვით — მიღებულია ერთ ჰექტარზე მოსავლიანობის ღირებულების გაყოფით ამ ჰექტარის დასამუშავებლად საჭირო კაცდღეებზე. შედეგები № 3 ტაბულაშია:

---

[1] ამ კოეფიციენტთა განხილვის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ შრომატევადი (ე. ი. ნაკლებ მექანიზებული) სავარგულები უფრო მაღალ კოეფიციენტებს მაიღებენ, ვიდრე კაპიტალტევადი (მაღალი მექანიზაციის სავარგულები); თუმცა შესაძლოა ამ უკანასკნელთ მეტი საჭურნეო და საწარმოო მნიშვნელობა ჰქონდეთ. კვლევის ამ სტადიაზე ეს მომენტიც ელიმინირებულია.

დახარჯულ კაცდღეთა ანაზღაურება საერთო პროდუქციის ღირებულებით 1 კაცდღეზე

ცხრილი № 3.

№ № რიგები	მაჩვენებლები / სავარგულები	საერთო პროდუქ. ღირებულ. 1 ჰექტ. (მან.)	კაცდღეთა საჭირო რაოდენ. 1 ჰექტ.	პროდუქ. ღირებ. 1 კაც-დღეზე (მან.)	კოეფი-ციენტი	რომელ ადგილზეა
1	2	3	4	5	6	7
1	კარტოფილი	—	—	—	—	—
2	ბოსტანი	549,0	320	1,6	0,6	19
3	ბალჩა	400,0	240	1.6	0.6	19
4	ბაღი — თესლოვანი	650,0	115	5,3	2,1	8
5	„ კურკოვანი	700,0	110	6.3	2,3	7
6	ვენახი	850,0	250	3.4	1,3	14
7	მანდარინი	2000,0	320	25,0	9.2	2
8	ლიმონი	15000,0	350	42,8	15,9	1
9	ფორთოხალი	7675,0	340	23,1	8.6	3
10	ჩაი	1375,0	300	4.6	1,7	10
11	ტუნგო	525.0	100	5,3	2.0	9
12	რამი	210,0	160	1.3	0,5	20
13	მუხმულა	525,0	120	4.3	1 6	11
14	ფეიხოა	300,0	90	3.3	1,2	14
15	იაპონური ხურმა	600,0	150	4.0	1,5	12
16	დაფნა	400,0	140	3.4	1,3	13
17	დან. სუბტრ. კულტ.	400,0	130	3,0	1,1	15
18	თუთა	1500	80	1,8	0,7	18
19	ევკალიპტი	150,0	70	2.1	0,8	17
20	თხილი	370,0	130	2,0	0 7	18
21	ხელოვნური ტყე	125,0	90	1.4	0.5	20
22	სახრავი	125,3	46.4	2,7	1	16
23	სათიბი	83.6	10	8,4	3,1	6
24	საძოვარი	67,0	5	13,4	5,0	4
25	საბალახო	50,3	5	10,0	3,7	5
26	ტყე	90,0	25	3,6	1.3	13
27	ბუჩქნარი	10,0	10	1	0,4	21

აქედან ჩანს, რომ სავარგულებმა ასეთნაირად გაინაწილეს ადგილები და მიიღეს კოეფიციენტები: პირველი — ლიმონი, კოეფიციენტით 15,9; მეორე — მანდარინი, 9,2; მესამე — ფორთოხალი, 8,6; მეოთხე — საძოვარი, 5,0; მეხუთე — საბალახო, 3,7; მეექვსე — სათიბი, 3,1; მეშვიდე — კურკოვანი ხეხილი, 2,3; მერვე — თესლოვანი ხეხილი, 2,1; მეცხრე — ტუნგო, 2,0; მეათე —

ჩაი, 1,7; მეთერთმეტე — მუშმულა, 1,6; მეთორმეტე — იაპონური ხურმა, 1,5; მეცამეტე — ღაფნა და ტყე, 1,3; მეთოთხმეტე — ფეიხოა, 1,2; მეთხუთმეტე — დანარჩენი სუბტროპიკული კულტურები, 1,1; მეთექვსმეტე — სახნავი, 1,0; მეჩვიდმეტე — ევკალიპტი, 0,8; მეთვრამეტე — თუთა და თხილი, 0,7; მეცხრამეტე — ბოსტანი და ბაღჩა, 0,6; მეოცე — რამი და ხელოვნური ტყე, 0,5; ოცდაერთე - ბუჩქნარი, 0,4.

5) სინთეზური და საბოლოო კოეფიციენტები[1]. სპეციალური კოეფიციენტები ახასიათებენ კულტურების ურთიერთმიმართებას რომელიმე ერთი მხრით და ერთ დარგში (შემოსავლიანობა, მოსავლიანობა, შრომატევადობა და შრომის ანაზღაურება). კულტურების სამეურნეო და საწარმოო მნიშვნელობა კი კომპლექსი მოვლენა არის და შეიცავს ყველა დასახელებულ და ზოგ სხვა მომენტსაც. ამიტომ სას.-სამ. სავარგულის და კულტურის ყოველმხრივი დახასიათება მაშინ იქნება მიღწეული, თუ ამ მხარეების ძირითადი მომენტები მაინც ერთობლივობაში იქნება განხილული და გამოყვანება კრებსითი მაჩვენებელი, ან საერთო კოეფიციენტი თითოეული სავარგულისათვის. ამ მიზნით აგებულია სპეცკოეფიციენტების შედარებითი შემდეგი ტაბულა (იხ. ტაბულა № 4, მე-137 გვერდზე).

აქ ყოველი კულტურის სამი სპეციალური კოეფიციენტის არითმეტიკული ჯამია გამოყვანილი (შემოსავლიანობის კოეფიციენტები 27 სავარგულიდან მხოლოდ 10-ზე გვაქვს, ანიტომ ისინი არითმეტიკულ ჯამში არ შეგვაქვს და საშუალო კოეფიციენტების გამოანგარიშებაში არ მონაწილეობენ). აქედან გამოყვანილია არითმეტიკული საშუალო და ის არის მიჩნეული საბოლოო კოეფიციენტად; ხოლო ამ უკანასკნელის ოდენობის მიხედვით გარკვეულია ადგილი, რომელიც უჭირავს ამა თუ იმ სავარგულს ყველა სავარგულთა სამეურნეო-საწარმოო მნიშვნელობის საერთო სკალაში. ამგვარად, დადგენილია, რომ: პირველ ადგილზეა - ლიმონი და მისი კრებსითი კოეფიციენტი უდრის 47,6; მეორეზე — მანდარინი, საბოლოო კოეფიციენტით 26,6; მესამეზე —ფორთოხალი, 26,2; მეოთხეზე – ჩაი, 6,3; მეხუთეზე — ვენახი, 4,5; მეექვსეზე - ბოსტანი, 3,9; მეშვიდეზე — კურკოვანი ხეხილი, 3,4; მერვეზე თესლოვანი ხე-

[1] ისე როგორც პროდუქციის ინდექსების აგების დროს: 1) შედგება პროდუქტების გარკვეული ნაკრები, რომელიც შერჩეულია მთელი პროდუქციისათვის რეპრეზენტატიულად, 2) გამოიანგარიშება ამ პროდუქტების ინდივიდუალური ინდექსები, 3) ამ ინდივიდუალური ინდექსების შეწონვის საშუალებით მიიღება საერთო საშუალო შეწონილი ინდექსი, აქაც სინთეზური და საბოლოო კოეფიციენტის გამოსაყვანად შერჩეულ იქნა სავარგულების და ნათესების სამეურნეო და საწარმოო მნიშვნელობის ყველაზე უფრო დამახასიათებელი მაჩვენებლები: შემოსავლიანობა, მოსავლიანობა, კაცდღეთა საჭირო რაოდენობა და ერთი კაცდღის ანაზღაურება; დადგენილ იქნა მათი სპეციალური კოეფიციენტები და ამათკან გამოგვყავს საშუალო, სინთეზური კოეფიციენტები ძირითადი საკითხი აქაც, რა თქმა უნდა, სპეცკოეფიციენტების გამოსაყვანი მაჩვენებლების შერჩევა იყო. ვფიქრობთ, რომ ამ ხერხით შერჩეულია უმნიშვნელოვანესი და საანალიზოდ შესაძლო მაჩვენებლები, რომელთა გაერთიანებისათვის თითოეული ქულების რაოდენობა შეჯამებულია ე წ. ბალური სისტემის მიხედვით. აქ დამატებით დასაშვებია კოეფიციენტები სხვადასხვა სავარგულზე ცოცხალი და განივთებული შრომის დაბანდებათა მიხედვით.

ხილი, 3,3; მეცხრეზე — იაპონური ხურმა, 3,1; მეათეზე — ბალჩა, 3,0; მეთერთმეტეზე — მუშმულა, 2,8; მეთორმეტეზე — დაფნა, 2,7; მეცამეტეზე — დანარჩენი სუბტროპიკული კულტურები, 2,3; მეთოთხმეტეზე — თხილი, 2,1; მეთხუთმეტეზე — რამი, 1,9; მეთექვსმეტეზე — ფეიხოა, 1,5; მეჩვიდმეტეზე — საბალახო, 1.4; მეთვრამეტეზე — სათიბი, 1,3; მეცხრამეტეზე — თუთა, 1,2; მეოცეზე — ევკალიპტი და ხელოვნური ტყე, 1,1; ოცდამეერთეზე — სახნავი, 1,0; ოცდაშეორეზე — ტყე, 0,8 და ოცდაშესამეზე — ბუჩქნარი, 0,2.

ცხრილი № 4

№№ რიგზე	მაჩვენებლები / სავარგულები	კოეფიციენტები						დალაგება რიგების
		ზემოსაელიახობით	მოსაელიანობით	კ/დღეთა რაოდენობით	1 კაცდღის ანაზღ.	არითმ. ჯამით	არითმ. საშუალ.	
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ქარმიდამო	—	—	—	—	—	—	—
2	ბოსტანი	6	4,3	6,9	0,6	11.8	3.9	6
3	ბალჩა	6	3.2	5,2	0,6	9,0	3.0	10
4	ბაღი — თესლოვანი	8	5,3	2.5	2,1	9,9	3,3	8
5	„ კურკოვანი	8	5.6	2,4	2,3	10.3	3.4	7
6	ვენახი	10	6,8	5.4	1.3	13,5	4,5	5
7	მანდარინი	15	63,6	6,9	9,2	79.7	26,6	2
8	ლიმონი	—	119.3	7,6	15 9	142.8	47,6	1
9	ფორთოხალი . . .	—	62 6	7 4	8,6	78,6	26 2	3
10	ჩაი	—	10,9	6.5	1.7	19,1	6.3	4
11	ტუნგო	—	4,2	2,2	2,0	8.4	2,8	11
12	რაჰი		1,7	3,5	0,5	5,7	1,9	15
13	მუშმულა	—	4.2	2,6	1,6	8,4	2.8	11
14	ფეიხოა	—	2,4	1,9	1,2	5.5	1.8	13
15	იაპონური ხურკა .	—	4.8	3,2	1,5	9.5	3.1	9
16	დაფნა	3	3 8	3,0	1.3	8,1	2.7	12
17	დან. სუბტრ. კულტ.	7	3.2	2,8	1,1	7,1	2,3	13
18	თუთა		1,2	1,7	0,7	3,6	1 2	19
19	ევკალიპტი . . .	—	1,2	1,5	0 8	3,5	1,1	20
20	თხილი		2.9	2,8	0,7	6,4	2,1	14
21	ხელოვნური ტყე .		0 9	1.9	0,5	3 3	1,1	20
22	სახნავი	1	1	1	1	3	1	21
23	სათიბი	0,5	0.7	0,2	3.1	4.0	1,3	18
24	საძოვარი . . .	—	0,5	0.1	5,0	5,6	1,8	16
25	საბალახო	—	0.4	0.1	3,7	4,2	1,4	17
26	ტყე		0.7	0,5	1,3	2,5	0.8	22
27	ბუჩქნარი	—	0,1	0,2	0,4	0,7	0,2	23

ამ საბოლოო კოეფიციენტებით ვსარგებლობთ სავარგულების დინამიკის ყოველწლიური სურათის თითო ციფრში გამოსახატავად და სინთეზური მრუდის ასაგებად.

6) **სინთეზური და საბოლოო ადგილი** — დადგენილია სპეციალური კოეფიციენტებით მოპოებული ადგილებიდან საშუალო არითმეტიკულის გამოყვანით. თუ სპეციალური და სინთეზური კოეფიციენტების მიხედვით პირველ ადგილს იკერდა ის სავარგული, რომელსაც მაქსიმალურად მაღალი კოეფიციენტი აღმოაჩნდებოდა, ხოლო შემდეგო ადგილებზე თანმიმდევრულად განლაგდებოდნენ კოეფიციენტები კლებადი ოდენობის მიხედვით, აქ, პირიქით, პირველ ადგილებზე ის სავარგულები მოხვდებიან, რომელსაც სპეც.კოეფიციენტების მიხედვით პირველი ადგილები ეკავათ და მათი ყველა ადგილების შეჯამებისას ქულათა მინიმალური რაოდენობა მიიღეს; ამავე დროს მათი ადგილების ოთხ სხვადასხვა კოეფიციენტთა საშუალოც უმცირესი ოდენობა აღმოჩნდა. შემდეგო ადგილებზე სავარგულები განლაგდებიან აღმავალი ნიშნის მიხედვით. ეს სურათი წარმოდგენილია შემდეგ ტაბულაში

სპეც.ადგილებიდან გამოყვანილი საშუალო ადგილები ტაბულა № 5.

№ № რიგ.	სავარგულები \ მაჩვენებლები	რომელი ადგილი უჭირავს					
		შემოსავლით	მოსავლით	ქ/დღეთა რაოდენობით	1 კაც-დღის ანაზღ.	ქულების ჯამით [1]	სინთეზური ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8
1	კარმიდამო	—	—	—	—	—	-
2	ბოსტანი	5	9	5	19	33	10
3	ბაღია	3	12	6	19	37	12
4	ბაღი — თესლოვანი	—	7	12	8	27	7
5	„ კურკოვანი	—	6	13	7	26	6
6	ვენახი	2	5	5	14	24	5
7	სანდრიანი	1	2	3	2	7	2
8	ლიმონი	—	1	1	1	3	1
9	ფორთოხალი	—	3	2	3	8	3
10	ჩაი	—	4	4	10	18	4
11	ტუნგო	—	10	14	9	33	10
12	რამი	—	15	7	20	42	14
13	მუშმულა	—	10	11	11	32	9
14	ფეიხოა	—	14	15	14	43	15
15	იაპონური ხურმა	—	8	8	12	28	8
16	დაფნ	6	11	9	14	34	11
17	დ ნ. სუბტროპ. კულტ	4	12	10	15	37	12
18	თუთა	—	16	16	18	50	18
19	ევკალიპტი	—	16	17	17	50	18
20	თხილი	—	13	10	17	40	13
21	ხელოვნური ტყე	—	17	15	20	52	20
22	სახნავი	7	18	18	16	52	20
23	სთიბი	8	2	20	3	46	16
24	საძოვარი	—	21	21	4	46	16
25	საბალახო	—	22	21	5	48	17
26	ტყე	—	19	19	13	51	19
27	ბეჩქნარი	—	20	20	21	64	21

[1] ჯამი და საშუალო მაჩვენებლები გამოყვანილია მხოლოდ სამი მაჩვენებლების მიხედვით (სვეტები 4, 5 და 6).

აქედან ჩანს, რომ თავისი სამეურნეო და საწარმოო მნიშვნელობით სავარგულთა საერთო სისტემაში თითოეულმა სავარგულმა დაიჭირა შემდეგი ადგილი: პირველი — ლიმონმა, მეორე — მანდარინმა, მესამე — ფორთოხალმა, მეოთხე — ჩაიმ, მეხუთე — ევნახმა, მეექვსე — კურკოვანმა ხეხილმა, მეშვიდე — თესლოვანმა ხეხილმა, მერვე — იაპონურმა ხურმამ, მეცხრე — ბუშმუშამ, მეათე — ტუნგომ და ბოსტახმა, მეთერთმეტე — დაფნამ, მეთორმეტე — დანარჩენმა სუბტროპიკულმა კულტურებმა და ბაღჩამ, მეცამეტე — თხილმა, მეთოთხმეტე — რამიმ, მეთხუთმეტე — ფეიხოამ, მეთექვსმეტე — სათიბმა და საძოვარმა[1], მეჩვიდმეტე — საბალახომ[1], მეთვრამეტე — თუთამ და ევკალიპტმა, მეცხრამეტე — ტყემ, მეოცე — ხელოვნურმა ტყემ და სახნავმა, ოცდამეერთე — ბუჩქნარმა.

ასეთია სავარგულების ინტენსივობისა და რენტაბელობის სკალა საქართველოს სინამდვილეში.

ამნაირად თუ ყველა ზემოაღნიშნულს გავითვალისწინებთ და თითოეულ სავარგულს მის ადგილს და კოეფიციენტს მივაკუთვნებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს:

1. ლიმონი	— ადგილი	— 1,	კოეფიციენტი	— 47,5
2. მანდარინი	„	— 2,	„	— 26,6
3. ფორთოხალი	— „	— 3,	„	— 26,2
4. ჩაი	— „	— 4,	„	— 6,3
5. ევნახი	— „	— 5,	„	— 4,5
6. კურკოვანი ხეხილი	— „	— 6,	„	— 3,4
7. თესლოვანი ხეხილი	— „	— 7,	„	— 3,3
8. იაპონური ხურმა	— „	— 8,	„	— 3,1
9. მუშმულა	— „	— 9,	„	— 2,8
10. ტუნგო	„	— 10,	„	— 2,8
11. ბოსტანი	„	— 10,	„	— 3,9
12. დაფნა	— „	— 11,	„	— 2,7
13. დანარჩ. სუბ. კულტ.	— „	— 12,	„	— 2,3
14. ბაღჩა	— „	— 12,	„	— 3,0
15. თხილი	— „	— 13,	„	— 2,1
16. რამი	— „	— 14,	„	— 1,9
17. ფეიხოა	— „	— 15,	„	— 1,8
18. სათიბი	— „	— 16,	„	— 1,3
19. საძოვარი	— „	— 16,	„	— 1,8
20. საბალახო	— „	— 17,	„	— 1,4
21. თუთა	— „	— 18,	„	— 1,2
22. ევკალიპტი	— „	— 18,	„	— 1,1
23. ტყე	„	— 19,	„	— 0,8
24. სახნავი	— „	— 20,	„	— 1,0
25. ხელოვნური ტყე	— „	— 20,	„	— 1,1
26. ბუჩქნარი	— „	— 21,	„	— 0,2

[1] ეს ადგილები და კოეფიციენტები იწვევენ ეჭვს და მომავალში უნდა დავაზუსტოთ.

ამ კოეფიციენტებით გამოდის, რომ საბეურნეო მნიშვნელობით სახნავზე მეტია: ლიმონი — 47,6-ჯერ, მანდარინი — 26,6-ჯერ, ფორთოხალი — 26,2-ჯერ, ჩაი — 6,3-ჯერ; ვენახი — 4,5-ჯერ, ბოსტანი — 3,9-ჯერ, კურკოვანი ხეხილი — 3,4-ჯერ, თესლოვანი ხეხილი — 3,3-ჯერ, იაპონური ხურმა — 3,1-ჯერ, ბალჩა — 3-ჯერ, ნუშნუკა — 2.8-ჯერ, დაფნა — 2,7-ჯერ, დანარჩენი სუბტროპიკული კულტურები — 2,3-ჯერ, თხილი — 2,1-ჯერ, რაჭი — 1,9-ჯერ, ფეიხოა — 1,8-ჯერ, საბალახო — 1,4-ჯერ. საძოვარი — 1,8-ჯერ, სათიბი — 1,3-ჯერ, თუთა — 1,2-ჯერ, ევკალიპტი — 1,1-ჯერ და ნაკლებია სახნავზე: ტყე — 0,8 და ბუჩქნარი — 0,2.

ანალოგიურად, თითოეული სავარგულის ერთი ჰექტარი სამეურნეო და საწარმოო მხრივ იმდენ ჰექტარ სახნავს უდრის. რამდენსაც გამოსახავს მათი კოეფიციენტის ციფრა[1].

IV. კოეფიციენტების მიყენება სავარგულების გაერთმნიშვნელოვანებისა და დინამიკის ასახახავად საქართველოში

საქართველოს მიწის ფონდების — სავარგულთა და ნათესი ფართობების განხილვა წარსულში, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდის 25 წლის განმავლობაში, პროგრესული ევოლუციის უჩვეულო სურათს გადაგვიშლის. ამ ფართობების ზრდის დინამიკა უმაგალითოა საერთოდ კაცობრიობის ისტორიაში. მაგრამ ამ უდიდესი სამეურნეო ევოლუციის ისტორიული სურათი მთელი ფრანდიოზულობით წარმოგვიდგება მაშინ, თუ დადგენილ კოეფიციენტებს გამოვიყენებთ საქართველოს კონკრეტულ მაგალითზე.

ამ შემთხვევაში ანალიზს დაქვემდებარებულია მხოლოდ სავარგულების ფართობების ტრანსფორმაცია და დინამიკა. შინაარსით მდიდარი სამეურნეო ცხოვრების სხვა მოვლენები განხილულ პერიოდში, კვლევის ამ სტადიაზე, არ შეისწავლება. ისე, რომ მცენარეული პროდუქცია, მისი წარმოების ტექნიკა, მათი მოსავლიანობა და ფასები, რომლებიც აგრეთვე ცვლას განიცდიან, ამ შემთხვევაში დაკვირვების ობიექტად მიჩნეული არ ყოფილან. ისინი ელიმინირებულია იმით, რომ კოეფიციენტთა გამოსაყვანად აღებული იყო საშუალო რესპუბლიკური მოსავლიანობა და 1926/27 წლის უცვლელი ფასები. ამის შედეგად მიღებულ იქნა კოეფიციენტთა ერთი სისტემა, რომლის ცვლა სინამდვილეში, იმავე გარემოებათა გამო, აგრეთვე უგულებელ იქნა. კოეფიციენტების ეს სისტემა მიყენებულია საქართველოს სავარგულებისა და ნათესების იმ მდგომარეობებისა და შეთანაბრებათადმი, რომელნიც არსებობდნენ და იარსებებენ მთელ საქართველოში: 1920, 1928, 1932, 1937, 1940, 1945, 1950 და 1970 წლებში.

თითოეული ამ წლის ყველა სავარგულის ფართობი გადამრავლებულია სათანადო (ერთსა და იმავე) კოეფიციენტზე. მიღებულია ტაბულა, რომელშიც თითოეული წლის მიმართ ყველა სავარგულზე ჩამოშწკრივდა ციფრების ორი

[1] სრულიად ანალოგიური წესით გვაქვს დამუშავებული მინდვრის კულტურების კოეფიციენტები: იხ. სქემა გვ. 149—150.

წყება. აქედან პირველი გვიჩვენებს მათ ფიზიკურ ფართობებს ისე, როგორც ისინი იცვლებოდნენ ამ წლების განძილზე; ხოლო მეორე კი ასახავს იმავე სავარგულთა გაერთმნიშვნელოვანებულ სამეურნეო-საწარმოო წონას გაღარიცხულ ოდენობაში. არსებითად შეიძლება მარტო ამ უკანასკნელი ოდენობების შეჯამება. ყოველივე წლისათვის მიღებულ ჯამში ყველა სავარგულის მარტო ფიზიკური ფართობი კი არ ზის, არამედ ის ოდენობაც, რომელიც სათანადო კოეფიციენტის საშუალებით გამოხატავს მის სამეურნეო და საწარმოო მნიშვნელობას. ასეთი ციფრების ყოველწლიურ კრებსით ოდენობათა საფუძველზე აგებული მრუდე სინთეზური მაჩვენებელია იმ დინამიკური ძვრებისა, რომელსაც განიცადეს საქართველოში სავარგულებმა მთელი განხილული პერიოდის განძილზე. ამ დინამიკური ძვრების დიაპაზონი, ტემპი და საერთო მოცულობა კოლოსალურია ცალკეულ სავარგულთა და მათი ჯამის მიმართ შემდეგი სურათი გვაქვს:[1] (იხ. ტაბულა № 6 142, 143 და 144 გვერდზე, სავარგულების სქემა № 1, გვ. 149 და ნათესების სქემა № 2, გვ. 150).

აქედან ჩანს, რომ თუ დასამუშავებელი მიწების ფიზიკური ფართობი საბჭოთა მშენებლობის 25 წლის განძილზე 73,8 % გაიზარდა, მათი გადაყვანილი ფართობი, ე. ი. სამეურნეო-მწარმოებლური მნიშვნელობა გადიდდა 188,6 %, ანუ თითქმის ერთი სამად. მომდევნო პერიოდში ეს ზრდა მიაღწევს — ახალ ხუთწლედში 92,1 % და 304,0 %, ხოლო ჩვენი გენერალური ვარაუდით კი 300 % და 498 %, ე. ი. 3—5-ჯერ. განვითარების ასეთ მაღალ ტემპს ქმნიან ძვირფასი მრავალწლიანი, ბაღ-ბოსტან-ვენახოვანი და სუბტროპიკულ-ტექნიკური კულტურები. საანალიზო პერიოდში ფრიად შეიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები მოხდა და მოხდება; სახელდობრ, სამიწათმოქმედო ფართობთა ჯამში ეჭირათ და დაიჭერენ ხვედრ წილს პროცენტებით (იხ. ტაბულა № 7, 145 გვერდზე).

ამრიგად, ყველაზე უფრო მეტად შეცირდება მთელ დამუშავებულ მიწებში სახნავის ხვედრი წონა; ამავე დროს, თუ ფიზიკური ფართობის მიმართ ეს შემცირება უდრის (პროცენტობით): 1945 წ. — 11,4, 1950 წ. — 12,6 და 1970 წ. — 7,3; ბევრად უფრო მეტია გადაყვანილი ფართობის შემცირება; სახელდობრ, სურათი ასეთია (პროცენტობით): 1945 წ. — 34,5, 1950 წ. — 36,7 და 1970 წ. — 32,4; ე. ი. სახნავის ფიზიკური ფართობის თრჯერ გადიდებისას. მისი სამეურნეო და საწარმოო მნიშვნელობა თითქმის განახევრდა უფრო ინტენსიური კულტურების ძლიერ მაღალი ტემპით განვითარების ფონზე. განსაკუთრებით მძლავრად შეიჭრნენ სამიწათმოქმედო ფართობთა სტრუქტურაში როგორც ფიზიკური ფართობით, ისე ბევრად უფრო ნეტად გადაყვანილ ფართობების ჯამით, სუბტროპიკული კულტურები (ნამეტნავად ჩაი და ციტრუსები) და ბაღ-ბოსტან-ვენახები. ამ გარემოებამ გამოიწვია პროპორციებისა და შეთანაბრებათა შესაფერი გადანაცვლებები.

---

[1] ყველა სავარგულის და ნათესის ციფრები დამუშავებულია. აქ მოგვყავს ცნობები მხოლოდ ძირითად სავარგულებზე.

საქართველოს სსრ სავარგული მიწების ფიზიკური და გადაყვანილი ფართობის დინამიკა (ათას ჰექტარობით)

ცხრილი № 8.

№№ რიგებ.	წლები და მაჩვენებლები / სავარგულები	გადაანგარიშების კოეფიციენტები	1920[1]				1928[2]				1932[3]			
			ფიზიკური ფართობი		გადაყვანილი ფართობი		ფიზიკური ფართობი		გადაყვანილი ფართობი		ფიზიკური ფართობი		გადაყვანილი ფართობი	
			აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1	ბაღი, ბოსტანი და ბაღჩა . . აბს.	3.5	16 4	2,0	57 4	5,7	25,5	1.9	87,3	5.6	35,4	2.5	123,9	6.6
	%%	—	100,0	—	100 0	—	155	—	155 5	—	215,9	—	215,9	—
2	ვენახი . . . . . აბს.	4,5	31.7	3,9	142.7	14,2	37.8	2.8	170,(	10.7	45,2	3.2	203,4	10,8
	%%	—	100,0	—	100,0	—	119,2	—	119,2	—	142.6	—	142,6	—
3	მანდარ., ფორთ. და გრეიპფრუტი—აბს.	26.5	0 42	0,01	11,1	1 1	0,93	0.1	24.6	1,6	2,14	0.2	56.7	3.0
	%%	—	100,0	—	100,0	—	221,3	—	221,3	—	509.3	—	509,3	—
4	ლიმონი . . . . . აბს.	47,6	0,01	—	0.5	0,05	0.01	—	0.5	0,03	0 05	—	2.4	0,1
	%%	—	100,0	—	100,0	—	100,0	—	100.0	—	500,0	—	500,0	—
5	ჩაი . . . . . აბს.	6,3	0.9	0,1	5.7	0.6	3.5	0,3	22,1	1,4	25.6	1,8	161,3	8 6
	%%	—	100,0	—	100,0	—	385,0	—	385.0	—	2816,0	—	2816.0	—
6	ტუნგო . . . . . აბს.	2,8	—	—	—	—	0 8	0.1	2.2	0,1	2 0	0,1	5 6	0,3
	%%	—	—	—	—	—	100,0	—	100.0	—	250,0	—	250.0	—
7	დანარჩენი სუბტროპ. ნარგაობები—აბს.	2,5	0.3	—	0,8	—	1.89	0,1	4 7	0,3	1.89	0,1	4,7	0,2
	%%	—	100 0	—	100,0	—	630,0	—	630.0	—	630,0	—	630.0	—
8	სხვა მრავალწლიანი ნარგაობები . აბს.	2 0	—	—	—	—	6,1	0,5	12 2	0,8	6,1	0.4	12.2	0,6
	%%	—	—	—	—	—	100.0	—	100,0	—	100.0	—	100,0	—
9	ხელოვნური ტყე . . . . . აბს.	1,1	54,6	6 5	60.1	5 9	64,8	4,9	71,3	4,5	43.9	3,0	47 3	2,5
	%%	—	100 0	—	100,0	—	118,7	—	118,7	—	78,8	—	78,8	—
10	სახნავი . . . . . აბს.	1,0	728.7	87,5	728.7	72,4	1185,8	89,3	1165 8	74.9	1263,4	88.7	1263,4	67.2
	%%	—	100,0	—	100.0	—	162,7	—	172,7	—	173.3	—	173.3	—
	სულ დამუშავებული — აბს.	—	833,3	100 0	1007,0	100,0	1327,3	100,0	1562,7	100.0	1424,7	100,0	1880.9	100,0
	%%	—	100,0	—	100.0	—	159,2	—	157,2	—	170.9	—	186,6	—

№ რიგებ.	წლები და მაჩვენებლები / საქარგლები		1937 წ.				1940 წ.				1945 წ.			
			ფიზიკური ფართობი		გადაყვანილი ფართობი		ფიზიკური ფართობი		გადაყვანილი ფართობი		ფიზიკური ფართობი		გადაყვანილი ფართობი	
			აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
—	—		16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27
1	ბაღი, ბოსტანი და ბაღჩა . . .	აბს.	60,9	6,0	263,2	13,3	178.0	9,8	463 0	15,6	138,6	9,5	485 1	16,7
		%	493,3	—	493,3	—	841,5	—	841,5	—	845,1	—	845,1	—
2	ვენახი	აბს.	49,0	3,5	220 5	10,4	65 4	4,6	294,3	9,5	62,9	4 3	283 1	9,7
		%	154.6	—	154,6	—	206 3	—	206,3	—	198,4	—	198.4	—
3	მანდარ., ფორთ. და გრეიპფრუტი —	აბს	5.7	0,4	151,5	7,1	16,7	1,2	442 6	14,3	12,9	0,9	341.9	11,8
		%	1356.6	—	1356.6	—	3974,1	—	3974,1	—	3070.2	—	3 7.,2	—
4	ლიმონი	აბს.	0,7	0,1	3,3	0,2	8 0	0,6	38 .8	12 3	5.2	0,4	247,5	8,5
		%	7000	—	7000	—	8000	—	8000	—	5200	—	52000	—
5	ჩაი	აბს.	41,7	3,1	262.7	12,4	49.6	3.5	312 5	10,0	51,5	3 5	324.4	11 2
		%	458,7	—	458.7	—	545.6	—	545 6	—	566,5	—	563,5	—
6	ტუნგო	აბს.	5.7	0,4	16,0	0 8	24.6	1,7	68.9	2,2	12 4	0,9	34.7	1,2
		%	712.0	—	712,0	—	3075	—	3075	—	1850,0	—	1550	—
7	დანარჩენი სუბტროპ. ნარგაობები —	აბს	6,71	0,5	16.8	0.8	7 76	0,6	19,4	0.6	13.0	0,9	2.5	1,1
		%	2236	—	2246.0	—	2586,0	—	2586.0	—	4333,0	—	4333,0	—
8	სხვა მრავალწლიანი ნარგაობები .	აბს.	0,1	0,01	0.2	0,01	2,5	0,2	5,0	0.2	—	—	—	—
		%	16.3	—	16.3	—	40.9	—	40,9	—	—	—	—	—
9	ხელოვნური ტყე	აბს.	52,1	3,8	57,4	2.7	45,9	3,3	50,5	1.6	50,0	3.5	55,0	1,9
		%	95 4	—	95,4	—	84,1	—	84,1	—	92,5	—	92,5	—
10	სახნავი	აბს.	1112.2	78,49	1112,2	52,4	946.3	74,5	1048.3	33,7	1102,1	76 1	1102,1	37.9
		%	152,6	—	152,6	—	143,8	—	143,8	—	151,2	—	151 2	—
11	სულ დამუშავებული	აბს	1354 6	100	2123.8	100	1406,8	100	3105.3	100	1448.6	100	29 6 3	100
		%	162,5	—	210,9	—	198,8	—	308,4	—	173,3	—	268,6	—

№ ცხრ.	წლები და მაჩვენებლები / სავარგულები	1950[1] ფიზიკური წარმოება აბს.	1950[1] ფიზიკური წარმოება %	1950[1] ვალუტური წარმოება აბს.	1950[1] ვალუტური წარმოება %	1970[2] ფიზიკური წარმოება აბს.	1970[2] ფიზიკური წარმოება %	1970[2] ვალუტური წარმოება აბს.	1970[2] ვალუტური წარმოება %
		28	29	30	31	32	33	34	35
1	ბელი, ბოსტნები და ბაღები . . . აბს.	151,3	9,1	529,6	15,7	200,0	8,2	700,0	14,3
	%	922,5	—	922,5	—	12 0,0	—	1250,0	—
2	ვენახი . . . . . აბს.	70,0	4,4	315,0	9,4	100,0	4,0	450,0	9,2
	%	217,5	—	217,5	—	312,5	—	312,5	—
3	ციტრუსები, ფოთოხ. და ჩაი. — აბს.	20,9	1,3	553,8	16,4	26,8	1,2	710,2	14,6
	%	1976,2	—	1976,2	—	6380	—	6380	—
4	ლიმონი . . . . . აბს.	8,1	0,3	238,0	7,2	8,2	0,3	390,3	7,9
	%	8000	—	8000	—	8200	—	8200	—
5	ჩაი . . . . . აბს.	57,5	3,6	362,3	10,8	70,0	2,8	441,0	9,0
	%	638,8	—	638,8	—	777,7	—	777,7	—
6	ტუნგო . . . . . აბს.	16,7	1,4	46,8	1,3	25,0	1,6	70,0	1,4
	%	2100	—	2100	—	3125	—	3125	—
7	დანარჩენი სუბტროპ. ნარგავები — აბს.	20,0	1,2	50,0	1,4	35,0	1,4	87,5	1,7
	%	6666,0	—	6666,0	—	11666	—	11666	—
8	ხეხილოვანი ნარგავები . აბს.	5,0	0,3	10,0	0,3	15,0	0,6	30,0	0,6
	%	31,9	—	31,9	—	245,6	—	245,6	—
9	ხელოვნური ტყე . . . . . აბს.	55,0	3,5	60,5	1,8	60,0	2,4	65,0	1,3
	%	100,0	—	100,7	—	109,9	—	109,9	—
10	სახნავი . . . . . აბს.	1200,0	74,9	1200,0	35,7	1950,0	78,3	1950,0[6]	39,9
	%	164,0	—	164,0	—	267,4	—	267,4	—
11	სულ დანიშნულებით . აბს.	1.601,4	100	3316,0	100	2430,0	100	4895,0	100
	%	152,1	—	404,2	—	303,0	—	498,4	—

[1] Статистич. сборник 1909—1921 г.г. ЦСУГССР, Тифлис, 1923 г., стр 14.

[2] ЗСФСР в цифрах, ЦСУ ЗСФСР, Тифлис, 1929 г., стр. 148.

[3] 1932, 1937, 1940 და 1945 წ წ. აღებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით ერთდროული აღრიცხვა მიწებისა, სავარგულებისა და მიწათ-მოსარგებლეთა მიხედვით შესაბამის წლებში.

[4] 1950 წ. — თანახმად კანონისა მეოთხე ხუთწლედის შესახებ.

[5] 1970 წ. — ჩვენი ვარაუდით.

[6] აქედან 500.000 ჰექტ. უნდა დაითმოს ხელოვნურ სათიბ-საძოვარ-საბალახოებს მინდორ-საცავ ტყის ნარგავთა ზოლებს, შიდასახეურნეო გზებსა და სამელიორაციო ნაგებობათა ქსელს.

ისეთივე ხასიათის ტენდენციების დანახვა შეიძლება ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიწათსარგებლობის განხილვის დროს ჩვენ მიერ ჩაძოყალიბებული მეთოდით.

ცხრილი № 7.

№ № რიგ.	სავარგულები / წლები		1920	1945	1959	1970
1	2		3	4	5	6
1	ბაღი, ბოსტანი და ბაღჩა	ფიზიკური ფართობი	2,0	9,6	9,1	8,3
		გადაყვან. ფართობი	5,7	15,7	15,7	14,3
2	ვენახი	ფიზიკური ფართობი	3,9	4,3	4,4	4,0
		გადაყვან. ფართობი	14,2	9,7	9,4	9,2
3	მანდარ., ფორთოხ., გრეიპ.	ფიზიკური ფართობი	0,01	3,6	3,6	2,8
		გადაყვან. ფართობი	0,60	11,2	10,8	9,0
4	ლიმონი	ფიზიკური ფართობი	—	0,4	0,3	0,3
		გადაყვან. ფართობი	0,65	8,5	7,2	7,9
5	ჩაი	ფიზიკური ფართობი	0,1	3,6	3,6	2,8
		გადაყვან. ფართობი	0,6	11,2	10,8	9,0
6	ტუნგო	ფიზიკური ფართობი	-	0,9	1,4	1,6
		გადაყვან. ფართობი		1,2	1,3	1,4
7	დანარჩ. სუბტრ. კულტურ.	ფიზიკური ფართობი		2,9	1,2	1,4
		გადაყვან. ფართობი	—	1,1	1,4	1,7
8	სხვა მრავალწლ. ნარგავები	ფიზიკური ფართობი	—	—	0,3	0,6
		გადაყვან. ფართობი	—	—	0,3	0,6
9	ხელოვნური ტყე	ფიზიკური ფართობი	6,5	3,5	3,5	2,4
		გადაყვან. ფართობი	5,9	1,9	1,8	1,3
10	სახნავი	ფიზიკური ფართობი	67,4	73,2	72,6	76,7
		გადაყვან. ფართობი	72,3	39,6	47,3	45,6
	სულ დამუშავებული მიწა	ფიზიკური ფართობი	100	100	100	100
		გადაყვან. ფართობი	100	100	100	100

V. სავარგულთა კოეფიციენტების გამოყენება ერთი კოლმეურნეობის მაგალითზე

ცალკე სას.-სამ. საწარმოს ფარგლებშიც შეიძლება იმავე კოეფიციენტების გამოყენება სხვადასხვა სავარგულის ფართობების გაერთმნიშვნელოვანებისა და ერთ რიცხვში ჯამობრივად გამოხატვისათვის. ამ დებულების დასასურათხატებლად გამოყენებულია მონაცემები აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათსარგებლობის შესახებ. აქ არსებული სავარგულების შესაფერ კოეფიციენტებზე გადამრავლების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი სურათი (იხ. 146 გვერდი, ცხრილი № 8). ე. ი. ამ კოლმეურნეობის ფიზიკური მიწათსარგებლობა უდრის სამეურნეო და საწარმოო მნიშვნელობით, ორჯერზე უფრო მეტ ფართობს.

ცხრილი № 8.

№№ რიგებში	მაჩვენებლები / სავარგულები	კოეფიციენტები	ფართობი ჰექტარობით	
			ფიზიკური	გადაყვანილი
1	2	3	4	5
1	კარმიდამო	—	—	—
2	სახნავი	1.0	602,0	602,0
3	ბოსტანი	3 5	40,0	140,0
4	ბაღი	3,4	59,8	203,0
5	ვენახი	4,5	126,0	567,0
6	ჩაის პლანტაცია	6,3	142,0	895,0
7	ციტრუსების პლანტაცია	30 0	42,0	1260,0
8	ტუნგო	2,8	185,0	518,0
9	სულ დამუშავებული ფართობი	1.3	1196,8	4186,0
10	სათიბი	1.3	70,0	91,0
11	საძოვარი და საბალახო	1,6	400,0	640,0
12	ტყე	0.8	308,8	247,0
13	ბუჩქნარი	0,2	275,0	55,0
14	სულ ბუნებრ. სამ. სავარგულები	—	1053,8	1033,0
15	სულ ერგისი მიწა	—	2250.6	5219,0
16	უვარგისი მიწა[1]	—	615,0	615,0
	მთელი მიწა	—	2.865,6	5.834,0

ამავე მონაცემთა გამოხატვა შეიძლება სხვა წესითაც, სახელდობრ, შემდეგით — მოხსენებული კოლმეურნეობის მიწათსარგებლობა უდრის (ჰექტარობით): სახნავი (602×1,0) 602,0 + ბოსტანი (40,0×3,5) 140 + ბაღი (59,8×3,4) 203,0 + ვენახი (126,0×4,5) 567,0 + ჩაის პლანტაცია (142,0×6,3) 895,0 + + ციტრუსების პლანტაცია (12,0×30) 1260,0 + ტუნგო (185,0×2,8) 518, ე. ი. სულ ჯამი დამუშავებული მიწებისა უდრის ფიზიკური ფართობით 1.196,8 და გადაყვანილ ფართობით კი, 4.186 + საძოვარი და საბალახო (400,0×1,6) 640 + სათიბი (70,0×1,3) 91,0 + ტყე (308,8×0,8) 247,0 + ბუჩ-

[1] გადატანილია გადაყვანილ ფართობის ჯამში უცვლელად, რომ გაკლება არ მოახდინოს შედარებით ოდენობაზე.

ქნარი (275,0 × 0,2) — 55,0; ე. ი. სულ ბუნებრივ-სამეურნეო სავარგულები უდრის ფიზიკური ფართობით 1.053,8 და გადაყვანილი ფართობით 1.033,0; ანუ სულ ვარგისი მიწა უდრის ფიზიკური ფართობით 2.250,6 და გადაყვანილი ფართობით კი — 5.219 0. ამას გარდა კოლმეურნეობას აქვს სარგებლობაში უვარგისად მიჩნეული ფართობიც — 615,0 ჰექტარი; რათა ამან შეთანაბრებაზე არ მოახდინოს გავლენა, იგივე ციფრი გადაგვაქვს გადაყვანილ ფართობშიც და მაშინ ბოლო მიწათსარგებლობა უდრის ფიზიკური ფართობით 2.865,6 და გადაყვანილი ფართობით კი — 5.834,0 ჰექტარს; ანუ მისი სამეურნეო და საწარმოო მნიშვნელობა ფიზიკურ ფართობთან შედარებით ორჯერზე უფრო მეტია.

ეს უკანასკნელი ციფრი, უფრო უკეთესად ასახავს კოლმეურნეობის მიწების საწარმოო შესაძლებლობას, ვიდრე ფიზიკური ფართობი. ხშირ შემთხვევაში შესაძლოა, რომ ამდენივე ფიზიკური ფართობის მქონე კოლმეურნეობის ტერიტორიული საწარმოო ფაქტიური შესაძლებლობა რამდენჯერმე მეტი, ან ნაკლები იყოს მოყვანილი კოლმეურნეობის ფაქტიურ ტერიტორიულ შესაძლებლობასთან შედარებით. ამ გაუგებრობის გამორიცხვა მოკლედ და ამომწურავად, სულ ორიოდე ციფრით, შეიძლება მხოლოდ დადგენილი კოეფიციენტების გამოყენების საშუალებით.

სხვადასხვა სავარგულისა და ნათესი ფართობის შედარებისას აგრეთვე უნდა იქნეს ხმარებული ერთ-ერთი იმ მომენტთაგანი, რომელიც ამ ნაშრომში იქნა გამოყენებული კოეფიციენტების დასადგენად. მაგალითად, სულ სხვადასხვა რამ არის ჰექტარი მიწა ბელგიაში (სადაც პურეულის მოსავლიანობა საშუალოდ 28,1 ცენტნერია) და ჰოლანდიაში (30,7 ცენტნ.), ერთი მხრით, და, ოსმალეთში (0,4), ან რუმინეთში (12,3) მეორე მხრით. ასევე სხვადასხვაა ვაზის ფართობის მნიშვნელობა, ვთქვათ, ყირიმში (35,0 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე) და აზერბაიჯანში (65,0 ცენტნერი); საქართველოსა (30 ცენტნერი) და სომხეთში (60 ცენტნერი). ამიტომ როგორც საერთაშორისო შედარებათათვის, ისე შიდასაკავშირო, შიდარესპუბლიკური, საარაიონთაშორისო და ცალკეულ სას.-სამ. საწარმოთა შორის საჭირო შედარებების დროს, შეიძლება გამოვიყენოთ წარმოებული ციფრები და ცნობები, სავარგულიმიწების და მთელ მიწათსარგებლობის შედარებათათვის, ჰექტაროცენტნერი, ჰექტაროკაცდღე, ჰექტარომანეთი და სხვა[1].

ცხადია, თუ ერთ მეურნეობაში 10 ჰექტარი ვაზი აქვთ 40 ცენტნერი მოსავლიანობით, ხოლო მეორეში — 8 ჰექტარი 60 ცენტნერი მოსავლიანობით, მაშინ პირველი მეურნეობა თავის 400 ჰექტაროცენტნერით, მევენახეობის უფრო ნაკლები წარმოებისა არის, ვიდრე მეორე, რომლის ჰექტაროცენტნერები უდრის 480. აქ ეს ოდენობები გამოყენებულია როგორც საზომი მევენახეობის წარმოების მოცულობისა ამ ორ მეურნეობაში. ასევე ერთ

---

[1] ისე როგორც აგროქიმიკოსებმა გამოიყენეს მინერალური და სხვა სასუქების ეფექტიანობის შესწავლის დროს ცნებები — მოსავლი ნორმა ითმატება ჰექტარო-ცენტნერი, ან არა და ამა და ამ სასუქის ნორმა უდრის ჰექტარ-ცენტნერს და სხვა.

მეურნეობაში, სადაც სიმინდი 100 ჰექტარზეა, თუ ერთი ჰექტარის დამუშავებაზე იხარჯება წელიწადში 60 კაცდღე, ხოლო მეორეში, სადაც სიმინდი 80 ჰექტარზეა დათესილი, ერთი ჰექტარის დამუშავებას უნდა 80 კაცდღე. მაშინ სიმინდის ნაკლებ ნათესების მქონე ამ მეორე მეურნეობას მასზე კაცდღეების ხარჯი მეტი ექნება, სახელდობრ, 640 ჰექტარ-კაცდღე, ნაცვლად 600 ჰექტარ-კაცდღის მოთხოვნილებისა, მეტი ფართობის სიმინდის ნათესის მქონე პირველ მეურნეობაში.

მხოლოდ ასეთი კოეფიციენტების გამოყენება მოგვცემს უფრო მეტ უპირატესობას სათანადო შედარებათათვის. ამჟამად კი მსგავსი შედარებები უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ფიზიკური ერთეულებით ხდება ყოველგვარი კოეფიციენტის გარეშე, ცალკე სას.-სამ. საწარმოთა, რაიონებსა. რესპუბლიკებს და სსრკ-ისა და უცხო ქვეყნებს შორის. მართლაც და, როგორ შეიძლება ერთი ჰექტარი სიმინდი, ვთქვათ, სტალინური პრემიის ლაურეატ კოლმეურნე ჩოქოლა ქვაჭახიას ნაკვეთზე (აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფ. ოქუმი — ლენინის სახ. სას.-სამ. არტელი), თუნდაც ამავე კოლმეურნეობის რომელიმე სხვა ბრიგადის, ან რგოლის წევრის ნაკვეთს მექანიკურად მიემატოს და სიმინდის მარტო საერთო ფართობზე იყოს მსჯელობა? ჩოქოლა ქვაჭახიას მისი ფართობიდან ერთ ჰექტარზე სისტემატურად მოჰყავს თითქმის ათასამდე ფუთი მოსავალი; საშუალო საკოლმეურნეო კი ას ფუთამდეა. ჩაის კულტურის სახელმოხვეჭილ სტახანოველს სტალინური პრემიის ლაურეატს ქიონია სარსანიას (ხუგდიდის რაიონი სოფ. ინგირი) მიმაგრებულ ნაკვეთზე ერთ ჰექტარზე გადათვლით 12.000—20.000 კგრ. მოსავალი მოჰყავს წლიდან-წლამდე; ამავე დროს კარგ მოსავლად ითვლება საშუალოდ 3.500 კილოგრამი.

მსგავსი მაგალითები აუარებელია ჩვენი მხარდი საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო წარმოების სხვადასხვა უბანზე. ამიტომ საჭიროა, წარმოების მრავზლი საკითხის შესწავლის დროს, ფიზიკური ერთეულებისა და რაოდენობითი მაჩვენებლების ნატურალურ გამოხატულებათა გამოყენებისას, ვისარგებლოთ აგრეთვე სათანადო კოეფიციენტების ამა თუ იმ სისტემით და მით სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე უფრო ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ.

ვიმედოვნებთ, რომ აქ წამოყენებული იდეა ახალ სას.-სამ. კოეფიციენტების ძიების შესახებ და თვით სავარგულების თუ ნათესების მიმართ დამუშაებული კოეფიციენტების სისტემა სათანადო როლს შეასრულებს ამ ამოცანის თანდათანობით გადაჭრის საქმეში.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1948. VII. 18).

სასოფლო-სატრანეო სავარგულთა დინამიკა საქართველოს სსრ-ში

ფიზიკური და გადაყვანილი ფართობები — ათას ჰექტარობით

Динамика сельскохозяйственных угодий в Грузинской ССР

в физических и переведенных площадях в тыс. га



გადაყვანის კოეფიციენტები — Переводные коэфициенты

1. სახნავი — Пашня 1.0
2. ბუნებრივი ტყე — Естественный лес . 1,1
3. დანარჩენი მრავალწლიანები — Прочие многолетние 2,0
4. დანარჩენი სუბტროპიკული კულტურები — Прочие субтропические культуры . . 2,5
5. ტუნგო — Тунг 2.8
6. ბაღი, ბოსტანი, ბაღჩა — Сады, огороды и бахчи 3 5
7. ვენახი — Виноградники 4,5
8. ჩაი — Чай 6.3
9. მანდარინი, ფორთობალი, გრეიფრუტი Мандарины, апельсины, грейпфруты 26.5
10. ლიმონი — Лимоны 47.6

ფიზიკური ფართობი
физич. площадь

გადაყვანილი ფართობი
переведен. площадь

ნათესი ფართობების დინამიკა საქართველოს სსრ-ში (ათას ჰექტ.)

Динамика посевных площадей в Груз. ССР (в тыс. га)



Н. С. Яшвили

Переводные коэфициенты сельскохозяйственных угодий

Резюме

В науке и практике издавна делаются попытки построения новых систем коэфициентов, в целях приведения к одному знаменателю и выражении в соизмеримых величинах разнородных явлений. Правомочность суммирования или вообще количественных и качественных операций над этими разнородными явлениями неизменно возрастает, в результате применения непрерывно улучшаемых соответствующих систем коэфициентов (демография, промышленность, энергетика, сельское хозяйство и т. д.).

В отношении важнейших и разнообразнейших элементов сельского хозяйства, земли и отдельных земельных угодий и культур, до сегодняшнего дня никто не пытался искать, построить и установить в достаточной мере соответствующие существу дела общие показатели для их выражении в соизмеримых величинах.

Существование таких переводных коэфициентов угодий и посевов, т. е. определенной системы измерителей, мы считаем весьма желательным и нужным. Без таких коэфициентов наши расчеты и предположении весьма затруднены даже в данное время и на конкретном месте, не говоря уже о больших межрайонных сопоставлениях. Все попытки таких сопоставлений дают более или менее искаженную картину действительности.

Когда мы констатируем, например, что в Грузии столько-то общей эксплоатационной площади, а на Украйне или в Казакстане — столько-то, не только в абсолютном выражении, но и в пересчете на 1 двор, на одного работника или на одну душу, то это еще мало говорит в производственном и хозяйственном отношениях; т. е. о том, насколько загружены работой, или на какой доход может расчитывать сельский хозяин в том или ином месте. Очевидно, что гектар площади природно-хозяйственных, или земледельческих угодий различается и потому, именно какие угодия и в какой пропорции входят в этот показатель землеобеспеченности. Один гектар чая, цитрусов, винограда, плодовых и прочих насаждений, настолько не похож на один гектар пшеницы, ячменя ржи, кукурузы, хлопка, табака, сахарной свеклы и т. п., что суммирование их площадей и выведение их различных возможных соотношений „среднего гектара" даст слишком отдаленное представление о подлинном положении дела.

До настоящего времени некоторое уточнение этого вопроса достигается тем, что рассматриваются и обсуждаются также абсолютные и относительные цифры каждого отдельного угодья или посева. Однако при большом разнообразии угодий, как это имеет место в Грузии, и при их рассмотрении в разных местах и за длительное время, требуется накопление такого большого цифрового материала, что их одновременный и совместный анализ и общие заключения затрудняются, а подчас даже исключаются. Поэтому давно пора иметь измерители, посредством которых при сравнении одного вида угодья или посева с другими — по их хозяйственной значимости, возможно было бы показать, насколько больше или меньше хозяйственное значение угодий или посевов одной и той же физической площади, по сравнению с другими угодьями и посевами; или говоря проще, чему равняется один гектар цитрусов, чая, винограда, плодовых, овощей, пашни или отдельных посевов, при взаимосопоставлениях и разных сравнениях их между собою. Иначе суммирование площадей разнообразных угодий и посевов и использование общих цифр, к которому часто и поныне прибегаем, искажает подлинную картину. Здесь растворяются те большие различия, которыми характеризуются те или иные угодья и посевы и наше представление о существе вопроса слишком отдаляется от действительности.

Это явление давно признано при изучении количественных и качественных показателей разных видов сел.-хоз. животных; тут редко выводится простая сумма или еще реже производятся иные арифметические манипуляции, например, суммирование поголовья — свиней с верблюдами, овец с буйволами и т. п. Их количества и цифры по ним, сначала рассматриваются порознь, а затем для установления пропорции и структурных соотношений между разными видами скота, их поголовье предварительно пересчитывается во взрослый крупный рогатый скот и потом уже суммируются их цифры; отсюда же выводятся проценты каждого элемента и ведется суждение об удельных весах и прочих обстоятельствах дела.

Совершенно необъяснимо, по какому праву поступаем иначе в отношении угодий и посевов. Здесь без колебаний суммируются, например: 100 га чайных плантаций, 50 га цитрусовых, 400 га виноградников, 80 га огородов, 500 га пашни и 600 га пастбищ и выгонов; далее, эта сумма принимается за 100 % и по такому проценту каждого угодья судим об их удельном весе; ведь тут 1 га пашни получил такую же долю, как 1 га насаждений лимона? На каком основании? разве между 1 га лимона и 1 га посева кукурузы, пшеницы, тимофеевки, или даже 1 га леса, пастбищ и выгонов и т. п. не больше экономической разницы, чем между одной головой вола и лошади, свиньи и овцы, коровы и буйволицы?... Но ведь давно установлены и повсеместно используются в деле изучения структуры этого поголовья переводные коэфициенты, на базе которых пересчитывается поголовье всех видов сел.-хоз. животных в крупный рогатый скот. Спраши-

кается — почему не делают того же самого в отношении цитрусовых и леса с кустарником, виноградника и пастбищ с выгонами, табачных плантаций и посевов проса; а все эти резко различные угодья и посевы варятся в одном котле усредненных цифр и „статистики"?!... Нет на то никаких оснований, оправдать которыми возможно было бы это с какой либо производственной и хозяйственной точек зрения.

Суммирование разных угодий и посевов, намечение их соотношения, анализ этих соотношений между связанными элементами и последующее суждение о них возможно только после предварительных расчетов по соответствующим переводным коэфициентам. Пора покончить в наших цифровых расчетах и предположениях с уравниловкой и игнорированием квалификации сел.-хоз. угодий и посевов. В этих целях необходимо установить для каждого угодья и посева соответствующие, отображающие его производственный и хозяйственный вес коэфициенты и принять во всех предположениях каждое угодье и посев по их весомости и значению.

Приведенные расуждения делают ясными целесообразность, своевременность и необходимость установления соответствующих переводных коэфициентов сел.-хоз. угодий и посевов. Вопрос заключается лишь в том, как подойти, методически как разрешить эту задачу. Смысл нашей работы заключается в попытке построения такой методики. Она в последующих работах безусловно должна непрерывно уточняться.

Установив 4 специализированных коэфициента (урожайности, доходности, потребности человеко-дней и оплаты одного человеко-дня), нами выведена система синтетических коэфициентов, объединяющих, по нашему мнению, все основные особенности трактуемых явлений[1].

1. Коэфициенты доходности — разработаны по опубликованным материалам Министерства Финансов (принятых норм доходности при исчислении сельхозналога). Ввиду намечения этих норм только лишь по ограниченному количеству угодий и культур (вернее их групп), коэфициенты доходности установлены лишь по тем же группам и получены: мандарин (все цитрусовые) — 15,0, виноградник — 9,0, плодовый сад — 8,0, субтропические культуры, в среднем — 7,0, огород и бахча — 6,0, благородный лавр — 3,0, пашня — 1,0 и сенокос — 0,5.

[1] Предполагаем в будущем проработать такую систему коэфициентов и по размерам вложении — живого и овеществленного труда — на 1 га каждого с.-х. угодья. Специализированные коэфициенты должны быть использованы в деле изучения отдельных вопросов. При обобщающих же расчетах придется обращаться к синтетическим коэфициентам.

2. **Коэфициенты урожайности** — не могут быть установлены в первичных измерителях, в натуре. Урожайность одного га перемножена на соответствующие неизменные цены и получены в порядке занимаемых мест соотношения, при пашне равной 1: лимон — 119,3 мандарин — 63,6, апельсин — 62,6, чай — 10,3, виноградники — 6,8, плодовые косточковые — 5,6, плодовые семячковые — 5,3, хурма японская — 4,8, огород — 4,3, мушмула — 4,2, благородный лавр — 3,8, прочие субтропические культуры — 3,2, фундук — 2,9, фейхоа — 2,4, рами — 1,7, шелковица и эвкалипт — 1,2, пашня — 1,0, искуственный лес — 0,9, сенокос и лес естественный — 0,7, пастбище — 0,5, выгон — 0,4 и кустарник — 0,1.

3. **Коэфициенты по трудовым затратам** — установлены без каких-либо особых расчетов, взаимосопоставлением потребных на 1 га человеко-дней по отдельным угодьям в сравнении с пашней. Потребное на пашню количество человеко-дней установлено в виде средней арифметической величины из соответствующих цифр полевых культур (1911 г.), с учетом процентов посевов, пара и залежи. В результате этого угодья по трудоемкости распределились в следующем виде: лимон — 7,6, апельсин — 7,4, мандарин и огород — 6,9, чай — 6,5, виноградник — 5,4, бахча — 5,2, рами — 3,5, хурма японская 3,2, благородный лавр — 3,0, прочие субтропические культуры — 2,8, мушмула — 2,6, плодовые семячковые — 2,5, плодовые косточковые — 2,4, тунг — 2,2, фейхоа — 1,9, шелковица — 1,7, эвкалипт — 1,5, пашня — 1,0, лес — 0,5, сенокос и кустарник — 0,2 а пастбище и выгон — 0,1.

4. **Коэфициенты по оплате одного человеко-дня** получены путем деления стоимости урожая одного гектара на требуемое для обработки этого гектара количество человеко-дней; при этом отдельные угодья следующим образом поделили места и получили коэфициенты: лимон — 15,9, мандарин — 9,2, апельсин — 8,6, пастбище — 5,0, выгон — 3,7, сенокос — 3,1, плодовые косточковые — 2,3, семячковые — 2,1, тунг — 2,0, чай — 1,7, мушмула — 1,6, японская хурма 1,5, благородный лавр и лес — 1,3, фейхоа — 1,2, прочие субтропические культуры — 1,1, пашня — 1,0, эвкалипт — 0,8, шелковица и фундук — 0,7, огород и бахча — 0,6, рами и искуственный лес — 0,5 и кустарник — 0,4.

5. **Синтетические коэфициенты.** Специальные коэфициенты характеризуют взаимоотношения культур и угодий только лишь с одной определенной стороны. Хозяйственно-производственное же значение угодий и культур явление комплексное. Всесторонняя их характеристика будет достигнута, если ряд хотя бы основных моментов будет рассмотрен в единстве, посредством сводного показателя, синтетического коэфициента для каждого сельхоз. угодия и культуры. В этих целях на данной стадии исследования выведены средние арифметические из специализированных коэфициентов и в соответствии с величиной этих последних определяются

места, которые занимают те или иные угодья и культуры в общей шкале хозяйственно-производственной значимости сельхозугодий и культур. При этом получено, что: лимон — 47,6, мандарин — 26,6, апельсин — 26,2, чай 6,3, виноградники — 4,5, огороды — 3,9, плодовые косточковые — 3,4, плодовые семячковые — 3,3, хурма японская — 3,1, бахча — 3,0, мушмула — 2,8, благородный лавр — 2,7, прочие субтропические культуры — 2,3, фундук — 2,1, рами — 1,9, фейхоа — 1,8, выгон — 1,4, сенокос — 1,3, шелковица — 1,2, эвкалипт и искусственный лес — 1,1, пашня — 1,0, лес — 0,8, естественный лес и кустарник — 0,2.

Эти коэфициенты использованы для выражения в единых цифрах погодной динамики (1920, 1928, 1932, 1937, 1940, 1945, 1950 и 1970 гг.) угодий и построения их синтетической кривой (см. схема стр. 149—150).

Перемножением физических площадей отдельных угодий по каждому году на соответствующие коэфициенты получена следующая динамика роста всех сельхоз. площадей (в тыс. га), выраженных в физических и переводных единицах (см. табл. № 6, на стр. 142). Суммарные показатели этих площадей приводятся в следующей таблице.

№№ п/п.	Показатели / Годы	Физические площади		Переведен. площади	
		Абс.	%	Абс.	%
1	2	3	4	5	6
1	1920 .	833,3	100,0	1 007,0	100.0
2	1928	1.327,1	159.2	1 582,7	157,2
3	1932 .	1.424,7	170,9	1.880,9	186,8
4	1937	1.364,8	162 5	2.123,8	210,9
5	1940 . .	1.436 8	168 8	3.105,3	308,4
6	1945 .	1.448,6	173,8	2.9.6 3	288,6
7	1950 .	1.601.4	192,1	3 366,0	404,2
8	1970 .	2.430,0	303,0	4.895,0	198,4

Таким образом, если физические площади, в продолжении 25 лет советского строительства, увеличились на 73,8 %, то их переведенные площади (т. е. хозяйственно-производственная значимость этих земель) увеличились на 188,0 % или почти в 3 раза. В последующее время этот рост выразится — на новую пятилетку — 92,1 % и 304,2 %, а по нашим генеральным предположениям — 200 % и 398 %, т. е. в 3—4 раза. Такой необычайно высокий темп развития обуславливают ценные многолетние садово-огородно-виноградные и субтропические-технические культуры.

Мы полагаем, что при сравнительном изучении сельхоз. угодий и культур в отдельных предприятиях и районах, а равно и при межрайонных, межреспубликанских и международных сопоставлениях использование соответственным способом установленных переводных коэфициентов намного лучше уяснит существо анализируемых явлений в сравнении с тем, что было до настоящего времени.

ᲗᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ, XXXIV. 1948
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV, 1948

ს. ᲒᲔᲠᲐᲫᲔ

ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების ეკონომიური არსი

1. „ყოველ განვითარებულ და საქონლის გაცვლა-გამოცვლით განხორციელებულ შრომის დანაწილებას, – აღნიშნავს მარქსი, — საფუძვლად აქვს ქალაქის სოფლიდან გამოყოფა. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების მთელი ეკონომიური ისტორია ამ წინააღმდეგობის მოძრაობაში მიმდინარეობს“ [1]. ამ წინააღმდეგობას სხვადასხვა სიღრმით ადგილი აქვს ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოების წყობილებათა პირობებში. განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებს ის კაპიტალიზმის დროს.

მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება იძლევა ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის აღმოცენების და განვითარების მიზეზების მეცნიერულ ახსნას; ამ წინააღმდეგობის მოსპობის აუცილებლობის, მეთოდების და საშუალებების დასაბუთებას.

ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის საბოლოო მოსპობა წარმოადგენს კომუნისტური საზოგადოების შენების ერთ-ერთ არსებით ამოცანას. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, საბჭოთა კავშირში უკვე გამოეცალა საფუძველი ქალაქსა და სოფელს შორის საუკუნეებრივ წინააღმდეგობას. საბჭოთა კავშირში ქალაქსა და სოფელს შორის დარჩენილი განსხვავება საბოლოოდ ისპობა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათან გადასვლის ძლევამოსილ პროცესში.

ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობა აღმოცენდა ანტაგონისტური კლასების გაჩენასთან ერთად მონათმფლობელური წყობილების დროს. რაც დაპირობებული იყო: შრომის საზოგადოებრივი ანტაგონისტური დანაწილების, შრომის ექსპლოატაციის, კერძო საკუთრების, საქონლის გაცვლა-გამოცვლის განვითარებით. შრომის საზოგადოებრივი ანტაგონისტური დანაწილების ერთ-ერთ ძირითად ფორმას ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობა წარმოადგენს. კაპიტალისტური წყობილების პირობებში შრომის დანაწილების რამდენიმე სახე არსებობს. შრომის დანაწილება ცალკეულ წარმოებათა შიგნით და შრომის დანაწილება საზოგადოებაში ანტაგონის-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 305.

რული ხასიათის მატარებელი არიან და წარმოადგენენ ისტორიულ კატეგორიას.

ცალკე წარმოებაში შრომის დანაწილებასა და საზოგადოებაში შრომის დანაწილებას შორის განსხვავება პირველად კ. მარქსის მიერ იქნა ახსნილი. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება საქონლური წარმოების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში „...ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი კერძო შრომის პროდუქტები უპირდაპირდება ერთმანეთს საქონლის სახით“ [1]. მარქსი წერს: „შრომის დანაწილება საზოგადოებაში შრომის სხვადასხვა დარგის პროდუქტის ყიდვა-გაყიდვით ხორციელდება. ხოლო ნაწილობრივი შრომათა კავშირი მანუფაქტურაში — სხვადასხვა სამუშაო ძალების ძიყიდვით ერთსა და იმავე კაპიტალისტისადმი, რომელიც მათ კომბინური სამუშაო ძალის სახით იყენებს. შრომის მანუფაქტურული დანაწილება საწარმოო საშუალებათა კონცენტრაციას გულისხმობს ერთი კაპიტალისტის ხელში, ხოლო შრომის საზოგადოებრივი დანაწილება — საწარმოო საშუალებათა გაფანტვას მრავალ, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ საქონლის მწარმოებელთა შორის“ [2]. თუმცა, როგორც იქვე აღნიშნავს მარქსი, „კაპიტალისტური წარმოების წესზე დამყარებულ საზოგადოებაში შრომის საზოგადოებრივი დანაწილების აბარქია და შრომის მანუფაქტურული დანაწილების დესპოტიზმი ერთიმეორის პირობაა... მაგრამ, მიუხედავად მრავალი ანალოგიისა..., რომელიც არსებობს შრომის დანაწილებას შორის, ერთის ცხრივ, საზოგადოების და, მეორე მხრივ, სახელოსნოს შიგნით, ეს ორი მოვლენა მაინც განსხვავდება ერთიმეორისაგან არა მარტო ხარისხით, არამედ არსებითად“ [3].

შრომის დანაწილება კაპიტალისტური წარმოების შიგნითაც ანტაგონისტური ხასიათისაა, რადგან ის მოასწავებს მუშის საბოლოო მიჯაჭვას ერთ ოპერაციაზე და მუშის დამორჩილებას კაპიტალისადმი. შრომის დანაწილების ზემო განხილული სახეები შეიცავენ წინააღმდეგობას. შრომის ამგვარი დანაწილება გულისხმობს, რომ ადამიანთა საზოგადოების ერთი ნაწილი ეწევა შრომას, ხოლო მეორე ნაწილი მიეცემა განცხრომას, რასაც ადგილი აქვს კერძო საკუთრებისა და ექსპლოატატორთა კლასების ბატონობის პირობებში. „... შრომის დანაწილება და კერძო საკუთრება ერთიდაიგივე გამოთქმებია — ერთ შემთხვევაში მოქმედების შესახებ ამბობენ იმავეს, რასაც მეორე შემთხვევაში მოქმედების პროდუქტის შესახებ იტყვიან“ [4]. შრომის ამგვარი დანაწილება და კერძო საკუთრება განუყრელია ერთმანეთისაგან, მათი არსებობა ერთიმეორის მიერაა დაპირობებული.

წინააღმდეგობა გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის და წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის შრომის საზოგადოებრივ დანაწილების

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 10.
[2] იქვე, გვ. 309.
[3] იქვე გვ. 307—309.
[4] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 23.

ჯამოშხატველი ძირითადი ფორმებია. „შრომის დანაწილება ნამდვილ დანაწილებად ხდება იმ მომენტიდან, როცა მატერიალური და სულიერი შრომის დანაწილება ჩნდება“ [1]. ქალაქისა და სოფლის გათიშვა კი ფიზიკურისა და გონებრივი შრომის ანტაგონისტურ დანაწილებას გვიჩვენებს. „მატერიალური და გონებრივი შრომის უდიდეს დანაწილებას წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის გათიშვა“ [2].

2. ანტაგონისტური საზოგადოების ისტორიის მთელ მანძილზე არსებული წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის, კერძო საკუთრების და მშრომელთა ექსპლოატაციის ისტორიული ფორმების ცვალებადობასთან ერთად, განიკვდიდა თავისი სოციალური ბუნების გამოვლინების ფორმების ცვალებადობას. ანტაგონისტურ საზოგადოებრივ წყობილებათა ცვალებადობასთან ერთად ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობამ განვლო განვითარების სამი ძირითადი საფეხური: მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური. განვითარების ეს სამი საფეხური განსხვავდება ერთმანეთისაგან.

პირველყოფილი თემური წყობილების დროს, რომელიც დამყარებულია საერთო შრომაზე, წარმოების საშუალებათა და პროდუქტების საერთო საკუთრებაზე, არ შეიძლებოდა ყოფილიყო წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის. ქალაქი აღმოცენდა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლისა და მონათმფლობელური წყობილების წარმოშობის პერიოდში და იქცა შემდეგ მონათმფლობელთა საყრდენ წერტილად. ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების დროს რკინის იარაღების შემოღებამ დიდი რევოლუციური როლი ითამაშა ადამიანთა ეკონომიური ცხოვრების განვითარებაში. რკინის იარაღის შემოღებამ შესაძლებელი გახადა ტყეების გაკაფვა და მიწათმოქმედების განვითარება. რკინის გამოგონებამ ხელოსანს მისცა მტკიცე და მკრელი იარაღი. განვითარდა შრომის დანაწილება. გაჩნდა კერძო საკუთრება. სახნავ-სათესი მიწები თანდათან გადავიდა კერძო საკუთრებაში. კერძო საკუთრების აღმოცენებასთან ერთად თავი იჩინა ქონებრივმა უთანასწორობამ საზოგადოების წევრთა შორის. „შრომის ახალ დანაწილებასთან ერთად, — წერს ენგელსი, — ხდება საზოგადოების ახალი გათიშვა კლასებად, თავისუფალთა და მონათა განსხვავების გვერდით ჩნდება განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის... მასთან ერთად ქრება მიწის საერთო დამუშავება თემის ანგარიშზე. სახნავ-სათესი მიწა ეძლეოდა ცალკე ოჯახებს თავდაპირველად დროებით სარგებლობაში, შემდეგ კი საბუდამოდ“... [1]. ცალკე პირთა ხელში სიმდიდრის თავის მოყრამ გამოიწვია თავდაცვის მოთხოვნის გაძლიერება. „ტომის ან ტომთა კავშირის მთავარი საცხოვრებელი ცენტრი ქალაქი გახდა, სადაც ქვის თუ აგურის შენობებს გარს ქვის კედელი ერტყა

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 21.

[2] იქვე, გვ. 40

[3] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა რუსულად გამოც., 1937 წ., გვ. 216.

კოშკებითა და ქონგურებით შემკული, რაც დიდი პროგრესი იყო ხუროთმოძღვრებაში, მაგრამ ის საფრთხის ზრდას და თავდაცვის მოთხოვნილების გაძლიერებასაც მოასწავებდა“ [1].

„სამიწათმოქმედო თემი, რომელიც პირველყოფილი თემური წყობილების უკანასკნელი ფაზა იყო, ამავე დროს წარმოადგენდა პირველყოფილი თემური წყობილებიდან მონათმფლობელურ წყობილებაზე გარდამავალ ფაზას. მარქსი წერს: „სამიწათმოქმედო თემი, რომელიც პირველადი საზოგადოებრივი ფორმაციის უკანასკნელი ფაზა იყო, ამავე დროს წარმოადგენს მეორად ფორმაციაზე გარდამავალ ფაზას, ე. ი. საერთო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებიდან კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებაზე გადასვლის ფაზას“ [2].

3. შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების აღმოცენებამ, ქონებრივი უთანასწორობის გაჩენამ, საზოგადოების კლასებად გათიშვამ გამოიწვია თემური წყობილების დაშლა და მონათმფლობელური წყობილების აღმოცენება. მონათმფლობელური წყობილების წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენს მონათმფლობელის საკუთრება წარმოების საშუალებებზე, წარმოების მუშაკზე — მონაზე და წარმოების პროდუქტებზე. საქონლური წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის განვითარებას მოჰყვა შრომის შემდგომი საზოგადოებრივი დანაწილება. მრეწველობა გამოეყო სოფლის მეურნეობას, ვაჭრობა კი წარმოების სფეროს. ვაჭართა კლასის ვაჩენასთან ერთად ჩნდება ლითონის მოჭრილი ფული — „ახალი საშუალება არამწარმოებელთა კლასის ბატონობისა მწარმოებლებზე და მათ წარმოებაზე“ [3]. ემყარებოდა რა ვამავრებულ ქალაქებს, მონათმფლობელური სახელმწიფო ახორციელებდა უმრავლესობის დამორჩილებას უმცირესობის მიერ.

ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობა ჩნდება პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის და მონათმფლობელური სახელმწიფოს აღმოცენების დროს: „ქალაქისა და სოფლის დაპირისპირება იწყება ბარბაროსობიდან ცივილიზაციაში, ტომობრივ წყობილებიდან სახელმწიფოზე... გადასვლასთან ერთად და დასდევს ცივილიზაციის მთელ ისტორიას დღევანდელ მომენტამდე...“ [4]. ქალაქი მონათმფლობელთა, ვაჭართა, მევახშეთა, მრეწველთა თავშეყრის და სიმდიდრის დაგროვების ცენტრი გახდა. ქალაქებზე დამყარებული მონათმფლობელთა ბატონობისათვის აუცილებელი გახდა და კიდეც აღმოცენდა ადმინისტრაცია, პოლიცია, გადასახადები და სხვ. მონათმფლობელური სახელმწიფოს ბატონობის დროს საზოგადოების ძირითად, ანტაგო-

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, რუსული გამოც., 1937 წ., გვ. 215.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. XXVII, გვ. 695

[3] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, რუსული გამოც. 1937 წ., გვ. 219.

[4] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 40.

ნისტურ კლასებს წარმოადგენენ, ერთი მხრით, უფლებამოსილი, გაბატონებული მონათმფლობელები და, მეორე მხრით, ადამიანის ყოველგვარ უფლებას მოკლებული მონები. მონებსა და მათ შრომასაც გაბატონებული არისტოკრატია ზიზღით უცქეროდა, ფართოდ იყენებდა მონების შრომას, ყოველ უხეშ და ტლანქ ფორმებში ეწეოდა მათ ექსპლოატაციას.

მონათმფლობელური ქალაქი იყო ბრძოლებისთვის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრი, სიმდიდრის დაგროვებისა და განცხრომათა ადგილი. სოფელი კი იზოლიაციის და განცალკევებულობის ფაქტს წარმოადგენდა. იქ სიღატაკე და სრული უვიცობა სუფევდა.

მონათმფლობელური ქალაქი უწევდა სოფელს ექსპლოატაციას დიდი გადასახადებით, ვაჭრები მაღალი ფასებით, მევახშეები სასესხო კაპიტალით. ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობა ძლიერ გაღრმავდა და მან ხელი შეუწყო მონათმფლობელური წყობილების დაღუპვას.

მონების რევოლუციამ დაამხო მონათმფლობელური წყობილება. მაგრამ მონების კლასმა ვერ შესძლო მშრომელთა ინტერესების შესაბამისი წყობილების შექმნა. გაიმარჯვა ფეოდალურმა წყობილებამ. მონათმფლობელური წყობილების დაცხობასთან ერთად დაეცა მონათმფლობელური ქალაქი. მიწათმოქმედებამ ახლა მოიპოვა მეტი მნიშვნელობა. შეიცვალა დამოკიდებულება ქალაქსა და სოფელს შორის.

4. წარმოების ფეოდალურმა წესმა შესცვალა მუშაკის დამოკიდებლობა წარმოების საშუალებებისადმი. ერთი მხრით, ექსპლოატატორი-ფეოდალი ითვისებს მუშაკის შრომის პროდუქტის მხოლოდ ერთ ნაწილს. მეორე მხრით, მუშაკს უკვე მოეპოვება პირად შრომაზე დამყარებული ერთპიროვნული მეურნეობა და საკუთრება წარმოების პრიმიტიულ იარაღებზე. მას აქვს შრომით ერთგვარი დაინტერესება.

ამხანაგი სტალინი წერს: „ახალი საწარმოო ძალები მოითხოვენ, რათა მუშაკს ჰქონდეს რაიმე ინიციატივა წარმოებაში და შრომისადმი ჭიდრეკილება, შრომით დაინტერესება. ამიტომ ფეოდალი სტოვებს მონას, როგორც შრომით არა დაინტერესებულ და სრულიად უინიციატივო მუშაკს, და ამჯობინებს საქმე იქონიოს ყმასთან, რომელსაც გააჩნია თავისი მეურნეობა, თავისი წარმოების იარაღები და რომელსაც აქვს ერთგვარი დაინტერესება შრომით, რაც აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ მან დაამუშაოს მიწა და ფეოდალს ნატურით აძლიოს გადასახადი თავის მოსავლიდან“ [1].

ქალაქსა და სოფელს შორის ურთიერთობა ფეოდალიზმის დროს სხვა ხასიათს ატარებს. ფეოდალიზმის დროს გამოსავალ წერტილს უკვე სოფელი წარმოადგენს. „თუ ანტიკურობა ქალაქიდან და მისი მცირე ოლქიდან გამოდიოდა, საშუალო საუკუნეები გამოდიოდნენ სოფლიდან“ [2].

---

[1] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები. XI გამოცემა, გვ. 690.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 14.

შუა საუკუნეების ეპოქაში ფეოდალური სოფელი ბატონობს პოლიტიკურად ქალაქზე, ხოლო ეკონომიურად ქალაქი ეწევა სოფლის ყმა-გლეხების ექსპლოატაციას.

შუა საუკუნეებში ფეოდალები ბატონობდნენ ქალაქებზე. მათ მორჩილებაში ჰყოლიათ ქალაქები და აკისრებდნენ დიდ გადასახადებს.

ფეოდალური მეურნეობა არ გამორიცხავს საქონლის წარმოების ახალ შესაძლებლობას. ამის შესაძლებლობას იძლევა ფეოდალიზმის დროს წარმოების მუშაკზე, ყმაზე არასრული საკუთრების არსებობა. უშუალო მწარმოებელ-გლეხის მეურნეობა ფეოდალური წყობილების ძირითად უჯრედს წარმოადგენდა. წარმოების საშუალებათა შორის მიწას ეჭირა პირველი ადგილი. მიწის ბატონ-პატრონი კი ფეოდალი იყო. ფეოდალურ მიწათმფლობელობაზე იყო დამყარებული „არასრული საკუთრება წარმოების მუშაკზე — ყმაზე", რომელსაც ჰქონდა „ერთპიროვნული საკუთრება წარმოების იარაღებზე და ყმის კერძო მეურნეობაზე". ფეოდალსა და ყმას შორის ურთიერთობის შინაარსს ყმის ექსპლოატაცია წარმოადგენდა. ფეოდალების ძირითადი მოწინააღმდეგე კლასი სწორედ ყმები იყვნენ. ყმების განუსაზღვრელი ექსპლოატაციის საფუძველზე ფეოდალი ითვისებდა მთელ ზედმეტ პროდუქტს საბატონო ბეგარის, ღალის ან ფულადი რენტის სახით.

ფეოდალურ წყობილებას შეესაბამებოდა ქალაქად ხელოსნობის ფეოდალური ორგანიზაცია ამქრების სახით. „შეერთებული მძარცველური თავდაზნაურობის წინააღმდეგ გაერთიანების აუცილებლობამ, საერთო საბაზრო შენობების საჭიროებამ იმ ეპოქაში, როცა მრეწველი ერთსა და იმავე დროს ვაჭარიც იყო, მზარდმა მეტოქეობამ იმ გამოქცეული ყმების მხრივ, რომელნიც აყვავებული ქალაქებისაკენ მიედინებოდნენ, მთელი ქვეყნის ფეოდალურმა წყობილებამ, — ყოველივე ამან წარმოშვა ამქრები"[1]. ფეოდალები თავისი ინტერესებისათვის ცდილობდნენ, რათა ქალაქში მცხოვრებ ხელოსანს და ვაჭარს ხელში არ ჩაეარდნოდათ ყმა გლეხის მიერ შექმნილი ზედმეტი პროდუქტი. ხინამდვილეში კი ვაჭრები თავიანთ საქონელს მაღალ ფასებში ჰყიდდნენ, გლეხის საქონელს კი დაბალ ფასებში ჰყიდულობდნენ. დიდ როლს თამაშობდა გლეხების ექსპლოატაციაში საგაჭრო და სავახშო კაპიტალი.

ქალაქად ხელოსნების გარდა თავს იყრიდნენ და სახლდებოდნენ მეტი რაოდენობით ვაჭრები და მევახშეები. განვითარდა მიმოსვლის საშუალებები და გაცვლა-გამოცვლა. წარმოიშვა ახალი ბაზრები. გაიზარდა ქალაქების რაოდენობა, ქალაქებში კი მოსახლეობის რიცხვი. ფეოდალიზმი აფერხებდა საქონლურ-ფულად ურთიერთობათა სწრაფ განვითარებას. ქალაქები ეწევიან ბრძოლას ფეოდალური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისათვის. იმ ქალაქებმა, რომლებმაც მოიპოვეს ფეოდალებისაგან დამოუკიდებლობა თავშესაფარი მისცეს სოფლიდან მოსულ დიდძალ ყმებს. ქალაქის მცხოვრებთა შიგნით აღმოცენდა ერთმანეთისაგან განკერძოებული სამი ფენა: მოქალაქეთა სათავეში მდგომი პატრიციული გვარები, ბიურგერთა ფენა (ბურჟუაზიის

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 14—15.

წინამორბედი) და პლებეები, რომლებიც უმთავრესად ქარგლებისაგან შედგებოდნენ (პროლეტარიატის წინამორბედი). ენგელსი წერს: „საშუალო საუკუნეების ქალაქების პირვანდელი მოქალაქეებისაგან ვაჭრობის და ხელოსნობის აყვავებასთან ერთად სამი სრულიად განცალკევებული ფენა განვითარდა“ [1].

ყველა გაბატონებული წოდების მიერ ექსპლოატაციაქმნილ ფენას წარმოადგენდნენ „გლეხები და პლებეები“ [2]. ენგელსი აღნიშნავს, რომ ყველა კლასის დაბლა, ქალაქთა პლებეების გამოკლებით, „იდგა ხალხის დიდი ექსპლოატაციაქმნილი მასა — გლეხკაცობა. გლეხს მხრებზე აწვა თავის სიმძიმით საზოგადოების შენობის მთელი იერარქია: თავადები, მოხელეები, აზნაურობა, ხუცები, პატრიციები, ბიურგერები“ [3].

როგორც ვხედავთ, ფეოდალური სოფლის პოლიტიკური ბატონობა ქალაქზე არ გამორიცხავს ქალაქის მიერ სოფლის ეკონომიურ ექსპლოატაციას. ქალაქი ეწევა სოფლის ეკონომიურ ექსპლოატაციას. მარქსი შენიშნავს: „თუ საშუალო საუკუნეებში სოფელი ქალაქს ექსპლოატაციას უკეთებს პოლიტიკურად, ყველგან იქ, სადაც ფეოდალიზმი არაა მოტეხილი ქალაქების არაჩვეულებრივი განვითარებით, როგორც, მაგალითად, იტალიაში, მაშინ ქალაქი ყველგან და გამონაკლისის გარეშე ექსპლოატაციას უკეთებს სოფელს ეკონომიურად თავისი მონოპოლიური ფასებითა, თავისი საგადასახადო სისტემითა, თავისი საამქრო წყობილებითა, თავისი უშუალო ვაჭრული მოტყუებითა და თავისი მევახშეობით“ [4].

ბურჟუაზია ეწეოდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ქალაქად და სოფლად, თავის ეკონომიური და პოლიტიკური სრული ბატონობისათვის. ამ ბრძოლაში ბურჟუაზიის მძლავრ იარაღს წარმოადგენდა მისი ეკონომიური ძლიერება, რომელიც კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებასთან და ვაჭრობის გაშლასთან ერთად იზრდებოდა. ბურჟუაზიის ეკონომიური გაძლიერება ამავე დროს ნიშნავდა ქალაქის მიერ სოფლის ეკონომიური ექსპლოატაციის ზრდას.

საქალაქო გადასახადთა ჯამი ძლიერ გადიდდა, ხოლო მოთხოვნა გლეხის მიერ ბაზარზე გატანილ პროდუქტებზე ძალაუნებურად განისაზღვრებოდა ქალაქის ფარგლებით „ასე რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა გაედიდებინა თავისი პროდუქტის ფასი საქალაქო გადასახადთა ჭეშმარიტი ჯამით“. მარქსი იქვე შენიშნავს: „ქალაქის ბურჟუაზიის სპეციფიურ თავისებურებას, მიმართულს სოფლის წინააღმდეგ, წარმოადგენს ქალაქის ჰიშკართან გადასახდელი აქციზები და გამოსაღები, საერთოდ არაპირდაპირი გადასახადები, რომლებიც ქალაქური წარმოშობის არიან..., მაშინ როდესაც პირდაპირი გადასახადები სოფლური წარმოშობისაა. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ, მაგალითად, აქციზი

---

[1] ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, რუსული გამოც., 1939 წ., გვ. 33.
[2] იქვე, გვ. 39.
[3] იქვე, გვ. 37.
[4] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწილი 2, გვ. 319.

არის ერთგვარი გადასახადი, რომლითაც ქალაქი არაპირდაპირი სახით თავისთავს იბეგრავს. სოფლის მცხოვრები იძულებულია ეს ხარკი ავანსის სახით გადაიხადოს, მაგრამ ის მას უკანვე იბრუნებს პროდუქტის ფასში. თუმცა საშუალო საუკუნეებში ამას ადგილი არ ჰქონია"[1]. შუა საუკუნეებში გლეხი გაყიდული პროდუქტის ფასში ვერ ინაზღაურებდა მის მიერ ავანსად გადახდილ ამგვარ ხარკს. ქალაქი, სადაც სულ უფრო ვითარდებოდა საქონლურ-ფულადი ურთიერთობები, ხელს უწყობდა ფეოდალიზმის დაშლას. სწორედ ქალაქებში ჩაისახა პირველად კაპიტალისტური წარმოების წესი. ქალაქები ამ დროს დაძაბულ ბრძოლას აწარმოებდნენ ფეოდალებთან.

საქონლურ-ფულადი მეურნეობის ზრდასთან ერთად გაიზარდა ფეოდალის მოთხოვნილებები. მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით კიდევ მეტად გადიდდა ყმა-გლეხების ექსპლოატაცია. გლეხს უნდა გამოემუშავებინა ახლა გაცილებით მეტი პროდუქტები, მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელი გახდა, რადგან ყმა-გლეხის შრომა დაბალი ნაყოფიერებისა იყო. ფეოდალი მიმართავდა, ზედმეტი პროდუქტის გარდა, გლეხის აუცილებელი პროდუქტის ნაწილის მითვისებასაც. ყმა-გლეხის ექსპლოატაციის სიდიდე დამოკიდებული იყო ფეოდალის უსაზღვრო მოთხოვნილებაზე. ეს, ცხადია, ყმა გლეხს შიმშილით სიკვდილის საშიშროების წინაშე აყენებდა. სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ მიზეზი იმ კლასობრივი, შეუპოვარი ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებდა ყმაგლეხობა, გაბატონებული კლასის, ფეოდალების წინააღმდეგ. ფეოდალური წყობილება დამხობილ იქნა, სწორედ, ყმების რევოლუციებით.

5. ყმა გლეხების ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ სხვადასხვა ფორმით მთელი შუა საუკუნეების მანძილზე წარმოებდა[2]. მაგრამ ბრძოლამ უმაღლეს წერტილს მიაღწია ფეოდალიზმის უკანასკნელ ხანაში. ყმების რევოლუციით ისარგებლა ახალმა კლასმა—ბურჟუაზიამ. ექსპლოატაციის ძველი ფორმა შეიცვალა ექსპლოატაციის ახალი ფორმით. კაპიტალისტურმა წყობილებამ სოფელი დაუმორჩილა ქალაქის სრულ ბატონობას. წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის გაძწვავდა და გაფართოვდა, მან მიიღო საერთაშორისო ხასიათი. ბურჟუაზიამ მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი მოწყვიტა სოფლის მეურნეობას და გაადიდა ქალაქის მოსახლეობის რიცხვი, აგრარული მხარეები გახადა სამრეწველო მხარეებზე დამოკიდებული. მარქსი და ენგელსი წერენ: „ბურჟუაზიამ სოფელი ქალაქის ბატონობას დაუმორჩილა. მან შეჰქმნა უზარმაზარი ქალაქები, უაღრესად გაამრავლა ქალაქის მოსახლეობის რიცხვი სოფლის მოსახლეობასთან შედარებით და, ამგვარად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამოსხლიტა სოფლური ცხოვრების იდიოტიზმს. როგორც სოფელი ქალაქისაგან, ისევე დამოკიდებული გახდა მან ბარბაროსული და

---

[1] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ტ. II, ნაწილი პირველი, გვ 86.

[2] ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, რუსული გამოც., 1939 წ., გვ 41.

ნაწევრად ბარბაროსული ქვეყნები ცივილიზებული ქვეყნებისაგან. გლეხები ხალხები ბურჟუაზიული ხალხებისაგან“ [1].

ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობა, რომლის მასშტაბი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ძლიერ გაიზარდა, წარმოადგენს შრომის კაპიტალისტურ ანტაგონისტურ დანაწილების ერთ-ერთ ძირითად გამოხატულებას. „... შრომის საზოგადოებრივი დანაწილება არის საფუძველი მთელი საქონლური მეურნეობის და კაპიტალიზმის განვითარების პროცესის“ [2]. კაპიტალისტური წარმოების წესის დამახასიათებელი ნიშანია დაქირავებული მუშის ექსპლოატაცია ზედმეტი ღირებულების წარმოებისა და მითვისების მიზნით.

კაპიტალის პირვანდელი დაგროვების მთელი პროცესის საფუძველს წვრილი მწარმოებლის, გლეხის, მიწის ძალდატანებითი ექსპროპრიაცია შეადგენდა. წარმოების და არსებობის საშუალებებზე ძალდატანებით მოწყვეტილი ხასები გადატყორცნილი იყვნენ ბურჟუაზიის მიერ ქალაქად, როგორც პროლეტარები. ქალაქად და სოფლად წვრილ-მწარმოებელთა ეს ტლანქი ექსპროპრიაცია „სისხლით და ცეცხლის გავარვარებული ენით არის ჩაწერილი კაცობრიობის ისტორიაში“ (კ. მარქსი). მარქსი იქვე შენიშნავს: „ადამიანთა უამრავი მასები უეცრად და ძალდატანებით მოწყვეტილი იყვნენ საარსებო საშუალებებს და გადატყორცნილნი შრომის ბაზარზე, როგორც ფრინველივით თავისუფალი პროლეტარები. სოფლის მწარმოებლის ანუ გლეხის მიწის ექსპროპრიაცია მთელი პროცესის საფუძველს შეადგენს“ [3].

ასეთი საშინელება მოუტანა გლეხობას კაპიტალისტური წყობილების დამყარებამ და ქალაქის სოფელზე ყოველმხრივ გაბატონებამ. სოფლის მეურნეობაში კაპიტალის შეჭრას თან მოჰყვა გლეხობის დიფერენციაციის განვითარება—ერთ მხარეზე კულაკები გაჩნდნენ, მეორე მხარეზე კი ღარიბი და გაპროლეტარებული მასები, რომელთა დიდი ნაწილი ქალაქად მიდის სამუშაოს საძებნად. გლეხობის დიფერენციაციის გაღრმავებას სხვა მიზეზებთან ერთად ხელი შეუწყო სავახშო კაპიტალის მოქმედებამ. ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის გამომხატველ ფორმათა შორის ერთ ერთი ადგილი უკავია ექსპლოატაციას მევახშის მიერ. ვალში ჩავარდნილი გლეხები მას მიჰყავს გაღატაკებამდე. სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპები სულ უფრო ჩამორჩა მრეწველობის განვითარების ტემპებს, რაც კაპიტალისტური განვითარების დამახასიათებელი ნიშანია. ეს ხელს უწყობს ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების გამწვავებას.

6. აქ დასმული პრობლემის განხილვის დროს, პირველად ყოვლისა, ხაზგასმით უნდა ვიქონიოთ ის, რომ კაპიტალისტური წყობილების ძირითად ანტაგონისტურ წინააღმდეგობას წარმოადგენს წინააღმდეგობა კაპიტა-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, გამოც. 1940 წ., გვ. 31—32.

[2] ლენინი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 17.

[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 660.

ლისტური წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო, კაპიტალისტურ ფორმას შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალიზმის დროს წარმოებაში ექსპლოატაციის მიზნით მილიონობით მუშებს მოუყარეს თავი. იქ შექმნილი საქონელი ბაზარზე უნდა იქნეს რეალიზებული და სხვების მიერ მოხმარებული. წარმოება საზოგადოებრივი ხასიათისაა. წარმოების საშუალებებზე კი დარჩენილია კერძო, კაპიტალისტური საკუთრება, ხოლო კაპიტალისტური წარმოების მიზანია მუშის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების მითვისება. წარმოების საშუალებებზე არსებული კერძო, კაპიტალისტური საკუთრება და კაპიტალისტური მითვისება ეწინააღმდეგება წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს. მათ შორის ეს შეუთავსებლობა გამოიხატება უპირველესად საწარმო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის ანტაგონისტურ წინააღმდეგობაში, რომელიც თავს იჩენს პერიოდულ ეკონომიურ კრიზისებში და დაძაბულ, სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულთა შორის.

ეს უღრესად მწვავე კლასობრივი ბრძოლა წარმოებს ქალაქშიც და სოფელშიც, ამ შინაგან კლასობრივი ბრძოლის გარეშე ლაპარაკი ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობაზე იქნებოდა ზერელე და უსაფუძვლო. ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობა კაპიტალიზმის ზემოთ უკვე აღნიშნულ, ძირითად ანტაგონისტურ წინააღმდეგობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოხატულებას წარმოადგენს. ამრიგად, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ურ ს ა ზ ო გ ა დ ო ებაში წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ქ ა ლ ა ქ ს ა და ს ო ფ ე ლ ს შ ო რ ი ს წ ა რ მ ო ადგენს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ს კ ლ ა ს ებს შ ო რ ი ს, წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა ს ა და მ შ რ ო მ ე ლ გ ლ ე ხ ო ბ ა ს შ ო რ ი ს.

ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობა კაპიტალიზმის პირობებში ისეთ კატეგორიებს მიეკუთვნება, „რომლებიც, მარქსის თქმით, ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგან სტრუქტურას შეადგენს და რომლებსაც ძირითადი კლასები ეყრდნობიან“[1].

მარქსი ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობას კაპიტალის, დაჭირავებული შრომის და საადგილმამულო საკუთრების შემდგომ, მომდევნო კატეგორიად სთვლის. ამრიგად, არ შეიძლება განყენებულად, შინაგან კლასობრივ წინააღმდეგობასთან დაუკავშირებლად, ვიმსჯელოთ ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობაზე. ლ ე ნ ი ნ ი განიხილავს რა ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობას, იძლევა მის შემდგომ დახასიათებას: „მოვლენა, რომელიც ჩვენი განხილვის საგანია, კაპიტალისტური წყობილების ძალიან ღრმა და ერთობ ზოგადი ხასიათის წინააღმდეგობათაგანი არის... ქალაქის სოფელზე ბატონობა (ეკონომიურადაც, პოლიტიკურადაც, ინტელექტუალურადაც და ყოველ სხვა მხრივადაც) წარმოადგენს საერთო და აუცილებელ მოვლენას ყველა ქვეყნისათვის, სადაც არის საქონლის წარმოება და კაპიტალიზმი“...[2]

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 33.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტომი II, რუსული გამოც., გვ. 86.

ქალაქის ბატონობა სოფელზე არ ნიშნავს ქალაქელ მშრომელების ან მუშების პირობების გაუმჯობესებას. პირიქით, მუშათა კლასი, ქალაქის და სოფლის მშრომელი მასები განიცდიან ექსპლოატაციას კაპიტალისტების მიერ. ბურჟუაზიული ქალაქის სოფელზე ბატონობა ხელს უწყობს ქალაქის და სოფლის მშრომელთა მასების გაღატაკებას.

მუშათა კლასის და სოფლის მშრომელი მოსახლეობის ექსპლოატატორი იგივე კაპიტალია, ხოლო მათი ექსპლოატაცია წარმოებს სხვადასხვა ფორმით. „ცხადია,—წერს მარქსი,—რომ გლეხობის ექსპლოატაცია განსხვავდება ფაბრიკის პროლეტარიატის ექსპლოატაციისგან მხოლოდ თავის ფორმით. ექსპლოატატორი — იგივე კაპიტალია“ [1].

სოფელზე გაბატონებული ქალაქი ღარიბი და საშუალო გლეხების ექსპლოატაციას აწარმოებს სხვადასხვა სახით. უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალისტურ წყობილებაში ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის ეკონომიურ ასპს წარმოადგენს კაპიტალის მიერ სოფლის წვრილ მწარმოებელთა უსაზღვრო ექსპლოატაცია, ექსპროპრიაცია და გლეხობის დიფერენციაცია. ლენინი შენიშნავს: „ძრეწველობის მიწადმოქმედებიდან გამოყოფის პროცესი აქ მჭიდროდ არის წერილ წარმოებლის ექსპროპრიაციის პროცესში“ [2].

ამრიგად, ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის ეკონომიური არსის ანალიზი კაპიტალიზმის დროს წარმოადგენა ძირითადად ღარიბი და საშუალო გლეხობის ექსპლოატაციის, დიფერენციაციის, ექსპროპრიაციის და და გაღატაკების პროცესის ანალიზს.

კაპიტალიზმის აღმოცენების რიჟრაჟზე გაიშალა მიწათმოქმედებიდან კაპიტალისტური ძრეწველობის გამოყოფის პროცესი და მასთან ერთად ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის განვითარების პროცესი. ამ პროცესთან ერთად მიმდინარეობს ქალაქად ხელოსნების, სოფლად კი გლეხების დაშლა სხვადასხვა ფენებად. სოფლად, ერთი მხრივ, ჩნდებიან შეძლებული გლეხები, მეორე მხრივ, ღარიბები და ღატაკები, რომლებიც იქცევიან პროლეტარებად. ეს პროცესი უფრო გაიშალა კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურულ სტადიაზე. მანუფაქტურაში ძლიერ განვითარდა შრომის დანაწილება. მუშა მიჯაჭვულ იქნა შრომის ცალკეულ სპეციალურ ოპერაციაზე, და ის ჩამოშორდა სოფლის მეურნეობას. განვითარების მანუფაქტურულ სტადიაზე ქალაქი და სოფელი მეტად დაცილდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამ პერიოდში არ დამთავრებულა სოფლის მეურნეობიდან მრეწველობის და სოფლიდან ქალაქის გამოყოფის პროცესი. თუმცა ასეთი საბოლოო გამოყოფისათვის მანუფაქტურულ პერიოდში იქმნება საფანადო წინაპირობები.

მრეწველობის სოფლის მეურნეობიდან და ქალაქის სოფლიდან სრულიად გამოყოფა მოხდა კაპიტალიზმის განვითარების მანქანური მრეწველობის სტადიაზე. ამ სტადიისათვის ძირითადად დამახასიათებელია მანქანების გამო-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 76.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. III, „პრინციპული კითხვა“, გვ. 361.

ყენება წარმოების პროცესში და/მუშის გადაქცევა მანქანის უბრალო დანამატად. კაპიტალიზმის განვითარების მანქანურ მრეწველობის სტადიაზე კაპიტალისტური წარმოება სრულიად ჩამოაცილებს სოფლის მეურნეობიდან მუშას.

წვრილი წარმოების დაშლის პროცესის გამოსავალი წერტილი ქონებრივ უთანასწორობაში უნდა ვეძებოთ. გლეხობა ქონებრივად სრულიად სხვადასხვა ფენებად დაიშალა. თუ ფეოდალიზმის დროს გლეხობა წარმოადგენდა ერთ კლასს, კაპიტალიზმის დროს ის იყოფა სხვადასხვა კლასებად.

კაპიტალიზმი თავისი განვითარების მანქანური მრეწველობის სტადიაზე სოფლად ჰქმნის გლეხობის განსაკუთრებულ კლასს, რომელიც განიცდის ექსპლოატაციას ქალაქის და სოფლის ბურჟუაზიის მხრივ. „მსხვილი სამანქანო ინდუსტრია, —წერს ლენინი,—საბოლოოდ აშორებს მრეწველობას წიწათმოქმედებისაგან, ჰქმნის, როგორც ვნახეთ, მოსახლეობის განსაკუთრებულ, ძალზე გლეხობისათვის სრულიად უცხო კლასს“...[1]

გლეხობის ეს განსაკუთრებული კლასი კაპიტალიზმის პირობებში განიცდის დიფერენციაციას და იყოფა სხვადასხვა კლასებად. ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1906 წელს წერდა, „რომ წვრილბურჟუაზია, როგორც კლასი, არ იზრდება,—პირიქით, ის დღითი-დღე იშლება და ბურჟუებად და პროლეტარებად იყოფა“[2].

წიწათმოქმედება კაპიტალიზმის პირობებში, განსაკუთრებით იმპერიალიზმის ეპოქაში, სულ უფრო და უფრო რჩება უკან შედარებით მრეწველობისაგან. წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის უაღრესად მწვავდება.

7. წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის კაპიტალიზმის პირობებში სხვადასხვა სახით გამოვლინდება. აქ ჩვენ მოკლედ შევეხებით ამ გამოვლინების შემდეგს ძირითად ფორმებს:

1) მიწაზე ქირა საკუთრება და მიწის რენტა არის მრეწველობისგან წიწათმოქმედების ჩამორჩენის და ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების თითოეული საფეხური ბადებს უფრო ღრმა წინააღმდეგობას, რომელიც აფერხებს საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას სოფლად. სოფლის მეურნეობის განვითარება შედარებით ძლიერ ჩამორჩა მრეწველობის განვითარებას. მაშინ როდესაც მრეწველობის განვითარებამ დიდიხანია მიაღწია მსხვილ მრეწველობას,—რომელიც დამყარებულია სხვადასხვა მანქანათა სისტემაზე, სოფლის მეურნეობა ძირითადად ვერ გასცილდა ხელით შრომას. კაპიტალიზმის დროს სოფლის მეურნეობაში მანქანების გამოყენება შეფერხებულია.

მიწის ფართობის გამოყენება სხვისი შრომის ექსპლოატაციის იარაღად იწვევს კაპიტალიზმის დროს მიწის მონოპოლიზირებას. ის კაპიტალისტური მეურნეობის ობიექტადაა ქცეული. მიწაზე შექმნილი მეურნეობის მონოპოლი-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. III, ქართ. გამოცემა, გვ. 529.
[2] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. I. გვ. 281.

ზირებას, კაპიტალიზმის დროს, შეიძლება ადგილი ჰქონდეს საკუთარ ან მიწათმფლობელისაგან იჯარით აღებულ მიწაზე. ეს ნიშნავს მეურნეობის მონოპოლიას მიწაზე. მონოპოლიის ამ სახისაგან უთუოდ უნდა განვასხვავოთ მეორე მონოპოლია, სახელდობრ — საკუთრების უფლებაზე დამყარებული მიწის მონოპოლია. ეს ნიშნავს მიწაზე კერძო საკუთრების მონოპოლიას. ეს ორი მონოპოლია, ერთმანეთისაგან განსხვავდება და მათი ერთმანეთში არევა არ შეიძლება. „საკუთრების უფლების ძალით მიწის ფლობის მონოპოლია, — წერს ლენინი, — და მიწაზე მეურნეობის მონოპოლია — სხვადასხვა რამაა არა მხოლოდ ლოგიკურად, არამედ ისტორიულადაც"[1]. მონოპოლიის ორივე სახის ვარკვევა წარმოადგენს აუცილებელ პირობას კაპიტალიზმის დროს მიწის დიფერენციალურ და აბსოლუტურ რენტის სწორად გაგებისათვის. თუმცა, მიწის ყოველგვარ რენტის წყაროს კაპიტალიზმის დროს ზედმეტი ღირებულება წარმოადგენს, მაკრამ I და II დიფერენციალურ რენტას, ერთი მხრით, და აბსოლუტურ რენტას მეორის, მეორე მხრით, არის არსებითი განსხვავება.

დიფერენციალური რენტა, როგორც საშუალო მოგებაზე ნამატი პარბი მოგება, გადადის მიწათმფლობელის ხელში. ამ შემთხვევაში ლენინი აღნიშნავს: „მიწაზე კერძო საკუთრება არ ქმნის დიფერენციალურ რენტას, არამედ გადააქვს ის ფერმერის ხელიდან მიწათმფლობელის ხელში"[2]. მაგრამ, მიწათმფლობელი ცუდ მიწას, რომელიც მხოლოდ საშუალო მოგების მიღების შესაძლებლობას იძლევა. განა უფასოდ დაუთმობს მოიჯარადრეს? ცხადია არა! ლენინი გვასწავლის: „მიწათმფლობელობა არის მონოპოლია, და ამ მონოპოლიის საფუძველზე მიწათმფლობელი მოითხოვს ფერმერისაგან ქირას ამ მიწისთვისაც. ეს ქირა იქნება აბსოლუტური რენტა... გამოქვითვა მიწაზე კერძო საკუთრებისაგან"[3]. ამრიგად, აბსოლუტური რენტის არსებობა დაკავშირებულია მიწაზე კერძო საკუთრების მონოპოლიასთან. აბსოლუტური რენტის მიღება დაკავშირებულია მიწათმოქმედებაში დაბანდებულ კაპიტალის დაბალ ორგანულ შემადგენლობასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ცვალებადი კაპიტალის წილი უფრო მეტია კაპიტალის საშუალო შემადგენლობასთან შედარებით[4]. ამის გამო სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულება გაცილებით მაღალია წარმოების ფასებთან შედარებით. განსხვავება სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებასა და წარმოების ფასებს შორის წარმოადგენს იმ ნამატს, ჭარბ მოგებას, რომელიც, მიწის კერძო საკუთრების მონოპოლიის ძალით, აბსოლუტური რენტის სახით გადადის მიწათმფლობელის ხელში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს რამდენიმე შედეგი: პირველი, კაპიტალიზმის პირობებში, მიწის რენტის სახით უამრავი სახსრები გადადის მიწათმფლობელთა ხელში. ეს სახსრები იხარჯება მიწათმფლობელთა პირადი

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. IV, რუსული გამოცემა, გვ. 190.
[2] იქვე, გვ. 194.
[3] იქვე.
[4] იქვე.

მოხმარების დასაკმაყოფილებლად, უმთავრესად ქალაქად, რაც წარმოადგენს არაპროდუქტიულ, პარაზიტულ მოხმარებას. ეს სახსრები სოფლის მეურნეობისათვის დაკარგულია. ისინი სოფლად საწარმოო ძალების განვითარებას ალარ ხმარდებიან. ცხადია, ეს ფაქტი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია კაპიტალიზმის დროს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენისა.

მეორე შედეგი, მიწაზე კერძო საკუთრების და რენტის არსებობა, მოიჯარადრე კაპიტალისტს უკარგავს იმის სტიმულს, რომ ფართოდ გაატაროს ისეთი რაციონალური ღონისძიებანი, როგორიცაა მელიორაცია, ტყის გაშენება და სხვ. იჯარის ვადის გასვლის შემდეგ მიწა, ყოველგვარი ნაგებობებით და გაუმჯობესებებით, მიწათმფლობელს უბრუნდება, ამიტომ მოიჯარადრე კაპიტალისტი არაა დაინტერესებული, რომ მიწის გაუმჯობესება იყოს ხანგრძლივი ან სამუდამო. ცხადია, ესეც ერთ-ერთი მიზეზია სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების ჩამორჩენისა კაპიტალიზმის დროს.

მესამე შედეგი, კერძო საკუთრებით გამოწვეული, მიწის მემკვიდრეობით გადაცემა, იწვევს მეურნეობის დაჭუცმაცებას. ხოლო თუ ერთმა მემკვიდრემ მიიღო მიწა, ის მოვალეა სხვა მემკვიდრეებს ფულით გადაუხადოს მიწის ფასი. ამიტომ ასეთი მემკვიდრე სესხულობს ფულს მიწის დაგირავებით და ვარდება იპოთეკურ ვალში. ცხადია, დაჭუცმაცებულ, ან იპოთეკურ ვალში ჩავარდნილ წვრილ მეურნეობას არ გააჩნია იმის უნარი, რომ გამოიყენოს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო რთული იარაღ-ნანქანები. ესეც ერთ-ერთი მიზეზია სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების ჩამორჩენისა კაპიტალიზმის დროს.

მეოთხე შედეგი: მიწაზე კერძო საკუთრების არსებობის გამო სახსრების დიდი რაოდენობა მოიხმარება მიწის ყიდვაზე. სახსრების ამგვარი დახარჯვა არა-პროდუქტიული დახარჯვაა. მიწის ფასი კი სულ მეტად და მეტად იზრდება. იმპერიალიზმის ეპოქაში განსაკუთრებით გაიზარდა მიწის ფასი. მიწის ფასის ზრდის მიზეზი არის ძირითადად მიწის რენტის განუწყვეტელი ზრდა. ცხადია, მიწის საყიდლად უაზრავი სახსრების გაცდენა აბრკოლებს სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალების განვითარებას.

ამრიგად, მიწაზე კერძო საკუთრების და მიწის რენტის არსებობის შედეგად, კაპიტალიზმის პირობებში, სოფლის მეურნეობა შედარებით მრეწველობასთან ძლიერ ჩამორჩება და წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის ძლიერ ღრმავდება.

2) ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის ზრდის ერთ-ერთი მაჩვენებელია ქალაქების უზომო ზრდა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე, ანუ სამრეწველო მოსახლეობის ზრდა სამეწარმეო მოსახლეობის ხარჯზე. კაპიტალისტური წყობილების დროს ქალაქი ართმევს სოფელს მუშაკებს, ხოლო სამაგიეროდ დახმარებას ის არ უწევს სოფელს, პირიქით, ის ეწევა სოფლის ექსპლოატაციას. ამის შესახებ ლენინი წერს: „კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილ წინააღმდეგობას ქალაქების კულტურასა და სოფლის ბარბაროსობას შორის უსათუოდ აქეთკენ მივყევართ“[1].

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. II, რუს. გამოც., გვ. 456.

კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება მოასწავებს მიწათმოქმედებიდან მოსახლეობის სულ უფრო და უფლო მეტი წილის ჩამოშორებას და საბრეწველო მოსახლეობის ზრდას. მრეწველობაში ცვალებადი კაპიტალი შეფარდებით მუდმივ კაპიტალთან მცირდება. „მიწათმოქმედებაში,—წერს მარქსი,—ცვალებადი კაპიტალი, რომელიც საჭიროა მიწის განსაზღვრული ნაკვეთის საექსპლოატაციოდ, მცირდება აბსოლუტურად; ე. ი. შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი მიწა დამუშავდება, მაგრამ ეს თავის მხრივ გულისხმობს არამიწათმოქმედი მოსახლეობის კიდევ უფრო მეტად გაზრდას“ [1].

მიწის გარკვეულ ნაწილზე ცვალებადი კაპიტალის აბსოლუტური შემცირება იწვევს სოფლად შეფარდებით „ჭარბ“ მოსახლეობის ზრდას, რაც სოფლად ფარული „ჭარბი“ მოსახლეობის სახით გვევლინება კაპიტალიზმის დროს. ასეთი „ჭარბი“ მოსახლეობის ნაწილი მიედინება ქალაქად სამუშაოს საძებნელად, ნაწილი კი რჩება სოფლად და ელებს იქ სამუშაოს.

იმპერიალიზმის ეპოქაში, განსაკუთრებით კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში, სოფლიდან ჩამოსული პროლეტარის მიერ სამუშაოს შოვნა ქალაქად გაძნელებულია. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში არსებობს უმუშევართა მუდმივი არმიები, ანუ ქრონიკული უმუშევრობა და, რასაკვირველია, სოფლიდან მოსულ „ჭარბ“ მოსახლეობას სამუშაოს შოვნა გაუჭირდება. ამიტომ სოფლიდან ჩამოსული უმუშევრები ფაქტიურად უერთდებიან ქალაქელ უმუშევრებს და, ამრიგად, ადიდებენ მუდმივ უმუშევართა რიგებს ქალაქად. სოფლად დარჩენილი ფარული „ჭარბი“ მოსახლეობის ნაწილი ეწევა ბატრაკობას, თუ იშოვა ამგვარი სამუშაო. ჩვეულებრივ ამ კატეგორიის მუშების ხელფასი ძლიერ დაბალია. ექსპლოატატორი—კაპიტალისტი მათ ართმევს არა მხოლოდ ზედმეტ პროდუქტს, არამედ აუცილებელი პროდუქტის ნაწილსაც.

სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში მრეწველობის, საწარმოო ძალების, სიმდიდრის, კულტურის განვითარება წარმოებდა უმთავრესად მათი ქალაქად კონცენტრაციის გზით. ქალაქმა, როგორც წერენ მარქსი და ენგელსი, „მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოსხლიტა სოფლური ცხოვრების იდიოტიზმს“ [2]. ქალაქში სოფლიდან მოსული პროლეტარები უკეთ ეცნობიან საზოგადოებრივ საკითხებს და კლასობრივ დაპირისპირების მიზეზებს, რაც ხელს უწყობს მათ კლასობრივ შეგნების ამაღლებას. ქალაქში წარმოებს არა სხოლოდ მრეწველობის კონცენტრაცია, არამედ მუშათა კლასის თავმოყრა, ცნრაზმვა. სწორედ ქალაქიდან იწყება პროგრესული, კომუნისტური იდეები. კომუნისტური მოძრაობა პირველად ყოველისა „ქალაქიდან გამომდინარეობს“ [3].

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. მე-2, გვ. 165.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1940 წ., ქართ. გამოც., გვ. 31.

[3] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. IV, გვ. 338.

იმპერიალიზმის ეპოქაში, განსაკუთრებით კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში, სოფლის მეურნეობაში ბანქანების ნაწილობრივი გამოყენება იწვევს მუშა ხელის კიდევ მეტ შემცირებას, ანუ „ჭარბი" მოსახლეობის ზრდას. რადგან გაპროლეტარებულ გლეხს ქალაქად სამუშაოს შოვნის იმედი არა აქვს, ამიტომ სოფლის „ჭარბი" მოსახლეობის დიდი ნაწილი ისევ სოფლად რჩება. ფარული შეფარდებით „ჭარბი" მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი სოფლად უსაქმოდაა, გამცდარია, რაც სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალების განვითარების შეფერხების ერთ-ერთი მაჩვენებელია.

3) ქალაქის და სოფლის დაპირისპირების შემდგომი მაჩვენებელია მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის მიერ წვრილი გლეხური მეურნეობის ვაძეკლობა იქ, სადაც ფეხი მოიკიდა საქონლით ვაჭრობამ და ვაჭრობამ, რაც ხელს უწყობს დიფერენციაციის პროცესის გაღრმავებას. გაძევების პროცესი წლობით გრძელდება და გამოიხატება წვრილი მეურნეობის პირობების თანდათან გაუარესებაში, მის დარბევაში და გლეხის შორის აუტანელ დაძაბულობაში, ცხოვრების და ცხოვრების გაუარესებაში, მიწის სასუქით პატივისა და ტექნიკის ცუდი დაცვაში და სხვ.[1].

ასეთი გაღატაკებული წვრილი გლეხობა, კაპიტალიზმის დროს იტანს დიდ გაჭირვებას იმ იმედით, რომ როგორმე შეინარჩუნოს პატარა ნაკვეთ მიწაზე ცოდო საკუთრება. წვრილი გლეხური მეურნეობა სრულიად გამორიცხავს გაფართოებული რეპროდუქციის შესაძლებლობას, მას ყოველთვის არა აქვს ცხარი მარტივი რეპროდუქციისაც. მარქსი მართებულად შენიშნავს: „პარცელური საკუთრება თავისი ბუნების მიხედვით გამორიცხავს: შრომის საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარებას, შრომის საზოგადოებრივ ფორმებს, კაპიტალების საზოგადოებრივ კონცენტრაციას, მეცნიერების პროგრესულ გამოყენებას"[2].

კაპიტალისტური მსხვილი მეურნეობის მიერ წვრილი გლეხური მეურნეობის გაძევების პროცესს ზოგჯერ არახელსაყრელი ფაქტორი ახლავს: სოფლიდან გაპროლეტარებული გლეხების წასვლა სამრეწველო ქალაქებში იწვევს ხელის სიმცირის საშიშროებას უქმნის სოფლად კაპიტალისტურ მსხვილ მეურნეობას. ამიტომ მუშახელის შენარჩუნების მიზნით, მსხვილი მეუნეობა ზოგჯერ მიმართავს გაღატაკებულ გლეხისადმი მიწის ნაკვეთის მიყიდვას, ან იჯარით მიცემას კაბალურ პირობებში, ადგილზე მუშა ხელის შენარჩუნების მიზნით[3].

კაპიტალისტური მსხვილი მეურნეობა იწვევს და ძლიერ აჩქარებს სამუშაო ძალის ფლანგვას და მიწის ნიადაგის გამოფიტვას. მარქსი გვასწავლის: „თუ მიწის წვრილი საკუთრება ქმნის... კლასს, რომელიც პრიმიტიული საზოგადოებრივი ფორმების ყველა უხეშობას განათლებული ქვეყნების ყოველ ტანჯვასა და სიღატაკესთან აკავშირებს, საბაგიეროდ მიწის მსხვილი საკუთ-

[1] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XVII, გვ. 619.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, მე-2 ნაწ., გვ. 326.

[3] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, რუსული გამოც., ტ. II, გვ. 453 და ტ. III, გვ. 129.

რება ანადგურებს სამუშაო ძალას იმ უკანასკნელ ადგილას, სადაც მისი პრიმიტიული ენერგია ინახება და სადაც იგი სარეზერვო ფონდის სახით ნაციონა-თა სასიცოცხლო ძალის აღსადგენად გოოვდება, ე. ი. თვით სოფლად. მსხვილი ინდუსტრია და ინდუსტრიალურად წარმოებული მსხვილი მიწათმოქმედება ხელიხელ ჩაკიდებული მოქმედებს“ [1].

4) კაპიტალისტური მსხვილი მრეწველობის განვითარებაც აღრმავებს წინააღმდეგობას ქალაქსა და სოფელს შორის. კაპიტალიზმის დროს სოფლის მეურნეობის სრული ინდუსტრიალიზირება შეუძლებელია მიწაზე კერძო საკუთრებისა და წვრილი, დაქუცმაცებული მეურნეობის არსებობის გამოც. ამიტომ იქ. სოფლის მეურნეობაში, შეუძლებელია მეცნიერების და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა სრული გამოყენება.

კაპიტალისტურ სოფლის მსხვილ მეურნეობაში არსებული თანამედროვე ტექნიკა არაა რაციონალურად გამოყენებული, ე. ი. მისი საწარმოო სიძლავრის გამოყენება ძლიერ დაბალ დონეზე დგას. თანაც მსხვილ მეურნეობაში გამოყენებული თანამედროვე ტექნიკა კიდევ უარეს მდგომარეობაში აგდებს წვრილ გლეხურ მეურნეობას, რომლისთვისაც ეს ტექნიკა მიუწვდომელი და გამოუყენებელია. სოფლად კაპიტალისტურ მსხვილ მეურნეობაში თანამედროვე ტექნიკის გამოყენება იწვევს წვრილი მეურნეობის დარბევას, გაპარტახებას და აძლიერებს მისი გაძევების პროცესს.

კაპიტალიზმი, განსაკუთრებით იმპერიალიზმის ეპოქაში, იწვევს სოფლად საწარმოო ძალების ველურ ექსპლოატაციას. ამის შედეგია ტყეების გაჩანაგებით და მიწის ექსპლოატაციის ბარბაროსული მეთოდებით გამოწვეული ნიადაგის ძლიერი გამოფიტვაც. კაპიტალიზმი „წარმოშობს ისეთ პირობებს, რომელნიც გაუმთელებელ ნაპრალს იწვევენ ნივთიერებათა საზოგადოებრივი და ცხოვრების ბუნებრივი კანონების შიერ ნაკარნახევი ცვლის პროცესში, რის გამოც მიწის ძალა იფლანგება“ [2].

5) ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის ერთ-ერთ გამომხატველებას წარმოადგენს განსხვავება მიწათმოქმედების პროდუქტების ფასების დაბალ დონესა და მრეწველური საქონლის ფასების მაღალ დონეს შორის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალაქელ მომხმარებელ მშრომელთა მასას შეეძლოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები უშუალოდ შეიძინოს ფლეხობიდან დაბალ ფასებში. ქალაქელ მშრომელ მომხმარებელთა და მიწათმოქმედების პროდუქტების გამყიდველ გლეხობას შორის გაჩხერილია გადამყიდველი — მონოპოლიები. ეს გადამყიდველები გლეხობისაგან იძენენ პროდუქტებს დაბალ ფასებში, ხოლო ქალაქად ჰყიდიან მაღალ ფასებში და ამრიგად დებულობენ დიდ მოგებას. ასეთი მოგების წყაროს წარმოადგენს გლეხობის ექსპლოატაცია. ესეც, ცხადია აღრმავებს წინააღმდეგობას ქალაქსა და სოფელს შორის იმპერიალიზმის ეპოქაში.

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, III ტ., II ნაწ., გვ. 331.

[2] იქვე.

6) იმპერიალიზმის ეპოქაში ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის ზრდის შემდეგი მაჩვენებელია კაპიტალის გატანა საზღვარგარეთ. წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის ატარებს საერთაშორისო ხასიათს, რაც გაპოხიერებულია წინააღმდეგობაში მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის. კოლონიები—იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრალური დანამატია. ისინი ბელსაყრელ ბაზრებად, ნედლეულის წყაროდ, „ჭარბი" კაპიტალის დაბანდების სფეროდ არიან ქცეული. მიწათმოქმედების განვითარების დონე კოლონიებში უფრო ჩამორჩენილია, ხელფასი დაბალია, მოგების დონე კი მაღალი. კაპიტალის გატანა და მისი დაბანდება კოლონიებში მაღალი მოგების ნორმის მიღების მიზნით წარმოადგენს არსებით ნიშანს იმპერიალისტური ქალაქის მიერ კოლონიალური სოფლის ექსპლოატაციისათვის.

მეტროპოლიაში—იმპერიალისტურ სახელმწიფოში „ჭარბი" კაპიტალის არსებობა შედეგია კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარებისა. მიწათმოქმედების ძლიერი ჩამორჩენისა მრეწველობასთან შედარებით, მშრომელთა მასების გაღატაკებისა[1]. იმის ნაცვლად, რომ ეს „ჭარბი" კაპიტალი გამოყენებულ იქნას მიწათმოქმედების სწრაფი განვითარებისა და მშრომელთა საკეთილდღეოდ, ის ძირითადად გააქვთ კოლონიებში მაღალი მოგების მიღების მიზნით, რაც, ცხადია, ერთ-ერთი მაჩვენებელია იმპერიალიზმის ეპოქაში ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის შემდგომი გამწვავებისა.

8. ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობამ გაუგონარ სიღრმეს მიაღწია ფაშისტურ გერმანიაში. მსოფლიოზე გაბატონების მიზნით დაწყებული ომისათვის გერმანიის ფაშისტებმა მშრომელთა გაძარცვის შედეგად მიღებული სახსრების დიდი რაოდენობა სამხედრო მრეწველობის ზრდას მოანდომეს. მაგრამ ისინი უძლურნი აღმოჩნდნენ შესაბამისი სახსრები დაებანდებინათ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რამაც გამოიწვია დისპროპორციისა და წინააღმდეგობის გადიდება მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის. ფაშისტური აგრარული პოლიტიკის გატარებამ გამოიწვია წვრილი მიწათმოქმედებისა და გლეხობის მძაფრი დიფერენციაცია.

პროლეტარულ და ნახევრად-პროლეტარულ მილიონობით გლეხობის საკუთარი პატარა მეურნეობა ძლიერ დაავალიანებული იყო და ის იმყოფებოდა უმწეო მდგომარეობაში. ხოლო კულაკებისა და მემამულეების ხელში მიწების რაოდენობა კიდევ მეტად გაიზარდა. განსაკუთრებით გადიდებულ იქნა მეურნეობათა რიცხვი, რომელთაც 100 ჰექტარამდე ნაკვეთი ჰქონდათ. ეს აიხსნებოდა ფაშისტების პოლიტიკით, რომ სოფლად ჰყოლოდათ საყრდენი სოციალური ბაზა კულაკებისა და მემამულეების სახით.

ფაშისტებისათვის სოფლად ბურჟუაზიული საყრდენის გაძლიერების ცდას წარმოადგენდა მემკვიდრეობითი მფლობელობის შენარჩუნება. გლეხური მეურნეობიდან გამოყოფილი, პრივილეგიებით აღჭურვილი სამემკვიდრეო მეურნეობანი წარმოადგენდნენ მსხვილ-კულაკურ, კაპიტალისტურ მეურნეო-

[1] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. XIX, გვ. 120.

ბას, რომელიც ექსპლოატაციას უწევდა წვრილსა და გაპროლეტარებულ გლეხებს. ფაშისტური აგრარული პოლიტიკის შედეგად გერმანიაში დაიწია პოსაელიანობამ, შემცირდა ნათესი ფართობები. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე ბევრი აეროდრომების, ყაზარმების, საზღვრებზე სიმაგრეების და ავტოსტრატების შენებამ.

გერმანელი ფაშისტების ბრძეცური დამოკიდებულება გლეხობისადმი კოველად აუტანელი იყო მათ მიერ დროებით დაპყრობილ ქვეყნებში. საბჭოთა კავშირში ფაშისტური გერმანიის მიერ დროებით დაპყრობილ რაიონებში ჰიტლერელი არამზადები ცდილობდნენ კოლმეურნეობები გერმანელ ბატონთა საერთო მსხვილ მეურნეობად ექციათ, სადაც ყმებივით უნდა ემუშავათ საბჭოთა გლეხებს.

ჰიტლერელთა განგაში გერმანელთა სხვა ქვეყნებში გადასახლების შესახებ კიდევ იმ მიზანს ისახავდა, რომ შინაგანი წინააღმდეგობის გამწვავებისათვის ღარიბი და საშუალო გლეხობის ყურადღება აეცილებინათ. უმიწაწყლო გლეხების მიწით უზრუნველყოფის საკითხის ბოგვარება სხვა ქვეყნებში გადაიტანეს. ეს მაშინ, როდესაც თვით გერმანიაში მიწების დიდი რაოდენობა მსხვილი მემამულეების ხელში იყო.

გერმანელი უმიწაწყლო გლეხი ხედავდა, რომ მისთვის საჭირო მიწები შლომად მოიპოვებოდა თვით გერმანიაში, მაგრამ ეს მიწები ეპყრათ კულაკებს და მემამულეებს. ეს აღრმავებდა წინააღმდეგობას ღარიბ გლეხობასა და მემამულეთა შორის.

ფაშისტებმა გაძარცვეს და დაანგრიეს ათასობით სოფლები და ქალაქები, მათ მიერ დროებით ოკუპირებულ ქვეყნებში შექმნეს შუასაუკუნეებრივი ბატონყმური წესები, წოდებრივი კარჩაკეტილობა, ხალხთა შორის კი გააღვივეს რასიული ანტაგონიზმი. საბჭოთა ხალხმა და მისმა სახელოვანმა არმიამ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გაანადგურა ჰიტლერული გერმანია და იხსნა ევროპა ფაშისტური მონობისაგან.

9. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები დიდ ყურადღებას აქცევენ ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობას. მათი აზრით, კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობა წარმოადგენს.

ლენინი აღნიშნავს, რომ კომუნისტური პარტია „ამ წინააღმდეგობის მოსპობაში ხედავს კომუნისტურ მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანაოაგანს"[1].

კაპიტალიზმის აპოლოგეტები, ბურჟუაზიული მოაზროვნეები უარყოფენ ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობას. ეს წინააღმდეგობა მათ მიაჩნიათ მარადიულ მოვლენად.

სოციალისტ-უტოპისტები, რუსი განმანათლებლები კი ოცნებობდენ ამ მოსპობაზე. მაგრამ მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა უჩვენეს

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. XXIV, გვ. 107.

წინააღმდეგობის სწორი გზები და საშუალებები ამ წინააღმდეგობის მოსპობისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, რომ მხოლოდ სოციალისტური წყობილების გამარჯვების საფუძველზე ხდება სოფელსა და ქალაქს შორის წინააღმდეგობის მოსპობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მოასწავებდა, ამავე დროს, ქალაქსა და სოფელს შორის ძველი დამოკიდებულების რადიკალურ შეცვლას ჩვენში. მოისპო ანტაგონიზმი ქალაქსა და სოფელს შორის. დღიდან ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით შეიქმნა მთავარი და გადამწყვეტი წინაპირობა ქალაქსა და სოფელს შორის დარჩენილი წინააღმდეგობის მოსპობისათვის. მუშათა კლასის დიქტატურის გაბატონების შედეგად ქალაქი იქცა სოციალისტურ ქალაქად. თუ წინათ ბურჟუაზიული ქალაქი ეწეოდა სოფლის ექსპლოატაციას, სამაგიეროდ, ბურჟუაზიის დამარცხების შემდეგ, სოციალისტური ქალაქი, პირიქით, ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევს სოფელს. გატარდა მიწის ნაციონალიზაცია. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე მშრომელმა გლეხობამ უფასოდ მიიღო განუზომელი დახმარება. კერძოდ მიიღო ხაზინისა, მონასტრებისა და მემამულეების 150 მილიონზე მეტი ჰექტარი მიწა. გლეხობა განთავისუფლდა მიწის ყიდვის აუტანელი ხარჯებისაგან. ამას გარდა წინათ გლეხობა დაახლოებით 500 მილიონ ოქროს მანეთს უხდიდა ყოველ წელს მიწის იჯარისათვის მემამულეებს. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, მიწის ნაციონალიზაციის გატარებით განთავისუფლებულ იქნა გლეხობა ამ დიდი ხარჯებისგანაც. ასეთი რეალური დახმარების მიღების შედეგად შეიქმნა პირობები სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა. ქალაქსა და სოფელს შორის დამყარდა ახალი ურთიერთობა. ამ ახალი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს მტკიცე კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, ისეთი კავშირი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქსა და სოფელს შორის ამხანაგურ თანამშრომლობას, ურთიერთ დახმარებას. ამრიგად, დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გამოუთხარა ძირი და მოსპო ანტაგონიზმი სოფელსა და ქალაქს შორის.

ერთბაშად შეუძლებელი იყო ქალაქსა და სოფელს შორის საუკუნეობრივი წინააღმდეგობის სრულიად მოსპობა. ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო მათ შორის არსებული ანტაგონიზმი და საფუძველი ჩაუყარა პროცესს ქალაქსა და სოფელს შორის დარჩენილი წინააღმდეგობის თანდათან ლიკვიდაციისათვის.

ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის საბოლოო მოსპობა ნიშნავს მრეწველობისა და მიწათმოქმედების ისეთ შეერთებას, როდესაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა აღარ ჩამორჩება სამრეწველო ტექნიკას. როდესაც საბიწათმოქმედო შრომა იქნება ინდუსტრიული შრომის ერთ-ერთი ფორმა ანუ სახესხვაობა, როდესაც კოლმეურნეობის საარტელო ფორმის ყოველმხრივ გამოყენებისა და გავლის შემდეგ შესაძლებელი იქნება თანდათან გადასვლა სასოფლო-სამეურნეო კომუნაზე. დღევანდლამდე, ქალაქსა და

სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობის პროცესმა ორი მთავარი ფაზა განელო საბჭოთა კავშირში. წინააღმდეგობის მოსპობის პროცესის ეს ორი ფაზა სრულიად შეესაბამება სოციალისტურ სახელმწიფოს და სოციალისტური მშენებლობის მიერ განვლილ ორ მთავარ ფაზას.

პირველი ფაზა, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, ეს არის პერიოდი ოქტომბრის რევოლუციიდან ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციამდე[1]. ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციამდე წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის არსებობდა, როგორც წინააღმდეგობა სოციალისტურ ქალაქსა და ძირითადად წვრილ საქონლურ მეურნეობის ხასიათის მქონე სოფელს შორის, როგორც წინააღმდეგობა გაფართოებული რეპროდუქციის გზით სწრაფად წინ მიმავალ მსხვილ სოციალისტურ მრეწველობასა და ძირითადად გლეხურ დაქსაქსულ წვრილ საქონლურ მეურნეობას შორის. წვრილ მეურნეობას კი გაფართოებული რეპროდუქციის უნარი არ გააჩნდა. ასეთ ერთპიროვნულ წვრილ საქონლურ გლეხურ მეურნეობას არ შეეძლო უზრუნველეყო სოფლის მეურნეობის განვითარება და გლეხობის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება. ერთადერთ გზას და გამოსავალს წარმოადგენდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში. „რა არის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა? ეს არის — გვასწავლის ამხანაგი სტალინი — ჩვენი ქვეყნის შინაგანი ძალებით პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებულ წინააღმდეგობათა გადაჭრის შესაძლებლობა, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების და ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ამ ძალაუფლების გამოყენების შესაძლებლობა, სხვა ქვეყნების პროლეტარების თანაგრძნობისა და მხარის დაჭერის ღირს, მაგრამ სხვა ქვეყნებში პროლეტარული რევოლუციის წინასწარი გამარჯვების გარეშე"[2].

პირველ ფაზაზე ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობის პროცესის შინაარსს წარმოადგენდა გაშლილი ბრძოლა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის, ლენინ-სტალინის კოოპერაციული გეგმის განხორციელებისათვის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის, ბრძოლა კულაკობის, როგორც კლასის მოსპობისათვის.

ხალხის მტრები ტროცკისტები, ბუხარინელები სასტიკ ბრძოლას ეწეოდნენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისა და სოციალიზმის აშენების წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხმა გაანადგურა ფაშიზმის ტროცკისტულ-ბუხარინული აგენტები. ამხანაგმა სტალინმა გენიალურად დაამუშავა საკითხი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა, სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის და ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი ფორმათა შესახებ. 1929 წლის აპრილში ამხანაგი სტალინი ამბობდა: „... ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ ჩვენი ინდუსტრია, როგორც სასოფლო-სამეურნეო

[1] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები. XI ვამოცემა, გვ. 749.

[2] იქვე, გვ. 176—177.

წარმოების ძირითადი მასაზრდოებელი წყარო, მისი რეკონსტრუქციის სახით, უნდა განვაგითაროთ მეტალურგია, ქიმია. შანქანათმშენებლობა, უნდა ვაშენოთ სატრაქტორო ქარხნები, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნები და სხვ. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ შეუძლებელია კოლმეურნეობათა განვითარება, შეუძლებელია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განვითარება, თუ გლეხობის ძირითად ძალებს არ წავწევთ სამეურნეო საქმიანობის კოლექტიური ფორმებისაკენ სასობრივი კონტრაქტაციის საშუალებით, თუ სოფლის მეურნეობას საკმაო რაოდენობით არ მოვამარაგებთ ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და სხვ. მაგრამ სოფლის მომარაგება ტრაქტორებით და მანქანებით შეუძლებელია, თუ გაძლიერებული ტემპით არ განვავითარეთ ჩვენი ინდუსტრია! აქედან — ჩვენი ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი, რაც წარმოადგენს კოლექტივიზმის ბაზაზე სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გასაღებს. ასეთია ქალაქისა და სოფლის კავშირის ახალ ფორმათა აზრი და მნიშვნელობა“ [1].

აქ მოცემულია მოქმედების პროგრამა მრეწველობისა და მიწათმოქმედების დაახლოებისათვის, ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობ ისათვის.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წარმოებული ისტორიული ბრძოლა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის შესახებ დაგვირგვინდა გამარჯვებით: 1929 წელს გლეხობამ ნასობრივად იბრუნა პირი კოლმეურნეობისაკენ. ვატარდა მთლიანი კოლექტივიზაცია, განადგურებულ იქნა კულაკობა, როგორც კლასი. კოლექტივიზაცია უშუალო შედეგი იყო, ერთი მხრივ, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა, რომელიც ტექნიკურ-მატერიალური ბაზა და მასაზრდოებელი წყაროა სოფლის სოციალისტური მეურნეობის, და, მე რე ხრივ, ლენინ-სტალინის კოოპერაციული გეგმის სწორად განხორციელებისა.

შეუძლებელი იყო საბჭოთა კავშირის ორ საყრდენზე დიდხანს ბაზირება — ერთი მხრივ, სწრაფად ზარდ მსხვილ სოციალისტურ მრეწველობაზე და, მეორე მხრივ, წვრილ დაქუცმაცებულ გლეხურ ერთპიროვნულ მეურნეობაზე. ამხანაგი სტალინი 1929 წელს აგვარიკოს მარქსისტთა კონფერენციაზე აღნიშნავდა: „შეიძლება თუ არა ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაეყრდნოს საბჭოთა ხელისუფლება და სოციალისტური მშენებლობა ორ სხვადასხვანაირ საფუძველს — უაღრესად მსხვილ და გაერთიანებულ სოციალისტურ მრეწველობის საფუძველს და უაღრესად დაქუცმაცებული და ჩამორჩენილი წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობის საფუძველს? არა, არ შეიძლება. ეს როდისმე უნდა დამთავრდეს მთელი სახალხო მეურნეობის სრული მოშლით. მაშ სად არის გამოსავალი? გამოსავალი იმაშია, რომ გავამსხვილოთ სოფლის მეურნეობა, მიეცეთ მას დაგროვების, გაფართოებული რეპროდუქციის უნარი და ამრიგად გარდავქმნათ სახალხო მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ბაზა“ [2].

---

[1] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები. XI გამოც., გვ. 302—303.

[2] იქვე, გვ. 349—350.

ამხანაგმა სტალინმა ზედმიწევნით ზუსტად დააბუშავა საკითხი სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შესახებ. 1929 წელს დაწყებული გარდატეხა სოფლის შემდგომი განვითარების საქმეში იყო სოფლის მეურნეობის გაშლილი სოციალისტური რეკონსტრუქცია. სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია „იყო უღრმესი რევოლუციური გადატრიალება, ნახტომი საზოგადოების ძველი თვისობრივი მდგომარეობიდან ახალი თვისობრივი მდგომარეობისაკენ, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციური გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობისა იყო“ [1].

ამრიგად, ლენინ-სტალინის პარტიის ხელძღვანელობით უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარების შედეგად პირველი ფაზის დამთავრებისას ბიღწეულ იქნა სოფლად:

ა) მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შექმნა, რომელსაც უნარი აქვს დაგროვებისა და ვაფართოებელი რეპროდუქციისა, თანამედროვე მეცნიერების და ტექნიკის მიღწევათა საუკეთესო გამოყენებისა, რაც ხელს უწყობს კოლმეურნეობათა გაძლიერებას და კოლმეურნეთა ბრონის ნაყოფიერების და მატერიალური დონის ზრდა.

ბ) წვრილ-გლეხურ მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის შედეგად საბჭოთა ხელისუფლებისათვის შექმნა ერთი მთლიანი სოციალისტური ბაზა. ქალაქადაც და სოფლადაც არსებობს სრულად გაბატონებული სოციალისტური საკუთრება და მეურნეობის სოციალისტური სისტემა. მოიშალა წინააღმდეგობა სოციალისტურ ქალაქსა და დაქუცმაცებულ წვრილ გლეხურ მეურნეობას შორის, რადგან წვრილი გლეხური მეურნეობა გარდაქმნილ იქნა მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად.

გ) მოისპო კერძო საკუთრება წარმოების ძირითად საშუალებებზე, ისინი წარმოადგენენ სოციალისტურ საკუთრებას. მოსპობილ იქნა ექსპლოატატორთა კლასები. ზემოაღნიშნული დიადი ისტორიული მიღწევების შედეგად საგრძნობლად შემცირდა წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის. აღნიშნული დროიდან ქალაქებისა და ბრძნველობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით და ტექნიკური ნედლეულით მომარაგება ეყრდნობა სოციალისტურ მსხვილ სოფლის მეურნეობას.

სოციალისტური საბელწიფოს მეორე ფაზის დაწყებასთან შესაბამისად დაიწყო სოფელსა და ქალაქს შორის დარჩენილ სხვაობის ლიკვიდაციის მეორე ფაზა. „მეორე ფაზა,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—ეს არის პერიოდი ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციიდან მეურნეობის სოციალისტური სისტების სრულ გამარჯვებამდე და ახალი კონსტიტუციის მიღებამდე“ [2].

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, მთლიანი კოლექტივიზაციის გატარების და ექსპლოატატორთა კლასების მოსპობის შედეგად ქალაქადაც და სოფლადაც

---

[1] საკ. კპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 371.

[2] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები. XI გამოც., გვ. 750.

საბჭოთა კავშირის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენს მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება წარმოების იარაღებზე და საშუალებებზე. ქალაქადაც და სოფლადაც განხორციელებულია სოციალიზმის პრინციპი—თითოეული მოქალაქე მუშაობს მისი უნარის მიხედვით და ღებულობს შრომის ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით, მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და ბშრომელთა სიღატაკე. ქალაქადაც და სოფლადაც წარმოების სოციალისტური წესის სრული გამარჯვების და მაღალი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის გატარების შედეგად უზრუნველყოფილ იქნა სოციალისტური მშენებლობის ზემდგომი განვითარება და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება.

სოციალისტური მიწათმოქმედება მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილი და მოწინავე ტექნიკით უზრუნველყოფილი მეურნეობაა. მსხვილ სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში შეიქმნილია მსოფლიოში ყველაზე უკეთესი პირობები თანამედროვე მოწინავე სასოფლო-სამეურნეო მანქანების საუკეთესო გამოყენებისათვის. სტალინური ხუთწლედების ბრწყინვალე შესრულების შედეგად სოციალისტური სოფლის მეურნეობა შეიარაღებულ იქნა დიდი რაოდენობის თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. 1919 წლის მარტში ლენინი ამბობდა: „ჩვენ რომ შეგვეძლოს მიეცეთ ხვალ 100 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორი, შეგვეძლოს მოვამარაგოთ ისინი ბენზინით, მოვამარაგოთ ისინი მემანქანეებით (თქვენ მშვენიერად იცით, რომ ჯერ ეს ოცნებაა), ბაშინ საშუალო გლეხი იტყოდა: „მე კომუნი“-ს მომხრე ვარო (ე. ი. კომუნიზმის მომხრე ვარო)“ [1].

ეს „ოცნება“ სულ ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში იქნა საბჭოთა ხალხის ბიერ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ქცეული რეალობად. სინამდვილედ. შექმნილ იქნა ძლიერი სატრაქტორო და საერთოდ თანამედროვე რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმებელი ქარხნები. სოფლის მეურნეობამ მიიღო ასიათასობით ტრაქტორები, კომბაინები, სალეწი და სხვ. მანქანები.

მანქანა-ტრაქტორების სადგურებშია თავმოყრილი სასოფლო-სამეურნეო უმნიშვნელოვანესი მანქანა-იარაღები, ნაწილი კი საბჭოთა მეურნეობების ხელშია. სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მანქანების გამოყენებასთან ერთად გამოიყენება კოლმეურნეობის ცოცხალი გამწევი ძალაც. კოლექტიურ მეურნეობაში მანქანების გამოყენება და საკოლმეურნეო საწარმოების მექანიზაცია წარმოებს ძირითადად მანქანა-ტრაქტორების სადგურების საშუალებით. „სტალინურ ხუთწლედების განმავლობაში ძირითადად დამთავრდა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. 1940 წელს ჩვენს სოფლის მეურნეობას ჰქონდა 530 ათასი ტრაქტორი, 182 ათასი კომბაინი და 228 ათასი სატვირთო ავტომანქანა. კოლმეურნეობებში მთელი ნახნავის სამი მეოთხედი და ნათესის ნახევარზე მეტი 1940 წელს შესრულებული იყო ტრაქტორებით, მარცვლეულთა ფართობის ნახევარზე მოსაიალი აღებულ იქნა კომბაინებით,

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. XXIV, რუს. გამოც., გვ 170.

ბოლო მარცვლეულის რაიონებში ეს წილი კიდევ უფრო მეტი იყო. ჩვენი სოფლის მეურნეობა ნამდვილად გახდა უაღრესად მექანიზებული, იმიტომ, რომ ამერიკასაც კი ტრაქტორით ნახნავი მხოლოდ ნახევარი და ტრაქტორით ნათესი ერთი მესამედი ჰქონდა, ევროპის ქვეყნებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, რომლებიც ამ მხრივ ძალიან ჩამორჩნენ" (ა. ანდრეევი, მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმზე. „ბოლშევიკი", 1947 წ., № 1 – 2, გვ. 68).

ომის შემდგომ სტალინური ხუთწლიანი გეგმით განსაზღვრულია, გადაეცეს სოფლის მეურნეობას არანაკლებ 325 ათასი ტრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო მანქანები 4500 მილიონი მანეთის რაოდენობით (1926/27 წლის უცვლელ ფასებში).

სასოფლო-სამეურნეო შრომა ძირითადად ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად იქცა.

მანქანა-ტრაქტორების სადგურების ბაზაზე არის სრულიად შეთანაწყობილი კოლმეურნეთა ენთუზიაზმი და თვითმოქმედება სახელმწიფო ორგანიზაციულ-ტექნიკურ დახმარებასთან. სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელობით და დახმარებით წარმოებს სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაცია, რაც ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, წარმოების გადიდებას და მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის აღმავლობას. სოციალისტური მძლავრი ინდუსტრიის გარდამქნელი როლი სოფლის მეურნეობის მიმართ ხორციელდება მანქანა-ტრაქტორების სადგურების საშუალებით. სწორედ სოციალისტური ინდუსტრია იძლევა საშუალებას, სოფლის მეურნეობაში ფართოდ იყოს გამოყენებული მანქანათა სისტემა, რაც მოასწავებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგების კომპლექსურ მექანიზაციას. საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული სოფლის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის დიდი როლი.

სამუშაოთა მექანიზაციისათვის უაღრესად მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს საკოლმეურნეო ჰიდრო-ელექტრო სადგურების, ელექტრო დანადგარების და გაზგენერატორების მოწყობა ადვილობრივი სათბობის ბაზაზე. ელექტრიფიკაციის შემდგომი განვითარება კიდევ მეტად უწყობს ხელს ქალაქიდან სოფლად – კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების ახალ ძიღწევათა გადაცემას; იგი ხელს უწყობს შრომწველობის ფართოდ განლაგებას მთელი ქვეყნის ფარგლებში; იგი დააჩქარებს ტექნიკის სწრაფ ზრდას, წარმოების აღმავლობას და ავტომატიზაციის განვითარებას ქალაქად და სოფლად, რითაც აჩქარებს ქალაქსა და სოფელს შორის დარჩენილ სხვაობის მოშლას.

კოლექტივიზაციის საქმეში დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოს მიერ აგებული საბჭოთა მეურნეობები, სადაც, მტს სატრაქტორო პარკის გარდა, ითითასობით ტრაქტორები, კომბაინები და რთული მანქანა-იარაღებია კონცენტრირებული. საბჭოთა მეურნეობანი სანიმუშო, მექანიზირებულ და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მომცემ მახვილ სოციალისტურ მეურნეობას წარმოადგენენ სოფლად. მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობათა შემდგომი გაძლიერების ხარჯზე იზრდება კავშირი ინდუსტრიასა და სოფლის მეურნეობას შორის, რაც

ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის გადაქცევას ინდუსტრიალურ მიწათმოქმედებად. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მაღალი დონე, სოციალისტური სოფლის მეურნეობის შეიარაღება პირველხარისხოვანი ტექნიკით გახდა საბჭოთა კავშირის ძლიერების ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარი.

ქალაქსა და სოფელს შორის პოლიტიკური, საწარმოო, სავაჭრო და კულტურული კავშირის შემდგომი გაძლიერების მატერიალურ ბაზას მსხვილ მრეწველობასთან ერთად წარმოადგენს მზარდი ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. ტრანსპორტის სახეობათა შორის სოფლის და ქალაქის უშუალო კავშირის გაძლიერებაში რკინიგზის შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საავტომობილო ტრანსპორტს. საავტომობილო მრეწველობა სსრ კავშირში სწრაფი ტემპებით ვითარდება. სწრაფად მზარდი საავტომობილო ტრანსპორტისათვის კოლმეურნენი იჩენენ ფართო ინიციატივას სრულყოფილი კარგი გზების გასაყვანად, რაც ხელს უწყობს საავტომობილო გზების ქსელის ზრდას.

სოციალისტური წყობილების შესაბამისად, საწარმოო ძალების განლაგების შედეგად, ინდუსტრიალიზირებულ იქნა წინანდელი აგრარული ოლქები, ხოლო სამრეწველო ოლქებში კი შექმნილ იქნა სასოფლო-სამეურნეო ბაზები.

„ჩვენი ოლქების ძველმა დაყოფამ, აღნიშნავს ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი, სამრეწველო და აგრალურ ოლქებად მოსპამა თავისი დრო“ [1].

ამრიგად, მოსპობილ იქნა დაპირისპირება აგრარულ და სამრეწველო ოლქებს შორის. ლ ე ნ ი ნ - ს ტ ა ლ ი ნ ი ს ნაციონალური პოლიტიკისა და საწარმოო ძალების სოციალისტურად განლაგების ლ ე ნ ი ნ - ს ტ ა ლ ი ნ ი ს მოძღვრების ურყევად გატარების შედეგად ინდუსტრიალიზირებულ იქნა წინათ ჩამორჩენილი ნაციონალური რესპუბლიკები. ამასთან ერთად, საწარმოო ძალების განლაგებას საბჭოთა კავშირში საფუძვლად უდევს წარმოების მიახლოება ნედლეულისა და მოხმარების რაიონებისადმი და ქვეყნის თავდაცვის ინტერესები.

სოფლად კოლმეურნეობებშიც შეიქმნა მთელი ქსელი საშრეწველო საწარმოებისა. „თვით სოფელსაც, - ამბობს ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი, -- ახლა თავისი მრეწველობა აქვს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, სარემონტო სახელოსნოების სახით, კოლმეურნეობათა სხვადასხვანაირი სამრეწველო საწარმოების. მცირეძალოვანი ელექტროსადგურებისა და სხვათა სახით. კულტურული უფსკრული ქალაქსა და სოფელს შორის ივსება“ [2].

მრეწველობა ტერიტორიულად ერთიანდება სოფლის მეურნეობასთან. ქალაქის და სოფლის დაახლოების საქმეში უნდა აღინიშნოს სტალინური კონტიტუციით დაკანონებული და ცხოვრებაში გატარებული საყოველთაო თანასწორი, პირდაპირი, და ფარული საარჩევნო სისტემის დიდი როლი.

ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების მოსპობის საქმეში წამყვან როლს ქალაქი, მუშათა კლასი თამაშობს. ამიტომ ჩვენში ქალაქის ლიკვიდაცია კი

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები. XI გამოც., გვ. 567.

[2] იქვე, გვ. 571.

არ ხდება, არამედ მისი გაძლიერება და განვითარება — ახალი ქალაქების აგება და ძველი ქალაქების ახლებურად გარდაქმნა მიმდინარეობს.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციასთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდა საჭუშაოთა შესრულება ნაკლები რაოდენობის მომუშაევეთა მიერ, რის შედეგად გაიზარდა სოფლიდან ქალაქად სამუშაო ძალის მოზიდვა. კაპიტალიზმის პირობებში სოფლად არსებული შეფარდებითი ჭარბი მოსახლეობის მიზეზი არის კაპიტალის მიერ გლეხობის დარბევა, გაპროლეტარება. ასეთი გაპროლეტარებული გლეხობის დიდი ნაწილი მიდის რა ქალაქში, ვერ შოულობს სამუშაოს და უერთდება და ადიდებს უმუშევართა რიგებს იქ. საბჭოთა კავშირში არ არსებობს შეფარდებითი ჭარბი მოსახლეობა, არაა უმუშევრობა. საკოლმეურნე სოფელში, ინდუსტრიალიზაციისა და შრომის მექანიზაციის წყალობით, სამუშაოთა შესრულება ხდება ნაკლები რაოდენობის მუშა ხელით და ამის შედეგად ხორციელდება სოფლიდან ქალაქად მილიონობით ადამიანების ორგანიზებული წასვლა სოციალისტურ მრეწველობაში სამუშაოდ. ეს გამოხატველია კოლმეურნე გლეხობის მატერიალურ-კულტურული დონის ზრდისა. მრეწველობაში მუშახელის ორგანიზებულად მომზადებისა და განაწილების მიზნით მთავრობასთან შექმნილი სახელმწიფო-შრომითი რეზერვები წარმოადგენს მრეწველობისათვის კადრების მომზადების სტალინური ზრუნვის თვალსაჩინო მაჩვენებელს.

სოციალისტური სოფლის მეურნეობაში წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების, კოლექტიური შრომის არსებობის, შრომის გეგმიანი განაწილების, მექანიზაციის ცალკე დონის პირობებში კოლმეურნე გლეხობას მოეპოება ზრომითი რესურსების უდიდესი შესაძლებლობანი. სამამულო ომის დროს ამ რესურსების სულ მეტი და მეტი რაოდენობა ებმებოდა საკოლმეურნეო წარმოებაში. საკოლმეურნეო სოფელშიც ფართოდ გაიშალა სტახანოვური მოძრაობა, მიმართული შრომის ნაყოფიერების და წოსაელიანობის გადიდებისაკენ.

საკოლმეურნეო სოფელს მოეპოება მუშახელის დიდი რაოდენობა და მას შეეძლო ომის დროსაც დიდი რაოდენობით გაეგზავნა მუშაკები მრეწველობაში. ასეც მოხდა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობაში მუშაობს ასიათასობით და მილიონობით ახალი, მომზადებული კადრები; კოლმეურნეობათა თავმჯდომარები, შემინდვრეები, ბრიგადირები, მერგოლურები, საკოლმეურნეო ფერმების გამგეები, მოანგარიშეები, სარწყავი მეურნეობის მუშაკები, ტრაქტორისტები, კომბაინერები, შოფერები, მექანიკოსები, შემანქანეები, აგრონომები, აგროტექნიკოსები, ვეტექიმები, ზოოტექნიკოსები, ელექტრომონტიორები, ფერშლები, მიწისმხომელები, ექიმები, მასწავლებლები. ამასთან ერთად სოფლად საყოველთაო შვიდწლიანი სწავლების შემოღებამ, კულტურული საგანმანათლებლო ქსელის გაშლამ და გაძლიერებამ, საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოწყობის წინწაწევამ — კულტურულმა რევოლუციამ სრულიად შეცვალა სოფლის სახე. სოფელი კიდევ მეტად დაუახლოვდა ქალაქს.

მხოლოდ საკოლმეურნეო წყობილების ბაზაზე შეიქმნა შესაძლებელი ჩვენში სოფლის მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე სწრაფი გარდაქმნა დიდი სამამულო ომის დროს, წითელი არმიის და ქვეყნის სურსათით და ნედლეულით დროზე მომარაგება.

სამამულო ომის პირობებში კოლმეურნე გლეხობამ გამოიჩინა საბჭოთა პატრიოტიზმი. დიდი სამამულო ომის დროს გლეხობა და მუშათა კლასი კი არ გაეთიშა ერთმანეთს, როგორც ამას იმედოვნებდნენ გერმანელ-ფაშისტი დამპყრობლები, არამედ, პირიქით, ომის დროს კიდევ უფრო შემჭიდროვდნენ მუშები, გლეხები და ინტელიგენცია. სოციალისტური ინდუსტრია და სოფლად საკოლმეურნეო წყობილება და საბჭოთა კავშირის ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა წარმოადგენდნენ საბჭოთა ზურგის უძლეველ სიმაგრეს. კოლმეურნე გლეხობამ ბრწყინვალედ შეასრულა ომის დროის ძნელი ამოცანები. კოლმეურნე გლეხობა საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად ეწევა თავდადებულ შრომას ომის შემდგომ სტალინური ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სოფელი დაუახლოვდა ქალაქს, ბაგრამ მათ შორის სხვაობა ჯერ კიდევ ბოლომდე არაა მოსპობილი. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების წყალობით უკვე შექმნილია ყველა პირობა ქალაქსა და სოფელს შორის დარჩენილი სხვაობის საბოლოო მოსპობისათვის.

ქალაქსა და სოფელს შორის სხვაობის საბოლოო მოსპობისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას შორის დარჩენილი განსხვავების საფუძვლით მოსპობას. ამხ. ბოლოტოვი საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ მუშათა კლასსა და გლეხობას შორის ჯერ კიდევ არსებობს განსხვავება. ამ განსხვავების ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენს განსხვავება სოციალისტურ საკუთრების ორ ფორმას შორის, სახელმწიფო, განსხვავება სახელმწიფო საკუთრებასა და კოოპერაციულ-საარტელო საკუთრებას შორის. კოლმეურნეობაში, განსხვავებით მოეწყვლობისაგან, საზოგადოებრივი საკუთრების გვერდით, არსებობს კოლმეურნეთა პირადი მეურნეობები.

სასოფლო-სამეურნეო არტელი ყველაზე უკეთ ათავსებს ერთმანეთთან კოლმეურნეობაში სოციალისტურ საზოგადოებრივ ინტერესებსა და კოლმეურნის პირად ინტერესებს. არტელია ის ფორმა, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდა გლეხობის გაერთიანება კოლმეურნეობაში და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება. კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შეთავსების სწორად გატარება ნიშნავს ამა პირადი მეურნეობის ზრდას, არამედ სოციალისტური, საზოგადოებრივი საერთო-საკოლმეურნეო ნაწარმოების ზრდას და გაფართოებას. ამხანაგი ანდრეევი საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე აღნიშნავს: „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორი შეთავსება რჩება საკოლმეურნეო წყობილების საფუძვლად"[1].

[1] საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში. გვ 119.

მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას შორის განსხვავების მოსპობის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო და კოოპერაციულ საარტელო საკუთრებათა შორის განსხვავების თანდათან მოშლა და ერთი მთლიანი კომუნისტური საკუთრების დამყარება. ეს კი ნიშნავს დღევანდელი სასოფლო-სამეურნეო არტელის თანდათან გადაზრდას მომავალ სასოფლო-სამეურნეო კომუნაში. „არტელის მომავალ კომუნაში გადაზრდის პროცესი, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — უნდა მიმდინარეობდეს თანდათანობით, იმისდა მიხედვით, როცა ყველა კოლმეურნე დარწმუნდება ასეთი გადაზრდის აუცილებლობაში“[1]. არტელის კომუნაში გადაზრდის პროცესის ხელოვნურად დაჩქარება, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, არ შეიძლება. არტელი თვით შეიცავს შესაძლებლობას მომავალ კომუნაში გადაზრდისათვის. „მომავალი კომუნა, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — წარმოიშობა უფრო განვითარებული ტექნიკისა და უფრო განვითარებული არტელის ბაზაზე, პროდუქტთა გაცვლის ბაზაზე“[2]. მომავალ კომუნაში საბოლოოდ მოისპობა დარჩენილი სხვაობა ქალაქსა და სოფელს შორის. დღევანდელ ეტაპზე კი, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, კოლექტიური მეურნეობის ძირითადი ფორმა არის არტელი და საჭიროა ამ არტელის ორგანიზაციულ-მეურნეობრივი შემდგომი განმტკიცება და გაძლიერება.

წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის, რომელსაც ათასეული წლების ისტორია აქვს, სულ უფრო ბწყვავდება და ღრმავდება იმპერიალისტურ ქვეყნებში. ჩვენს ქვეყანაში კი სოციალისტური საზოგადოების შენებლობის თანდათან დამთავრებისა და კომუნისტურ საზოგადოებაში თანდათან გადასვლის პროცესში საბოლოოდ იშლება დარჩენილი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პოლიტიკური ეკონომიის კათედრა

(შეტანილია რედაქციაში 1944. VIII. 14).

---

[1] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები. გამოც. XI. ვე. 585.
[2] იქვე.

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 1948
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV, 1948

ვ. ჩანტლაძე

თბილისის საქალაქო შემოსავალი რეფორმამდელ პერიოდში (1801—1864 წ. წ.)[1]

I. ნაგურალური ბეგარა

რეფორმამდელ თბილისში არსებობდა ბინის ნატურალური ბეგარა, რომელიც შემოღებულ იქნა აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. ფაქტიურად ეს ბეგარა დაწესდა თბილისში გენერალ ლაზარევის მეთაურობით ჯარის შემოსვლისთანავე. ბინის ნატურალური ბეგარა გამოიხატებოდა იმაში, რომ ბინის მეპატრონეებს ბინაში ჩაუყენებდნენ ხოლმე სამხედრო პირებს და ჯარის ნაწილებს და აგრეთვე სამოქალაქო დარგის მოხელეებს. დაბეგვრის ობიექტი, ამგვარად, იყო ბინა ნატურალური ფორმით. დაბეგვრის სუბიექტი იყო ბინის მეპატრონე, დამოუკიდებლად იმისა, ეკუთვნოდა თუ არა იგი გამომღებელ წოდებას. იბეგრებოდნენ აგრეთვე უმცროსი ხარისხის სამხედრო პირები; მათ ბინებშიც მცირე დროით აყენებდნენ მომსვლელ ნაწილებს[2].

ბინის ნატურალური ბეგარისაგან განთავისუფლებული იყვნენ მხოლოდ ეკლესიის მსახურნი. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად შემავიწროვებელ და მძიმე ბეგარას წარმოადგენდა მოსახლეობისათვის მატერიალურად და მორალურად ეს საბინაო ვალდებულება, განსაკუთრებით თავისი ნატურალობის გამო, — ბინის პატრონებს ერთ ბინაში უნდა ეცხოვრათ ცოლშვილით ჯარის ნაწილებთან ან მოხელეებთან ერთად. ეს განსაკუთრებით საგრძნობი იყო თბილისში 1800-იან წლებში, როდესაც სახლების ჯერ კიდევ ორი მესამედიც არ იყო აღდგენილი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ. გენ. ლაზარევი გენ. კნორინგს ატყობინებდა, რომ თბილისში ჯარის დაბინავებისა და საერთოდ ბინების მხრივ დიდი სივიწროვეაა[3].

---

[1] წარმოადგენს მეორე თავს ავტორის შრომისა: „საქალაქო ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801—1864 წწ)"; დასაწყისი იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები. ტ. III.

[2] Акты, т. IV, стр. 18—19.

[3] Акты, т. I, стр. 348.

თბილისელები იმთავითვე შეაწუხა ამ ბეგარის სიმძიმემ და მათ მიმართეს გენ. კნორინგს თხოვნით, რომ განეთავისუფლებინათ ბინებში ჩაყენებისაგან, მაგრამ უარი ნიშნეს[1]. ამ ბეგარისაგან განთავისუფლების მოთხოვნა წაყენებულ იქნა ციციანოვის დროსაც. ციციანოვმა ნება დართო მსურველებს ბინის ნატურალური ბეგარა ფულით გადაეხადათ. განზრახული იყო ორი ბატალიონი ჯარისათვის ყაზარმების აგება, რისთვისაც ნაანგარიშევი იყო 15.000 მან. ნავარაუდევი იყო ამ თანხის მოსაბლეობაზე განაწილება და, ვინც მასში მონაწილეობას მიიღებდა, მას მისცემდნენ ბილეთს, რომელიც განათავისუფლებდა ბინებში ჩაყენების ბეგარისაგან[2].

თბილისის თავადაზნაურობამ გუდოვიჩის დროსი თხოვა ამ ბეგარისაგან განთავისუფლება, მაგრამ უარი ეთქვა[3]. თბილისში მცხოვრები თავადაზნაურობა, რომელიც არ მსახურობდა და ქალაქში სახლები ჰქონდა, ბინის ნატურალური ბეგარისაგან და საპოლიციო გამოსაღებისაგან არ თავისუფლდებოდა. თავადაზნაურობა თავისუფალი იყო პირადი გამოსაღებისა და სამსახურისაგან. ბინის ნატურალური ბეგარისაგან თავისუფლდებოდა თავადაზნაურობის ის ნაწილი, რომელიც სამოქალაქო ან სამხედრო სამსახურში იყო, თავის სახლში ცხოვრობდა და ვაჭრობას არ მისდევდა[4].

ბინის ნატურალურ ბეგარას ამძიმებდა მისი უთანაბრო განაწილება. ერმოლოვი იძულებული იყო ელიარებინა ეს გარემოება თავის წერილობით მიმართვაში 1816 წ. 30/XII თარიღით აღმასრულებელი კომისიის მიმართ და აღენიშნა, რომ თბილისში ფერხდებოდა სახლების შენებლობა და ბინების გაფართოება, ისინი, რომელთაც ჰქონდათ სახლის აგების ან ბინის გაფართოების შესაძლებლობა არ ცდილობდნენ ამის გაკეთებას ბინის ნატურალური ბეგარის თავიდან აცილების მიზნით.

ბინის ბეგარის უთანაბრო განაწილების ეითომდა გამოსასწორებლად ერმოლოვმა დააარსა თბილისში ბინის კომისია პოლიციმეისტერის თავმჯდომარეობით. კომისიის წევრებად გაყვანილ იქნენ პრივილეგირებული წოდების საზოგადოებებიდან თითო კაცი, რომელთაც თბილისში სახლი ჰქონდათ. ვინაიდან მაშინ თბილისში არ იყო არც ქალაქის მაგისტრატი და არც ქალაქის საბჭო, ამიტომ კომისიას, ბინის ნატურალური ბეგარის გარდა, ბინის საპოლიციო გამოსაღების გამგებლობაც ეკალებოდა. კომისია უნდა ცდილიყო ეს ბეგარა თანაბრად გაენაწილებინა გადამხდელთა შორის, ე. ი. იმ სარგებლობის შესაბამისად, რასაც ბინის პატრონები ღებულობდნენ[5]. მაგრამ ეს არ განხორციელებულა და სინამდვილეში ადგილი ჰქონდა დიდ არევ-დარევას, უთანაბრო და უსამართლო განაწილებას.

---

[1] Акты, т. I, стр. 492.

[2] Акты, т. II, стр. 24.

[3] Акты, т. IV, стр. 228. თბილისის თავადაზნაურობა თავდაპირველად თავისუფალი იყო ბინებში ჩაყენებისაგან, შემდეგში კი გენ. კნორინგის განკარგულებით ისიც დაიბეგრა.

[4] Акты, т. IV, стр. 18—19.

[5] Акты, т. IV, ч. I, стр. 2.

ბინის ნატურალური ბეგარა არსებობდა 1840-იან წლებამდე; შემდეგ იგი შეიცვალა ფულადი გამოსაღებით. მაგრამ ბინის მფლობელებს 1841 წლის შემდეგაც ჰქონდათ უფლება ბეგარა ნატურით გაეღოთ. აგრეთვე საბჭედრო პირებსაც ჰქონდათ უფლება ბინის ფულის ნაცვლად ბინა ნატურით მოეთხოვათ. მაგრამ, როგორც ირკვევა, ასეთი სურვილი არ გამოუჩენიათ არც ბინის პატრონებს და არც საბჭედრო პირებს[1].

II. გადასახადები

რეფორმამდელი თბილისის საქალაქო შემოსავლის ძირითად წყაროს გადასახადი შეადგენდა. 1807 წლამდე საქალაქო გადასახადები არ არსებობდა. 1813 წელს საქალაქო გადასახადები შეადგენდა შემოსავალთა ნუსხის 100%-ს, 1833 წელს - 100%, 1842 წელს — 100%, 1846 წელს—99,5%, 1851 წელს 97,4% და 1862 წელს — 96,6%. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ეს გადასახადები, უმთავრესად, არაპირდაპირი გადასახადები იყო, რაც ხელს მასების დაბეგვრითი ექსპლოატაციისა და ქალაქის მიერ სოფლების ეკონომიური ექსპლოატაციის ერთ-ერთი მარჯვე საშუალება გახდა. ამ მდგომარეობას აძლიერებდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ გადასახადები გაიცემოდა იჯარაშესყიდვის წესით. ასეთი წესის დროს მონაწილეების დანაკარგი აღემატება გადასახადის ფისკალურ ეფექტს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოიჯარე-შემსყიდველთა შემოსავალი და გამორჩენა წარმოადგენდა ფაქტიურ გადასახადს თავის დაბეგრითი ტვირთს.

რეფორმამდელი თბილისის გადასახადებს ახასიათებდა აგრეთვე სიმრავლე. იმდროინდელ გადასახადებს წარმოადგენდა: საპოლიციო გამოსაღები, უძრავი ქონების გადასახადი, ვაჭრობის უფლების გადასახადები, დაქირავებულთა გადასახადი, პირუტყვის დაკვლის გადასახადი, ქალაქის ფარგლებში მტკვრით მოზიდული ხეტყის გადასახადი, ქალაქის ტრანსპორტის გადასახადი, ქალაქის საყანთროსა და ზომა-წონის გადასახადი, ასანთის აქციზი, ალკოჰოლის მოსაკრებელი, სანახაობათა მოსაკრებელი, სახელმწიფო გადასახადის ანარიცხი (ვაჭრობის მოწმობის მოსაკრებლის 20%-ანი ანარიცხები), სახელმწიფო გადასახადზე დანარიცხი (ბაჟზე დანარიცხი), მისაგებლები: თამასუქის გაპროტესტების მოსაკრებელი და სესხის წერილების ვადაზე წარმოდგენის მოსაკრებელი.

1. საპოლიციო გამოსაღები

რეფორმამდელი თბილისის გადასახადებს შორის საპოლიციო გამოსაღები წარმოადგენდა პირველად შემოღებულ გადასახადს. იგი შემოღებულ იქნა თბილისში 1807 წლიდან. მას ჰქონდა მიზნობრივი ხასიათი: დაწესებული იყო პოლიციის მოხელეების შესანახად და წინა წლებში გაწეული პოლიციის ხარჯებისა და სახაზინო ექსპედიციიდან ნასესხები თანხების გასასტუმრებლად. საპოლიციო გამოსაღების დაბეგვრის ობიექტი იყო თბილისის ფარგლებში

[1] Акты, т. IX, стр. 31-32.

არსებული ყოველი შენობა — ბინა, სავაჭრო და სახელოსნო. თითოეულ ბინას ეს გამოსაღები უნდა გაეღო — 80 კაპ., სავაჭროსა და სახელოსნოს — 1 მან. 50 კაპ. დაბეგვრის განაკვეთი მხედველობაში არ იღებდა შენობის შემოსავალს. ამიტომ შენობის ყველა პატრონი ერთნაირ გადასახადს იხდიდა იმისგან დამოუკიდებლად, ბინა შენობა წელიწადში 20 მან. შემოსავალს იძლეოდა თუ 150 მან.[1].

საპოლიციო გამოსაღების დაბეგვრის სუბიექტი იყო შენობის პატრონი. ეს გამოსაღები გადახდებოდა თბილისში მცხოვრებ თავადაზნაურობასაც. ამ გამოსაღებისაგან თავისუფალი იყო თავადაზნაურთა მხოლოდ ნაწილი, რომელიც სამოქალაქო ან სამხედრო სამსახურში იყო, თავის სახლში ცხოვრობდა და ვაჭრობას არ მისდევდა[2]. გადამხდელები გამოსაღებს იხდიდნენ სამ ნაწილად წელიწადში, თითოეულს წინდაწინვე.

1813 წელს თბილისში იყო აღრიცხული 3.675 ბინა, რასაც უნდა მოეცა 2.940 მან. ვერც., 846 სავაჭრო, რაც გაიღებდა 1.269 მან. გამოსაღებს, სულ 4.209 მან.[3]. ეს თანხა ამ დროს პოლიციის შესანახად საკმარისი არ იყო და მას ემატებოდა სახელმწიფო ხაზინიდან დოტაცია 1.706 მან. რაოდენობით, რომელიც ხაზინას უკანვე უნდა დაბრუნებოდა იმ სალალო შემოსავლებიდან, რომელთა ქალაქზე გადაცემა გათვალისწინებული იყო.

გენ. ტორმოსოვის დროს თბილისის მოქალაქეებმა უარი განაცხადეს საპოლიციო გამოსაღების გადახდაზე. ტორმოსოვი თბილისიდან აყრით და გადასახლებით დაემუქრა გადასახადზე უარის თქმელებს; მათი მეთაური, ბეჟან ბასტამოვი სიღნაღში[4] გადაასახლა ოჯახით. ეს გამოსაღები არსებობდა რეფორმამდელი პერიოდის პირველ ნახევარში.

1847 წელს შემოღებულ იქნა ქალაქის პოლიციის სასარგებლოდ ცეცხლისაგან ქონების დაზღვევის მოსაკრებელი. მას ახდევინებდნენ 75 კაპ. რაოდენობით თითოეულ 1000 მანეთზე, როგორც შეფასებული იქნებოდა ქონება სადაზღვევო საზოგადოებაში. ამ მოსაკრებლის ფინანსური ეფექტი დამოკიდებული იყო თბილისში დაზღვეული ქონების რაოდენობაზე. დაზღვევის საზოგადოებათა აგენტებს იგი პირდაპირ შეჰქონდათ მთავარ სამმართველოს საფინანსო დეპარტამენტში. რეფორმამდელი პერიოდის დასასრულს საქალაქო შეკრებათა ნუსხაში გათვალისწინებული იყო ყოველწლიურად 1000 მან.[5].

2. უძრავი ქონების გადასახადი

1841 წლიდან თბილისში შემოღებულ იქნა უძრავი ქონების გადასახადი. მას უწოდებდნენ უძრავი ქონების შეფასების მოსაკრებელს. დაბეგვრის ობიექტი იყო ქალაქის უძრავი ქონება ანუ შენობა. გადასახადი შენობას შეეწერებოდა შეფასების საფუძველზე. გადასახადის განაკვეთი შეადგენდა 16½%-ს

[1] Акты, т. III, стр. 13, 19; т. VI, ч. 1, стр. 2.
[2] Акты, т. IV, стр. 18—19.
[3] Акты, т. V, стр. 224.
[4] Акты, т. IV, стр. 15—16.
[5] ЦГИА ГССР, ф. 192, оп. 1, д. 10.

უძრავი ქონების მფლობელთა წინდა შემოსავლიდან. 1850-ანი წლების შემდეგ პროცენტული განაკვეთი შემცირებულ იქნა 14%-ამდე. გადასახადის ოდენობას განსაზღვრავდნენ შეფასებითი ცხრილით.

1842 წელს უძრავი ქონების გადასახადება ქალაქს მისცა 50.000 მან. შემოსავალი[1] (დამრგვალებულად). ქალაქს არ ყოფნიდა სახსრები სამხედრო დაბინაო ხარჯებისათვის და სხვა მოთხოვნილებებისათვის. ამიტომ 1843 წელს ხელახლა იქნა შეფასებული ქალაქის დასაბეგრი უძრავი ქონება. 1861 წელს მას გადასახადი გათვალისწინებული იყო 61.108 მან. რაოდენობით. 1862წელს იგი შეადგენდა 92.086 მან.[2]. 1842 წელთან შედარებით გადიდებულია 1,8-ჯერ. უძრავი ქონების გადასახადი 40-ანი წლების შემდეგ რეფორმამდელი თბილისის საქალაქო შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. 1862 წელს იგი საქალაქო შემოსავალთა ნუსხის 41,1%-ტს შეადგენდა.

3. ვაჭრობის გადასახადები

ქალაქის გადასახადთა შორის რეფორმამდელ თბილისში ვაჭრობის გადასახადებს წარმოადგენდა: მასრაპის მოსაკრებელი, ვაჭრობის უფლების მოსაკრებელი, ადგილობრივ გილდიის ვაჭრებზე დადებული მოსაკრებელი, დროებით ჩამოსულ სხვა ქალაქისა და უცხოელ ვაჭრებზე, ხელოსნებზე და მრეწველებზე დადებული მოსაკრებელი და საბელების სავაჭროთა ბილეთის მოსაკრებელი.

ა) მასრაპის მოსაკრებელი

მასრაპის მოსაკრებელი არსებობდა თბილისში ქართველ მეფეთა დროიდან. 1817 წ. 29/IX ეგრეთ წოდებულმა საქართველოს უმაღლესმა მთავრობამ შეიმუშავა დებულება მასრაპის მოსაკრებლის შესახებ, რომლის საფუძველზედაც წარმოებდა რეფორმამდელ თბილისში მასრაპის მოსაკრებლის გადახდეინება. მასრაპის მოსაკრებელს ახდევინებდნენ თბილისის იმ მცხოვრებლებს, რომელნიც გამომღებელ წოდებას ეკუთვნოდნენ. ამ მოსაკრებელით იბეგრებოდნენ: 1) მოქალაქენი, როგორც გაუქვეული წოდება, რომელიც თბილისში არსებობდა მეფის რუსეთთან შეერთებამდეც, 2) თბილისში ახლად დასახლებული მცხოვრებნი ანუ ახალი მოქალაქენი, 3) საეკლესიო გლეხები, 4) სამონასტრო გლეხები და 5) გერმანელი კოლონისტები.

როგორც გ. გოზალიშვილის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებიდან (რომლებიც დათარიღებულია 1813 წლით.) ჩანს, მოქალაქეთა დაკთრებში ჩაწერილ გლეხებს იმახანად საქალაქო მოსაკრებელი — მასრაპი არ გამოერთმეოდათ. ისინი იხდიდნენ სახელმწიფო გამოსაღებს მალსა და მახტას და ახალ აღწერებამდე სურსათსაც[3].

---

[1] ЦГИА ГССР, ф. 192, оп. 1, д. 3, л. 237.

[2] იქვე, оп. 1, д. 10.

[3] გ. გოზალიშვილი, გლეხთა მდგომარეობის ისტორიის მასალებიდან მე-19 საუკ. პირველ მეოთხედში. საქართველოს არქივი. წიგნი II. 1927 წ. გვ. 7—13.

თბილისში ქართველი მეფეების დროიდანვე არსებობდა განსაკუთრებული წოდება მოქალაქეთა სახელწოდებით. ესენი საქართველოს სხვა ქალაქებში არსად არ იყვნენ, გარდა გორისა. ქართველი მეფეები მათ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და დიდ უპირატესობებს ანიჭებდნენ. მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ გლეხებიც ჰყოლოდათ. სისხლის დანაშაულის დროს მათ უფლება ჰქონდათ დანაშაული ფულით გამოესყიდათ. ისინი არც ნატურალურ ხარკს იხდიდნენ (გოგოებითა და ბიჭებით, ირანში გასაგზავნად). ამასაც ფულით გამოისყიდდნენ. მეფეს უხდიდნენ გამოსაღებს — „ნახტას“ სახელწოდებით. შეწერილი გამოსაღების მიხედვით ისინი რამდენიმე ხარისხად იყოფოდნენ. სისხლით დაკნაყოფილებაში პირველი ხარისხის მოქალაქე უდრიდა მეორე კლასის აზნაურს. მოქალაქენი უმთავრესად მისდევდნენ ვაჭრობას და იყვნენ ხელოსნებიც[1].

თბილისის მოქალაქეთა უფლების საკითხი იდგა რეფორმამდელი პერიოდის მთელ მანძილზე. 1809 წელს ვახტანგ VI კანონების საუძველზე გამოვიდა უმაღლესი ბრძანებულება, რომლის თანახმად განთავისუფლდნენ თბილისელი პირველხარისხოვანი მოქალაქენი ფიზიკური სასჯელისაგან. მაგრამ ამასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ჩათვლილიყო პირველი ხარისხის მოქალაქედ. 1814 წელს შეადგინეს კომისია, რომელმაც ორ წელზე მეტი იმუშავა და თბილისის მოქალაქეთა სახელობითი სია წარადგინა. მოქალაქენი ამის მიხედვით გაყოფილი იყვნენ სამ ხარისხად.

მოქალაქეთა პირველობას საფუძვლად ედვა გვარის სიძველე, უძრავი ქონება და კაპიტალი (კაპიტალის სიდიდის ნორმა კომისიამ ვერ დაადგინა). კომისიამ ვერ გაარკვია აგრეთვე, თუ ვინ ითვლებოდა პირველ, მეორე და მესამე ხარისხის მოქალაქედ. მაგრამ დაადგინა, რომ ქართველი მეფეების დროს სისხლისათვის წაღებინება ამ კატეგორიების მიხედვით ხდებოდა. თბილისში გადმოსახლებული ან საზღვარგარეთიდან დაბრუნებული გლეხი, რომელიც სახაზინო უწყებას ეკუთვნოდა, თუ ისურვებდა ეკისრა მოქალაქეთა ვალდებულებები, შეიძლებოდა ჩაწერილიყო მოქალაქეთა რიცხვში. კომისიის მიერ შედგენილი სიის მიხედვით, მოქალაქეთა რაოდენობა მეფის რუსეთთან შეერთებამდე შეადგენდა 241 ოჯახს: პირველი ხარისხის მოქალაქენი—53 ოჯახს, მეორე ხარისხისა—91, მესამე ხარისხისა—97[2].

1818 წლისათვის კომისიამ გამოარკვია, რომ არც ქართველი მეფეების დროს და არც მეფის რუსეთის მთავრობის დროს არ ყოფილა დავთრები, რომლებშიც მოქალაქეთა რიცხვში მიღებულნი ჩაწერილი ყოფილიყვნენ. არსებობდა მხოლოდ გადასახადთა გაწერის სიები, რომელთა მიხედვით მოქალაქენი და სახაზინო გლეხები ხაზინას ყოველწლიურად უხდიდნენ გამოსაღებს: ბალის, მახტას და მასრაპს. ამ სიებიდან ჩანდა, რომ ზოგიერთი ერთ წელს პირველი ხარისხის სიაში იყო, მეორე წელს მეორე ხარისხისაში და პირიქით.

---

[1] Пл. Поселения. Города существующие и существовавшие в Грузии. 1850 г., стр. 79—80. Обозрение Р. вл. на К., ч. I, стр. 212—218.

[2] Акты, т. XI, стр. 685.

სახაზინო გამომღებელთა სიაში შეჰქონდათ სახაზინო გლეხები, მებატონეთაგან განთავისუფლებული საბატონო გლეხები და საზღვარგარეთიდან თბილისში სამუდამო საცხოვრებლად დაბრუნებულნი, რომელნიც კისრულობდნენ მოქალაქეთა ბეგარას. მოქალაქის სახელწოდებას ღებულობდა, ვინც თბილისში მუდმივად დასახლდებოდა, სახლს ან ქონებას შეიძენდა ან მოქალაქე ქალზე დაქორწინდებოდა და მასთანავე სახაზინო გამოსაღებს იხდიდა. პირველი ხარისხის მოქალაქენი გადასახადს ბეორესთან შედარებით უფრო მეტს იხდიდნენ, მეორენი მესამესთან შედარებით და ასე შემდეგ, მეფის რუსეთთან შეერთების შემდეგ მოქალაქეთა სახოგადოებაში მოხდა ცვლილებები, მიღებულ იქნა ახალი წევრები, ზოგიც გავიდა რუსეთში გადასახლების გამო[1].

1859 წელს უმაღლესი ბრძანებულებით ფიზიკური სასჯელისაგან განთავისუფლდნენ პირველი ხარისხის მოქალაქენი[2].

აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა ერთი ნაწილი ეკუთვნოდა ეკლესიას. საეკლესიო მოქალაქენი ქართველი მეფეების დროსაც არსებობდნენ. საეკლესიო მოქალაქენი რეფორმამდელ თბილისში მისდევდნენ ვაჭრობას და სარგებლობდნენ ისეთივე უფლებებით, როგორც სახაზინო მოქალაქენი. ისინი კეთილშენაძენსა და თავიანთ წინაპარია ქონებას თავისუფლად განკარგავდნენ აღებ-მიცემობისათვის. ეკლესიასთან მათი კავშირი გამოიხატებოდა იმაში, რომ ეკლესიას უხდიდნენ სათელსა და ფულად გამოსაღებს. ამავე დროს გამოსაღებს უხდიდნენ ხაზინას და სარგებლობდნენ სახაზინო მოქალაქეთა უფლებით[3].

კამერალური აღწერილობით თბილისის მცხოვრებლებად ჩაწერილნი იხდიდნენ საქალაქო მოსაკრებელს—მასრაპს.

ამ მოსაკრებლის დაბეგვრის ერთეულს წარმოადგენდა ოჯახი. თითოეული საზოგადოებიდან არჩეული იყო 10 კაცი გამწერელი, რომლებიც ოჯახებზე ანაწილებდნენ გაანგარიშებულ გადანაკვეთს.

ამ მოსაკრებლის გაწერა მოქალაქეთა, ახლად დასახლებულ მოქალაქეთა და საეკლესიო გლეხთა ოჯახებზე წარმოებდა შემდეგნაირად: გადამხდელთა თითოეულ ამ კატეგორიას გადასახადი შეეწერებოდა როგორც „საზოგადოებას“ მთლიანად (ე. ი. ამ კატეგორიის ოჯახზე დაწესებული განაკვეთი გადამრავლებული ამ კატეგორიის გადამხდელთა ოჯახების რიცხვებზე) და შემდეგ გადასახადის საერთო თანხას გამწერთა კომისია ანაწილებდა ოჯახებზე შეძლების მიხედვით.

1850 წლისათვის თბილისელ მოქალაქეებს მასრაპი შეწერილი ჰქონდათ სახაზინო გადასახადის—მახტის 50%, ე. ი. 4 მან. და 60 კაპ. ვერცხ. ოჯახზე.

კამერალურ აღწერაში ნაჩვენებ მოქალაქეთა თითოეულ ოჯახს ევალებოდა გადაეხადა: სახაზინო გამოსაღები მახტა 9 მან. 20 კაპ., საქალაქო

[1] Акты, т. XI, стр. 685—696.
[2] Акты, т. XII, стр. 1328.
[3] Акты, т. VI, ч. I, стр. 437—439.

მოსაკრებელი—მასრაპი—4 მან. 60 კაპ. და ეაჭრობის უფლების მოსაკრებელი 2 მან., სულ 15 მან. 80 კაპ. ვერცხ.

1851 წლისათვის მასრაპი გადიდებულ იქნა. მოქალაქეთათვის დაწესდა 5 მან. ოჯახზე, ნაცვლად 4 მან. 60 კაპ. კამერალურ აღწერაში ნაჩვენები იყო მოქალაქეთა 688 ოჯახი. ანგვარად, მოქალაქეთა მასრაპის მოსაკრებელი შეადგენდა ამ წლისათვის 3440 მან ვერცხლს, მას ერთგვარი ზრდა ემჩნევა. 1862 წლისათვის თბილისში იყო მოქალაქეთა უკვე 828 ოჯახი, რომელნიც მასრაპს 4140 მან. რაოდენობით იძდიდნენ.

ახლად დასახლებულ მოქალაქეებს 1850 წლისათვის მასრაპის მოსაკრებელი შეწერილი ჰქონდათ ოჯახზე 1 მან. 50 კაპ. ვერცხ.

ახლად დასახლებული მოქალაქენი იხდიდნენ სახაზინო გამოსაღებს მახტას 3 მან, საქალაქო მოსაკრებელს—მასრაპს 1 მან. 50 კაპ. და ეაჭრობის უფლების მოსაკრებელს 1 მან., სულ 5 მან. 50 კაპ.

1851 წლიდან ახალ მოქალაქეთათვის მასრაპი დაწესდა 2 მან. რაოდენობით ოჯახზე. ახალ მოქალაქეთა მასრაპის მოსაკრებელი მეტად იზრდებოდა. 1846 წელს მისი საერთო თანხა შეადგენდა 900 მან. 1851 წელს—7288 მან. და 1862 წელს—9196 მან., რაც მოქალაქეთა ამ კატეგორიის რიცხვის მაიმედებლად მატებელია. აქედან ჩანს, რომ 1846 წლის აღრიცხვით ყოფილა 900 ახალი მოქალაქეთა ოჯახი, ხოლო 1862 წელს—4598 ოჯახი.

საეკლესიო გლეხებს საქალაქო მოსაკრებელი—მასრაპი 1850 წლისათვის გადაიდებოდა ოჯახზე 1 მან. 50 კაპ. ვერცხ.

ისინი სახაზინო გამოსაღებს—მახტას იხდიდნენ ოჯახზე 3 მან., ეაჭრობის უფლების მოსაკრებელს 50 კაპ., სულ 5 მან. ვერცხ. საეკლესიო გლეხების მოსაკრებელი არ შეცვლილა 1851 წლის შემდეგ. მათი ოჯახთა რიცხვი ამ წელს შეადგენდა 350 ოჯახს, ქალაქი მასრაპიდან ღებულობდა 525 მან. ათი-თერთმეტი წლის მანძილზე იგი გაიზარდა 50 მანეთით. 1861 წელს საეკლესიო გლეხების მასრაპის მოსაკრებელი უდრიდა 555 მან.

საბატონო გლეხები 1850 წელს მასრაპით დაბეგრილნი იყვნენ ოჯახზე 1 მან. 50 კაპ. ვერცხ. სახაზინო გამოსაღებს იხდიდნენ—3 მან. და ეაჭრობის უფლების მოსაკრებელს 50 კაპ., სულ ოჯახზე—5 მან., ვერცხ.

1851 წლიდან საბატონო გლეხებს მასრაპის მოსაკრებელი შეუმცირეს 50 კაპიკით ოჯახზე, იმ მოსაზრებით, რომ ისინი თავიანთი მებატონეების სასარგებლოდაც იხდიდნენ ბეგარას. საბატონო გლეხთა ოჯახების რიცხვი 1851 წლისათვის შეადგენდა 552. მათგან ქალაქი შემოსავალს ღებულობდა 552 მან. ეს შემოსავალი უცვლელი დარჩა 1862 წლისათვის.

ქალაქის მმართველობის დადგენილებით საბატონო გლეხთა ოჯახებს, მასრაპის მოსაკრებელი: საერთო შეწერა განაწილების გარეშე უნდა გადაეხადა. ე. ი. ამ შემთხვევაში არ ხდებოდა ამ კატეგორიის გადამხდელთა ოჯახზე დაწესებულ განაკვეთის გადამრაველება ამ კატეგორიის გადამხდელთა ოჯახების საერთო რაოდენობაზე და შემდეგ ამ საერთო თანხის ოჯახებზე განაწილება მეტნაკლებად, არამედ მათ პირდაპირ შეეწერებოდათ ოჯახზე დაწესებული განაკვეთი. თითოეულ ოჯახს უნდა გადაეხადა: მახტა 3 მან. მასრაპი 1 მან.

სულ 4 მან. ვერცხ. ეს იმიტომ, რომ საბატონო გლეხები „საზოგადოებას“ არ წარმოადგენდნენ; ისინი ერთი პიროვნებისაგან არ იყვნენ დამოკიდებული, ამიტომ ერთი მებატონის გლეხებს არ უნდა დაკისრებოდათ ვალდებულება დახმარებოდნენ მეორე მებატონის გლეხებს გამოსაღებთა და ბეგარათა გადახდაში

მებატონეებს ეძლეოდათ უფლება მათ გლეხებზე შეწერილი გადასახადის საერთო ჯამი შეუნაცვლებლად გაენაწილებინა თავიანთ გლეხებს შორის მათი შეძლების მიხედვით. მებატონეები ვალდებული იყვნენ რევიზიაში შეტანილ აოაშემძლებელ და გარდაცვლილ გლეხთა ნაგიერ მოსაკრებელი თვითონ გადაეხადათ[1].

გერმანელი კოლონისტები იხდიდნენ მასრაპის მოსაკრებელს ახლად დასახლებულ მოქალაქეთა თანაბრად – ოჯახზე 2 მან. 1862 წლისათვის ეს შემოსავალი უდრიდა 113 ათ. ვერცხ.

მასრაპის მოსაკრებლის საერთო თანხა 1846 წელს უდრიდა 6.000 მან. 1862 წელს—14.535 მან.[2]. როგორც ვხედავთ, გაზრდილია 2,3-ჯერ. ამასთანავე საყურადღებოა, რომ ეს მოსაკრებელი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. იგი 1862 წლის საქალაქო შემოსავალთა ნუსხის 6,5%-ს შეადგენდა.

ბ) ვაჭრობის უფლების მოსაკრებელი

ვაჭრობის უფლების მოსაკრებლით დაბეგრილნი იყვნენ ადგილობრივი, სხვა ქალაქისა და უცხოელი ვაჭრები. მოსაკრებლის სიდიდეს განსაზღვრავდნენ გადასახადების გამწერნი სავაჭრო ბრუნვის მიხედვით. ამგვარად თბილისელი მოქალაქენი ერთისა და იმავე საქმისათვის იხდიდნენ მასრაპის მოსაკრებელსაც და ვაჭრობის უფლების მოსაკრებელსაც. ამ უკანასკნელი მოსაკრებლის ფისკალური ეფექტი 1862 წელს შეადგენდა 6.500 მან.

გ) მოსაკრებელი ადგილობრივი გილდიის ვაჭრებისაგან

თბილისელ ვაჭრებს გილდიებში ჩაწერა არ უნდოდათ იმიტომ, რომ არ გამოააშკარავებულიყო მათი კაპიტალის სიმცირე და არ წართმეოდათ საზღვარგარეთ სავაჭროდ გასვლის უფლება. მეორე იმიტომ, რომ გილდიის ნაცვლად მათ საკუთარი ამქარი ჰქონდათ.

1810-იან წლებში საქართველოს მმართველი ალექსეი ერმოლოვი იმ აზრისა იყო, რომ თბილისელი ვაჭრები გილდიებად არ დაეწაწილებინათ და ყველასათვის მიეცათ ვაჭრობის უფლება[3]. პაულიჩის წინადადებით, საგარეო ვაჭრობის რუსეთის ხელში შენარჩუნების მიზნით, თავისუფალი ვაჭრობის უფლება უნდა ჰქონოდათ თბილისელ ვაჭრებს გილდიებად დაუნაწილებლად. ვაჭართა დახარისხება პრივილეგიების მისანიჭებლად უნდა მომხდარიყო ვაჭრობის მოცულობის მიხედვით. მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან ვაჭარს უნდა მინიჭებოდა აზნაურის უფლება, საშუალო ვაჭარს – თბილისის მოქალაქის უფლება

[1] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 6, л. 12—24.
[2] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 10.
[3] Акты, т. IV, стр. 56—57.

და წვრილ ვაჭარს—მეშჩანინის უფლება[1]. როგორც ვხედავთ, ბურჟუაზიული ვითარება იმხანად პოლიტიკურ გამოვლინებაში ისევ ფეოდალური იერარქიის სახით გამოდიოდა.

რტიშჩევმა მოითხოვა ვაჭართა პრივილეგიების მინიჭების შეჩერება გარკვეულ დრომდე[2].

ერმოლოვის წინადადებით უნდა ჩამოყალიბებულიყო თბილისელი მოქალაქეობის ოთხი ხარისხი. თითოეულ მოქალაქეს უნდა ჰქონოდა ამ საზოგადოებაში მთელი ოჯახით ჩაწერის უფლება. ამისათვის განცხადება უნდა შეეტანა ქალაქის გამგეობაში და მასთან წარედგინა პირველი ხარისხისათვის—200 მან., მეორე ხარისხისათვის—100 მან, და მესამე ხარისხისათვის-25 მან. ვერცხ. მეოთხე ხარისხის მოქალაქეს უნდა ეხადა ყოველწლიურად თითოეულ მამრობით სულზე ერთ ოჯახში 1 მან. 50 კაპ. ვერცხ.

ვინც გარკვეული ვადის განძაველობაში ვანცხადებას არ შეიტანდა ამა თუ იმ ხარისხში შესვლის შესახებ დაიბეგრებოდა მეოთხე ხარისხისათვის დანიშნული გამოსაღებით.

ყოველივე ეს რჩებოდა პროექტებად და რეფორმამდელი პერიოდის უკანასკნელ დრომდე თბილისში გილდიები არ ჩამოყალიბებულა. მხოლოდ 185 -იან წლების შემდეგ ვხვდებით საქალაქო შემოსავალთა ნუსხაში გილდიის ვაჭართა დაბეგვრას[3].

რეფორმამდელი პერიოდის დასასრულისათვის ადგილობრივი გილდიის მოსაკრებლით დაბეგრილი იყო 2 ვაჭარი. ისინი ეკუთვნოდნენ მესამე ხარისხის გილდიის ვაჭრებს. მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენდა 1/4%. თითოეულის მიერ გამოცხადებული კაპიტალი იყო 2.400 მან. ამგვარად, თითოეული იხდიდა 6 მან. 1862 წელს ამ მოსაკრებლის მთელი თანხა შეადგენდა 12 მან.[4].

დ) მოსაკრებელი დროებით ჩამოხსნილ სხვა ქალაქის ვაჭრებსა, უცხოელ ვაჭრებსა, ხელოსნებსა და მრეწველებზე

დროებით ჩამოსულ სხვა ქალაქის ვაჭრებს და უცხოელ ვაჭრებს, ბითუმად მოვაჭრეებს, რომლებიც სახელოსნოებს არ ხსნიდნენ, გალანტერეისა და ფართლეულის გამყიდველ მეწვრილმანეებს, აგრეთვე ხელოსნებსა და მრეწველებს ახდევინებდნენ გადასახადს მოხიდული საქონლის ფასის საერთო ჯამის მიხედვით პროცენტულად[5]. 1860 წლამდე მოსაკრებელის განაკვეთი იყო 1/4%, შემდეგ კი კავკასიის მეფის ნაცვლის 1860 წლის 14/VI ნებართვით დაწესებულ იქნა 1/2 %. ეს მოსაკრებელი ქალაქის მმართველობას გაცემული ჰქონდა იჯარა შესყიდვის წესით. 1862 წელს იგი ქალაქს 13.825 მან. ვერცხ. შემოსავალს აძლევდა.

---

[1] Акты, т. V, стр. 17.
[2] Акты, т. V, стр 257
[3] Акты, т. VI, ч. 1, стр. 40—41.
[4] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 10.
[5] ოციან წლებში თბილისში უცხოელ და სხვა ქალაქის მეწვრილმანეებს მოსაკრებელს ახდევინებდნენ წვრილმანი ვაჭრობისათვის მოხიდული საქონლის თანხიდან 1%. თანხის გამოცხადება მათ სინდისზე იყო. Акты, т V, стр. 258.
[6] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 10.

... რეფორმამდელი პერიოდის დასასრულისათვის თბილისში წამოიჭრა სავაჭრო კაპიტალების განსაზღვრის აუცილებლობა. ეს საჭირო იყო სხვა ქალაქისა და უცხოელ მოვაჭრეთა კრედიტუნარიანობის გასარკვევად და აგრეთვე მათი კაპიტალების დასაბეგრაკად ქალაქის სასარგებლოდ.

1861 წელს ყველა კაპიტალი გაბოცხადებულ იქნა 1.988.200 მან., ამაოში:

200.000	მან.	გამოცხადებულ	იქნა	— 2
120.000	„	„	„	— 2
100 000	„	„	„	— 1
70,000	„	„	„	— 1
60.000	„	„	„	— 2
50.000	„	„	„	— 2
30.000	„	„	„	— 4
25.000	„	„	„	— 2
20.000	„	„	„	— 6
10.000—20.000		„	„	— 30
5 000—10.000		„	„	— 27
1.000— 5.000		„	„	— 43[1]

ე) ბილეთის მოსაკრებელი სასმელების დუქნებისა და სავაჭროების გახსნის უფლებისათვის

გარდა ვაჭრობის მოწმობის მოსაკრებლისა, სასმელების გასაყიდად მკვიდრ ვაჭრებს თბილისში აძლევდნენ მოწმობებს ანუ ბილეთებს სავაჭროების გასახსნელად. ამ მოწმობათა გაცემას აწარმოებდა თვით ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობა[2].

1858 წლიდან არსებობდა ბილეთის მოსაკრებლის 5 თანრიგი. 1 თანრ. იხდიდა 8 მან. ვერცხ., 2 თანრ.—4 მან., 3 თანრ. 2 მან. 50 კაპ., 4 თანრ.—1 მან. და 5 თანრ.—50 კაპ. 1861 წლიდან დაწესდა 4 თანრიგი. 1 თანრ.—3 მან., 2 თანრ.—4 მან., 3 თანრ.—2 მან. და 4 თანრ.—1 მან.

ამ მოსაკრებლის წმინდა შემოსავალი რეფორმამდელი პერიოდის დასასრულისათვის შეადგენდა 6.500 მან[3].

4. გადასახადი დაქირავებულებზე (შინამოსამსახურეებსა და მუშებზე)

რეფორმამდელი პერიოდის მეორე ნახევრიდან საქალაქო გადასახადით დაბეგრილნი იყვნენ დაქირავებულები: შინამოსამსახურეები და მუშები, აგრეთვე ქალაქში სამუშაოდ ჩამოსული მცხოვრებნი. ისინი ვალდებული იყვნენ ქალაქის სამმართველოში აეღოთ ბილეთები. 1840-იან წლებში პირველი თანრიგის ბილეთზე ახდევინებდნენ 5 კაპ., რეფორმამდელი პერიოდის დასასრულისათვის 1 მან. ვერცხ. ამ ხელფასის გადასახადს კიდევ ამძიმებდა ის გარემოება რომ შემოსაელის ეს წყარო ქალაქს გაცემული ჰქონდა იჯარაშესყიდვის წესით.

---

[1] Кавказск. кал. на 1865 г., стр. 56.

[2] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 10.

[3] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 10. Кавказск. кал. на 1865 г., стр. 55.

ეს შემოსავალი სწრაფად იზრდება ქალაქში სამეშაოდ ჩამოსულთა რიცხვის ზრდის გამო. რეფორმამდელი პერიოდის დასასრულისათვის, 1862 წ., ეს გადასახადი შეადგენდა 8.600 მან.[1].

ამ გამოსაღებით იბეგრებოდნენ აგრეთვე მეთულუხჩეები, რომლებსაც ქალაქის სასარგებლოდ ახდევინებდნენ წელიწადში 1 მან. გარდა ამისა ისინი ვალდებული იყვნენ გაეწიათ ნატურალური სამსახური; მათ უნდა მიეზიდათ წყალი ხანძრის შემთხვევაში, ხანძრის ადგილზე და პატიმრები წყლით მოემარაგებიათ უსაფასუროთ[2].

5. პირუტყვის დაკვლის მოსაკრებელი

რეფორმამდელ თბილისში ქალაქის შემოსავლის ნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა აგრეთვე პირუტყვის დაკვლის მოსაკრებელი. 1841 წელს პირუტყვის დაკვლის მოსაკრებელი უდრიდა თანხას 6.626 მან., ხოლო 1862 წელს—18.150 მან,[3] ამრიგად, ეს მოსაკრებელი ამ წლის საქალაქო შემოსავალთა 8,1% შეადგენდა. შემოსავლის ეს წყარო ქალაქს გაცემული ჰქონდა იჯარა-შესყიდვის წესით.

მოიჯარე-შემსყიდველს უფლება ენიჭებოდა თბილისში გასასყიდად განკუთვნილ დასაკლავად ჩამორეკილ პირუტყვებზე გადაეხდევინებინა თავის სასარგებლოდ თითოეულ სულზე: 1) ცხენებსა და აქლემებზე—40 კაპ., 2) რქოსან პირუტყვზე—20 კაპ., 3) ცხვრებზე, უშობელებზე, ღორებზე და თხებზე—4 კაპ., 4) ბატკნებზე—ორი კაპ. (გოჭებზე არ ახდევინებდნენ).

მოიჯარე-შემსყიდველი საყარაულოებზე ან იმ ადგილებზე, საიდანაც პირუტყვს შემორეკდნენ ქალაქში, თავის რწმუნებულს აყენებდა მოსაკრებლის გადასახდევინებლად. გადამხდელს ეძლეოდა ქვითარი, რომელშიც აღინიშნებოდა შეტანილი გადასახადისა და პირუტყვის რაოდენობა. გადამხდელს უფლება ჰქონდა, თუ პირუტყვს ვერ გაჰყიდდა, ან მთლად ვერ გაჰყიდდა, მოეთხოვა მოიჯარე-შემსყიდველისაგან შესაბამისი თანხის უკან დაბრუნება ან, ფულის დაბრუნების ნაცვლად, ახალი ქვითარი მიეღო შემდეგში ფულის გადაუხდელად საქონლის ჩამორეკაზე.

თუ პირუტყვის პატრონს ფული არ აღმოაჩნდებოდა თან, მოიჯარე-შემსყიდველი, უზრუნველყოფის სახით, იტოვებდა ერთ-ერთ პირუტყვს ან გადასახადის თანაბარი ფასის რაიმე ნივთს; ამ შემთხვევაში ქვითარში ჩაი-

---

[1] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 10.

[2] Акты, т. XI, стр. 964.

ირანის ქვეშევრდომმა მეთულუხჩეებმა თბილისში (მეთულუხჩეების უმრავლესობა მათგან შედგებოდა) ითხოვეს 1 მანეთიანი მოსაკრებლისაგან მათი განთავისუფლება თხოვნას ასაბუთებდნენ მით, რომ წყალს ეზიდებოდნენ უსაფასუროდ ხანძრის შემთხვევაში და აგრეთვე პატიმრებისათვის. ქალაქის მმართველობამ მათი თხოვნა არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ წყლის უსაფასუროდ ზიდვა მათ ევალებოდათ საზღაურად იმ შეღავათისათვის, რომელსაც ისინი ღებულობდნენ სხვა უცხოელ ვაჭრებთან შედარებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ სხვა ვაჭრები გადასახადს იხდიდნენ არა 1 მან., არამედ შეძლებულნარიანობის მიხედვით იქვე, გვ. 964.

[3] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 2, л. 26; 63—64. д. 4, л. 71.

წერებოდა პირუტყვის რაოდენობა და გირაოს ღირებულება და ისიც, თუ რისგან შედგებოდა ეს გირაო. გადასახადის გადახდის შემდეგ მოიჯარე-შემსყიდველი ქვითარს სპობდა და გირაოს უბრუნებდა.

ქალაქში პირუტყვის შემორეკვაზე გადასახადი არ გადახდებოდა, თუ პირუტყვი გასასყიდად ან დასაკლავად არ იყო ჩამორეკილი, მოიჯარე-შემსყიდველი თავის კაცს გააყოლებდა ჯოგს ამაში დასარწმუნებლად.

გადასახადებისაგან თავისუფალი იყო ტვირთამზიდავი პირუტყვი (ტრანსპორტის პირუტყვი).

გადასახადისაგან თავისუფალი არ იყვნენ ქალაქის მცხოვრებლები, რომლებიც პირუტყვს სხვა ადგილზე იყიდდნენ და შემდეგში ქალაქში შემორეკავდნენ ხოლმე თავიანთი საჭიროებისათვის.

მოიჯარე-შემსყიდველს ჰყავდა თავისი მზვერავები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ, რომ მალულად არავის შემოერეკა პირუტყვი ქალაქში. დაჭერის შემთხვევაში პირუტყვი ჩამოერთმეოდა და გადაეცემოდა პოლიციას. პირუტყვს გაჰყიდდნენ საჯარო ეაჭრობით და ამოგებული ფულის ნახევარს იღებდა მოიჯარე-შესყიდველი, ნახევარი კი შეუდიოდა ქალაქის შემოსავალში.

საძოვრად გაყვანილ პირუტყვს ქალაქში დაბრუნებისას გადასახადს არ ახდევინებდნენ. გადასახადისაგან თავისუფალი იყო ქალაქის შიგნით პირუტყვის ყიდვა-გაყიდვა

პოლიცია ვალდებული იყო საჭირო შემთხვევაში დახმარება აღმოეჩინა მოიჯარე-შესყიდველებისათვის[1].

ბ. ქალაქის ფარგლებში მტკვრით მიზიდული ხე-ტყის მოსაკრებელი

ბორჯომიდან, გორიდან და სხვა ადგილებიდან თბილისში ტიეებით ჩამოჰქონდათ ხე-ტყე სააღმშენებლო მასალად. ქალაქს იგი დაბეგრილი ჰქონდა საბელის ბოსაკრებლით, რომელიც შემოღებული იყო ქალაქის ფარგლებში მტკვრით მოზიდულ ხე-ტყეზე. შემოსავალის ეს წყარო ქალაქს გაცემული ჰქონდა იჯარა-შესყიდვის წესით. 1846 წლის ნუსხით გათვალისწინებული იყო 3.200 მან. ვერცხ., 1862 წელს 3.555 მან.

მოიჯარე შემსყიდველი ქალაქს უხდიდა წლიურად წინასწარ შეთანხმებულ თანხას ჩესაბედებად. მოიჯარე-შემსყიდველის განკარგულებაში გადადიოდა მდინარე მტკვარზე მოწყობილი საყუდელი, ვერაზე, სადაც ტიეების ბისაბმელად გამართული იყო ხის სვეტები და თოკები[2].

ქალაქის ფარგლების შიგნით სააღმშენებლო ხე-ტყის ბოხმარებაზე მოიჯარე-შემსყიდველს უფლება ჰქონდა ტიეების პატრონებისათვის გადაეხდევინებინა 5 კაპ. ვერცხ. თითოეულ მორზე.

---

[1] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп 1, д. 2, л 143—146

[2] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 10; д. 4, л. 71; 10—11.

სახაზინო ხე-ტყე განთავისუფლებული იყო დაბეგვრისაგან. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სახაზინო ხე-ტყესაც ახდევინებდნენ გადასახადს, მაგრამ მოიჯარე-შემსყიდველი შემდეგ აძ ფულს ხაზინას უკან უბრუნებდა.

მაზრის მცხოვრებლები საკუთარი საჭიროებისათვის შეყიდულ ხე-ტყეზე გადასახადს არ იხდიდნენ, თუ ხე-ტყე გამოყენებული იქნებოდა ქალაქის ფარგლებსა და მაზრაში.

ტივები ჩერდებოდა ტივსაყუდელზე და ტივის პატრონები მოიჯარე-შემსყიდველის სასარგებლოდ იხდიდნენ დადგენილ გადასახადს. მოტყუებისა და გაპარების შემთხვევაში ხე-ტყე ჩამოერთმეოდა და გაიყიდებოდა ამონაგები ფულის გამოყენებით: ნახევარისა მოიჯარე-შემსყიდველის და ნახევარისა ქალაქის სასარგებლოდ.

პოლიციას ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოეჩინა მოიჯარე-შემსყიდველისათვის გადასახადების აღებაში[1].

გორის ბაზრიდან 1850 წლამდე წლიურად გამოიზიდებოდა 75 ათასიდან 120 ათასამდე მორი. თითოეულ მორზე 5 კაპ. გადახდევინებიდან მიიღებოდა 3.750 მან. — 6.000 მანეთამდე[2]. ქალაქს კი მოიჯარე-შემსყიდველი 3.200 მან. უხდიდა.

7. ქალაქის ტრანსპორტის მოსაკრებელი

რეფორმამდელი პერიოდის 20-ან წლებამდე თბილისში ქალაქის ტრანსპორტის ერთ-ერთი საშუალება იყო ჩვენებური ურმები და ბედაური ცხენები. დ. ყიფიანი თავის მოგონებებში აგვიწერს მიმოსვლის ორიგინალურ ხერხს, როძელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ მთავარმართებლის მეჯლისზე მიმავალ დანდილისნებს ავდარში ქოლგის ქვეშ ამოფარებულთ ძუშები კისრებზე შეისვამდნენ და ისე მიიყვანდნენ სასახლის კარებამდე[3]. გოლოკინის პროსპექტზე ძუშებს გადაყავდათ ადამიანები ზურგზე ტიკებივით მოკიდებული[4].

ოციანი წლების შემდეგ თბილისში ჩნდება ეტლი, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე ერთად-ერთი ცალი იყო თბილისში. პირველმა კალიასკამ, რომელიც სახელდო გუბერნატორა სიპიაგინს ეკუთვნოდა, თბილისის ქუჩაზე გაიარა სპარსეთთან ომის დროს (1826—28 წ. წ.).

ოცდაათიანი წლებიდან თბილისში ეტლების რიცხვი გაზრდილია და ძველტლები გარკვეული გადასახადებითაც იბეგრებოდნენ. 1834 წელს ბირჟის ძველტლებიდან შეგროსავალი შეადგენდა 328 მან.

შემდეგში თბილისში ჩნდება ბუბუტი ეტლები, ძველი და ახალი ყაიდის ეკიპაჟები, ძველებური ლინეიკები, კოხტად მოწყობილი ფაიტონები, ფურგონები, ფოსტის „პოვოზკები“ და სხვ.

---

[1] ЦГИА ГССР, ф. 192, оп. 1, д. 6, л. 360—361.

[2] იქვე, оп. 1, д. 8 л. 186—188.

[3] დ. ყიფიანი, მემუარები, თბილისი, 1930 წ., გვ. 104.

[4] „Новое Обозрение“, 1885 г. № 614.

რეფორმამდელი პერიოდის დასასრულს იყო საფოსტო ეტლების ფაბრიკაც[1].

ქალაქის სატრანსპორტო მოსაკრებლით დაბეგრილნი იყვნენ: ა) ბირჟის მსუბუქი ეტლის მეპატრონეები და ბ) სატვირთო ოთხთვალას მეპატრონეები.

ა) ბირჟის მსუბუქი ეტლის მეპატრონეები ვალდებული იყვნენ მიეღოთ ქალაქის სამმართველოდან თუნუქის ბალთა, რომელზედაც დაწერილი იყო საფასური მგზავრობის 50 კაპ. საათში.

ამ ბალთაში და მეეტლეობის უფლებაში თითოეულ მეეტლეს ახდევინებდნენ 15 მან. და 50 კაპ. ვერცხ. ამ მოსაკრებლის სიდიდე დამოკიდებული იყო ბირჟის მსუბუქი ეტლების რაოდენობაზე.

რეფორმამდელი პერიოდის დასასრულისათვის (1862 წ.) აქედან ქალაქი ყარაულობდა 2.500 მან.[2] შემოსავალს.

მეეტლეებს აკრძალული ჰქონდათ ბალთები და მეეტლეობის უფლება სხვისთვის გადაეცათ. ამაზე თვალყურის დევნა ევალებოდა ქალაქის პოლიციას.

მეეტლეებს ბალთის აღებასთან ერთად უნდა გადაეხადათ აგრეთვე 2 მან. 40 კაპ. საბირჟო გობას გადასახადი. ამ გობებთან ეტლების გასაჩერებლად და ცხენების საკვებად, თითო გობა ნავარაუდევი იყო ორი ეტლისათვის. სულ ქალაქში უნდა მოწყობილიყო 70 გობა.

თუ ვისმე თუნუქის ნომერი არ ექნებოდა აღებული, ის, 1841 წ. წესის თანახმად, ჯარიმდებოდა 25 მან., ბირჟაზე უნომროდ გამოსელისათვის 3 მან., გობთან გაუჩერებლობისათვის 1 მან.

ქალაქის შიდა სააქციზო ფარგლებში მეეტლეს აკრძალული ჰქონდა მგზავრისათვის დაწესებულ საფასურზე ძეტის გადახდევინება. წესის დარღვევისათვის პირველად წაერთმეოდა მინაღები საფასური და გადახდებოდა 2 მან. ჯარიმა. მეორედ დაჯარიმდებოდა ორმაგად, მესამედ—სამმაგად და სრულიადაც ჩამოერთმეოდა მეეტლეობის უფლება. თუ მგზავრი თვითონ არ მოუქნებდა, ეს დანაშაულად არ ჩაითვლებოდა.

მეეტლეებს გობას სისუფთავის დაცვისათვის უნდა გადაეხადათ თვეში 20 კაპ., წლიურად 2 მან. 40 კაპ. ამ ბეჭდთან დაკავშირებით ჯარიმის ნახევარი ქალაქის შემოსავალში წაიღოდა, ნახევარი გობას სისუფთავის დასაცავად[3].

ბ) სატვირთო ოთხთვალას მეპატრონეებს ქალაქის სამმართველო აძლევდა თუნუქის ბალთებს, რომლებზედაც დაწერილი იყო № და წელი; თითოეულ ბალთაში და ოთხთვალას გამოყენების უფლებაში მეპატრონეებს ახდევინებდნენ ქალაქის სასარგებლოდ 5 მან. და 50 კაპ.

რეფორმამდელი პერიოდის დასასრულს (1862 წ.) ეს მოსაკრებელი ქალაქს 1.100 მან. შემოსავალს აძლევდა[4].

---

[1] Кавказск. кал. на 1852 г., стр. 512. Медикотопогр... стр. 160.

[2] ЦГИА ГССР. Ф. 192, оп. 1, д. 10

[3] ЦГИА ГССР, Ф, 192, оп. 1, д. 6, д. 5—11, 152—153, 171—172.

[4] იქვე, д. 10.

8. ქალაქის საყანთროსა და ზომა-წონის მოსაკრებელი

საქალაქო შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა ქალაქის საყანთროსა და ზომა-წონის მოსაკრებელი, რომელმაც 1862 წელს ქალაქს 13,500 მან. შემოსავალი მისცა[1], ე. ი. საქალაქო შემოსავლის 6 %; 1846 წელთან შედარებით ეს შემოსავალი გადიდდა 2,5-ჯერ. შემოსავლის ეს წყარო ქალაქს გაცემული ჰქონდა იჯარა-შესყიდვის წესით.

9. ასანთის აქციზი

1850 წლებიდან ქალაქი შემოსავალს ღებულობდა ასანთის აქციზის სახითაც.

1849 წელს ნებადართულ იქნა თბილისში ასანთის წარმოება და გასაღება იმ წესების საფუძველზე, როგორიც არსებობდა იმპერიის სხვა ნაწილებისათვის. ბანდეროლი გაიცემოდა თბილისის ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოს მიერ; აღებული ფული შედიოდა ქალაქის შემოსავალში[2]. 1851 წელს ასანთის აქციზის შემოსავალი შეადგენდა 200 მან.

10. აუქციონის მოსაკრებელი

ამ მოსაკრებელს ახდევინებდნენ აუქციონებით გაყიდვიდან ამოგებული თანხის 2 %-ის ოდენობით ქალაქის სასარგებლოდ. 1862 წლის საქალაქო შემოსავლის ნუსხით ეს მოსაკრებელი უდრიდა 630 მან[3].

11. სანახაობათა მოსაკრებელი

სანახაობათა მოსაკრებლით დაბეგრილნი იყვნენ ჯამბაზები და ოინბაზები. თითოეულ წარმოდგენაზე მათ გადახდებოდათ აღებული თანხის 2—5 %-მდე ქალაქის სასარგებლოდ. ამ მოსაკრებლის თანხის სიდიდე დამოკიდებული იყო ჩამომსვლელი ჯამბაზებისა და ოინბაზების რაოდენობაზე. 1862 წლის საქალაქო შემოსავლის ნუსხით გათვალისწინებული იყო 150 მან[4].

12. სასმელების იჯარა-შესყიდვისა და სამიკიტნოების აქციზის მოსაკრებლის 20 %-იანი ანარიცხი

1847 წლიდან დაწესებული იყო ქალაქის სასარგებლოდ 20 % ანარიცხი სახელმწიფო გადასახადიდან — სასმელების იჯარა-შესყიდვისა და სამიკიტნოების აქციზის მოსაკრებლიდან. ამ მოსაკრებლის 55 % ჩაირიცხებოდა სახაზინო შემოსავალში და 25 % ეძლეოდა საეროპო შემოსავალს. იჯარა-შესყიდვის წლიური თანხა თბილისში მოზიდულ სასმელებზე 1862 წლისათვის შეადგენდა 107.000 მან. წლიური შემოსავალი სამიკიტნოებიდან აქციზის სახით

---

[1] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 10.
[2] Акты, т. X, стр. 45
[3] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 10.
[4] იქვე.

აღწევდა 33.000 მან. ორივე ერთად შეადგენდა 140.000 მან. ამის შესაბამისად 1862 წლისათვის ამ წყაროდან ქალაქის სასარგებლოდ დანიშნული 20% იყო 28.000 მან. ვერცხ.

13. 1 %-ანი დანარიცხი ბაჟზე

ქალაქის შემოსავლის სასარგებლოდ დაწესებული იყო სახაზინო შემოსავალზე—ბაჟზე 1 %-ის დარიცხვა. დანარიცხის თანხის გამოანგარიშებისათვის ქალაქის გამგეობას უფლება ჰქონდა საბაჟოდან სწორი ცნობები მოეთხოვა ბაჟის ოდენობის შესახებ. თბილისის საბაჟოს საწყობი ცნობებს აძლევდა თბილისის ქალაქის საზოგადოებრივ სამმართველოს ბაჟით დაბეგრილი საქონლის ფასისა და გადახდეინებული ბაჟის შესახებ[1].

14. მისაგებელი

რეფორმამდელი თბილისის საქალაქო შემოსავლის წყაროდ გამოყენებული იყო მისაგებელიც:

ა) თამასუქების გაპროტესტებაზე და სხვადასხვა ხელშეკრულებებზე აბდევინებდნენ $^1/_2$ % ძირითადი თანხიდან.

ბ) სესხის წერილების ვადაზე წარდგენის, ნოტარიუსთან წარდგენის და ვადაგასულ გირავნობის სიგელზე აბდევინებდნენ $^1/_4$% ძირითადი თანხიდან. ორივე სახის შემოსავალი 1862 წლისათვის შეადგენდა 4.800 მან.

გ) საქალაქო შემოსავალში შედიოდა აგრეთვე საწონთა, სასწორთა და საზომთა დადაღვის მოსაკრებელი. 1862 წლისათვის ეს შემოსავალი შეადგენდა 70 მან[2].

III. ქალაქის კრედიტი

რეფორმამდელ თბილისს არ ჰქონდა საქალაქო საკრედიტო ორგანიზაცია. კომუნალური კრედიტის სპეციალური ბანკები თვით რუსეთშიც კი 1912 წლამდე არ არსებობდა. რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში საზოგადოებრივი მშრომელობის საგანგიო ერთად-ერთი საკრედიტო ორგანიზაციაა ჯერ საქართველოს პრიკაზისა და შემდეგ ამიერკავკასიის პრიკაზის სახელწოდებით[3]. მართალია, საზოგადოებრივი მშრომელობის საგანგიო არსდება რუსეთში 1775 წლიდან, როგორც პირველი ადგილობრივი საკრედიტო ორგანიზაცია[4], რომელიც ყველა საგუბერნიო ქალაქში იქნა მოწყობილი, მაგრამ არსებითად იგი სახაზინო დაწესებულებას წარმოადგენდა და არა საქალაქო ან საეროპო ადგილობრივ ფინანსურ ორგანიზაციას[5].

---

[1] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 3. л. 109; 115; 165; 174; 175; Акты, т. V, стр. 228.

[2] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 10.

[3] პაატა გუგუშვილი, პირველი საკრედიტო ორგანიზაცია ამიერკავკასიაში (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე X—B. გვ. 172

[4] Э. Брегель и Цагалов. Капиталист. кредит. 1933, стр. 456.

[5] ამიტომ საზოგადოებრივი მშრომელობის საგანგიო გაცხილული გვაქვს შრომის პირველ ნაწილში.

1862 წელს, 6 თებ. უმაღლესად დამტკიცებულ იქნა დებულება ქალაქის საზოგადოებრივი ბანკების შესახებ, ნებადართული იყო იმპერიის ყველა ქალაქში დაარსებულიყო ქალაქის საზოგადოებრივი ბანკი, თუ ქალაქს ამის შესაძლებლობა ექნებოდა, ე. ი. თუ რაიმე გადარჩებოდა ქალაქის ხარჯებს ან თუ კერძო დამაარსებლები გაიღებდნენ ფულად შეწირულებას. რეფორმამდელ თბილისში ეს საქმე არ განხორციელებულა[1].

რეფორმამდელ თბილისს თავისი კაპიტალები არ ჰქონდა. ან თუ ჰქონდა რეფორმამდელი პერიოდის დასასრულს, მეტად უმნიშვნელო ოდენობით. 1861 წ. ქალაქს ჰქონდა 5.903 მან. 13 კაპ., აქედან: ა/კ. საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიოში ინახებოდა 5.864 მან. 37 კ., ქალაქის სამმართველოში 38 მან. 76 კაპ[2].

ეს წარმოადგენდა საპენსიო კაპიტალს. ქალაქის სამმართველოს და მასთან მყოფ ობოლთა სასამართლოს და საბინაო კომისიის მოხელეებსა და მოსამსახურეებს ჯამაგირიდან უკლებდნენ გარკვეულ პროცენტს მათი ქვრივებისა და ობლებისათვის პენსიების მისაცემად.

ქალაქს ჰქონდა აგრეთვე ნაღდი თანხა—მიმდინარე ხარჯების დასაფარავად საკუთრივ ქალაქის კუთვნილი 1.203 მან. 63½ კაპ., საბინაო მოსაკრებელი ჯარისკაცთაგან 17.598 მან. 95½ კაპ., სულ ერთად 18.802 მან. 59 კაპ. ამნაირად, მთელი კაპიტალი შეადგენდა 24.705 მან. 72 კაპ[3].

ქალაქ თბილისის დამხმარე კაპიტალის შესაქმნელად, უმაღლესად დამტკიცებული დებულების თანახმად, 1841 წ., 10 დეკემბერს საზოგადოებრივი მზრუნველობის ასტრახანის საგანგიოდან სესხად იყო აღებული 150.000 მან. 4%-ად 33 წლის ვადით; ამ თანხას, როგორც შენობის ასაგებად განკუთვნილს, უწოდეს საალმშენებლო კაპიტალი. კაპიტალისა და სარგებლის დასაფარავად ყოველწლიურად უნდა შეტანილიყო საგანგიოში 9 000 მან. ამისათვის ქალაქი ღებულობდა სახელმწიფო ხაზინიდან აქციზის მოსაკრებლის 20%.

ამ დამხმარე კაპიტალს განაგებდა სპეციალურად დაარსებული კომიტეტი.

დამხმარე კაპიტალის გასაძლიერებლად 1861 წელს კავკასიის მეფის ნაცვლის მოადგილე სამმართველოს თანხებიდან ნასესხები იყო 15,000 მან. 4%-ად. იგი სესხად მიეცა სახლის მფლობელებს სახლების ასაგებად[4].

სხვადასხვა საჭიროებისათვის ქალაქმა ისესხა:

1. საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიოდან: 1) 1843 წ. 2/XII—12.622 მან. 49 კაპ. 37 წლის ვადით იმ სახლის მეპატრონეების გასასტუმრებლად, რომლებთანაც ბინადრობდნენ მოხელეები 1822-დან 1826 წლამდე.

[1] Акты, т. XI, стр. 364.
[2] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 10, л. 5; 6.
[3] იქვე, д. 111.
[4] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 8, д. 907, л. 65—66.
Акты, т. XII, стр. 1381—1384
Кавказский кал. на 1863 г. ст. 60.

ვალი უნდა დაფარულიყო ქალაქის შემოსავლიდან; 2) 1851 წ. 8/II—21.000 მან. 26 წლის ვადით სოლოლაკის ჭუჩაზე ქვის მილის გასაყვანად. ვალი უნდა დაფარულიყო სააქციზო მოსაკრებლის 20% ანარიცხის ანგარიშით; 3) 1854 წ. 31/XII — 20.000 მან. სამხედრო პირების ბინის ფულით დასაკმაყოფილებლად 15 წლის ვადით. დაფარვა უნდა მომხდარიყო საბინაო მოსაკრებლის ანგარიშით;

II. სააღმშენებლო კომისიისაგან 1848 წ., 19/V ქალაქის სასაკლაოს ასაგებად 5400 მან. 26 წლის ვადით. ვალი უნდა დაფარულიყო ქალაქის შემოსავლიდან;

III. მთავარსამმართველოს საფინანსო დეპარტამენტისაგან 1860 წ., 16/VIII ახალი მოწყობილობის 200 ფარნის შესასყიდად—5400 მან. სამი წლით უსარგებლოდ.

1861 წლისათვის ქალაქზე გაისტუმრა: I) საგანგიოდან აღებული სესხი შემდეგი ოდენობით: 1) (1846 წ. 2/XII აღებული)—კაპიტალი 2.473 მან. 81³/₄ კ., სარგებელი 8.129 მან., 81¹/₄ კ., დარჩა გადასახდელი 17.213 მან. 20 კაპ.; 2) (1851 წ., 8/II აღებული)—კაპიტალი 4.182 მან. 32 კაპ., სარგებელი 11.397 მან. 63 კაპ., დარჩა გადასახდელი 24.847 მან. 8 კ.; 3) (1854 წ. 31/XII აღებული)—კაპიტალი 6.330 მან. 5 კაპ., სარგებელი 6.126 მან. 95 კაპ., დარჩა გადასახდელი 18.064 მან. 69 კაპ.; II) — სააღმშენებლო კომისიისაგან აღებული (1848 წ. 19/V)—კაპიტალი 3283 მან. 30 კაპ., სარგებელი 1132 მან. 36 კაპ., დარჩა 4415 მან. 65 კაპ.

ამგვარად, 1861 წელს ქალაქის ვალს შეადგენდა 69.970 მან. 64 კაპ., აქედან ჭმართებდა:

I. საგანგიოსი—60.154 მან, 98 კაპ. (კაპიტალი 39.836 მან. 30¹/₄ კაპ., სარგებელი 20.318 მან. 67³/₄ კაპ.);

II. თბილისის საგუბერნიო სააღმშენებლო კომისიისა—4.415 მან. 66 კაპ. (კაპიტალი 3.283 მან 30 კაპ., სარგებელი 1.132 მან. 36 კაპ.);

III) მთავარი სამმართველოს საფინანსო დეპარტამენტისა—5.400 მან.

1862 წლისათვის ეს ვალი შემცირებულ იქნა 4557 მანეთით და 36 კაპ., ამგვარად 1862 წელს ქალაქის ვალს შეადგენდა 65.413 მან. 28 კაპ. (მათში კაპიტალი იყო 45.150 მან. 17³/₄ კ., სარგებელი—20.263 მან. 10¹/₄ კ.)[1].

IV. ქალაქის კომუნალური შემოსავალი

ქალაქს 1840-იან წლებამდე კომუნალური შემოსავალი სულ არ ჰქონდა. 40-იანი წლების შემდეგ გაუჩნდა ამ დარგის ზოგიერთი უმნიშვნელო შემოსავალი. ასე, მაგალითად, 1846 წელს თბილისის კომუნალური შემოსავალი მთელი საქალაქო შემოსავლის ნუსხის 0,3% შეადგენდა, შემდეგ მცირეოდნად გაიზარდა. 1851 წელს შეადგენდა საქალაქო შემოსავლის ნუსხის 2,0%, ხოლო 1862 წელს 2,5% ანუ 5.787 მან.

[1] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 10, л. 5; 6; 112—113.

რეფორმამდელი თბილისი ქალაქის ქონების მხრივ შეტად ღარიბი იყო. ქალაქის გარშემო მიწები კერძო მფლობელთა ხელში იყო.

ქალაქის თავისუფალი მიწების გაცემა კერძო პირებისათვის ძნელდა გარკვეულ შემოსავალს, მაგრამ ეს შემოსავალი იყო გუბერნიის სააღმშენებლო კომისიის განკარგულებაში ქალაქ თბილისის მოსაწყობად. 1841 წლის 9 თებერვლის უმაღლესად დამტკიცებული დებულების თანახმად, ამ თანხიდან მოსახლეობას სესხს აძლევდნენ სახლების ასაგებად გარკვეული ოდენობით. მტკვრის მარცხენა მხარის დასამიწნავად და მოსაწყობად 1845 წ. დაარსებული იქნა განსაკუთრებული კომისია, რომლის განკარგულებაში იმყოფებოდა სააღმშენებლო კაპიტალი. 1845 წლიდან 1862 წლამდე სააღმშენებლოდ მიწის ნაკვეთების გაცემით კომისიამ მიიღო 51.490 მან. 89½ კაპ. აქედან სხვადასხვა საქმეებზე დახარჯა – 48.103 მან. 51¼ კ., დარჩა 3.387 მან. 38¼ კაპ.

რეფორმამდელი პერიოდის დასასრულს ყურადღება მიექცა კუკიის, ჩუღურეთის, ავლაბრისა და დიდუბის მხარეებს. კუკიაში, ჩუღურეთსა და ავლაბარში სახლობდნენ ქართველი მეფეების კეთილი გულსები, რომლებიც უხდიდნენ მათ განსაკუთრებულ გამოსაღებს—სურსათის სახელწოდებით. ამ გლეხებს ეჭირათ სახნავი და ვარგისი მიწები თბილისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით. ეს იყო ნავთლუღის გარეუბნისა და თბილისის მახლობელი სოფლების: ლილოსა და გლდანის მოსაზღვრე ადგილები. განზრახული იყო ამ მიწების ქალაქის ფარგლებში მოქცევა, მაგრამ ქალაქის გეგმის შეუდგენლობის გამო ამ მიწებისა და დიდუბის მიწის თბილისთან შემოერთება—სისრულეში მოუყვანელი დარჩა.

ქალაქს ეკუთვნოდა გულბიჩის ბაღი სახლითა და ნაგებობით, რომელიც შეძენილი იყო მუშტეიდისაგან სანიმუშო ფერმის მოსაწყობად. ბაღი თავისი სიდიდის მიუხედავად ქალაქს არავითარ შემოსავალს არ აძლევდა. ბაღის მოვლა-შენახვის ხარჯები დაკისრებული ჰქონდა ამ ბაღში მოწყობილ კაფე-რესტორანის პატრონს.

ქალაქს ეკუთვნოდა აგრეთვე მდინარე მტკვარზე კუნძული მადათოვის მიწის ნაკვეთები.

ქალაქს ჰქონდა „ერევნის“ მოედანზე თავისუფალი ადგილი, რომელიც ქალაქმა დაუთმო მოქალაქე თამაშშევს ქარვასლის ასაგებად. ამაში ქალაქმა მიიღო სათეატრო დარბაზი თეატრის ყველა საჭირო მოწყობილობით.

ქალაქს ეკუთვნოდა აგრეთვე ერთი სახლი ადგილით, სადაც ცხოვრობდა თბილისის კომენდანტი. ეს სახლი დაახლოვებით 300 ჭ. შემოსავალს იძლეოდა. ქალაქი ვალდებული იყო კომენდანტისათვის მიეცა ყოველწლიურად ბინის ფული გენერალ-მაიორის ხარისხის შესაბამისად. სახლის რემონტი და პერიოდული კაპიტალური შეკეთება ქალაქს უფრო ძვირი უჯდებოდა, ვიდრე კომენდანტისათვის დანიშნული ბინის ფული. ამიტომ ქალაქმა გადაწყვიტა სახლის საჯარო ვაჭრობით გაყიდვა და კომენდანტისათვის ყოველწლიურად 800 მან. ბინის ფულის მიცემა.

ქალაქს ჰქონდა აგრეთვე ერთი ძველი სახლი, რომელშიც უწინ პოლიცია იყო მოთავსებული. ქალაქმა იგი შეიძინა 6.630 მან. განზრახული იყო ამ ადგილზე ახალი შენობის აგება ქალაქის დაწესებულებისა და ბირჟისათვის. მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და გადაწყვეტილ იქნა ამ სახლის საჯარო ვაჭრობით გაყიდვა. ბოლო დროისათვის ქალაქის საზოგადოებამ შეიძინა ქალაქის ცენტრში ერთი დიდი სახლი ქალაქის პოლიციისათვის[1].

1. ნავთლუღის ნავთის წყაროები

თბილისის ქონებისა და ღალის შემოსავალთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ნავთლუღის ნავთის წყაროები, რომლებიც ქალაქს გადაეცა კავკასიის მეფის ნაცვლის 1846 წლის 8/XI განკარგულებით. იგი ქალაქს გაცემული ჰქონდა იჯარა-შესყიდვის წესით და აძლევდა მას ყოველწლიურ შემოსავალს 4000—4600 მან. რაოდენობით[2].

2. ადგილი ფულის დასახურდავებელი მაგიდების მოსაწყობად

მაიდანზე ქალაქის გამგეობას გაცემული ჰქონდა იჯარა-შესყიდვის წესით სივრცე 1 კვ. საჟენი, სადაც ბოწყობილი იყო ხაგიდა სახელმწიფო მონეტების გადასახურდავებლად.

მ იჯარე-შემსყიდველს უნდა გადაეხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი მსაჭედებად. ის ვალდებული იყო იჯარა-შესყიდვის თანხის ნესაძედი გირაოდ შეეტანა.

ეს წყარო ქალაქს 50-იანი წლების შემდეგ აძლევდა წლიურად 200 მან[3]. შემოსავალს.

3. ქალაქის საბანაოს შემოსავალი

თბილისის სამხედრო გუბერნატორის 1854 წლის განკარგულების საფუძველზე ქალაქს გაცემული ჰქონდა იჯარა-შესყიდვის წესით საბანაო, რომელიც მას აძლევდა წლიურად 50 მან. შემოსავალს[4].

4. საყინულეს შემოსავალი

საყინულე ქალაქს გაცემული ჰქონდა იჯარა-შესყიდვის წესით. იგი სახახინო მიწაზე იმყოფებოდა. 1846 წელს მისი შემოსავალი 120 მან[5]. შეადგენდა.

---

[1] Сборник стат. сведений, т. I, 1869 г., стр. 92.

Д. Бакрадзе. Статист. описание, гор. Тифлиса: Кавказск. кал. на 1865 г. стр. 61—65.

[2] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 10.

[3] იქვე, д. 10.

[4] იქვე, д. 10.

[5] იქვე, д. 4, л. 15.

5. შემოსავლი უძრავ-მოძრავი ბეითალმანი ქონებიდან

ქალაქის მცხოვრებთა ის ქონება, რომელსაც არც მამისა და არც დედის მხრივ მემკვიდრე არ აღმოაჩნდებოდა, გაიყოფოდა სამ ნაწილად: ერთი ნაწილი შეადგენდა სახაზინო შემოსავალს, მეორე ნაწილი ეძლეოდა საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიოს, მესამე ნაწილი ირიცხებოდა საქალაქო შემოსავალში[1].

6. განათების გადასახდელი

ქალაქის შემოსავალში მიიღებოდა აგრეთვე მთავრობის სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებებისაგან განათების ხარჯების გადამხდელი.

კავკასიის მეფის ნაცვლის გადაწყვეტილებით, ამ გადასახდელს ახდევინებდნენ იმ დაწესებულებებს, როძელთა ჰიმკრებსა და შესასვლელებთან დადგმული იყო ფარნები.

ასეთი ფარნების რიცხვი შეადგენდა 27. ამის შემოსავალი 1862 წლის საქალაქო შემოსაელის ნუსხაში გათვალისწინებული იყო 837 მან. ვერცხ[2].

V. სხვადასხვა საქალაქო წვრილმანი შემოსავალი

ქალაქი შემოსავალს ღებულობდა ჯარიმებიდანაც. დამნაშავეებს ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებით, რაც დამტკიცებული უნდა ყოფილიყო ხელისუფლების მიერ, ქალაქის სასარგებლოდ გადახდებოდათ ჯარიმა სარჩელი თანხის 1 % ოდენობით. აგრეთვე ქალაქის სასარგებლოდ ბიდიოდა ქალაქის გამგეობიდან საქმის აპელაციის წესით გადატანის დროს გადახდევინებული ფული[3].

ჯარიმა გადახდებოდათ აგრეთვე ვაჭრობის პოლიციის წესების დარღვევისათვის, ბინის ბეგარისა და საღალო მოსაკრებლის თავის დროზე შეუტანლობისათვის, სახანძრო რაზმის განგაშისათვის, ჩამოსულთა და წასულთა გაუცხადებლობისათვის და სხვ.

ასეთი შემოსავალი 1861 წლისათვის მიღებული იქნა 6.700 მან. რაოდენობით, ხოლო 1862 წლისათვის, ჯარიმის პროცენტის შემცირების გამო, ეს შემოსავალი გათვალისწინებული იყო 2000 მან. ვერცხ.[4]

VI. თბილისის საქალაქო შემოსავალთა საერთო დახასიათება

1841 წლიდან ამიერკავკასიაში სამოქალაქო მმართველობის შეცვლასთან ერთად შეეცადნენ საქალაქო მეურნეობისა და საქალაქო ფინანსების მოწყობას. საქალაქო შემოსაელის წყაროები გაურკვეველი და მეტად უწესრიგო მდგომარეობაში იყო. ასეთი დიდი არევდარევა იყო საქალაქო ხარჯთა

---

[1] Акты, т. V, стр. 288.
[2] ЦГИА ГССР. Ф. 192, оп. 1, д. 10.
[3] Акты, т. V, стр. 288.
[4] ЦГИА ГССР. Ф. 192, оп. 1, д. 10.

ნუსხაშიაც. ანგარიშგება ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ძნელი გასარკვევი იყო, თუ რაში და რაზომით იხარჯებოდა საქალაქო სახსრები.

საქალაქო შემოსავალ-გასავლის ნუსხას ადგენდა ადგილობრივი პოლიცია, რომელიც საქმეს დაეზოგავად და ყურწაგდებით და ამასთანავე გარკვეული პირადი დაინტერესებით ეკიდებოდა. ამიტომ ნუსხა დგებოდა არეულ-დარეულად; მასში გასავლის და შემოსავლის ნაწილების შესაბამისობა და ბალანსი დაცული არ იყო.

საქალაქო ხარჯთა და შემოსავალთა ნუსხების შედგენისა და აღსრულების შემოწმება ევალებოდათ ნაზრის უფროსებს[1]. მაგრამ საქმის უცოდინარობის, გულგრილი დამოკიდებულებისა და პირადი გამორჩენის გამო ათ ამ საქმეში კიდევ უფრო მეტი არევდარევა შეჰქონდათ, ვიდრე წესრიგი.

ხშირად ზედმეტ გადასახადებსაც აწერდნენ. ასე, მაგალითად, როგორც საბუთებიდან ირკვევა, საბაჟინო გლეხ გალუსტაშვილისათვის შეუწერიათ სურსათის გამოსაღები 8 წლისა ერთად. გალუსტაშვილმა იჩივლა, მაგრამ იმის დადგენა მაინც ვერ მოხერხდა, თე ვინ და რა საფუძველზე შეაწერა[2].

რეფორმამდელი თბილისის საქალაქო შემოსავალთა დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა მათი იჯარა შესყიდვის წესით გაცემის ფორმა. ეს გარემოება ისედაც მძიმე საგადასახადო ტვირთს კიდევ უფრო მძიმეს ხდიდა.

ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოს მმართველობის საუქმეზე ქალაქის პოლიცია აქვეყნებდა ცნობას საქალაქო შემოსავლის წყაროების იჯარაშესყიდვით გაცემის შესახებ და მოუწოდებდა მსურველებს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად. მსურველებს ქალაქის საზოგადოებრივ საქმართველოში ნებაქონდათ თხოვნა და ეროაო. გიროად ადგენდნენ საბუთს ქონების შესახებ[3].

1850-ანი წლებისათვის ქალაქის სამმართველო სახსრების დიდ ნაკლებობას განიცდიდა და ნარჩენების აკრებაც ვერ ხერხდებოდა. ამ დაძაბულ ფინანსურ მდგომარეობას აძიმებდა აგრეთვე ის გარემოება, რომ ქალაქი ზენუსხურ ხარჯებს ეწეოდა მაშინ, როდესაც შემოსავალი ნუსხურ ხარჯებსაც ვერ ჰფარავდა. ამის გამო ქალაქი საგრძნობლად დაეღიანდა და შეუსრულებელი ნუსხური ხარჯების თანხამაც იმატა. ამიტომ 1850 წელს ვალების გადასახდელად და ზენუსხურ ხარჯთა გასაწევად კიდევ გადიდებულ იქნა გადასახადები[4].

---

[1] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 4, л. 1—4.

[2] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 3, л. 200—201.

[3] იქვე, оп. 1, д. 3, л. 19.

[4] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 6. л. 5—11.

რეფორმამდელი პერიოდის საქალაქო ფინანსურ მდგომარეობას ახასიათებდა დიდი ნარჩენები და ნაკლნაკრეფი, რომლებიც 1861 წლისათვის შეადგენდა 150.017 მან. 88 კაპ. (ნაკლნაკრეფი 96.338 მან. 70 კაპ., ნარჩენები— 54.579 მან. 18 კაპ.). 1862 წლისათვის ნარჩენები კიდევ გადიდდა და 90 000 მან. მიაღწია, მაშინ როდესაც საქალაქო შემოსავალთა ნუსხა 223.901 მან. შეადგენდა. ამავე მდგომარეობას ახასიათებდა შეუსრულებელი ხარჯების დიდი რაოდენობაც. 1861 წლისათვის ასეთი ხარჯების თანხა უდრიდა 141.103 მან. 17 კაპ.

ანგარიშებში ნათქვამია, რომ 12.837 მან. 26 კაპ. არ იქნა დახარჯული იმის გამო, რომ საჭირო არ აღმოჩნდათ. აქედან ჩანს, რომ დანარჩენი, ე. ი. 128.265 მან. 91 კაპ. ვერ იქნა დახარჯული უსახსრობის გამო[1].

ქალაქის სახსრების გასადიდებლად მოხდა, როგორც ბარიატინსკის მოხსენებაშია აღნიშნული, ქალაქის წნობების ხელახალი შეფასება, რის შედეგადაც გადიდებული იქნა ქალაქის შემოსავალი.

ქალაქ თბილისის ფინანსური მდგომარეობის თანდათანობით გაუარესების გამო, განსაკუთრებით რეფორმამდელი პერიოდის დასასრულს, ქალაქის საწმართველომ გადაწყვიტა ახალი გადასახადების შემოღება, რაც დამტკიცდა კავკასიის მეფის ნაცვლის მიერ.

თბილისის ასეთი განსაკუთრებული ფინანსური მდგომარეობის მიზეზად იმ დროს ყველა ანგარიშგებაში დასახელებულია სამხედრო პირთა ბინის ფულით დაკმაყოფილება, რაც გამოწვეული იყო თბილისში დიდი რაოდენობით სამხედრო ნაწილებისა და სხვადასხვა ხარისხის სამხედრო პირთა ყოფნით. იმდენად მძიმე იყო ამ მხრივ მდგომარეობა, რომ საერთო საქმეთა დეპარტამენტი იძულებული იყო 1862 წლის ანგარიშგებაში წამოეყენებია სამხედრო პირთა ბინების ფულის შემცირების ან ქალაქისათვის საერობო შემოსავლიდან დახმარების აღმოჩენის მოთხოვნა[2]. მაგრამ ანგარიშებში არაფერია ნათქვამი დიდი ხარჯების მეორე კატეგორიის შესახებ, რომელიც პოლიციაზე იხარჯებოდა.

კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარ სამმართველოს საერთო საქმეთა დეპარტამენტის 1861 წლის ანგარიშგებაში ნათქვამია, რომ თბილისის ქალაქის ფინანსური მდგომარეობა ჩამორჩება ბაქოს, ერევნის, სტავროპოლისა და სხვა ქალაქების ფინანსურ მდგომარეობას. თბილისის დიდი მოსახლეობისა და ფართო მრეწველობის მიუხედავად, მისი ფინანსური მდგომარეობა მაინც კუდიაო[3].

რეფორმამდელი პერიოდის მანძილზე საქალაქო შემოსავალთა დიდი ზრდის მიუხედავად, შემოსავალი გასავალს მაინც ვერ ჰფარავდა, საქალაქო ფინანსები მუდამ ქრონიკულ დეფიციტს განიცდიდა.

---

[1] იქვე, оп. 1, д. 10, л. 5; 6.

[2] Акты, т. XII, стр. 1382—1384.

[3] იქვე, გვ. 1378.

1807 წლამდე, როგორც აღნიშნული გვქონდა, თბილისს საქალაქო შემოსავალი არ ჰქონდა და საქალაქო ხარჯები იფარებოდა ხაზინის დოტაციით. 1813 წელს საქალაქო შემოსავალი უდრიდა 9.709 მან., მას შემდეგ რაც გათვალისწინებული იქნა ზოგიერთი სახაზინო შემოსავალთა წყაროს გადაცემა 5.000 მან. ოდენობით[1].

შ. ჩხეტია, მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის თბილისის საქალაქო შემოსავალს ვარაუდობს 45.0 0 მან., ის წერს: თბილისი „არა საკმარისად ზუსტი მონაცემების მიხედვით ხაზინას აძლევდა წლიურად 45.0^0 მანეთამდეო"[2], შემდეგ წერს: „ამ დროისათვის საგრძნობლად იზრდება მისი ბიუჯეტიც" (მხედველობაში აქვს ქალაქ თბილისი—ვ. ჩ.), „თუ მე 19 საუკუნის დასაწყისისათვის ქალაქის შემოსავალი შეადგენდა, როგორც ვანგარიშობდით, დაახლოებით 45.000 მანეთამდე წლიურად, მაშინ, ამ პერიოდის დასასრულისათვის ეს შემოსავალი თითქმის ორჯერ იზრდებაო"[3].

აქ საქმე გვაქვს შემოსავლის ცნების აღრევასთან. ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ საქალაქო შემოსავალი (ე. ი. ადგილობრივი შემოსავლის ერთი სახე, რომელიც ქალაქის მმართველობის განკარგულებაში გადადიოდა, მეორე—ქალაქის სახაზინო შემოსავალი (რომელსაც სახელმწიფო ხაზინა ღებულობდა) და მესამე—ქალაქის საერთო შემოსავალი (სახალხო შემოსავლის თვალსაზრისით—ეს შემოსავალი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საქალაქო შემოსავალი და ქალაქის სახაზინო შემოსავალი ერთად აღებული).

შ. ჩხეტია თავისი შრომის 54-ე გვერდზე ლაპარაკობს ქალაქის სახაზინო შემოსავალზე, რომელიც, მისი აზრით, 45.000 მანეთამდე აღწევდა, მაგრამ—66-ე გვერდზე ეს 45.000 მან. წარმოდგენილია, როგორც საქალაქო შემოსავალი. იგი წერს, რომ ქალაქის ბიუჯეტი იზრდება და თუ მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის იგი 45.000 მან. შეადგენდა, ამ პერიოდის დასასრულისათვის თითქმის ორჯერ გადიდებულიაო.

45.000 მან. ხსენებული დროისათვის არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ცნების გამომხატველ რიცხვად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს. მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის თბილისის საქალაქო შემოსავლის განსაზღვრა 45.000 მან. ოდენობით გადაჭარბებული იქნება, ქალაქის სახაზინო შემოსავლად ამ თანის გამოცხადება დაზუსტებას მოითხოვს, ქალაქის საერთო შემოსავლის რაოდენობისათვის კი 45.000 მან. ძალზე ცოტაა.

საიდან არის მოტანილი ეს 45.000 მან.? შ. ჩხეტია იმოწმებს „Акты", т. I, стр. 197, Н. Бадриашвили, Тифлис, стр. 133; С. Чрелаев, В. К. стр. 63, 55. (ამ უკანასკნელში კორექტურული შეცდომაა. უნდა იყოს стр. 53, ნაცვლად 63-ისა—ვ. ჩ.), ნ. ბადრიაშვილი თავის მხრივ იმოწ-

[1] Акты, т. V, стр. 229.

[2] Ш. Чхетия, Тбилиси в XIX столетии, 1942 г. стр. 54.

[3] იქვე, გვ. 66.

მებს „აქტებს“ (იგივე გვერდი); ხოლო ს. ჭრელაშვილს საერთოდ წყაროები მითითებული არ აქვს.

Акты, т. I, стр. 197-ზე არაფერი არ არის ნათქვამი საქალაქო შემოსავალზე, იქ მოცემულია ცნობები საერთოდ საქართველოს სამეფოს შემოსავლის შესახებ რუსეთის მმართველობის დამყარებამდე. აქედან ჯერერთი ჩვენ, რომ გამოვყოთ ის საშემოსავლო წყაროები, რომლებიც მეფის რუსეთის ხელისუფლებამ 1840-ანი წლების შემდეგ ქალაქის მმართველობას გადასცა, მივიღებთ თანხას 30.000 მან-დე და არა 45.000-მდე. მეორე: ეს სწორი არ იქნება აგრეთვე იმ მხრივ, რომ საქალაქო შემოსავალი იმ დროისათვის უნდა ვიანგარიშოთ არა იმ შემოსავალთა წყაროების მიხედვით, რომლებიც მეფის რუსეთის ხელისუფლებამ 1840-ანი წლების შემდეგ საქალაქო შემოსავლად დაამტკიცა, არამედ იმის მიხედვით, თუ თვით გიორგი მე-12-ის დროს რა იყო დაკანონებული საქალაქო შემოსავლად (როგორც ადგილობრივ შემოსავლად) და სამეფო შემოსავლად. ასეთი გაანგარიშებით მე-18 საუკუნის დასაწყისისათვის უსათუოდ სხვა რიცხვი მიიღება. შ. ჩხეტიას მიერ დასახელებული მეორე წყარო ნ. ბადრიაშვილი ზემოთ მოხსენებულ გვერდზე ანგარიშობს თბილისის არა საქალაქო შემოსავალს, არამედ ქალაქის სახაზინო შემოსავალს, რაც, მისი აზრით, 42.690 მან. შეადგენდა.

ერთ-ერთი მუხლი ამ შემოსავლისა ნაანგარიშევია შემდეგნაირად: „ბალი“ — სულხლობრივი გაპოსაღები თითოეულ ცოლიანზე დაწესებული იყო 1 მან. 20 კაპ. და უცოლოზე 18 წელზე ზევით — 60 კაპ. (ქალაქის 20.000 განმავლებელი მოსახლეობის დროს, რომელთა შორის ცოლიანი და უცოლო, დაახლოებით თითოეული 20% იქნება), მიიღებოდა 7.200 მან.“

ეს გამოანგარიშება არ არის სწორი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის თბილისში არ იქნებოდა 20.000 განმავლებელი მოსახლეობა. ჩართალია, ამ დროისათვის ქალაქის მოსახლეობას ვარაუდობენ 20.000-მდე, მაგრამ მათ შორის იყო საკმარისად დიდი რაოდენობით ჩაწოსული, არამკვიდრი და მოხეტიალე მოსახლეობა, რომელიც აღრიცხული არ იყო და, მაშასადამე, გადასახადს არ გადაიხდიდა. შემდეგ, ამ 20.000 უნდა გამოაკლდეს აგრეთვე პრივილეგირებული წოდების მოსახლეობა (მეფის წულები, თავად-აზნაურობა, სამღვდელოება). ისინი გამომდებელ წოდებას არ ეკუთვნოდნენ და გადასახადს არ იხდიდნენ.

შემდეგ სწორედ არ არის ნავარაუდევი ცოლიანთა და უცოლოთა პროცენტი მოსახლეობაში. ნ. ბადრიაშვილი ანგარიშობს ცოლიანებს და უცოლოებს ოც-ოც პროცენტს ე. ი. ქალაქის მთელი მოსახლეობის 40%. არ შეიძლება, რომ ცოლიანთა და უცოლოთა საერთო რაოდენობა მთელი მოსახლეობის 40% შეადგენდეს. ვინაიდან 18 წლამდე უცოლოები არ იბეგრებოდნენ, მაშასადამე უნდა ავიღოთ ასაკი 18 წლის ზევით, აგრეთვე ცოლიანების მიმართ უნდა ავიღოთ ასაკი 18—20 წლის ზევით (ვინაიდან დაქორწინებულნი ამ ასაკს ზევით იქნებოდნენ). სტატისტიკის თანახმად 18—20 წლის ასაკამდე ორივე სქესის მოსახლეობა სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა

წლის მიხედვით ნაანგარიშევი იძლევა საშუალოდ მთელი მოსახლეობის 46%. ამ ასაკის პროცენტის გამოკლების შემდეგ დარჩება მთელი მოსახლეობის 54%. ამას უნდა გამოაკლდეს ქალთა%. ქალთა სქესი საერთოდ იანგარიშება მოსახლეობის ნახევარი, მაგრამ ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ თბილისში იმ ხანად მამაკაცთა პროცენტი სჭარბობდა, ამიტომ ეს უკანასკნელი ვიანგარიშოთ 2%-ით მეტი. ასეთი ანგარიშით 18—20 წელს ზედა ასაკის ქალთა პროცენტი იქნება 26, მამაკაცებისა—28%. ამგვარად. ცოლიანთა და უცოლოთა პროცენტი გამოდის დაახლოებით 28 და არა 40. ყველა ამ გარემოებათა მხედველობაში მიღების შემდეგ ვალასახადის ნაანგარიშევი თანხა ნახევარზე მეტად შეიცირდება.

რაც შეეხება შ. ჩხეტიას მიერ დასახელებულ მესამე წყაროს,—ს. ჭრელაშვილს, მას (გვ. 53; 55) თბილისის საქალაქო შემოსავალი ნავარაუდევი აქვს 7.250 მან. და არა 45.000 მან. ამასთანავე ისიც აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის დასაწყისისათვის მას საქალაქო შემოსავლად ის საშემოსავლო წყაროები აქვს მიჩნეული, რომლებიც შემდგომში მეფის რუსეთის ხელისუფლებამ დააკანონა საქალაქო შემოსავლის წყაროებად.

რეფორმამდელი თბილისის საქალაქო შემოსავალი შეადგენდა:

1813	წელს	4.259	მან. [1]
1833	„	26.093	„
1842	„	72.934	„
1846	„	93 368	„
1851	„	156.063	„
1862	„	223.901	„
1864	„	306 623	„ [2]

ამგვარად. რეფორმამდელი პერიოდის დასასრულს საქალაქო შემოსავალი 1813 წელთან შედარებით გადიდებულია 73-ჯერ, მოსახლეობა კი მთელი პერიოდის მანძილზე (1801—1864 წწ.) გაზრდილია ოთხჯერ-ხუთჯერ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, რეფორმამდელი თბილისის საქალაქო შემოსავალი ძირითადად გადასახადებისაგან შედგებოდა. ამგვარად, მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი გადიდებულია 18-ჯერ მარტო საქალაქო გადასახადების სახით. აქ ჩვენ ხელველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მოსახლეობა დაბეგრილი იყო აგრეთვე სახაზინო გადასახადებით და საერობო გადასახადებით. ამ საგადასახადო ტვირთს ზრდიდა აგრეთვე პოლიციისა და ამკრებთა თვითნებობა, ბეჭრთამეობა და დამატებითი გადახდევინება თავიანთ სასარ-

---

[1] ის გარემოება, რომ 1913 წელს საქალაქო შემოსავალი ასე ცოტა თანხას შეადგენდა, იმითაც აიხსნება, რომ რეფორმამდელი პერიოდის დასაწყისში მეფის რუსეთის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს საქალაქო მეურნეობა და ფინანსები მოწესრიგებული არ ჰქონდათ. მათ შემოსავლის აქ დასახელებული ზოგიერთი წყარო სახაზინო შემოსავალში ჩარიცხეს, ზოგი კიდევ დასაწყისში გამოუვლინებელი იყო.

[2] ЦГИА ГССР, Ф. 192, оп. 1, д. 3, л. 205—237; д. 4, л. 48—66; д. 6, л. 12—21; д. 10; Акты, т. V. стр. 229. Обозрение Р. вл. за К., ч. 1, стр. 270, Кавказск. кал. на 1865 г. стр. 60.

გებლოდ. მას ზრდიდა ამასთანავე საქალაქო შემოსავალთა მიღების იჯარა-შესყიდვითი წესი. მოიჯარე-შემსყიდველთა მოგება და გამორჩენა ამ საქმეში მოსახლეობას დიდ დამატებით ტვირთად აწვა.

საგადასახადო ტვირთს ამძიმებდა აგრეთვე საქალაქო სახსრების არა-მწარმოებლური გამოყენება. როგორც ზემოთ ვნახეთ, საქალაქო სახსრები ძირითადად პოლიციის, საერთო მმართველობითი აპარატისა და სამხედრო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა. ქალაქის კეთილ-მოწყობა და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. ამგვარად, მოსახლეობის მიერ გადახდილი სახსრების შეუჩერებელი ზრდა მოსახლეობას შებრუნებულად, ე. ი. მხოლოდ ჩაგვრის გაძლიერების თვალსაზრისით, უბრუნდებოდა. საგადასახადო სიმძიმის ერთგვარი მაჩვენებელია ნარჩენების ის დიდი თანხები, რომელთა შესახებ მოხსენებული იყო ზემოთ, აგრეთვე მოსახლეობის წინააღმდეგობა და მღელვარება, რასაც ადგილი ჰქონდათ თბილისში ტორმოსოვის დროს, შემდეგ—1829—30 და 1853 წლებში და, განსაკუთრებით კი, 1865 წელს.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფინანსებისა და კრედიტის კათედრა.

(შემოვიდა რედაქციაში 1948. IX. 15).

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 1945
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА XXXIV, 1945

ლ. ახათიანი

ლოგარითმული სახაზავის გამოყენებისათვის ეკონომიურ გამოანგარიშებაში

ჩვენში გამოშვებულია შემდეგი სახის ლოგარითმული სახაზავები:

1. 25 სმ. ლოგარითმული სახაზავი, ანუ ჩვეულებრივი ლოგარითმული სახაზავი.
2. 50 სმ. ლოგარითმული სახაზავი.
3. 25 სმ. პრეციზიული ლოგ. სახაზავი (ორზოლიანი).
4. ცილინდრიული ლოგ. სახაზავი.
5. მართკუთხედი ლოგ. სახაზავი.

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ, თუ რამდენად გამოსადეგი არიან ეს იარაღები ეკონომიურ გამოანგარიშებაში.

ჩვენი ანალიზი დაფუძნებულია როგორც არსებულ ლიტერატურულ მასალაზე, ისე ჩვენ მიერ ჩატარებულ მუშაობაზე ამ იარაღებით.

1. ჩვეულებრივი სახაზავი

პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ლოგ. სახაზავის ის უპირატესობანი, რომელიც თვალში ეცემა ყველას, ვინც შეადარებს მას არითმომეტრთან:

1. ის პორტატიულია.
2. არ ღლის მუშაკს მუშაობის დროს (ფიზიკურად), როგორც არითმომეტრი, რომლის სახელურის ტრიალი ხელს ღლის.
3. უხმოდ მუშაობს, მაშინ როცა არითმომეტრი მეტად ხმაურია.
4. ათჯერ უფრო იაფია, ვიდრე არითმომეტრი.
5. არითმომეტრზე უფრო სწრაფია.

ჩვენ რომ შევადაროთ, მაგალითად, პროცენტის გამოანგარიშება ან გაყოფა ლოგ. სახაზავზე და არითმომეტრზე, აშკარად დავინახავთ ლოგ. სახაზავის სისწრაფეს. ჩვენ მიერ ჩატარებული ცდების მიხედვით პროცენტის ან გაყოფის შემთხვევაში სამი ნიშნის მიღებით პასუხში ლოგ. სახაზავი ორჯერ სწრაფია არითმომეტრზე 35%.

ჟურნალში „Спутник счетовода“ 1931 წელს № 3 მოთავსებულია ლაზარენკოს წერილი, რომელიც აღნიშნავს, რომ ის სამი წელია მუშაობს ლოგ. სახაზავზე, და მისი დაკვირვებით იგი უფრო სწრაფია არით-

მომეტრზე 25%-ით დ. თუ საქმე გვაქვს სერიულ გამრავლებასთან ან გაყოფასთან, გაცილებით კიდევ უფრო მეტად.

გასაგებია, რომ სახაზავის ზევით აღნიშნული თვისებები ძალიან მაღლა აყენებენ მას ბევრის თვალში.

გოლდინი, ავტორი შრომისა „გამოანგარიშების ტექნიკა" (გამოც. 1927 წლისა), ასე წერს ლოგ. სახაზავზე: „დროთა განმავლობაში გამოგონილი იყო სხვადასხვა საანგარიშო ხელსაწყოები, მთელი მანქანებიც კი, მაგრამ მათ შორის პირველ ადგილას უნდა დავაყენოთ ლოგ. სახაზავი" (გვ. 120).

მაგრამ ჩვენ რომ მივმართოთ ლიტერატურას, რომელიც მიეძღვნა ეკონომიურ გამოანგარიშების ტექნიკურ მხარეს, დავინახავთ, რომ სრულებითაც არაა ერთსულოვნება ლოგ. სახაზავის შეფასებაში.

ალრიცხვის მექანიზაციის კურსები (ისაკოვიჩის, გინოდმანისა). აგრეთვე სპეციალური კრებული, მიძღვნილი ალრიცხვის მექანიზაციის საკითხებისადმი, გამოცემული მმართველობის ტექნიკის ინსტიტუტის, მიერ, სრულიად არ იხსენიებენ ლოგ. სახაზავს როგორც გამოანგარიშების მექანიზაციის იარაღს.

აგრეთვე სდუმან ლოგ. სახაზავზე სამეურნეო გამოანგარიშების ზოგიერთი კურსები (გურვიცისა, ანდრეევ-ბელენკისა 1937 წ. გამოცემა).

მეორე მხრივ, ამირაგო-ეოლსკის („გამოანგარიშების მექანიზაცია"), იდელსონის („ანგარიშის მექანიზაცია"), ანდრეევ-ბელენკის კურსის 1939 წლის გამოცემაში, აგრეთვე სტეფანიუკის კურსში სპეციალური თავი აქვს მიძღვნილი ლოგ. სახაზავს, რომელსაც ეს ავტორები სთვლიან, მართალია განსაზღვრულ ფარგალში, საკირო იარაღად ეკონომიურ გამოანგარიშებაში.

მის მნიშვნელობაზე ანდრეევ-ბელენკის კურსში (გვ. 90), შემდეგს ვკითხულობთ:

„ლოგ. სახაზავზე გამოანგარიშების სიზუსტე შეზღუდულია 2—4 ნიშნით, ამიტომ მისი გამოყენება სამეურნეო გამოანგარიშებაში მიზანშეწონილია იმ შემთხვევებში, როცა გამოანგარიშების შედეგი თავისი ხასიათით შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ რამდენიმე სწორი ნიშნით. ამგვარი გამოანგარიშებაა—პროცენტული გამოანგარიშება, პროპორციული გაყოფა, თანაბრის ბრუნვადობის გამოთვლა, სწავლასხვა კოეფიციენტების გამოყვანა, გეგმების შედგენისას და კალკულაციაში და ა. შ.".

თითქმის ამავე სიტყვებით ახასიათებს ლოგ. სახაზავის გამოყენებას სტეფანიუკის კურსი (გვ. 87).

ლოგ. სახაზავის დანერგვის ცდაში ეკონომიურ გამოანგარიშების სფეროში მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს კოსმინსკის წიგნი: „საანგარიშო სახაზავი სამეურნეო ეკონომიურ პრაქტიკაში" 1935 წ.

ეს პირველი წიგნია, რომელიც სპეციალურად არის დაწერილი ლოგ. სახაზავის გამოყენებაზე ეკონომიურ გამოანგარიშების სფეროში. აქ გაცილე-

ბით უფრო სრულად, ვიდრე სადმე სხვაგან, აწერილია ლოგ. სახაზავი და წესები მის გამოსაყენებლად ეკონომიური გამოანგარიშებას დარგში.

ავტორი ასე მოხაზავს ლოგ. სახაზავის გამოყენებას ეკონომიურ გამოანგარიშების სფეროში.

მისი აზრით, შესაძლებელია სახაზავის ყველა უბნებზე წაკითხვა 3—4 ნიშნიანი რიცხვებისა და გამოანგარიშების საშუალო ცდომილება ამ იარაღით არ აღემატება 0,3% აქედან ის დაასკვნის, რომ მისი გამოყენება შეიძლება:

ა) პროცენტის გამოანგარიშებაში სამეურნეო საქმიანობის ყოველგვარ სფეროში;

ბ) ყოველგვარ ვევრების შედგენასთან დაკავშირებულ გამოანგარიშებაში;

გ) მრავალ სავაჭრო გამოანგარიშებაში—ფასები, დათმობა, დარიცხვა და სხვა;

დ) საწარმოო პრაქტიკული ხასიათის გამოანგარიშებაში, კერძოდ ინვენტარიზაციასთან დაკავშირებულ გამოანგარიშებაში;

ე) ბოლოს, სხვა იარაღით გაკეთებულ გამოანგარიშებათა შემოწმებაში და წინასწარ სავარაუდო ანგარიშში.

როგორც ვხედავთ, ლოგ. სახაზავის გამოყენების სფერო აქ გაცილებით უფრო ფართოდ არის აღებული, ვიდრე ზემოთ მოხსენებულ ავტორების მიერ.

ჩვენ რომ დავუკვირდეთ სინამდვილეს, დავინახავთ, რომ ლოგ. სახაზავი ბეტად იშვიათად ვეხვდება ეკონომისტებში.

ლოგ. სახაზავი—წერს ლომოვისკი თავის „კომერციულ გამოანგარიშების კურსში“—ძალიან ნაკლებ პოპულაროპით სარგებლობს კომერციულ გამოანგარიშებაში.

გამოანგარიშების იარაღთა შესწავლის დროს სტუდენტები ჩვენი და სხვა ლექტორთა დაკვირვებით უფრო ძნელად ითვისებენ ლოგ. სახაზავს, ვიდრე არითმომეტრს.

რაა მიზეზი ფართო პრაქტიკაში ეკონომისტების მიერ ლოგ. სახაზავის მეტად სუსტი გამოყენებისა, სტუდენტთა მიერ მისი ძნელად ათვისებისა და სპეციალისტთა ნაწილის მიერ მის, როგორც ეკონომიურ გაანგარიშების ნამდვილ იარაღის, არ ცნობისა? მიზეზია, ჩვენის აზრით, ლოგ. სახაზავის უსრულობა ეკონომისტის თვალსაზრისით.

არსებული ლოგ. სახაზავი შეიქმნა და განვითარდა როგორც იარაღი ტექნიკური გამოანგარიშებისა.

ეს კი იწვევს მთელ რიგ მომენტებს, რომელიც საჭიროა ტექნიკოსებისათვის, მაგრამ გამოუსადეგარი ეკონომისტებისათვის.

1. სახაზავზე ჩვენ ვპოულობთ მთელ რიგ სკალებს, სპეციალურად ტექნიკურ გამოანგარიშებისათვის განკუთვნილს და იმავე მიზნით მთელ რიგ პირობით ნიშნებს.

სახელდობრ, სახაზავზე, ჩვენ ვპოულობთ 7 სკალას (წითლის შიგ ჩათვლით) ნიშნების π, m, C, ρ, მაშინ როცა, ეკონომისტისათვის სრულიად საკმარისია აქედან სამი სკალა—ორი ძირითადი და ერთი კვადრატისა.

ეს ზედმეტი სკალები და ზედმეტი ნიშნები კი მეტად აჭრელებენ ან „ულრან“ ტყეში გზის გაკვლევას.

2. ტექნიკურ გამოანგარიშებაში მეტად ხშირია რთული კონვეიული გამოანგარიშება შემდეგი ტიპისა $\frac{a.b.c.}{d.e.f.}$; ამგვარი გამოანგარიშების დროს მეტად მნიშვნელოვანია საბოლოო შედეგის ნიშნიანობის ადვილად მიღება. ეს კი ადვილად ხდება ერთზოლიან ლოგ. სახაზავზე, ამიტომ ჩვეულებრივი სახაზავი ერთზოლიანია. ეს კი იწვევს ლოგ. სკალის შემჭიდროებას, რაც თავის მხრივ იწვევს ორ შედეგს:

ა) ამგვარ სახაზავზე ცესამე ნიშანი სამი სხვადასხვა სახით არის ალნიშნული:

პირველ უბანზე (ჩვენ ლოგ. სკალას 9 უბნად ვყოფთ) ცესამე ნიშანი აღნიშნულია ერთეულადი შტრიხით (0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9).

მეორე და მესამე უბნებზე—წყვილადი შტრიხით (0, 2, 4, 6, 8).

მეოთხე-ბეკხრე უბნებზე—ხუთეული შტრიხით (0, 5).

ეს სხვადასხვაობა კი აძნელებს შესწავლას და თვით თვლასაც.

ბ) უფრო მნიშვნელოვანია მეორე შედეგი: გამოთვლის შედეგს ჩვენ ცალკეულებთ ისეთი სიზუსტით და სისრულით, როგორც საჭიროა ეკონომიურ გამოანგარიშებაში. ჩვენ რომ ავიღოთ ყველაზე მასობრივი ტიპი გამოანგარიშებისა, საცა ლოგ. სახაზავს შეუძლია ფართოდ იპოვოს გამოყენება (პროცენტის გამოანგარიშება), დავინახავთ, რომ აქ პასუხის ბეათედამდე მისაღებად ეკონომისტს სჭირია სრული სამი ნიშანი და პირველ უბანზე ოთხიც.

ძაგრამ გვაძლევს თუ არა არსებული 25 სმ. ერთზოლიანი სახაზავი ამას. ვიდრე ჩვენ ამ საკითხს გამოვარკვევდეთ. უნდა გადავჭრათ წინასწარ შემდეგი საკითხი: რა მოთხოვნილებას ვუდგენთ ჩვენ საშუალო ეკონომისტს სკალის წაკითხვის მხრივ.

აქ შესაძლებელია შემდეგი საფეხურები:

ა) წაკითხვა სკალაზე აღნიშნული შტრიხისა. ეს შეუძლია საშუალო ეკონომისტს, თუ ეს შტრიხები მეტისმეტად არაა ერთმანეთზე მიტმასნილი. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თუ შტრიხები დგას ერთმანეთთან უფრო ახლო, ვიდრე 0,7 მმ., ასე მიტმასნილი შტრიხები ქმნიან შავ ფონს და მათი წაკითხვა მეტად მძიმეა და თანაც ხშირად შეცდომასთანაა დაკავშირებული.

ერთზოლიან სახაზავის 25 სმ. სკალაზე აღნიშნული შტრიხები დაშორებულია ერთმანეთზე, გარდა პატარა გამონაკლისისა, არა უახლოეს აღნიშნულ მანძილისა: ამგვარად, ამ შტრიხების წაკითხვა შეუძლია საშუალო ეკონომისტს. ეს უზრუნველყოფს მესამე ნიშნის წაკითხვას სახაზავის იმ უბანზე, საცა მესამე ნიშანი აღინიშნება განსაკუთრებულ შტრიხით, ე. ი. პირველ უბანზე. ამრიგად, რიცხვები 100—199 მთლიანად წაიკითხება ამ სახაზავზე.

ბ) ორ შტრიხს შორის ინტერვალის გაყოფა თვალით შუაზე. ამ მოხერხების შესრულება შეუძლია საშუალო ეკონომისტს, თუ ეს ინტერვალი არაა მეტად მცირე. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ის უნდა იყოს არა ნაკ-

ლებ ერთ მილიმეტრისა, ამაზე ნაკლებ განის შუაზე გაყოფა ამძიმებს თვალს. იწვევს მხედველობის დაქიმვას.

ჩვენ სახაზავზე შუაზე გასაყოფი შტრიხთაშორისი ინტერვალები გვხვდება სახაზავის მეორე და მესამე უბანზე. აქედან მეორე უბნის ინტერვალები შეადგენენ 0,75—1 მმ., მესამე უბნისა კი 0.55—0.75 მმ. ამ უბნებზე რიცხვის მესამე ნიშნის წასაკითხავად ჩვენ უნდა შევძლოთ ამ უკიდურესად მცირე-განის შუაზე გაყოფა, რაც, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, საშუალო ეკონომისტისთვის ძნელი იქნება. ამრიგად, მესამე ნიშნის წაკითხვა მეორე და მესამე უბნებზე, ე. ი. რიცხვების 200—399, უკვე დაკავშირებულია ერთგვარ სიძნელესთან.

მაგრამ ეს მაინც შესაძლებელია მაშინ, როცა გაცილებით უფრო ძნელია მესამე საფეხურის მოთხოვნის შესრულება.

ბ) ეს მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ საჭიროა ორ შტრიხს შორის ინტერვალის თვალით ხუთ ნაწილად გაყოფა, ისე რომ თითოში მოთავსდეს თითო ბეწვი. ამას მოითხოვს მთვლელისაგან კოსმინსკი (გვ. 10) და სხვა ავტორები, რომლებიც ამბობენ, რომ შეიძლება 3—4 ციფრის წაკითხვა 25 სმ. სკალაზე.

მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ ეს არ შეუძლია საშუალო ეკონომისტს. ის ამჯობინებს ამ შემთხვევაში მიმართოს უფრო არითმომეტრს, ვიდრე სახაზავს.

ჩვენი სახაზავის მეოთხე-მეცხრე უბნებზე კი მესამე ნიშნის წასაკითხავად საჭიროა ამ მოთხოვნის შესრულება, ე. ი. ორ შტრიხთა ინტერვალის ხუთ ნაწილად გაყოფა თვალით.

ამგვარად, ამ უბნებზე საშუალო ეკონომისტი მესამე ნიშანს მთლიანად ვერ ამოიკითხავს; ის წაიკითხავს ძხოლოდ:

ა) 400—405, 410, 415, 420 და ა. შ ვიდრე 990, 995, რადგან ამ რიცხვების წასაკითხავად საკმარისია სკალაზე აღნიშნული შტრიხების წაკითხვა.

ბ) ის წაიკითხავს აგრეთვე 403, (დარგვალებული 4325), 408 (დარგვალებული 4075), 413—418—423 და ა. შ. ვიდრე 993—998, რადგან ამ რიცხვების წასაკითხავად საკმაოა სკალაზე აღნიშნული შტრიხების შუალედების შუაზე გაყოფა თვალით.

მთლიანათ ამ უბნებზე მას შეუძლია წაიკითხოს, მაშასადამე, 400, 403, 405, 408, 410, 413 და ა. შ. ვიდრე 990, 993, 995, 998, ე. ი. რიცხვები ინტერვალით 2—3 ორ მომდევნო რიცხვთა შორის.

კიდევაც რომ არაფერი არა ვთქვათ ცდომილებაზე გამოსათვლელ რიცხვების არასწორ აღებიდან სკალაზე, ძხოლოდ ცდომილება პასუხის წაკითხვაში მოგვცემს 0.5%—0.5% თითო გაპროცენტებაზე და, თუ რამდენიმე რიცხვს ვაპროცენტებთ მათი ჯამის მიცართ, ეს მიღებულ პროცენტთა შეკრებისას არ მოგვცემს ჯამში ას პროცენტს, არამედ მნიშვნელოვან გან-

სხვაობას 100% ზევით ან ქვევით, რასაც ეკონომისტები ვერ შეურიგდებიან და არ გაბედავენ ამგვარი ნაკლით მიღებულ მასალის გამოქვეყნებას.

ამრიგად 25 სმ. ჩვეულებრივი სახაზავი ვერაა გამოსადეგი როგორც მასობრივი იაფადი ეკონომიური გამოანგარიშებისათვის [1].

II. 50 სმ. სახაზავი [2]

მართალია, ეს სახაზავი აგრეთვე განკუთვნილია ტექნიკური გამოანგარიშებისათვის და მასზე არის ჩვენთვის, ეკონომისტებისათვის, ზედმეტი სკალები და ზედმეტი ნიშნები. მაგრამ მას აქვს ის უპირატესობა, რომ მისი სკალა ორჯერ უფრო გრძელია, და ამიტომ არაა ისე შემცირებული, როგორც 25 სმ. სკალა.

ამიტომ მის სკალაზე მესამე ნიშანი არ პირდაპირ წაიკითხება სათანადო შრიხის პოვნით (სკალის პირველ-მეოთხე უბნებზე) ან ამისათვის საკმაოა შტრიხთა ინტერვალის თვალით შუაზე გაყოფა (მეხუთე-მეცხრე უბნები). ხოლო უნდა აღინიშნოს, რომ მეოთხე უბნის შტრიხები ერთმანეთთან 0.7 მმ. უფრო ახლოა ღგას და შუაზე გასაყოფი ინტერვალის განი უდრის არა ერთ მილიმეტრს, არამედ გაცილებით ნაკლებს:

მეხუთე უბანზე—0.8 მმ., მეექვსეზე 0.7, მეშვიდეზე, 0.6, მერვეზე 0,5, და მეცხრეზე 0.45 მმ.

ამრიგად, მესამე ნიშნის წაკითხვა სკალის მეოთხე და ბოლო ნაწილში, დაწყებული მეშვიდე უბნიდან, ყოველ შემთხვევაში გაძნელებულია და იწვევს მხედველობის მნიშვნელოვან დაძაბვას.

მეოთხე ნიშნის წასაკითხავად მესამე შტრიხთაშორისი ინტერვალი გაყოფილია შუაზე, რაც გვაძლევს საშუალებას წავიკითხოთ მაგალითად: 1010, 1015, 1020, 1025, და ა. შ. ვიდრე 1995; ამ ინტერვალის ნახევრის კიდევ შუაზე გაყოფით შეიძლება მივიღოთ შუალედი რიცხვები 1013, 1018, 1023, ე. ი. საბოლოოდ პირველ უბანზე ჩვენ შეგვიძლია წავიკითხოთ ოთხნიშნა რიცხვები 1000—1999 ინტერვალით ორიდან სარამდე. ამასთან აქაც შუაზე გაყოფა გვიბდება მეტად მცირე ინტერვალისა.

მისი სიდიდე უდრის პირველ უბნის პირველ ნაწილში—1 მმ., მეორე ნაწილში—0.9. მესამეში—0,8, მეოთხეში—0-75, მეხუთეში—0.7, მეექვსეში 0.65, მეშვიდეში —0.6, მერვეში 0.57, მეცხრეში 0-55 მმ., ე. ი. ეს არასრული მეოთხე ნიშანიც მხედველობის მნიშვნელოვანი დაჭიმვით შეგვიძლია მივიღოთ.

---

[1] არც აქ. არც ქვევით ჩვენ სრულიად არ ვეხებით ნიშნიანობის გამორკვევის ერთგვარ სიძნელეს ლოგ. სახაზავზე, რადგან ეს მეორე ხარისხოვანი საკითხია ლოგ. სახაზავის გამოყენების საკითხის გადასაჭრელად.

[2] როცა ქვონომიურ ლიტერატურაში არკვევენ ლოგარითმულ სახაზავის გამოყენების საკითხს, მხედველობაში აქვთ მხოლოდ ჩვეულებრივი 25 სმ. სახაზავი. ჩვენ არ დაგვჯერდებით ამით, არამედ გავეხილავთ სხვა უფრო მძლავრ სახაზავებსაც, რაც გამოშვებულია ჩვენში.

ამრიგად, თუმცა 50 სმ. სკალა ბევრით უკეთესია 25 სმ., მაინც ის არაა საკმაო ეკონომისტის ნორმალური მუშაობისათვის.

ამასთან ამ სახაზავს კიდევ ის ნაკლი აქვს, რომ ის დიდია, ნახევარ მეტრზე ცოტა მეტი, ამის გამო ის უფრო მძიმეა და იმით მუშაობა უხერხულია იმ მხრივ, რომ საჭიროა ხელების ძალიან განიერად გაწევა მშოძრავის გაწევ-შეწევის დროს. ეს გარემოება ერთგვარი უხერხულობის გარდა იწვევს ანგარიშის შენელებასაც შედარებით პოლტატიულ სახაზავთან[1].

ჩვენ ძირ ჩატარებული ცდების მიხედვით ეს სახაზავი დაახლოვებით 20—25% უფრო ნელია გამოანგარიშებაში, ვიდრე ჩვეულებრივი სახაზავი.

ამრიგად, არც 50 სმ. სახაზავია მასობრივად გამოსაყენებელი ეკონომიურ გამოანგარიშებაში, მიუხედავად იმისა, რომ ის ერთგვარი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენთვის ეკონომისტებისათვის საჭირო სახაზავის შექმნაში.

III. 25 სმ. ორზოლიანი სახაზავი

ამ სახაზავს სრულიად ისეთივე სკალა აქვს, როგორც 50 სმ. სახაზავს, ხოლო ის დაყოფილია ორად.

მოკლედ გავაცნობთ მკითხველს მის თავისებურებას, რადგან ფართო წრეებში მას არ იცნობენ[1].

კორპუსის ზევითა ნაწილში, იმ ღარის ზევით, საცა სრიალებს მშოძრავი, მოთავსებულია სკალის პირველი ნახევარი, სახელდობრ რიცხვებისათვის (თუ სამ ნიშანს ვიგულისხმებთ) 100—316, ქვევითა ნაწილში—მშოძრავის ქვევით—სკალის მეორე ნახევარი 316—999. აძრიგად, იმ წერტში, რომელიც შეეფერება რიცხვ 316-ს, სკალა გადაჭრილია და ერთი ნახევარი ზევითაა მოთავსებული, მეორე კი ქვევით.

სკალის ამ ორ ნაჭერს შორის სრიალებს მშოძრავი. მასზედაც სკალა მოთავსებულია ორ ნაჭრად: პირველი ნახევარი მშოძრავის ზევით ზოლში, მეორე ნახევარი მის ქვევითა ზოლში.

მოქმედება ამ სახაზავზე სრულდება ისევე, როგორც ერთხოლიანზე. ხოლო პასუხი განსაკუთრებული წესის მიხედვით წაიკითხება.

საქმე ისაა, რომ აქ პასუხის წაკითხვისას იბადება ახალი საკითხი: ზევითსა თუ ქვევითს სკალაზე წავიკითხოთ ივი.

როგორც ვიცით, ნამრავლს ჩვენ ვკითხულობთ კორპუსზე იმ წერტილში რომელზედაც გადის ვიზირის ბეწვი, დასმული ნამრავლზე. ორზოლიან სახაზავზე ვიზირის ბეწვი გადის როგორც ზედა ისე ქვედა სკალაზე, და ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რომელ სკალაზე წავიკითხოთ ნამრავლი ამ ორი სკალიდან.

განაყოფს ჩვენ ვკითხულობთ, როგორც ვიცით, კორპუსის სკალის იმ წერტილში, რომელზედაც გადის მშოძრავის ერთ-ერთი ბოლო ორზოლიან

---

[1] ამირაგო-ვოლსკი, გვ. 37.

[2] დაწვრილებით ამ სახაზავს ასწერს ფივიევსკაია, ლოგ. სახაზავები დაყოფილი სკალებით, 1935 წ.

სახაზავზე ეს ბოლო მიბჯენილია, როგორც ზევით ისე ქვევით სკალაზე და საჭიროა გამოვარკვიოთ, თუ რომელ სკალაზე წავიკითხოთ პასუხი.

ამგვარად, საჭიროა პასუხის წაკითხვის დროს ამორჩევა კორპუსზე ერთ-ერთი სკალისა, ზედასი ან ქვევითისა.

ეს ამორჩევა ხდება შემდეგი წესის მიხედვით:

ა) გამრავლების დროს: თუ სამრავლ რიცხვთან მიბჯენილია მოძრავი სახაზავის ერთ-ერთი ბოლო („უნიშნო ბოლო“ ჩვენი ტერმინოლოგიით), მაშინ ნამრავლი უნდა წავიკითხოთ მამრავლის მეზობლათ; თუ მიბჯენილია მოძრავის ნიშანი X, მაშინ მამრავლის გადაღმა მდებარე სკალაზე (იქვე, გვ. 6).

ბ) გაყოფის დროს: თუ გამყოფს ვიღებთ მეზობელ სკალაზე, მაშინ განაყოფი უნდა წავიკითხოთ ერთ-ერთ ბოლოსთან („უნიშნო ბოლოსთან“ ჩვენი ტერმინოლოგიით); თუ კიდევ გამყოფს ვიღებთ გადაღმა სკალაზე, მაშინ ნიშან X-თან (იქვე, გვ. 7)[1].

რომ ზევით მოყვანილი ორი წესი უფრო ადვილი გასაგები იყოს, ჩვენ საჭიროთ ვთვლით შემდეგ განმარტებას.

დავიწყოთ გამრავლებიდან. ჩვეულებრივ სახაზავზე გამრავლების დროს მამრავლ რიცხვთან მიბჯენილია მოძრავი სახაზავის ერთ-ერთი ბოლო, პრეციზიულზე კი—ან ბოლო ან შუა. პრეციზიულ სახაზავზე მოძრავი ორბოლიანია, ამიტომ მას აქვს არა ორი, არამედ ოთხი ბოლო. ამათგან ორი ბოლო საკუთრივ ბოლოა, ორი კიდევ შუა, ე. ი. ის ადგილი, საცა სკალა დაკეცილია. აი სქემა:

ჩვეულებრივი სახაზავი

დასაწყისი	100	999	ბოლო

პრეციზიული სახაზავი

დასაწყისი	.00	.16	X	შუა
შუა X	316	999		ბოლო

რომ შუა გამოვარჩიოთ ბოლოსაგან (დასაწყისს და ბოლოს საერთო სახელს ვაძლევთ „ბოლო“), მას აღნიშნავენ ნიშნით X.

რადგან, როგორც ვხედავთ, პრეციზიულ მოძრავს ორგვარი დაბოლოება აქვს ყოველ მხრიდან:

1. საკუთრივ ბოლო (ჩვენი ტერმინოლოგიით „უნიშნო ბოლო“).
2. შუა—აღინიშნება X, ჩვენი ტერმინოლოგიით „დანიშნული ბოლო“).

---

[1] პროფესორ ანანოვს თავის საინტერესო წიგნში „ლოგ. სახაზავი“ 1935 წ., მოყვანი თავისი ორიგინალური წესი სკალის პოვნისა, რომელზედაც უნდა წავიკითხოთ პასუხი გამრავლების ან გამოყოფის დროს (გვ. 30—37). მაგრამ რადგან სადაო ადგილია. თუ არც ეს წესი ზევით მოყვანილზე, და პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია პირველი, ამიტომ ვჯერდებით პირველი წესის მოყვანით.

ამიტომ შესაძლებელია გამრავლების ორი შემთხვევა:

1. სამრავლთან მიბჯენილია უნიშნო ბოლო,

3. სამრავლთან მიბჯენილია შუა (ნიშნით X. „დანიშნული ბოლო").

სათანადოდ პასუხიც ორ სხვადასხვა ადგილას წაიკითხება.

პირველ შემთხვევაში, როცა მიბჯენილია უნიშნო ბოლო, პასუხი წაიკითხება მამრავლის მეზობლად მდებარე სკალაზე.

მეორე შემთხვევაში, როცა მიბჯენილია ნიშანი X, პასუხი წაიკითხება მამრავლის გადაღმა მდებარე სკალაზე.

მაგალითი № 1: 13×2. აქ ცამეტის შტრიხთან ვაჩერებთ მოძრავის უნიშნო ბოლოს, ამიტომ პასუხი წაიკითხება ორის მეზობლად, ე. ი. კორპუსის ზევითა სკალაზე = 26

მაგალითი № 2: 13×4. აქაც ცამეტის შტრიხთან ვაჩერებთ მმოძრავის უნიშნო ბოლოს, ამიტომ პასუხი წაიკითხება ოთხის მეზობლად, ე. ი. კორპუსის ქვევითა სკალაზე = 52.

მაგალითი № 3: 13×3. აქ ცამეტის შტრიხთან ვაჩერებთ მოძრავის X ნიშნით აღნიშნულ ბოლოს, ამიტომ პასუხი წაიკითხება არა სამის მეზობლად, არამედ გადაღმა სკალაზე, ე. ი. კორპუსის ქვევითა სკალაზე = 39.

მაგალითი № 4: 13×8. აქაც ცამეტის შტრიხთან ვაჩერებთ მოძრავის X ნიშნით აღნიშნულ ბოლოს. ამიტომ პასუხი წაიკითხება რვის გადაღმა მდებარე სკალაზე, ე. ი. კორპუსის ზევითს სკალაზე = 104.

ამ მაგალითებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ პრეციზიული სახაზავით გამრავლების დროს პასუხის ორ სხვადასხვა ადგილას წაკითხვა იწვევს სახაზავზე გამრავლების ნორმალური პროცესის შეცვლას. სახელდობრ, საჭიროა გამრავლების დაწყებისას არა მარტო გავიჩეროთ სამრავლთან მოძრავის ბოლო, არამედ აღვნიშნოთ გონებაში, რომელი ბოლოა გაჩერებული — დაუნიშნავი თუ დანიშნული, მოვძებნოთ მოძრავზე მამრავლი, გავიხსენოთ რომელი ბოლო იყო გაჩერებული, ამის სათანადოდ გავაკეთოდ ერთ-ერთი დასკვნა,

ან „უნიშნო მაშ მეზობლად",
ან „დანიშნული მაშ გადაღმა",

და ამის მიხედვით წავიკითხოთ პასუხი კორპუსის სათანადო სკალაზე.

გაყოფის დროს გასაყოფის პირისპირ ვაჩერებთ მმოძრავზე აღნიშნულ დამყოფს, მაგრამ რადგან პრეციზიულ სახაზავზე ორი ხოლია, გამყოფი აღმოჩნდება ან მეზობლად გასაყოფთან, ან მის გადაღმა. თუ მეზობლად — მაშინ განაყოფი წაიკითხება უნიშნო ბოლოსთან, თუ გადაღმა — დანიშნულ ბოლოსთან.

მაგალითი № 1. 24 : 2. გამყოფი ორი მეზობლადაა, მაშ პასუხი წაიკითხება უნიშნო ბოლოსთან, ე. ი. კორპუსის ზევით სკალაზე = 12.

მაგალითი № 2. 24 : 8. გამყოფი 8 გადაღმაა, მაშ პასუხი წაიკითხება X დანიშნულ ბოლოსთან, ე. ი. ზევით სკალაზე = 3.

გაყოფის ნორმალური პროცესი პრეციზიული სახაზავის გამოყენებისას ოდნავ იცვლება ჩვეულებრივ სახაზავთან შედარებით (მართალია, უნდა აღინიშნოს, უფრო შედარებით ნაკლებად, ვიდრე გამრავლება).

პრეციზიულ სახაზავზე ვიპოვნით რა გასაყოფს და დაგნიშნავთ ნას ვიზირით, უნდა აღვნიშნოთ გონებაში, რომელ სახაზავზეა იგი, ზევით თუ ქვევით, ვიზირის ბეწვის ქვეშ გადავიროთ გამყოფი, გავიხსენოთ, თუ რომელ სკალაზე იყო გასაყოფი, მოვისაზრთ შესაბამ ან გადაღმა სკალაზე გვხვდება გამყოფი, და დავასკვნათ: „ნეზობლად—ნაშ უნიშნოსთან"

„გადაღმა —მაშ X დანიშნულთან".

საერთოდ, როგორც ვხედავთ, პრეციზიულ სახაზავზე გამოანგარიშებას ემატება ერთგვარი დამატებითი გონებრივი მუშაობა, დაძაბულს მოითხოვება მეტი ყურადღება. ეს იწვევს როგორც გამოანგარიშების ეთგვარ შენელებას, ისე გონების ერთგვარად მეტ დაჭიმვას. ამას აღნიშნავენ ყველა ავტორები (კოსმინსკი—გვ. 44, ანანოვი—გვ. 30). ამით აიხსნება, რომ ეს სახაზავი იშვიათად გვხვდება ინჟენერ-ტექნიკოსებშიაც კი (ძალიან ინჟენერ-ტექნიკოსებისათვის მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ამ სახაზავზე, პასუხის ნიშნიანობის განორკეცება უფრო გაძნელებულია, ვიდრე ჩვეულებრივზე).

ჩვენი დაკვირვებით გაპროცენტება და გაყოფა ამ სახაზავით უფრო ნელია, ვიდრე ჩვეულებრივი სახაზავით, დაახლოებით ათი პროცენტით.

რამდენადაც 25 სმ. პრეციზიული სახაზავის სკალა იდენტურია 50 სმ. სკალასთან, მასაც ეხება ის გარემოება, რომ ეს სკალა მიუხედავად თავისი სიდიდისა მაინც არაა საკმაოდ დიდი, რომ მოგვცეს პასუხები ეკონომისტებისათვის საჭირო სიზუსტით.

ზედმეტი სკალები ამ სახაზავზე ნაკლებია, მხოლოდ ერთია ზედმეტი: ამიტომ მისი ზედაპირი ნაკლებადაა აჭრელებული.

50 სმ. სახაზავთან შედარებით მას აქვს აშკარა უპირატესობა თავისი პორტატიულობით, რაც ფიზიკურად მნიშვნელოვნად აადვილებს მუშაობას: ამიტომაც ამ სახაზავით მუშაობა უფრო სწრაფია, ვიდრე 50 სმ. სახაზავით.

საერთოდ, ეს სახაზავი არის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ შედარებით ჩვეულებრივ სახაზავთან, მაგრამ არც ეს არის გამოსადეგი ეკონომისტების ფართო ფენებისათვის.

IV. ცილინდრული სახაზავი

1936 წელს „მოსხინის" ქარხანამ გამოსცა ცილინდრული სახაზავი ერთი მეტრის სკალით, ე. ი. ორჯერ უფრო გრძელი, ვიდრე 50 სმ. ერთზოლიანი ან 25 სმ. ორზოლიანი.

ეს სახაზავი შედგება ორი ცილინდრისაგან (მესამე ცილინდრს, რომელიც დანიშნულია კვადრატ და კუბის გამოსაანგარიშებლად, ჩვენ აქ არ ვეხებით), შიდა და ზედა. შიდა ცილინდრის სიგრძე 21 სმ., მასზე ჩამოცმულია ზედა, გამჭვირვალე ცელულოზიდან გაკეთებული. მოკლე 11 სმ. ცილინდრი, რომელიც ტრიალებს და სრიალებს ჰორიზონტალური მიმართულებით გრძელის ირგვლივ. ცილინდრის განია—2 სმ.

როგორც შიდა ისე ზედა ცილინდრზე დახატულია 10—10 სკალა; ეს ათი სკალა ზედიზედ რომ მივადოთ, მივიღებთ ერთი მეტრის ლოგარითმულ სკალას.

ზედა ცილინდრს წამოცმული აქვს ვიზირი რგოლის სახით ორი წვეტით; იგი თავისუფლად სრიალებს ცილინდრზე და იმით შეიძლება აღნიშვნა საჭირო შტრიხისა.

ქვევით მოცემულია ამ სახაზავის სქემატური სურათი.

ლიტერატურაში ეს ცილინდრული სახაზავი აწერილი აქვს ფ ი ვ ე ი ს კ ა ი ა ს ზემოხსენებულ შრომაში (გვ. 28—39) და „მოსხიმის“ მიერ გამოცემულ მოკლე სახელმძღვანელოში ცილინდრული სახაზავის სარგებლობის შესახებ (1931 წ.).

ცილინდრული სახაზავის სქემა



* საშუალო 10-იანი შიდა ცილინდრზე

ზედა ცილინდრზე მოთავსებულია მხოლოდ ერთი მეტრი სკალის მეათე ნაწილები ანუ 10 ნაჭერი ამ სკალისა; ქვევითა ცილინდრზე ამის გარდა მოთავსებულია აგრეთვე ამ ნაჭრების გაგრძელება, რის გამოც ყოველი სკალა ორჯერ გრძელია ზევითი ცილინდრის.

მაგალითად: № 1 სკალა შეიცავს: ა) ძირითად სკალას რიცხვებისათვის 100—125 და ბ) გაგრძელებას—126—158.

№ 2 სკალა შეიცავს: ა) ძირითად სკალას 126—158 და ბ) გაგრძელებას 158—199 და ა. შ.

უკანასკნელი № 10 სკალა შეიცავს: ა) ძირითად სკალას 800—999, ბ) გაგრძელებას 100—126.

ამ სკალაზე გაგრძელების დაწყებისას, ე. ი. 999 შემდეგ, ასის ნაცვლად დაწერილია მსხვილი ათიანი, როძელსაც ჰქვია „საშუალო 10“.

აი როგორ სრულდება ძირითადი მოქმედებანი ამ სახაზავზე.

ა) გამრავლება. სამრავლს ავიღებთ ზედა ცილინდრზე და დავნიშნავთ რგოლ-ვიზირით; მოვაბრუნებთ და გადავწევთ ამ ცილინდრს

ისე, რომ სამრავლის შტრიხის ქვეშ მოხვდეს საშუალო 10 გრძელი ცილინდრისა, ვიპოვით უკანასკნელზე მამრავლსა და ზედა ცილინდრზე მამრავლის შტრიხის ზევით წავიკითხავთ ნამრავლს.

ამრიგად, ზედა ცილინდრი ასრულებს კორპუსის, ქვედა კი მმოძრავის როლს.

ბ) გაყოფა. გასაყოფს ვიპოვით ზედა ცილინდრზე და დავნიშნავთ რგოლ-ვიზირით. მოვაბრუნებთ და გადავწევთ ზედა ცილინდრს; ისე, რომ ვიზირის ქვეშ გამოჩნდეს გამყოფი, აღებული შიგნითს ცილინდრზე; ზედა ცილინდრზე საშუალო 10-ის ან დასაწყის 10-ს თავზე წავიკითხავთ პასუხს.

ამგვარად, დასაწყისი და საშუალო 10 ასრულებს მმოძრავის ბოლოს, რომლის პირისპირ წაიკითხება განაყოფი.

როგორც ვხედავთ, მოქმედების წესი თითქმის ანალოგიურია უბრალო სახაზავზე მუშაობის წესისა, ხოლო კორპუსისა და მმოძრავის მაგიერ გვაქვს ქვედა და ზედა ცილინდრი.

პასუხის პოვნა აქ უფრო ადვილია, ვიდრე პრეციზიულ სახაზავზე, სკალა კი, ამ იარაღის მეტი პორტატიულობის მიუხედავად, ოთხჯერ დიდია, ვიდრე უბრალო სახაზავზე, და ორჯერ დიდი, ვიდრე 25 სმ. პრეციზიულზე ან 50 სმ. ერთზოლიანზე.

ეს ერთი მეტრი სკალა შეძლებას გვაძლევს:

1. პირდაპირ წავიკითხოთ მესამე ნიშანი სკალის ყველა უბანზე, დაწყებული პირველიდან გათავებული მეცხრით, ე. ი. 100—199, თანაც ისე, რომ არც კი მოგვიხდება შტრიხებშორისი ინტერვალის შუაზე გაყოფა. ეს იმიტომ, რომ სკალის სიდიდე საშუალებას გვაძლევს სკალის უკანასკნელი უბნის ნაწილიც კი დავყოთ 10 ნაწილად შემდეგი სქემით:



2. რაც შეეხება მეოთხე ნიშანს, მართალია, საამისო სკალა აქაც მოცემულია, როგორც 50 სმ. სკალაზე, ხუთის ინტერვალით, ე. ი. 1000, 1005, 1010 და ა. შ., მაგრამ შტრიხთაშორისი ინტერვალი ორჯერ უფრო ფართოა, რაც საშუალებას გვაძლევს თავისუფლად, თვალთახედვის დაუძაბავად, გავყოთ შუაზე ეს ინტერვალები და წავიკითხოთ 1003, 1008 და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ერთი მეტრის სკალაც არ გვყოფნის პასუხის მისაღებად მეოთხე ნიშნის სრულ ფარგალში, მაგრამ ეს სკალა გაცილებით აადვილებს გამოანგარიშებას შედარებით 50 სმ. და მით უმეტეს 25 სმ. სკალასთან.

მიუხედავად ცილინდრული ხელსაწყოს ამ აღნიშნულ უპირატესობათა, მას ახასიათებს დეფექტები, რომელნიც მას იმ სახით, როგორც ის არის დღესდღეობით, უფრო ნაკლებ გამოყენების საშუალებას აძლევენ, ვიდრე ზევით განხილული უფრო მოკლე-სკალიანი სახაზაღები.

როგორც დაკვირვება გვიჩვენებს (ჩვენ ვეყრდნობით როგორც ჩვენს დაკვირვებას, აგრეთვე ამ იარაღზე მომუშავე პირთა ცნობებს), პრაქტიკუ-

ლად გამოანგარიშების ჩატარებისას ამ სახაზავზე ვხვდებით შემდეგ ხელისშემშლელ მოვლენას.

რადგან ზედა ცილინდრი გაჭვირვალეა, ჩვენ როცა ვუყურებთ ამ იარაღს, ერთდროულად ვხედავთ როგორც ზედა ისე ქვედა ცილინდრზე აღბეჭდილ ციფრებს და შტრიხებს.

ამის გამო ზედა და ქვედა ცილინდრთა ციფრები და შტრიხები ერთიმეორეში იჭრება და ძნელია ამ რიცხვთა და შტრიხთა არეულ გროვაში საჭიროდ რიცხვის და შტრიხის პოვნა ზედა და ქვედა ცილინდრზე.

ეს გარემოება მეტად გვიშლის გამოანგარიშების დროს, რადგან მოითხოვს თვალთახედვის და ყურადღების მეტად დიდ დაჭიმვას, როგორც გამოსაანგარიშებელ რიცხვთა მოძებნის და ერთიმეორის ქვეშ გაჩერების, ისე პასუხის წაკითხვის დროს.

შემდეგ, ზედა ცილინდრი ცოტა ხნის შემდეგ ვიწროვდება, ეკვრება ქვედა ცილინდრს და აღარ მოძრაობს.

კომპეტენტურ პირთა ცნობის მიხედვით ეს სახაზავი მოხსნილია წარმოებიდან.

ამგვარად, არც ეს სახაზავია გამოსაღეგი მასობრივ იარაღათ ეკონომიურ გამოანგარიშებაში.

V. მართკუთხედი სახაზავი

1938 წელს გამოიცა ლიუბიმოვის „საანგარიშო მართკუთხედი". ეს არის პატარა წიგნაკი, რომელშიც ჩადებულია ორი მუყაოს ფურცელი ირგვლივ შემოკრული ქაღალდის ლენტით.

საანგარიშო მართკუთხედი, ანუ როგორც ჩვენ ვეძახით მართკუთხედი სახაზავი, შედგება სამი ნაწილისაგან: კორპუსი, მმოძრავი და ვიზირი. აი, საერთო სქემა ამ იარაღისა იმ მდგომარეობაში, როცა ჩვენ ვიწყებთ მასზე მუშაობას.



* მმოძრავის ისარი A

1. კორპუსი წარმოადგენს მუყაოს სწორკუთხოვან ფურცელს ზომით 25 X 15 სმ.; იგი გაყოფილია ორ ნაწილად: მარცხენა და მარჯვენა. როგორც

მარცხენა, ისე მარჯვენა ნაწილში დაბეჭდილია ლოგ. სკალის 25 ნაჭერი, თითო სიგრძით ათი სანტიმეტრი; ამრიგად, საერთო სიგრძე ამ სკალებისა უდრის 2.5 მეტრს, რაც შეადგენს ერთ მთლიან ლოგ. სკალას.

ეს ლოგ. სკალა ამრიგად, ათჯერ უფრო დიდია, ვიდრე ჩვეულებრივი ლოგ. სახაზავისა, ამიტომ აქ თავისუფლად თავსდება რიცხვები.

პირველ უბანზე პირდაპირ წაიკითხება ოთხნიშნა რიცხვები 1000—1999. მეორე უბანზე ეს რიცხვები მოცემულია ერთის ინტერვალით, ე. ი. 2000, 2002, 2004 და ა. შ. 2998, და თუ ორ შტრიხთაშორის ინტერვალს თვალით გავყოფთ შუაზე. მაშინ წაიკითხება ყველა ციფრები 2000—2999.

აგრეთვე მესამე უბანზე 3000—3999, ხოლო აქ შტრიხები იმდენად ახლო დგას, რომ იმ პრიმიტიული ვიზირით, რომელიც თანდართული აქვს ამ იარაღს, ფაქტიურად შეუძლებელი იქნება ინტერვალური რიცხვების სწორად დანიშვნა.

მეოთხე უბანზე მოცემულია რიცხვები და შტრიხები ხუთის ინტერვალით—4000, 4005, 4010 და ა. შ. ასევე მეხუთე და სხვა უბნებზე უკანასკნელამდე.

მოკლედ, პირველ სამ უბანზე მოცემულია ოთხნიშნა რიცხვები, ძველიდან-მეცხრე უბნამდე კი ასე ვთქვათ, $3^1/_2$ ნიშანი.

2. მმოძრავი წარმოადგენს მუყაოს ფურცელს ზომით 25×12 სმ. იგი ორგვერდიანია. ერთი გვერდი დანიშნულია გასაძოველებლად, მეორე გასაყოფად.

გამრავლების მხარე გაყოფილია ორ ნაწილად: ზემო და ქვემო; ყოველ ნაწილში დაბეჭდილია იმავე სახის, როგორც კორპუსზე, 25 სკალა საერთო სიგრძით აგრეთვე 2.5 მეტრი.

გაყოფის მხარეც ორ ნაწილადაა გაყოფილი და მასზედაც ყოველ ნაწილში 25 სკალაა დაბეჭდილი, ხოლო ეს სკალები უკუსკალაა, ე. ი. რიცხვები მოდის უკუმიმართულებით, რადგან დაბეჭდილია ასე: 9995, 9990, 9985 და ა. შ. ვიდრე 1010, 1009...1000.

მმოძრავის შუა წელში მარცხენა მხარეს ამოჭრილია „ფანჯარა“ და მის ქვევით დაბეჭდილია ისარი წარწერით: A—აი ასე:

3. ვიზირი წარმოადგენს ქაღალდისაგან გაკეთებულ სახაზავს განით 1.5 სმ. სიგრძით 25 სმ. მასზე დაბეჭდილია სამი ისარი: შუაში—Б, ნაპირებში – В.

გაეცნოთ, თუ როგორ სრულდება გამოანგარიშება ამ იარაღით.

ა) გამრავლება. ვპოულობთ კორპუსზე სამრავლს, ზევიდან დავადებთ მმოძრავის სამრავლ მხარეს ისე, რომ მმოძრავის სტრიქონები ემთხვეოდნენ კორპუსის სტრიქონებს, და ისარი А ემთხვეოდეს სამრავლი რიცხვის შტრიხს, ვიპოვით მმოძრავზე მამრავლს, დავადებთ ზედ ვიზირს ისარ Б-თი.

ვიზირის ისარი B გვიჩვენებს კორპუსის მარცხენა ან მარჯვენა ნაწილში ნამრავლს.

ბ) გაყოფა. გაყოფა ხდება სრულიად ამავე წესით, ხოლო ამ შემთხვევაში გამოიყენება მმოძრავის გასაყოფი მხარე.

რომ ამავე წესით კეთდება გაყოფა, ეს აიხსნება იმით, რომ მმოძრავის გასაყოფ მხარეზე დაბეჭდილია უკუსკალა, და ამიტომ არსებითად აქ გაყოფა შეიცვლება გამრავლებით გამყოფის უკურიცხვებზე.

მოვიყვანოთ მაგალითი. რამდენ პროცენტს შეადგენს 415—826 მიმართ.

1. ვპოულობთ კორპუსსე 415, დავადებთ მმოძრავს ისე, რომ ისარი A ეჯერდეს 415-ის შტრიხზე.

2. ვპოულობთ მოძრავზე 726, და მის შტრიხზე დავადებთ ვიზირს ისარ B-თი.

3. ვიზირის მარჯვენა ისარი B (მარცხენა ისარი სცილდება კორპუსს) მეყურებს რიცხვს 572-ს. ამგვარად პასუხია 57.2%.

მეორე მაგალი: გეგმა 726, შესრულება 814.

1. აღვნიშნოთ მმოძრავის ისარ A-თი კორპუსზე 814.

2. აღვიშნოთ ვიზირის ისარ B-თი მმოძრავზე 625 (მმოძრავის ზედა ნაწილში).

3. ვიზირის ისარი B (მარჯვენა) გვიჩვენებს პასუხს 130.3%.

რამდენად გამოსადეგია ეხლა ეს იარაღი ეკონომიურ გამოანგარიშებაში?

თავისი სიმძლავრით ეს იარაღი სრულ საშუალებას გვაძლევს წავიკითხოთ პასუხი პრაქტიკაში საჭირო სიზუსტით ყოველგვარი გაპროცენტების და გაყოფის მასობრივ შემთხვევებში, რადგან ჩვენ აქ სრულად ვიღებთ პასუხს სამი ნიშნის ფარგალში და პირველ-მეორე უბანში აგრეთვე ოთხნიშნის ფარგალში.

გამოანგარიშების პროცესიც ადვილია, კერძოდ, მიუხედავად მრავალსკალიანობისა, პასუხი სულ ადვილად და მექანიკურად მოიძებნება სათანადო სკალაზე. ამ მხრივ ეს იარაღი გარკვეული ნაბიჯია წინ შედარებით ზემოთ განხილულ სახაზავებთან.

მაგრამ ამ ორ აღნიშნულ დადებით მხარეს სდევს შემდეგი მეტად მნიშვნელოვანი ნაკლულოვანებები.

როცა იწყებთ პრაქტიკულად გამოანგარიშებას ამ იარაღით, წააწყდებით შემდეგ უხერხულობას;

1. კორპუსზე მმოძრავის დადებისას მახვილი ყურადღებაა საჭირო, რომ მათი სტრიქონები ერთმანეთს შეხვდეს.

2. თვით ერთი ფურცლის მეორე ფურცლის მიმართ გადაწევ-გადმოწევა ხოუხერხებელია, რადგან ზევითა ფურცელს მოსაკიდებელი არაფერი აქვს, იძულებული ხარ ან თითი დაისველო, რომ დასძრა და გადმოსწიო ზედა ფურცელი, ან ქვევიდან ასწიო, რაც იწვევს რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ზედა ფურცლის დაბრეცას.

3. როცა ვიზირს ადებ მმოძრავზე, უკანასკნელი ამ დროს სულ ადვილად შეუმჩნეველად ცოტა გადაიწევს ხოლმე ზოგიერთ შემთხვევებში ადგილი-

დან და ამის შედეგად პასუხს შეცდომით ვიღებთ. ამიტომ საჭიროა დიდი ყურადღება და სიფხიზლე, რომ ასეთი გადაწყვეტა არ მოხდეს.

აღნიშნული მომენტები ანელებს გამოანგარიშებას. ჩვენი დაკვირვებით შედარებით 35 სმ. პრეციზიულ სახაზავთან ეს იარაღი უფრო ნელია დაახლოვებით 30%-ით (მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მაინც მისი სისწრაფე არ ჩამოუვარდება არითმომეტრს).

4. ვიზირი იმ სახით, როგორც აქაა მოცემული, სრულიად არაა გამოსადეგი წვრილი განაყოფის აღსანიშნავად და მით უმეტეს შუაზე გასაყოფად; ის ამ მხრივ სრულიად ვერ შეედრება ჩვეულებრივ ვიზირს, რომლითაც შეიძლება აღინიშნოს ყოველი ბეწვი და შუაზე გაიყოს ნახევარი მილიმეტრი.

5. იარაღს, მის თავისუფლად გამოსაყენებლად, სჭირია დიდი ადგილი მაგიდაზე, დაახლოვებით ნახევარი მეტრი × ნახევარ მეტრზე.

ყველა ეს ნაკლულოვანება ერთად ხელს უშლის იმას, რომ ეკონომისტების ფართო წრეებში ამ მეტად საინტერესო იარაღმა იპოვოს მკვიდრი გამოყენება, მაგრამ ამ იარაღით დაინტერესებულ ეკონომისტს შეუძლია მახვილი ყურადღებით სძლიოს აღნიშნული უხერხულობანი და მოიმარჯვოს იგი, შესაძლებელია ზოგიერთი პატარა ცვლილებებით, პრაქტიკული მუშაობისათვის.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ეს იარაღი დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ახდენს.

IV მაღალიდან საერთო დასკვნებზე

ჩვენი ანალიზი გვიჩვენებს შემდეგს:

1. დღესდღეობით ჩვენში არაა გამოშვებული ისეთი ლოგ. სახაზავი, რომელსაც შეეძლოს მთლიანად შესცვალოს არითმომეტრი მისი გამოანგარიშების რომელიმე დიდ სფეროში, მაგალითად, პროცენტის გამოანგარიშებაში და გაყოფაში, საცა ამ იარაღს თავისი ხასიათით აქვს პირველყოველისა ერთგვარი შანსები საპატიო ადგილის დასაკავებლად.

2. იმავე დროს ჩვენ თვალწინ არის პროცესი ლოგ. სახაზავის გაუმჯობესების საინტერესო ცდებისა—50 სმ. სახაზავი, 25 სმ. პრეციზიული სახაზავი, მართკუთხედი სახაზავი, ცილინდრული სახაზავი. ეს არის ერთგვარი წინგადადგმული ნაბიჯები, მაგრამ ეკონომიური გამოანგარიშების თვალსაზრისით, ამ მხრივ ჩატარებულ ცდებს დამთავრებულობა აკლია.

3. არსებულ სახაზავებიდან შედარებით სხვებთან ყველაზე გამოსადეგად ზევით აღნიშნულ მიზნისათვის უნდა მიჩნეული იქმნას პრეციზიული 25 სმ. სახაზავი (რომ ის არ აკმაყოფილებს მთლიანად ჩვენ მოთხოვნილებას, ეს უკვე ნათქვამი იყო ზევით).

4. საკითხი ეკონომიური გამოანგარიშებისათვის სათანადო ლოგ. სახაზავის შექმნისა და გამოშვებისა ჯერ კიდევ გადაუჭრელია.

ციტირებული ლიტერატურა

Лазаренко. О логарифмической линейке. Спутник счетовода. 1931 г. № 3.
Гольдин. Техника вычисления 1927 г.
Исаакович. Машинизация учета 1938 г.
Гинодман, Машинизация учета 1938 г.
Институт техники управления, Механизированный учет. 1935 г.
Гурвиц. Хозяйственные вычисления. 1937 г.
Андреев-Беленький, Элементарный курс хозяйственных вычислений. 1937 г.
Амираго-Вольский. Механизация вычислений. 1931 г.
Андреев-Беленький, Курс хозяйственных вычислений. 1939 г.
Идельсон, Механизация счета. 1931 г.
Стефанюк, Курс хозяйственных вычислений. 1939 г.
Космический, Счетная линейка в хозяйственно-экономической практике. 1935 г.
Ломовиский, Коммерческие вычисления. 1931 г.
Фивейская, Логарифмические линейки с разрезными шкалами. 1935 г.
Ананов, Логарифмическая линейка 1935 г.
МОСХИМ. Краткое руководство к пользованию цилиндрической счетной линейкой. 1931 г.
Любимов. Счетный прямоугольник. 1938 г.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საბუხჰალტრო აღრიცხვის კათედრა

(წარმოდგა რედაქციაში 1947. V. 15).

Л. Асатиани

О применении логарифмической линейки в экономических вычислениях

Р е з ю м е

Автор анализирует целесообразность применения в экономических вычислениях выпущенных у нас логарифмических линеек разных типов—обычной 25 см. и 50 см., 25 см. прецизионной, цилиндрической и прямоугольной, давая в отношении последних трех также краткое их описание.

Автором использована как существующая литература, так и собственный опыт и наблюдения в применении этих линеек в экономических вычислениях.

Автор приходит к следующим выводам:

1. На сегодняшний день у нас пока нет в обращении такой логарифмической линейки, которая могла бы заменить арифмометр в какой-либо значительной области экономических вычислений, даже в процентных вычислениях и Делении, где линейка по своему характеру могла бы претендовать занять почетное место.

2. Выпуск у нас 50 см. линейки, прецизионной 25 см. и счетного прямоугольника представляют весьма интересные попытки в деле улучшения логарифмической линейки и расширения возможности ее массового применения в экономических вычислениях.

3 Из существующих логарифмических линеек наиболее пригодной для экономических вычислений надо считать прецизионную 25 см. линейку.

4. Вопрос о выпуске логарифмической линейки, отвечающей требованиям экономистов, еще не разрешен.

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები XXXIV, 1948
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV, 1948

პ. გუგუშვილი

მეფრინველეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში[1]

(1801—1920)

1. მეფრინველეობა ამიერკავკასიაში, როგორც ჩანს, ძველი დროიდანვე განვითარებულა. თუ თავს დავანებებთ უფრო ადრინდელ ცნობებს, მაინც უნდა ითქვას, რომ ვახუშტი ბაგრატიონი თავის 1740-იან წლებში დაწერილ ცნობილ თხზულებაში, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", დიდ ყურადღებას აქცევს მეფრინველეობის მდგომარეობას. შინაურ ფრინველთა შორის, რომლებიც საყოველთაოდ იყო ცნობილი, აქ აღნიშნულია: ქათამი, ბატი, იხვი, ინდოური და ტრედი[2]. ამავე ხანებში მ ე ქ ა თ მ ე ო ბ ა იხსენიება, როგორც ცალკე დარგი მეფრინველეობისა[3].

ამათგან ინდაური (ინდოური ქათამი), როგორც ჩანს, არ ყოფილა ისე გავრცელებული. თვით ვახუშტისაც, საქართველოს ცალკე რაიონების აღწერის დროს, სადაც ჩამოთვლის სხვა შინაურ ფრინველებს, არსად არა აქვს იგი მოხსენებული[4]. ამგვარად, შინაურ ფრინველთა შორის, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საერთოდ XIX საუკუნიდან ქვეყნის მეფრინველეობითს მეურნეობაში, ინდაური შედარებით ახალი მოვლენა იყო.

პ ლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი გადმოგვცემს, რომ 1800 წლის 25 დეკემბერს ქართლ-კახეთის მეფე გ ი ო რ გ ი მოახსენეს „ახლად მოყვანილთა ინდოეთისა ქათამთაოვის თფილისს, უცხოდ რადმე სანახავისა". ეს ინდაურები, 2 მამალი და 4 დედალი, რუსის ჯარისკაცებს ჩამოუყვანიათ და „აქედამ განითესა საქართველოში ინდოეთისა ქათმის სიმრავლე და ეწოდა მათ დღემდე ინდოური" — აცხადებს პლ. იოსელიანი[5]. ი. შ ო პ ე ნ ი, რომელმაც 1830-იან წლებში აღწერა სომხეთის ოლქი, აღნიშნავს, რომ აქ მხოლოდ ცარიზმის ხელისუფლების დამყარების დროიდან, ე. ი. 1828 წლიდან იწყება ინდაურის გამრავლება: „თავდაპირველად ეს ფრინველი ცნობისმოყვარეობის საგანს წარმოადგენდა მცხოვრებთათვის, რომელთაც არასოდეს არ ენახათ იგი. ასევე

---

[1] მოხსენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიას—1945 წ. V. 15.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1941, გვ. 30.

[3] თ ე ი მ ურ ა ზ მ ე ო რ ე, თხზულებათა სრ. კრებული, თბ. 1939, გვ. 145.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 34, 54, 108, 146 და სხვ.

[5] პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ. 1936, გვ. 209—210.

იწყებს სომხეთში გამრავლებას შინაური ბატი და ციცარიო" — დასძენს ი. შოპენი[1].

მაგრამ XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში მეფრინველეობას ამიერკავკასიაში მისდევდნენ უმთავრესად საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად: ქათმის, ბატის, იხვის, ინდაურის ხორცი და კვერცხი საკვებად. ხოლო ბუმბული[2] საოჯახო (ლოგინის) საჭიროებისათვის საყოველთაოდ გავრცელებული მოხმარების საგანი იყო. ამასთანავე მეფრინველეობა, როგორც გლეხური მეურნეობის სხვა სახეებიც, მავალითად, საქართველოში, დაბეგრილი იყო მებატონეთა სასარგებლოდ. ყმა-გლეხი ბატონს ფრინველის სახით უხდიდა ე. წ. საბაზიეროსა (მიმინოსათვის) და საბაციცოს — საახალწლო და სააღდგომო ძღვენს. მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობას ჯერ კიდევ შემთხვევითი და უმნიშვნელო ხასიათი ჰქონდა. უახლოესი დაბა-ქალაქიდან სოფლისაკენ წამოსულ მოხეტიალე ვაჭარს (შემსყიდველს) დიასახლისი ფრინველს, კვერცხს, ბუმბულს უცვლიდა სამრეწველო საქონელზე, როგორიცაა ნემსი, ყაისნაღი, ბალთა, ქინძისთავი, მაქმანი, ნართი, სხვადასხვაგვარი საღებავი, საეარცხელი და სხვ., ანდა პირდაპირ ფულზე მიჰყიდდა ხოლმე.

როგორც მანამდე ისე 1860-იან წლებშიც მეფრინველეობა მხოლოდ და მხოლოდ ქალთა (დიასახლისთა) საქმიანობის სფეროში შედიოდა.

1884 წ. ს. მაჩაბელი წერდა, რომ თბილისის მაზრაში „მეფრინველობას სპეციალურად ქალები მისდევდნენ, ამასთანავე კვერცხისა და ფრინველთა გაყიდვიდან მიღებული მთელი შემოსავალიც მათს განკარგულებაში შედისო"[3]. იმ დროს მთელს ამიერკავკასიაში არ მოიძებნებოდა ათიოდე მეურნეობაც-კი, რომლებიც „დაინტერესებული ყოფილიყვნენ ამ საქმიანობით და ცდილობდნენ შინაურ ფრინველთა ადგილობრივი ჯიშის გაუმჯობესებას"[4]. ერთი სიტყვით, მეფრინველეობაში ჯერ კიდევ არ იყო შეპრილი ვაჭრული ბიწათმოქმედების დამახასიათებელი თვისნობა. კიდევ მეტი. ცოტა უფრო ადრე, 1840—1850-იან წლებში, იმერეთში მეფრინველეობის პროდუქტები თითქოს იაფი იყო. მაშინ, როგორც რაფიელ ერისთავი ვადმოგვცემს, „იმერლებს სამარცხვინოდ მიაჩნდათ შინაური ფრინველის გაყიდვა. ფრინველით, როგორც სავსებით უმნიშვნელო ღირებულების საგნით,—ვაჭრობა"[5]. ამ დროს ამიერკავკასიაში მისდევდნენ ძხოლოდ ადგილობრივი ჯიშის ფრინველთა მოშენებას.

პირველად, როგორც ჩანს, უცხოური ჯიშის ქათმები აქ გაჩნდა 1860-იანი წლების დამდეგიდანვე. 1863 წელს თბილისში გამართულ სოფლის მეურ-

---

[1] И. Шопен, Исторический памятник состояния Армянской области..., стр. 809.

[2] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, 1936. ტფ., გვ. 218.

[3] МИЭБГКЭК. У, 1, 254.

[4] ЗКОСХ. 1864 г., № 4, стр. 121.

[5] Р. Эристов, Очерк Имеретии в сельско-хозяйственном отношении, Тифлис, 1877 г., стр. 38.

ნეობის ნაწარმოებთა გამოფენაზე ულხოური ფრინველების[1] ექსპონატებს საზოგადოება, უწინარეს, ცხადია, მოწინავე ინტელიგენცია, აღფრთოვანებული შეხვდა, რამდენადაც ამაში ხედავდნენ ნიშანს იმისას, რომ უკვე „სოფლის მეურნეობის ამ დარგმაც ჩვენში, კავკასიაში მიიპყრო დიასახლისთა ყურადღება“[2]. ამ გზით მოელოდნენ აქ უკეთესი ჯიშების ფრინველთა გავრცელებას, რამდენადაც ამ დრომდე „თუ ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეებში მართლაც მოიპოვება სიდიდით, სილამაზით, ხორცის გემოიანობით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვანად განსხვავებული ჯიშები, ეს ....უნდა მიეწეროს არა ამა თუ იმ დიასახლისის მიერ გაწეულ განსაკუთრებულ მზრუნველობას, არამედ, უწინარეს, მოცემული ადგილის კლიმატურ პირობათა თავისებურებასო“ — ფიქრობდა ი. ხატისოვი, რომელიც სწუხდა, რომ ჩვენში კიდევ არ არიან სპეციალისტი-მექათმეები, ე. ი. პულტრომანები, რომლებიც ცდილობდნენ ადგილობრიელ ქათმის ჯიშების გაუმჯობესებასო[3].

კავკასიაში ადგილობრივთაგან. ხსენებული ავტორისავე დასკვნით, ამ დროისათვისაც საუკეთესოდ ითვლებოდა ქართული ჯიშის ქათმები.

ულხოური ჯიშის ქათმებს შორის ამიერკავკასიაში პირველად და თანაც შესაშჩნევი ზომით გავრცელდა ჩინური, ე. წ. კოხინხინის ჯიშის ფრინველი. ამ ჯიშის ფრინველი, როგორც ჩანს, აქ პირველად გაჩნდა 1863 წელს — თბილისში გამართულ სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა გამოფენაზე. ხოლო უკვე ხუთი წლის შემდეგ, სახელდობრ 1868 წელს, „გუთნის დედა“ წერდა, რომ „ჩვენმა მამულის პატრონებმაც მიაქციეს ყურადღება კოხინხინის ჯიშის ქათმებსო“, და იქვე აღნიშნავდა: „კოხინხინის ჯიშის ქათამი აქ ახლა ბევრმა გაიჩინა და კარგადაც გვარობსო“[4]. 1890-იანი წლებიდან ეს ჯიში აქედან უკვე გაშოდევნა სხვა უკეთესმა ჯიშებმა.

2. 1860-იან წლებში მეფრინველეობის პროდუქტები სისტემატურად მხოლოდ თბილისის ბაზრებზე იყიდებოდა. მაშინ ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში კიდევ ბნიშვნელოვანი ზომით მისდევდნენ სოფლის მეურნეობის როგორც სხვა დარგებს ისე მეფრინველეობასაც.

მხოლოდ 1870-იანი წლებიდან, ფოთსა და თბილისს შორის, და განსაკუთრებით 1890-იანი წლებიდან, ბათუმ-სამტრედიასა და თბილის-ბაქოს შორის სარკინიგზო მიმოსვლა-ტვირთზიდვის გახსნის შემდეგ, საბაზრო მოთხოვნილების სისტემატური ზრდის შესაბამისად — სოფლად გლეხის მეურნეობა იწყებს შინაურ ფრინველთა საკუთარ მოთხოვნილებაზე სულ უფრო მეტი ზომით მოშენებას.

ამ დროისათვის (უნდა ვიფიქროთ ბევრად უფრო ადრეც) ამიერკავკასიაში შინაურ ფრინველთა მთავარი მომშენებელი რაიონი იყო ქუთაისის გუ-

---

[1] ამათ შორის აღსანიშნავია კერძოდ კოხინხინის ანუ შანხაური ჯიშის ქათამი, რომელიც იმ დროს უკვე გაბატონებული იყო თითქმის მთელს ევროპაში.

[2] ЗКОСХ, 1864 г. № 4, стр. 121.

[3] იქვე, გვ. 122.

[4] „გუთნის დედა“, 1868 წ., № 20, გვ. 157.

ბერნია. დასავლეთ საქართველო მეფრინველეობის პროდუქტთა მთავარი მიწოდებელი იყო უკვე როგორც ქუთაისის, ფოთის, ბათუმის, აგრეთვე თბილისის, განჯის, ბაქოს ბაზრებზე და საერთოდ ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურებზე[1], რომლებიც მეტი თუ ნაკლები ზომით, ადრე თუ გვიან, იქცეოდნენ ვაჭრობის ადგილობრივ ცენტრებად.

ამავე დროიდან, გასაგებია, შესამჩნევად აიწია ფასები მეფრინველეობის პროდუქტებზე. თუ რკინიგზის გაყვანამდე იმერეთში ქათამი (დედალი) ღირდა 10—20 კაპ., ყუერული—15—25 კაპ., იხვი—5—10 კაპ., ბატი—25—30 კაპ., ხოლო ინდაური—40—50 კაპ., რკინიგზის გახსნის დროიდანვე „ფასები შინაურ ფრინველზე გაორმაგდა“[2]. ამ გარემოებას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ხალხის ზნე-ჩვეულებაზედაც. თუ წინათ იმერლები არ კადრულობდნენ შინაური ფრინველის გაყიდვას, ამიერიდან მას „ხალისით ჰყიდიან, თუმცა მეფრინველეობას, როგორც დამოუკიდებელ საქმიანობას, არავინ განსაკუთრებით არ მისდევსო“—სწერდა 1876 წელს რ. ერისთავი[3]. რ. ერისთავი ამასთანავე აღნიშნავს, რომ „იმერული ყუერული ფრიად გემრიელია და შეიძლებოდა გამხდარიყო დამოუკიდებელი თაოსნობის საგნად, რომ მცხოვრებლები ამ საქმეს სათანადო ყურადღებას მიაქცევდნენო“[4].

ანგვარად. დას. საქართველოში ამ დროს მეფრინველეობა წარმოადგენდა მიწათმოქმედების აუცილებელ დამატებას[5] და იგი მერმეც, მთელი ჩვენ მიერ აღებული პერიოდის განმავლობაშიც, დარჩა ასეთად, რამდენადაც სრულიად დამოუკიდებელი მეურნეობრივი თაოსნობის საქმედ ჩამოყალიბებამდე არც აქ და არც სადმე ამიერკავკასიაში არ მიუღწევია[6].

მიუხედავად ამისა მეფრინველეობა წარმოადგენდა უპირატესად გლეხური შეურნეობის ერთგვარ აუცილებელ ატრიბუტს და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საერთოდ ქვეყნის ეკონომიკაში. იგი როგორც მეაბრეშუმეობა, მებრძობა და სხვა, 1870-იანი წლებიდანვე მოყოლებული წარმოადგენდა გლეხის ოჯახისათვის ერთგვარ სახელდახელო შემოსავლის წყაროს. დ. ნოსოვიჩის მოწმობით 1884 წელს სანეგრელოს დაბებში ყოველკვირეულ ბაზრობებზე მახლობელი სოფლებიდან სისტემატურად მოჰქონდათ გასაყიდად ან სვადასვა სამრეწველო საქონელზე გადასაცვლელად როგორც ყველი და აბრეშუმი, აგრეთვე მეფრინველეობის პროდუქტები: კვერცხი და სხვ.[7]

ხშირად ამავე ხანებში, სახელდობრ, თბილისის მაზრაში აღნიშნულია ერთგვარი დიფერენციაცია, ალბათ ქალაქის გავლენის მეოხებით, შინაურ ფრინველთა მოშენებაში. ს. მაჩაბელი აღნიშნავს, რომ თბილისის მაზრაში, თუმცა განსაზღვრული ზომით, მეფრინველეობას გლეხები ყველა სოფლებში

---

[1] Кавказское сельское хозяйство. 1902 г. № 428—429, стр. 235—236.
[2] Р. Эристов, l. c., 38.
[3] იქვე, 39.
[4] იქვე.
[5] „გუშინის დედა“, 1868 წ., № 20, გვ. 157.
[6] ჟურნ. „მოამბე“, 1904, № 5, განყ. II, გვ. 81.
[7] МИЭБГКЭК, II, 11, 296.

ვისდევენო, და თანვე დასძენს: გლეხები „უპირატესად აშენებენ ქათმებს საოჯახო მოხმარებისათვის და ინდაურებსა და ბატებს-კი თბილისში გასასყიდად“ [1].

ჯერჯერობით ჩვენ ხელთ არსებული მასალა არ იძლევა შესაძლებლობას გარკვეით ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ როგორ წავიდა ამ რაიონში ამ მხრივ საქმე შემდგომ ათეულ წელს, ე. ი. ისევე ამგვარად ამრავლებდნენ თუ არა ქათმებს მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის, ხოლო ინდაურებსა და ბატებს ბაზარზე გასასყიდად; ყოველ შემთხვევაში 1890—1900-იან წლებში ქათამს ისევე დიდი გასავალი ჰქონდა ბაზარზე, როგორც ბატსა და ინდაურს. მაგრამ რაოდენობის მხრივ ქათმის მოშენება ბევრად უფრო იყო გავრცელებული, ვიდრე სხვა რომელიმე შინაური ფრინველისა.

უკვე 1880—1890-იანი წლებიდან მეფრინველეობის პროდუქტთა მთავარ მიმწოდებელ პუნქტებად შეიქნენ სენაკი, აბაშა, კულაში, საჯევახო, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ქუთაისი, შორაპანი და განსაკუთრებით სამტრედია [2].

სწორედ ეს პუნქტები ამარაგებდნენ ამიერკავკასიის მთელ სავაჭრო-სანრეწველო და ადმინისტრაციულ ცენტრებს და კურორტებს ცოცხალი თუ დაკლული ფრინველითა და კვერცხით. ჯერ კიდევ იმავე 1880-იანი წლებიდან აქედან ფოთისა და ბათუმის მეშვეობით, ქათმის კვერცხის გატანას იწყებენ შავი ზღვის რუსეთის (უკრაინისა და ყირიმის) ნავსადგურებშიც. დაახლოებით ამავე დროიდან, ან რამდენადმე ადრეც, ამიერკავკასიის ნავსადგურებში იწყებენ რუსული და უცხოური გემების მომარაგებას მეფრინველეობის პროდუქტებით. მალე ამ გემებმა, რომელთაც წინათ აქედან მიჰქონდათ მარგანეცი, ნავთი, მატყლი, სიმინდი და სხვ., იწყეს გატანა მეფრინველეობის პროდუქტებისა, განსაკუთრებით კი — კვერცხისა. ამგვარად, ეს პროდუქტი ხდება საექსპორტო ოპერაციების საკმაოდ თვალსაჩინო საგნად.

1890-იანი წლებიდან მეფრინველეობის მხრივ აღმოსავლეთ საქართველოში წინაურდებიან გორის, თელავისა და თბილისის მაზრები, ხოლო 1900-იანი წლების დასაწყისიდანვე მეფრინველეობა სწრაფი ტემპით ვითარდება აზერბაიჯანსა და სომხეთში, რომლებიც ამ დროიდან რკინიგზამ ძლიერ დააახლოვა თბილისის ბაზარს.

უკვე 1909—1913 წ.წ. ამიერკავკასიის რკინიგზებით გადატანილი კვერცხიდან (70 ათას ფუთამდე) საქართველოზე მოდის მხოლოდ 48 პროცენტი, ხოლო აზერბაიჯანისა და სომხეთის წილზე კი—52%. აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან გატანილი კვერცხი, როგორც წესი, არ სცილდებოდა თბილისის სადგურს—ე. ი. ძირითადად თბილისში საღდებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აზერბაიჯანის აღმოსავლეთის მაზრებს, საიდანაც ეს საქონელი უმთავრესად ბაქოში გაჰქონდათ.

1900 იანი წლებიდან, რამდენადაც თბილისის ბაზარს ბლომად მოაწყდა კვერცხი სომხეთისა, აზერბაიჯანისა და ქართლის რაიონებიდან, დას. საქარ-

[1] МИЭБГКЗК, V. 1.154.

[2] КСХ, 1902 г., № 420, стр 111.

თველოდან ეს საქონელი თავის საერთო მასასთან შედარებით ახლა სულ უფრო ნაკლები ზომით მოაქვთ აღმ. ამიერკავკასიის ბაზრებისაკენ; სამაგიეროდ ამიერიდან ქუთაისის გუბერნიიდან კვერცხი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გზას იფართოებს დასავლეთ ევროპის სამრეწველო ცენტრებისაკენ.

3. რამდენადაც საერთოდ ქვეყნის ეკონომიკაში მეფრინველეობის მნიშვნელობა და როლი თანდათან იზრდებოდა, ცხადია, მით უფრო მეტად იქნებოდა საზოგადოების ყურადღება მიქცეული მოსახლეობის შესაბამის ფენაში შინაურ ფრინველთა მოვლა-მოშენების უკეთესი და გაუმჯობესებული ხერხებისა და მეთოდების დანერგვის საქმისადმი.

უკვე 1860-იანი წლებიდანვე ამიერკავკასიაში ჩნდება მეფრინველეობის შესახებ სპეციალური ლიტერატურა. მეფრინველეობის შესახებ სხვადასხვაგვარი სასარგებლო ცნობები იბეჭდება როგორც სოფლისმეურნეობრივ პრესაში, აგრეთვე კალენდრებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ პერიოდულ გამოცემებში—გაზეთებსა და ჟურნალებში. იბეჭდება აგრეთვე პოპულარული სახელმძღვანელოებიც.

მეფრინველეობის შესახებ კერძოდ ქართულ ლიტერატურაში გადმოცემულია სხვადასხვაგვარი შინაური ფრინველის მოვლა-მოშენებისათვის რჩევა-დარიგებანი. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სპეციალურ გაზეთებში იბეჭდება სტატიები, ფელეტონები, ნარკვევები ასეთი დამახასიათებელი სათაურებით: „შეტყობა, თუ რომელი კვერცხიდამ გამოვა მამალი წიწილი და რომელიდამ დედალი“ [1]; „რადგანაც საქართველოში (იგულისხმება ქართლ-კახეთი—პ. გ.) ბევრმა არ იცის ყველულის გაკეთება, ამისათვის საჭიროდ ვხედავთ ვაცნობოთ მკითხველებს, თუ როგორ აკეთებენ იმერეთში“ [2] (როგორც უკვე სათაურიდანაც ნათლად ჩანს, მეფრინველეობა 1860-იან წლებშიც დასავლეთ საქართველოში უფრო ყოფილა განვითარებული ვიდრე აღმ. საქართველოში); აღსანიშნავია კიდევ სტატიები: „ქათმის მოშენება“ [3];—„ქათამი და მისი თვისება“ [4]; „ფრინველების მოშენებელთათვის დარიგება“ [5]; „სხვადასხვა გვარი ქათმები“ [6]; „ინდაურების მოვლა“ [7]; „ქათმების მომშენებელთა საყურადღებოდ“ [8] და სხვა.

1900-იანი წლებიდან უკვე ჩნდება ცალკე წიგნაკებად გამოცემული სახელმძღვანელოები, რომელთა შორის აღსანიშნავია, მაგალითად ნ. მკურნალის ბროშურა: „მოკლე დარიგება ქათმებთა მოვლა-მოშენებაზედ...“ [9], ეს

---

[1] „გუთნის დედა“, 1854 წ., № 15.
[2] „გუთნის დედა“, 1866 წ., № 16.
[3] „გუთნის დედა“, 1870 წ., №№ 5 და 6.
[4] „სასოფლო გაზეთი“, 1871 წ., № 1.
[5] „სასოფლო გაზეთი“, 1870 წ., № 7.
[6] „სასოფლო გაზეთი“, 1870 წ., № 25.
[7] „გუთნის დედა“, 1874 წ., № 3.
[8] „მეურნე“, 1890 წ., № 31—32.
[9] ნ. თ. მკურნალი, მოკლე დარიგება ქათმებთა მოვლა-მოშენებაზედ. ქათმების ავადმყოფობა და მასთან ბრძოლა, ქუთაისი, 1904.

წიგნაკი 1904 წელს გამოქვეყნდა. იგი გამოსცა შინაურ ფრინველთა მომშენებელი რუსეთის საზოგადოების განყოფილებამ, რომელიც 1904 წელს გაიხსნა ამიერკავკასიის მეფრინველეობის ცენტრში, სამტრედიაში. უფრო ადრე, სახელდობრ 1903 წელს, იბეჭდება ი ვ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ სხვადასხვა სპეციალისტთა შრომების მიხედვით შედგენილი „გონიერი მოვლა-მოშენება შინაური ფრინველებისა"—იგი ჯერ გამოქვეყნდა ჟურ. „მოგზაურში"[1], ხოლო შემდეგ ცალკე წიგნადაც.

თავისი წიგნის წინასიტყვაობაში ი ვ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი, სხვათა შორის, წერს: „ჩვენ განგებ ასეთი მცირე ფასი (15 კაპ.) დავაწესეთ ამ წიგნს[2], რომ სულ უკანასკნელს ღარიბსაც არ გაუძნელდეს მისი სყიდვა და შინაური ფრინველის მეცნიერულად მოშენების შესწავლა. ჩვენი ქათამი საზოგადოდ პატარაა, სულ ორ-სამ გირვანქას იწონის, ხორცი მაგარი, ხშირად შავი და უგემური აქვს, კვერცხსაც ცოტას და წვრილებს გვაძლევს, მაშინ როდესაც უცხო ქვეყნელებმა იმ ზომამდის გააუმჯობესეს თავიანთი ქათამი, რომ თვითეული დედალი ექვსიდამ რვა-ცხრა გირვანქამდის იწონის! აი ამ ნაკლის შევსებას უნდა დააწვეს ყოველი ქართველი მეოჯახე, რაიცა ძლიერ ადვილია, თუ იგი ყურადღებით წაიკითხავს ამ წიგნს და ეცდება ყველაფერი აქ ნათქვამი შეძლებისამებრ შეასრულოს"[3].

ავტორი სახავს და ასაბუთებს ორ გზას „ჩვენებური ქათმის გაუმჯობესებისა"; ესენია: 1. უკეთესი მოვლა, რადგანაც „უკეთესი ჰმევა-ჭოვლისაგან სრულიად უხეირო ქათამიც სულ მოკლე ხანში ძლიერ უკეთესდება და ამ ორივის უკეთესობას შთამომავლობასაც გადასცემს" და 2. ჩვენი ქათმების უცხოეთის საუკეთესო ჯიშებთან შეჯვარება. ქვემოთ დაწვრილებითაა მოთხრობილი ამ ორივე ღონისძიების პრაქტიკულად გატარების ხერხები და მეთოდები.

მეფრინველეობის საკითხებმა იმდენად გაიტაცა საზოგადოებრივობა, რომ ხშირად იბეჭდება ასე ვთქვათ, შესამჩნევად პრეტენციოზული სახელწოდების თხზულებებიც, როგორიცაა, მაგალითად, გ. ლ ე ხ უ რ ე ლ ი ს სტატია „ფრინველები და კაცობრიობა"[4].

გ. ლ ე ხ უ რ ე ლ ს, როგორც ჩანს, დას. ევროპაში სპეციალურად შეუსწავლია მეფრინველეობა. იგი, ამგვარად, პირველი ქართველი მეცნიერი სპეციალისტია მეფრინველეობისა. იგი ცდილობდა საფუძველი ჩაეყარა ჩვენში „წესიერი მეფრინველეობისათვის" და დიდად სწუხდა, რომ მეფრინველეობას, როგორც რიგი და წესია, მეტადრე ჩვენში, არავინ მისდევს სპეციალურად, როგორც, მაგალითად, მისდევენ ხვნა-თესვას, მეცხვარეობას და სხვა სამეურ-

---

[1] „მოგზაური", 1903 წ., № 1903 წ., № 1—2, გვ. 77—124.

[2] წიგნი გამოიცა ცნობილი კაპიტალისტის ს ტ. ზ უ ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს საფასით.

[3] ი ვ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი, გონიერი მოვლა-მოშენება შინაური ფრინველებისა, 1903, თბ. გვ. 3.

[4] ჟურ. „მოგზაური", 1904 წ., № 3—4, გვ. 219—226; ესაა პირველი ნაწილი და, თუ არ ვცდებით, გაგრძელება არ გამოქვეყნებულა.

ნეო დარგებსო“ [1]; შემდეგ იქვე დასძენს: „ჩვენს ქვეყანაშიაც მოიპოვება რამდენიმე მოყვარული მეფრინველეობისა, მაგრამ ნამდვილი მეფრინველე, ნასწავლი სპეციალისტი, თუ არ ვსცდები, დღემდი ერთიც არ მოგვეპოებაო“.

ცნობილია, რომ ფეოდალური ყოფიერების გადმონაშთებით დამძიმებული სოფელი ადვილად არ ღებულობს და არ ითვისებს მეურნეობის ახალ. გაუმჯობესებულ წესებს და, ცხადია, არც იმ ადამიანებს, რომლებიც ამ სიახლეთა შესახებ ქადაგებენ. ბაგრამ არამც თუ სოფლებში, თბილისშიც გაუკილავთ ჩვენი მეფრინველე. თვითონ ვ. ლეხურელი წერს: „თვით პრწყინვალე თბილისშიაც ხშირად მიუთითებიათ ჩემზედ: „აი იმ ჩოხოსანს უყურე, ეგ ოხერი ევროპაში იყო და მექათმეობა შეისწავლაო!“... სოფლელები ხომ პირში მეუბნებიან: „ყმაწვილო! ცხრა მთას იქით გრანიცაში რომ ისწავლე, რატომ ჩინოვნიკად არ ბიდიხარ. რომ დიდი ჯამაგირი აიღო, განა იმისათვის ისწავლე, რომ აქ... სოფელში... ფრინველების ფერმის გამართვა გწადიანო!“ [2]

გლეხები მას თურმე ნიშნისმოგებით ეუბნებოდნენ: ჩვენს დედაკაცებს „ფრანცუზებში და იტალიელებში თუ არ უსწავლიათ, ვერა ჰყავთ ბელტიევით დედლებიო“. როდესაც გ. ლეხურელი უპასუხებდა, რომ დედაკაცების ცოდნისაგან განსხვავებით მას შეუძლია ინკუბატორების მეოხებით ათასობით წიწილების გამოჩეკა, გლეხები ბიუგებდნენ ხოლმე: „აბა ეგ რა დასაჯერებელია... თუ მართლა ეგენი შეგიძლიან, ბაშ ადამიანებსაც გამოაჩეკინებ იმ სატიალით, რაღაც ბაშინასა და ბაშინ ხომ აღარც ცოლის შერთვა მოგვინდება და აღარც შვილების დაზდაო“ [3].

მიუხედავად ამგვარი სკეპტიკური გამოსვლებისა, საერთოდ საზოგადოების პროგრესული ნაწილი, უწინარეს, რასაკვირველია, ინტელიგენცია, ყოველთვის სიამოვნებით ეგებებოდა მეფრინველეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ყოველგვარ ღონისძიებას. მაგალითად, ნ. მკურნალის ზემოთ დასახელებული წიგნაკისათვის მიძღვნილ რეცენზიაში ი. მაჭავარიანი აღნიშნავდა, რომ „შინაურ ფრინველთა მოსაშენებლად ჩვენი ქვეყანა საუკეთესო კუთხედ უნდა ჩაითვალოსო“. იგი წერდა; „ასეთი წიგნების გამოცემა სწორედ მისწრებაა ჩვენი საზოგადოებისათვის. საკიროა მხოლოდ, რომ წიგნი სოფლელ ღარიბ მეურნეებს უფასოდ დაურიგდესო“ [4]. ანგვარად, წიგნაკი, მართალია, იაფი იყო (15 კაპ.), მაგრამ გლეხობისათვის იგი მაინც მიუწდომელი რჩებოდა და არა მხოლოდ იმის გამო, რომ 2—3 შაურიც დიდი ფული იყო გლეხობისათვის, არამედ, უმთავრესად, იქნებ, იმის გამო, რომ მთელი ეს ღონისძიებანი გლეხობამდე

---

[1] იქვე, გვ. 222: გ. ლეხურელი ფსევდონიმია გიორგი ყანგირაშვილისა, როგორც ეს გადმომცა პროფ. ი. ლომოურმა — სესიაზე ამ მოხსენების გარჩევის გამართული ქმათის დროს.

[2] იქვე, 223.

[3] იქვე 224.

[4] ჟურნ. „მოამბე“, 1904 წ., № 5, განყ. II, გვ. 83.

აღწევდა მისთვის მრავალმხრივ საძულველი პოლიციური აპარატისა და აგრეთვე თავადაზნაურული ინტელიგენციის მეოხებით, რომელიც არსებითად ისევ უცხო იყო სოფლის მოსახლეობის ძირითადი მასებისათვის. გლეხობა არ იყო მიჩვეული და არც მოელოდა მათგან რეალურ დახმარებას. ასე რომ მთელი ეს ლიტერატურა უპირატესად მხოლოდ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ინტელიგენტურ წრეებში იკითხებოდა; თუმცა, რასაკვირველია, არც ის იქნებოდა გართებული, რომ სავსებით უგულებელგვეყო ამ ლიტერატურის ღადებითი გავლენა მეფრინველეობის მიმდევარ გლეხობაზე. ცხადია, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით მთელი ეს ლიტერატურა გარკვეულ გავლენას ახდენდა ჩვენში მეფრინველეობის განვითარებაზე, სახელდობრ, როგორც ადგილობრივი ჯიშების გაუმჯობესების ისე უცხოური ჯიშების გავრცელების საქმეშიც.

4. მეფრინველეობის განვითარებისათვის. მართალია სხვათაშორის, მავრამ თავისებურად მაინც ხელუნავდა სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოება (დაარსდა 1850 წელს) და ადგილობრივი ხელისუფლების სათანადო ორგანოებიც; თუმცა, რასაკვირველია, ბიუროკრატიული ხასიათისა გამო ამ ორგანიზაციათა მხრუნველობა რაიდენადმე შესამჩნევ გავლენას ვერ მოახდენდა სოფლის მეურნეობის ამ დარგის წარმატებაზე.

მეფრინველეობის წაქეზების მიზნით 1897 წელს ქ. ქუთაისში არსდება შინაური მეფრინველეობის რუსეთის საზოგადოების განყოფილება[1]. ასეთივე განყოფილება 1904 წელს დაარსდა სამტრედიაშიც. აქ განყოფილება მოეწყო სამოქალაქო სასწავლებელთან. ამ საზოგადოებისა და, მაშასადამე, მისი განყოფილებების მიზანი იყო მეფრინველეობის გაუმჯობესება, შინაური ფრინველის მოვლა-მოშენების მხრივ მოსახლეობაში რაციონალური მეთოდების გავრცელება, მეფრინველეობის პროდუქტთა რეალიზაციის მოწესრიგება და სხვა. ამ მიზნით, მაგალითად, სამტრედიის განყოფილებამ უწინარეს გამოსცა ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ნ თ. მკურნალის წიგნაკი[2]; განყოფილება დაარსებისთანავე შეუდგა მეფრინველეობის სანიმუშო-საჩვენებელი ფერმის მოწყობას, რისთვისაც-მან გამოიწერა უცხოური საუკეთესო ჯიშის ფრინველები, ხელი მოჰკიდა მეფრინველეობის ბაზრის შესწავლას და სხვ.[3] ანალოგიური განყოფილებები სხვა რაიონებშიც ეწყობა.

მოსახლეობაში ფრინველთა უკეთესი ჯიშების გავრცელების მიზანს ემსახურებოდა აგრეთვე ფრინველების გამოფენაც. წინათ, 1890-იან წლების ბოლომდე, შინაურ ფრინველთა სპეციალურ გამოფენას ამიერკავკასიაში ადგილი არ ჰქონია. აქამდე, ჯერ კიდევ 1863 წლიდან მოყოლებული, საერთოდ სოფ-

[1] ნ. მკურნალი, შინაური ფრინველების რუსეთის საზოგადოების განყოფილება ქუთაისში (ჟურნ „მეურნე", 1897 წ., № 2).

[2] ნ. მკურნალი, მოკლე დარიგება.... 1904.

[3] იქვე, აგრეთვე ჟურ. „მოამბე", 1904 წ., № 5, განყ. II, გვ. 83.

ლის მეურნეობის ნაწარმოებთა გამოფენებზე წარმოადგენდნენ ხოლმე შინაურ ფრინველებსაც.

1897 წელს თბილისში მოეწყო მეფრინველეობის პროდუქტთა პირველი გამოფენა[1]. 1900-იანი წლებიდან მეფრინველეობა იზიდავს საზოგადოების უფრო ფართო წრეების ყურადღებას. მეფრინველეობის წარმატებაში ხედავენ კერძოდ გლეხური მეურნეობის ეკონომიური განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებას. 1904 წ. ივ. მაჭავარიანი ერთმანეთს ადარებდა ამ მხრივ მეაბრეშუმეობისა და მეფრინველეობის მნიშვნელობას და წერდა: როგორც მეაბრეშუმეობაში ისე „ფრინველების მოშენებაშიაც უმეტესად ჯერჯერობით მხოლოდ, ჩვენი სოფლების მანდილოსანთა იმედი უნდა გვქონდეს... აბრეშუმის შემოეობით უკანასკნელ წლებში ქუთაისის გუბერნიის მარტო დასავლეთ ნაწილში რამდენიმე ათ მილიონ მანეთამდის დატრიალდა... ფრინველების მოშენებას კი უფრო მეტი შემოსავალი შეუძლია მოგვცეს, და ამ საქმეში უფრო მეტი მუშა-ხელიც მიიღებს მონაწილეობასო“[2].

საქმე იმაშია, რომ მცირემიწიანობისა და უმიწობის გამო სოფლად უსაქმოდ დარჩენილი მუშახელისათვის ადგილზევე რაიმე სამუშაოს გამონახვას ცდილობდნენ და მეფრინველეობას როგორც მიწათმოქმედების ისეთ დამატებას, რომელსაც ცალკე ტერიტორია არ სჭირდება ანდა მცირეოდენი ზომით სჭირდება, ისევე როგორც შინამრეწველობას, მოწოდებულად სთვლიდნენ დახმარება გაეწია გაღატაკების გზაზე შემდგარი გლეხობისათვის; და, რასაკვირველია, ისინი ვერ ამჩნევდნენ, რომ სავაჭრო მიწათმოქმედების ახალ-ახალი დარგების განვითარება მხოლოდ უფრო მეტად აღრმავებდა სოფლად მიმდინარე სოციალურ დიფერენციაციას.

5. სანამ მეფრინველეობის პროდუქტებით შინაგანი და საგარეო ვაჭრობის შემდგომ განვითარებას შევეხებოდეთ, საჭიროა, ასე ვთქვათ, ზოგადი მნიშვნელობის ერთ საკითხზე შევჩერდეთ. ესაა საკითხი, თუ რა უნდა მივიჩნიოთ საერთოდ მეფრინველეობის პროდუქციად.

როდესაც მეფრინველეობის პროდუქტებზე ვლაპარაკობთ, ცხადია, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ აქ, როგორც საერთოდ სოფლის მეურნეობაში, უკვე წარმოებული (შექმნილი) პროდუქტი იმავე დროს წარმოადგენს აუცილებელ საშუალებას (პირობას) თვით ამ პროდუქტის, ე. ი. თვით თავის თავის რეპროდუქციისა მეცხოველეობაში პროდუქციაა მხოლოდ ცოცხალი ცხოველი (ფრინველი) და მისი პროდუქცია (რძე, კვერცხი), რაც ცხოველის (ფრინველის) ორგანული მოქმედების შედეგს წარმოადგენს. ამასთანავე ცხოველის პროდუქციის დიდი ნაწილი, როგორც თვით ცხოველიც, აუცილებელია ჯოგის (ცხოველთა, ფრინველთა) რეპროდუქციისათვის. რძე საჭიროა ხბოს გასაზრდელად, კვერცხი—წიწილის გამოსაყვანად (გამოსაჩეკად). მეორე მხრით, ცხოველის (ფრინველის) დაკლით მიღებული პროდუქტები—ხორცი,

[1] გაზ. „მეურნე“, 1897 წ., № 9.

[2] ჟურ. „მოამბე“, 1904 წ., № 5, განყ. II, გვ. 82.

ტყავი, ბუმბული და სხვ., ცხადია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ პირუტყვის (ფრინველის) გამრავლებისათვის და, მაშასადამე, ისინი, როგორც პროდუქტები, მიიღებიან (მოიპოებიან) თვით ცხოველის მოქმედების (სიცოცხლის) შეწყვეტის შემდეგ. ამგვარად, მკაცრად რომ განვსაჯოთ, ისინი არც კი შეიძლება ჩაითვალონ მეცხოველეობის (საერთოდ სოფლის მეურნეობის) პროდუქტებად; მით უმეტეს რომ მეურნეობრივ მნიშვნელობას, კერძოდ სახვარი ღირებულების ანუ საკვებით მზა ნაწარმის თვისებას, ზოგიერთი გამონაკლისით, ისინი (ტყავი, რქა და სხვ.) მოიპოებენ მხოლოდ და მხოლოდ მრეწველობაში მათი შემდგომი გადამუშავების წყობით. და ეს ტენდენცია მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო ვითარდება ინდუსტრია. მაგალითად, ამჟამად თვით ხორცის და კვერცხის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილიც მოხმარებამდე აუცილებლობით განიცდის საბრეწველო გადამუშავებას (საკონსერვო მრეწველობა და სხვ.).

ამ უკანასკნელ მომენტს ქვეშოთ, კონკრეტულ მასალათა განხილვისას, ჩვენ რასაკვირველია, მხედველობაში ვერ მივიღებდით; ე. ი. მეფრინველეობის პროდუქციად მიჩნეული გვაქვს, ძაშაბდელი ისტორიული სინამდვილის შესაბამისად, მეფრინველეობის ყოველგვარი პროდუქტი, რაც მაშინ ყიდვა-გაყიდვის საგანს შეადგენდა.

6. მეფრინველეობის პროდუქტების, განსაკუთრებით კი კვერცხის, გაძლიერებული გატანა დას. ევროპასა და შავი ზღვის რუსეთის სანავსადგურო ქალაქებში იწყება 1891 წლიდან. დას. ევროპის ბაზრებზე გაჰქონდათ ძხოლოდ კვერცხი.

ამიერკავკასიიდან, ე. ი. ქუთაისის გუბერნიიდან ქათმის კვერცხი გაჰქონდათ ევროპის ისეთ დიდ საბრეწველო ცენტრებში, როგორიც იყვნენ ვენა, ჰამბურგი, ბერლინი, პარიზი, სამხრეთ საფრანგეთის სანავსადგურო ქალაქები და ლონდონი. ლონდონი იყო კვერცხით ბსოფლიო ვაჭრობის ცენტრი და ჩვენი ქვეყნიდან გატანილი კვერცხის უდიდესი ნაწილიც აქ საღდებოდა.

1898—1900 წ.წ. ქუთაისის გუბერნიაში, განსაკუთრებით ბათუმსა და ფოთში, უკვე ჩნდებიან უცხოეთის საექსპორტო ფირმების აგენტები, რომლებიც სპეციალურად ეწევიან კვერცხის ბითუმად შეძენასა და საზღვარგარეთ გატანას. ასეთს ფირმებს შორის, რომლებიც აქაურ შუამავალ-შემსყიდველთაგან დიდი რაოდენობით იძენდნენ კვერცხს, აღსანიშნავია, მაგალითად, ფირმა „ძმ. ზეიფერტ“ [1].

მ. მ კ უ რ ნ ა ლ ი, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა დასავლეთ საქართველოს მეფრინველეობის განვითარების საქმეს, მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობის შესახებ 1902 წელს წერდა: „მაშინ, როდესაც 7—10 წლის წინათ ქუთაისის გუბერნია ძლივს-ძლივობით ახერხებდა ეს პროდუქტები გაეტანა წლიურად 10.000 მანეთისა, 1900 წელს ამ თანხამ მიაღწია სოლიდურ ციფრს—1.200.000 მანეთს. ერთეული კონტორები სოფლებში

[1] КСХ, 1903 г. № 502, стр. 1325—1326.

კვერცხისა და ფრინველის შესყიდვას და ამ საქონლის ადგილობრივ ბაზრებზე მიწოდებას რომ ეწეოდნენ, ამჟამად გაათკეცდნენო“ [1].

კვერცხით ვაჭრობის განვითარებამ, თავის ძმრივ, კვერცხის დამზადების მთავარ პუნქტებში გამოიწვია ყუთების წარმოების წარმოშობა. მაგალითად. 1901 წელს სოფ. კულაშში მოიწვიეს ოსტატები და გახსნეს სახელოსნო, რომელიც სპეციალურად აწარმოებდა უცხოეთში და ადგილობრივ, მაგრამ შორეულ ბაზრებზე, გასაგზავნი კვერცხის ჩასაწყობ ყუთებს [2].

კვერცხის ექსპორტმა იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ მისი უკეთ ორგანიზებისა და თანაც მეფრინველეობის მიმდევარი მოსახლეობისათვის ამ თაოსნობის უფრო შემოსავლიან საქმედ გადაქცევის საკითხს იმ დროს დიდ ყურადღებას აქცევდნენ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პუბლიცისტიკა, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებაც.

ქუთაისის გუბერნიის 1906 წლის ოფიციალურ მიმოხილვაში, რაც გუბერნატორის ყოველწლიურ უქვეშევრდომილეს ანგარიშგებას ერთვოდა ხოლმე, ვკითხულობთ: „ქუთაისის გუბერნია გაცხოველებულ მონაწილეობას ღებულობს კვერცხით მსოფლიო ვაჭრობაში. აქედან ხდება კვერცხის ექსპორტირება ლონდონს, ბერლინს, პარიზს და დასავლეთ ევროპის სხვა, განსაკუთრებით საფრანგეთისა და ავსტრიის, ქალაქებშიო“ [3].

კვერცხის საექსპორტო ოპერაციების მასშტაბის წარმოდგენისათვის საკმარისია ითქვას, რომ 1900 წელს მხოლოდ სამტრედიიდან გაიგზავნა უცხოეთში 800.000 მანეთის კვერცხი [4], ხოლო 1901 წელს ქუთაისის გუბერნიიდან ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებით გატანილ იქნა 18.000.000 ცალი კვერცხი [5]. საერთოდ 1890—1905-იან წლებში ქუთაისის გუბერნიიდან საშუალოწლიურად გაჰქონდათ 1,2 მილიონ მანეთის კვერცხი [6].

სტ. გულიშამბაროვის მიერ თავის დროზე თავმოყრილი მონაცემებით ნსოფლიო ბაზრებზე კვერცხის გამტან ზოგიერთ ქვეყნებს 1900-იანი წლების პირველ ნახევარში ყოველწლიურად, საშუალოდ, გაჰქონდათ:

თურქეთს	893.000	მანეთის კვერცხი
ჰოლანდიას	891.000	„ „
რუმინეთს	669.000	„ „
შვეიცარიას	187.000	„ „
ქუთაისის გუბერნიას	1.200.000	„ „

თუ ქუთაისის გუბერნიიდან საზღვარგარეთის მსოფლიო ბაზრებზე, ე. ი. დას. ევროპის სამრეწველო ცენტრებში გატანილი საქონლის საერთო ღირე-

---

[1] Н. Мкурнали, Об экспорте куриных яиц из Кутаисской губернии: КСХ 1902 г., № 420, стр. 110—111.

[2] იქვე.

[3] Обзор Кутаисской губернии за 1906 г., стр. 34.

[4] Т. СМХ, 78.

[5] КСХ, 1902 г., № 420, стр. 111.

[6] КСХ, 1902 г. № 415, стр. 342; ТПКССХ, 1911 г., Тифлис, стр. 353.

ბულებას 100-ად მივიღებთ, მაშინ მასთან შედარებით სხვა ზემოთ დასახელებული ქვეყნების ექსპორტის ღირებულება უდრის: თურქეთისა — 74,4%-ს, ჰოლანდიისა — 74,3%-ს, რუმინეთისა — 55,8%-ს, ხოლო შვეციისა — 15,6%-ს [1].

კიდევ უფრო გაზრდილა ქუთაისის გუბერნიიდან კვერცხის ექსპორტი 1901 წლის შემდეგ. მაგალითად, 1912 წელს, დ. ღამბაშიძის ცნობით, საზღვარგარეთ გაუტანიათ კვერცხი (მილიონ ცალობით): სამტრედიიდან — 18,0; ახაშიდან — 1,5; სენაკიდან — 1,9, ქუთაისიდან — 0,6. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მონაცემები [2] მაინც არ უნდა იყოს სრული. თვით დ. ღამბაშიძეც აკი წერს: „გარდა ხონისა და სამტრედიის რაიონში წლიური შემოსავალი ამ დარგიდან (ე. ი. კვერცხის ვაჭრობიდან) უდრის 600—700 ათას მანეთსო“ [3]. მაშასადამე, ამ რაიონებიდან სინამდვილეში ბევრად მეტი კვერცხი უნდა გაეტანათ, ვიდრე ეს ნაჩვენები აქვს დ. ღამბაშიძეს. მაგრამ მისი მონაცემები მაინც, გარეხატავს საექსპორტო საქონლის ნაწილობრივ მოძრაობას და იძლევა ერთგვარ წარმოდგენას ამ საექსპორტო ოპერაციებში სხვადასხვა პუნქტების მონაწილეობისა: იგი გვიჩვენებს, რომ კვერცხის საექსპორტო ოპერაციებში გაბატონებულ როლს თამაშობდა რკინიგზის, სახელდობრ სამტრედიის, სადგური, საიდანაც, ცხადია, იგზავნებოდა მოცემული რაიონის მეფრინველეობის პროდუქცია.

დოც. ი. ვოეიკოვის მონაცემებით 1912 წელს მხოლოდ სამტრედიის, ახაშისა და ახალ-სენაკის სადგურებიდან გაუტანიათ 65.765 ფუთი კვერცხი, რასაც ემატებოდა კიდევ სხვა პატარა სადგურებიდან გატანილი 24 ათასი ფუთი, რომელთა საერთო ჯამს იგი 31 მილიონ ცალ კვერცხს ანგარიშობდა [4].

ამიერკავკასიიდან კვერცხი გაჰქონდათ უმთავრესად ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებიდან. მაგრამ ამ ნავსადგურებიდან უცხოეთში კვერცხის გატანას აფერხებდა ის გარემოება, რომ გემებს, რომელთაც ეს ტვირთი ჰქონდათ, არ გააჩნდათ მაცივარი. ამიტომაც კვერცხის ექსპორტი წარმოებდა უპირატესად მხოლოდ ოქტომბრიდან მარტამდე, ე. ი. სიცივეების პერიოდში, რათა კვერცხი სიცხისაგან გზაზე არ გაფუჭებულიყო. ხოლო მარტიდან ოქტომბრამდე კვერცხის წამღები მაცივრიანი გემები კი მხოლოდ იშვიათად შემოივლიდნენ.

მაგრამ მეფრინველეობას სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებას უქმნიდა თვით ამიერკავკასიის საქალაქო ცხოვრება. ადგილობრივი სავაჭრო-სამრეწველო და ადმინისტრაციული ცენტრებიც ფრიად მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიხმარდნენ მეფრინველობის პროდუქტებს.

---

[1] С. Гудишамбаров. Международная торговля птицею и продуктами птицеводства; ТСОМХ, 1908 г., стр. 65.

[2] დ. ღამბაშიძე, ჩვენი ქვეყნის უცხოეთთან ვაჭრობის მიმოხილვა (1894—1913 წ.წ.). ლონდონი, 1914, გვ. 26.

[3] იქვე, გვ. 27.

[4] И. Воекйов, Сельское хозяйство Западной Грузии и Лондонский рынок, 1924, стр. 19—20.

მაგალითად, ქალაქ თბილისის უფროსი სავაჭრო-სამეურნეო ინსპექტორის მ. ი. ჯაბარის მიერ 1898 წელს თავმოყრილ ცნობათა[1] მიხედვით მხოლოდ ქ. თბილისი 1890-იან წლებში ყოველწლიურად მოიხმარდა:

	ცალობით	% ჯამთან
ქათამს	525.000	42,2
ვარიას	630.000	50,6
ინდაურს, იხვსა და ბატს	90.000	7,2
სულ	1.245.000	100,0

ამ მონაცემებიდან იმასაც ვხედავთ, რომ ქალაქი შინაურ ფრინველთა შორის ყველაზე უფრო მეტად მოიხმარდა ქათამსა (42,6 %) და ვარიას (50,6%), ხოლო ინდაურს, ბატსა და იხვს, რაოდენობის მიხედვით, უმნიშვნელო ადგილი (7,2%) ეჭირა ამ მოხმარებაში.

7. როგორც ვხედავთ 1890—1900-იან წლებში საგარეო და შინაგან ბაზრებზე ფრიად შესაშჩნევი რაოდენობით გააქვთ ადგილობრივი მეფრინველეობის პროდუქტები. უკვე აღვნიშნეთ, რომ ამიერკავკასიაში მეფრინველეობის ძირითადი რაიონი იყო ქუთაისის გუბერნია. ამიერკავკასიაში მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობის თითქმის 60 პროცენტი ამ გუბერნიაზე მოდიოდა.

1906 წ. ქუთაისის გუბერნიის ოფიციალურ მიმოხილვაში ნათქვამია, რომ „გუბერნიის სოფლებიდან ყველა შინაგან და საგარეო ბაზრებზე გააქვთ მეფრინველეობის პროდუქტები 2.5 მილიონ მანეთზე მეტის ღირებულებისა“[2]. მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობა ქუთაისის გუბერნიაში ისე გაცხოველდა, რომ ზოგიერთი ენამახვილი პუბლიცისტი ოხუნჯობდა: „ქუთაისის გუბერნიაში მამლები მალე შესწყვეტენ ყიეილს, რადგან მთელ ფრინველებსა და კვერცხებს შემსყიდველებზე ყიდიანო“[3].

ნამდვილად კი მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობის განვითარება ხელს უწყობდა მეფრინველეობას და, მაშასადამე, მამლებისაც კიდევ უფრო გამრავლებას. მაგრამ მამლებს უფრო მეტად მხოლოდ ყვერულების სახით ამრავლებდნენ, რამდენადაც ყვერული უფრო იკიდებდა ხორცსა და, მაშასადამე, კომერციულად უფრო მოსაგები იყო. მით უმეტეს, რომ ყვერული წიწილებსაც მშვენივრად ზრდის და, ამდენადვე, ათავისუფლებს რა დედალს კრუხობის გრძელი პერიოდიდან, ე. ი. ამცირებს რა კრუხობის პერიოდს, მითვე აგრძელებს კვერცხის დების პერიოდს და, მაშასადამე, ადიდებს წლის განმავლობაში დედლისაგან მოტანილი კვერცხის რაოდენობას[4].

---

[1] КСХ, 1898 г., № 239, стр. 499

[2] Обзор Кут. губ. за 1906 г., стр, 34.

[3] КСХ, 1903 г., № 502. стр. 1325.

[4] ეი როგორ აგვიწერს, მეფრინველეობის ფერმაში, ცალკე ფრინველთა როლსა და დანიშნულებას, მეფრინველეობის პირველი ქართველი სპეციალისტი გ. ლებურელი: „შინაურ ფრინველებს შეადგენენ: ქათმები, ბატები, იხვები, ინდაურები და სხვა. უპირველესი ადგილი

მიუხედავად იმისა, რომ 1890-იანი წლებიდან მეფრინველეობის პროდუქტებზე ფასებმა საგრძნობლად აიწიეს, მეფრინველეობა ამ დროიდან უფრო შესამჩნევ და საგრძნობ კონკურენციას უწევდა, მაგალითად, თბილისის ბაზარზე მეცხოველეობის სხვა დარგების პროდუქტებს. ამასთანავე რამდენადაც მეფრინველეობა მეურნეობრივად სარფიანი დარგი შეიქნა, მით უფრო მეტად ბიიზიდა მან მოსახლეობის სათანადო წრეები. 1902 წელს ნ. მ კ უ რ ნ ა ლ ი წერდა, რომ მეფრინველეობის პროდუქტებზე ფასების აწევამ ხელი შეუწყო „ჩვენში მეფრინველეობის ფართოდ განვითარებას, ამ საქმისადმი ინტელიგენტური კლასიდან მასების მიზიდვას და, საუბედუროდ, შექმნას ბევრი შემსყიდველთა არმიისა. ამ „დედაკაცის“ საქმემ თავისკენ მიიზიდა აგრეთვე მამაკაცთა დიდძალი მუშახელიო“ [1]. ამასთანავე, თუ წინათ მეფრინველეობას მხოლოდ გლეხის ქალები მისდევდნენ, 1890-იანი წლების ბოლოდან ეკვე, როგორც იგივე ავტორი წერდა, „მეფრინველეობის პროდუქტებზე დიდი მოთხოვნილებისა და მათზე მაღალი ფასების გავლენით, მეფრინველეობის მიმდევართა რიცხვი პროგრესიულად იზრდება, ყოველწლიურად იბიდებს რა ოყუანისმცემლებს პრივილეგიური წოდების ბანოვანთაგან“ [2].

ყოველივე ამის გამო ჯერ კიდევ 1860-იან წლებში დაწყებული უეფექტო ცდები: ხორცის გემოიანობის, სიდიდის, კვერცხისდების და გარეგნული სილამაზის მიხედვით უმჯობესი უცხოური ჯიშის წინაური ფრინველების მოლა-გამრავლების ჩვენში დანერგვისა, ცხადია უფრო ფართო ხასიათს ღებულობს განსაკუთრებით 1900-იანი წლებიდან. ქუთაისის გუბერნიის ოფიციალურ მიმოხილვაში აღნიშნულია [3] კერძო პირთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ წარმოებული ცდები, როგორც ადგილობრივი, უპირატესად ქართული, ჯიშების გაუმჯობესების, ისე განთქმული უცხოური ჯიშების გადმონერგვისათვის. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ რამდენადმე მნიშვნელოვან წარმატებას ადგილი არ ჰქონია. უცხოურ ჯიშებთან კონკურენციაში თ ი თ ქ მ ი ს ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ჯ ი შ ე ბ ი ი მ ა რ ჯ ვ ე ბ დ ნ ე ნ.

ხალხში საყოველთაოდ გავრცელებული აზრით, რასაც სპეციალისტები ხშირად არ ეთანხმებოდნენ, კარგად მოკლილი ადგილობრივი ჯიშის ქათმების გამრავლება უფრო სარფიანად იყო მიჩნეული. ამასთანავე, ქათმის საკვებად ყველაზე მეტად ს ი მ ი ნ დ ს არჩევდნენ. სიმინდით გაზრდილ-გასუქებული ქათმის ხორცი უფრო გემოიანად მიაჩნდათ.

კი მათ შორის უკავია ქათამს. ქათამი დედოფალია საქათმისა და სიძდიდრე-დიდება ფერმისა. დედალს, გარდა თავისი ნაზი, მსუბუქი, გემრიელი, შემრგო და საღი ხორცისა და ბუმბულ-ქურთუკისა, აქვს აგრეთვე კიდევ თვით ხორცზედ უგემრიელესი, უსაღესი და უნაზესი გამოსავალი—კვერცხი, რომელსაც ბადალი არ მოეპოება... ყოველგვარ ფრინველთა კვერცხებში, გემოვნებისა და ღირსების მხრივ, პირველობის ადგილი უკავია ქათმის კვერცხს..“ (ჟურნ. „მოგზაური“, 1904 წ., № 3—4, გვ. 220—221).

[1] Н. Мкурналли, Об экспорте куриных яиц из Кутаисск. губернии: КСХ, 1902 г., № 420, стр. 110—111.

[2] КСХ, 1903 г., № 503. стр. 1339.

[3] Обзор Кут. губ. за 1906 г. стр. 35.

ამგვარად, მეფრინველეობამ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში „სერიოზული ეკონომიკური მნიშვნელობა მოიპოვა“,—როგორც ამას აღნიშნავდა 1909 წელს მეფრინველეობის სპეციალისტი ა. დრბოგლავი[1]. ხოლო კიდევ უფრო ადრე; სახელდობრ 1903 წელს, ნ. მკურნალი წერდა, რომ „თვისობრივი გაუმჯობესების, პროდუქტის ღირებულების ზრდის, მწარმოებელთა წრის გაფართოების მხრივ უკანასკნელი წლების განმავლობაში მეფრინველეობას ვერ შეედრება მეურნეობის ვერც ერთი დარგი ქუთაისის გუბერნიაშიო“[2]. ამიერკავკასიის საქონლის ცნობილი ექსპორტერი დ. ღამბაშიძე, რომელსაც აქ სპეციალური აგენტები ჰყავდა და ლონდონში კიდევ სავაჭრო კანტორა ჰქონდა, 1914 წელს წერდა, როკ კვერცხის ექსპორტს „ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოშიო“[3].

ნ. როგორც საერთოდ სოფლის მეურნეობის დარგების, ისე კერძოდ მეფრინველეობის გავრცელების შესახებაც სტატისტიკურ მასალათა მხრივ ძალიან ღარიბი ვართ, მაგრამ მაინც შოგვეპოება ზოგიერთი საინტერესო სტატისტიკური ცნობები ქუთაისის გუბერნიაში მეფრინველეობის განვითარების შესახებ. ეს ცნობები თავის დროზე თავმოყრილია უმთავრესად ნ. მკურნალის მიერ.

ქუთაისის გუბერნიაში წლიურად გაზრდილი ფრინველის რაოდენობა. 1890-იანი წწ.[4] და 1906 წ.[5]

ფრინველის დასახელება	1890-იანი წწ. საშუალო წლიური		1906 წ.	
	რაოდენობა	%%% ჯამთან	რაოდენობა	%%% ჯამთან
ქათამი	17.259.000	84.7	27.000 000	92,9
ბატი	1.331.000	6.5	1.000.000	3,4
ინდაური	950.000	4.7	170.000	0,6
იხვი	829.000	4.1	1.000.000	3.4
ს უ ლ . .	20.369.000	100,0	29.170 000	100,0

ამ მონაცემებიდან უწინარეს ყოვლისა იმას ვხედავთ, რომ მეფრინველეობაში გაბატონებული ადგილი ეჭირა მექათმეობას. წლიურად გაზრდილ ყოველგვარ შინაურ ფრინველთა საერთო რაოდენობიდან 1890-იან წლებში

[1] ТПКККСХ, 1911 г., стр. 353.

[2] КСХ, 1903 г., № 509, стр. 1325.

[3] დ. ღამბაშიძე, ჩვენი ქვეყნის უცხოეთთან ვაჭრობის მიმოხილვა (1884—1912წ წ.), ლონდონი, 1914 წ., გვ. 26.

[4] Н. Мкурналов, Птицеводство в Кутаисской губернии: ТССМХ, 78.

[5] Обзор Кут. губ. за 1906. стр. 33—34.

ქათამზე მოდიოდა 84,7 პროცენტი, ხოლო 1906 წელს კი—92,6 პროცენტი, ე. ი. ქათმის ხვედრითი წონა მეფრინველეობის შემდგომი განვითარების პროცესში სულ უფრო იზრდებოდა. სხვა ფრინველებთან შედარებით ალე-ბულ წლებში მნიშვნელოვნად დაცემულა განსაკუთრებით ინდაურის რაოდე-ნობა—შინაურ ფრინველთა საერთო ჯამის 4.7 პროცენტიდან 0.6 პროცენ-ტამდე. ეს გარემოება, ალბათ, ისევ მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრო-ბის შემდგომი განვითარების გავლენით უნდა აიხსნას. ქათმის ხორცია და კვერცხიც უფრო მასობრივი მოხმარების საგანი იყო, ის უფრო პატარა, იაფი და ამდენადვე ხელმისაწვდომი იყო სამრეწველო ცენტრების მოსახლეო-ბის ძირითადი მასებისათვის. რომ არა ვთქვათ რა იმის შესახებ, რომ ქათმის გამოზრდა ბევრად უფრო ადვილია გლეხის მეურნეობისთვისაც.

რაც შეეხება იხვსა და ბატს, ამ ფრინველებს საერთოდ მთიან რაიო-ნებში ნაკლებად იჩენდნენ, რადგან იხვი და ბატი უფრო ეგუებიან და მრავლ-დებიან დაბლობ ადგილებში. ამასთანავე ნ. მ კ უ რ ნ ა ლ ი ს დაკვირვებით ბერიასა, სამეგრელოსა და იმერეთში „შინაურ ფრინველთა რაოდენობა, რა-საც ზრდიან გლეხურ მეურნეობასა და მემამულეთა კარმიდამოში, თითქმის ერთნაირია“ [1]. მაშასადამე, ცხადია, რომ მეფრინველეობა უპირატესად მხო-ლოდ გლეხური მეურნეობისათვის წარმოადგენდა ბნიშვნელოვან დამატებითი შემოსავლის წყაროს [2].

1890-იან წლებში ქუთაისის გუბერნიაში საშუალოწლიურად გაზრდილი ფრინველიდან, მაზრების მიხედვით, მოსახლეობის ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა [3]:

	ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი.
ზუგდიდის მაზრა	398
სენაკის „	389
ოზურგეთის „	373
ქუთაისის „	350
შორაპნის „	316
ლეჩხუმის „	93
რაჭის „	69
სოხუმის ოკრუგი	86

ამგვარად, მეფრინველეობა ამ გუბერნიის ზუგდიდის, სენაკის, ოზურ-გეთის, ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში ყოფილა ყველაზე უფრო გავრცე-ლებული. 1906 წელს გუბერნიის ოფიციალურ მიმოხილვაშიც ვკითხულობთ: „ჩვენ მოკვლევისას აღმოჩნდა, რომ ქუთაისის, შორაპნის, ოზურგეთის და სენა-კის მაზრებში გვხვდებიან მეურნეობანი, რომლებიც ზრდიან

[1] КСХ, 1902 г., № 435, стр. 341.

[2] იხ. აგრეთვე ვ. ჩ ი რ ა ძ ე, მეფრინველეობა, 1923 წ., თბ., გვ 12—15; ციფრობრივი ცნობები ავტორს ნ. მ კ უ რ ნ ა ლ ი ს მოხსენებიდან ამოუღია, მაგრამ ყოველთვის სწორად არ მოუყვანს.

[3] КСХ, 1902, № 435, стр. 341.

500 ცალზე მეტ სხვადასხვა სახის შინაურ ფრინველს... შეიძლება აღინიშნოს ის სასიამოვნო ფაქტი, რომ, მეფრინველეობის პროდუქტებზე უზარმაზარი მოთხოვნილების მიუხედავად, ფრინველის ხორცი ეხლა უფრო ხშირად მოიხმარება გლეხობის მიერ, ვინემ წინაწლებში... უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საშუალოწლიურად გუბერნიაში მოიხმარება 93.000.000-მდე ცალი კვერცხიო"[1].

ეს სიტყვები ფრიად მარტივი და ადვილად გასაგებია და განმარტებას არ საჭიროებენ. ახლა ვნახოთ, თუ როგორ იყო მოწყობილი მეფრინველეობის პროდუქტების რეალიზაციის საქმე.

9. მეფრინველეობის პროდუქტებით ადგილობრივი ქალაქებისა და საბრენწველო ცენტრების მომარაგება მთლიანად ჩარჩ-ვაჭართა ხელში იყო მოქცეული. ეს უკანასკნელნი მრავალგვარ ხერხებს მიმართავდნენ როგორც წვრილ მწარმოებელთა, ე. ი. შინაურ ფრინველთა მომშენებელი გლეხობის, აგრეთვე ქალაქელ მომხმარებელთა მოსატყუილებლად.

შემსყიდველთა ერთი კატეგორია, კერძოდ თბილისელი კინტოები, მაგალითად, 1893-იანი წლების ცნობებით, კვერცხსა და ქათამს, როგორც სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებსაც, ხშირად ჰყიდდნენ „სოფლელთა ტანსამოსში გადაცმულნი, იმ მიზნით, რათა თაეისკენ მიეზიდათ მყიდველები"[2]. აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარ შემსყიდველთა მნიშვნელოვანი ნაწილი იმდაც სოფლებიდან იყო ქალაქებში გადმობარგებული.

მაგრამ ჯერ კიდევ 1880-იანი წლების დასაწყისში, როგორც ს. მახაბელი წერს, შემსყიდველებს უკვე მოესწროთ მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობის ხელში ჩაგდება. თუ ამ დროს „თბილისის მახლობლად მდებარე სოფელთა გლეხები კვერცხსა და ფრინველს უშუალოდ თვითონვე ჰყიდიან", საშაგიეროდ „შორეული სოფლის გლეხები-კი, როგორც ერთს ისე მეორეს ადგილობრივადვე (სოფელშიეე... პ. გ.) ასაღებენ შემსყიდველებზე, რომლებიც თბილისიდან მოდიან"[3]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ 1870-იან წლებამდე თბილისის ბაზარს მეფრინველეობის პროდუქტების მხრივ უმთავრესად ისევ თბილისის მაზრის სოფლები ამარაგებდნენ, ამ დროიდან, ე. ი. ფოთი-თბილისის რკინიგზის გახსნის შემდეგ, თბილისის ბაზარს მალე იპყრობს და. საქართველოდან შემოტანილი პროდუქტი მეფრინველეობისა.

შემსყიდველთა ხელში იყო მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობა განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში, „კომერციული მეფრინველეობის" მთავარ რაიონში. ქუთაისის გუბერნიის 1906 წლის ოფიციალურ მიმოხილვაში, რომელიც ზემოთაც მრავალგზის დაგვიმოწმებია და რომელიც გუბერნატორთა უქვეშევრდომილეს მოხსენებებს ერთვოდა ხოლმე, აღნიშნულია, რომ გუბერნიის სოფლებიდან შინაგან და საგარეო ბაზრებზე ყოველწლიურად გააქვთ 2,5 მილ. მანეთის მეფრინველეობის პროდუქტები და იქვეა ნათ-

[1] Обзор Кутаисск. губ. за 1906 г., стр. 33—34.
[2] КСХ, 1893 г., № 243, стр. 570.
[3] Обзор Кут. губ. за 1906 г., 64.

ქვამი, რომ „მთელი ეს თანხა ამდიდრებს რა წვრილ და მსხვილ შემსყიდველებსა და გადამყიდველებს, უმთავრესად მიდის არა სოფლელ მწარმოებელთა ხელშიო"; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი სოფლის მეურნეობის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იმ დროს გამდიდრების წყაროს წარმოადგენდა მხოლოდ ვაჭარ-გადამყიდველთათვის, რომლებიც ეწეოდნენ მეფრინველეობის მიმდევარი გლეხი ქალების ექსპლოატაციას.

10. 1910 წელს, მეფრინველეობის რუსეთის საზოგადოების თბილისის განყოფილების თანამშრომელი ა. დრობოგლავი, რომელმაც ადგილობრივი მეფრინველეობის პროდუქტები თბილისის ბაზარზე შეისწავლა, საერთოდ ამიერკავკასიაში მეფრინველეობის მდგომარეობის შესახებ წერდა, რომ „მეფრინველეობა—თუ ამ სიტყვაში ჩვენ ვიგულისხმებთ რაციონალურად აწყობილ მრეწველურ წარმოებას—ჩვენ ჯერა გვაქვს. მართალია, შინაური ფრინველი შეადგენს აუცილებელ კუთვნილებას ყოველი გლეხური მეურნეობისა, მაგრამ მეფრინველეობის პროდუქტები, იმის გამო რომ ფრინველებს ცუდად უვლიან, ფრიად დაბალი ხარისხისაა; ფრინველი წვრილია, მისი ხორცი მაგარი და უხეშბოჭკოვანია, გასუქება წარმოებს მეტად პრიმიტიულად და ხშირად კანქვეშა ქონის მომატებაში გამოიხატება: კვერცხი-კი წვრილი და ჭუჭყიანია, ბუმბული და ფრთები ცუდად იწმინდება და ხარისხდება; მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ფასები ბაზარზე დიდი მოთხოვნილების გამო, ფრიად მაღალიაო" [1].

მართალია, ა. დრობოგლავის დასკვნის ზოგიერთ მხარეს შეიძლება არ დავეთანხმოთ, მაგრამ საერთოდ მისი მსჯელობა არაა დაცილებული სინამდვილეს. ხორცი ჩვენებური შინაური ფრინველისა და კვერცხი არც ისე დაბალი ღირსებისა უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს კვერცხი, რომელსაც ამ დროს სწორედ ხარისხის მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, „თითქმის მეორე ადგილი ეჭირა ლონდონის ბაზარზე", ხოლო ლონდონი ამ მხრივ მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ბაზარს წარმოადგენდა. თვით ა. დრობოგლავის დასკვნის ერთ-ერთი მომენტი, სახელდობრ მეფრინველეობის პროდუქტებზე დიდი მოთხოვნილებისა და ფრიად მაღალი ფასების შესახებ, რასაკვირველია გაუმართლებელი იქნებოდა, რომ ეს პროდუქტები მართლაც ძლიერ უხეში და დაბალი ღირსებისა ყოფილიყო [2]. მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ა. დრობოგლავის ეს უკანასკნელი მოსაზრება რამდენადმე მაინც გამოხატავს შეხედულებას უფრო ცარიზმის მოხელეებისა, რომლებიც ფრიად იყვნენ დაინტერესებული აქ, კოლონიაში, მათი მოხმარების საგნების სიიაფეში და ამ მიზნით მზად იყვნენ თვით საუკეთესო კახური ღვინოები ყიზლარულზე დაბლა დაეყენებინათ.

მართალია, 1903 წელს თვით ივ. როსტომაშვილი წერდა: „ჩვენი ქათამი საზოგადოდ პატარაა, სულ ორ-სამ გირვანქას იწონის, ხორცი მაგა-

---

[1] А. Дробоглав, Птицеводство, как важная для Кавказа отрасль сельского хозяйства: КХ, 1910 г., № 2, стр. 7—10.

[2] იხ. ამავეე ТНКССХ, 353—357.

რი, ხშირად შავი და უკუმური აქვს, კვერცხსაც ცოტას და წვრილებს გვაძლევს, მაშინ როდესაც უცხო ქვეყნელებმა იმ ზომამდის გააუმჯობესეს თავიანთი ქათამი, რომ თვითეული დედალი ექვსიდან რვა-ცხრა გირვანქამდის იწონისო"[1],—მაგრამ ეს იყო ცხრაასიანი წლების დამდეგს და უმთავრესად შეეხებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ქათმებს, რომელთაც მაშინვე ბევრად სჯობნიდა დას. საქართველოს ფრინველი, რომელიც 1900-იან წლების განმავლობაში და მერმეც, როგორც ერთხმად აღიარებდნენ დამკვირვებელნი, შესამჩნევად გაუმჯობესდა. და ამდენადვე აქ „მეფრინველეობამ უკვე მოიპოვა დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა"[2]—როგორც ეს აღნიშნული იყო 1909 წელს კავკასიელ სოფლის მეურნეთა პირველ ყოილობაზე თბლისში და როგორც ამას იმეორებდა 1910 წელს თვით ა. დრობოგლავიც[3].

საილუსტრაციოდ იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მეფრინველეობა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1909—1913 წ.წ. მეფრინველეობის პროდუქცია (ხორცი, კვერცხი, ბუმბული) შეადგენდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო ღირებულების 3,8 პროცენტს, ხოლო ცალკე: საქართველოში—3,1%, სომხეთში—3,1% და აზერბაიჯანში—2,9 პროცენტს[4].

1913 წელს ამიერკავკასიის მეფრინველეობითი მეურნეობის მთლიანი შემოსავალი უდრიდა 8,3 მილ. მანეთს, ხოლო კერძოდ: საქართველოში—4,3 მილ. მან., სომხეთში—1,1 მილ. მან., აზერბაიჯანში—2,8 მილ. მანეთს.

ამგვარად, მეფრინველეობა ამიერკავკასიაში თავისი პროდუქციის ღირებულებით თითქმის ორჯერ აღემატებოდა, მაგალითად, მეაბრეშუმეობას და ორნახევარჯერ მებაღეობას[5]. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ამიერკავკასიაში მეფრინველეობის მთლიანი შემოსავლიდან, ე. ი. 8,3 მილ. მანეთიდან, მოდიოდა: ფრინველის ხორცზე—5.119,6 ათასი მან., ანუ 61,6 პროცენტი, კვერცხზე—2.731,1 ათასი მან., ანუ 32,1 პროც., ხოლო ფრთასა და ბუმბულზე—433.5 ათასი მან. ანუ 5,3 პროცენტი[6].

11. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამიერკავკასიაში მეფრინველეობა უპირატესად მაინც ქუთაისის გუბერნიაში იყო განვითარებული. დანარჩენ გუბერნიების მეფრინველეობის პროდუქციებიც უახლოესი დაბა-ქალაქებისა და ყოველ შემთხვევაში ამიერკავკასიის საზღვრებს არ სცილდებოდა.

თვით ქუთაისის გუბერნიაშიც, რა გინდ ფართოდ არ ყოფილიყო გავრცელებული შინაურ ფრინველთა მოვლა-მოშენება, ნამდვილად სავაჭრო

---

[1] „მოამბე", 1905 წ., № 5, განყ. II, გვ. 81.

[2] ТПКССХ, 353—357.

[3] КХ, 1910 г., № 2, стр. 10.

[4] პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის განვითარება ამიერკავკასიაში... 138.

[5] იქვე.

[6] Продукция сельск. хоз. Закавказья (Закгосплан). Тб., 1925 г., приложение III стр. 16—17.

მეფრინველეობა, რასაკვირველია, მხოლოდ ჩანასახ სტადიაში იმყოფებოდა. მართალია, ადგილი ჰქონდა ცდებს მეფრინველეობის სპეციალურ მეურნეობათა შექმნისა, მაგრამ მათ რამდენადმე რეალური შედეგები არ მოჰყოლია.

მსოფლიო და სამოქალაქო ომის, მენშევიკ-მუსავათისტ-დაშნაკთა ბატონობის პერიოდში საერთოდ სახალხო მეურნეობასთან ერთად მეფრინველეობაც, კერძოდ მარცვლეული მეურნეობის ძლიერი დაცემის მეოხებით, ფრიად დაქვეითდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა მტკიცე პირობები მეფრინველეობის ფართოდ განვითარებისა და კერძოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის ცალკე დარგად მისი ჩამოყალიბებისათვის.

12. დასასრულ, ორიოდე სიტყვა საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობისათვის.

ამ რამდენიმე თვის წინათ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ში ჩატარდა ოთხბირი მეცხოველეობის საკითხებზე. მოხსენების გარშემო გაბართულ კამათში სხვათა შორის გამოვიდა პროფ. პრიცკერი—საქართველოს მიწათმოქმედების მეცხოველეობის სამმართველოს სპეციალისტი მეფრინველეობის დარგში.

პროფ. პრიცკერმა მეფრინველეობის განვითარების არსებული ტემპი, სხვათა შორის, წინათ საქართველოში შინაურ ფრინველთა მასობრივი მოშენების ტრადიციის არასაკმაო განვითარებითაც ახსნა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კერძოდ სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის კულტურის ისტორიის სწორ და საფუძვლიან ცოდნას ამ დარგთა შემდგომი განვითარებისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვის საქმეში.

თუ რამდენად სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში კერძოდ მეფრინველეობას, ნათლად ჩანს ამ ერთი კვირის წინათ, სახელდობრ ა/წ. 6 მაისს გამოქვეყნებულ[1] სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ დამტკიცებულ გეგმაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1945 წელს მეცხოველეობის განვითარების შესახებ.

ამ გეგმით მხოლოდ 1945 წელს კოლმეურნეობებში ფრინველის სულადობა დიდად—22,3 პროცენტით—უნდა გადიდდეს და 1—2 წლის განმავლობაში ყოველმა შესაბამისმა კოლმეურნეობამ უნდა გაიჩინოს მეფრინველეობის სათანადო ფერმა, უზრუნველჰყოს შინაური ფრინველი მარცვლეულით და სხვა საკვებით, გაზარდოს ფრინველის პროდუქტიულობა; გათვალისწინებულია აგრეთვე ქათმებისა და ინდაურების პლანტაციებისა და ბაღების ბაენებელ მწერებთან და მატლებთან საბრძოლველად გამოყენება. მეფრინველეობის დარგში კოლმეურნეობებს მიეცათ აგრეთვე შეღავათი სახელმწიფო საქალდებულო ჩაბარებაშიც და სხვ.

[1] „კომუნისტი", 1945 წ., № 89.

ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა, რომ ამიერკავკასიასა და განსაკუთრებით საქართველოში მეფრინველეობას საბჭოთამდელ პერიოდშიც მნიშვნელოვანი ტრადიცია ჰქონდა, იგი სოფლის მეურნეობის და კერძოდ მეცხოველეობის დარგთა შორის ერთ-ერთი მასობრივად გავრცელებული დარგი იყო და, სერიოზულ როლსაც თამაშობდა ქვეყნის ეკონომიკაში. და, რასაკვირველია, მით უფრო ფართოდ უნდა იქნას ჩვენს სინამდვილეში წარმოდგენილი პერსპექტივა მეფრინველეობის განვითარებისა.

ამგვარად, ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს იმისა, რომ ზემოხსენებული გეგმა საქართველოს კოლმეურნეობებში მეფრინველეობის განვითარების მაღალი ტემპისა განუხრელად გავატაროთ ცხოვრებაში და უზრუნველვჰყოთ მეფრინველეობის აღმავლობა, როგორც სულადობის აგრეთვე პროდუქტიულობის მხრივაც.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პოლიტიკური ეკონომიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. V. 15).

П. В. Гугушвили

Птицеводство в досоветской Грузии и Закавказье

Резюме

Птицеводство, как одна из отраслей животноводства, у народов Закавказья и в особенности в Грузии, было распространено с древних времен. Из домашних птиц, которые в XIX веке играли значительную роль в птицеводческом хозяйстве, сравнительно новым явлением было разведение индюка. В дореформенный период птицеводством занимались преимущественно для удовлетворения собственных потребностей. Повсеместно распространенные предметы потребления: мясо курицы, утки, гуся, индюка и яйца шли на питание, а пух—для домашних потребностей.

Птицеводство являлось объектом обложения: крепостной крестьянин платил помещику домашней птицей т. н. сабазиеро (на кормление сокольничьих) и сахацицо—новогоднее и пасхальное подношение (дзгвени).

Птицеводство представляло собою своего рода необходимую подсобную отрасль земледелия, главным образом для крестьянского хозяйства. Разведение птиц, как правило, составляло занятие женщин (домохозяек) и доход, полученный от продажи продуктов птицеводства, поступал в их распоряжение.

Процесс превращения продуктов птицеводства в товар начал быстро развиваться после отмены крепостного права, а в особенности со

времени открытия железнодорожного движения и грузооборота. Рост цен на продукты птицеводства вызвал расширение разведения домашних птиц и породил необходимость, как улучшения местных пород, так и разведения птиц заграничных пород, славившихся величиной, мясом, несением яиц и внешней красотой. С этого же времени (1863 г.) продукты птицеводства систематически экспонируются на выставках кавказского сельского хозяйства (в Тбилиси).

По вопросам разведения домашних птиц первые статьи были опубликованы в местных грузинских и русских газетах и журналах (газ. „Гутнис-Деда", „Сасопло-самеурнео газети", „Записки Кавказского Общества сельского хозяйства" и др.) в 1850-х годах.

Впоследствии постепенно была создана довольно богатая специальная литература по птицеводству. Разные „полезные сведения" часто печатались также в общественно-политической прессе и в календарях, а с 1900-х годов на грузинском языке уже появляются в виде отдельных брошюр популярные учебники по птицеводству.

К вопросам птицеводства в той или иной мере начинает проявлять интерес основанное в 1850 году Кавказское общество сельского хозяйства, а с 1900-х годов аналогичное грузинское общество. С этого же времени в центрах птицеводства Грузии появляются отделения Русского общества птицеводства, которые принимаются за изучение местного птицеводства.

В Закавказье птицеводством занимались главным образом в Грузии, в особенности в Кутаисской губернии; с 80-х годов прошлого столетия в торговом птицеводстве добились успеха районы Самтредиа, Кутаиси, Сенаки, Абаша, Саджевахо и Ланчхути. С 90-х годов в Восточной Грузии выделялись Горийский и Тбилисский уезды. С 1900-х годов птицеводство быстрыми темпами начинает развиваться также в Азербайджане и в особенности в Армении, которую с этого времени проведение железной дороги приблизило к Тбилисскому рынку.

Уже в 1909—1913 гг. из общего количества перевезенных Закавказской железной дорогой яиц (до 70 тыс. пуд.) на долю Грузии приходилось только 48%, а на долю Азербайджана и Армении вместе 52%. Яйца, вывезенные из Азербайджана и Армении, как правило, не направлялись дальше станции Тбилиси, за то с этого времени из Западной Грузии этот товар по сравнению со своей общей массой в небольшом количестве направляется на рынки восточного Закавказья и расширяет себе пути к Западной Европе.

Кутаисская губерния кроме того, что снабжала продуктами птицеводства города всего Закавказья, вместе с тем с начала 1890-х годов все в большей и большей мере производила экспортные операции яиц. С этого времени в Западной Грузии появляются агенты иностранных

фирм, занятых специально экспортом яиц. Отсюда яйца вывозили в Вену, Гамбург, Берлин, Париж, в портовые города южной Франции и в большом количестве в Лондон, где наш товар, по заключению иностранных экспертов „по своему качеству занимал почти второе место".

В 1890-х годах на мировом рынке среди экспортирующих яйца таких стран как Турция, Голландия, Румыния, Швеция, почетное место занимала Кутаисская губерния, которая ежегодно вывозила за границу 10—13 млн. яиц. В 1903 году количество разведенных в губернии птиц составляло 30 млн. Общая же стоимость вывезенных на заграничные или внутренние рынки продуктов птицеводства превышала 2,5 млн. рублей. В 1912 г. из Кутаисской губ. вывезено за границу 31 млн. яиц.

С этого времени птицеводство развивается еще более быстрыми темпами; это „бабье дело" привлекает и мужчин и оно начинает играть более значительную роль в экономике сельского хозяйства, хотя торговлю продуктами птицеводства захватили в свои руки мелкие или крупные скупщики, которые обогащались за счет занимавшихся птицеводством крестьян.

Несмотря на то, что с 1890-х—1900-х годов „коммерческое птицеводство" получило довольно широкий характер, птицеводство все же до конца оставалось подсобной деятельностью крестьянского хозяйства и не оформлялось в виде отдельного самостоятельного предпринимательства, если не принимать во внимание некоторые безрезультатные опыты в этом направлении.

Показателем того, какую роль играло птицеводство в экономике сельского хозяйства Закавказья, достаточно отметить, что в 1909—1913 гг. продукция птицеводства (яйца, мясо, пух) составляла 3,8% общей стоимости продукции сельского хозяйства Закавказья а в отдельности: в Грузии—5,1%, в Армении—3,1%, в Азербайджане—2,9%.

В 1-13 г. валовой доход птицеводческого хозяйства Закавказья составлял 8,3 млн. рублей, в том числе в Грузии—4,3 млн. руб., Армеии—1,1 млн. руб., Азербайожане—2,8 млн рублей.

В период первой мировой войны и господства меньшевиков, мусаватистов и дашнаков, с развалом народного хозяйства вообще и, в частности, с сильным упадком зернового хозяйства, чрезвычайно упало и птицеводство.

Только с установлением советской власти были созданы прочные условия для широкого развития птицеводства и, в частности, условия для создания в колхозах и совхозах птицеводства как отдельной отрасли животноводства.

ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები XXXIV. 1948
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА. XXXIV. 1948

ვ. გიოშვილი

ნავთობის არომატიზაციის თეორიები

მსუბუქი ტიპის წიგაწვის ძრავების განვითარებამ და გავრცელებამ უკანასკნელ 15 — 20 წლის განმავლობაში საგრძნობლად შეცვალა ნავთობის მრეწველობის სახე და ის მიზანდასახულება, რომელსაც ითვალისწინებდა ძველად ნავთობის მრეწველობა (სანათი ზეთების მიღება). ნავთობის მრეწველობის მთავარ მიზნობრივ ნაწარმს ამჟამად ბენზინი წარმოადგენს.

კარბურატორული ძრავების მუშაობის ეფექტიანობის მაქსიმალურად გადიდებისათვის საჭიროა ისეთი ბენზინის ხარება, რომელიც საკმაო დიდი ოდენობით შეიცავს არომატულ ნახშირწყალბადებს, ან ოლეფინებს ანდა იზოაგებულობის პარაფინებს. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით ინტენსიური მუშაობა წარმოებდა და წარმოებს სათანადო მაღალი ანტიდეტონაციური თვისების საწვავის მისაღებად.

არომატული რიგის ნახშირწყალბადების შემცველობა საწვავში საგრძნობლად სცვლის მის ანტიდეტონაციურ თვისებებს (მისი გაძლიერების მიმართულებით) და ამიტომ, მიუხედავად მისი მკირე შემცველობისა ნავთობში, ეს ბაინც წარმოადგენს დიდ ინტერესს როგორც თეორიული, ისევე პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

როგორც ცნობილია, არომატული რიგის ნახშირწყალბადების ნედლეულის წყაროდ ითვლება ქვანახშირის კუპრი, მაგრამ იგი მცირე ოდენობით შეიცავს ბენზოლსა და მის უ ხლოეს ჰომოლოგებს (არა უმეტეს 1,5 — 2%) [1] და, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებდა მრეწველობის გაზრდილ მოთხოვნილებას აღნიშნულ ნახშირწყალბადებზე (გარდა საწვავისა ფართო გამოყენება აქვთ ფენოქად ნივთიერებათა დაიზადების საქმეში, საღებავების მრეწველობაში და სხვა), რის გამოც საჭირო გახდა სხვა ნედლეულის წყაროს გამონახვა. ასეთად კი გამონახულ იქნა თვით ნავთობი და მისი პროდუქტები არა მარტო მათი პიროლიზის გზით, არამედ სათანადო ნავთობის ფრაქციის გზითაც (ტოლუოლის ფრაქცია).

არომატული რიგის ნახშირწყალბადები ნავთობში სხვადასხვა ოდენობით იმყოფებიან, მაგრამ მათი შემცველობა არ არის დიდი. შეიძლება ითქვას, რომ საშუალოდ იგი სხვადასხვა ნავთობისათვის 25% არ აღემატება.

საბჭოთა კავშირის ნავთობებს შორის (გროზნოს სამეც. სკვლევი ნავთ. ინსტიტუტის მონაცემებით) [2] ყველაზე ღარიბია არომატული ნაერთების შემცველობით ბაქოს ნავთობი, —განსაკუთრებით სურახანის, ბალახანის, საბუნჩის,

შედარებით უფრო მდიდარია ბიბიეიბატის და ბინაგადის ნავთობები. ამ ნავთობებთან ახლო დგას არომატული ნაერთების შემცველობით ემბას ნავთობი (დოსორი). არომატული ნაერთებით კიდევ უფრო მდიდარია გროზნოს უპარაფინო და მცირე-პარაფინიანი ნავთობი. კავკასიის საბადოთა შორის ყველაზე მდიდადია არომატიკით მაიკოპის ნავთობი. საქართველოს ნავთობებიდან არომატიკის შემცველობით პირველი ადგილი უჭირავს სუფსას არომატულ ნავთობს [3], შედარებით ნაკლებია მირზაანის და ნორიოს ნაფტენურ ნავთობებში და ილდოკანის პარაფინურ ნავთობში [4]. განსაკუთრებული ადგილი უკავია არომატული ნაერთების მიხედვით პერმის ნავთობს, რომელიც გაცილებით მეტი ოდენობით შეიცავს არომატიკას, ვიდრე სხვა ნავთობები.

ამერიკის სხვადასხვა ნავთობებში სხვადასხვა ოდენობით გვხვდება არომატული ნაერთები, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მათი ოდენობა დაახლოებით ისეთივეა, როგორც ბაქოს და გროზნოს ნავთობებში. ევროპის ნავთობებიდან აღსანიშნავია არომატიკის დიდი შემცველობით გალიციისა და რუმინეთის ნავთობები.

ნავთობის ფრაქციებში სხვადასხვა ოდენობით იპყოფება არომატული ნაერთები. მსუბუქ ფრაქციაში იგი ჩვეულებრივ მცირე ოდენობით შედის. მაღალ ფრაქციებში კი უფრო მეტია, ასე რომ ტემპერატურის ზრდასთან ერთად იზრდება არომატული ნაერთების შემცველობაც, თუმცა ზოგ შემთხვევებში პირიქითაც ხდება, ე. ი. მაღალ ფრაქციებში მათი ოდენობა უფრო მცირდება (მაგ. ტესკის ნავთობი--საბადო მექსია—ამერიკა) [5]. ჩვენი ბენზინები არომატიკის შემცველობით ძალიან სხვადასხვაობას იჩენენ. ამ მხრივ ყველაზე ღარიბია ემბას (დოსორი) და ბაქოს ზოგიერთი ბენზინები (სურახანის, ბალახანის 1,4 — 2%-მდე), შედარებით უფრო მეტი ოდენობით გვხვდება არომატული ნაერთები ბიბიეიბატის, ბინაგადის და გროზნოს პარაფინიან ნავთობებიდან მიღებულ ბენზინებში (4 — 6%-მდე). გროზნოს მცირე-პარაფინიანი და უპარაფინო ნავთობის ბენზინები შეიცავენ არომატულ ნაერთებს 9% — 13%-მდე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მაიკოპის ნავთობის ბენზინი, რომელიც 16% მდე შეიცავს არომატულ ნახშირწყალბადებს. არომატიკის ოდენობით პირველი ადგილი უჭირავს პერმის ნავთობის ბენზინს (31%-ზე მეტი). რაც შეეხება ნავთის ფრაქციების არომატიკას, იგი ჩვენი კეროსინის ფრაქციებში შედარებით ნაკლებ ზღვრებში იცვლება. ბაქოს და გროზნოს პარაფინიან და მცირე-პარაფინიან ნავთობიდან მიღებული ნავთი შეიცავს 15 — 19% არომატულ ნაერთებს; ნავთი მიღებული გროზნოს არაპარაფინიან ნავთობის და მაიკოპის ნავთობისა 23 — 29% მდე, დოსორისა 10%-მდე და პერმისა კი 40%-იდე [6]. ნავთობის არომატულ ნახშირწყალბადები შეიძლება ორი მიმართულებით იქნეს გამოყენებული: 1) როგორც ნედლეული ქიმიური გადამუშავებისათვის, თუ კი არომატულ ნახშირწყალბადებს გამოვყოფთ ნავთობიდან, სუფთა სახით, და 2) პირდაპირ მისი გამოყენება ფრაქციასთან ერთად, რასაც იგი ანიჭებს სპეციალურ ანტიდეტონაციურ თვისებებს.

მიუხედავად იმისა, რომ არომატული ნახშირწყალბადები მრავალ ბენზინში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ქვანახშირის კუპრში, მაინც მათი მიღება

ბენზინიდან სუფთა სახით გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ქვანახშირის კუპრიდან. ეს სიძნელე დამოკიდებულია არა მარტო ბენზინის ფრაქციის რთულ შემადგენლობასთან, არამედ იმ კომპონენტების ხასიათზედაც (პარაფინები, ნაფტენები), რომელნიც ყოველთვის თანამგზავრნი არიან არომატულ ნახშირწყალბადებისა და ძნელად სცილდებიან მას არა რთული ქიმიური დამუშავების გზით. მიუხედავად ამისა ნედლი ნავთობიდან არომატული რიგის ნახშირწყალბადების მიღების საკითხის შესახებ პირდაპირი გამოყოფის გზით არსებობს საკმაოდ დიდი მასალა როგორც ლაბორატორიული, აგრეთვე ქარხნული ხასიათისაც.

ჯერ კიდევ ომამდე გერმანიაში აწარმოებდნენ არომატიკით მდიდარ ნავთობიდან ტოლუოლის მიღებას, მისი ტოლუოლის ფრაქციის ნიტროტოლუოლად გადამუშავების გზით. 1914 წელს საფრანგეთში ააგეს ქარხანა ტოლუოლის ფრაქციის გადასამუშავებლად ნიტროტოლუოლად (ფეთქადი ნივთ.). 1915 წელს ჩვენშიც დაიწყეს ორი ქარხნის აგება ბაიკოპის ნავთობის გადამუშავების მიზნით [7]. ტოლუოლის ფრაქციის გამოყოფა ხდება გაზოლინის და ლიგროინის განმეორებითი გამოხდით კოლონის დანადგარში და მიღებული ტოლუოლის ფრაქციის კონცენტრირებით მისი დამატებითი გაცხოხდის გზით. ამრიგად, მიიღებოდა კონცენტრირებული ტოლუოლის ფრაქცია (20 — 30% ტოლუოლი), რომელიც შემდეგ მიდიოდა ნიტრატორში. ამჟამად კი ნავთობის არომატულ ნახშირწყალბადებს ამზადებენ პიროლიზის გზით მისი მაღალ ტემპერატურაზე დამუშავებით. უფრო მაღალ ტემპერატურაზე (1000°-ზე) ნავთობი იშლება ნახშირბადად და წყალბადად, მაგრამ პიროლიზის ეს ფორმა პრაქტიკული მიზნებისათვის ჯერ არ არის გამოყენებული. შედარებით უფრო დაბალ ტემპერატურაზე (650 — 700°) ნავთობის პიროლიზის დროს აირებსა და მყარ ნაწილაკებთან ერთად (კოქსი, მჭვარტლი) მიიღება თხიადი პროდუქტები, ნავთობის კუპრი. ნავთობის კუპრი თავისი ქიმიური შემადგენლობით საგრძნობლად განსხვავდება გამოსავალი ნედლეულისაგან. მთავარ ნაწილში ის შეიცავს არომატულ ნახშირწყალბადებს და წარმოადგენს ნედლ მასალას მათ მისაღებად.

ამრიგად, ნავთობის პიროლიზი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ არომატიზაცია (მიზნობრივი პროდუქციის მიხედვით), დიდ მნიშვნელობას ღებულობს მარტივი არომატული ნახშირწყალბადების დამზადების საქმეში. ნავთობის პიროგენეტიულმა დაშლამ გამოყენება პოვა ყველაზე უწინ, როგორც საწვავი აირის მიღების საშუალებამ. ამ ნავთობის აირმა ჯერ კიდევ 70-იან წლებში საკმაოდ ფართო გამოყენება მიიღო. ამ აირით ანათებდნენ კიევს, ყაზანს და სხვა ქალაქებს. 1878 წ. ლეტნიმ [8] პირველმა გვიჩვენა, რომ ნავთობის აირის მიღების დროს გამოყოფილი კუპროისებური მასა შეიცავს არომატულ ნაერთებს, და ამით მან საფუძველი ჩაუყარა ნავთობის არომატულ ნახშირწყალბადებად გადამუშავების საქმეს. 1885 წ. სარეწაო-სამრეწველო სასოფლო-სამეურნეო ვამოფენაზე ნიჟნი ნოვგოროდში უკვე გამოფენილ იქნა ნავთობის ფისიდან მიღებული ბენზოლის, ნავტალინის და ანთრაცენის ნიმუშები.

არომატული ნახშირწყალბადების ნაკლულევანებამ ნავთობის პიროგენული დაშლის აუცილებლობა გამოიწვია, რისთვისაც მოწყობილ იქნა მთელი რიგი

მსხვილი დანადგარები ნავთობის პიროგენეტიული დაშლისათვის და მიღებული ნავთობის ფისის გადამუშავებისათვის ბენზოლად და ტოლუოლად.

ძველად ნავთობის არომატიზაციას ჰქონდა დაბოუკიდებელი ხასიათი და მხოლოდ შემდეგში ამ პროცესმა მიიღო კომპლექსური დამუშავების სახე, არომატულ ნახშირწყალბადებად და საწვავ აირად.

არომატიზაციისათვის სარგებლობენ როგორც თვით ნავთობით, აგრეთვე მისი ფრაქციებითაც, უმთავრესად კი ნავთის დისტილატით, ვინაიდან აღნიშნული ნედლეულის პიროლიზის დროს ბენზოლი და ტოლუოლი მიიღება უფრო ადვილად (სხვა დამატებითი რეაქციების გარეშე, როგორიც არის დაკოქსვა და სხვა), ვიდრე სხვა ნედლეულის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის პიროლიზმა მარტივი არომატული რიგის ნახშირწყალბადების მიღების მიზნით უკვე დიდი ხანია სამრეწველო გაფორმება მიიღო, დღემდე მაინც არ არსებობს დაზუსტებული თეორია ამ პროცესის მექანიზმისა. არსებული თეორიები არ იძლევიან ნათელ სურათს ნავთობის არომატიზაციის შესახებ და ხასიათდებიან მთელი რიგი უარყოფითი მხარეებით.

ნავთობი საკმაოდ რთულ რეცეპტს წარმოადგენს, რის გამოც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაყრდნობა ბენზოლის ამა თუ იმ ნახშირწყალბადებიდან წარმოქმნის ცალკეულ შემთხვევებზე. არ შეიძლება აგრეთვე არომატიზაციის მექანიზმისათვის გამოვიყენოთ ერთი რომელიმე კერძო რეაქცია. აქ საჭიროა პროცესის მთელი მისი მოცულობით შესწავლა, არომატიზაციის სხვადასხვა ჰიპოთეზების პრაქტიკული განხილვა და გარკვეული დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, თუ ნავთობში არსებული არომატული ნაერთების რა ნაწილის მიღება შეიძლება მისი პიროლიზის დროს. პიროლიზის რეაქციების სხვადასხვა გვაროვნობა, ტემპერატურის სხვადასხვაობა და მთელი რიგი სხვა პირობები (ნედლეულის ყოფნის ხანგრძლივობა სარეაქციო გარემოში) არამც თუ არ იძლევიან შესაძლებლობას ერთი რომელიმე გარკვეული თეორიის დადგენისას, არამედ ეჭვსაც კი იწვევენ ასეთი ჰიპოთეზის საერთოდ არსებობის შესახებ. პიროლიზის ოპტიმალურ ტემპერატურად ნაჩვენებია 650° — 700°. ტემპერატურის უფრო შემცირება ან გადიდება იწვევს გამოსავლიანობის შემცირებას. საერთოდ ოპტიმალურ პირობების დროსაც კი გამოსავალი არ აღემატება 15% (პიროლიზისათვის აღებული ნედლეულის მიმართ). პიროლიზის დროს მიღებულ არომატულ ნახშირწყალბადებად გულისხმობენ: ბენზოლს, ტოლუოლს, ქსილოლს და ქსილოლის უახლოეს ჰომოლოგებს, რომლებიც თავსდებიან 175°-მდე ფრაქციაში. არომატიზაცია არის ნავთობის პიროგენული პროცესის დაშლა, რომელიც იძლევა რეალურად ადვილად გამოსაყოფ ოდენობას ბენზოლისას და მის უახლოეს ჰომოლოგებისას.

ნავთობის არომატიზაციის თეორიები: 1) არომატიზაცია აცეტილენიდან, 2) ოლეფინებდიენებიდან (ციკლიზაციის შედეგად), 3) ნაფტენების დეჰიდროგენიზაციით, 4) არომატულ ნახშირწყალბადების დაშლით და დემეთილირებით არ იძლევიან ნათელ სურათს ნავთობის არომატიზაციის შესახებ და ხასიათდებიან მთელი რიგი სერიოზული ნაკლულოვანებით. ჯერ კიდევ ბერთელომ [9]

პირველმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ბენზოლის პიროგენული წარმოქმნა დამყარებულია აცეტილენის გამოკვრიალებაზე.

$$3CH \equiv CH \rightarrow C_6H_6$$

ეს მოსაზრება ბერთელოსი კარგად მტკიცდება ფაქტებითაც და იგი შემოწმებულ იქნა სხვა მკვლევარების მიერაც. მეიერმა [10] გაატარა თანაბარი მოცულობის ნარევი აცეტილენისა და წყალბადისა ორ მილში თანამიმდევნობით; პირველი ცხელდებოდა 640—650°, მეორე 800°-მდე და მიიღო 60%-მდე სითხე (აცეტილენის წონისა) რომელიც შეიცავდა 20%-მდე ბენზოლს და მის ჰომოლოგებს.

ზელინსკიმ [11] შესძლო აცეტილენის პოლიმერიზაციის წარმოება შედარებით დაბალ ტემპერატურაზე აქტიური ნახშირის ხმარებით.

აცეტილენიდან ჰომოლოგების წარმოქმნა, დამყარებული პიროგენიზაციის რეაქციაზე, წარმოადგენს აცეტილენის ჰიპოთეზის დადებით მხარეს, მაგრამ მიუხედავად ამისა აცეტილენის ჰიპოთეზა ხასიათდება მთელი რიგი უარყოფითი მხარეებით. ერთ-ერთი არსებითი უარყოფითი მხარე აღნიშნული ჰიპოთეზისა მდგომარეობს იმაში, რომ არომატული ნახშირწყალბადები საგრძნობი ოდენობით წარმოიქმნებიან 530°-ზედაც კი, იმ დროს როდესაც აცეტილენი ნაჩქენებ ტემპერატურაზე პიროლიზის პროდუქტთა შორის ძალიან მცირეა და არავითარ როლს იგი არ თამაშობს. უფრო მაღალ ტემპერატურაზედაც კი (650—700°), აცეტილენი პიროლიზის პროდუქტთა შორის არ აღემატება 0.1—0.2% (ნედლეულის მიმართ). უფრო მაღალ ტემპერატურაზე (800—900°), პარფალია, აცეტილენის ოდენობა იზრდება, მაგრამ ამ ტემპერატურაზე უკვე ტოლუოლი აღარ ჩნდება და ბენზოლის ოდენობაც საგრძნობლად მცირდება. აქედან ის აზრი, რომ აცეტილენი არის მიზეზი ნავთობის არომატიზაციისა, არ შეეფერება სინამდვილეს.

პიროლიზის ტემპერატურაზე (750°-ზე) აცეტილენი იმდენად უმნიშვნელოა, რომ მისგან არომატული ნახშირწყალბადების წარმოქმნა ძალიან საეჭვოა. აქ უნდა დავუმატოთ ისიც, რომ 600°-მდე ტოლუოლის და ქსილოლის ოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ბენზოლისა და, მაშასადამე, უნდა მომხდარიყო ტოლუოლური კონდენსაცია, ამის ფაქტი კი ჩვენ არა გვაქვს ხელთ, ვინაიდან აცეტილენის კონდენსაციის პროდუქტი უმთავრესად არის ბენზოლი და არა ტოლუოლი.

ოლეფინების ციკლიზაციის ჰიპოთეზა ითვალისწინებს არომატული ნახშირწყალბადების წარმოქმნას ჯაჭვური ნახშირწყალბადებიდან ჯაჭვის შეკვრით ბენზოლის ციკლად; მაგალითად, ისეთი ჯაჭვიდან, რომელიც შეიცავს ექვს ნახშირბად ატომს. გრძელი ჯაჭვის ციკლიზაციას უშუალოდ ბენზოლად დღეს არავინ მხარს არ უჭერს და თითქმის მთლიანად უარყოფილია. ჰაბერმა [12] გვიჩვენა, რომ ნორმალური ჰექსანი და ტრიმეთილ-ეთილენი, რომელთაც საერთო არაფერი არა აქვთ, პიროლიზის დროს გვაძლევენ ერთიდაიგივე ოდენობის ბენზოლს.

არომატიზაციის ჰიპოთეზი დიენების ციკლიზაციით შედარებით ცუდრო მისაღებად უნდა ჩაითვალოს ნავთობის არომატიზაციის პროცესის

შინარსის გასარკვევად. აღნიშნული ჰიპოთეზის მიხედვით დივინილი და ეთილენი, რომელთა არსებობა ნაგულისხმევია პიროლიზის პროდუქტთა შორის, წარმოქმნიან ბენზოლსა და მის უახლოეს ჰომოლოგებს:

$$CH_2=CH-CH=CH_2+CH_2=CH_2\rightarrow C_6H_6+2H_2;$$

ანალოგიურად ბუტადიენს და მეთილ ეთილენს (ე. ი. პროპილენს) შეუძლიათ წარმოქმნან ტოლუოლი:

$$CH_2=CH-CH=CH_2+CH_2=CH-CH_3\rightarrow C_6H_5CH_3+2H_2;$$

დივინილი და ბუთილენი მოგვცემს ან ეთილბენზოლს, ან და ქსილოლს. აღნიშნულ რეაქციებში მთავარია დივინილი, რომელიც უმაძღარ ნახშირწყალბადებთან ერთად არომატულ ნახშირწყალბადებს წარმოშობს. აღნიშნული ჰიპოთეზა სხვა ჰიპოთეზებთან შედარებით უფრო დამაჯერებელია, მაგრამ მასაც ახასიათებს სუსტი მხარეები, რაც იმაში მდგომარეობს. რომ საეჭვო ხდება თვით დივინილის წარმოქმნის შესაძლებლობა პიროლიზის დროს, თუმცა მის წარმოქმნას შესაძლებლად სთვლიან ეთილენიდან შემდეგნაირად:

$$2CH_2=CH_2\rightarrow CH_2=CH-CH=CH_2+H_2.$$

ან კიდევ ეთილენიდან და აცეტილენიდან:

$$CH_2=CH_2+CH\equiv CH\rightarrow CH_2=CH-CH=CH_2:$$

თვით მექანიზმი ბუტადიენის წარმოქმნისა ეთილენიდან ჯერ კიდევ გაურკვეველია; არ არის გარკვეული, ბუტადიენი უშუალოდ მიიღება ეთილენიდან თუ რაიმე შუალედი პროცესის გზით, როგორიც არის მაგალითად, ჯერ ბუთილენის მიღება და შემდეგ მისი დეჰიდროგენიზაცია ბუტადიენად.

ის მდგომარეობა, რომ კრეკინგ-აირები მდიდარია ეთილენის ჰომოლოგებით, რომელთაც აშკარად აქვთ გამოსახული კონდენსაციის უნარი, გვაფიქრებინებს იმას, რომ შედარებით დაბალი ტემპერატურული პიროლიზის დროს უნდა წარმოიქმნას უმთავრესად ბენზოლის ჰომოლოგები და არა თვით ბენზოლი. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბუტადიენის კონცენტრაცია პიროლიზის პროდუქტთა შორის არ არის დიდი და იშვიათად თუ გადააჭარბებს 6 — 8%.

რაც შეეხება ბუტადიენის წარმოქმნის შესაძლებლობას აცეტილენიდან, ეს შეხედულება ნაკლებად დამაჯერებელია, თუმცა რეაქცია აცეტილენსა და ეთილენს შორის ბუტადიენის წარმოქმნით მიმდინარეობს:

$$CH\equiv CH+CH_2=CH_2\rightarrow CH_2=CH-CH=CH_2.$$

მაგრამ აცეტილენის უმნიშვნელო ოდენობა პიროლიზის პროდუქტთა შორის არ გვაძლევს შესაძლებლობას ჩავთვალოთ იგი ბუტადიენის წარმოქმნის და, მაშასადამე, არომატული ნახშირწყალბადების მიღების წყაროდ.

დეჰიდროგენიზაციის ჰიპოთეზით არომატიზაცის პროცესი დამყარებულია ნაფთენური ციკლების დეჰიდროგენიზაციაზე:

$$C_6H_{12}\rightleftarrows C_6H_6+3H_2.$$

თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ დეჰიდროგენიზაცია ცუდად მიმდინარეობს სპეციფიკური საკონტაქტო საშუალებების გარეშე, ნათელი გახდება ამ ჰიპოთეზის სისუსტე. ციკლოჰექსანის სუფთა თერმიული დეჰიდროგენიზაცია გვიჩვენებს, რომ ბენზოლი იქ წარმოიქმნება ძალიან მცირე ოდენობით, სამაგიეროდ ხდება მოლეკულის საგრძნობი დაშლა და უმაძღარი აირების (უმთავრესად პროპილენის და ეთილენის), წარმოშობა. გარდა ამისა ციკლოჰექსანის ჰომოლოგები დეჰიდრირდებიან გვერდითი ჯაჭვის მოწყვეტით, რაც არ ეთანხმება არომატიზაციის პროცესის შინაარსს. მაგალითად, მეთილციკლოჰექსანი (არომატიზაციის დროს) გვაძლევს უფრო მეტ ბენზოლს, ვიდრე ტოლუოლს. არომატიზაციის პროცესის დროს კი ბენზოლის ჰომოლოგები უფრო მეტი ოდენობით მიიღება, ვიდრე თვით ბენზოლი. აღნიშნული ჰიპოთეზით გაურკვეველია აგრეთვე ერთბირთვიანი ციკლების არსებობა; ნავთში კიდევ შეიძლება ასეთი ციკლების არსებობის დაშვება, მაგრამ არც გაზოილში და არც მაზუთში ისინი აღარ მოიპოვებიან და გეხვდებიან მხოლოდ პოლინაფტენური ნახშირწყალბადები, რომელთა გარდაქმნა ბარტიე თვისდაც ჩანაცვლებულ ნაფტენებადაც კი ძალიან ძნელია.

დემეთილირების ჰიპოთეზა ითვალისწინებს ბენზოლის რთულ ჰომოლოგებიდან მარტივი არომატული ნახშირწყალბადების წარმოქმნას; მაგ. ერთ- და ორჩანაცვლებული ბენზოლის ჰომოლოგები პიროლიზის დროს იჩენენ ცხიმის ნახშირწყალბადების ხასიათს და დაშლა ხდება ან ჯაჭვში ან ჯაჭვისა და ბირთვის შეერთების ადგილას. მაგალითად: ნორმალური პროპილბენზოლი იშლება ტოლუოლად და ეთილენად:

$$C_6H_5CH_2 - CH_2 - CH_3 \rightarrow C_6H_5CH_3 + CH_2 = CH_2;$$

მესამადი ბუთილბენზოლი იშლება ბენზოლად და ბუთილენად:

$$C_6H_5C(CH_3)_3 \rightarrow C_6H_6 + C_4H_8.$$

არომატიზაციის აღნიშნული ჰიპოთეზის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ დემეთილირება, ე. ი. მეთილის ჯგუფის მოწყვეტა ბირთვიდან, ძალიან ძნელად მიმდინარეობს და, რა თქმა უნდა, ქსილოლის ტოლუოლად გარდაქმნის ხელსაყრელი პირობები და ტოლუოლისა ბენზოლად ერთნაირი არ შეძლება იყოს. ეგლოფის ცდებით დადასტურებულია, რომ უფრო ადვილია ქსილოლიდან ტოლუოლზე გადასვლა, ვიდრე ტოლუოლიდან ბენზოლზე. ორჩანაცვლებულ ჰომოლოგებიდან ერთჩანაცვლებულებზე გადასვლის საკითხიც ჯერჯერობით საკმაოდ არ არის გარკვეული და ასეთი გადასვლის შესაძლებლობაც, რა თქმა უნდა, საეჭვოა.

ნავთობის არომატიზაციის ჰიპოთეზა, დაფუძნებული დიფენილეთანის რიგის ნახშირწყალბადებზე, რომელთა არსებობაც ნაგულისხმევია ნავთობის უმაღლეს ფრაქციებში (სხვა კონდენსირებულ ციკლიურ სისტემათა შორის), ითვალისწინებს მარტივი არომატული ნახშირწყალბადების წარმოქმნას პიროლიზის დროს დიფენილეთანიდან და მისი უახლოესი ჰომოლოგებიდან. აღნიშნული ნახშირწყალბადების არსებობას შესაძლებლად სთვლიან ნავთობის უმაღლეს ფრაქციებში და მათ მიაწერენ მარტივი არომა-

ტული ნახშირწყალბადების წარმოქმნას პიროლიზის დროს. იმისათვის რომ გამოგვერკვია აღნიშნული ნახშირწყალბადების როლი ნავთობის არომატიზაციის პროცესში, ჩვენ მიერ სინთეზირებული იყო დიფენილეთანის რიგის შემდეგი ნახშირწყალბადები:

დიფენილეთანი: $C_6H_5 — CH_2 — CH_2 — C_6H_5$;

დიტოლილეთანი: $CH_3 — C_6H_4 — CH_2 — CH_2 — C_6H_4 — CH_3$;

დიქსილილეთანი: $(CH_3)_2 — C_6H_3 — CH_2 — CH_2 — C_6H_3 — (CH_3)_2$;

2,3 დიფენილბუტანი:

ნაჩვენები ნახშირწყალბადები ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა როგორც თერმიული. ისე კატალიზური კრეკინგის თვალსაზრისით. ჩვენ მიერ მიღებული შედეგები შ. ალიევის მიერ შესწავლილ [14] დიფენილპროპანის კატალიზური კრეკინგის შედეგებთან ერთად საკმაო მასალას იძლევა იმისათვის, რომ ვიქონიოთ მსჯელობა ნავთობის ციკლიურ სისტემათა ბირის ზემოთ მოყვანილ ნახშირწყალბადების გავრცელების შესახებ. ჩატარებულმა მუშაობამ შესაძლებლობა მოგვცა შეგვესწავლა აგრეთვე ნახსენები ნახშირწყალბადების კრეკინგის მექანიზმი. როგორც თერმიული ისე კატალიზური კრეკინგის დროს. მიღებულია, რომ დიფენილეთანი თერმიული კრეკინგის შედეგად გვაძლევს 40,7%-მდე ტოლუოლს და კატალიზური კრეკინგის დროს კი (უწყლო ქლორალუმინთან) 53%-მდე ბენზოლს [15]. მოცემული შედეგები ადასტურებენ. რომ პირველ შემთხვევაში დიფენილეთანის დაშლა ხდება სიმეტრიულად ეთანის კავშირის გაწყვეტით:

$$C_6H_5 — CH_2 — CH_2 — C_6H_5 \rightarrow C_6H_5 — CH_2 — \; + \; C_6H_5CH_2,$$

რის შედეგადაც წარმოიქმნება თავისუფალი ბენზილის რადიკალები, რომელთაგან ერთი ართმევს წყალბადს მეორეს და წარმოიშვება ტოლუოლი და სტილბენი.

ამრიგად, დიფენილეთანის თერმიული კრეკინგის ნაწარმებია: ტოლუოლი ($C_6H_5CH_3$) და სტილბენი ($C_6H_5CH = CHC_6H_5$). აღნიშნული მიმართულებით დაშლა ჯერ კიდევ ადრევე ნაჩვენები იყო გრებეს მიერაც [16]. დიფენილეთანის კატალიზური კრეკინგი ქლორალუმინთან გვაძლევს უმთავრესად ბენზოლს (63%-მდე), რაც შედეგია მისი არა სიმეტრიული დაშლისა, რომლის დროსაც კავშირის გაწყვეტა ხდება არა შუაზე, არამედ ბირთვთან. ანალოგიურად დიტოლილეთანი თერმიული კრეკინგის დროს გვაძლევს 24%-მდე ქსილოლს და კატალიზური კრეკინგის შემთხვევაში კი 24%-მდე ტოლუოლს; დიქსილილეთანი თერმიული კრეკინგის შემთხვევაში გვაძლევს 34%-მდე ქსილოლსა და ტრიმეთილბენზოლს. კატალიზური კრეკინგის დროს კი 25% ქსილოლს და 10%-მდე ტრიმეთილბენზოლს; 2,3-დიფენილბუტანი თერმიული კრეკინგის დროს გვაძლევს 48%-მდე ეთილბენზოლს, კატალიზური კრეკინგი კი გვაძლევს 32%-მდე ბენზოლს, 10%-მდე ტოლუოლს და 9%-მდე ეთილბენზოლს. ორივე სახის კრეკინგის შედეგად მიდებული მთავარი ნაწარმები

ბთლიანად განსაზღვრავენ დიფენილეთანის რიგის ნახშირწყალბადების დაშლის მექანიზმს და შესაძლებლობას გვაძლევენ გარკვეული აზრის გამოტანისას დიფენილეთანის რიგის ნახშირწყალბადების გავრცელების შესახებ ნავთობის ცხელლეს ფრაქციებში.

ექსპერიმენტული ნაწილი

დიფენილეთანი სინთეზირებული იყო ბენზოლიდან და დიქლორეთანიდან უწყლო ქლორალუმინის საშუალებით. მისი კონსტანტებია: დულ. ტ-რა 282°—285°; ღლობის ტ-რა 51°; $d_4^{20}=0,9441$; გამოსავალი 75—80% თეორიულისა. თერმიული კრეკინგი ტარდებოდა ფაიფურის მილში 650—700°-ზე. კრეკინგის შედეგად მიღებული კრეკინგ-ფისის ფრაქციული გამოხდის პროდუქტები მოყვანილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში.

ფრაქციები	% ნედლეულზე
85°-მდე	0
85°—95°	0
95°—105°	5,0
105°—115°	40,5
115°—250°	3,0
250°—290°	31,0
კოქსი და აირი	20,5

105°—115°-იანი ფრაქცია წარმოადგენს დიფენილეთანის თერმიული კრეკინგის მთავარ ფრაქციას. მისი კონსტანტებია: $d_4^{15}=0,8676$; $n_d^{15}=1,4969$; ეს ჟანგვით გვაძლევს მჟავას, რომლის ღლობის ტემპერატურა უდრის 121°-ს (ბენზომჟავა). მოცემული კონსტანტების მიხედვით იგი ეკუთვნის ტოლუოლს.

დიფენილეთანის კატალიზური კრეკინგი ტარდებოდა ვიურცის კულაში 620°-ის ტემპერატურაზე. მიღებული კრეკინგ დესტილატი ზედმიწევნითი სიზუსტით იხდებოდა დეფლეგმატორით. შედეგები ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ფრაქციები	% ნედლეულზე
85°-მდე	53.0
85°—95°	5.0
95°—105°	5.0
105°—115°	1.0
115°—250°	4,0
250°—290°	10.0
კოქსი	22.0

კატალიზური კრეკინგის მთავარ ფრაქციას წარმოადგენს პირველი ფრაქცია (85°). მისი კონსტანტებია: დულ. ტ-რა 85°; $d_4^{20}=0,8811$; $n_d^{20}=1,5014$; ფრაქცია იდენტიფიცირებული იყო გაყინვით და დინიტრობენზოლის სახით. მოცემული კონსტანტების მიხედვით იგი ეკუთვნის ბენზოლს.

ამრიგად, დიფენილეთანის თერმიული კრეკინგის მთავარი ნაწარმი არის ტოლუოლი, კატალიზურისა კი ბენზოლი. პირველია დიფენილეთანის სიმეტრიული დაშლის შედეგი, მეორე კი არა სიმეტრიული დაშლისა.

დიტოლილეთანი: $CH_3 - C_6H_4 - CH_2 - CH_2 - C_6H_4CH_3$;

აღნიშნული ნახშირწყალბადი სინთეზირებულია დიფენილეთანის მსგავსად ტოლუოლიდან და დიქლორეთანიდან. წარმოადგენს ზეთისებურ სითხეს და ახასიათებს შემდეგი კონსტანტები: დუღ. ტ-რა 286° — 287°; $d_4^{20} = 0{,}9590$; $n_d^{20} = 1{,}4972$. დიტოლილეთანის თერმიული კრეკინგის შედეგად მიღებული კრეკინგ-ფისის გამოხდის შედეგები მოყვანილია ცხრილში:

ფრაქცია	% ნედლეულზე
85 — 105°	0
105° — 115°	7,0
115° — 135°	4,0
135° — 145°	24,0
145° — 150°	4,0
150° — 175°	7,8
175° — 350°	23,2
კოქსი და აირი	30,0

დიტოლილეთანის თერმიული კრეკინგის მთავარი ფრაქცია არის 135° — 145°-ნი ფრაქცია, რომლის კონსტანტებია: $d_4^{20} = 0{,}8625$; $n_d^{20} = 1{,}4976$. მოცემული ფრაქცია დაჟანგვით გვაძლევს მჟავას, რომლის ლღობის ტემპერატურა 347°-ს უდრის (იზოფტალისმჟავა). ამ მონაცემებით იგი მიეკუთვნება ქსილოლს.

დიტოლილეთანის კატალიზური კრეკინგის შედეგად მიღებული სითხის ფრაქციული გამოხდის შედეგები მოყვანილია ქვემოთ:

ფრაქცია	% ნედლეულზე
75° — 85°	2,4
85° — 105°	2,0
105 — 115°	23,0
115° — 130°	1,0
130° — 150°	5.0
150° — 350°	40.0
კოქსი	26,6

დიტოლილეთანის კატალიზური კრეკინგის მთავარი ფრაქცია არის 105 — 115°-იანი ფრაქცია, რომლის კონსტანტებია: $d_4^{20} = 0{,}8675$; $n_d^{20} = 1{,}4965$. მოცემული ფრაქციის დაჟანგვა იძლევა ბენზომჟავას. ამ მონაცემებით იგი მიეკუთვნება ტოლუოლს.

ამრიგად, დიტოლილეთანის თერმიული კრეკინგი იძლევა ქსილოლს, რაც შედეგია მისი სიმეტრიული დაშლისა. კატალიზური კრეკინგი კი გვაძლევს ტოლუოლს, რაც შედეგია მისი არასიმეტრიული დაშლისა.

დიქსილილეთანი: $(CH_3)_2C_6H_3 - CH_2 - CH_2 - C_6H_3(CH_3)_2$. აღნიშნული ნახშირწყალბადი დამზადებულია ქსილოლიდან და დიქლორეთანიდან

ქლორალუმინის საშუალებით. იგი წარმოადგენს სქელ ზეთისებურ სითხეს, რომლის კონსტანტებია: დუღ. ტ-რა 322° — 325°; $d_4^{20} = 0,9546$; $n_d^{20} = 1,5540$

თერმიული კრეკინგი მიმდინარეობდა აგრეთვე ფაიფურის მილში. კრეკინგის შედეგად მიღებულმა სითხის გამოხდამ მოგვცა შემდეგი ფრაქციები:

% ნედლეულზე	ფრაქცია
125°-მდე	0
125° — 142°	3.0
142° — 155°	34,0
155° — 175°	
175° — 210°	12,0
210° — 320°	25,0
320°-ზე ზევით	6.0
კოქსი და აირი	10,0

ნაჩვენები ცხრილიდან ჩანს, რომ დიქსილილეთანის თერმიული კრეკინგის მთავარი ნაწარმი არის 142° — 175°-ანი ფრაქცია, ე. ი. ქსილოლის და ტრიმეთილბენზოლის ნაწარმი, რომელშიც ოდენობრივად ჭარბობს ტრიმეთილბენზოლი.

ამავე ნახშირწყალბადის კატალიზური კრეკინგის შედეგები მოყვანილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში.

ფრაქცია	% ნედლეულზე
125°-მდე	1,3
125° — 145°	25 1
145° — 155°	6 6
155° — 175°	16.5
175 — 320°	14.5
320°-ზე ზევით	36,0

კატალიზური კრეკინგის მთავარი ფრაქცია არის 125° — 145°-იანი ფრაქცია, რომლის კონსტანტებია: $d_4^{20} = 0,8626$; $n_d^{20} = 1,4975$; მისი დაჟანგვა გვაძლევს მჟავას ლღობის ტემპერატურით 347° (იზოფტალის მჟავა) ამრიგად, დიქსილილეთანის თერმიული კრეკინგის მთავარი ნაწარმი არის ქსილოლის და ტრიმეთილბენზოლის ნარევი, რომელშიც ჭარბობს ტრიმეთილბენზოლი. კატალიზური კრეკინგისა კი — ქსილოლი.

2,3-დიფენილბუტანი: $CH_3 - \underset{\displaystyle C_6H_5}{\overset{|}{CH}} - \underset{\displaystyle C_6H_5}{\overset{|}{CH}} - CH_3$

მოცემული ნახშირწყალბადი სინთეზირებულია ჩვენ მიერ 2,3-დიქლორბუტანიდან (რომელიც მიღებულია ქლორის მიერთებით ბუტილენ-2-თან) და ბენზოლიდან. გამოსავალი 60%-ს არ აღემატება. მისი კონსტანტებია: დუღ. ტ-რა 330° — 340°; $d_4^{20} = 0,958$.

2,3-დიფენილბუტანის თერმიული და კატალიზური კრეკინგი ტარდებოდა ისევე, როგორც წინა შემთხვევებში. თერმიული კრეკინგის შედეგად მიღებული კრეკინგ-ფისის ფრაქციული გამოხდის შედეგები მოყვანილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ფრაქცია	% ნედლეულზე
85°-მდე	0
85° — 105°	2,0
105 — 115°	2,0
115° — 125°	3,0
125° — 155°	48,0
155° — 175°	12,0
175° — 200°	8,0
200° — 230°	6,0
300° — ზევით	7,0
კოქსი და აირი	12,0

მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ 2,3-დიფენილბუტანის თერმიული კრეკინგის მთავარ ფრაქციას წარმოადგენს 125° — 155°-ნი ფრაქცია, რომელიც მდიდარია სტიროლით (30 — 40%) და რითაც იგი განსხვავდება სხვა ნახშირწყალბადებიდან მიღებული იმავე ინტერვალში მდუღარე ფრაქციიდან. მისი თანამგზავრია არა ქსილოლი, არამედ ეთილბენზოლი, რომლის დაჟანგვამ მოგვცა მჟავა 121°-ის ლღობის ტემპერატურით (ბენზოემჟავა). ზემოხსენებულის გამო 2,3-დიფენილბუტანის პიროგენული დაშლა უნდა განისაზღვროს სიმეტრიული დაშლით, თავისუფალი რადიკალების წარმოქმნით, რომელთაგან ერთი ართმევს წყალბადს მეორეს და გარდიქმნება ეთილბენზოლად და სტიროლად. დაშლის პროდუქტთა შორის ბენზოლი არ ყოფილა აღმოჩენილი. ამრიგად, 2,3-დიფენილბუტანის დაშლა შემდეგნაირად გამოიხატება:

$$\begin{matrix} CH_3-CH-CH-CH_3 \\ \quad\quad | \quad\quad | \\ \quad C_6H_5 \quad C_6H_5 \end{matrix} \rightarrow CH_2=CH-C_6H_5 + C_6H_5CH_2-CH_3$$

2,3-დიფენილბუტანის კატალიზური კრეკინგის შედეგები მოცემულია ქვემოთ:

ფრაქცია	% ნედლეულზე
85°-მდე	32,0
85° — 105°	5,0
105° — 115°	9,0
115° — 125°	7,5
125° — 155°	9,0
155° — 175°	5,0
185° — 200°	3,5
200° — 320°	4,5
320° — ზევით	24,5

კატალიზური კრეკინგის მთავარი ფრაქცია არის 85°-ანი ფრაქცია. მისი კონსტანტებია: $d_4^{20} = 0,8812$; $n_D^{20} = 1,5013$; ფრაქცია იდენტიფიცირებული იყო გაყინვით და დინიტრობენზოლის სახით. აღნიშნული მონაცემებით იგი ეკუთვნის ბენზოლს. ამრიგად, 2,3-დიფენილეთანის თერმიული კრეკინგის პროდუქტებია ეთილბენზოლი და სტიროლი, რაც შედეგია მისი სიმეტრიული დაშლისა, ხოლო კატალიზური კრეკინგისა კი—ბენზოლი, რაც გამოწვეულია მისი არასიმეტრიული დაშლით.

1, 2-დიფენილპროპანის კატალიზური კრეკინგის შედეგები მოცემულია ქვემოთ ცოყვანილ ცხრილში:

ფრაქცია	% ნედლეულზე
40° — 70°	3.6
70° — 95°	76.4
95° — 125°	6,1
125° — 150°	4,0
150° — 175°	5.6
175° — ზევით	4,3

1.2-დიფენილპროპანის კატალიზური კრეკინგის ძირითად ფრაქციას წარმოადგენს 70 - 95°-ანი ფრაქცია (ბენზოლი).

დასკვნა

ნავთობის არომატიზაციის თეორია, რომელიც ითვალისწინებს მარტივ არომატულ ნახშირწყალბადების (ბენზოლი, ტოლუოლი, ქსილოლი) წარმოქმნას დიფენილეთანიდან და მის უახლოეს ჰომოლოგებიდან (რომელთა არსებობა ნავთობის უმაღლეს ფრაქციებში), ჩვენ მიერ ჩატარებული ცდებით არ დასტურდება. დიფენილეთანი და მისი უახლოესი ჰომოლოგები ისეთი დიდი ოდენობით იძლევიან მარტივ არომატულ ნახშირწყალბადებს (ორივე სახის კრეკინგის დროს), რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი შედარება არამც თუ ნავთობის კრეკინგის დროს მიღებულ არომატულ ნახშირწყალბადების გამოსავალთან (რომელთა ოდენობა არ აღემატება 15%), არამედ თვით ნავთობიდან სელექციურად გამოყოფილ არომატულ ნახშირწყალბადებთანაც კი. ზემოხსენებულის გამო შეიძლება ვთქვათ, რომ ნავთობის უმაღლეს ფრაქციებში არ უნდა გვქონდეს ან და ძალიან ცოტა ოდენობით უნდა შედიოდეს დიფენილეთანის რიგის ნახშირწყალბადები. გარდა ამისა დადასტურებულია, რომ თერმიული კრეკინგის დროს დიფენილეთანის რიგის ნახშირწყალბადების დაშლა ხდება სიმეტრიულად ეთანის კავშირის გაწყვეტით, კატალიზური კრეკინგის დროს კი (ქლორალუმინთან) პროცესი მიმდინარეობს სხვაგვარად და მოლეკულის გაწყვეტა ხდება უშუალოდ ბირთვთან.

ლიტერატურა

1. Акад. С. С. Наметкин, Химия нефти. стр. 107, 1939 г.
2. Химический состав нефтей и нефтепродуктов: Труды Гроз. НИИ. М.-Л. 1931 г.
3. Х. Н. Арешидзе и А. М. Гахокидзе: Сообщения АН Гр. ССР. IV, 147, 1942 г.
4. А. М. Гахокидзе: Труды химического института АН Гр. ССР. IV, 41, 1942 г.
5. 6. Акад. С. С. Наметкин, Химия нефти. стр. 105, 107, 1949 г.
7. Юрков, Нефтяное хоз. VI № 4, 661 (1924).
8. Ж. Р. Х. О. 9, 269 (1877).
9. Berthelot, Ayn. chem. Phys. 139, 281 (1866); Bull. Soc. Chem. (2) 6, 272; Ann. chem. Phus (4) 9, 1451 (1866).
10. Meyer: Ber. 45, 1609 (1912), 46, 3183 (1913).
11. Н. Зелинский: C. R. 177, 882 (1923).
12. Габер (Haber), Ber. 29, 2621 (1893).
13. А. Добрянский, Научные основы крекинга нефти стр. 91, 1935 г.
14. М. Алиев, Докторская диссертация, Баку, 1942.
15. В. Гиошвили, А. Добрянский: Труды Грузин. Инд. института им. Кирова. № 1 (15), 351, 1943 г.
16. Graebe (Гребе): Ber. 6, 127 (1873); Ann. 174, 195 (1874).

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქონელთმცოდნეობის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1948. VII. 20).

В. Гиошвили

Теории ароматизации нефти.

Резюме

Несмотря на то, что пиролиз нефти для получения простейших ароматических углеводородов уже давно получил промышленное оформление, химизм его все же остается неясным.

Существующие теории ароматизации нефти: синтез из ацетилена, дегидрогенизация нафтенов, циклизация цепевых углеводородов, деметилирование и распад ароматических углеводородов не вполне объясняют механизм образования простейших ароматических углеводородов и характеризуются некоторыми крупными недостатками.

Теория ароматизации нефти, объясняющая образование простейших ароматических углеводородов при пиролизе нефти из углеводородов ряда дифенилэтана предусматривает существование последних в высших фракциях нефти. К углеводородам ряда дифенилэтана приписывается роль одного из источников получения простейших ароматических углеводородов при пиролизе нефти.

Проведенная нами работа на углеводороды ряда дифенилэтана не дает оснований для такого предположения.

Термический и каталитический крекинг означенных углеводородов дает настолько большое количество простейших ароматических (главным образом бензола и толуола), что не может итти ни в какое сравнение с выходами, полученными при пиролизе не только нефти, но даже селективно выделенных из нее ароматических углеводородов; поэтому гипотезу получения простейших ароматических углеводородов из соединений ряда дифенилэтана нельзя считать обоснованной для объяснения сущности процесса ароматизации при пиролизе.

Таким образом углеводороды ряда дифенилэтана или совсем не находятся в высших фракциях нефти, или же содержатся совершенно в незначительных количествах. Далее, можно было убедиться, что в случае термического крекинга распад происходит по середине молекулы разрывом этановой связи; при каталитическом крекинге с хлористым алюминием распад протекает иначе и разрыв молекулы происходит непосредственно у ядр[illegible].

ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV, 1948
ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 1948

З. БАХТАДЗЕ

ИЛЬИА ЧАВЧАВАДЗЕ КАК СОЦИАЛ-ЭКОНОМИЧЕСКИЙ МЫСЛИТЕЛЬ

ილია ჭავჭავაძე და გლეხობის განთავისუფლების საკითხი

ილია Чавчавадзе — поэт и публицист общественного движения 60-х годов XIX века. Почти вся его многолетняя деятельность была посвящена защите национальных интересов грузинского народа и его культуры. Своим неутомимым творчеством — стихами, поэмами, прозой и публицистико-критическими статьями — он боролся за национальное освобождение грузинского народа. Он был руководителем грузинского национально-освободительного движения, направленного против царской России.

Илья Чавчавадзе с самого начала своей общественной деятельности выступал как революционер-демократ. Он был одним из первых, кто выдвинул идею национально-освободительной борьбы грузинского народа против царизма. Эта идея была характерна для всех передовых людей Грузии 60-х годов XIX века. Среди них были: Белинский, Герцен, Добролюбов, Чернышевский. Грузинские просветители внимательно следили за революционно-демократическим движением русского народа, изучали произведения Белинского, Герцена, Добролюбова, Чернышевского. Неудивительно, что наши передовые люди XIX века с большой любовью и уважением относились к Добролюбову и Чернышевскому. Они учились у них непримиримости к национальному гнету и экспроприаторству царизма. Своей самоотверженной борьбой, своим творчеством Илья Чавчавадзе завоевал грузинскому обществу право на свободное развитие национальной культуры и национального языка. Его творчество и общественная деятельность неразрывно связаны с революционно-демократическим движением России. С 1861 года, когда он приехал из России в Грузию, и до основания им общества „Товарищество грузинской грамоты" в 1863 году и руководства обществом „Иверия" Илья Чавчавадзе был в авангарде грузинской литературы и общественности, борясь против национального гнета и за национальное освобождение грузинского народа. Своим творчеством он поддерживал каждое прогрессивное явление в общественной жизни, которое способствовало освобождению страны от национального гнета и порабощения.

ბრძოლა ძველის, დახავსებულის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძემ დაიწყო ჟურნ. „ცისკარის“ შეუბრალებელი კრიტიკით. „საქართველოს მოამბემ“ 1863 წ. II ნომერში დაბეჭდა გ.-თელის სტატია „რამდენიმე სიტყვა ცისკარზედ“. ავტორი „ცისკარს“ იმას უწუნებს და უსაყვედურებს, რომ იგი დაშორდა ცხოვრების მოთხოვნილებას. „ჩვენი ბედკრული „ცისკარი“ შვიდის წლის განმავლობაში სულ იმაზედ გვატარებინებს დროებას ან ღამე როგორია, ან დღე რა რიგის სინათლით მოიცავს არემარეს, თუ დილა კაცის გულში რა ოიგს ტკბილს გრძნობებს აღძრავს, ან თუ საღამო რა რიგის სიბრძნიერით მორაცავს ბუნებას და სხვა ამგვარებით. არა გვეშველა რა, ის აზრი კი ვერ გამოვიკელიეთ მასში, რომელსაც პირობა დაედვა საქართველოს დილის აბოსვლაზედ; თუ რომ ლამიდა შეტოპავს ცხოვრების მორევში, იმავე წაბს ისხამდა ფრთებს ჰაერში გასაფრენად და ჩაუვარდებოდა ენა. ნამდვილის ცხოვრების თვისების მაგივრად, ფანტაზიაში შედგენილ სურათებზედ გვაკქრინებდა; რასაკვირველია, რომ ყველას მალე უნდა მოსწყენოდა ღარიბის ფანტაზიის სურათებით შემკულ ქვეყანაზედ მუდამ ყურება.. „ცისკარი“ ისე გაშორებულია ცხოვრების მოთხოვნილებაზედ როგორც ცა მიწაზედ“ [1].

„საქართველოს მოამბემ“ იმთავითვე თავის სამოღვაწეო საქმედ გაიხადა ზრუნვა ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. მაგრამ ცხოვრების მოთხოვნილება მოითხოვდა ბატონყმობის მოსპობას. რუსეთში ეს აქტი 1861 წლის მანიფესტით დამთავრდა. საქართველოში ყმების განთავისუფლებაზე აშკარად ლაპარაკი შეუძლებელი იყო. ასეთ პირობებში „საქართველოს მოამბე“ ლაპარაკობს ეზოპეს ენით. მაგრამ ისე, რომ ქართველი მკითხველი კარგად მიხვდება, თუ საითკენ არის ჟურნალის გული მიქცეული, რა სწადია მას, რა უნდა უთხრას თავის მკითხველს. ამ საშუალების შესახებ თვით ჟურნალი წერდა სტეფანწმინდის ჩიტორელიძის სახით: „მე კი იმას მოგახსენებ, რომ ყოველის სიმართლითა სჯობს, რაც ჩვენთვის მიუცილებლად საჭირო არის უნდა ვიხმაროთ, კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი ჭკვიანი ხალხის ნათქვამი, ყოველისფერი ამორჩევით გადმოვიტანოთ ჩვენს ენაზედა, დავაკვირდეთ, გავშინჯოთ, შეუფარდოთ ჩვენს ამბავსა და ჩვენს აზრსა და ამ შეფარდებით გაეიგოთ რა არის ჩვენში კარგი და რა არის ცუდი“ [2].

„საქართველოს მოამბეც“ ცდილობს უცხოური ამბები, მოვლენები, ურთიერთობანი ჩვენსას შეუფარდოს და გაარკვიოს „რა არის ჩვენში კარგი და რა არის ცუდი“. „საქართველოს მოამბე“ არ ცხრება. სამი ძმა თერგდალეულთაგან, თერგდალეული კ. ლორთქიფანიძე წერდა თავის სტატიის ბოლოს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული უთანასწორობისა და დაძონების შესახებ: „ენით უთქმელი სილარიბე, მოუთმენელი ფიზიკური ტანჯვა, ყოველის კაცობრივი გრძნობის შეურაცხება, ყოველის კავში-

---

[1] „საქართველოს მოამბე“. II. 1863 წ. გ-თელი „რამდენიმე სიტყვა“ „ცისკარზედ“. გვ. 52.

[2] „საქართველოს მოამბე“ № 5; სტ. ჩიტორელიძე, „სპირიდონის და თადეოზის ბაასი“. გვ. 11.

რისაგან მოშორება, ყოველის სიხარულის მოსპობა, უკეთეს ცდგომარეობაზედ უიმედობა და ამასთანავე პლანტატორის მათრახი ყოველთვის, ყოველგან და ყველაფრისათვის—აი ამ გარემოებაში მუშაობს ტყვე". ავტორმა კარგად იცის, რომ შრომა შეუძლებელია მიმზიდველი იყოს, თუ მას იძულებითი ხასიათი აქვს. მაგრამ იგი ვერ ლაპარაკობს პირდაპირ, რომ ჩვენშიც ასეთი მდგომარეობაა. მისი ბოროტებაც სიყვარულისა და თანხმობისაკენ მეტად გაბრკეველი მოთხოვნაა. მართლაც, რას ნიშნავს ასეთი განცხადება: „სიყვარულსა და თანხმობას შეუძლიანთ გააშვენიერონ ღარიბი მდგომარეობა, უიმათოთ ბედნიერება შეუძლებელია მდიდარის მდგომარეობაშიც. სიყვარული და თანხმობა არიან საჭირონი იმისათვის, რომ შრომას მიმზიდველობა და ნაყოფიერება მიეცეს, უიმათოთ შრომა ძლიერ უსიამოვნო ტანჯვა იქნება ყოველთვის, თითქმის იმ შემთხვევაშიც, როდესაც კაცი მუშაობს მათრახის შიშით კი არა, შიმშილისა და საჭიროების გამო კი არა, უფრო მოსათმენის იძულებისა გამო, რომელიც წარმოსდგება ცხოვრებაში წინ დახედვისა და ზნეობითის ვალდებულებისაგან.

„ტყვეობა (იგულისხმება მონობა ვ. ბ.) დარჩება საუკუნოდ, განუბანელ ჩირქად ყველაზედ, ვინც კი ამ საქმეში შეწეულია როგორმე პლანტატორებსა და საწყლების საუკუნოდ გამართლებად, იმათ ცდელს ვეშო, რომ დაუკარგავსთ კაცობრივი სახე და ყოველი კაცობრივი ნიშიერება"[1].

ამრიგად, „საქართველოს მოამბე" და მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე ბატონყმობის წინააღმდეგ იბრძვიან ადამიანის თავისუფლების აუცილებლობის ლოზუნგით". „საქართველოს მოამბეში" თქვენ ვერ ნახავთ გაშლილ პოლიტიკურ პროგრამას გლეხთა განთავისუფლების, საზოგადოების ახალ საფუძველზე მოწყობის შესახებ. აბა, ვინ ბისცემდა საშუალებას ჟურნალს ელაპარაკა საზოგადოების გარდაქმნის შესახებ. მაგრამ იქ, სადაც ცენზურული პირობები შედარებით ნაკლებად სუსხიანი იყო, ილია ჭავჭავაძემ განსაცვიფრებელის სიმახვილით დახატა ბატონყმური ურთიერთობის შემზარავი სურათი და გზებიც უჩვენა ამ ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ეს იყო მისი მხატვრული შემოქმედების სფერო.

ილია მწერალი და პუბლიცისტი და ილია როგორც პირადად ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი განუყოფელია. ჩვენ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ ჩვენს ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილი ადგილი ქრ. მამაცაშვილის მოგონებიდან, სადაც ჩანს ილიას დიდი გაბედულობა და შეუდრეკელი სახე ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლისა.

ქრ. მამაცაშვილი იგონებს: „ოქმის წაკითხვის შემდეგ (1863 წ.) დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ი. ჭავჭავაძე და ხმამაღლა განაცხადა, რომ გლეხს მიწა უნდა მიეცეს. კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა ააშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ლანძღვა-

[1] „საქართველოს მოამბე" № 12: „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა". თეოგდალეული.

გინებით ილიასკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით, ეხლავე უნდა შევკლაო“. გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივს ძლივობით გაიყვანეს კრებიდან. მე გომბორში ვმსახურობდი. ზემოხსენებული ამბავი შემატყობინა ილია წინამძღვრიშვილმა, რომელიც მწერდა: „ჩქარა თბილისში ჩამოდი, რომ ახალგაზრდობა ილიას გარშემოეერტყათ და ბატონყმობის მოსპობის საქმე დავიცვათო. მეც ჩამოვედი, რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ანტ. ფურცელაძე და წერილის ავტორიც მუდმივ შორი ახლოს მიეცდევდით ილიას და მზად ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი“ [1].

ასე იბრძოდა ილია ბატონყმობის წინააღმდეგ. კიდევ მეტიც: შემდგომ წერილებში, მაშინ როდესაც ბატონყმობა გადავარდა, ილია არა ერთხელ დაბრუნებია ბატონყმობის ინსტიტუტის შეფასებას და ეს შეფასება ყოველთვის ერთგვარია. იგი ყოველთვის თვლის მას ადამიანის პიროვნების დამცირებად, უსაბართლო საქმედ. იგი წერდა: „ბატონყმური დამოკიდებულება უსამართლო საქმე იყო. საცა ცხადი და აშკარა უსამართლობაა. იქ სამართლიანობის პოვნა ყველასათვის აღვილია. იქ ბევრი თავის ტეხა არ უნდა, რომ კაცმა მართალი იპოვოს, და იმ მართალის კვალობაზედ ყველას თავისი მიუწყოს. სულ სხვა ამბავია, როცა, საუბედუროდ, ერთს ხელში მიწაა და მეორეში შრომა განცალკევებული, განთვითებული და როცა ამ სამწუხარო ყოფას ერთიმეორისაკენ მიუზიდნია და ამ სახით შეუქმნია დამოკიდებულება. აქ, თუ გნებავთ უსამართლობა თვით სათავეშივეა. ხოლო ამაზედ ჩვენ სხვა დასხვა მიზეზების გამო არა გვეთქმის რა, ბევრიც რომ გვინდოდეს“. [2]. თუ საერთო ისტორიულგანვითარებას ავიღებთ, აქაც ილია XIX საუკუნეს ადამიანის განთავისუფლების თვალსაზრისით აფასებს. მას სჯერა რომ ამ საუკუნემ განავითარა იდეალი ჭონებრივი და კლასობრივი უთანასწორობის გაუქმებისა. ილია წერდა: „ვინ მოსთვლის ყოველს იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სარგოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთ-მოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდა იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი—ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხანისაგან მოდის, მაგრამ საუკუნემ ეს მოძღვრება გახადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდგა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა, უძლურთა სამწყო მოძღვრებად გადააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა: „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა, ადამიანთა შორის გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად“. „ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქმნიათ - რა, რაც ამ ერთმა მეცხრა-

[1] „ილია ჭავჭავაძის სიცოცხლე და დასაფლავება“. გვ. 67, 1907 წ.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი. ტ. 8, გვ. 155—156.

ეტე საუკუნემ ჰქმნა თვისდა პატივის მოსახსენებლად"[1]. ილია აქ თავისი შეხედულებებით დგას მეცხრამეტე საუკუნის თანასწორობის იდეების საფუძველზე. ილიას ერთ ნაწერში ვერ ნახავთ უთანასწორობის, პიროვნების დაჩაგვრის, ბატონყმობის დაცვის ოდნავ გამოსახულებას. ილია ამ ხარივ თანამიმდევარია 60-იან წლებიდან თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

მამებისა და შვილების ბრძოლა და ილია ჭავჭავაძე

მამებსა და შვილებს შორის ბრძოლა საქართველოში გარედან, რუსეთიდან მოტანილი არ იყო. ამ ბრძოლას საფუძვლები თვით საქართველოს ნიადაგში ჰქონდა, ამ ნიადაგით იკვებებოდა. რა თქმა უნდა, ილიამ იცოდა რუსეთში მამებსა და შვილებს შორის წარმოებული ბრძოლის საფუძველი. იცოდა იმიტომ, რომ იგი Современник-ის იდეებზე გაიზარდა და ახალგაზრდობისთანავე იგი შეისისხლხორცა.

ილიას კარგად ესმის ძველისა და ახლის ბრძოლის აუცილებლობა, რომელიც მოძრაობის საფუძველს წარმოადგენს. მის „საქართველოს მოამბეში" ე. წერეთლის (გ. — თელის) ხელმოწერით იქნა გამოცხადებული, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება წინააღმდეგობათა, ბრძოლის საფუძველზე მიიწართება. „საზოგადოების ცხოვრებაში, როგორც სულთგმულთ მოქმედებაში, მუდამ იპოებიან სხვადასხვა ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგი ელემენტები: მაშასადამე, მათში ყოველთვის უნდა სუფევდეს მუდამი ბრძოლა, რადგანაც განსვენება სიკვდილის წესია"[2]. მაშასადამე, საზოგადოების განვითარება რომ წინააღმდეგობათა, ბრძოლის საფუძველზე ხდება, ეს უკვე იცოდა „საქართველოს მოამბემ". იგივე აზრი უფრო მკაფიოდ გამოხატა ილია ჭავჭავაძემ, რომელიც 1881 წ. „ივერიაში" წერდა: „ყოველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა ჰკხოვრობს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების ნდინარებასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს. მეორე ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და ჰსაჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა, ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუელის, შესმენილი და გაგებული ექნება, მაშინ ეგ მეორე წყება იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა ხოლმე. ახლა ეგ წყობა დაიჭერს პირველს ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მანამ ეს მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს, ამიტომაც ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამ წინსვლას დასასრული

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულ. ტომი VI. გვ. 6 — 7.

[2] „საქართველოს მოამბე" 1863 წ. ტ. II. სამოდენიმე სიტყვა ცისკარზედ. გ. — თელი. გვ. 53.

არა აქვს. თვითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არა არის რა გარდა ამ-ნაირად ფეხის გადანაცვლებისა“ [1].

ამ ძველისა და ახლის გამომხატველი იყო საქართველოში მამებისა და შვილების თაობა. არსებობს დიდი მსგავსებაც და განსხვავებაც ამ მხრივ რუსეთსა და საქართველოს შორის. შესანიშნავია ამ მხრივ დობროლუბოვის დახასიათება 40-იან და 60-იან წლების ადამიანებისა. ორმოციანი წლების ადამიანები მაღალი, მაგრამ ერთგვარად განყენებული მისწრაფებებით იყვნენ გამსჭვალულნი, მათ განსაკუთრებით იზიდავდა პრინციპი. პრინციპების სახით კი მათ ესმოდათ საერთო ფილოსოფიური იდეა. ეს ფილოსოფიური იდეა ედვა საფუძვლად მათ ლოგიკასა და მორალს. ცხოვრება მათთვის იყო პრინციპისადმი სამსახური, ადამიანი პრინციპის მონა; ყოველი საქციელი, რომელიც არ იყო შეფარდებული პრინციპთან, დანაშაულად ითვლებოდა. ასე მოსცილდნენ ისინი ცხოვრებას და ვერ გაზომეს თავიანთი ძალები. ბელინსკი იყო მხოლოდ ამ მხრივ გამონაკლისი. აქედან წარმოსდგებოდა რაღაც ყალბი მდგომარეობა, მუდმივი უკმაყოფილება თავის თავით. ისინი შესანიშნავად ფლობდენ განყენებულ ლოგიკას. მაგრამ სრულებით არაფერი იცოდნენ ცხოვრების ლოგიკისა. ისინი ცდილობდნენ ცხოვრების მოთავსებას თავიანთ ლოგიკურ ფორმებში. ისინი დასძლევდნენ ამას, რომ ცხოვრებას ჩაკვირვებოდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ცხოვრებამ, სინამდვილემ გადააბრუნა მათი შეხედულებანი. მაშინ მათ აღიარეს, რომ ცხოვრება უკანონოა და უაზრო, მხოლოდ პრინციპია ჭეშმარიტი და კანონიერი. ისინი გადაეშვნენ ბრძოლაში ამ პრინციპისათვის, მაგრამ ერთიმეორეზე წაადგეს ბრძოლები. ძძიმე უკმაყოფილება დარჩათ მათ ამ ბრძოლის შედეგად. ამ საფუძველზე დაიბადა ჩვენის აზრით ის ტიპი „მონანიებით შეპყრობილ აზნაურისა“ რომელიც ასე ცნობილია 40-იან-50-ან წლების რუსულ ლიტერატურაში. აზნაურ ინტელიგენტს კარგად ესმოდა, რომ მიუხედავად მისი ლიბერალობისა იგი მაინც პრივილეგიურ წოდებას ეკუთვნოდა. მას რცხენოდა თავისი ბატონობის, მაგრამ მას ძალა არ შესწევდა ეს ბატონობა უკუეგდო. იგი განიცდიდა სინიდისის ქენჯნას იმის გამო, რომ იგი პრივილეგიურ წოდებას ეკუთვნოდა.

სულ სხვა ადამიანები წარმოიშვნენ სამოციან წლებში. გაჩნდა ახალი ტიპის ადამიანი, ადამიანი მტკიცე ნერვებით, საღი წარმოდგენით. რეალისტი. ისინი ახლოს მივიდნენ ცხოვრებასთან, გაიგეს ნამდვილი ადამიანის მოთხოვნილებანი, ისინი აღარ ებღაუჭებოდნენ ერთხელ მიღებულ პრინციპს. სამოციანი წლების ახალგაზრდები უფრო მშვიდი სიმაგრის ადამიანები იყვნენ. ეს მათი სიმშვიდე და სიმტკიცე შედეგი იყო იმისა, რომ ისინი ზეციდან მიწაზე დაეშვნენ და მჭიდროდ დაუკავშირდნენ ცხოვრებას. ახალმა ადამიანებმა პირველ ადგილას ადამიანი დააყენეს, მისი კეთილმდგომარეობის საკითხი. მათ საბოლოო ამოცანად გახდა: რაც შეიძლება მეტი სარგებლობის მოტანა კაცობრიობისათვის. ადამიანების შეფასებას ახდენდენ არა იმით,

[1] „ივერია“ 1881 წ. № 4 შინაური მიმოხილვა. გვ. 120—121.

თუ რაოდენად დიდი ძალები და ტალანტები ჰქონდათ მათ, არამედ იმით, თუ რა რაოდენობით მოუტანა სარგებლობა კაცობრიობას, თუ რაოდენად წინ წასწია კაცობრიობა კეთილდღეობის გზაზე. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ადამიანთა მიმართ დამოკიდებულება გახდა უფრო რბილი, ფრთხილი და შემბრალებელი.

შემოხვევით არ არის ის მდგომარეობა. რომ ეს დახასიათება 40-იან და 60-იან წლების ადამიანებისა ქართველ მესამოციანელს აქვს მოყვანილი 90-იან წლების წარსული ისტორიული პერიოდის დახასიათებისათვის. ეს 60-იანელია ნ. ნიკოლაძე[1]. ნიკოლაძე წერდა: ეს ამონაწერი დობროლუბოვიდან ვიცი, ედოვნებ ამომწურავად ახასიათებს არსებას იმ განსხვავებისას, რომელიც არსებობს ჩემსა და ჩემს ოპონენტებს შორისო.

ცოტა განსხვავებული მდგომარეობა იყო საქართველოში. ქართველ მესამოციანელებს, როდესაც ისინი საზოლვაწო ასპარეზზე გამოვიდნენ, არ დახვედრიათ აი ეს ტიპი „მომნანიებელ აზნაურისა". მათ დახვდათ ქართველი მოლვაწენი, რომლებიც ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ XVIII საუკუნის ქართული კულტურით. წარმოშობით ისინიც აზნაურები იყვნენ, მაგრამ მათ გულში მონანიებას არ დაუმკვიდრია.

ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე" იმთავითვე გახდა რეალისტური მიმდინარეობის პროპაგანდისტი. „საქართველოს მოამბე" პირველად ახლოს მივიდა ცხოვრებასთან; ჩვენი ხალხის საჭიროება, მისი კეთილმდგომარეობა გახდა მისი საზრუნავი საგანი. თავის საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბე" წერდა: „ჩვენ ასე არ გავბრიყვდებით. საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება, თვითონ ცხოვრება აღმოშობაეს ხოლმე თავისთავის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა — მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა. გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს. ამიტომაც ჩვენი „მოამბის" უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა... ჩვენ წინადვე ვერას ვიტყვით ამის მეტსა. რომ აწინდელს ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩაძახილის ამოძახნა, მისის ვითარების ცნებაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა.... აწინდელი ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავლისათვის თესლი ურევია, როგორც წარსულში ერია მომავლისათვის. თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას, უფრო მათ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიბოს ხვალისათვის" [2].

ილია ჭავჭავაძე მტკიცედ დგას ამ პოზიციაზე და მთელ თავის შემოქმედებით ძალებს მას ალევს. „საქართველოს მოამბიდან" მოდის ყველა ის ძირითადი საკითხი, რომლებიც შემდეგ „იერიაში" გაღავა და ილია ჭავჭავაძის

[1] „Новое обозрение". 1889 წ. № 2048. იხ. აგრეთვე ნ. ნიკოლაძის დაუმთავრებელი წერილი 60—64 წლების შესახებ: ნ. ნიკოლაძის არქივი საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკაში № 7/41.

[2] „საქართველოს მოამბე" № 1, 1863, გვ. 122.

მთელ შემოქმედებით ენერგიას წაიღებს 900-იან წლებამდე. ეს საკითხებია: გლეხობის საკითხი (ხიზნობა კერძოდ), ბანკის საკითხი, დაცემული ვინაობის აღდგენა.

საგლეხო რეფორმა და გლეხობის საკითხი ილიას მოღვაწეობაში

ილია ჭავჭავაძე, ისე როგორც ნ. ნიკოლაძე, თავის ნაწერებში კარგად ამჟღავნებს საგლეხო რეფორმისადმი დამოკიდებულებას. ილია, რა თქმა უნდა, ხედავს რეფორმაში პროგრესულ მხარეებს. იგი ხედავს, რომ რეფორმა წინ გადადგმული ნაბიჯია. მაგრამ ამავე დროს იგი ხედავს იმასაც, თუ რა დარჩა გაურკვეველი ყოფილი ბატონისა და გლეხის დამოკიდებულებაში. „ცხოვრებასა და კანონში“ იგი წერდა:

„1864 წ. მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება. მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარეა ამ სახელოვანის ცვლილებისა. აქ ყოველივე დამოკიდებულების კაეშირი სამუდამოდ გაწყდა: ერთს ჩამოაცალეს, რაც სინართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეული ჰქონდა. ამ ხერით ორთა-შუა ხელს მოსაკიდებელი და სადავიდარაბო არა დარჩენილა რა, ჩებასა და შენსას ამ მხრით მათ შორის ადგილი აღარა ჰქონდა. მაშასადამე, აქ საჭირო არ იყო განსაზღვრა უფლებისა და მოვალეობისა. ხოლო ბატონყმობის საქმეში არის მეორე მხარეც, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. განთავისუფლებულს გლეხს დაბინავება უნდოდა. უამისოდ გლეხის განთავისუფლება იმას ეგვანებოდა, რომ კაცისათვის ეთქვათ: წადი, ეხლა თავისუფალი ხარ, რომ შიმშილით მოკვდე. ჩაჭდა საკეთილოდ. ეს ასე არ მოხდა. გლეხს ბინა მიეცა, მაწა მიეცა“. ჩვენ უკვე ვიცით, თუ ქართველ გლეხს რამდენი მიწა მიეცა და რა პირობით. ილია ჭავჭავაძე ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ცდება, როდესაც წერს, რომ მიწა გლეხს ეისცეს. მაგრამ იგი ბატონყმობის გაუქმების მეორე მხარეს აჭცევს ყურადღებას, სახელდობრ იმას, რომ მანიფესტმა არ განსაზღვრა უფლება-ძოვალეობა გლეხისა. ორი მიმართულების შესახებ ლაპარაკობს ილია, ამ საკითხის გადაწყვეტასთან რომ იყო დაკავშირებული: „მცირემ, მაგრამ უკეთესმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ მაშინვე აღიარა, რომ თუ საქმე იმაზე მიდგაო, რომ უსათუოდ უნდა გავშველდეთო, ისა სჯობია, ეხლავე ისე გავშველდეთო, რომ ურთიერთ შორის სამდურავისა და დავიდარაბის მიზეზი ჩვენში აღარა დარჩეს რაო. რაკი გლეხი მისის ნაჭერის მიწების ბატონად არ იცნეს, რასაკვირველია, ეს აზრი ფრიად მოსაწონი და სამჯობინო იყო ყველასათვისა“. მაგრამ არსებობდა მეორე ნაწილიც საზოგადოებისა, უმრავლესობა, რომელმაც ირჩია საქმის გათავება ისე, რომ გლეხსა და ნაბატონარს შორის ცოტა კლანჭ-გამოსადები რამ დარჩენილიყო“. ამას კი მიჰყვა სხვადასხვა კანონები სადავიდარაბო.

შემდეგ ილია ჰხატავს სურათს ამ გაუთავებელი დავისას ყოფილ მებატონესა და გლეხს შორის. ილია დადებითად აფასებს მთავრობის ღონისძიებას, ამ უსიამოვნობის ლიკვიდაციისაკენ რომ არის მიმართული. იგი წერს:

„მთავრობას, რომლის თაოსნობითაც გაუქმდა ჩვენში ბატონყმობა, წინადვე დანახული აქვს ეგ უსიამოვნო შედეგი განუსაზღვრელის ყოფა-ცხოვრებისა და ბატონისა და გლეხის საკეთილოდ წამალიც ცნობილი და ნაპოვნი აქვს. თუმცა მეოთხედობა გლეხთა განთავისუფლების წესდებაში შევიდა, მაგრამ მთავრობის შორმხედველობითმა მსჯელობამ ყურადღება მიაქცია იმ უმცირესთა დედა-აზრსაც, რომელიც წინ მოვიხსენიეთ. იმავ წესდებაში ორი გზა არის ნაჩვენები ბატონ-ყმობის საქმის უკეთ დაბოლოვებისათვის. პირველი და უკეთესი ის, რომ გლეხს ღონისძიება აქვს—მთავრობისაგან დანიშნული ბაწული შეისყიდოს, და მეორე ის—რომ ვიდრე ეს მოხდება, ეგ მეოთხედი ეთს განსაზღვრულ და გადაკვეთით გადაჭრილ გადასახადად უნდა იქცეს".

დაკვირვებული მკითხველი მიხვდება, რომ ეს შეხედულება წარმოადგენს კეთილ საკუთრების დამცველის შეხედულებას.

ილია ჭავჭავაძე კარგად ხედავს, რომ „წილზე ჭერა", მეოთხედობა არ არის მისაღები ქართველი გლეხობისათვის. თუ ბატონების დიდი ნაწილი ეთხილ მებატონეთ დარჩა, სჯობია დროებით ვალდებულმა გლეხმა გადაკვეთილი ღალა იხადოს, ვიდრე მეოთხედობის საფუძველზე იყოს დაკავშირებული მამულის მფლობელთან. ამ აზრს იგი იმით ასაბუთებს, რომ 1) მეოთხედობის პირობებში „გლეხს არ ეკნება ისეთი ხალისი, ისეთი თავგამომეტებით მხნეობა შრომისათვის, როგორც იმას, რომელიც თავის საკუთრებაზედ მუშაობს, მაშასადამე, შრომა გლეხისა იმოდენად ნაყოფიერი არ უნდა იყოს, რამოდენადაც ეგ შესაძლოა". 2) გლეხი „მიწის განაყოფიერებისათვის, მიწის გაკეთებისათვის ხარჯს ვერ გაიმეტებს, იცით, რომ ამ ხარჯზე ანაზღაურება არ უდგება და წილი კი სრულად მიაქვს". ამ თავისი აზრის ბეჭდვებას იგი ამაგრებს ამონაწერებით ადამ სმიტისა, არტურ იუნგისა, მაკკულოხისა და ჯონ სტუარტ მილის თხზულებიდან. აქაც ილია ჭავჭავაძე რჩება რა მიწის კერძო საკუთრების პრინციპის დაცვის საფუძველზე, გლეხობის ინტერესების დამცველად გამოდის. იგი გლეხური საკუთრების მომხრეა. ილია წერს: „გამოიცვლება 172 მეხლის ძალითა აწინდელი წილადობილი ღალა და კუდუხი თუ არა, მაინც და მაინც აწას ვიტყვით, რომ არ არის გვირგვინი ბატონყმობის საქმისა. ეგ შუა გზაა, უკეთესი ბასზედ რაც არის, და უარესი ბასზედ, რაც სანატრელია. მაგაზედ ლარჩენა ყოვლად შეუძლებელია. დღეს თუ ხვალე საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის პატრონად შეიქმნას. მთავრობას წინათვე უგრძვნია ეს აუცილებელი საჭიროება და მის აცილებისათვის ლიხისიძიებად მამულების შესყიდვა დაუნიშნავს".

რომ ქართველი გლეხი უეჭველად გამოისყიდის მამულს და ამისათვის არაფერს საშუალებას არ დაზოგავს, ამას ილია ასაბუთებს ქართველი გლეხის იყვარულით მიწისადმი. იგი წერს: „ჩვენი ხალხი თავისის ბინადრობის დიდი და მკვიდრი მოყვარეა. იგი სოფელი, საცა მის მამაპაპას ძვლები უმარხია, აცა მამა-პაპის სალოცავია, ჩვენის გლეხისათვის ბეტად ძვირფასი რამ არის. დღესაც თუ ბედის ბრუნვას ერთის ადგილიდამ მეორეში გადმოუსახლებია, იქის შვილიშვილნი და უფრო შორეული შთამომავლობა თითქის ყოველ-

წლივ უწინდელის მიწის დასახედად მიდის, მამა-პაპის ხატისა და სალოცავის თაყვანის-საცემლად დაიარება, ამისათვის არც ხარჯს, არც დროს და არც გზაზედ სიარულის შრომას არა ზოგავს. თუნდ ეგეც არ იყოს, ყველასაგან ცნობილია, ყველგან ცნობილია, რომ მუშა-კაცი ყოველთვის იმის ნატვრაშია, სადმე ბინა მოიკიდოს, სადმე თავისი საკუთრება იქონიოს, და მიწისმომქმედი მუშა ისე არა ქონებას არ ეტანება, როგორც უძრავსა, ესე იგი მიწასა, ადგილ-მამულსა. ამ გვარებში ნამეტნავად ჩვენი გლეხია ღირსშესანიშნავი. თუ კი თავის ახლომახლო მამულს როგორმე შეიგულებს, თავს დაიგირავებს, ცოლ-შვილს დაატყვევებს ხოლმე, ვალში, ვახშში ჩავარდება და მამულის სყიდვის შემხვეჟეას კი არ დაჰკარგავს. ჩვენებური გლეხი წელს გაიმაგრებს თუ არა, მარტო იმის ნატვრაშია, რომ მამული იყიდოს“ [1].

ამრიგად, ილია მომხრეა გლეხთა განთავისუფლების წინ გლეხობის განთავისუფლებისა ბატონებისაგან, იგი წინააღმდეგია ბატონ-ყმობისა; გლეხთა განთავისუფლების შემდეგ იგი წინააღმდეგია მსხვილი მიწათმფლობელობისა და მომხრეა წვრილი გლეხური მიწათმფლობელობისა. მას ეჭვი არ ეპარება, რომ ქართველი გლეხი ისეა დაინტერესებული მიწის საკუთრებით; რადგანაც ეს აუცილებელი გახდა, უეჭველად გამოიყიდის მიწას მემამულეთაგან.

ილიამ იცის, რომ ისტორიულად საკუთრების ორი ფორმაა ცნობილი: სათემო საკუთრება და კერძო საკუთრება. მან ისიც იცის, რომ საკუთრების ამ ორ ფორმას შორის არსებობდა და არსებობს ბრძოლა. პირველყოფილ საზოგადოებაში მიწათმფლობელობის ზოგადი ელემენტი ჭარბობს. იგი წერს: „საჭირო არ არის კაცი საისტორიო გამოძიებათა ფარდებში გაებას იმ უცილობელს და ყველასაგან ცნობილ ამბის დასამტკიცებლად, რომ პირველყოფილ დროს, როცა თაედაპირველ დაეწყვნენ კაცთა საზოგადოებანი, ზოგად ელემენტს საკუთრებისას, თუ არ განსაკუთრებით, გადაჭარბებით მაინც, მეტი და უპირველესი ადგილი ეჭირა კაცთა ცხოვრებაში. სხვადასხვა საეკონომიო და საპოლიტიკო თვისებების მიზეზთა გამო, მაგ ზოვადმა ელემენტმა საკუთრებისამ თანდათან გზა დაუთმო პირადსა, და პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლოდ გამოისახა მთელის თავისის სასტიკობითა ფეოდალობაში, რომელმაც შემოიტანა ბატონ-ყმობა, ესე იგი იმისთანა წყობა, რომელიც მარტო უფლებაა, უსაზღვრო, პირობა-დაუდებელი, და რომელსაც სხვა საგანი არა ჰქონდა-რა გარდა ცალკე კაცის პირადის კეთილდღეობისა“ [2]. მაგრამ რა იყო ის სხვადასხვა ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს მიწაზე კერძო საკუთრების პრინციპის გაბატონება? ილიამ იცის, რომ საერთო მიწათმფლობელობას ბოლო მოუღო მიწების დატაცებამ „დიდკაცობის“ მხრივ. „ამ მხრით თუ ცოტა მეტ-ნაკლებობით, ყველგან დიდკაცობამ ღონითა და მძლავრობით დაიჩემა მიწები და უღონო გლეხი ცარიელზედ გაიყვანა“ [3]. მაგრამ ვინაიდან მსხვილი მამულის

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 8, გვ. 26.
[2] იქვე, გვ. 161.
[3] იქვე, გვ. 140.

შემუშავება გლეხების გარეშე შეუძლებელი იყო, მამულის მფლობელი იძულებული იყო გლეხთან მისულიყო". ერთის მხრივ ამ გაჭირვებამ მამულის მეპატრონეებისამ და მეორე მხრით გლეხების უმამულობამ მემამულე გლეხთან მიიყვანა და გლეხი მემამულესთან". გარკვეული პირობის საფუძველზე წარმოიშვა მიწის „ჭირავნობა". ამ ისტორიულ პროცესში საკუთრების ორ ფორმას შორის ბრძოლისა ილია ეძებს და ნახულობს კიდეც საკუთრების ისეთ ფორმას, სადაც ზოგადი ელემენტი ჭარბობს კერძოს. ასეთი ინსტიტუტია ხიზნობა და მასთან დაკავშირებული მიწათმფლობელობის ფორმა.

რა არის ხიზნობა? ამაზე ილია იძლევა სრულიად გარკვეულ პასუხს: „ამ სახით ხიზნობა არის:

1. ეროვნული სახე სხვისა მიწის ხმარებისა თავისუფალ კაცისაგან;
2. დაფიქსირებული და დამყარებული ჩვეულებაზედ;
3. იმ ბუნებისა და მიმართულებისა, რომ ღალა და სამსახური უცვალებელ იყოს და ამასთანავე თითონ ხმარება მიწისა უსათუოდ ვადა დაუდებელი;
4. ხანგრძლივობა ვადისა დამყარებული უნდა იყოს ეკონომიურს ხელსაყრელობაზედ და არა რჯულიერების (право) მუდმივობაზედ;
5. მფარველი იმათის ზნეობრივობისა და ქონებრივის ინტერესებისა, რომელნიც ხიზნობით ერთმანეთზედ დამოკიდებულნი არიან და რომელთაც თვითნებობა შეზღუდულია საზღაურითა, თუ ვინიცობაა ერთიმეორის დაკვეთხავად და უნებურად მოშლის ხიზნობასა. ხოლო უკანასკნელი მისაღწევი საგანი და მიდრეკილება ხიზნობისა იგია, რომ შეიძინოს სიკეთე, ღირსება და უპირატესობა დაწერილის კანონისა" [1].

ილიას სიმპათიები მიწათმფლობელობის ამ ინსტიტუტისაკენ არის უეჭველად, ვინაიდან იგი კარგად გამოხატავს წინააღმდეგ ბატონყმობისა ამ ზოგადი ელემენტის გამარჯვებას. მართლაც, ხიზნობაში სამი ძირითადი ელემენტია, რომელიც სასარგებლოა როგორც მამულის მფლობელისათვის, ისევე ხიზნისათვის: 1) ადამიანი უმამულო ნახულობს თავის სამუშაო ძალის გამოყენების შესაძლებლობას სხვის მიწაზე და ინარჩუნებს თავისუფლებას: 2) მამულის პატრონს ნება აქვს თავისი მამული მოიხმაროს ისე, როგორც მას სურს, ვინაიდან ხიზანი საბუდამოდ არ არის მიმაგრებული მის მიწაზე; 3) ასეთი დამოკიდებულება შესაძლებელს ხდის ხანგრძლივ შეუწყვეტელ მუშაობას, გარჯას, ხარჯს და მეცადინეობას. ილია ხიზნობის საზოგადოებრივ მნიშვნელობას იმაში ხედავს, რომ „საზოგადო ელემენტმა საკუთრებისამ თავი ხიზნობაში შეაფარა. ჩვენ ამაში ვხედავთ ხიზნობის საზოგადოებურს მნიშვნელობას. მიდრეკილება ხიზნობისა, რომ ხმარება მიწისა სამუდამოდ იყოს, და ღალა თუ გადასახადი ერთსა და იმავე ზედზედ იდგეს უცვალებელად, ეს ისეთი იერიშია საკუთრების პირადს და კერძო ელემენტზედ მიტანილი, ეს ისეთი ნაღმია, რომ საკუთრების ხელშეუხებლობის მოძღვრებას ძირფესვიდ არყევს, მთელ რჯულიერებას საკუთრებისას ფერს უცვლის და ზოგადს ელემენტს მისას გზას უხსნის სამერმისოდ ცხოვრებაში ადგილის დასაჭერად" [2].

[1] ილ. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 8, გვ. 180.
[2] იქვე, გვ. 193.

ილიამ იცის, რომ მიწათმფლობელობის სათემო სისტემა არსებობდა ძველად საქართველოში. იბადება კითხვა: რად არ არჩია მან ეს სათემო მიწათმფლობელობა უკეთეს ფორმად მიწათმფლობელობისა? პასუხი ერთია: იმიტომ, რომ იგი ხედავდა სათემო მიწათმფლობელობის დაშლას, რომ მისი შენარჩუნება უდიდესი შეცდომა იქნებოდა. ამით განსხვავდება იგი, სხვათა შორის, ქართველი ნაროდნიკებისაგან. იგი არ ახდენს სათემო მიწათმფლობელობის ნაშთების იდეალიზაციას და ამ მხრივ იგი ქართველი ნაროდნიკების რეაქციულ გზას არ ადგია, იგი წერდა: „რაკი კერძო საკუთრება შეეპარა სათემო მფლობელობას, მას მერმეთ-დაპყრობამ, ძლიერთა ძალმომრეობამ, ტყუილობამ, სათემო მფლობელობას ბოლო მოუღო, სული ამოხადა და ძლიერთა გაიჩინეს სათემოში საკუთრება კერძოობითი. ეს კერძოდ დაჩემება მამულებისა ცოტაა მიმავლობაში თანდათან ძლიერდებოდა და ამ გაძლიერებამ იქამდინ მიიყვანა საქმე, რომ ერს ყველგან ერთი და იგივე დღე დააყენა: უმრავლესს ჩამოართვა თითქოს მიწები და უმცირესს დაუტაცა“[1]. მაშასადამე, ბატონყმობის უარყოფამ, რომელსაც იმთავითვე ადგა ილია ჭავჭავაძე, იგი ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მსხვილ მიწათმფლობელობის უარყოფამდე მიიყვანა. მაგრამ სათემო წყობილების რღვევის და დარღვევის პირობებში ილია გაჰხდის წვრილი მიწათმფლობელობის დამცველად. წვრილი მიწათმფლობელობის მისაღებ ფორმად მას სიწმინდა მიაჩნია, რომლის შემდგომ განკითარებაში მიწის ნაშა თითონ გახდება პატრონი თავის მიწისა. „რაკი საქმე იქნა მიწყობილი, რომ სხვისა მიწის ხმარებაზეა მივარდნილი, სიზნობაზედ შეკეთესი წესი სხვისა მიწის სწორებისა სხვა არ არის რაო“. კავკაზს „ეს ჩვენი აზრი, მარტო სხვისა მიწის ხმარებაზედ გამოთქმული, გონების თვალიდან პოსხლეტია და იძახის: იმას სჯობია, რომ მუშა თითონ იყოს პატრონი თავის მიწისაო. ჩვენც ვიცით, რომ არა სჯობია-რა....“[2].

გაზ. „ივერიის“ რედაქტორი კარგად იცნობს ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურას, მის კლასებს შორის არსებულ ბრძოლას, ეკონომიურ უთანასწორობას. 1877 წ. „ივერიაში“ ბევრია მასალა, ბურჟუაზიულ საზოგადოებას რომ ეხება. ერთ-ერთ საპოლიტიკო ცნობილვაში ციტირებულია გერმანიის სოც. დემ. პარტიის პროგრამის პოპულარული გადმოცემა: „ამოდენი ხანია სუფევს კაცობრიობა, ამდენი საუკუნე გაუტარებია მას ისტორიაში, ამდენი შრომა გაუწევია ადამიანის ჭკუას და გონებას, ამოდენად წინ წამდგარა მეცნიერება და განათლება, მაგრამ კაცობრიობის უმრავლეს ნაწილს კი არა ეშველა-რა. იგი შედარებით, იმაზე სიღარიბეშია, იმავე ტანჯვაში და ვაი-ვაგლახშია, როგორც ას ათასი წლის წინათ იყო. რა არის ამის მიზეზი? რა ღონისძიებაა იმისთანა, რომ ძირიანად ამოგლიჯოს ეს სატკივარი და ყველას თანასწორი ბედნიერება მიეცეს? ცხოვრების დაკვირვება უჩვენებს სოციალ-დემოკრატებს, რომ ყოველი უბედურების მიზეზი საზოგადო ცხოვრებაში ეკონომიური უთანასწორობაა“. ეკონომიურის მხრივ კაცობრი-

---

[1] ილ. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 8, გვ. 138.

[2] იქვე, გვ. 157.

ობა განიყოფებაო ორ ნაწილად: ერთს, უმრავლეს ნაწილს, დაშთენია მხოლოდ შრომა, მეორეს (უმცირესს)—სამუშაო მასალა და იარაღიო. ეს ორი ღონე. ერთგვარიად აუცილებელნი ეკონომიურის წარმოებისათვის, ერთი ერთმანეთზედ დაშორებულნი და ბტრად გადაკრებულნი არიან. ეს განხეთქილება არისო ძირეული. თავდაპირველი მიზეზი საზოგადო უბედურებისაო. ამ განხეთქილებას მოსდევს ის შეურყეველი, ლასალის სიტყვით, რკინის კანონი ეხლანდელ ეკონომიურის ცხოვრებისა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: რაც უნდა ბევრი იშრომოს, მუშა-კაცი იმაზედ მეტს ვერ მოიგებს, რაც საჭიროა მარტო მისის სხეულის უპირველესის მოთხოვნილებისათვის, ე. ი. რაც საჭიროა იმისათვის, რომ შიმშილით არ მოკვდეს. მაშასადამე, უკეთესი და უმთავრესი ღვაწლი საზოგადოებისა იმაზედ უნდა მიიმართოს, რომ მოსპოს ეს ძირეული მიზეზი, მოისპოს ეს შრომის და ქონების შორის განხეთქილება და ამ ორთა ეკონომიურ კავშირთა შორის თანასწორობა და მორიგება ჩამოაგდოს. ამისათვის მუშა ხალხს უნდა მიეცეს შრომისათვის საკუთარი ქონება, რომ თვით მუშაც იყოს და მუშაობის ნაყოფის პატრონიცაო; რომ ყოველი ნაყოფი მისის ნაწარმოებისა განუყოფლად მასვე მოხმარდესო და ამით თავდახსნილ იყოს იმათგანა, რომელთა ხელშიც აწჟამად ქონება მოგროვებულია და გროვდება კიდეც იმავე მუშა-ხალხის მეოხებითაო. თვით მუშა-ხალხი ამას ვერ იკმს, თუ ამისთანა წყობა იქნებაო. ამის გამო მას გარედან შეწევრობა რამე უნდა მიეცეს. ვისგან უნდა მოველოდეთ ამ შემწეობასაო? ვისა აქვს ამოდენა სახსარი და ღონე, რომ ეგ შემწეობა იკისროს და მაგ შემწეობის თანამდები იყოსო? სხვას არავის, თუ არა თვით სახელმწიფოს, თუ არა თვით მთავრობასაო. ხოლო რადგანაც აწინდელი წყობილება მხოლოდ ქონების პატრონთათვის არის სახეირო და თვით მთავრობის წევრნიც ამათგანვე არიანო, ამიტომაც ეხლანდელს მთავრობაზედ იმედი არ უნდა გვქონდესო, ვიდრე თვით მუშა-ხალხი არ მოიპოვებს პოლიტიკურს ძალასა, ვიდრე თვით მუშა-ხალხს თავისი საჭიროების წარმომადგენელნი მთავრობაში არ ეყოლებაო. ვიდრე თვით მუშა ხალხი არ მიიღებს მონაწილეობას კანონმდებლობასა და მმართველობაშიო, მაშ აწინდელი მთავრობა ხელს არ მოუმართავს, მაშასადამე, მუშა-ხალხის ყოველივე მეცადინეობა იმაზე უნდა იყოს მიქცეული, რომ მთავრობითი უფლება და ხმა შეიძინოსო, ე. ი. კანონმდებელს პალატასა და რეიხსტაღში თავისი გულშემატკივარი წარმომადგენელი უნდა გაგზავნოსო რაც შეიძლება ბლომათაო, რომ ამით მოახდინოს სახელმწიფოში თავისი სანატრელი და ეკონომიური და საზოგადოებრივი ცვლილებაო»[1].

მოკლედ ილია ამისა? რასაკვირველია არა. იგი რჩება თავის შეხედულების საფუძველზე, წვრილი მწარმოებლის ინტერესების დაცვის საფუძველზე. იგი უარყოფს ჩვენში ასეთი განხეთქილების არსებობას, ეძებს იმ საერთოს, რომელიც უნდა აკავშირებდეს სხვადასხვა წოდებებს. „...ჩვენს ცხოვრებაში

[1] „ივერია", 1877 წ. № 7. საპოლიტიკო მიმოხილვა. აგრეთვე ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 58.

არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება აშენდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს. ამას უნდა დავსტრფოდეთ და შევხაროდეთ და არა ვთაკილობდეთ და ვმტრობდეთ“ [1].

რა არის ეს ფესვნი?

დაცემული ვინაობის აღდგენა და ნოდებათა შორის ბრძოლის საკითხი

ეროვნული მთლიანობის იდეა წარმოადგენს ილიას ბელეტრისტიკული და პუბლიცისტური შრომების ძირითად აზრს. ამ იდეას ევლება თავს, მას აცავს უდიდესი გამბედაობითა და სიმკაცრით. შესანიშნავად არის ეს იდეა ნაცემული „მგზავრის წერილებში“. და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გამოკვლევა მთლიანად ილიას პუბლიცისტურ შრომებზე დავაფუძნეთ, არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ აქ ცნობილი ადგილი „მგზავრის წერილებიდან“. შეკითხვაზე, თუ რით იყო უკეთესი უწინდელი დაწყობა და დრო, მკითხველისათვის ცნობილი მოხევე უპასუხებს:

„ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრითა ერი ეროვდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთურთს დავეყუდნით. ერთურთს ვიხვეწებდნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით... ერთურთს ლაღ მტერთან ჩავეფარეიდნით, დაცემულ ვიურვებდნით, ატირდომილს ვიხოიშნიდნით და ესრედ იქვის ბრალება კაცისა, ერთ-ურთობა. აწინა ეროვა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთ-სულობაი დავარდნის, მტრობა ბძარვაი გახშირდნის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხის, ატირდომილ ვინ გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ, პირად და გულად ჯაფურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი, ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოისრნა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა?“.

აი ეს დარდი, დარდი იმის შესახებ, რომ ჩვენი თავი ჩვენვე არ გვეკუთვნის, აწუხებს მოხევესთან ერთად ილიას. „მიგიხვდი, ჩემო მოხევე, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი, ჩვენი თავი „ჩვენადვე გვეყუდნესო“ სთქვი შენ და მე გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი“...

ყოველმა ქართველმა იცის როგორ იბრძოდა ილია კალმით, თავის ბელეტრისტიკულ თხზულებებაში ამ დაცემული ვინაობის აღდგენისათვის, ეროვნული მთლიანობის შენარჩუნებისათვის და ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვის.

თავის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მან წოდებრივი ერთიანობის ინტერესებს დაუკავშირა და ამით შეეცადა, ეროვნული მთლიანობის აღდგენის საფუძველზე, ეროვნული დამო-

[1] ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 61.

ერთებულებისათვის ბრძოლა გაემართა. როგორ ესახება ილიას წარსულში წოდებათა ურთიერთობა?

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ „მამებსა და შვილებს“ შორის ბრძოლის საგნად მისი აზრით მიჯნით უნდა დებულიყო „დაცემული ვინაობის აღდგენა“. ილიას სჯერა, რომ რუსული „მამებისა და შვილების“ ბრძოლა იმ სახით და იმ საკითხების გარშემო არ შეიძლება გამართულიყო საქართველოშიც. იგი წერს ახალგაზრდობის ორი ჯგუფის შესახებ. „პირველებმა დაიხვიეს ხელზე რუსეთის „მამა-შვილობა“, ენაზედ დაიკერეს ზემოთ-მოყვანილი ოთხი ფრაზა და დღეს-აქამომდე აწიოწიოს იძახიან და იოლად ჰგიდიან. მეორეები კი დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევსო. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვას ჰღალადებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა ჰიიქცეს მთელს თავის ძალ-ღონითა. და თუ აქაც ბედისწერას ისე არ გადავრჩებოდით, რომ „მამა-შვილობა“ არ გამართულიყო, ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს“ შუა მიჯნად დადებულიყო. ის „სხვა რამე“ იყო ჩვენთვის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება, დაცვა ყოვლის მოსალოდნელის ფათერაკისაგან, რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვცდენია,— ყველასათვის ცხადზე ცხადია“ [1]. და ყველგან, იქნებოდა ეს სკოლების საკითხი, მიწათმფლობელობის საკითხი, ბანკის საკითხიც კი, ილია ამ ძირითადი იდეისათვის მებრძოლი გამოდის. მაკრამ მკითხველმა მხედველობიდან არ უნდა გაუშვას, რომ ეს ბრძოლა ხდება წერილი გლეხური ინტერესების დაცვის პოზიციებიდან.

გატაცებულმა ეროვნული ერთიანობის იდეით, „დაცემული ვინაობის აღდგენისათვის“ ბრძოლაში ილიამ ისტორიაც მოიმარჯვა და იმის მტკიცება იწყო, რომ იმთავითვე ჩვენში წოდებრიობა არ არსებობდაო. ამაზე დააფუძნა შეჯდეგი მეორე დებულებაც, რომ მიწის ჭერაც ჩვენში ერთგვარია, მხოლოდ რაოდენობრივი განსხვავება არსებობს თავადსა და გლეხს შორის. ამას ერთვის დებულებაც: თანამედროვე სოფელში არ არსებობს საფუძველი წოდებათა განხეთქილებისათვის და რისთვის უნდა ვცდილობდეთ ის შევქმნათ, რაც არ არსებობს. ეს არგუმენტაცია ილიასთან შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

დებულება პირველი: წოდებრიობა ჩვენში წინათ არ ყოფილა. „ჯერ დავიწყოთ იქიდამ, რომ ჩვენს ენაში სიტყვაც არ მოიპოვება იმ აზრის გამოსახატავად, რასაც რუსული სიტყვა „сословие“ ნიშნავს. ეხლანდელი ჩვენი სიტყვა „წოდება“ გუშინდელი სიტყვაა; ეხლა შემოგვაქვს ვაინაჩრობით და ისიც ვინ იცის—ეარგა სახმარად თუ არა. არამც თუ ხალხში არ არის ეგ სიტყვა, ან მაგის ბსგავსი რამ აზრითა და მნიშვნელობითა, ძველ კანონებშიაც და წერილებშიაც არსად არ შეხვედრივართ. ეს იქნება იმის მიზეზი-

[1] ილ. ჭავჭავაძე. შინაური მიმოხილვა 1881 წელი, მაისი, თხზულებანი ტ. VI გვ. 125—127.

თაც იყოს, რომ ჩვენს ძველს ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა. არ არსებობდა იმ მხრით. რომ ერთს წოდებას რაიმე წარმომადგენლობა ჰქონოდა უპირატესობით ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და მეორეს არა, და ერთს ამით ეჩაგრა მეორე. ჩვენში ყველანი ერთნაირად უხმონი და უფლებას მოკლებულნი იყვნენ წინაშე უმაღლესის მთავრობისა".

ილია არ უარყოფს, რომ ბრძოლა და შეხეთქება არ ყოფილიყოს საერთოდ ჩვენს წარსულ ისტორიულ ცხოვრებაში. ასეთი მებრძოლი ელემენტები არსებობდნენ, მაგრამ ეს არ გამოხატავდა ერის დას-დასად დაყოფას. ყველანი საერთოდ უუფლებონი იყვნენ. ეს საერთო უუფლებობა აერთიანებდა მათ. ევროპის მაგალითი და წესები ჩვენში მოსატანი არ არის. „ჩვენში თავადაზნაურობას დღევანდლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალებად იხსენიებოდა და გლეხი კი არა..... ეკონომიური ძალა კი, რომელიც დღეს ჩვენში მარტო მიწის მფლობელობიდან წარმოდგება, და ყოველივე, რაც ამ ძალის შედეგი ოდესმე იქნება, ჩვენში ვერც ერთმა წოდებამ, ღვთის მადლით, ვერ დაისაკუთრა და დღეს ჩვენში გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა, როგორც თავადი, აზნაური, ეკლესია:... თითონ ბატონყმობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნილებად ერთისა და იმავე წოდებისა; გლეხთაც, როგორც თავად-აზნაურთა და ეკლესიას, შეეძლოთ ყმების ყოლა.... ჩვეს იმაზედ ვართ დამყარებული, რომ წოდებათა შორის უფლების ცილება ეკონომიური თუ პოლიტიკურისა, ცილება—რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში. ჩვენში არ არსებობდა. ამიტომაც არც ზნეობით, არც აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით ჩვენი თავადაზნაურობა არ დაჰშორებია გლეხობას, არ შეუკეტნია თავი, თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვაგან. ერთის სიტყვით, არ განსაკუთრებულა ერთს წყობად, ერთს დასად..... ჩვენში გლეხთა და სხვა წოდებათა შორის კეთილი მიდრეკილება სუფევს"[1].

ეროვნული მთლიანობის იდეის დაცვამ გამოათქმევინა ეს არა სწორი აზრები ილია ჭავჭავაძეს. პრაქტიკულად წოდებათა შორის თანამობის დამტკიცება იმისთვისაც დასჭირდა, რომ მასზე აეშენებინა საერო სოფლობის შეძოლების საჭიროება. რასაკვირველია, პრაქტიკულადვე ამ აზრის განხორციელება შეუძლებელი იყო. ვინაიდან ყოველ სოფელში არის სხვადასხვა ეკონომიური შესაძლებლობის წარმომადგენელნი, რასაკვირველია, შეძლებულები შეეცდებოდნენ უპირატესობის მიღებას და ღარიბები კი იმედ დაჩაგრული იქნებოდნენ.

კიდევ მეტი. ილია იმასაც აღნიშნავს, რომ თუ ეს წოდებრიობა, დასებად დაყოფა არ არსებობდა, როგორც მას ჰგონია, მაშ რა საჭიროა, რად გვინდა, რომ იგი ახლა არსებობდეს. მაშ, რა არის მიზეზი მაინც იმ ბრძოლისა, რომელიც წარმოებდა და რომლის შენიშვნა დინჯ და დაკვირვებულ ილიას უნდა შეძლებოდა. იგი წერს: „დიდი შეცდომა ექნება წოდებათა შო-

[1] ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 56—62. იხ. [illegible] К вопросу об истории большевистских организаций в закавказье. Изд. 7, стр. 158, прим. 3.

რის განხეთქილების მიზეზი თვით წოდებათა წყობას, მის შინაგან არსებას, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქედან წარმომდგარ მიდრეკილებას ვიპოვნეთ. ამის მიზეზი იგივეა რაც თვითეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდაო".

წოდებრიობა საქართველოში, რასაკვირველია, არსებობდა და ჩვენი საზოგადოებრივი აზრის ცალკე წარმომადგენლები იცავდნენ ამა თუ იმ წოდების ინტერესებს.

რეფორმის შემდეგაც, მიუხედავად კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩქარი განვითარებისა, სოფლის მეურნეობა რჩება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ძირითად დარგად. გასაგებია, რომ ილია ჭავჭავაძე იმას იცავდა, რაც ისტორიულად ნოცემული იყო. „ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უკიდია, თავდაპირველი შემომქმედი ეროვნობისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც"... „კიდევ ვიტყვით, რომ ჩვენი ძალღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მჭიდრო და უტკბარი შენახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე,—მიწა და გუთახია"[1].

სოფლის მეურნეობის საკითხებს დასტრიალებს თავს „ივერია". ეს განსაკუთრებული ყურადღება სოფლის მეურნეობისადმი ძალიან მოგვაგონებს საფრანგეთის მდგომარეობას ფიზიოკრატიული სკოლის მოძღვრების წარმოშობის დროს. ილიას შეცდომა აქ იმაში კი არ არის, რომ სოფლის მეურნეობას მიაქცია ყურადღება, არამედ ნასში, რომ მან უგულებელ ჰყო საქალაქო მრეწველობის განვითარება და ამ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. ცნობილია, თუ როგორ შეიფარა „კვალმა" თავისი ერთერთი თანამშრომლის სახით ილიას ეს შეხედულება: „ივერია" და ილიას შეხედულება გამოცხადებულ იქნა რეაქციონურ შეხედულებად. რასაკვირველია, ილია არ არის იმ მიმართულების წარმომადგენელი, რომელიც მოითხოვს იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობის არსებით შეცვლას. მაგრამ იგი იმ მიმართულების წარმომადგენელია უეჭველად, რომელიც განაპირობებული ზოგიერების დაცვით მოითხოვს არსებული ცხოვრების გაუმჯობესებას. ამ გაუმჯობესების მოთხოვნაში იგი გლეხობის მხარეზეა, მისი ინტერესების დამცველია, სურს იგი იყოს მფლობელი წარმოების ძირითადი საშუალების — მიწისა. „თუ მართლა სოფლის მამული ბევრი-ბევრი ხუთზედ მეტს სარგებლობას არ იძლევა.... და თუ ფული კი მის სასყიდლად ხუთზედ მეტად ძლიეს იშოვება, ბაშ გლეხ-კაცმა, რომლის გამამულიანება ფრიად საჭიროა და სანატრელი, როგორ უნდა მიაწვდინოს ხელი მამულის სასყიდლად... უამისოდ გლეხი ხომ ფულის პატრონის მუქთა მუშად, მსახურად შეიქმნება საშვილიშვილოდ და ის, რაც ას-თუმნიან მამულის გამო ხუთს თუმანზედ მეტი გადახდება. ეგ ხომ იგივ ყმობა იქნება, რომლისაგანაც ძლივძლივობით თავი უკვე დააღწია"[2]. გაუგებარია და სრულიად მიუღებელი ილიას ჩარიცხვა

[1] ილ. ჭავჭავაძე. თხზულება, ტ. VII, გვ. 236 233.
[2] „ივერია" № 144, 1887 წ.

რეაქციონერებსა და კონსერვატორებში იმის გამო, რომ იგი გლეხის გამა-
ბუნტიანების ბრძანე და დამცველია.

ილია ჭავჭავაძე და ბანკის საქმე

დიდი ენერგია და ჭკუა-გონება შეალია ილია ჭავჭავაძემ ბანკის საქმეს, შეიძლება საზიანოდ თავის ძირითადი მოწოდების—მწერლობისა. ბანკის გარშემო ატეხილი ბრძოლა არ იყო მხოლოდ ბრძოლა ეკონომიური საკითხების გარშემო. მან მოიცვა მრავალი ისეთი საკითხი, რომლებიც სცილდებიან ეროვნო საბანკო მოღვაწეობას. თავისებური საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა ბანკის საქმეზე ატეხილ დავას. მან სიცხოველე შეიტანა ჩვენს იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რასაკვირველია, ერთგან ბრძოლამ ფრიად გადაჭარბებული ხასიათი მიიღო, რამაც შექმნა უარყოფითი დამოკიდებულება „ბანკობიადის“ წინააღმდეგ. თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ და იმ ზედმეტს ჩამოვაცილებთ, რომელიც ამ ბრძოლასთან არის დაკავშირებული, უეშველად დავინახავთ, რომ ამ ბრძოლაში იყო ჩვენი იმდროინდელი ცხოვრებისათვის საჭირო და რაციონალური ბარცვალი.

1871 წელს დაარსდა თბილისის ბანკი. ილია ჭავჭავაძე უკვე ცნობილი მწერალი იყო, გამოცდილებული ბსოფლმხედველობით. ილია ამ წელს იქნა მოწვეული ბანკის მმართველად. ეს ის პერიოდია ჩვენი საზოგადოებრივი განვითარებისა, როდესაც ქვეყანა მოითხოვს სამეურნეო აღორძინებას, მაგრამ ამ სამეურნეო აღორძინებისათვის ფული არ არის. ნ. ნიკოლაძე წერდა 1874 წ. „საითკენაც უნდა ბიძგებდეს კაცნა ჩვენში, იმას ყოველგან ერთი და იგივე სანაბავი ხვდება. ყოველგან საჭიროა ადგილ-მამულის მოვლა, პატრონობა და განსაკუთრებით მისი შენუშავების გაუმჯობესება: ყველა ბჭრით საჭიროა ამ საქმისათვის ხარჯი და ხარჯი, და ფული კი, ამ ხარჯისათვის კი არა, აუცილებელი საჭიროების და ბოუთმენელი ვალების გადასახდელადაც არსად იპოვება“[1]. ბემამულეთა დაცვლიანების პირობებში კითხვები: „ფული ბჭირია“, „ნეტავი ფული სად ვიშოვო“, „აქვს ამა და ამ კაცს სასესხებელი ფული, თუ არა“, გადაიქცა ყველაზე ეფრო საჭირბოროტო კითხვებად, დიდ იმედს ამყარებდა ქართველი თავად-აზნაურობა ბანკის დაარსებაზე. ბანკის დაარსებასთან იყო დაკავშირებული თავადაზნაურთა ბამტლების შენდგომი გაუმჯობესების საქმე. ბანკი მათი პირადი საქმეების მოგვარების წყაროდ და საშუალებად იქნა მიჩნეული. ყოველგვარი საზოგადოებრივი ბნიშვნელობა და მოვალეობა მის საქმიანობიდან განდევნილ იქნა თავადაზნაურობის შეგნების მიხედვით.

ილია იძულებული იყო ქართველი თავადაზნაურობისათვის განემარტა, რომ ბანკის მოვალეობა არ არის ცალკე პირთვნებია მოთხოვნილების დაკმაყოფილება. თავის პირველსავე სტატიაში ილიამ ბანკის საზოგადოებრივ ხასიათს გაუსვა ხაზი. იგი ლაპარაკობდა ბანკის კრებაზე: „ბევრს ჩვენგანს ჰგონია,

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II გვ. 269.

რომ ბანკი ნიკოლოზისა და პეტრეს, ესე იგი თვითეულთა პირთა სასარგებლოდ დააწესაო თავად-აზნაურობამ. ამიტომაც ყოველ წესსა, რომელიც აქ წარმოგვიდგინეს დასამტკიცებლად, თავს ვესხმებოდით იმ ანგარიშით, რომ ეგ წესი მე და ჩემს ბიძაშვილს თვედორესაო არაფერს არ გვარგუნებს ბანკიდამაო. ამ თვითვეულთა პირთა სარგებლობაზედ აშენებულია ეს ტყუილი იმედი, რომ ვინც მშიერნი ვართო, ბანკმა უნდა გაგვაძღოსო, ვინც მწყურვალნი ვართ, ბანკმა უნდა გვასვასო და ვისაც მამულებზე კანონიერი საბუთები არა გვაქვსო, ბანკმა ისე უნდა დაგვიჯეროსო, რომ მამულები გვაქვსო. არა, ბატონებო, ჩვენი ბანკი მშიერს ვერ გააძღობს, მწყურვალს თულუხჩად ვერ გაუხდება, თუ არ მტკიცე საბუთით, ვერავის ვერ დაუჯერებს, რომ მამულის პატრონია. ჩვენ ბანკს რომ ეგენი ეკისრა, პირველ რომ ქვეყანას სასაცილოდ არ ვეყოფოდით, მეორე რომ მაგ კისრულს თვითონ ბანკი თან გადაჰკვებოდა „....“ მე დარწმუნებული ვარ, რომ რაც დღეს ბანკში ფულია სულ რომ დღესვე დავურიგოთ მცონარე მშიერებს, ხვალ უფრო ბევრი მშიერი მოგვდგება, ხვალ რით-და გავცეთ პასუხი? რაც დღეს ბანკს ფული აქვს, ათჯერ იმაზედ ბეტი ფული შეგჭირდება ჩვენი ყმების განთავისუფლებამ.—განა მაგან მოსპო ივანეს და პეტრეს შიმშილი? ვინც თვითონ არ ჰპირნახულობს, ვინც თვითონ თავის მარჯვენით არ ცდილობს თავის სტომაქის აესებას, ის, ბატონებო, ცხრილია, როქელიც მაინც არ აივსება, თუნდა მთელი მტკვარი განუწყვეტლივ ზედ ბიუშვათ. რა ღანჯა გაუძლებს მშიერ მცონარეობას? მარტო იმისთანა თანხა, რომელმაც იმდენი უნდა იმატოს, რამდენსაც დააკლებთ“ .....“ მცონარეობას როგ საზრდო მივცეთ, ეგ მცონარეების წაქეზებასა და გამრაველებას ბოასწავებს. წაქეზება, ხელის გამართვა გაჭირვებულს ბევრითობას უნდა, იმიტომ, რომ მარტო ბევრითობაა ჩვენი მსხნელი და ქვეყნისათვის ხაყოფიერი—და არა მშიერს მცონარეობას, რომელიც იმოდენად დიდ პირს აღებს, რამდენადაც დიდ ლუკმას აწვდით, და რომელიც, რამდენად ძლიერია, იმდენად აღარიბებს ქვეყანას“....

ილიამ სწორად განსაზღვრა ბანკის დაარსების მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. „ბანკი თავადაზნაურობამ დააწესა იმ განსაზღვრით, რომ ბისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანასა, ისაგრამ ისე მოეფინოს, რომ ბაგ ფულს ერთი გროშიც არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და ეხლოლო იმ ბოგებიდან უფრო ბევრი წილი ჩვენი ქვეყნის საერთო საჭიროებას ბოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარიბთა გაუნაწილდეს, იმ ღარიბთა, რომლებიც უბედურების გამო სიღარიბეში ჩაცვივნულან და არა იმათ, ვინც გულდაღმა წვანან, გულზედ ფაფუკი ხელები დაკრეფიათ, პირი დაუღიათ და ყვირიან, მასვით და მაჭამეთო“ [1]. მკითხველი სცნობს „კაცია ადამიანის“ ავტორს. იგი ბანკის საქმეშიც ლუარსაბ თათქარიძეს ებრძვის. ბანკის მუშაობის ეს პროგრამა მიმართული იყო ძველის, დახავსებულის წინააღმდეგ. იგი მიმართული იყო ფეოდალური ურთიერთობის ნაშთების წინააღმდეგ. ილია მომხრეა და იცავს კი-

[1] „დროება“ 1875 წ. № 16.

დეც ისეთი ბანკის არსებობას, რომელიც ჩვენ სახალხო მეურნეობას გაფართოებას და გააძლიერებს. ამისათვის მოითხოვს ბანკის თანხის დატრიალებას თვით მეურნეობის განვითარებისათვის.

ილიამ იცის ქართველ თავად-აზნაურთა ზნე-ჩვეულების გათვალისწინებით, რომ ბანკიდან ფულის გაცემა უნდა მოხდეს რაიმე გარანტიით. ეს გარანტია მამულია. თუ ბანკს ფულს არ გადაუხდი, მამული გაიყიდება. ეს ერთადერთი გარანტია, რომ ბანკი იარსებებს და მისი ფულები არ გაიფანტება. „ბიწის სამოქმედო ბანკსა სხვა დედა-ბოძი არა აქვს, თუ არა უძრავ ქონება, რომელზედაც უსათუოდ მტკიცე და კანონიერი საბუთი უნდა ჰქონდეს. გამოაცალეთ ეგ ერთადერთი დედა-ბოძი და ნახავთ, რა მშვიდობიანად მოუღებთ ბოლოს თვით ბანკსა“.

ილია წინააღმდეგია ნ. ნიკოლაძის საბანკო პრინციპისა, რომელიც ურთიერთ თავდებობის საფუძველზე ფიქრობდა წარემართა ბანკის საქმიანობა. ნიკო ნიკოლაძე წერდა ამ თავის პრინციპის შესახებ: „რადგანაც ჯერ ჩვენში გამოჯანსაღებული გვარიან ხანს კიდევ ვერ დაბოლოვდება, და ჩვენ საზოგადოებას მანამდე ფული ეჭირვება, შესაძლებელი იყო ბანკს ფული ეშოვნა და ზარალსაც აცილდებოდა ურთიერთის თავდებობის დაწესებით. მაშინ ფულის პატრონი ბანკის ფურცლებს იყიდდა არა დაგირავებული ადგილების მიხედვით, არამედ ბანკის დაარსებლების, ე. ი. მთელი ქვეთაისის გუბერნიის აზნაურობის თავდებობით. ამგვარად ფული ადვილად და იაფად იშოვნებოდა ბანკისათვის. მეორეს ცხრით, ჩვენი ბანკის სიმაგრისათვის შესაძლებელი იყო, რომ ბანკში ადგილ-მამულის შეტანა გაეადვილებინა კაცს იმ შემთხვევებში, როცა გირაოს შემტანი ბანკს ხელწერილს მისცემდა, რომ ადგილი ნაბდვილად იმ პირს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში ბანკს საკმაო გარანტია ექნებოდა, როგორც თავისათვის აგრეთვე იმ კაპიტალისტებისათვის წარსადგენლად, რომელნიც ვირაოს ფურცლებს ყიდულობენ“[1]. ილია მტკიცედ დგას იმ შეხედულებაზე, რომ მამული გირაოდ მიცემული არ შეიძლება წაპატრონეს დარჩეს, თუ იგი ვალს არ გადაიხდის. კიდევ მეტი: იგი დგას ალებ-მიცემობისა და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპებზე. მამულის ყიდვა და გაყიდვა თავისუფალ ალებ-მიცემობაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

ქართულ პრესაში იყო ნათქვამი, რომ სათავადაზნაურო ბანკი თავადაზნაურულ-წოდებრივი არისო. რასაკვირველია, ფორმალურად ბანკი არ იყო წოდებრივი დაწესებულება, ვინაიდან თანაბრად წესდებისა ბანკის წევრებად ითვლებოდნენ ერთის ცხრით თავადაზნაურობა და მეორე მხრით ვალის აღებნი—გლეხი იქნებოდა იგი, ვაჭარი, თავადი, აზნაური თუ მღვდელი. მაგრამ ბანკის პრინციპი—ფულის გაცემა მამულების გირაოს საფუძველზე—ჰკვეცდა გარდა თავადაზნაურობისა სხვა წოდების წარმომადგენელთა ბანკში მონაწილეობას. ილიას მტკიცება, „რომ ჩვენი ბანკი ყველას ერთნაირად კრედიტით ხელს უმართავს... გლეხია, თავადია, აზნაურია თუ სხვა ვინმე, ყველას წოდების და ხარისხის მიუხედავად, ნება აქვს ჩვენს ბანკს ფული ასეს-

[1] ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები ტ. II, გვ. 334.

ზოს, ოღონდ დასაგირავებლად ძლიერი ქონება ჰქონდეს"[1]. პრაქტიკულად არ ხორციელდება, ვინაიდან გლეხობას, სამღვდელოებას, ვაჭრებს მიწები არ ჰქონდათ. ობიექტურად ილიას ბანკი თავადაზნაურობის ბანკი იყო და ამდენად წოდებრივი.

მეოთხედი საუკუნე ემსახურა ილია სათავადაზნაურო ბანკს. ბოლომდე ერთგული დარჩა დამცველი იმ პრინციპებისა, რაზედაც იყო ბანკი დაფუძნებული. თქმა არ უნდა, ბანკი რომ ნ. ნიკოლაძის მოთხოვნილებათა საფუძველზე არსებულიყო, იგი ერთ წელსაც ვერ გაძლებდა.

პოლიტიკური ეკონომიის საკითხები

ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ 60-იან წლებში ეცნობა უცხოეთის და რუსეთის ეკონომისტების ძირითად შრომებს. მისი მოღვაწეობა დაწყებული 60-იან წლებში იმთავითვე ბოეჭდა რუს მწერალთა გავლენის ქვეშ. მისი ცოდნაც პოლიტიკური ეკონომიისა განსაკუთრებით ნ. გ. ჩერნიშევსკისთან არის დაკავშირებული. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ „საქართველოს მოამბეში" ჩვენ ვხვდებით არა მარტო სახელებს ევროპელი და რუსი ეკონომისტებისას, არამედ თარგმანებსაც მათი ნაწერებიდან. ადამ სმიტისა და კარლ მარქსის სახელებთან ერთად იხსენიება პრუდონის, ბასტიას, სეის და სხვათა სახელებიც. იმავე „საქართველოს მოამბეში" დაიბეჭდა ნაწილი ბასტიას წრომიდან „ეკონომიური სოფიზმები", პრუდონის „სიღარიბე როგორც ეკონომიური პრინციპი". ფრანგი ეკონომისტების შრომები შემთხვევით არ არის შერჩეული. მათში მოცემულია ეკონომიური უთანასწორობის, ექსპლოატ ციის, კლასობრივი ბრძოლის საფუძვლების დახასიათება. ბატონყმურ არტახებში ჩაგდებულ ქვეყანაში შეიძლებოდა ლაპარაკი მხოლოდ ამგვარი საშუალებით. ეს იყო სერხი თვალი აეხვია მეფის ავკომპყრობელობისათვის, რომ „საქართველოს მოამბეს" არაფერი ესაქმება საქართველოს საკითხების მიმართ, იგი მხოლოდ იმას აცნობებს მკითხველებს, რაც უცხოეთის ეკონომისტებმა დაწერეს. კიდევ ვეტი: იგი მარქსსაც იმოწმებს, მაგრამ მისი გვარის დაუსახელებლად. რა თქმა უნდა იმ პირობებში მხოლოდ ასეთი წესით შეიძლებოდა დაჩაგრული კლასების თვითშეგნების აწიოკება.

70-იან და 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძე უკვე პრაქტიკულად იყენებს შეძენილ ცოდნას ეკონომიურ მეცნიერების დარგში. იგი ცდილობს ეკონომიური ანალიზით დაასაბუთოს ამა თუ იმ ღონისძიებების მიუღებლობა თუ მისი გატარების შესაძლებლობა. ამ მხრივ ყველაზე ვეტად საყურადღებოა ილიას ვრცელი წერილი მეისნერის პროექტის შესახებ დაწერილი.

როგორც ცნობილია, მეისნერი ცდილობდა საქართველოს ღვინოების გაყიდვის მონოპოლია ჩაეგდო ხელში და ამ მიზნით მან წამოაყენა პროექტი ასეთი მონოპოლიის შექმნისა. ამ პროექტმა რამდენიმე ჯგუფად დაჰყო

[1] ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 121.

იმდროინდელი მემამულეები. ილიაც ჩაერია ამ კამათში მეისნერის პროექტის გამო და, მოიმარჯვა რა ეკონომიური მეცნიერება, სცადა დაესაბუთებინა ამ პროექტის მიუღებლობა. ილიამ რამდენიმე წერილი მიუძღვნა ამ პროექტს, ნათში კონცენტრირებულად არის გაშუქებული თეორიული პოლიტიკური ეკონომიის საკითხები. უკეთებს რა პროექტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა აზრებს—დასკვნებს, ილია სწერს: „აი როგორც ხედავს მკითხველი, ბ-ნ მეისნერის პროექტის გამო ჩვენმა საზოგადოებამ საერთოდ და მეურნეობისამ ცალკე რა ნარდის ფიცარზედ გადაიტანა კამათლები. ეს ფიცარი საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებაა".

ილიას არ ეშინია ამ მეცნიერების თვალსაზრისით გაუკეთოს ანალიზი პროექტს, მას მხოლოდ ის აფიქრებს, რომ საჭირო გახდება მთელი ეკონომიური ტრაქტატის დაწერა. ამ ტრაქტატის დაწერისათვის „ჯერ პირველი ღონე არა გვაქვს და ბერე, თუნდაც შეგვეძლოს, სად დავატიოთ მაგოდენა ტრაქტატი, და მესამე, თუნდაც დატევაც შეიძლებოდეს, რა სიტყვებით გამოვსთქვათ. ჩვენდა საბედნიეროდ,—მაგ მეცნიერებისათვის ჩვენი ენა მუნჯია ჯერხანად, არც ტერმინებია დადგენილი და მიღებული საერთოდ, არც კითხვა ეგრეთ წოდებული ფრაზეოლოგია. ამიტომაც, ერთს უმთავრეს სიძნელეს ამ შინაურის მიმოხილვისას ეს უკანასკნელი ნაკლი ჩვენი სიტყვიერებისა შეადგენს". მიუხედავად ამ სიძნელეებისა ილიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ზოგიერთი ეკონომიური ტერმინი დაადგინა ამ თავის შრომაში და დაადგინა ისე, რომ იგი თანამედროვე ქართულ ეკონომიურ ტერმინოლოგიის საგანძურს წარმოადგენს.

მეისნერის პროექტის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა აზრი ერთ საკითხს დასტრიალებდა, სახელდობრ, იმას—კარგი იქნება თუ ცუდი ჩვენის ქვეყნისათვის 2, 5 მილიონი მანეთის მოსვლა, როგორც ამას მეისნერი ფიცრობდა ღვინით ვაჭრობისათვის.

ილიაც თავის ეკონომიურ შეხედულებებს, თავის გაგებას პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებისას სწორედ აქედან იწყებს. როგორც მოსალოდნელი იყო, მას ანალიზი უნდა დაეწყო საქონლიდან. მეთოდოლოგიურადაც და არსებითადაც ანალიზის დაწყება საქონლით, რასაკვირველია, სრულიად სწორი იყო.

რა არის საქონელი? ილია ჭავჭავაძე უპასუხებს: „მეცნიერება საქონლის (товар) სახელს იმისთანა ნაწილს შრომის ნაყოფისას სდებს, რომელიც ნამეტურია, ანუ მოჭარბებულია მასზედ, რაც პირდაპირ სახმარად პიროვნებისათვის საჭიროა". ავტორი ალბათ გულისხმობს, რომ ეს მოჭარბებული, მხოლოდ გაცვლის საშუალებით შეიძლება ბევიდეს იმასთან, ვისაც იგი საგანი არა აქვს, ვისაც იგი სჭირდება. მაგრამ ადამიანთა შორის, მწარმოებელთა შორის ურთიერთობა მყარდება ამ ჭარბის გაცვლის საშუალებით. „ურთიერთობითი ეკონომიური დამოკიდებულება კაცთა შორის წარმოსდგება მაშინ, როცა კაცთა მოჭარბებული აქვთ ნაყოფი თავიანთის შრომისა და აკლიათ მოჭარბებული ნაყოფი სხვის შრომისა". მაგრამ საქონლის გაცვლა ადამიანთა შორის იმას გამოხატავს, რომ ერთი და იგივე პიროვნება საქონლების

გაცვლის პროცესში გამყიდველიც არის და მყიდველიც. „ეს მოქმედება, ანუ უკეთ ვსთქვათ, საქმიანობა, რომელიც შეახვედრებს ხოლმე ერთმანეთს საქონლის პატრონებს,—მარტივი გაცვლა-გამოცვლაა საქონლისა საქონელზედ. ამ მოქმედებას ჩვენს ენაზედ. ჩვენის ფიქრით, ზედ-გამოჰრილი სახელი ჰქვიან: ალებ-მიცემობა. აქ პირდაპირ საქონელი საქონელზედ იცვლება. პირდაპირ, უარარაოდ ხელიდამ ხელში გადადის".

მაგრამ ასეთი უშუალო გაცვლა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მართლაც, ერთი საქონლის გაცვლა მეორე საქონელზე მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ჩემი საქონელი სხვას სჭირდება და ის სხვის საქონელი კი მე მჭირდება. მაგრამ ყოველთვის და უბრალეს შემთხვევაში არ არის ეს შესაძლებელი, ცნობილია, რომ ეს დაბრკოლება ზოგ შემთხვევაში შეუძლებელს ქმნის გაცვლას. თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოებში საკმაოდ ხშირად გვხვდება მაგალითი ამ დაბრკოლებისა. იმისათვის, რომ გაცვლა გაადვილდეს, საჭიროა ისეთი საქონლის არსებობა, რომელიც შუამავლობას გასწევდა საქონლის ორ მფლობელთა შორის. ესე იგი ისეთი საშუალების გაჩენა, რომ შემძლებოდა სყიდვა საქონლისა ისე, რომ ამავ დროულად ჩემი საქონელი არ გავყიდო. ასეთი საშუალებაც „გამოგონილ" იქნა. „ეს საშუალებას, რომელიც ამისთანა ალებ-მიცემობას შესაძლოდ ხდის, უსათუოდ ორი თვისება უნდა სჭირდეს: პირველი,—საქონლის ღირებულების ცხადად გამომხატველი იყოს და მით შესაძლო ჰყოს შეტოლება ერთის საქონლის ღირებულებისა მეორე საქონლის ღირებულებასთან, იმიტომ რომ ალებ-მიცემობაში უსათუოდ სხვადასხვა სახის თვისებისა და თვისების საქონელი იცვლებოდეს და, რადგანაც ალებ-მიცემობა შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა სწორი სწორად აიღება და მიიცემა, და რადგანაც სხვადასხვაგვარი საქონელის სწორის სისწორე მარტო ღირებულების რაოდენობაზეა დამოკიდებული, მაშასადამე, შეტოლება ამ გზით საქონლისა საქონელთან უსათუოდ საჭიროა ალებ-მიცემობისათვის. მეორე,—ძალი ჰქონდეს ერთ-ერთის საქონლის ალებისა კი არა, არამედ ყოლის გვარს საქონლისა, ერთის სიტყვით ის ძალი ჰქონდეს, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან საყოველთაო ძალას სყიდვისას. (всеобщая покупательная сила). მაგისთანა საშუალება ფული".

ილია ჭავჭავაძემ კარგად შენიშნა იმისათვის საჭირო ორი ძირითადი თვისება: თანასწორობა ღირებულების მხრივ და საყოველთაობა. ფულის გამოყენება მხოლოდ გაცვლაშია შესაძლებელი და ამ გაცვლის გარეშე ის სრულებით უსარგებლოა. თითქოს მარქსისებურად დაამყარა ვან განსხვავება ალებ-მიცემობის ორი სახისა: მარტივი ალებ-მიცემობა და რთული ალებ-მიცემობა. „პირველის სახე ასეა: საქონელი-საქონელი; და მეორისა: საქონელი-ფული-საქონელი". ამ მიმოქცევის პროცესში ფული შუამავლის როლს ასრულებს. „ამ სახით—დასძენს ი. ჭავჭავაძე, ფული-ეკონომიებრივ ცხოვრებისთანა საგანია, რომელიც საშუალებითაც უფრო ადვილად და ხერხიანად საქონელი საქონელზედ იცვლება, რომლის შემწეობითაც საქონლის პატრონები ერთმანეთში საალებ-მისაცემოდ მოეძებნებან, ესე იგი, ეკონომიებრივად ერთმანეთში მიიქცევიან-მოიქცევიან. საცა მაგ-გვარი მიქცევ-მოქცევაა საქონლის პატრონთა შორის,

ის ადგილს ბაზარი (рынок) ჰქვიან და მთელი ჯამი ალებ-მიცემობისა, მთელი ოცხვი მაგ-გვარის ბიჭკევ-მოჭკევისა საქონლის პატრონთა ერთმანეთში—შეადგენს მას, რასაც მეცნიერება უწოდებს ქცევას საქონლისას (обращение товаров).

რასაკვირველია, ი. ჭავჭავაძემ იცის ფასის კატეგორია და იცნობს კარგად ფასის მერყეობის კანონებს. მან იცის, რომ ფასი ღირებულების ფულადი გამოხატულებაა. თვით ფასის ამ ცნებაშია მოცემული შესაძლებლობა ფასის დაშორებისა ღირებულებისაგან. ჩვენი ავტორი წერს: „საზოგადო კანონია, რომ რაოდენადაც საგანი რაიმე ბევრია, იმდენად მისი ფასი ძირს დადის, და რაოდენადაც ცოტაა—მისი ფასი მატულობს. თუ სხვა გარემოებანი ერთობ ერთსა და იმავე წერტილზედ არიან. ფულიც ამ ყოფაშია და ამ კანონს ექვემდებარება, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფულის აწევ-დაწევა საკუთარ საქონლის ფასის აწევ-დაწევაა“. ავტორი ცდება, როდესაც ფულის ფასზე ლაპარაკობს. ფულს ფასი არ აქვს, ვინაიდან იგი თვით გამოხატავს საქონლის ღირებულებას. მაგრამ აქ სწორად არის შენიშნული, რომ ფულის კურსის მოძრაობა საქონლის ფასის მოძრაობასთან არის დაკავშირებული. ამდენად აღიარებულია საქონლის მოძრაობის პირველადი ხასიათი.

საქონელთა შორის გაცვლის პროცესი შესაძლებელია მოხდეს მათი თანაბარი ღირებულების საფუძველზე. ჩვენი ავტორი, რასაკვირველია, ღირებულების შრომითი თეორიის პოზიციაა. იგი არა ერთხელ ლაპარაკობს წარმოებაზე, მაშასადამე, შრომის პროცესზე როგორც ღირებულების შექმნის პროცესზე. თუ ფასი მერყეობს ღირებულების გარშემო, ამით ღირებულება არ იცვლება. კიდევ მეტი: ამ შემთხვევაში არც არავინ აგებს, არც არავინ იგებს. იგი წერს: „აქედამ გამოდის ის კანონი მეცნიერებისა, რომ როცა ღირებულების რაოდენობა საქონელთა შორის უცვლელია და ფასის რაოდენობა კი ან მატულობს, ხან კლებულობს—აქით არც არავინ აგებს, არც არავინ აგებს. ამას ცხადად დავინახავთ შემდეგს სასწორზედ: ორი თუნგი ღვინო = ოქროს=ერთი კოდი პური. აქ მაგ. ჯ-ის მაგიერ გინდა ასი დასვით, გინდა ათასი, ღვინოსა და პურის შუა სასწორი არ მოიშლება“. მთელი ეს მსჯელობა ჩვენთვის იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ღირებულება აქ გაშოყვანილია იმ ცენტრად, რომლის გარშემო მოძრაობს ფასი. რა თქმა უნდა, ფასის მოძრაობა იწვევს მოგების გადანაწილებას: ვიღაცა აგებს და ვიღაცა იგებს.

ი. ჭავჭავაძემ ვიცით ფულის მოძრაობის კანონს, თუმცა ვერ გამოარკვია მისი ნამდვილი შინაარსი. მან მაგ. იცის, რომ საქონელთა ღირებულებასა და ფულის რაოდენობას შორის გარკვეული ურთიერთობა ჭნდა არსებობდეს. თუ საქონელთა მასსა უცვლელია, მაშინ ფულის რაოდენობის მატება (ლაპარაკი უყურებთ ქაღალდის ფულზეა) იწვევს ფასების ცვლილებას. „ამიტომაც, წერს ჩვენი ავტორი, მეცნიერებაში დადგენილია კანონი, რომ თუ საქონლის რიცხვი იგივეა, მაშინ, რაც ქვეყანაში ფული ტრიალებს ერთი-ორად რომ იქცეს. საქონლის ფასებიც ერთი-ორად აიწევს მხოლოდ, და რასაც შეწარმოებელნი ამით მოიგებენ გასაყიდში, იმდენსავე წააგებენ სასყიდში“.

ამ პოზიციებიდან გასაგებია, რომ ფულის მატება, მაშინ, როდესაც სახალხო ეროვნული არ იზრდება, როდი ნიშნავს ხალხის კეთილდღეობას. ფულის გამრავლება არ ახდენს სიმდიდრის ზრდას. ამიტომ რაოდენი ფულიც არ უნდა დატრიალდეს, იგი ვერ გაზრდის ოდნავადაც ხალხის სიმდიდრეს. თუ ფულის ზრდის სახით გაიზრდება და გაცხოველდება ვაჭრობა, ეს როდი ნიშნავს ქვეყნის გაღარიბებას: „საზოგადოდ ვაჭრობა იმ მხრივ კი არ არის სახეირო ქვეყნისათვის, რომ ქვეყნის ბეტი სარჩო გაიტანოს, არამედ იმ მხრით, რომ იმ მეტის სარჩოთი ის აშოვინოს, რაც აკლია ქვეყანას დანარჩენ სარჩოდ".

ა. ჭავჭავაძემ, რასაკვირველია, იცის, რომ მერკანტილისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ საგარეო ვაჭრობას როგორც სიმდიდრის მოპოვების ერთადერთ წყაროს. მერკანტილისტური სისტემა მას ახლა ტარუოფილად მიაჩნია ეინაიდან, როგორც ერთი მეცნიერი ამბობს: „ვაჭრობის სარგებლობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ გაჰყიდოს საქონელი, როგორც ადრე ეგონათ, არამედ იმაში, რომ გასასყიდი საქონელი საშუალებად ხელში ასყიდი საქონლის შესაძენადაო".

ი. ჭავჭავაძე გამოდიოდა ამ ძირითად დებულებათაგან „საეკონომიო მეცნიერებისა" და დარჩა რა მარტივი სასაქონლო მეურნეობის საფუძველზე, ე. ი. რასაკვირველია, წინააღმდეგია შეისნერის პროექტისა. მისი მოსაზრებანი ამ მხრივ შემდეგ დებულებებში შეიძლება ჩამოყალიბდეს.

1. ქაღალდის ფული თავისთავად არ არის სიმდიდრე. ამიტომ მეისნერი 2,5 მილიონი მანეთით ქართულ ღვინოებს გაზიდავს და ჩვენ ღვინოები მოგვაკლდება, ეინაიდან საქართველო ღვინის მწარმოებელიც არის და მისი მოხმარებელიც. თუ ეს ქაღალდის ფული ჩვენშივე დატრიალდება, მაშინ იგი ღვინის მსმელიდან ამოიღებს გარკვეულ მოგებას. ორივე შემთხვევაში ჩვენი ხალხი იქნება დაზარალებული.

2. ქაღალდის ფულის ზრდა არ გამოიწვევს სახალხო დოვლათის ზრდას. მაგალითად, თუ ქაღალდის ფულის გამრავლებით მოტყუებულად ჩვენი ხალხი და ბევრი მიჰყო ღვინის წარმოების ზრდას, მაშინ მან უნდა მოაკლოს პურის წარმოებას.

3. შეღავათების განვითარებით ჩვენი ხალხი არას მოიგებს. ეინაიდან მეისნერი მას რუსეთში გაზიდავს, უპოვის რა ახალ ბაზრებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხმა ვენახები აკეთოს და კაპიტალისტმა ფული მოიგოს. ავტორი დასძენს: „აი, ყოველთვის ამისთანა შედეგი აქვს, როცა ეგრეთ წოდებული კაპიტალობრივი წარმოება თავს ამოჰყოფს ხოლმე ქვეყანაში და ფეხს მოკიდებს. აი სწორედ ამის გამო ამბობს ერთი ვაჭრობენილი მეცნიერი, რომ „კაპიტალობრივი წარმოება იმისთანა მოქმედებაა, რომელიც მწარმოებელს ხელში არ 'ეაარჩენს წარმოების საშუალებასაო და ცდილობს მარტო მისის შარჯენის ანაბარა დატოვოს და სხვა ყველაფერი ჩაშოართვას".

ყველა ზემოთ ნათქვამიდან მკითხველი გაიგებს, რისთვის იყო წინააღმდეგი ილია მონოპოლიისა. იგი ხედავდა, რომ ღვინის მონოპოლია გააჩანა-

გებდა წვრილ გლეხურ მეურნეობას, ხისი უსაზღვრო ექსპლოატაციის საფუძველზე, რომ მონოპოლია გაანიავებდა სახალხო სიმდიდრეს. ამიტომ იყო იგი მონოპოლიის წინააღმდეგი, ამიტომ იცავდა პოლიტიკურ ეკონომიის ზემოთ მოყვანილ დებულებებს.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პოლიტიკური ეკონომიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1948 IX.15)

ს ტ ა ლ ი ნ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს თ ბ ი ლ ი ს ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს შ რ ო მ ე ბ ი. XXXIV, 1945
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА. XXXIV, 1945

ალ. ჯანელიძე

თბილისის მიდამოების და გარე კახეთის გეოლოგიის ზოგი საკითხი[1]

ამოცანები. გეოლოგები და გეოფიზიკოსები შეთანხმებული არიან, რომ მიწის სფეროს გარს აკრავს კრისტალური ქერქი, რომელიც შეფარდებით ბევრად უფრო თხელი არის, ვიდრე კვერცხის ნაჭუჭი. ქერქის ზედაპირი ტახტისებურად ამაღლებული არის, ზოგან კი თეფშივით ჩაღრმავებული. პირველ შემთხვევაში კონტინენტებთან გვაქვს საქმე, მეორეში — ოკეანეებთან. ოკეანური აუზები კონტინენტებისაგან ადვილად გაირჩევიან წყლის იქ არსებობის დამოუკიდებლადაც, მორფოლოგიურად. დღეს მსოფლიო ოკეანეში წყალი მეტია, ვიდრე მას შეეძლია დაიტიოს. ამიტომ კონტინენტების დაბალი კალთები წყლით არის დაფარული. ამის შედეგია, რომ კონტინენტების ნამდვილი საზღვარი (სურ. 1) წყლისა და ხმელეთისას არ ემთხვევა.

ვინაიდან საყურადღებოა, რომ, სადაც ქერქის ზედაპირი აწეული არის (კონტინენტები), მისი ქვედაპირიც იქვე უნდა იყოს ჩაზნექილი. ამის გამო ქერქი ნაწილდება სქელ კონტინენტურ ფარებად და ოკეანეების ბევრად უფრო თხელ ფსკერად. ყოველ შემთხვევაში ეს ეჭვს არ იწვევს ქერქის ზედა ნაწილის შესახებ, რომელსაც გრანიტის ანალოგიური შედგენილობა აქვს და რომელსაც სიალს უწოდებენ.

კონტინენტური ფარების პერიფერიაზე, კონტინენტისა და ოკეანის საზღვრო ზოლში, წარმოებს კონტინენტიდან ჩამონარეცხი და ვულკანური ძლიერ ნაწილობრივი მასალის დაგროვება. ფსკერი იძირება და ამ მასალას ადგილს უთმობს. ასეთ ადგილებს (ზოლებს) გ ე ო ს ი ნ კ ლ ი ნ ე ბ ი ეწოდება. შემდეგ გეოსინკლინში დაგროვილი მასალა ნაოჭდება, აზევებას განიცდის და წარმოიშობა ბორცვთა სისტემა, რომელიც კონტინენტს შეემატება. ამგვარად მიმდინარეობს კონტინენტების ზ რ დ ა (ამერიკა და კორდილიერები).

ზოგჯერ გეოსინკლინის ვიწრო ზოლი ორ კონტინენტს შუა არის ჩაჭედებული. მისი დანაოჭება ამ კონტინენტების შ ე ზ რ დ ა ს გამოიწვევს. ასეთ პირობებში არის დანაოჭებული ალპური სისტემა ხმელთაშუა ზღვის ზოლში. უფრო ადრე ურალის ამგვარადვე დანაოჭებამ გამოიწვია ევროპისა და აზიის

[1] მოხსენდა საქ. მეცნ. აკადემიის საერთო კრებას 1948 წლის მარტში.

ნანამდე გათვისებული კონტინენტების ზეზრდა, ალპური სისტემის დანაოჭებას ი შედეგად მოჰყვა ამერიკის, არაბეთის და ინდოეთის ევრაზიასთან შეზრდა. ამერიკის მიმართ ეს პროცესი ჯერაც დამთავრებული არ არის.



ნახ. 1. ისხვილი ხაზით აღნიშნულია ოკეანეების და კონტინენტების საზღვარი.

ვეგენერის წინა წერილში ვსცადე დამესაბუთებინა შეხედულება, რომ ეს ტექტონიკური მოვლენები მათა მიგრაციის წესით მიმდინარეობს [1]. კონტინენტების პირველი კანძიც დანაოჭების შედეგად არის წარმოშობილი. შემდეგ ძველი მთების გაპარეცხვა-მოვაკებას გვერდით ახალი მთების განვითარება მოსდევდა ხოლმე და ა. შ.: ახალი მთების წარმოშობა გენეტურად არის დაკავშირებული ძველებთან, რომელთა გვერდით და რომელთა ხარჯზეც (ნაწილობრივ) ისინი აღმოცენდებიან.

გეოლოგიური დროის მანძილზე, ე. ი. მიწის არსებობის უკანასკნელი 1000—1500 მილიონი წლის განმავლობაში, 7 ასეთი ოროგენეტური (ძირითადი მნიშვნელოვანი) ციკლი არის ცნობილი: საამური, სვეკურ-ფენური, კარელიური, კალედონიური, ჰერცინული, წყნარ-ოკეანური და ალპური.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ოროგენეტური ციკლების თანამიმდევრობას გეოლოგისთვის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ძველი მთები ჩვენ შეგვიძლია იქაც კი გავარჩიოთ, სადაც ისინი თვალისათვის მიუწვდომელი ვამხდარან. საქმე ის არის, რომ მიწის ქერქის ერთხელვე დანაოჭებული ნაწილი უდრეკი ხდება და შემდეგ ველარ ნაოჭდება. იგი კიდეც რომ მოვაკ-

დეს და ახალი ნალექებით დაიფაროს. უკანასკნელნი ჰორიზონტული ლარნებიან: ასეთ პირობებშია რუსეთის დიდი ველი. ანისეე კარგ მაგალითს იძლევა ჩრდილო ამერიკის ცენტრული ნაწილი. ორივე შემთხვევაში კამბრიული ნალექები ჰორიზონტული არიან მიუხედავად იმისა, რომ მათ ნალექის შემდეგ 4 როგენეტურ ციკლს ჰქონდა ადგილი.

განსაკუთრებულ პირობებში მაინც შეიძლება ასეთი ნალექების წაცვეთა დანაოჭება მოხდეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა სრულიად თავისებური ნაოჭები, რომელთაც ზენწრულ ნაოჭებს უწოდებენ (სურ. 2). მაშასადამე, ჰორიზონტული ნალექები ან ზენწრული ნაოჭები იმის მანიშნებელი არიან, რომ სიღრმეში მათ ქვეშ მეტად თუ ნაკლებად ძველი ნაოჭები გვაქვს.



სურ. 2. ზენწრული მთების ჭრილი ბუქსტორფის მიხედვით.

ეს დებულება ძვირფას იარაღს წარმოადგენს არა მარტო კონტინენტური ძველი სხეულისა და უფრო ახალი მინაზარდის გასარჩევად, არამედ ცალკეული მთათა სისტემის ფარგლებში სტრუქტურული ანალიზისთვისაც. მაგალითად, გეოსინკლინის ზოლს ერთგვაროვანი აგებულება რომ აქვს, როგორც ზემოხსენებულ წერილში აღვნიშნავდი, მთების განვითარება ტელესკოპური ხასიათის არის, ე. ი. საცა ახალი დანაოჭება მიმდინარეობს. იქ ჩვეულებრივ ძველ როგენეზისსაც უმოქმედია. ამიტომ გეოსინკლინში გაფანტულია უკვე დანაოჭებული და მეტად თუ ნაკლებად კონსოლიდებული დიდი და პატარა სხეულები. გეოლოგები მათ სხვადასხვა სახელებს უწოდებენ. ჩვენ ბელტის ტერმინით აღვნიშნავთ. ყოველი ბელტი გეოსინკლინის უფრო მცირე ტოტებად ჰყოფს, ხოლო როგენეზისის ბოლო სტადიებში უკანასკნელნი ხშირად უბეებისა და როფების საბეს ღებულობენ. მთების სისტემის სტრუქტურულ-გენეტური ანალიზის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სწორედ ასეთი ბელტების და გეოსინკლინური ტოტების გარჩევა არის.

ზემოთ დასახელებული როგენეტური ციკლებისა და მთათა სისტემებიდან ჩვენთვის ამჟამად ალპური არის საინტერესო, რადგან კავკასიონი და ამიერკავკასია მის ფარგლებში ხვდება. მთელი ალპური სისტემისათვის არგანის მიერ მოცემული სქემის მიხედვით [2] რენგარტენი კავკასიაში არჩევს: კავკასიონის ნაოჭა ზოლს, ამიერკავკასიის სუსტად დანაოჭებულ ზოლს და მცირე კავკასიონის ნაოჭა ზოლს. თავდაპირველად ამ ერთეულების ხოხაზულობა საკმაოდ მარტივი იყო [3], მაგრამ შემდეგ აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზოლის გამოყოფამ მათ კონტურებში საგრძნობი ცვლილებები შეიტანა [4].

ამ დანაწილებაში, რომელიც ბევრი მხრით უეჭველად კარგად დასაბუთებული არის, ორი რამ მომაჩნია გაუმართლებლად. პირველი ალის, ძლიერად და

სუსტად დანაოჭებული ზოლების დაპირისპირება: ეს საკითხისადმი წმინდა ლიწერითი მიდგომა არის და მიზეზობრივ-გენეტურს გარკვეულს არაფერს ჰგულისხმობს. მეორე, — ამიერკავკასიის დეპრესიის დახასიათება სუსტი დანაოჭებით: სუსტი დანაოჭებით ხომ აჭარა-თრიალეთის ზოლიც გაირჩევა კავკასიონისგან, მაგრამ მისი ბუნება სულ სხვაა, ვიდრე ხსენებული დეპრესიისა; რამდენიმე წლის წინათ მე საშუალება მომეცა დავეჭიკვებინა [5], რომ ამიერკავკასიის დეპრესიას, ყოველ შემთხვევაში კოლხეთის დაბლობს ახასიათებს არა სუსტი ნაოჭები, არამედ ნაოჭების გაესხვაებული სახე, — ზეწრული ნაოჭები.

ამიტომ ჩვენ აქ ბელტზე, ბელტურ სტრუქტურაზე უნდა ვილაპარაკოთ და იგი გეოსინკლინის ტოტს დავუპირისპიროთ. მეორე მხრივ ი. კახაძემ გვიჩვენა, რომ ბელტის ჩრდილო პერიფერია (დასავლეთ საქართველოს ფარგლებში) თავისი აგებულებით და ისტორიით განსხვავდება როგორც ტიპიური ბელტისგან, ისე კავკასიონის ნაოჭა ზოლისაგან; იგი ბელტის ზრდის შედეგს წარმოადგენს [6]. ამით ჩვენ საშუალება გვეძლევა ბელტი განვითარების ასპექტში განვიხილოთ.

ვ. რენგარტენის სქემაზე ანგარიშგაუწეველი რჩება ის გარემოებაც, რომ დუშეთ-თიანეთის რაიონში კავკასიონს გაეყოფა ნაოჭების ზოლი, რომელიც კახეთის ქედის სახით SO-კენ გიეპარება. ეს ნაოჭები თრიალეთისას ეხებიან უშუალოდ და ამ რიგად ამიერკავკასიის ბელტი ორად იყოფა: საქართველოს ბელტი და აზერბეიჯანის ბელტი.

აჭარა-თრიალეთის ზოლს სამხრეთ ფარგლებს აქ არ შევეხები.

ახლა ნათელი უნდა იყოს, თუ რაოდენად საინტერესო არის გეოლოგიური თბილისის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით შედარებით მხარე. აქ იყრიან თავს საქართველოს ბელტი, აჭარა-თრიალეთის სისტემა, აზერბეიჯანის ბელტი და კახეთის ქედი. საჭიროა თითოეულის დაბოლოების და მათი ურთიერთმიმართების დაკავშირების ხასიათის გარკვევა. თანაც ჩვენს წინაშე დგას არანაკლებ კითხვა სად და როგორ, არამედ ისევე დროს აუცილებელი რიგის. უკანასკნელი რომ დავიკიწყოთ, მიღებული შედეგი უცილობლად დეფექტიანი იქნება ცალი მხრით მაინც.

მაგრამ ეს გარემოება არ არის ერთადერთი და არც მთავარი, რაც ხსენებული მხარის კვლევას განსაკუთრებით მომხიბლველსა ხდის. ამ ტერიტორიაზე ცნობილი არის ნავთის მრავალი გამოვლინება და ამიტომ მის შესწავლას უაღრესი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. საბჭოთა მშენებლობა ამ მნიშვნელობას კიდევ მეტად ზრდის.

ყოველივე თქმულის მიხედვით გასაგები არის, რომ თბილისის მიდამოების და გარე კახეთის გეოლოგიის კვლევას უკანასკნელ წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის მუშაობაში საპატიო ადგილი უჭირავს. მუშაობა კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება, მაგრამ ზოგი შედეგი ახლავე შეიძლება აღინიშნოს.

კვლევის ზოგი შედეგი. თბილისის მიდამოების სტრატიგრაფია, ზოგად ფარგლებში, დღეს უკვე საკმაოდ გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს. ამ საქ-

ძეში მრავალმა მკვლევარმა შეიტანა თავისი წვლილი, ბოლო დროს კი განსაკუთრებით ი. კაკარაულამ, რომელმაც მოგვცა აქ გავრცელებული ნალექების დანაწილება-დაკარიღება და სათანადო გეოლოგიური რუკა [7]. ქალაქში და მის უშუალო სიახლოვეში გაშიშვლებულია შუა ეოცენი, ზედა ეოცენი და ოლიგოცენი. კერძოდ, შუა ეოცენით არის აგებული ქალაქის სამხრეთით მელეთის ქედი, რომელზედაც მოხდენილად არის ამართული შავნაბადის ლაშაზი კონუსი (სურ. 3). გორაკის კოჭესებრივ ფორმას ემატება ისიც, რომ მისი შემადგენელი ქანი ბაზალტი არის. ამიტომ შავნაბადას ვულკანად სთვლიდნენ და აღწერდნენ. თანაც, რადგან თელეთის ქედზე ამგვარივე გორაკი თუ ბორცვი სხვაც ბევრი გვხვდება, სულ აქ 50-ოდე პატარა მონოგენურ ვულკანს ჭარაუდობდნენ. სოღანლოღის ხიდთან რომ ბაზალტის ნაჩენია, ისიც ერთგვარ ასეთ ვულკანად იგულისხმებოდა (აკად. ზავარიცკი).

სურ. 3.

პირველსავე ნახვისას მე აღვნიშნე, რომ აქ არავითარი ვულკანები არ არის და ხაზგასმით ჰეტეროგენული შემადგენლობის მქონე წყების თავისებურ ეროზიულ ფორმებთან გვაქვს საქმე. ეს ისეთივე რაღაა, როგორც ე. წ. ვულკანები ქუთაისთან წყალ-წითელის არეკნებია ნაპირზე. გეოლოგებისთვის ეს დებულება დიდი ხანია უკვე საეჭვო აღარ არის, ხოლო უკანასკნელად იგი გ. ძოწენიძემ პეტროგრაფიულადაც დაადასტურა [8].

ბაზალტი ხსენებულ წყებაში ლაქუჩი ზეწრის ნაწყვეტებს წარმოადგენს და დაკავშირებული არის ვულკანურ აქტივობასთან, რომელიც დასაწყისით

შავ ზღვამდე ვრცელდებოდა. ამ გვარად წარმომდგარი ვულკანოგენური წყების სისქე პ. გაბუნიას გამოკვლევების თანახმად 3—5 კილომეტრამდე აღწევს [9].

შუა ეოცენის ვულკანოგენური წყების ერთი მეტად თავისებური ჰორიზონტის კარგი გაშიშვლება ყველასათვის ცნობილი არის მტკვრის ხიდის მეტეხის ძირში (სურ. 4). დიდი და მცირე ლოდებისაგან შემდგარს ამ უჩვეულო ქანს ა ბ ი ხ მ ა არეულ-ბრეჩებრივი კონგლომერატი უწოდა და გაპირველებულ მდგომარეობაში ამონთხეულად მიიჩნია. ეს შეცდომა დიდი ხანი უარყოფილი არის. მაგრამ წყების გენეზისი ისევ აუხსნელი რჩება. ე. ბ ა ხ ტ ა დ ზ ე და ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა მ გამოსთქვეს აზრი, რომ მისი წარმოშობა წყალქვეშა მეწყრების შედეგი უნდა იყოს. მართლაც, ამ ჰორიზონტში ქვეყ-



სურ. 4. მტკვრის მარცხენა ნაპირი მეტეხის ქვეშ (ნ. ბ ე ნ დ უ ქ ი ძ ი ს ჩანახატი).

წყალქვეშა მეწყრების არსებობა დადასტურებულ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ თვით ქანის („არეულ-ბრეჩებრივი კონგლომერატი") წარმოშობის ახსნა ამ გზით მაინც დამაკმაყოფილებელი არ არის. საქმე ის არის, რომ ხსენებულ ჰორიზონტში იშვიათი არ არის ცარცული კირქვის დიდი ლოდები, რომელნიც უცხო წარმოშობისა არიან და რომელთა აქ არსებობა გაუგებარი რჩება. ლოდების სიდიდე ისეთი არის, რომ თელეთის ქედზე ზოგ-ზათგანის გვერდით საკირეები იყო აგებული და კირსა სწვავდნენ, სანამ ქვას არ გამოლეველდნენ.

ასეთი ბრექჩიები (და არა „კონგლომერატი") სხვაგანაც ბევრგან არის ცნობილი და უფრო დიდი მაშტაბითაც: შაგ., კახეთის ქედზე და დუშეთ-თიანეთის მხარეში; ყირიმში, სადაც ტავრიდის წყების ტრიასულ ფიქლებში პერმული კირქვების ეფებერთელა ლოდებს აღნიშნავენ; ალპების ფლიშში,

სადაც ასეთი ბრექჩიების ჰორიზონტს Wildflysch-ს უწოდებენ, და სხვა. ამერიკელი ავტორებიც ასეთ მოვლენებს იქაურ ფლიშში აღწერენ. უფრო ძველი ფორმაციებიდან შეიძლება დავასახელოთ რაინის მხარის დევონური გერმანიაში. როგორც წესი, მოვლენა გეოსინკლინებთან არის დაკავშირებული და, სახელდობრ, გეოსინკლინის დანაოჭების იმ სტადიასთან, როდესაც ფლიში წარმოიშობა. ვფიქრობ, ეს მაჩვენებელი უნდა იყოს ნალექის გენეზისის რაგვარობისა: კონტრასტული ახალგაზრდა რელიეფის პირობებში ზღვის კლდოვანი ნაპირების ინტენსიური ნგრევა-ჩამოზვავება ხდებოდა და ფსკერის სანაპირო ზოლში ბრექჩიის მასალა გროვდებოდა[1].

ამ მნიშვნელოვანი დებულების დასაბუთებაზე არ შევჩერდები. აქ იგი მხოლოდ იმისთვის მოვიტანე, რომ ზოგი დასკვნისთვის გამომეყენებინა. ვ. პახომოვსა და ი. კაჭარავას მოცემული აქვთ არეულ-შრეებრივი „კონგლომერატის“ გავრცელება. დასავლეთისკენ იგი ისოლება, აღარ არის. სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, პირიქით, სქელდება და, როგორც ბურღვამ გვიჩვენა, ნაცათის ხევთან მისი სისქე 100 მეტრამდე აღწევს. კირქვის ლოდები კი სამხრეთისკენ, თელეთის ქედზე გვხვდება. ამიტომ, თუ მივიღებთ, რომ არეულ-შრეებრივი ბრექჩიის წარმოშობა ზემოთ ხსენებული გზით მოხდა, უნდა დავასკვნათ, რომ მასალა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მოდიოდა. იქ უნდა ყოფილიყო ის კლდოვანი ნაპირები, რომელნიც ნგრევას განიცდიდნენ.

ასეთი დასკვნა მარტო არეულ-შრეებრივი ჰორიზონტის გენეზისის თვალსაზრისით არ არის საყურადღებო. აჭარა-თრიალეთის მთების ადგილას იმ დროს გეოსინკლინური ზღვა იყო. მისი ფსკერი სისტემატურად იძირებოდა და პ. გამყრელიძის თანახმად ბოლო ანგარიშში 14000 მეტრით დაიწია ძირს (შუა ცარციდან დაწყებული) [9]. იმავე დროს კი გამოდის, რომ აღმოსავლეთისკენ აწინდელი დაბლობის ნაცვლად ამაღლება უნდა ყოფილიყო, რომელიც ეოცენში ხმელეთს წარმოადგენდა: აჭარა-თრიალეთის გეოსინკლინი აქეთკენ ყრუდ ბოლოვდება.

შუა ეოცენის ბოლოში და შემდეგ ეოცენის და ოლიგოცენის საზღვარზე გეოსინკლინმა დანაოჭება განიცადა. თბილისის რაიონშიც გამოისახა მთელი რიგი ნაოჭები: თელეთის, მამადავითის, ლისის და მცხეთის ანტიკლინები კრწანისის, საბურთალოს და ქვემო ავჭალის სინკლინებით. უკვე გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ყველა ეს ნაოჭი დასავლეთისკენ მჭიდროდება და აზევებას განიცდის, აღმოსავლეთისკენ კი მათი დაძირვა და გაშლა ხდება. ესეც ადასტურებს, რომ აქეთკენ გეოსინკლინური აუზის დაბოლოვება გვაქვს.

თბილისის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით ეოცენს მოჰყვება ოლიგოცენი, რომლის ზედა ნაწილი მაიკოპური ფაციესით არის წარმოდგენილი: ყავის ფერი თიხები თაბაშირით, იაროზიტით, თევზის ქერტლით

[1] ეს მოსაზრება უკვე წაკითხული მქონდა, როდესაც მივიღე ვ. გროსგეიმის წერილი, სადაც ის დაბრარის კლდეების (SO კავკასიონი) წარმოშობის ანალოგიურ ახსნას იძლევა.

და სეპტარიებით. ყველაფერი პირობების ძირიანად შეცვლას მოწმობს. თუ მანამდე აქ ნუმულიტიანი ზღვა იყო, რომლის წყალი ნორმალურად მარილიანი უნდა ყოფილიყო, როგორც აწინდელი ხმელთაშუა ზღვისა, ახლა შავი ზღვისებური შიგა აუზი არის. როგორც დღეს შავი ზღვა, ეს აუზიც მოწამლულია H_2S-ით, მის ფსკერზე, გარდა მარჩხი სანაპირო ზოლისა, სიცოცხლე არ არის და მხოლოდ წყლის ზედა ფენაში ირევიან უხვად თევზები.

გამოიცვალა რელიეფის პირობებიც. თუ აქამდე აჭარა-თრიალეთის გეოსინკლინი წარმოადგენდა მეტად თუ ნაკლებად ღრმა როფს, ახლა მისი ადგილი ხმელეთს უჭირავს და ზედ აქა-იქ მხოლოდ მცირე აუზებია გაფანტული [9]. სამაგიეროდ აღმოსავლეთისკენ, სადაც აქამდე ხმელეთი იყო, ახლა ზღვა არის: დაიწყო რელიეფის ინვერსია. ეს კია, რომ საქართველოს ბელტის აღმოსავლეთი ბოლო ქვედა ოლიგოცენში ჯერ კიდევ ხმელეთს უნდა წარმოადგენდეს, რადგან იქიდან ოლიგოცენურ აუზში დიდძალი გრანიტული მასალა შემოდის.

საინტერესო არის, რომ ქვემო-ავჭალა — ახალსოფლის ზოლში (ნავთის გეოლოგების ორმოიანის სინკლინი) ოლიგოცენის სისქე გ. ჭელიძის [10] მიხედვით 2,5 კილომეტრს უდრის. ანალოგიურ ციფრს იძლევა ნ. ქებაძეც. რადგან ზღვა აქ მუდამ მარჩხი იყო, ამ მოვლენის ახსნა მხოლოდ ფსკერის განუწყვეტელი დაძირვით შეიძლება. აქ განვითარდა სედიმენტაციის პატარა როფი, როგორც ეს გეოსინკლინების არსებობის ბოლო სტადიას სჩვევია. ამ როფს ჩრდილოეთით დაბალი ზღურბლი (მცხეთის ანტიკლინის აღმოსავლეთი გაგრძელება) საზღვრავს. უკანასკნელის გადაღმა იალონ-ციცის ზოლში უფრო დიდი სედიმენტაციის ზოლი არის, რომელშიც კინტის წყების (ზედა ეოცენი — ქვედა ოლიგოცენი) და მაიკოპური თიხების დიდი რაოდენობა ილექება.

გავყვეთ მოვლენათა სვლას. ოლიგოცენის ბოლოში ისევ დანაოჭება ხდება. რელიეფის ინვერსია ახლა უკვე სრული არის. აჭარა-თრიალეთის ზოლი მთებს წარმოადგენს, საქართველოს და აზერბეიჯანის ბელტები ზღვით იფარება. ქვემო-ავჭალა — ახალ-სოფლის უბანი ისევ ზღვით კია დაფარული, მაგრამ სედიმენტაციის აუზს აღარ წარმოადგენს. იალონ-ციცის როფის ფსკერი, პირიქით, ინტენსიურ დაძირვას განაგრძობს: მიოცენის სისქე იქ ძლიერ დიდი არის. მასალა მიოცენის ზღვაში შემოდის როგორც კავკასიონიდან, ისე თრიალეთიდან.

ზედა მიოცენი ახალი დანაოჭებით და აზევებით თავდება (თრიალეთის ფაზისი). ზღვა საქართველოს ტერიტორიას სტოვებს. უკვე მაღალი კავკასიონიდან ახლა ჩვენს რაიონში ჩდინარეებს უამრავი ტლანქი მასალა ჩამოაქვს. ეს არის რიყე, ქვიშა და ლამი. ილექება კონგლომერატების წყება, რომლის სისქე კახეთის ქედზე 1000 ეტრს აღემატება. ამ კონტინენტურ ნალექებს დიდი გავრცელება აქვს. მათ აღნიშნავდნენ კვერნაკ-იალონზე და მიო-პლიოცენს მიაკუთვნებდნენ; მათ აღწერდნენ შიგნით კახეთში, როგორც მეოთხეულის ან პლიოცენის ალაზნის წყებას; აჩამბურის რაიონში ეს აღჩაგილი იყო ისევე, როგორც სამგორის ველის სამხრეთ ნაწილში; ქაშვეთ-წილუბნის ზეგანზე

კიდევ — უდავო მეოთხეული. მოხერხდა გამორკვევა, რომ ყველა ეს ნაწყვეტები ერთისა და იმავე წყების ეროზიულად გათვისებულ ნაწილებს წარმოადგენენ.

მეორე მხრით იმ გარემოებამ, რომ იორის პირას სართაჭალასთან ცნობილი არის ნამდვილი აღჩაგილი, და ამ აღჩაგილის ხსენებულ კონგლომერატებთან დამოკიდებულების გარკვევამ საშუალება მოგვცა კონგლომერატების წყების მიო-პლიოცენური ასაკი დაგვედგინა.

მიო-პლიოცენის ბოლოში აბალმა დანაოჭებამ (როდანული ოროგენეტური ფაზისი) საერთო აზევების გვერდით კახეთის ქედის წარმოშობა გამოიწვია. ჩვენი მხარის ტექტონიკური ჩამოყალიბება არსებითად დამთავრდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ქერქის მოძრაობას შემდეგ აქ ადგილი აღარ ჰქონოდეს. შუა პლიოცენში აზერბაიჯანის ბელტის დაწევის გამო აღჩაგილის ზღვამ სამგორის ჩრდილოეთით ვიწრო უბის სახით იორამდე მოაღწია და მეორე მხრით მტკვრის ხეობაშიც შეიჭრა. უკანასკნელმა მდინარემ მიო-პლიოცენის დანაოჭების შემდეგ გადწოლახა მცხეთის ანტიკლინი და თრიალეთის ნაოჭების გარდიგარდმო იწყო დინება. დანდათან გამოიკვეთა თბილისის ტერასები. რადგან ქაშვეთ-წილუბნის კონგლომერატები მიო-პლიოცენს ეკუთვნიან, უნდა ვიფიქროთ, რომ უმაღლესი ტერასები თუ ტერასი, როგორც მახათის ტერასია, პლიოცენური ასაკის არის.

პლიოცენის და მეოთხეულის საზღვარზე მცირე ოროგენეტური მოძრაობა კიდევ გვაქვს. ამის საბუთია აღჩაგილური ნალექების მცირე აშლილობა. იმავე ასაკის ან მეოთხეული დროის პოსთუმური მოძრაობის ნიშნებს ზემოავჭალა — ჯვარის ტერასებზედაც ვხედავთ. ამ საგულისხმო მოვლენაზე აქ არ შევჩერდები.

დასასრულ, ზოგი გეოტექტონიკური დასკვნა. როგორც დავინახეთ, აჭარა-თრიალეთის ზოლს აღმოსავლეთისკენ გაგრძელება არა აქვს. იგი თბილისის აღმოსავლეთითვე ბოლოვდება, ამიერკავკასიის ბელტში უბესავით შეჭრილი. ეს დასკვნა ეთანხმება რ ე ნ გ ა რ ტ ე ნ ი ს სქემას და გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ი ს შეხედულებას.

ამ სისტემის ჩრდილოეთით მდებარეობს კახეთის ნაოჭა ქედი და ალაზნის ველი. რამდენიმე წლის წინათ მე შევეცადე დამესაბუთებინა, რომ ალაზნის დეპრესია წარმოადგენს არა კავკასიონის სისტემაში წარმოშობილ გრაბენს, როგორც გეოლოგები ფიქრობდნენ, არამედ აზერბეიჯანის ბელტის ჩრდილო-დასავლეთისკენ გაწვდილ ქიმს. დღეს ეს დებულება საკმაოდ მტკიცე ჩანს.

ალაზნის ბელტურ ქიმსა და აჭარა-თრიალეთის სისტემას შუა განვითარებული არის იალონ-ცივის ახალგაზრდა როფი და ნაოჭა ქედი, რომლის ნაოჭები უშუალოდ ეკვრიან თრიალეთისას. ამგვარად, ყოველ შემთხვევაში ზედა ეოცენიდან (კინტის წყება), საქართველოს ბელტი და აზერბეიჯანის ბელტი გათვისებული არიან. ი. კ ა ხ ა ძ ე ფიქრობს, რომ ეს ორი ბელტი გაყოფილი იყო აქვე ბათური ოროგენეტური ფაზისის წინათაც. თუ ამ შეხედულებას გავიზიარებთ, უნდა დავასკვნათ, რომ კახეთის ახალგაზრდა ქედი იმ ძველი სტრუქტურის ფონზე განვითარებულ რეციდივს წარმოადგენს.

თვით კახეთის ქედის აგებულების დიდ საკითხზე ახლა არ შეეჩერდები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ვ. ედილაშვილის რუკის და ტექტონიკური სქემის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ნაოჭები განზე უხვევენ ერთი მხრით ალაზნის ველისკენ, მეორე მხრით იორის ხეობისკენ: ღერძის ხაზები მარაოსებურად იშლებიან. თუ ეს ასეა, ცხადი საბუთი გვაქვს, რომ აქეთკენ გეოსინკლინური როფიც და ნაოჭთა სისტემაც ბელტზე თავდება სადღაც სიღნაღისკენ.

ამგვარივე მნიშვნელობის არის მეორე გარემოება, რომელზედაც დრო არის ახლა შევაჩეროთ ყურადღება. უკვე რამდენიმე წლის წინათ ნ. კუდრიავცევის მიერ შედგენილი გარე კახეთის გეოლოგიური რუკის და ჭრილების [10] ანალიზმა დამარწმუნა, რომ აქ ზეწრული ნაოჭები უნდა ყოფილიყო განვითარებული. 1946—47 წლის საველე დაკვირვებებმა ეს ეჭვი სავსებით დაადასტურა. კახეთის ქედის სამხრეთით, როგორც კი თბილისის მიდამოს გავსცდებით, ყველგან მშვენივრად გამოსახული ზეწრული ნაოჭები გვაქვს. ეს გარემოება ახლებურად წარმოგვიდგენს ამ ზოლის ტექტონიკურ აგებულებას და იმავე დროს აზერბეიჯანის ბელტის ამ ნაწილის ბაქნურ ბუნებასაც ადასტურებს.

საქართველოს ბელტის აღმოსავლეთი დაბოლოების საკითხსაც იმავე დროის ფარგლებში შევეხები. მიუხედავად იმისა, რომ ზედა ეოცენიდან იალონ-ციების როფი უკვე არსებობს, ქვედა ოლიგოცენში საქართველოს ბელტის ეს ნაწილი ჯერ კიდევ საკმაოდ მაღლა დგას: აქედან შემოდის ქვემოავჭალისაკენ დიდძალი არკოზული მასალა. შემდეგ ამ უბნის ინტენსიური დაძირვა იწყება უხვი ნალექების ქვეშ. მაინც, თუმცა დაძირულის, ბელტის გავლენა ცხადად ჩანს მცხეთის ანტიკლინის ჩრდილოეთისკენ გადაწოლაში.

უკანასკნელი მოვლენა როდანული ფაზისის საქმე უნდა იყოს. მართლაც, ზემო-ავჭალა — ჯვარის ზოლში მცხეთის ანტიკლინი გატეხილი არის და მისი აღმოსავლეთი ნაწილი სამხრეთისაკენ გადმობრუნებულა. აშკარაა, რომ ასეთი რამ მხოლოდ მანამდე შეიძლებოდა მომხდარიყო, სანამ იმავე სტრუქტურის დასავლეთი ნაწილი ჩრდილოეთისკენ გადაწვებოდა. ზემო ავჭალის დისლოკაციის ასაკი კი როდანულზე ძველი არ შეიძლება იყოს, რადგან ეს დისლოკაცია მიო-პლიოცენური წყების სამხრეთისაკენ მოძრაობის შედეგი არის. ამ დროს მტკვრის აღმოსავლეთით აჭარა-თრიალეთის სისტემა საგურამოს ქედის ნაოჭების მიმართ უკვე უდრეკი ბელტის როლს თამაშობს.

მოხსენებული ლიტერატურა

1. ჯანელიძე ა., მთების წარმოშობის საკითხისათვის: საქ. მეცნ. აკად. მრომბე, ტ. IV, ნაკ. 5, 1943.

2 Argand E., La tectonique de l'Asie: C.—R. du XIII-e Congrès géol. Intern., Liège 1922.

3. Ренгартен В., Тектоническая характеристика Складчатых областей Кавказа. Тр. III-го Всесоюзн. Съезда Геологов, Ташкент 1930.

4. Ренгартен В., Общий очерк тектоники Кавказа. Тр. XXII-ой сессии Междунар. Геол. Конгресса, Москва 1937.

5. ჯანელიძე ა., სამეგრელოს ცენტრალური ნაწილის გეოლოგია: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, ნაკვ. 3, 1941.

6. Кахадзе И., Грузия в юрское время: Тр. Геол. Инст. Акад. Груз. ССР, т. III (VIII), Тбилиси 1947.

7. კაკარაძე ი., თრიალეთის აღმოსავლეთი დაბოლოვების ტექტონიკა: 1932—33. ხელნაწ. საქ. გეოლ. ინსტიტუტში.

8. ძოწენიძე გ., თბილისის მიდამოების ლავების პეტროგრაფიისთვის: საქ. მეცნ. აკად. ბოამბე, ტ. IX, ნაკვ. 3, 1948.

9. Гамкрелидзе П., Геологическое строение Аджаро-триалетской складчатой системы.

10. ჭელიძე გ., ნორიო-მარტყოფის ქვაიონის სტრატიგრაფია; 1947. ხელნაწ. საქ. მეცნ. აკად. გეოლ. და მინერ. ინსტიტუტში.

11. Эдилашвили В., Описание листа К—38—XXII (Телави) Геологической карты Груз. ССР. 1946. Фонды Груз. Геол. Упр.

12. Кудрявцев Н., Геологический очерк нефтеносного района южной Кахетии. 1936. Фонды Грузнефти.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1948. VI. 25).

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 1948
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА XXXIV, 1948

ნ. ვეკუა

ლოგარითმული პოტენციალის თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის შესახებ

§ 1. დირიხლეს სახეშეცვლილი ამოცანა ღია და ჩაკეტილი კონტურებით შემოსაზღვრული არისათვის. ვთქვათ მოცემულია მრავლადბმული ბრტყელი არე D^+, შემოსაზღვრული $L_1, L_2, \ldots, L_m$ ღია და $\gamma_0, \gamma_1, \ldots, \gamma_m$ შეკრული კონტურებით, რომელთაც საერთო წერტილები არა აქვთ და თავისთავს არ კვეთენ, ამასთან γ_0 შეიცავს შიგნით ყველა დანარჩენს. შეიძლება γ_0 არ გვქონდეს, მაშინ D^+ არე იქნება უსასრულო. $L_1, L_2, \ldots, L_m, \gamma_0, \gamma_1, \ldots, \gamma_m$ კონტურების შესახებ ჩვენ ვგულისხმობთ, რომ მათ აქვთ უწყვეტი სიმრუდე, რომელიც ჰელდერის პირობას აკმაყოფილებს. $L_1, \ldots, L_m$ კონტურების ერთობლიობა აღვნიშნოთ L-ით, ხოლო $\gamma_0, \gamma_1, \ldots, \gamma_m$ კონტურების ერთობლიობა კი γ-თი, ე. ი.

$$L = L_1 + L_2 + \cdots + L_m, \quad \gamma = \gamma_0 + \gamma_1 + \cdots + \gamma_m.$$

ვიგულისხმოთ, რომ γ წირზე დადებით მიმართულებად მიღებულია ის მიმართულება, რომელიც D^+ არეს მარცხნივ სტოვებს; ხოლო თუ L_k კონტურის ბოლოებს a_k და b_k-თი აღვნიშნავთ, მაშინ $L_k = a_k b_k$ კონტურზე დადებით მიმართულებად მივიღებთ მიმართულებას a_k ბოლოდან b_k ბოლოსაკენ.

D^+ არისათვის დირიხლეს სახეშეცვლილი ამოცანის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ შემდეგ ამოცანას:

მოვნახოთ D^+ არეში ჰარმონიული ფუნქცია u, რომელიც არსი ნაწილია D^+ არეში ჰოლომორფული და $D^+ + L + \gamma$-ში უწყვეტი $\Phi(z)$ ფუნქციის, შემდეგი სასაზღვრო პირობით[1]:

$$\begin{aligned} u &= f_1(t_0) + C(t_0) \text{ } \gamma\text{-ზე}, \\ u &= f_2(t_0) + C'(t_0) \text{ } L\text{-ზე}, \end{aligned} \tag{1, 1}$$

[1] ჩვენ ვგულისხმობთ, რომ $u^+(t_0) = u^-(t_0)$ L-ზე, სადაც u^+ და u^- აღნიშნავენ u ფუნქციის სასაზღვრო მნიშვნელობებს L-ზე მარცხნიდან და მარჯვნიდან შესაბამად.

სადაც $f_1(t_0)$ და $f_2(t_0)$ შესაბამისად γ-ზე და L-ზე მოცემული ფუნქციებია, რომელნიც აკმაყოფილებენ ჰელდერის პირობას; $C(t_0)=C_j$ γ_j-ზე $(j=0, 1, \ldots, m)$, $C(t_0)=C_k$ L_k-ზე $(k=1, 2, \ldots, n)$, ამასთან C_j და C_k არსი მუდმივებია, რომელნიც წინასწარ არ არიან მოცემული და თვით ამოცანის პირობით უნდა განისაზღვრონ.

როცა $L_1, L_2, \ldots, L_n$ კონტურები არა გვაქვს, მაშინ ეს ამოცანა წარმოადგენს დირიხლეს სახეშეცვლილ ამოცანას, რომელიც ამოხსნილია აკად. ნ. მუსხელიშვილის მიერ (იხ. [1] თავი III, §§ 60—64). ეს ამოცანა კარგადაა აგრეთვე შესწავლილი იმ შემთხვევაშიც, როცა $\gamma_0, \gamma_1, \ldots, \gamma_m$ არა გვაქვს და, მაშასადამე, D^+ წარმოადგენს უსასრულო არეს, გაჭრილს $L_1, L_2, \ldots, L_m$ კონტურებით (იხ. [2], § 3 და აგრეთვე [1], § 120).

განვიხილოთ ჯერჯერობით ის შემთხვევა, როცა $f_1(t_0) \equiv 0$ და $f_2(t_0) \equiv 0$; მაშინ (1, 1) სასაზღვრო პირობა მოგვცემს:

$$\begin{aligned} u &= C_j \ \gamma_j\text{-ზე } (j=0, 1, \ldots, m), \\ u &= C_k \ L_k\text{-ზე } (k=1, 2, \ldots, n). \end{aligned} \tag{1, 2}$$

შეიძლება ვაჩვენოთ, რომ დირიხლეს სახეშეცვლილ ამოცანას (1, 2) სასაზღვრო პირობით ამოხსნა აქვს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $C_0=C_1=\ldots=C_m=C'_1=\ldots=C'_n=C$, სადაც C ნებისმიერი მუდმივია, და ეს ამოხსნა იქნება $u \equiv C$. ეს დებულება დამტკიცდება ისეთივე ხერხით, როგორითაც ანალოგიური დებულებაა დამტკიცებული აკად. ნ. მუსხელიშვილის მონოგრაფიაში [1], § 60.

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ თუ u წარმოადგენს დირიხლეს სახეშეცვლილ ამოცანის ამოხსნას (1, 1) სასაზღვრო პირობით, მაშინ $u+C$, სადაც C ნებისმიერი მუდმივია, ამავე ამოცანის ამოხსნა იქნება და მაშასადამე, თუ (1, 1) ამოცანას ამოხსნა აქვს, ის განსაზღვრულია ნებისმიერი მუდმივის შესაკრების სიზუსტით.

ვეძიოთ (1, 1) სასაზღვრო ამოცანის ამოხსნა, როგორც არსი ნაწილი შემდეგი ჰოლომორფული ფუნქციის:

$$\Phi(z)=\frac{1}{\pi}\int_{\gamma}\frac{\mu(t)\,dt}{t-z}+\frac{1}{\pi}\int_{L}\frac{\nu(t)\,dt}{t-z}, \tag{1, 3}$$

სადაც $\mu(t)$ და $\nu(t)$ არსი საძიებელი ფუნქციებია, რომელნიც ჰელდერის პირობას აკმაყოფილებენ γ-ზე და L-ზე შესაბამად, ამასთან $\nu(t)$ ისე უნდა განისაზღვროს, რომ $\nu(a_k)=\nu(b_k)=0$ $(k=1, 2, \ldots, n)$ (a_k და b_k წარმოადგენენ L_k წირის ბოლო წერტილებს).

თუ შემოვიღებთ აღნიშვნას $t-z=re^{i\theta}$, გამოვყოფთ არს ნაწილს (1, 3) ტოლობით განსაზღვრულ ფუნქციიდან და გადავალთ ზღვარზე, როცა z მიის-

წრაფის საზღვრის t_0 წერტილისაკენ, (1, 1) პირობის ძალით ადვილად მივიღებთ[1]:

$$\frac{1}{\pi}\int_{\gamma}\frac{\mu\,dr}{r}+\frac{1}{\pi}\int_{L}\frac{\nu\,dr}{r}=f_1(t_0)+C(t_0)\ \gamma\text{-ზე},$$
$$\frac{1}{\pi}\int_{\gamma}\frac{\mu\,dr}{r}+\frac{1}{\pi}\int_{L}\frac{\nu\,dr}{r}=f_2(t_0)+C'(t_0)\ L\text{-ზე}. \qquad (1,\ 4)$$

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ $\ln r=\ln(t-t_0)-i\Phi$ და მაშასადამე, $\frac{dr}{r(t_0,t)}=\frac{dt}{t-t_0}-i\frac{d\Phi(t_0,t)}{ds}\,ds$, სადაც s წარმოადგენს t წერტილის შესაბებ რკალურ აბსცისს, (1, 4) სისტემა ასე შეიძლება გადავწეროთ:

$$\frac{1}{\pi}\int_{\gamma}\frac{\mu\,dt}{t-t_0}+\frac{1}{\pi}\int_{L}\frac{\nu\,dr}{r}+\frac{1}{\pi i}\int_{\gamma}\mu\frac{d\Phi(t_0,t)}{ds}\,ds+\int_{\gamma}k(t_0,t)\,\mu(t)\,ds=f_1(t_0)\ \gamma\text{-ზე},$$
$$\frac{1}{\pi}\int_{L}\frac{\nu\,dt}{t-t_0}+\frac{1}{\pi}\int_{\gamma}\frac{\mu\,dr}{r}+\frac{1}{\pi i}\int_{L}\nu\frac{d\Phi(t_0,t)}{ds}\,ds=f_2(t_0)+C'(t_0)\ L\text{-ზე}, \qquad (1,\ 5)$$

სადაც $k(t_0,t)=\rho_j(t)$, როცა $t_0,\ t\in\gamma_j\ (j=0,\ 1,\ \ldots,\ m)$ და $k(t_0,t)=0$ ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ამასთან $\rho_j(t)$ $(j=0,\ 1,\ \ldots,\ m)$ ნებისმიერი არსი ფუნქციებია, რომელნიც აკმაყოფილებენ ერთადერთ პირობას $\int_{\gamma_j}\rho_j(t)\,ds\neq 0$; მაგალითად შეიძლება მივიღოთ $\rho_j(t)\equiv 1$ $(j=0,\ 1,\ \ldots,\ m)$. ამრიგად, C_j მუდმივები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

$$C_j=-\int_{\gamma_j}\rho_j(t)\ \mu(t)\ ds\ (j=0,\ 1,\ \ldots,\ m).$$

როგორც ცნობილია (იხ. მაგალითად [1], § 8), γ და L წირებზე ზემოთხოვნილი პირობებიდან გამომდინარეობს, რომ $\frac{d\Phi(t_0,t)}{ds}$ აკმაყოფილებს ჰელდერის პირობას ყველგან $L+\gamma$-ზე. ამიტომ ცხადია, რომ (1, 5) განტოლებათა მარცხენა მხარის ყველა წევრებში, გარდა პირველი წევრებისა (რომელშიც ინტეგრალი კოშის მთავარი მნიშვნელობის აზრით განიხილება), ინტეგრალქვეშა გამოსახულებები აკმაყოფილებენ ჰელდერის პირობას, თუ μ და ν აკმაყოფილებს ამ პირობას.

---

[1] ვინაიდან $u=\operatorname{Re}\Phi(z)=\frac{1}{\pi}\int_{\gamma}\frac{\mu\,dr}{r}+\frac{1}{\pi}\int_{L}\frac{\nu\,dr}{r}$, ამიტომ, კოშის ტიპის ინტეგრალის ცნობილი თვისების ძალით, ადვილად მივიღებთ. რომ $u^+(t_0)=u^-(t_0)$ $L+\gamma$-ზე, სადაც $u^+(t_0)$ და $u^-(t_0)$ აღნიშნავენ u ფუნქციის სასაზღვრო მნიშვნელობებს $L+\gamma$-ზე მარცხნიდან და მარჯვნიდან შესაბამად.

მოვიყვანოთ ახლა სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში კარგად ცნობილი ე. წ. შებრუნების ფორმულები, რომლითაც ჩვენ ქვემოთ ვისარგებლებთ.

სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას

$$\frac{1}{\pi i}\int_{\gamma}\frac{\varphi(t)\,dt}{t-t_0}=F(t_0),$$

სადაც γ ზემოგანხილულ შეკრულ კონტურთა ერთობლიობაა და $F(t_0)$ აკმაყოფილებს ჰელდერის პირობას ყველგან γ-ზე, აქვს ერთადერთი ამოხსნა

$$\varphi(t_0)=\frac{1}{\pi i}\int_{\gamma}\frac{F(t)\,dt}{t-t_0}. \qquad (1,\ 6)$$

განვიხილოთ ახლა ინტეგრალური განტოლება:

$$\frac{1}{\pi}\int_{L}\frac{\psi(t)\,dt}{t-t_0}=F^*(t_0)+C_k^*\ L_k\text{-ზე}\ (k=1,\ \ldots,\ n), \qquad (1,\ 7)$$

სადაც L ზემოგანხილულ ღია $L_k=a_kb_k$ კონტურთა ერთობლიობაა, $F^*(t_0)$ აკმაყოფილებს ჰელდერის პირობას ყველგან L-ზე, C_k^* მუდმივებია, რომელნიც წინასწარ არ არიან მოცემული და იმ პირობით უნდა განისაზღვროს, რომ $\psi(t)$ ნული ხდებოდეს a_k და b_k ბოლოებზე. როგორც ცნობილია (იხ. [1], § 90), C_k^* მუდმივების ასე შერჩევა ყოველთვის შეიძლება და (1, 7) განტოლების ამოხსნა მოიცემა ფორმულით:

$$\psi(t_0)=-\frac{\sqrt{R(t_0)}}{\pi}\int_{L}\frac{F^*(t)}{\sqrt{R(t)}}\left[\frac{1}{t-t_0}+\sum_{k=1}^{n}\omega_k(t)\int_{L_k}\frac{dt_1}{\sqrt{R(t_1)}\,(t_1-t_0)}\right]dt, \qquad (1,\ 8)$$

სადაც $\omega_k(t)$ გარკვეული პოლინომებია, რომელთა რიგი $n-1$-ს არ აღემატება.

$$R(t)=\prod_{k=1}^{n}(t-a_k)\ (t-b_k),$$

ამასთან C_k^* მუდმივები განისაზღვრებიან სავსებით ცალსახად:

$$C_k^*=\int_{L}\frac{\omega_k(t)\,F^*(t)\,dt}{\sqrt{R(t)}}\ (k=1,\ 2,\ \ldots,\ n). \qquad (1,\ 9)$$

დავუბრუნდეთ ახლა (1, 5) ინტეგრალურ განტოლებათა სისტემას, რომელიც შეიძლება ასე გადავწეროთ:

$$\frac{1}{\pi}\int_{\gamma}\frac{\mu\,dt}{t-t_0}=F_1(t_0)\ \gamma\text{-ზე},$$
$$\frac{1}{\pi}\int_{L}\frac{\nu\,dt}{t-t_0}=F_2(t_0)+C_k\ L_k\text{-ზე}\ (k=1,\ \ldots,\ n), \tag{1, 10}$$

სადაც

$$F_1(t_0)=f_1(t_0)-\frac{1}{\pi}\int_{L}\frac{\nu\,dr}{r}-\frac{1}{\pi i}\int_{\gamma}\mu\,\frac{d\Phi(t_0,t)}{ds}\,ds-\int_{\gamma}k(t_0,t)\,\mu(t)\,ds,$$
$$F_2(t_0)=f_2(t_0)-\frac{1}{\pi}\int_{\gamma}\frac{\mu\,dr}{r}-\frac{1}{\pi i}\int_{L}\nu\,\frac{d\Phi(t_0,t)}{ds}\,ds. \tag{1, 11}$$

თუ ახლა (1, 10)-ის პირველი განტოლებისათვის ვისარგებლებთ შებრუნების (1, 6) ფორმულით, ხოლო (1, 10)-ის მეორე განტოლებისათვის (1, 8) ფორმულით და გავითვალისწინებთ $F_1(t_0)$-ის და $F_2(t_0)$-ის (1, 11) მნიშვნელობებს, მივიღებთ ფრედჰოლმის შემდეგ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემას:

$$\mu(t_0)+\int_{\gamma}K_{11}(t_0,t)\ \mu(t)\,dt+\int_{L}K_{12}(t_0,t)\ \nu(t)\,dt=f_1^*(t_0)\ \gamma\text{-ზე},$$
$$\nu(t_0)+\int_{\gamma}K_{21}(t_0,t)\ \mu(t)\,dt+\int_{L}K_{22}(t_0,t)\ \nu(t)\,dt=f_2^*(t_0)\ L\text{-ზე}, \tag{1, 12}$$

სადაც $K_{ij}(t_0,t)$ და $f_i^*(t_0)$ $(i,j=1,2)$ სავსებით განსაზღვრული ფუნქციებია, რომელთა მნიშვნელობების ამოწერა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, ამასთან C_k' მუდმივები, (1, 9) ფორმულის ძალით, ასე წარმოიდგინება:

$$C_k=\int_{L}\frac{\omega_k(t)\,F_2(t)}{\sqrt{R(t)}}\,dt. \tag{1, 13}$$

ცხადია, რომ თუ (1, 12) სისტემას ამოხსნა აქვს, მაშინ, აუცილებლად $\nu(a_k)=\nu(b_k)=0$.

დავამტკიცოთ ახლა, რომ (1, 12) ინტეგრალურ განტოლებათა სისტემის ამოხსნა არ შეიძლება კომპლექსური ფუნქციები იყოს. მართლაც, თუ (1, 12) სისტემის ამოხსნა $\mu(t)$ და $\nu(t)$ კომპლექსური ფუნქციებია, მაშინ მათი ვითარსი ნაწილები, (1, 4)-ის ძალით, შემდეგ სისტემას უნდა აკმაყოფილებდნენ:

$$\frac{1}{\pi}\int_{\gamma}\frac{\mu^*\,dr}{r}+\frac{1}{\pi}\int_{L}\frac{\nu^*\,dr}{r}=C_j\ \gamma_j\text{-ზე}\ (j=0,\ 1,\ \ldots,\ m),$$
$$\frac{1}{\pi}\int_{\gamma}\frac{\mu^*\,dr}{r}+\frac{1}{\pi}\int_{L}\frac{\nu^*\,dr}{r}=C_k'\ L_k\text{-ზე}\ (k=1,\ \ldots,\ n), \tag{1, 14}$$

სადაც $\mu^* = J_m \mu(t)$, $\nu^* = J_m \nu(t)$ C_j და C_k' გარკვეული არსი მუდმივებია.

განვიხილოთ ახლა D^+ არეში ჰოლომორფული ფუნქცია $\Phi(z)$, განსაზღვრული ფორმულით:

$$\Phi(z) = \frac{1}{\pi}\int_{\gamma} \frac{\mu^* dt}{t-z} + \frac{1}{\pi}\int_{L} \frac{\nu^* dt}{t-z}.$$

(1, 14)-ის ძალით, ცხადია გვექნება:

$$u = C_j \text{ } \gamma_j\text{-ზე } (j=0, 1, \ldots, m) \text{ და } u = C_k' \text{ } L_k\text{-ზე } (k=1, 2, \ldots, n),$$

სადაც

$$u(z) = Re\,\Phi(z) = \frac{1}{\pi}\int_{\gamma} \frac{\mu^* dr}{r(t, z)} + \frac{1}{\pi}\int_{L} \frac{\nu^* dr}{r(t, z)}.$$

ამიტომ (1, 2) სასაზღვრო ამოცანის შესახებ ზემოთქმულის ძალით მივიღებთ $u = \text{const}$ D^+-ში. მაგრამ ვინაიდან $u^+(t_0) = u^-(t_0)$ γ-ზე და $u(\infty) = 0$, ამიტომ $u \equiv 0$ მთელს სიბრტყეზე. ამის შემდეგ ცხადია, რომ

$$\begin{aligned} &\Phi(z) = Ci \text{ } D^+ \text{ არეში,} \\ &\Phi(z) = C_k^* i, \text{ } D_k^- \text{ არეში } (k=0, 1, \ldots, m), \end{aligned} \qquad (1, 15)$$

სადაც D_0^--ით აღნიშნულია უსასრულო არე, მოთავსებული γ_0 კონტურის გარეთ, ხოლო D_k^--ით $(k=1, 2, \ldots, m)$ — სასრული არე, მოთავსებული γ_k კონტურის შიგნით, C და C_k^* $(k=1, \ldots, m)$ ნებისმიერი არსი მუდმივებია.

პლემელის ცნობილი ფორმულების ძალით გვექნება

$$\Phi^+(t_0) - \Phi^-(t_0) = 2\nu^* \text{ } L_k\text{-ზე } (k=1, 2, \ldots, n),$$

$$\Phi^+(t_0) - \Phi^-(t_0) = 2\mu^* i \text{ } \gamma_j\text{-ზე } (j=0, 1, \ldots, m),$$

საიდანაც, (1, 15) ფორმულების ძალით, ვღებულობთ

$$\nu^*(t_0) = 0 \text{ } L_k\text{-ზე } (k=1, 2, \ldots, n), \quad \mu^* = \frac{C - C_j^*}{2} \text{ } \gamma_j\text{-ზე } (j=0, 1, \ldots, m).$$

თუ ამ მნიშვნელობებს (1, 14)-ის პირველ განტოლებაში შევიტანთ და გავითვალისწინებთ, რომ

$$C_j = \int_{\gamma_j} \rho_j(t)\,\mu^*(t)\,ds \quad (j=0, 1, \ldots, m)$$

მივიღებთ

$$C_j = \frac{1}{2}\left(C - C_j^*\right)\int_{\gamma_j} \rho_j(t)\,ds = 0.$$

მაგრამ, ვინაიდან $\int_{\gamma_j} \rho_j(t)\,ds \neq 0$, ამიტომ $C - C_j^* = 0$ და, მაშასადამე, $\mu^* = 0$.

ამრიგად (1, 12) სისტემას მხოლოდ არსი ამოხსნები შეიძლება ჰქონდეს.

სავსებით ასევე შეიძლება დავამტკიცოთ, რომ (1, 12) სისტემის შესაბამ ერთგვაროვან სისტემას მხოლოდ ნულოვანი ამოხსნა აქვს და, მაშასადამე, (1, 12) სისტემა ყოველთვის ამოხსნადია. თუ (1, 12) სისტემის ამოხსნას შევიტანთ (1, 3) ფორმულის მარჯვენა მხარეში მივიღებთ D^+ არეში ჰოლომორფულ $\Phi(z)$ ფუნქციას, რომლის არსი ნაწილიც ჩვენი ამოცანის ამოხსნას წარმოადგენს.

§ 2. დირიხლეს ამოცანის ამოხსნა. ჩვენი მიზანია ამოვხსნათ ახლა დირიხლეს კლასიკური ამოცანა:

მოვნახოთ D^+ არეში ჰარმონიული ფუნქცია $U(z)$ შემდეგი სასაზღვრო პირობით:

$$\begin{aligned} U^+(t_0) &= f_1(t_0) \ \gamma\text{-ზე}, \\ U^+(t_0) &= U^-(t_0) = f_2(t_0) \ L\text{-ზე}, \end{aligned} \tag{2, 1}$$

სადაც $f_1(t_0)$ და $f_2(t_0)$ შესაბამად γ-ზე და L-ზე მოცემული ფუნქციებია, რომელნიც აკმაყოფილებენ ჰელდერის პირობას[1].

მას შემდეგ რაც ამოხსნილია დირიხლეს სახეშეცვლილი ამოცანა; დირიხლეს კლასიკური ამოცანის ამოხსნა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს: ამ უკანასკნელის ამოხსნა წინაზე შეიძლება დავიყვანოთ. ეს დაყვანა შესაძლებელი ხდება სრულიად ისეთივე მეთოდით, როგორიც არა ერთხელ იყო გამოყენებული აკად. ნ. მუსხელიშვილის მიერ სხვადასხვა ამოცანების ამოხსნის დროს (იხ. [1] § 63, § 120 და აგრეთვე [3]).

ვეძიოთ (2, 1) ამოცანის ამოხსნა შემდეგი სახით:

$$U = u + \sum_{k=0}^{m} A_k \ln|z - z_k| + \sum_{k=1}^{n} B_k \int_{L_k} \ln|z - t|\,ds, \tag{2, 2}$$

სადაც z_k წარმოადგენს D_k^- $(k = 0, 1, \ldots, m)$ არეში ნებისმიერად დაფიქსირებულ წერტილს, A_k და B_k ჯერჯერობით განუსაზღვრელი არსი მუდმივებია, u საძიებელი ჰარმონიული ფუნქციაა, რომელიც D^+ არეში ჰოლომორფული ფუნქციის არს ნაწილს წარმოადგენს.

ვიგულისხმოთ ჯერჯერობით, რომ γ_0 კონტური ნამდვილად გვაქვს და მაშასადამე, D^+ სასრული არეა.

u განვსაზღვროთ, როგორც ამოხსნა დირიხლეს სახეშეცვლილი ამოცანისა:

$$u = f_1(t_0) - \sum_{k=0}^{m} A_k \ln|t_0 - z_k| - \sum_{k=1}^{n} B_k \int_{L_k} \ln|t_0 - t|\,ds + C_j \ \gamma_j\text{-ზე}$$

$$(j = 0, 1, \ldots, m),$$

[1] ადვილად დამტკიცდება, რომ დირიხლეს ამ ამოცანას ერთზე მეტი ამოხსნა არა აქვს.

$$u = f_2(t_0) - \sum_{k=0}^{m} A_k \ln|t_0 - z_k| - \sum_{k=1}^{n} B_k \int_{L_k} \ln|t_0 - t|\, ds + C_j \quad L_j\text{-ზე}$$
$$(j = 1, 2, \ldots, n).$$

წინა პარაგრაფში მიღებული შედეგების ძალით, ეს ამოცანა ყოველთვის ამოხსნადია და u წარმოიდგინება, როგორც არსი ნაწილი (1, 3) სახის ფორმულით განსაზღვრული ფუნქციისა, ამასთან აღვილი მისახვედრია, რომ $C_j (j = 0, 1, \ldots, m)$ და $C'_j (j = 1, 2, \ldots, n)$ მუდმივები შემდეგი სახით წარმოიდგინებიან:

$$\begin{aligned} C_j &= \sum_{k=0}^{m} \alpha_{jk} A_k + \sum_{k=1}^{n} \beta_{jk} B_k + \delta_j \\ &\quad (j = 0, 1, \ldots, m), \\ C'_j &= \sum_{k=0}^{m} \alpha'_{jk} A_k + \sum_{k=1}^{n} \beta'_{jk} B_k + \delta'_j \\ &\quad (j = 1, 2, \ldots, n), \end{aligned} \tag{2, 3}$$

სადაც α_{ik}, β_{ik}, α'_{ik}, β'_{ik} გარკვეული მუდმივებია, დამოუკიდებელი f_1 და f_2 ფუნქციებისაგან; δ_j და δ'_j აგრეთვე გარკვეული მუდმივებია, რომელნიც f_1 და f_2 ფუნქციებზეა დამოკიდებული და ნული ხდებიან მათთან ერთად. შევარჩიოთ ახლა $A_k (k = 0, 1, \ldots, m)$ და $B_k (k = 1, 2, \ldots, n)$ მუდმივები ისე, რომ $C_j = 0$ და $C'_j = 0$. (2, 3) სისტემა მოგვცემს:

$$\begin{aligned} &\sum_{k=0}^{m} \alpha_{jk} A_k + \sum_{k=1}^{n} \beta_{jk} B_k = -\delta_j \quad (j = 0, 1, \ldots, m), \\ &\sum_{k=0}^{m} \alpha'_{jk} A_k + \sum_{k=1}^{n} \beta'_{jk} B_k = -\delta' \quad (j = 1, 2, \ldots, n). \end{aligned} \tag{2, 4}$$

ამ სისტემის დეტერმინატი განსხვავებულია ნულისაგან. მართლაც, წინააღმდეგ შემთხვევაში (2, 4) სისტემის შესაბამ ერთგვაროვან სისტემას, რომელიც ბიიღება $f_1 = 0$ და $f_2 = 0$ შემთხვევისათვის, ექნება ნულისაგან განსხვავებული ამოხსნა. მაშინ (2, 2) ფორმულის ძალით ჩვენ მივიღებთ ჰარმონიულ ფუნქციას:

$$u + \sum_{k=0}^{m} A_k \ln|z - z_k| + \sum_{k=1}^{n} B_k \int_{L_k} \ln|z - t|\, ds,$$

რომელიც ნულად იქცევა $\gamma + L$-ზე და მაშასადამე,

$$u + \sum_{k=0}^{m} A_k l_n |z - z_k| + \sum_{k=1}^{n} B_k \int_{L_k} l_n |z - t| \, ds \equiv 0 \quad D^+ \text{ არეში.}$$

ანუ ახლა გავითვალისწინებთ, რომ u წარმოადგენს D^+ არეში ჰოლომორფული ფუნქციის არს ნაწილს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ

$$A_k = 0 \ (k = 0, 1, \ldots, m), \quad B_k = 0 \ (k = 1, 2, \ldots, n).$$

მაშასადამე, (2, 4) სისტემა ამოხსნადია A_k, B_k მუდმივების მიმართ. თუ მუდმივების ამ მნიშვნელობას შევიტანთ (2, 2) გამოსახულებაში, მივიღებთ დირიხლეს ამოცანის ამოხსნას.

ვთქვათ ახლა γ_0 არა გვაქვს და, მაშასადამე, D^+ წარმოადგენს უსასრულო არეს. ვეძიოთ ამ შემთხვევაში დირიხლეს ამოცანის, უსასრულოში შემოსაზღვრული, ამოხსნა შემდეგი სახით:

$$U = u + \sum_{k=1}^{m} A_k l_n |z - z_k| + \sum_{k=1}^{n} B_k \int_{L_k} l_n |z - t| \, ds + U_0,$$

სადაც A_k, B_k და U_0 ჯერჯერობით განუსაზღვრელი მუდმივებია. A_k და B_k მუდმივებისაგან მოვითხოვთ, რომ

$$\sum_{k=1}^{m} A_k = 0, \quad \sum_{k=1}^{n} B_k = 0.$$

ამ პირობებში $\sum_{k=1}^{m} A_k l_n |z - z_k|$ და $\sum_{k=1}^{n} B_k \int_{L_k} l_n |z - t| \, ds$ გამოსახულებები ისპობიან უსასრულოში. ამის შემდეგ დირიხლეს ამოცანის ამოხსნა მიიღება სავსებით ისე, როგორც წინა შემთხვევის დროს.

§ 3. ერთი შერეული ტიპის სასაზღვრო ამოცანის ამოხსნა. ვთქვათ ახლა D^+ წარმოადგენს მარტივადბმულ სასრულ არეს, შემოსაზღვრულს შეკრული გლუვი კონტურით Γ. ვიგულისხმოთ, რომ Γ კონტურს აქვს უწყვეტი სიმრუდე, რომელიც ჰელდერის პირობას აკმაყოფილებს. Γ კონტურზე დადებით მიმართულებად, როგორც ყოველთვის, მიღებულია ის მიმართულება, რომელიც D^+ არეს მარცხნივ სტოვებს. ვთქვათ Γ კონტური გაყოფილია ორ ნაწილად $\Gamma_1 = ab$ და $\Gamma_2 = ba$ ($\Gamma = \Gamma_1 + \Gamma_2$); ყოველ მათგანზე დადებითი მიმართულება ემთხვევა Γ კონტურზე დადებით მიმართულებას.

ჩვენს მიზანს შეადგენს შემდეგი ამოცანის ამოხსნა:

მოვნახოთ D^+ არეში ჰოლომორფული ფუნქცია $\Phi(z)=u+iv$, რომელიც უწყვეტად გაგრძელებადია ყველგან Γ-ზე, შემდეგი სასაზღვრო პირობით:

$$\begin{aligned} u&=f_1(t_0)+C_1 \quad \Gamma_1\text{-ზე},\\ v&=f_2(t_0)+C_2 \quad \Gamma_2\text{-ზე}, \end{aligned} \tag{3, 1}$$

სადაც $f_1(t_0)$ და $f_2(t_0)$ შესაბამად Γ_1-ზე და Γ_2-ზე მოცემული არსი ფუნქციებია, რომელნიც აკმაყოფილებენ ჰელდერის პირობას, C_1 და C_2 არსი მუდმივებია, რომელნიც წინასწარ არ არიან მოცემული და შემდეგში განისაზღვრებიან.

განვიხილოთ ჯერჯერობით შემთხვევა: $f_1(t_0)\equiv 0$ Γ_1-ზე და $f_2(t_0)\equiv 0$ Γ_2-ზე; მაშინ (3, 1) სასაზღვრო პირობა მოგვცემს

$$\begin{aligned} u&=C_1 \quad \Gamma_1\text{-ზე},\\ v&=C_2 \quad \Gamma_2\text{-ზე}. \end{aligned} \tag{3, 2}$$

ცხადია, $\Phi(z)=C_1+iC_2$ წარმოადგენს (3, 2) სასაზღვრო ამოცანის ამოხსნას. ამ ამოცანას სხვა სახის ამოხსნა არა აქვს. მართლაც, ვთქვათ $\Phi(z)$ (3, 2) ამოცანის რაიმე ამოხსნაა, განვიხილოთ ფუნქცია:

$$\Psi(z)=\Phi(z)-(C_1+iC_2).$$

ცხადია გვექნება

$$\begin{aligned} u_1&=Re\,\Psi(z)=0 \quad \Gamma_1\text{-ზე},\\ v_1&=Jm\,\Psi(z)=0 \quad \Gamma_2\text{-ზე}. \end{aligned} \tag{3, 3}$$

გადავსახოთ D^+ არე ზედა ნახევარსიბრტყეზე კონფორმულად ისე, რომ a წერტილი გადაიდეს კოორდინატთა სათავეში და b წერტილი კი უსასრულობაში. $\Gamma_1=ab$ წირი გადაისახება $y=0$, $x\geqslant 0$ ნახევარწრფეზე, ხოლო $\Gamma_2=ba$ წირი კი $y=0$, $x\leqslant 0$ ნახევარწრფეზე.

(3, 3) პირობების ძალით გვექნება

$$\begin{aligned} u_1&=Re\,\Psi=0 \text{ როცა } y=0 \quad x\geqslant 0,\\ v_1&=Jm\,\Psi=0 \text{ როცა } y=0 \quad x\leqslant 0. \end{aligned}$$

ანალიზურ ფუნქციათა თეორიაში კარგად ცნობილი სიმეტრიის პრინციპის ძალით $\Psi(z)$ ფუნქცია შეიძლება ანალიზურად გაეაგრძელოთ x ღერძის ქვემოთ. ასეთი გაგრძელების შემდეგ მივიღებთ მთელს სიბრტყეზე განსაზღვრულ ანალიზურ ფუნქციას $\Psi^*(z)$, ამასთან თუ $z=x+iy$ $y\geqslant 0$, მაშინ

$$\Psi^*(z)=\Psi(z)=u_1+iv_1$$

$$\Psi^*(\bar z)=-u_1+iv_1, \text{ როცა } x>0 \text{ და}$$

$$\Psi^*(\bar z)=u_1-iv_1, \text{ როცა } x<0, \text{ სადაც}$$

$$\bar z=x-iy.$$

ამიტომ, ცხადია, რომ ფუნქცია $\Omega(\zeta)$, განსაზღვრული ფორმულით:

$$\Omega(\zeta) = \frac{1}{\sqrt{\zeta}}\Psi^*(\zeta),$$

ჰოლომორფულია მთელს სიბრტყეზე, გარდა, შეიძლება, კოორდინატთა სათავისა, სადაც მას ერთზე დაბალი რიგის წყვეტა შეიძლება ჰქონდეს, ამასთან $\Omega(\infty)=0$. როგორც ადვილი მისახვედრია, კოორდინატთა სათავე $\Omega(\zeta)$ ფუნქციისათვის შეიძლება იყოს· მხოლოდ ასაცილებელი საგანგებო წერტილი· და გვექნება

$$\Omega(\zeta)\equiv 0,$$

მაშასადამე, $\Psi^*(\zeta)\equiv 0$ და $\Psi(\zeta)=0$ D^+ არეში; ამრიგად

$$\Phi(\zeta)=C_1+iC_2.$$

ამით ჩვენი დებულება დამტკიცებულია. თუ კერძოდ $C_1=C_2=0$, მაშინ $\Phi(\zeta)\equiv 0$ D^+ არეში.

ვეძიოთ (3, 1) სასაზღვრო ამოცანის ამოხსნა შემდეგი სახით:

$$\Phi(\zeta) = \frac{1}{\pi}\int_{\Gamma_1}\frac{\mu(t)\,dt}{t-\zeta} + \frac{1}{\pi i}\int_{\Gamma_2}\frac{\nu(t)\,dt}{t-\zeta}, \tag{3, 4}$$

სადაც $\mu(t)$ და $\nu(t)$ საძიებელი არსი ფუნქციებია, რომელნიც აკმაყოფილებენ ჰელდერის პირობას, ამისთან $\mu(a)=\mu(b)=\nu(a)=\nu(b)=0$. თუ შემოვიღებთ აღნიშვნას $t-\zeta=re^{i\vartheta}$, მაშინ, (3, 1) სასაზღვრო პირობის ძალით, მივიღებთ:

$$\begin{aligned}
&\frac{1}{\pi}\int_{\Gamma_1}\frac{\mu\,dr}{r} + \frac{1}{\pi}\int_{\Gamma_2}\nu(t)\,d\vartheta(t_0,t) = f_1(t_0) + C_1 \ \ \Gamma_1\text{-ზე},\\
&-\frac{1}{\pi}\int_{\Gamma_3}\frac{\nu(t)\,dr}{r} + \frac{1}{\pi}\int_{\Gamma_1}\mu\,d\vartheta(t_0,t) = f_2(t_0) + C_2 \ \ \Gamma_2\text{-ზე}.
\end{aligned} \tag{3, 5}$$

თუ ახლა გავითვალისწინებთ, რომ $\ln r = \ln(t-t_0) - i\vartheta$ და, მაშასადამე, $\frac{dr}{r(t_0,t)} = \frac{dt}{t-t_0} - i\frac{d\vartheta(t_0,t)}{ds}\,ds$, ამასთან $ds = e^{-i(\vartheta+\alpha)}\,dt$, სადაც $\alpha(t_0,t)$ არის კუთხე $t_0\bar{t}$ ვექტორსა და t წერტილზე გავლებული მხების დადებით მიმართულებას შორის, (3, 5) სისტემიდან მივიღებთ:

$$\begin{aligned}
&\frac{1}{\pi}\int_{\Gamma_1}\frac{\mu(t)\,dt}{t-t_0} = F_1(t_0) + C_1 \ \ \Gamma_1\text{-ზე},\\
&\frac{1}{\pi}\int_{\Gamma_2}\frac{\nu(t)\,dt}{t-t_0} = F_2(t_0) - C_2 \ \ \Gamma_2\text{-ზე},
\end{aligned} \tag{3, 6}$$

სადაც

$$F_1(t_0) = f_1(t_0) - \frac{1}{\pi i}\int_{\Gamma_1} \frac{\operatorname{Sin}[\alpha(t_0,t)]\, e^{-i\alpha(t_0,t)}}{t-t_0}\,\mu\,dt - \frac{1}{\pi}\int_{\Gamma_2} \nu\,\frac{d\vartheta}{ds}\,e^{-i(\alpha+\vartheta)}\,dt,$$

$$F_2(t_0) = -f_2(t_0) - \frac{1}{\pi i}\int_{\Gamma_2} \frac{\operatorname{Sin}\alpha\, e^{-i\alpha}}{t-t_0}\,\nu(t)\,dt + \frac{1}{\pi}\int_{\Gamma_1} \mu\,\frac{d\vartheta}{ds}\,e^{-i(\alpha+\vartheta)}\,dt.$$

შევარჩიოთ ახლა C_1 და C_2 მუდმივები ისე, რომ (3, 6) სისტემის ამოხსნა μ და ν ნული ხდებოდეს a და b წერტილებზე. ამისათვის მოვიგონოთ შებრუნების ცნობილი ფორმულა: ვთქვათ საძიებელია ab ღია წირზე ფუნქცია $\varphi(t)$ (რომელიც ჰელდერის პირობას აკმაყოფილებს) და მუდმივი C ისე, რომ ადგილი ჰქონდეს ტოლობას:

$$\frac{1}{\pi}\int_{ab} \frac{\varphi(t)\,dt}{t-t_0} = f(t_0) + C,$$

სადაც $f(t_0)$ მოცემული ფუნქციაა, რომელიც ჰელდერის პირობას აკმაყოფილებს; ამ განტოლების ერთადერთი ამოხსნა მოიცემა ფორმულით (იხ. [1], გვ. 265)

$$\varphi(t_0) = -\frac{\sqrt{(t_0-a)(t_0-b)}}{\pi}\int_{ab} \frac{f(t)\,dt}{\sqrt{(t-a)(t-b)}\,(t-t_0)},$$

$$C = \frac{1}{\pi i}\int_{ab} \frac{f(t)\,dt}{\sqrt{(t-a)(t-b)}}.$$

შებრუნების ამ ფორმულის გამოყენებით ადვილად დავრწმუნდებით, რომ (3, 6), ანუ რაც იგივეა (3, 5) სისტემა, ფრედჰოლმის შემდეგი სახის ინტეგრალურ განტოლებათა სისტემის ტოლფასია:

$$\begin{aligned}
&\mu(t_0) + \frac{1}{\pi}\int_{\Gamma_1} K_{11}(t_0,t)\,\mu(t)\,dt + \frac{1}{\pi}\int_{\Gamma_2} K_{12}(t_0,t)\,\nu(t)\,dt = G_1(t_0),\\
&\nu(t_0) + \frac{1}{\pi}\int_{\Gamma_1} K_{21}(t_0,t)\,\mu(t)\,dt + \frac{1}{\pi}\int_{\Gamma_2} K_{22}(t_0,t)\,\nu(t)\,dt = G_2(t_0)
\end{aligned} \qquad (3,\ 7)$$

სადაც $K_{ij}(t_0,t)$ $(i,j=1,2)$ და $G_i(t_0)$ გარკვეული ფუნქციებია, რომელნიც ჰელდერის პირობას აკმაყოფილებენ და რომელთა მნიშვნელობების ამოწერაც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს; ამასთან

$$C_1 = \frac{1}{\pi i}\int_{\Gamma_1}\frac{F_1(t)\,dt}{\sqrt{(t-a)(t-b)}},$$
$$C_2 = -\frac{1}{\pi i}\int_{\Gamma_2}\frac{F_2(t)\,dt}{\sqrt{(t-a)(t-b)}}. \qquad (3,\ 8)$$

ცხადია, რომ (3, 7) სისტემის ამოხსნა (თუ მას ამოხსნა აქვს) ნული ხდება a და b წერტილებზე.

(3, 7) ინტეგრალურ განტოლებათა სისტემას არ შეიძლება კომპლექსური ამოხსნა ჰქონდეს.

მართლაც, ვთქვათ მას აქვს კომპლექსური ამოხსნა $\mu=\mu_1+i\mu_2$, $\nu=\nu_1+i\nu_2$. (3, 5)-ის ძალით μ_2, ν_2 შემდეგ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემას უნდა აკმაყოფილებდეს:

$$\frac{1}{\pi}\int_{\Gamma_1}\frac{\mu_2\,dr}{r}+\frac{1}{\pi}\int_{\Gamma_2}\nu_2\,d\vartheta = C_1'',$$
$$\frac{1}{\pi}\int_{\Gamma_1}\mu_2\,d\vartheta-\frac{1}{\pi}\int_{\Gamma_2}\frac{\nu_2\,dr}{r}=C_2''. \qquad (3,\ 9)$$

სადაც $C_1''=J_m C_1$, $C_2''=J_m C_2$, ამასთან C_1 და C_2 (3, 8) ფორმულებით განსაზღვრული მუდმივებია. განვიხილოთ D^+ არეში ჰოლომორფული ფუნქცია

$$\Phi_2(z)=u_2+iv_2=\frac{1}{\pi}\int_{\Gamma_1}\frac{\mu_2(t)\,dt}{t-z}+\frac{1}{\pi i}\int_{\Gamma_2}\frac{\nu_2(t)\,dt}{t-z}. \qquad (3,\ 10)$$

(3, 9) ტოლობების ძალით გვექნება

$$u_2 = C_1'' \quad \Gamma_1\text{-ზე},$$
$$v_2 = C_2'' \quad \Gamma_2\text{-ზე}. \qquad (3,\ 11)$$

ეს უკანასკნელი (3, 2) სახის სასაზღვრო ამოცანას წარმოადგენს. ამ ამოცანის შესახებ ზემონათქვამის ძალით

$$\Phi_2(z) = C_1''+iC_2'' \quad D^+ \text{ არეში}.$$

გარდა ამისა ცხადია, რომ

$$u_2^+(t_0) = u_2^-(t_0) \quad \Gamma_1\text{-ზე},$$
$$v_2^+(t_0) = v_2^-(t_0) \quad \Gamma_2\text{-ზე}, \qquad (3,\ 12)$$

სადაც u_2^-, v_2^- წარმოადგენენ (3, 10) ფორმულით განსაზღვრული ფუნქციის არსი და ეითარსი ნაწილის სასაზღვრო მნიშვნელობებს კონტურზე D^- არი-

დან, ამასთან D^- წარმოადგენს უსასრულო არეს, რომელიც $D^+ + \Gamma$-ს მთელ სიბრტყემდე ავსებს. (3, 11)-ისა და (3, 12)-ის ძალით გვექნება

$$u_2^-(t_0) = C_1'' \ \Gamma_1\text{-ზე},$$

$$v_2^-(t_0) = C_2'' \ \Gamma_2\text{-ზე}.$$

თუ ამის შემდეგ მოვიქცევით ისე, როგორც (3, 2) ამოცანისათვის, დავრწმუნდებით, რომ $\Phi_2(z) = C_1'' + iC_2''$ D^- არეში. მაგრამ ვინაიდან $\Phi_2(\infty) = 0$, ამიტომ, ცხადია, $\Phi_2(z) \equiv 0$ მთელს სიბრტყეზე. თუ ამის შემდეგ ვისარგებლებთ პლემელის ცნობილი ფორმულებით, დავრწმუნდებით, რომ $\mu_2(t_0) = 0$ Γ_1-ზე და $\nu_2(t_0) = 0$ Γ_2-ზე.

საკმაოდ ასევე შეიძლება ვაჩვენოთ, რომ (3, 7) სისტემის შესაბამ ერთგვაროვან ინტეგრალურ განტოლებათა სისტემას არ შეიძლება ნულისაგან განსხვავებული ამოხსნა ჰქონდეს. ამიტომ, (3, 7) სისტემა ყოველთვის ამოხსნადია და ამ სისტემის ამოხსნის საშუალებით, (3, 4) ფორმულით, შედგენილი $\Phi(z)$ ფუნქცია იძლევა დასმული ამოცანის ამოხსნას.

განვიხილოთ ახლა ფუნქცია:

$$\Omega(z) = \Phi(z) - (C_1 + iC_2). \tag{3, 13}$$

ვინაიდან $\Phi(z)$ (3, 1) სასაზღვრო პირობებს აკმაყოფილებს, ამიტომ, ცხადია, $\Omega(z)$ შემდეგ სასაზღვრო პირობებს აკმაყოფილებს:

$$\begin{aligned} U &= Re\,\Omega^+(t_0) = f_1(t_0) \ \ \Gamma_1\text{-ზე}, \\ V &= J_m\,\Omega^+(t_0) = f_2(t_0) \ \ \Gamma_2\text{-ზე} \end{aligned} \tag{3, 14}$$

ამრიგად, (3, 13) ფორმულით განსაზღვრული ჰოლომორფული ფუნქცია წარმოადგენს (3, 14) შერეული სასაზღვრო ამოცანის ამოხსნას.

ამოვხსნათ ახლა შემდეგი შერეული სახის სასაზღვრო ამოცანა: მოვნახოთ D^+ არეში ჰარმონიული ფუნქცია u შემდეგი სასაზღვრო პირობით:

$$u = f_1(t_0) \ \ \Gamma_1\text{-ზე},$$

$$\frac{du}{dn} = f_2(t_0) \ \ \Gamma_2\text{-ზე},$$

სადაც $f_1(t_0)$, $f_2(t_0)$ შესაბამად Γ_1-ზე და Γ_2-ზე მოცემული არსი ფუნქციებია, რომელნიც ჰელდერის პირობას აკმაყოფილებენ.

ეს ამოცანა ზემოგანხილული (3, 14) სახის ამოცანამდე შეიძლება მივიყვანოთ. მართლაც, აღვნიშნოთ v-თი u ფუნქციის შეუღლებული ჰარმონიული ფუნქცია. კოში-რიმანის პირობის ძალით გვექნება

$$\frac{dv}{ds} = \frac{du}{dn} = f_2(t_0) \ \ \Gamma_2\text{-ზე},$$

საიდანაც $v = f_2^*(t_0) = \int_{s_0}^{s} f_2\, ds$, სადაც s რკალური აბსცისია, რომელიც აითვლება Γ კონტურის გარკვეული წერტილიდან. ამრიგად, საძიებელია ჰოლომორფული ფუნქცია $u + iv$ შემდეგი სასაზღვრო პირობით:

$$u = f_1(t_0) \quad \Gamma_1\text{-ზე},$$
$$v = f_2^*(t_0) \quad \Gamma_2\text{-ზე}.$$

ეს უკანასკნელი კი (3, 14) სახის სასაზღვრო ამოცანას წარმოადგენს.

ციტირებული ლიტერატურა

1. Н. И. Мусхелишвили, **Сингулярные интегральные уравнения** М.-Л., 1946.
2. ნ. ვეკუა, ზოგიერთი სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებისა და პოტენციალთა თეორიის სასაზღვრო ამოცანების შესახებ: თბილისის მათემატიკური ინსტიტუტის შრომები, ტ. X, 1941 წ.
3. Н. И. Мусхелишвили, **О решении основных граничных задач теории Ньютонова потенциала. Прикладная математика и механика, т. IV, вып. IV, 1940.**

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მექანიკის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. XII. 15).

N. Vekua

О некоторых краевых задачах теории логарифмического потенциала

Резюме

1. Видоизмененная задача Дирихле для области, ограниченной несколькими замкнутыми и разомкнутыми контурами.

Пусть D^+ обозначает связную область, ограниченную простыми замкнутыми гладкими контурами $\gamma_0, \gamma_1, \ldots, \gamma_m$ и разомкнутыми гладкими контурами $L_1, L_2, \ldots, L_n$ не имеющими общих точек, причем γ_0 охватывает все остальные. Мы будем еще предполагать, что контуры $\gamma_0, \gamma_1, \ldots, \gamma_m, L_1, L_2, \ldots, L_n$ имеют кривизну, удовлетворяющую условию Гельдера. Кон-

тур γ_0 может отсутствовать и тогда область D^+ будет бесконечной. Введем обозначения

$$\gamma = \sum_{k=0}^{m} \gamma_k, \quad L = \sum_{k=1}^{n} L_k.$$

В параграфе 1 настоящего замечания дается решение следующей задачи:

Найти функцию $u(x, y)$, гармоническую в области D^+, непрерывную в $D^+ + \gamma + L$ и представляющую собой действительную часть некоторой функции $\Phi(z)$, голоморфной в D^+, по граничным условиям

$$\begin{aligned} u &= f_1(t_0) + C(t_0) \text{ на } \gamma, \\ u &= f_2(t_0) + C'(t_0) \text{ на } L, \end{aligned} \tag{1}$$

где f_1 и f_2 заданные функции, удовлетворяющие условию Гельдера, $C(t_0) = C_j$ на γ_j $(j = 0, 1, \ldots, m)$; $C'(t_0) = C'_k$ на L_k $(k = 1, \ldots, n)$, причем C_j и C'_k постоянные, не задаваемые заранее и подлежащие определению.

Эта задача, когда отсутствуют разомкнутые контуры $L_1, L_2, \ldots, L_n$, решена акад. Н. И. Мусхелишвили (см. [1] §§ 60—64).

Известно также решение этой задачи и в том случае, когда отсутствуют замкнутые контуры $\gamma_0, \gamma_1, \ldots, \gamma_m$ т. е. когда D^+ представляет собой плоскость, разрезанную вдоль L (см. [2], § 3 и [1], § 120.

Комбинируя те же самые методы, которые применяются в указанных выше случаях, приводим задачу (1) к регулярной системе интегральных уравнений Фредгольма и доказываем, что эта система имеет решение при произвольной правой части.

Применяя далее метод акад. Н. И. Мусхелишвили (см. [1], § 63. § 120), решение классической задачи Дирихле мы приводим к решению задачи (1). Это сделано в § 2 настоящей заметки.

2. Решение смешанной граничной задачи. Пусть теперь D^+ обозначает односвязную область, ограниченную замкнутым достаточно гладким контуром Γ и пусть контур Γ разделен на две части $\Gamma = ab$ и $\Gamma_2 = ba$ $(\Gamma = \Gamma_1 + \Gamma_2)$. В параграфе 3 настоящей заметки мы даем решение следующей задачи:

Найти функцию $\Phi(z) = u + iv$, голоморфную в области D^+, непрерывно продолжимую на Γ, по граничным условиям

$$\begin{aligned} u &= f_1(t_0) \text{ на } \Gamma_1, \\ v &= f_2(t_0) \text{ на } \Gamma_2, \end{aligned}$$

где f_1 и f_2 заданные функции, удовлетворяющие условию Гельдера.

При помощи решения этой задачи, легко решается также следующая смешанная задача:

Найти функцию $u(x, y)$, гармоническую в области D^+, по граничным условиям

$$u = f_1(t_0) \text{ на } \Gamma_1,$$

$$\frac{du}{dn} = f_2(t_0) \text{ на } \Gamma_2,$$

где n обозначает нормаль контура Γ.

ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ, XXXIV, 1948
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV, 1948

დ. უზნაძე

ობიექტივაციის პრობლემა

I

1. ორი სფერო სინამდვილის ზემოქმედებისა ადამიანზე. რას წარმოადგენს ის, შეიძლება ითქვას, სპეციფიკური თავისებურება, რომელიც ეგოდენ მკვეთრად განასხვავებს ადამიანს ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან. როდესაც ამ საკითხს ვაყენებთ, პირველ რიგში, რასაკვირველია, აზრი მოგვდის ენის შესახებ; ადამიანს მეტყველების უნარი აქვს, უნარი, რომელსაც ყოველივე სხვა ცოცხალი არსება აბსოლუტურად მოკლებულია.

სხვა საკითხია, პირველადს ფენომენს წარმოადგენს ეს უნარი, თუ მეორადს, ე. ი. ისეთს, რომელიც სხვა, უფრო მნიშვნელოვანისა და ძირითადი მოვლენის საფუძველზე აღმოცენდა. ამ საკითხის გაწხილვის გარეშეც სრული დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ არ არის არაფერი, გარდა ჩვენს გარეშე არსებული სინამდვილისა, რასაც ძალა შესწევს ეგოდენ დიდი გავლენა მოახდინოს ჩვენს ქცევაზე, ეგოდენ განსაზღვროს იგი, როგორც ეს ჩვენს მეტყველებას შეუძლია.

შეიძლება სხვანაირადაც გამოვთქვათ იგივე აზრი: არ არსებობს არაფერი უფრო დამახასიათებელი ადამიანისათვის, ვიდრე ის ფაქტი, რომ გარესინამდვილე მასზე ორმაგად ახდენს გავლენას—პირდაპირ, მასზე უშუალო მოქმედი გალიზიანებისა, და არაპირდაპირ, სიტყვიერი სიმბოლოს საშუალებით, რომელსაც საკუთარი, დამოუკიდებელი შინაარსი არ გააჩნია, რომელიც მხოლოდ წარმომადგენელია რაიმე უცხო გალიზიანებისა—ადამიანი აღიქვამს ან სინამდვილეში მიმდინარე პროცესების უშუალო გავლენას, ან იმ სიტყვიერ სიმბოლოთა ზემოქმედებას, მათ რომ სპეციფიკურ ფორმაში წარმოადგენენ. ამიტომ, როდესაც ცხოველის ქცევას მხოლოდ აქტუალური სინამდვილის ზემოქმედება განსაზღვრავს, ადამიანი ამ სინამდვილეს უშუალოდ არ ემორჩილება. ზოგჯერ მას შეუძლია გარესოფლის მოვლენებზე მხოლოდ იმის შემდეგ მოგვცეს რეაქცია, რაც ამ მოვლენების თავის ცნობიერებაში გარდატეხა—მათი გაცნობიერება და გააზრება მოახდინა.

თავისთავად ცხადია, ეს გარემოება ადამიანის ფრიად მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს, თავისებურებას, რომლის საფუძველზედაც, ვინ იცის, შესაძლოა, მთელი მისი უპირატესობა იყოს აღმოცენებული ყველა სხვა ცოცხალი არსების წინაშე.

მაგრამ ახლა დგება საკითხი: რაში მდგომარეობს ეს მისი უნარი, არსებითად რას ემყარება ბგი? იმისდა მიხედვით, რაც ჩვენ უკვე ვიცით მასზე ალამიანთან დაკავშირებით, ბუნებრივად ჩნდება აზრი იმ როლის შესახებ, რომელიც ამ შემთხვევაში განწყობას უნდა ჰქონდეს. ახლა ჩვენ წინაშე ამოცანა დგას — ღაეადგინოთ ამ ცნების როლი და ადგილი ადამიანის ცხოვრებაში.

თუ სწორია, რომ გარემოს უშუალო ზემოქმედების პირობებში გაშლილ ქცევას საფუძველად განწყობა უდევს, შეიძლება დადგეს საკითხი, რა ემარება მას სხვა პლანში—ვერბალური, სიტყვებში რეპრეზენტირებული სინამდვილის პლანში? აქაც თამაშობს რაიმე როლს ჩვენი განწყობა, თუ ამ სფეროში ჩვენი ქცევა სულ სხვა საფუძველზე მიმდინარეობს?

2. **ყურადღების პრობლემა.** ამ საკითხის გადაწყვეტად საჭიროა ვამოსავალ წერტილად ყურადღების პრობლემა ავიღოთ. უფრო ზუსტად, — საკითხი, თუ როგორ არის შესაძლებელი ყურადღების აქტი, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ იგი.

როგორც ვიცით, ჩვეულებრივ მიღებულად ითვლება, რომ ყურადღება, არსებითად, შერჩევას აწარმოებს, რომ იგი საშუალებას გვაძლევს ჩვენზე მოქმედ შთაბეჭდილებათა რიგიდან რომელიმე შევარჩიოთ და, ფსიქიკური ენერგიის კონცენტრაციის გზით, მისი წარმოდგენა მაქსიმალური სინათლით და სიცხადით მოვახდინოთ. ყურადღებას, ჩვეულებრივ, როგორც ახეთს სპეციფიკურს შერჩევითს უნარს განსაზღვრავენ.

მაგრამ რომ დაუკვირდეთ ამ განსაზღვრას, ვნახავთ, რამდენად გაურკვეველია იგი. მეტიც, იგი ალძრავს ისეთ საკითხთა რიგს, რომელიც წინასწარ უნდა იქნეს გაშუქებული და გადაწყვეტილი, რათა ყურადღების საერთოდ ესა თუ ის განსაზღვრება გახდეს შესაძლებელი.

მართლაც! როგორაა შესაძლებელი, ყურადღება ისეთს რამეს მივაპყროთ, რაც ჯერ კიდევ არ გამხდარა ჩვენი ცნობიერების საგანი? იმისათვის, რომ რამეზე შევჩერდეთ, რამე ყურადღება მივაქციოთ, აუცილებელია, ეს რაღაც უკვე იყოს როგორმე მოცემული. მაგრამ იმისათვის, რომ ეს შესაძლებელი გახდეს, ე. ი., რომ რამე მოცემული გვქონდეს, აუცილებელია, ჩვენი ყურადღება მასზე უკვე იყოს მიპყრობილი. პრინციპიალურად, რასაკვირველია, საკითხს ყურადღების კონცენტრაციის დონის შესახებ აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: ჩვენი პრობლემა ეხება ყურადღების პირველად კონცენტრაციას, ხოლო დონეს, რომელსაც ეს კონცენტრაცია აღწევს, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.

ამგვარად, ნათელი ხდება, რომ ყურადღების ჩვეულებრივი განსაზღვრება არსებითად ნამდვილ განსაზღვრებას ვერ იძლევა—იგი სრულიად ვერ გვეხმარება იმის გაგებაში, თუ ნამდვილად რას ეწოდება ყურადღება.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს პირველ რიგში, ყურადღების ყველაზე გავრცელებული განსაზღვრების ცდას ეხება. მაგრამ ხომ არსებობს ამ ცნების კიდევ მრავალი სხვა გაგებაც! ითქმის თუ არა იგივე მათ შესახებაც? ვფიქრობ, ძირითადი აზრი, რომელიც აქ მხედველობაში გვაქვს, ყურადღების განსაზღვრების ყოველსავე, მეტად თუ ნაკლებად ცნობილ ცდაზე ვრცელდება.

ყველგან, სადაც კი ნაცადია ეს განსაზღვრება, ყურადღების ძირითად ფუნქციად ერთი და იგივე იგულისხმება—წარმოდგენათა სინათლისა და სიცხადის დონის ამაღლება. ამ მხრივ ყოველ შემთხვევაში ყურადღების სხვადასხვა გაგებას შორის განსხვავება არ არის. ამიტომ, რამდენადაც საქმე არსებულ გაგებათა ძირითად აზრს ეხება, ზემოთ თქმული შეიძლება საერთოდ ყურადღები სგანსაზღვრების ყოველსავე დღემდე არსებულ ცდაზე იქნეს გავრცელებული.

რომ დაუკვირდეთ ამ განსაზღვრებას, ნათელი გახდება, რომ იგი როპელჰმე ცალკეულ პროცესს როდი ეხება. უფრო საფიქრებელია, რომ აქ ერთი და იმავე მოვლენის ორი მოცემულობა იყოს ნაგულისხმევი: თითქოს ჩვენზე მოქმედი შთაბეჭდილებები ჩვენს მიერ ორმაგად განიცდებოდნენ: ერთის მხრივ, როგორც მოვლენები, რომელთაც თან არ ახლავს ყურადღების აქტი. მეორე მხრივ,—როგორც იგივე მოვლენები, მაგრამ უკვე გაშუქებულის სწორედ ამ აქტებით. მაშასადამე, გამოდის, რომ მოვლენათა რიგის განცდა მათი წარმოდგენის სიცხადისა და სინათლის გარეშეც შეგვძლებია: ყურადღებას აქტივობის შემთხვევაში კი, შთაბეჭდილებებს ჩვენ ნათლად და ცხადად განვიცდით. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ყურადღების მოქმედების დაბალს, ხოლო მეორეში—მაღალ დონესთან. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ პირველ შემთხვევაში ყურადღების მოქმედება სრულიად გამორიცხულია.

ამგვარად, ითვლება, რომ არის შემთხვევები, როდესაც ჩვენი ცნობიერება მუშაობს, კერძოდ, აღიქვამს მოვლენათა რიგს ისე, რომ ყურადღება ამაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს, ე. ი. აღიქვამს ისეთ მოვლენებს, რომელიც სრულიად მოკლებულია სინათლესა და სიცხადეს. რასაკვირველია, ყურადღების ჩვეულებრივი გაგების შემთხვევაში იგულისხმება, რომ ეს მართლაც შესაძლებელია. რომ ფსიქიკაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი ისეთ მოვლენებსაც, რომელიც სიცხადისა და სინათლის პრედიკატს მოკლებულია სრულიად. მაგრამ არ ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იყოს, ისეთი ფსიქიკური შინაარსის არსებობა ვსცნოთ, რომელიც არაფერს არ იძენს იმის გამო, რომ იგი ფსიქიკურ შინაარსად იქცა, და სუბიექტისათვის თითქოს იგი ისევ იმადვე რჩება, რაც მანამდე იყო—უცხო, „უცნაური“, მისთვის არარსებულ შინაარსად.

როგორც ჩანს, უნდა აღვიაროთ, რომ, როდესაც რაიმე ფსიქიკური შინაარსი არსებობს, მას ყოველთვის ცნობიერების ესა თუ ის ხარისხი ახლავს თან, მიუხედავად იმისა, შეგვიძლია თუ არა აქ ყურადღების მონაწილეობაც შესახებ ვილაპარაკოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი საბუთი არ გვექნებოდა გვეთქვა, რომ საქმე ნამდვილად ფსიქიკურ შინაარსთან გვაქვს.

შესაძლებელია, ყურადღების ტრადიციულ გაგებას საფუძვლად ის გაუცნობიერებელი აზრი ედოს, რომ ადამიანის ფსიქიკის მუშაობა ორ სხვადასხვა პლანში უნდა იქნეს ნაგულისხმევი: ერთ პლანში იგი მიმდინარეობს ყურადღების მონაწილეობის გარეშე, ხოლო მეორეში—მისი პირდაპირი მონაწილეობით. ამასთანავე, სინათლისა და სიცხადის პრედიკატი, როგორც ეტყობა, ორი-

ეს შემთხვევაში, როგორც აუცილებელი უნდა ვიგულისხმოთ. ჩვენს ამოცანას ახლა იმის ნათელყოფა წარმოადგენს, რომ ცნობიერების მუშაობაში ეს ორი პლანი მართლა არსებობს, და რომ ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფსიქიკური ცხოვრების სხვადასხვა საფეხურისა და მათი განვითარების გაშუქების დროს.

3. ფსიქიკის მუშაობის ორი პლანი. საკითხი ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების ამ ორ პლანზე მიმდინარეობის შესახებ დღემდე არსად არ ყოფილა ჩვენს მეცნიერებაში გაცნობიერებული. მაგრამ სხვადასხვა ფსიქიკურ მოვლენათა შესწავლის დროს, მეცნიერებას დებულებათა რიგის მიღება უხდებოდა, რომელნიც, მართალია, არსებითად სწორი არ იყვნენ, მაგრამ ისეთ მომენტებზე მიუთითებდნენ, რომ მათ შესწავლას შემდეგში ამ მოვლენათა ნამდვილი ბუნების გაშუქება შესძლებოდა.

ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, თუ ცნობიერების მუშაობის რა პლანებზეა აქ ლაპარაკი, შევეცადოთ ჩვენი ქცევის რომელიმე მარტივი, ჩვეულებრივი შემთხვევის ანალიზი მოვახდინოთ. ვთქვათ, ადამიანი იღვიძებს და ბიჭართავს ქცევის სრულიად ჩვეულებრივ აქტებს: იწყებს ტანსაცმელის ჩაცმას, იღებს ფეხსაცმელს და აპირებს მის ჩაცმას, მაგრამ უცბად აღმოჩნდება, რომ ფეხი თითქოს თავისუფლად არ ჩადის ფეხსაცმელში, ისე როგორც ეს ხდებოდა ჩვეულებრივ---რაღაც თითქოს ხელს უშლის ამას. ამგვარ შემთხვევაში წარმოსადგენია მომხდარი მოვლენისადმი ორგვარი დამოკიდებულება: ან სუბიექტი არ აქცევს ყურადღებას ამ, შედარებით, უმნიშვნელო მოვლენას და ცდილობს ფეხსაცმელის ჩაცმა განაგრძოს, ან და მაშინვე სწყვეტს ამ აქტს, რათა გამოარკვიოს, რამ გამოიწვია ეს მოულოდნელი უხერხულობა. ეს მას ამ მიზეზის თავიდან ასაცილებლადა და ფეხსაცმელის ჩაცმის საჭირო აქტის შესასრულებლად სჭირია.

ეს ელემენტარული მაგალითი წარმოადგენა სრულიად ჩვეულებრივ შემთხვევას, რომლის დადასტურებაც ცხოვრების ყოველივე ნაბიჯზეა შესაძლებელი: შეიძლება ითქვას, ადამიანის მთელი ცხოვრება, ბოლოს და ბოლოს, ამგვარ პროცესთა სერიებიდან შესდგება. რომ დავუკვირდეთ, დავრწმუნდებით, რომ ამ შემთხვევაში ფრიად მნიშვნელოვანსა და არსებით მოვლენასთან გვაქვს საქმე, მოვლენასთან, რომელიც საკმარის შუქსა ჰფენს ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების თავისებურებას.

საქმე ისაა, რომ ქცევის ამ შედარებებით მარტივს, ჩვეულებრივს აქტში ჩვენ შეგვიძლია გამოვააშკარავოთ ცნობიერების მოქმედების ორი არსებითად განსხვავებული პლანი — „იმპულსური" და „გაშუალებული" მოქმედების პლანი. საჭიროა სპეციალურად შევჩერდეთ ამ ორი პლანის ანალიზზე, რათა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ აქ დასმული საკითხის შესახებ.

4. იმპულსური ქცევის პლანი. რომ მივმართოთ პირველს, ე. ი. „იმპულსური" ქცევის პლანს, ვნახავთ, რომ მის ფსიქოლოგიურ სპეციფიკას პირველ რიგში, მისი უშუალობა წარმოადგენს — ის გარემოება, რომ სუბიექტი ისევე, როგორც მისი აქტებიც, მთლიანად ქცევის პროცესშია ჩართული. რათა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ იმპულსური ქცევის ეს სპეცი-

ფიკუმი, საკმარისია ცხოველის ინსტინქტური ქცევა ან ადამიანის ჩვეული, მექანიზირებული მოქმედებები გავიხსენოთ.

ეჭვი არაა, რომ ამ შემთხვევაში სინამდვილის შესაფერ მონაკვეთთა აბახვის აქტებთან გვაქვს საქმე, და სუბიექტი ამ სინამდვილეს არა მის სრულს მთლიანობითს ერთიანობაში ასახავს ყველა მისი დეტალებით, არამედ მხოლოდ იმ აგენტთა მონაკვეთში, რომელიც გარკვეულ მიმართებაში იმყოფება მისი ქცევის მიზნებთან. გარდა ამისა, ის ასახავს ამ აგენტებს საკმარისად ცხადად იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გადაქცევა მისი ქცევის ნამდვილ ფაქტორებად. ქათამმა, მაგალითად, უნდა შეამჩნიოს მარცვალი, რომ კენკვას შეუდგეს. რასაკვირველია, ქცევის ამ აქტის სტიმულაციისათვის არაა საჭირო მარცვლის ყოველმხრივი და დეტალური გამოკვლევა: საკმარისია დანახვა, რომ ქათამმა მათი კენკვა დაიწყოს, და ეს მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად სრულიად საკმარისია.

ან დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს: როდესაც ადამიანი დილით დგება, ტანთ რომ ჩაიცვას, მისთვის აუცილებელია გამოჰყოს ტანისამოსი ან ფეხსაცმელი გარემოში მყოფ საგანთა წრიდან, უნდა შესძლოს მათი აღქმა საკმარისი სიცხადითა და სინათლით. ეს აუცილებელია მისთვის, მაგრამ ამავე დროს მისი ცხოვრების გარკვეული, ჩვეულებრივად მიმდინარე პირობებისათვის საკმარისიცაა, ვინაიდან ეჭვს გარეშეა, რომ ყოველივე მისთანდასახულად მიმდინარე ქცევა სუბიექტზე მოქმედ აგენტთა შერჩევის აქტს ჰგულისხმობს, მათზე შესაფერი ფსიქიკური ენერგიის კონცენტრაციასა და მათს საკმარისი სიცხადით ფსიქიკაში ასახვას ჰგულისხმობს. წინაალმდეგ შემთხვევაში უნდა გვეცნო, რომ ყოველივე, ამგვარ პირობებში აღმოცენებული ქცევა წარმოადგენს ისეთ ცალკე აქტთა ქაოსს, რომელიც არავითარ კავშირში არ იმყოფება სუბიექტის მიზნებთან და იმ სიტუაციის თავისებურებასთან, რომლის პირობებშიც ეს ქცევა მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს სუბიექტზე მოქმედ აგენტთა შერჩევასთან, ისე როგორც მათზე ფსიქიკური ენერგიის კონცენტრაციასთანაცა და ფსიქიკაში მათი ცხადი ასახვის ფაქტთანაც, ჩვენ მაინც არა გვაქვს საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ამ აქტებში ყურადღების მონაწილეობის შესახებ ვილაპარაკოთ.

საქმე ისაა, რომ აღქმის ხატის მაგვარ ცნობიერების შინაარსსაცა და ქცევაში ჩართულ ცალკე აქტებსაც ისეთი თავისებურება ახასიათებს, რომ ის რულად გამორიცხავს ყოველივე შესაძლებლობას, მათ პირობად ყურადღების აქტი ჩავთვალოთ: ისინი აღმოცენდებიან და მოქმედებას იწყებენ მხოლოდ იმისთვის, რომ მაშინვე ყოველი შეფერხების გარეშე ადგილი დაუთმონ მათ მიერ სტიმულირებულს მომდევნო აქტებს, რომელნიც, თავის მხრივ, ასევე შეუჩერებლივ აკეთებენ ამასვე. ისინი ქცევის მთლიან ჯაჭვში ცალკე რლოგებს წარმოადგენენ, იმ სიგნალების როლს ასრულებენ. რომელნიც ქცევის პროცესში მომდევნო ნაბიჯების სტიმულაციას ახდენენ. მათ არა აქვთ საკუთარი დამოუკიდებელი ღირებულება, ისინი არ არსებობენ ამ როლის გარეშე, თავისთავად იმ ქცევის პროცესიდან გამოყოფილად, რომელშიც

ბოლიანად, უნამთოდ არიან ჩართული. იმპულსური ქცევა მიმდინარეობს იმ იმპულსებზე სრული დამოკიდებულების ნიშნის ქვეშ, რომელნიც გარე და შინა გარემოს შეზავებიდან მომდინარეობენ—იმ აქტუალურ სიტუაციაზე უშუალო და აუცილებელი დამოკიდებულების ქვეშ, რომლითაც ყოველ ცალკე მომენტშია გარშემორტყმული. ერთი სიტყვით, იმპულსური ქცევის აქტების დროს, სუბიექტი მასზე მომქმედი აქტუალური სიტუაციითაა შებოჭილი და ამ სიტუაციაში მოცემული პირობებით განსაზღვრული.

ისმის კითხვა: გარდა იმ სპეციფიკური უნარისა, რომელიც ყურადღების სახელწოდებითაა ცნობილი, რასღა შეუძლია განსაზღვროს ეს პროცესები—პროცესები: 1. ჩვენზე მომქმედ აგენტთა რიგიდან სწორედ ისეთების არჩევითი გამოყოფისა, რომ ჩვენი მოცემული ქცევის მიზნებს შეესატყვისებოდნენ. 2. ფსიქიკური ენერგიის მათზე კონცენტრაციისა და 3. ამის შედეგად მათი ცნობიერების სიცხადის დონის ამაღლების პროცესი?

იმ ფსიქოლოგიისთვის, რომელიც მთლიანად უგულებელყოფს ჩვენში ძველი, ტრადიციული მეცნიერებისათვის სრულიად უცნობ ძალთა არსებობას, ეს საკითხი გადაუწყვეტელი და გაურკვეველი რჩება. ჩვენი თეორიის თვალით კი, განწყობის ცნების საფუძველზე, ამ საკითხის გადაჭრა არ წარმოადგენს არავითარს განსაკუთრებულ სიძნელეს. ჩვენ ვიცით, რომ, ამ თეორიის თანახმად, როდესაც ცოცხალ ორგანიზმს, ან უკეთ, სუბიექტს რაიმე გარკვეული მოთხოვნილება უჩნდება, იგი ცდილობს გარესინამდვილესთან,—ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციასთან,—გარკვეული დამოკიდებულება დაამყაროს, რათა მასში ალბრული მოთხოვნილების მოგვარება განხორციელდეს. სინამდვილე, თავის მხრივ, როგორც აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია, უშუალო ზემოქმედებას ახდენს არა ცალკე ფსიქიკურის ან ფიზიოლოგიური ხასიათის პროცესებზე, რომელიც ამ მოთხოვნილების მატარებელს ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარეობს, არამედ ცოცხალ ორგანიზმზე მთლიანად, ქცევის სუბიექტზე, რომელშიც იგი—ეს სინამდვილე—შესატყვისს მთლიანობითს ეფექტს იწვევს. ეს ეფექტი შეიძლება სინამდვილის, როგორც აქტუალური მოთხოვნილების სიტუაციის, მხოლოდ ერთგვარ მთლიანობითს, სუბიექტისეულ ასახვას წარმოადგენდეს—ასახვას, რომელიც გაგებული უნდა იყოს, როგორც წინაპირობა და გეზი სუბიექტის მიერ გასაშლელი ქცევისა, როგორც განწყობა, რომელიც ქცევის სინამდვილის ასახვის კალაპოტში აყენებს.

თუ ამ დებულებას საფუძვლად მივიღებთ, ნათელი გახდება, რომ ქცევა, როდესაც და სადაც კი უნდა აღმოცენდეს იგი, გარე სინამდვილის ზემოქმედებით განისაზღვრება—არა უშუალოდ, არამედ,—და ეს უპირველეს რიგში უნდა გვახსოვდეს—გამუალებულად—სუბიექტის ქცევაში მისი მთლიანობითი ასახვის, სუბიექტის ქცევის განწყობის შუალობით. ქცევის ცალკე აქტები, მთელი ფსიქიკური ცხოვრება, ამისდა მიხედვით, მეორადი წარმოშობის მოვლენას წარმოადგენს.

მაშასადამე, გარკვეულ პირობებში მოქმედი სუბიექტის ცნობიერებაში გარემოდან მხოლოდ ის შემოდის და საკმარისი სინათლით განიცდება, რაც

ეკვე მის აქტუალურ განწყობაშია ასახული. ეს იმას ნიშნავს, რომ ის, რაც აღიარდებას, როგორც ფორმალურ ძალას არ შეუძლია, განწყობის ფუნქციად უხდა ვცნოთ, განწყობის ფუნქციად, რომელიც არა მხოლოდ ფორმალურს, არამედ, აგრეთვე, წმინდა შინაარსობრივ ცნებასაც წარმოადგენს.

ამგვარად გასაგებია, რომ იმპულსური ქცევის პირობებში სუბიექტი ძეიძლება ცნობიერების საკმარისად ნათელი შინაარსები გაუჩნდეს, მიუხედავად იმისა, რომ ყურადღების აქტის შესახებ ამ შემთხვევაში საკითხის დასმაც კი არ შეიძლება. ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაფერი ეს შეიძლება იმ განწყობის საფუძველზე მოხდეს, რომელიც სუბიექტის ქცევას განსაზღვრავს საერთოდ და კერძოდ მისი ფსიქიკის აქტიობას. ყოველს ცალკე მომენტში აქტუალური განწყობის საფუძველზე სუბიექტის ცნობიერებაში ფსიქიკურ შინაარსთა რიგი აღმოცენდება, რომელიც საკმარისად ნათლად და ცხადად განიცდება, რათა სუბიექტისათვის შესაძლებელი გახდეს ქცევის სიტუაციის პირობებში ორიენტაცია. მართალია, ნათლად და ცხადად მხოლოდ ის განიცდება, რაც სუბიექტის ქცევის სიტუაციასთან უშუალო მიმართებაში იმყოფება. ამიტომ საქმე ისე კი არ არის, რომ სუბიექტი სინათლისა და ცხადის შუქს ნებისმიერად მიმართავდეს სიტუაციის ამა თუ იმ მომენტზე. სუბიექტი დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომელშიც მოქმედი განწყობა აღმოცენდება და, შესაძლებელია, მოცემულ მომენტში კიდეც ფიქსირდება. თავისთავად ცხადია, ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მხოლოდ შედარებით მარტივი სიტუაცია, რომლის საფუძველზეც მისი პირობების შესატყვისი განწყობა წარმოიშვება და შემდეგ წარმატებით მიმდინარეობს.

5. ობიექტივაციის პლანი. სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს სიტუაციის გართულების შემთხვევაში, რომელიც სუბიექტის წინაშე მდგომი ამოცანის გადასაჭრელად იმ შემთხვევაში ხდება აუცილებელი, თუ რომ ქცევის განვითარების პროცესში ესა თუ ის დაბრკოლება აღმოცენდა. ქცევა, ამ პირობებში, აღარ მიმდინარეობს ისე თავისუფლად და შეუფერხებლად, როგორც ეს იმპულსური მოქმედების დროს ხდება. გაჩნდება თუ არა დაბრკოლება, ქცევის აქტი, რომელიც უნდა მომხდარიყო—მორიგი რგოლი აქტთა ჯაჭვში—ჩვეულებრივ, აღარ უთმობს ადგილს მომდევნოს, მის მიერ სტიმულირებულს აქტს, ვინაიდან დაბრკოლება სწორედ ამ სტიმულაციის პროცესს ეხება. ამის შედეგად ქცევა ფერხდება, და სათანადო რგოლი, ასე ვთქვათ, აქტთა ჯაჭვიდან გამოვარდება. რამდენადაც იგი არ იწვევს მომდევნო აქტს, მას დროებით ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლის მნიშვნელობა ეკარგება. იგი, ფსიქოლოგიურად, დამოუკიდებელ საგნად იქცევა, ობიექტად, რომელსაც თავისთავადი, აქტუალურად მიმდინარე ქცევის პირობებისაგან დამოუკიდებელი არსებობა და ისეთი თავისებურებები აქვს, რომელთა წინასწარ გაცნობიერება აუცილებელია, რათა მათი მიზანშეწონილი გამოყენება და ქცევის პროცესში ხელახლად ჩართვა შესაძლებელი გახდეს.

ამგვარად, დაბრკოლებათა აღმოცენებისთანავე ქცევა რომელიმე აქტუალურ რგოლზე ფერხდება. მაგალითად, ფეხსაცმელის ჩაცმის დროს მე ვგრძნობ, რომ ფეხი ფეხსაცმელში არ ჩადის. მაგრამ საბოლოოდ არ ვწყვეტ და-

წყებულ ქცევას, არავედ მხოლოდ დროებით ვაჩერებ მას. სამაგიეროდ ისდება ქცევის ახალი ფორმა: ფეხსაცმელი, რომლის ხატი ჩაცმის ქცევაში ჩართული აქმის შედეგად მივიღე და რომელმაც მომდევნო, ჩაცმის ქცევისათვის მიზანშეწონილი, აქტის სტიმულაცია ველარ მოახერხა, ჩემთვის დამოკიდებელ ობიექტად იქცევა. მე უნდა გავაცნობიერო მისი თვისებები, დაუკვირდე მას, რათა მოვიპოვო ჩაცმის გაგრძელების შესაძლებლობა; და მეც ხელახლა აღვიქვამ მას: ფეხსაცმელი ჩემი შემეცნებითი აქტების საგნად იქცევა — მე მას ყოველმხრივ ვაკვირდები, ვადარებ ერთმანეთს მის თვისებებს, ემსჯელობ შემჩნეული უხერხულების შესაძლებელ მიზეზებზე. ერთი სიტყვით, საგნისადმი სპეციალურად შემეცნებითი დამოკიდებულების პროცესი ალიძვრის, დამოკიდებულებისა, რომელსაც საგნის თვისებათა უშუალო პრაქტიკულ გამოყენებასთან საერთო არაფერი აქვს. ეხლა ჩვენს წინაშე არა უშუალო, პრაქტიკული, არამედ ელემენტარული თეორიული ქცევის პროცესი მოძრაობს.

ამ უკანასკნელის შედეგებზე დამოკიდებულია ის, თუ როგორ გაიშლება შემდეგში ჩემი ქცევა, რას ვუზამ ფეხსაცმელს, ამ ქცევის წარმატებით დასრულების მიზნით. უეჭველია, მე მასში საჭირო ცვლილებას შევიტან, ავაცილებ დაბრკოლებებს, რომლებიც აფერხებენ ჩემი ქცევის მიზანდასახულ მიმდინარეობას. ერთი სიტყვით, საგნისადმი თეორიული დამოკიდებულების შედეგად, მე ჯერ ვეცდები ფეხსაცმელის მოწესრიგებისათვის საჭირო პრაქტიკული აქტების შესრულებას და ფეხსაცმელის ჩაცმის ე. ი. ჩემ მიერ შეჩერებული აქტის განხორციელებას მხოლოდ ამის შემდეგ მოვკიდებ ხელს.

ამგვარად, სიტუაციის გართულების გამო იმპულსური ქცევის პროცესი შეიძლება შეჩერდეს, და მაშინ მისი აქტუალური როლი, რომელიც ქცევის მიმდინარეობის პროცესში პირველად ჰპოულობს თავის ფსიქიკურ ასახვას, შეიძლება პრაქტიკული ქცევის აქტთა უწყვეტ ჯაჭვიდან გამოვარდეს და ჩემი საგანგებო დაკვირვების საგნად გადაიქცეს, ობიექტად, რომელზედაც ჩემს შემეცნებითს ფუნქციებს მივმართავ, მისი ასახვის იმდენად ნათელი და დეტალური ფორმის მისაღებად, რამდენადაც ეს შეჩერებული ქცევის მიზანშეწონილი დასრულებისათვისაა საჭირო.

ამ აქტის შედეგად ქცევა უფრო მაღალ დონეს აღწევს, დონეს, რომელიც გაშუალებულია შემეცნებითი აქტებით და თავისუფალია უშუალო იმპულსების მოქმედებისაგან.

ერთი სიტყვით, ქცევა ამ პირობებში სპეციფიკურ ადამიანურ აქტთა დონეს აღწევს, რომელიც თვისობრივად განსხვავდება ყველაფრისაგან, რის მოცემაც შეუძლია ამა თუ იმ ცხოველს თავის არსებობის ჩვეულებრივ პირობებში.

ეს სპეციფიკური აქტი, რომელიც ადამიანის მოქმედებათა ჯაჭვში ჩართულ საგანს ან მოვლენას დაკვირვების საგანგებო, დამოუკიდებელ ობიექტად აქცევს, შეიძლება **ობიექტივაციის** აქტის სახელწოდებით აღვნიშნოთ.

ამასთანავე ცხადია, ობიექტივაციის ეს აქტი თვითონ კი არ ქმნის ჩვენს გარშემო არსებული ობიექტური სინამდვილის ამ ობიექტებს, ეს საგნები, რასაკვირველია, სუბიექტისაგან დამოუკიდებლივ არსებობენ და თვით წარმოადგენენ ყოველგვარი ქცევის ალმოცენების პირობას. ობიექტივაციის ანუ ობიექტივირების აქტი, პირიქით, გულისხმობს ობიექტთა არსებობას სინამდვილეში, იმ ობიექტთა არსებობას, რომელთანთვისაც ადამიანს თავის აქტებში მიმართვა შეუძლია მათი ძეძჩნევით და ამ აზრით მათი ობიექტივირების მიზნით, და შემდეგ—სპეციალური შეცნობითის, კერძოდ, აზროვნებითი ფუნქციების გამოყენების გზით, გამორკვევის იმისა, თუ რას წარმოადგენენ ისინი.

ამგვარად, ობიექტივაცია კი არ ქმნის ობიექტებს,—ისინი უიმისოდაც არსებობენ ობიექტურ სინამდვილეში,—იგი მხოლოდ იმას ახერხებს, რომ არსებულ ობიექტებს იმ საგნებად აქცევს, რომელზედაც ჩვენ ყურადღების კონცენტრაციას ვაწარმოებთ. ან სხვანაირი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, რომელთა მიმართ ჩვენ ვახდენთ ობიექტივირებას—ვამყარებთ, როგორც ობიექტივისადმი დამოკიდებულებას.

რომ დავუკვირდეთ ამ პროცესს, ვნახავთ, რომ ჩვენი ქცევა, რომელიც ურთიერთობაში იყო სინამდვილესთან პრაქტიკული დამოკიდებულების თანმიმდევრულ აქტთა ჯაჭვში, აქ ვთქვათ, „გამოითიშება“ ამ ჯაჭვიდან, „თავისუფლდება“ მისგან და თავისთავადს, დამოუკიდებელ პროცესად იქცევა: ქცევის „განთავისუფლების“, მისი უფრო მაღალს, ნამდვილ ადამიანურ დონეზე ამაღლების პროცესში გადამწყვეტ როლს, უდაოდ, ობიექტივაციის აქტი ასრულებს—აქტი, რომელიც ჯაჭვში ჩართულ რგოლს თავისთავადს, დამოუკიდებელ საგნად აქცევს, რომლისადმიც ჩვენი შემეცნებითი ფუნქციების აქტიობა მიმართება. მაგრამ ეჭვი არაა, რომ ეს სწორედ მათი შეჩერების ფიქსაციის აქტია, რომელსაც ჩვეულებრივ ყურადღების სახელწოდებით ვნობილ, სპეციფიკური მოქმედების პირობებში ვხვდებით.

მაშასადამე, ყურადღება არსებითად, როგორც ობიექტივაციის პროცესი უნდა იქნეს გაგებული ე. ი. როგორც პროცესი, რომელშიც ჩვენი გაწყობების საფუძველზე ალმოცენებულ აღქმათა წრიდან რომელიმე ერთი გამოიყოფა, შემეცნებითი აქტიობის საგნად და ამის შედეგად—ჩვენი ცნობიერების ყველაზე ცხადს აქტუალურ შინაარსად იქცევა.

ამგვარად, ობიექტივაციის აქტი ადამიანის სწორედ თავისებურს, სპეციფიკურ მდგომარეობას წარმოადგენს, მდგომარეობას, რომელსაც მოკლებულია ცხოველი და რომელზედაც ადამიანის მთელი უპირატესობა აიგება.

II

ფსიქიკური ცხოვრების ოჯახი დონე

ადამიანის სპეციფიკურ თავისებურებად საშართლიანად, ვეტყველება ითვლება—მეტყველება, რომელსაც ყოველი ახლა ცოცხალი არსება მოკლებულია სრულიად. ამასთან ერთად ამ თავისებურების, აზროვნების გარეშე

ლებელს, მეტყველებასთან დაკავშირებულ ფორმებშიც სჭვრეტენ. რამდენადაც ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებში ცხოველი არ იძლევა აზროვნებითი ფორმების გამოყენების ნიშნებს, შეიძლება ითქვას, რომ არსებითად აზროვნება მას არცა აქვს, ისე, როგორც მას არც მეტყველება აქვს. ამ ორი უნარის დამორწმება მხოლოდ ადამიანთან შეიძლება; და მისი ცხოვრება, მთელი მისი კულტურა, ძირითადად, ამ ორი უნარის ბაზაზე მიმდინარეობს.

ეჭვი არაა, რომ მეტყველება და აზროვნება ადამიანის იმ სპეციფიკური თავისებურების ნიადაგზე ჩნდება, რომელიც თავის გამოხატულებას ობიექტივაციის აქტში პოულობს. იგი—ობიექტივაცია—მეტყველებისა და აზროვნების ალმოცენების აუცილებელ ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს, ვინაიდან უდაოა, რომ იმისათვის, რომ დავასახელოთ რამე, ან გავშალოთ აზრი რისამე შესახებ, ჯერ-ერველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ეს რალაც რაიმენაირად მოცემული იყოს ჩვენთვის. მეტყველებისა და აზროვნების გაშლა შესაძლებელია მხოლოდ იმ საგნის მოცემულობის პირობებში, რომელსაც ეს აზროვნება და ეს მეტყველება ეხება. მაშასადამე ნათელია, რომ მეტყველება და აზროვნება ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების მეორე, უფრო მაღალ, დონეზე მიმდინარეობს.

საჭიროა სპეციალურად აღვნიშნოთ ფსიქიკური ცხოვრების ორი დონის — განწყობისა და ობიექტივაციის დონის—არსებობა. მაშინ როდესაც პირველი, განწყობის დონე—ყოველი ცოცხალი არსებისათვის, კერძოდ, გარკვეულ პირობებში ადამიანისათვისაც დამახასიათებელია, მეორე—ობიექტივაციის დონე—სპეციფიკურია მხოლოდ ადამიანისათვის—იმ არსებისათვის, რომელიც კულტურული ცხოვრების საფუძვლებს აგებს, კულტურული არსებობის პირობებს ჰქმნის.

1. განწყობის დონე. რომ დავუკვირდეთ პირველს—განწყობის დონეს,—ვნახავთ, რომ სიცოცხლე ამ დონეზე ცვლილებათა რიგის უწყვეტ ნაკადს წარმოადგენს, ახალის დაუღეველ ქმნადობას; აქ არაფერი მეორდება; აქ იგივეობა შეუძლებელია: განწყობის პლანში სინამდვილის ძირითად პრინციპს ქმნადობის პრინციპი წარმოადგენს, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ აზრს მოვლენათა უცვლელი იგივეობის შესახებ. ჩვენ ვნახეთ, რომ ცნობიერებაში სინამდვილის მხოლოდ ის მონაკვეთი აისახება, რომელიც ცოცხალი ორგანიზმის აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე მიმართულ მოქმედებათა მიზანშეწონილი მიმდინარეობისათვისაა საჭირო. თვით ეს სინამდვილე კი, ან რომელიმე მისი მხარე სუბიექტის ყურადღების გარეშე რჩება: იგი არ წარმოადგენს მის ობიექტს, არ წარმოადგენს საგანს, რომელიც საგანგებოდ იპყრობს მის ყურადღებას.

ერთი სიტყვით, ეჭვს გარეშეა, რომ სინამდვილე განწყობის პლანში, წარმოადგენს ულევეელ ცვლილებათა კვლს, შეუჩერებელ მოძრაობას, სფეროს, სადაც გამორიცხულია აზრიც კი მოვლენათა იგივეობის შესახებ. მოკლედ, სინამდვილე ამ პლანში დიალექტიკურ ცვლილებათა უსასრულო, უწყვეტ მდინარებას წარმოგვიდგენს.

2. ობიექტივაციის დონე. სულ სხვაა სინამდვილის მეორე პლანი, რომელიც ობიექტივაციის პრინციპითაა პირობადებული—პრინციპით, რომელიც მხოლოდ ადამიანთან გვხვდება და მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი. რა წამს სინამდვილე—და არა მხოლოდ მის ნიადაგზე შესაძლო აქტიობა,—თვითონ იწყებს ობიექტად ქცევას ადამიანისთვის, იგი გამოეყოფა ფაქტორთა წრეს, რომელიც ადამიანის ქცევის უშუალო პირობას წარმოადგენს, და ამის შედეგად იგი დამოუკიდებელს თავის—თავად საგნად იქცევა, ე. ი. საგნად, რომელზეც სუბიექტის ყურადღება მიიმართება. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი ობიექტივირდება.

ამ საფუძველზე ალმოცენდება აზროვნების აქტები, რომელნიც ობიექტივირებული სინამდვილის ყოველმხრივი ასახვის მიზანს ემსახურებიან განწყობის პლანში მომხდარი ასახვისაგან განსხვავებით, აქ ობიექტივაციის პლანში, საქმე გვაქვს ისეთ ასახვასთან, რომელიც იგივეობის ლოგიკურ პრინციპს ეწყარება,—პრინციპს, აუცილებელს ჩვენი აზროვნებითი აქტების რეგულაციისათვის. სახელდობრ: წამოვაყენებთ თუ არა ჩვენ მიერ ობიექტივირებული სინამდვილის მონაკვეთის ერთი რომელიმე მხარის იდეას ჩვენ იმწამსვე მეორეზე გადასვლა გვიხდება, შემდეგ მესამეზე და ა. შ., სანამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საგანს მთლიანად არ ამოვწურავთ. მაგრამ გადავდივართ რა ერთი მხარიდან მეორეზე ჩვენ მაინც ვერ ეუახლოვდებით ამოცანის დამაკმაყოფილებელ გადაჭრას, თუ არ დავუშვით, რომ თითოეული ჩვენ მიერ განხილული მხარე თავის უცვლელ იგივეობას ინარჩუნებს, იგივეობას, რომელიც ამ მხარეებიდან მთლიანი საგნის ხატის აღსადგენად პირდაპირ აუცილებელია: ჩვენ თითოეული მხარის ანალიზს და იდენტიფიკაციას ვახდენთ იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ საგნის, როგორც მთლიანის, აღდგენა მოვახერხოთ.

ერთი სიტყვით, ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების ცოცხალი ნაკადი ობიექტივირებულ მოცემულობად იქცევა და მოძრავი სიცოცხლის მონაკვეთი ჩვენი აზროვნების საგანი ხდება.

III

წარმოგენა და იდეა

1. სიტყვა, როგორც განწყობის ობიექტური ფაქტორი. ჩვენ ვნახეთ, რომ ცხოვრების გართულებულ პირობებში, დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად, ადამიანი ობიექტივაციის აქტს მიმართავს—აქტს, რომელიც მისი ქცევის შინაგანი და გარეგანი ბუნების მკვეთრ შეცვლას იწვევს. იმის მაგივრად, რომ განაგრძოს ესა თუ ის მოქმედება, იგი დროებით ჩერდება, რათა ჯერ გაიაზროს შექმნილი მდგომარეობა, იმსჯელოს მის შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართოს ქცევის იმ აქტებს, რომელთა მიზანშეწონილებაც ამ მსჯელობის, ამ გააზრების შედეგად იქნება დადგენილი.

– როგორ მიმდინარეობს ასეთი პროცესი საქმის ტრადიციის თუ არ რაიმე რულს განწყობა? – ეს საკითხი, რომლის გადაჭრაც ჯერ-ჯერობით ძნელია, ჩვენ ადამიანური ცხოვრების ხასიათისა და შინაგანი სტრუქტურის შესახებ საბოლოო აზრს შევიმუშავებდეთ.

ამ საკითხის გადასაწყვეტად ყველაზე ტიპური იქნება ისევ ჩვენი ჩვეულებრივ ცდებს მივმართოთ. რომლებში ცდების პირობები ცოტა ადრე აღვწერეთ. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ არა აქტუალურად მოქმედი სიტუაცია გვაინტერესებს, არამედ საკითხი იმ სიტუაციის შესახებ, რომელიც ვერბალურად არის გამოხატული და ჩვენზე წარმოდგენის ხასიათით შედეგებს. მაშასადამე, საჭიროა, ამსრულ მიხედვით, რასაც ადამიანი იქნეს ჩვენ ცდებში შეტანილი, ხელოვნურად: აქტუალურად მოქმედი სიტუაციის ადგილ წარმოსახულმა, ვერბალურად რეპრეზენტირებულმა სიტუაციამ უნდა ლინოს. სხვა მხრივ ცდების სტრუქტურა შეიძლება აღებილებული დარჩეს.

ახალი, ამგვარად შეცვლილი, ცდები შემდეგნაირად შემდინარეობენ: ობის მაგივრად, რომ საგანწყობო ცდაში ცპ-ს საგანწყობო სიტყვები, მაგ. ბურთები მივცეთ, ჩვენ მას წინადადებას ვაძლევთ წარმოიდგინოს, ერთ ხელში (მაგ. მარჯვენე) მას დიდი მოცულობის ბურთი აქვს, ხოლო შეორეში—პატარა მოცულობის.

როგორც ჩვეულებრივ, აქაც საგანწყობო ცდების მრავალგზის განმეორება (15-ჯერ) ხდება. უნდა ვიფიქროთ, იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენა განწყობის გამოწვევა შეუძლია, ამ 15 წარმოდგენის შედეგად სუბიექტს შესატყვისი ფიქსირებული განწყობა უნდა შეუმუშავდეს, და ეს კრიტიკულ ცდებში ტოლი ბურთების ექსპოზიციის დროს უნდა გამოვლინდეს.

ამგვარი ცდები ჩატარებულ იქნა ოპტიკურ სფეროშიც. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში ცპ-ს წინადადება ეძლეოდა წარმოედგინა ეკრანზე, ერთი მეორის ქვეშ ორი წრე—ერთი გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე ძეორე. ამ წყვილ წარმოდგენათა 15-ჯერ განმეორების შემდეგ, იმავე ეკრანზე ორი თანაბარი წრის ექსპოზიცია ხდებოდა და ცპ-ს მათი სიდიდის მიხედვით რება ევალებოდა.

III

ცდების შედეგად გამოვლინდა შემდეგი: ჩვენს ცპ-ებს განწყობის ჩვეულებრივი ილუზია აღმოაჩნდათ როგორც ჰაპტურს, ისე ოპტიკურ სფეროში. მაშასადამე, არ უნდა შევიტანოთ ეჭვი იმაში, რომ ცპ-ს სიტყვიერი ზემოქმედების გზითაც შეიძლება ფიქსირებული განწყობა შეუმუშავდეს. საკმარისი იქნ 15-ჯერ წარმოიდგინოს განსხვავებული მოცულობის ბურთები ან არატოლი წრეები, რომ შესაფერი ფიქსირებული განწყობა შეუმუშავდეს, რომელიც მას შემდეგში, დროებით, ხელს უშლის ადექვატურად აღიქვას კრიტიკული ობიექტები[1].

[1] რ. ნათაძე, წარმოდგენით სტიმულირებული ფიქსირებული განწყობის ხასიათისათვის, ფსიქოლოგია, I, 1942.

ძალიან ასეთ შემთხვევაში, ე. ი. საგანწყობო ობიექტების წარმოსახვის პირობებში, ილუზია გაცილებით უფრო იშვიათად აღმოცენდება, ვიდრე მაშინ, როდესაც საგანწყობო ცდები ობიექტთა აქტუალური ზემოქმედების პირობებში ხდებოდა. მაგრამ ამ ილუზიების ფაქტი მაინც ყოველივე ეჭვს გარეშეა. ჰაპტურ სფეროში ჩვეულებრივი ცდების დროს ილუზია ძველ ცდათა 100%-ში აღინიშნება აქ კი, ე. ი. ილუზიის ვერბალური ზემოქმედებით სტიმულაციის პირობებში, მხოლოდ 71,6 პროცენტში. კიდევ უფრო ნაკლებია წარმოსახვით გამოწვეული ილუზიების მჭიდროებელი ოპტიკურ სფეროში — აქ იგი ძლივს აღწევს 42,2%.

ამგვარად, ამ ცდებმა მეტად მნიშვნელოვანი მონაცემები საფუძველზე იქონია, რომ განწყობა, შეიძლება წარმოდგენის საფუძველზეც, ე. ი. — ობიექტსიტყვიერი ზემოქმედების გზითაც იქნეს ფიქსირებული.

ამგვარმა ილუსტრაციამ ისიც, რომ განწყობის ფიქსაცია ამ პირობებში ხშირად იშვიათად ხდება, ვიდრე ჩვეულებრივი ცდების პირობებში. უნდა ვიტყოდეთ, რომ ჩვენი ცდების საერთო მასაში ყოველთვის ურიგო მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი პროცენტი იყოთი პირებისა, რომლებთანაც განწყობის ფიქსაცია, ვერბალური ზემოქმედების გზით, ვერ ხერხდებოდა. გვაქვს საბუთი გულისხმობთ, რომ აქ შემთხვევაში საქმე გვაქვს სუბიექტებთან, რომელთაც ერთგვარი ანომალია ახასიათებთ — შესაძლოა შეთხვევითი და დროებითი, მაგრამ ზოგჯერ შედარებით მყარი და მუდმივიც.

თუ განვიხილავთ ვერბალური ზემოქმედების შედეგად განწყობის ფიქსაციის შემთხვევებს, ვნახავთ, რომ ცხ-ბი განწყობის ფიქსაციის სიცხოველისა და ასევე გამოშუშავების სიადვილის მხრივ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: მიუხედავად შედეგების საფუძველზე მტკიცდება, რომ, მაშინ როდესაც ცხ-თა უმრავლესობა ვერბალურ ზემოქმედების პირობებში განწყობის ხანგრძლივი ფიქსაციის უნარს ამჟღავნებს, ცხ-თა შედარებით უმნიშვნელო რაოდენობა, რომელსაც ძირითადად მსახიობები და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები შეადგენდნენ, ამ მხრივ განსაკუთრებულ უნარს იჩენენ: ამ პირებს თითქმის 100%-ს წარმოდგენის საფუძველზე საკმარისად მტკიცე ფიქსირებული განწყობა უმოშავდება.

ა) თუ განვიხილავთ ამგვარად ფიქსირებულ განწყობას სიმტკიცის მხრივ, სახეთი, რომ განწყობა, აღმოცენებული ვერბალური ზემოქმედების შედეგად, საერთოდ, სიმტკიცის დაბალი ხარისხით ხასიათდება. განწყობის ამ პირობებში ფიქსაციის 16 შემთხვევიდან 15 შემთხვევაში (93,8%) ფიქსაციის სისუსტე ალინიშნება. მხოლოდ ერთი ცხ. ამჟღავნებს ფიქსირებული განწყობის ინტენსიურობას.

ერთი სიტყვით, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ პირობებში შექმნილი განწყობის სიმტკიცე, გატილებით უფრო დაბალია, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ფიქსაცია აქტუალური ზემოქმედების საშუალებით ხდება.

2) წარმოდგენის საფუძველზე შექმნილი განწყობის შეფარებით ნაკლები ინტენსიურობა ამ გამძლეობა შეიძლება ახლდეს განწყობის სხვა მხარეების მდგომარეობაზეც. ჩვენ ვიგულისხმებთ სტაბილობის ხარისხზე და შემდეგ ალგზნე-

ბადობაზეც. ამ ცდების შედეგად გამოირკვა, რომ 13 ცპ-იდან წარმოდგენის საფუძველზე შექმნილი განწყობა 5–15 წუთის პაუზის შემდეგ ხუთს ცპ-ს შეარჩა, ე. ი. 38%-ს, ამასთანავე, ერთი ცპ-ის გამონაკლისით, რომელსაც სტატიკური განწყობა აღმოაჩნდა, ყველამ ფიქსაციის ძალიან დაბალი ხარისხი გამოამჟღავნა, სახელდობრ: ორს ორხელობრივი და ორს—ერთხელობრივი ილუზია ჰქონდა.

ერთი სიტყვით, ამ ცდებში ფიქსირებული განწყობის სტაბილობის საკმაოდ დაბალი ხარისხი გამოვლინდა.

ამ მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ვერბალურად სტიმულირებული განწყობა, საერთოდ გაცილებით ნაკლებ სტაბილურია, ვიდრე განწყობა, შექმნილი აქტუალური სიტუაციის უშუალო ზემოქმედების პირობებში.

3) იგივე ითქმის განწყობის აგზნებადობის შესახებაც. იმ 13 ცპ-იდან, რომელსაც წარმოსახვითი ზემოქმედების შედეგად საერთოდ უმუშავდებათ ფიქსირებული განწყობა, მხოლოდ სამს შეექმნა განწყობა ჰაპტურ სფეროში 5 საგანწყობო ზემოქმედების შემდეგ. ეს რიცხვი რომ სათანადო მაჩვენებელს შევადაროთ განწყობის აქტუალურ სიტუაციაში შექმნის შემთხვევაში, დავრწმუნდებით, თუ რამდენად უმნიშვნელოა ის: ჯერ ერთი, აგზნებადობის უდაბლესი ზღურბლი იქ გაცილებით უფრო დაბალია (უკვე ერთი საგანწყობო ექსპოზიცია იძლევა შესამჩნევ ეფექტს), აქ კი ამისათვის არა ნაკლებ ხუთი საგანწყობო ზემოქმედებისაა საჭირო. მეორე—მაშინ როდესაც ჩვეულებრივ ცდებში აღნიშნული ზღურბლის წარმომადგენელთა რიცხვი საკმარისად დიდია, აქ ამ მხრივ ძალიან დაბალი მაჩვენებელი (23%) გვაქვს; და, ბოლოს, წარმოდგენის მინიმალურ ზემოქმედებათა შედეგად შექმნილი განწყობა ძალიან სუსტი გამძლეობის აღმოჩნდა: ერთ ცპ-თან ილუზიაში მან თავი იჩინა სამის, მეორესთან—ორის, ხოლო მესამესთან— მარტო ერთი კრიტიკული ექსპოზიციის შემთხვევაში.

ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოსახულ სიტუაციაში შექმნილი განწყობა გაცილებით ძნელად აგზნებადია, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქსირებული განწყობა.

4) შეიძლება თუ არა რაიმე თავისებურების აღნიშვნა ამ განწყობის ჩაქრობის პროცესშიც?

იმავე ავტორის მონაცემებში ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება:

ა) იმ 36 ცპ-იდან, რომელნიც ამ შემთხვევაში განწყობის ფიქსაციის ეფექტს იძლევიან და ამ მხრივ განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენენ, 9, ე. ი. 25%, განწყობის სტატიკურობით ხასიათდება: ეს პირები უცვლელად, 30 კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ, სულ კონტრასტულ ილუზიას იძლევიან. ჩვეულებრივი ცდების დროს, ნორმალურ ცპ-თა შემთხვევაში, ეს მოვლენა იშვიათად ხდება (3—5%). საჭიროა შემდეგ ცდებში ვერბალურად ფიქსირებული განწყობის ამ თავისებურების საფუძველი გამოირკვეს.

ბ) განსაკუთრებით ხშირია (52%) ტლანქი დინამიკური განწყობის შემთხვევა: აქ კრიტიკული ცდის დასაწყისიდან თავს იჩენს განწყობის კონტრას-

ტული ილუზია, რომელიც თითქმის უცვლელად ძალაში რჩება, სანამ ცპ. კრიტიკული ობიექტების ტოლობას საბოლოოდ შეამჩნევდეს.

გ) შემთხვევათა 25%-ში პლასტიკური განწყობის ტიპი გვაქვს. ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია: აქტუალური ზემოქმედების გზით განწყობის შექმნის პირობებში ჩვენ გაცილებით უფრო მაღალი პროცენტი გეხვდება.

ვერბალურად ვანმტკიცებული განწყობის ჩაქრობის პროცესის ყველა ეს თავისებურება ადრიანდელ, ამგვარი განწყობის შესაძლებლობის გამოსარკვევად დაყენებულ ცდებში იქნა მიღებული. შემდგომმა მუშაობამ უნდა გვიჩვენოს, თუ რა უნდა დარჩეს ამ შედეგებიდან უცვლელად და რა უნდა შეიცვალოს ამა თუ იმ მიმართულებით.

2. წარმოდგენის პრობლემა. თუ გადავხედავთ ამ ცდებში მიღებულ შედეგებს, ვნახავთ, რომ განწყობის ფიქსაცია ვერბალური ზემოქმედების საფუძველზე უდაო ფაქტია. ეჭვი არაა, რომ სიტყვა ჩვენთვის აქტიობის იმ სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც ადამიანის განწყობისეულ მდგომარეობათა ახალი ფენა შენდება, ფენა, რომელიც თავის მხრივ მისი ქცევის განმსაზღვრელ პირობას წარმოადგენს.

საკითხი, რომელიც ეხლა ჩვენს წინაშე დგას, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: როგორ ახერხებს სიტყვა იმ როლის შესრულებას, რომელიც ობიექტური სინამდვილის—ჩვენი ქცევის ამ ჩვეულებრივი ბაზის წინაშე დგას?

მართლაც, განწყობის აღმოცენების უშუალო ფაქტორს, ამ შემთხვევაში, არა ფაქტურად ჩვენზე მომქმედი სიტუაცია წარმოადგენს, არამედ სინამდვილის ვერბალურად გაშუალებული ფორმა. შეიძლება ითქვას, რომ ობიექტურ ფაქტორს, რომელიც, ამ შემთხვევაში, განსაზღვრავს განწყობის აღმოცენებას, არა აქტუალური, არამედ მხოლოდ ვერბალურად სტიმულირებული სიტუაცია ჰქმნის. ეს ნიშნავს, რომ ის, თუ რა განწყობა უჩნდება სუბიექტს, დამოკიდებულია ამ შემთხვევაში სინამდვილის არა იმ პირობებზე, რომელშიც მისი ქცევა მიმდინარეობს, არამედ იმაზე, თუ რაგვარ სინამდვილეს წარმოისახავს იგი, ე. ი. რისი გამოხატვა უნდა მას თავისი სიტყვით.

ამგვარად, თუ განწყობის ჩვეულებრივ ცდებში საქმე აქტუალური სინამდვილის რომელიმე ინდივიდუალურ მონაკვეთთან, სავსებით გარკვეულ სიტუაციასთან გვქონდა, ამ შემთხვევაში განწყობის ობიექტურ პირობას აზრითი. ან უბრალოდ, იდეური სიტუაცია წარმოადგენს: სუბიექტს ანგარიშის გაწევა უხდება არა რეალურად მოცემულს, არამედ იდეურად წარმოსახულს, აზრითს სიტუაციასთან.

რასაკვირველია, განწყობის აღმოცენების ობიექტური პირობები ამ ორ სხვადასხვა შემთხვევაში არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუ ჩვეულებრივ შემთხვევაში ლაპარაკი შეიძლება რეალურად არსებული ობიექტური სიტუაციის შესახებ, აქ საქმე ნამდვილად არსებულ, აქტუალურად მოქმედ სიტუაციასთან კი არა გვაქვს, არამედ ისეთ სიტუაციასთან, რომელიც მხოლოდ წარმოიდგინება ან იაზრება.

ჩვენი განწყობის აქტიობის ჩვეულებრივი შემთხვევისათვის, მაშასადამე, ბი შენელობა აქვს რეალურად მოცემულს ცნობიერებაში, როგორც სიტუაციას, რომელშიც ხელსაყრელი ამოცანის გადაჭრა უნდა მოხდეს.

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს განწყობის იდეური ზემოქმედების შემთხვევაში, პრობლემების შემთხვევაში. აქ მნიშვნელობა არა ობიექტურად მოცემულს, არამედ მხოლოდ აზრით, სიტყვაში გაფორმებულს, წარმოდგენილს სიტუაციას აქვს.

ამგვარად გასაგები ხდება, რომ ამ შემთხვევაში განწყობის სულ ახალი ფენა ჩნდება, ფენა, შესაძლებელი და მისაწვდომი მხოლოდ ისეთი სუბიექტებისათვის, რომელთაც, ზოგადად რომ ვთქვათ, წარმოდგენასთან, აზრთან ძლიერ საქმე აქვთ.

რას წარმოადგენს ეს იდეა? შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ჩვეულებრივ წარმოდგენას, ე. ი. „საგნის რეპროდუცირებულ ხატს, რომელიც ემყარება ჩვენს წარსულ გამოცდილებას“ (რუბინშტეინი). მაგრამ ზემოთ ალწერილ ცდებში ჩვენ გვაქვს მონაცემები, რომლებიც საშუალებას არ გვაძლევენ ამ მოსაზრების სასარგებლოდ. საქმე იმაშია, რომ ერთი და იმავე საგნის, ან მოვლენის წარმოდგენები, როგორც ცნობილია, ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ უპირველეს ყოვლისა ინტენსიობის ან სრულყოფილების ხარისხის მიხედვით. ამ ცდებში კი გამოირკვა, რომ ინტენსიობის მომენტი ჩვენ საკითხს ვერ სწყვეტს: წარმოდგენა შეიძლება მაქსიმალურად ნათელი იყოს, მაგრამ უძლური იმისათვის, რომ სუბიექტის აქტიობის სტიმულაცია მოახდინოს.

როგორც ჩანს, ამ ცდებში გადამწყვეტ როლს არა წარმოდგენა, არა საგნის უბრალო ხატი, არამედ სულ სხვა რამ ასრულებს.

რომ საქმე ამ შემთხვევაში ინდივიდუალურ წარმოდგენებში არაა, ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ აქ შეტყვედება განსაკუთრებულ როლს ასრულებს. სიტყვა რომ პირდაპირ რომელიმე კონკრეტ, ინდივიდუალურ ხატს არ გამოხატავს? იგი ყოველთვის განზოგადებას ახდენს, ყოველთვის მეტად ან ნაკლებად ზოგად შინაარსს გულისხმობს. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ პროცესთან, რომელიც უფრო ზოგადი ბუნებისაა, ვიდრე წარმოდგენა. არის საბუთი ვიფიქროთ, რომ აქ ცალკეულად აღებული ან წარმოდგენილის კონკრეტ სფეროს ვცილდებით და იმ უფრო მაღალ ფენაში ავდივართ, რომელსაც აზრთა სამკვიდრო შეადგენს.

ეს ნიშნავს იმას, რომ აქ ძალაში შეიძლის ადამიანის ის განსაკუთრებული და სპეციფიკური თვისება, რომელიც განვითარების უფრო მაღალ საფეხურზეა გაფორმებული. აქ ჩვენ საქმე გვაქვს აზროვნებასთან.

ამგვარად ირკვევა, რომ ადამიანს უჩნდება განწყობის მეორე, უფრო მაღალი ფორმა. განწყობის ამ ფორმას ახასიათებს პირველ რიგში ის გარემოება, რომ იგი, განსხვავებით რომელიმე მოთხოვნილებისა, რომელიც მისი ქცევის გამომწვევ ფაქტორს წარმოადგენს, გულისხმობს აგრეთვე ისეთი სტატიკის არსებობასაც, რომელიც აზროვნების კატეგორიებით განისაზღვრება და არის

[illegible]

მდგომარეობაა ასეთია: ადამიანს უმეშავდება უნარი იმოქმედოს აწყვლს [illegible] სახული სინამდვილის—პლანში და ამგვარად უპასუხოა მოქმედ [illegible] პრედიკატივით, რაც მეტად თუ ნაკლებად ცხოველ- [illegible] ივილის სურათზე იგი რეაქციებს გამოუალებელ სახეებსაც იძლევა.

3. წარმოდგენები სიზმარში. იმისათვის, რომ უფრო ნათ- [illegible] წარმოვიდგინოთ ადამიანის ქცევის საფუძვლად მდებარე სპეციფიკური [illegible] პროცესების ბუნება, ჩვენ ისეთ შეთხვევათა განხილვაც მოგვიხდება, რო- [illegible] ელშიც პირველი შეხედვით ჩვენს აწყლის თითქოს ეწინააღმდეგებიან, [illegible] ხედველობაში გვაქვს მდგომარეობა, რომელშიც არა მხოლოდ ადამიანი, [illegible] რომელ ერთგვარად თითქოს ცხოველიც იდგის ან აზრის ანალოგიურ განცდის [illegible] მატარებლად გვეელინება.

აქ ჩვენ ვგულისხმობთ სიზმრის ხატს, რომელიც, როგორც ჩანს, უცხო [illegible] ისე მარტო განვითარების პრიმიტიული საფეხურის ადამიანისათვის, [illegible] რ შენ არც ცხოველისათვის. რასაკვირველია, უნდა ვცნოთ, რომ სიზმრის [illegible] ხატი, არსებითად, სრულიად არ წარმოადგენს აქტუალურად მიმდინარე შინა- [illegible] არის განცდას. მაგრამ მაინც, განვითარების პრიმიტიულ საფეხურზე, სადაც, [illegible] როგორც ჩანს, აზროვნების ნამდვილი აქტების შესახებ ლაპარაკიც არ შეიძ- [illegible] ლება, მისი არსებობა უდაო ფაქტს წარმოადგენს.

ეს მოხადირე ძაღლი, რომელიც ჩემს წინაშე წევს! მას ძიძავს ყველაფერზე ეტყობა, [illegible] რომ ის მშვიდად არაა: იგი წკმუტუნებს, დრო და დრო ყეფს კიდეც, მართალია ყრუდ, მაგ- [illegible] რამ საკმარისად გერკვევით იმისათვის, რომ ამ შემთხვევაში ნადირობის ტრფობის მისთვის და- [illegible] ახასიათებელი ყეფა ვიგულოთ. ერთი სიტყვით, ყველაფერი გვაიძულებს, რომ ძაღლ- [illegible] სიზმარში ხედავს ნადირობის სცენას, რომელშიც თვითონ მონაწილეობს.

[illegible] ბავშვების სიზმრებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია! ვის სრული დარწმუნებით [illegible] არ იწვევს იგივე ითქმის პრიმიტიული ადამიანის სიზმრის შესახებაც. [illegible] საერთოდ უნდა ითქვას, რომ სიზმარი განვითარების პრიმიტიულ საფე- [illegible] ურზედაც იმდენად უდაო ფაქტს წარმოადგენს, რომ მასზე სრული დარწმუნებით შეიძლება დაყრდნობა. მაგრამ თუ ეს ასეა თუ სიზმრის ფაქტი ამ [illegible] ეტაპზედაც არ იწვევს არავითარ ეჭვს, მაშინ ცხადია, რომ აქ ამ საფეხურზე [illegible] რწმენის უნარიც ყოველგვარ ეჭვის გარეშე უნდა ვიგულოთ: ცხო- [illegible] ველს, ამ შემთხვევაში ძაღლს, გარკვეული ხატები უნდა ჰქონდეს, რომელნიც [illegible] მასში სათანადო რეაქციას, ე. ი. ყეფას იწვევენ. იგივე ითქმის ადამიანის სიზმ- [illegible] რის შესახებაც: რომელიმე წარმოდგენის არსებობის ფაქტი აქ თითქოს სრუ- [illegible] ლიად არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

მაგრამ სიზმარს ერთი საინტერესო და, ამ შემთხვევაში, ძლიერ საგულისხმო [illegible] თვისებაც აქვს: სწორედ სიზმარში ისეთი გრძნობა გვაქვს ხოლმე, თით- [illegible] ქოს ჩვენ ახლა მხოლოდ აღვიქვამთ მოვლენათა რიგს, არამედ წარმოვიდგენთ [illegible] იმასაც, მაგრამ თუ დავაკვირდებით წარმოდგენის ამ მიმთხვევებს, ვნა-

ხავთ, რომ გაჩნდება თუ არა წარმოდგენა, იგი მაშინვე აღქმად იქცევა. ეს იძლენად ხშირად ხდება, რომ ადვილად იბადება ეჭვი—არის კი ნამდვილი სიზმრის მდგომარეობაში შესაძლებელი ჩვენ ძართლა წარმოდგენა გვიჩნდეს?

რასაკვირველია, თუ მივიღებთ, რომ წარმოდგენები სიზმრის დროს აღქმის ხატად იქცევიან, ე. ი. თუ წარმოდგენა აღქმად იქცევა, მაშინ მათი ფაქტიური მოცემულობაც ყოველივე ეჭვს გარეშე რჩება.

მაგრამ ეს მოცემულობა ხშირად ისეთი თავისებურის, ისეთი სპეციფიკური ხასიათისაა, რომ ძნელი ხდება მისი ნამდვილ მოცემულობად ჩათვლა. საქმე ისაა, რომ სიზმარში ჩვენი წარმოდგენების ხატები, როგორც კი ყურადღებას მივაქცევთ, მაშინვე აღქმის ხატებად იქცევიან. ის, რაც ცნობიერებაში, როგორც ცალკეული წარმოდგენა იჩენს თავს, მაშინვე ტრანსფორმირდება, მაშინვე აქტუალურ განცდად, ნამდვილ აღქმად იქცევა—ისეთ ფენომენად, რომლის გაწლაც ფაქტიურად ჩვენს თვალწინ ხდება. აზრი, რომელიც თავში მოგვდის სიზმრის დროს, მაშინვე ხორცშესხმულს, ნამდვილს, აქტუალურ აღქმად განიცდება. ეს ტრანსფორმაცია იმდენად ცხადად ხდება, ხოლმე, რომ არავითარ ეჭვს არ სტოვებს: ჩვენ ვიგონებთ რასმე სიზმარში, და უკვე ვხედავთ, რომ ამ მოგონების ხატი დაუყოვნებლივ ჩვენს თვალწინ აღქმის ნამდვილს, ცხად შინაარსად იშლება.

ეს დაკვირვება, ვფიქრობთ, კარგად ახასიათებს ჩვენი ცნობიერების მდგომარეობის თავისებურებას სიზმრის დროს: სიზმარში ყველაფერი წარმოდგენილი დაუყოვნებლივ აღქმის ხატად იქცევა.

წარმოდგენის შინაარსთა აღქმის შინაარსად გარდასახვის ეს უდავო ფაქტი განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს სიზმრის ფსიქოლოგიური ბუნების ნათელსაყოფად. თუ წარმოდგენის შინაარსის აღქმის შინაარსად ასეთი ტრანსფორმაცია მართლა შესაძლებელია, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ორ შინაარსს შორის განსხვავება არ უნდა იყოს: თუ აღქმა კონკრეტი სინამდვილის, განსაზღვრული, ინდივიდუალურად მოცემული შინაარსის ასახვას წარმოადგენს, იგივე უნდა ითქვას სიზმრის წარმოდგენის შესახებაც; წინააღმდეგ შემთხვევაში მისი აღქმად გარდასახვა სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. თუ ერთი და იგივე შინაარსი ერთნაირად შეიძლება შეადგენდეს როგორც წარმოდგენის, ისე აღქმის შინაარსს, აღქმა და წარმოდგენა ამ შემთხვევაში ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდნენ, და ერთი და იგივე ინდივიდუალურად კონკრეტი მოცემულობა შეიძლება ერთ შემთხვევაში აღქმისა და მეორეში—წარმოდგენის შინაარსი იყოს.

გამოდის, რომ წარმოდგენას ისეთივე კონკრეტი და ინდივიდუალური შინაარსი აქვს, როგორც აღქმას.

/ აქედან ნათელი ხდება, რომ დებულება, რომლის მიხედვითაც თითქოს წარმოდგენას უთუოდ მეტად ან ნაკლებად განზოგადებული შინაარსი უნდა ჰქონდეს, არ არის საკმარისად დასაბუთებული./ მართალია, იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის შინაარსი დიფუზიურია და გაურკვეველი, ძნელი ხდება მისი აღქმის თუ წარმოდგენის ზუსტად გარკვეული განცდის შინაარსად ცნია-

რება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი ცნობიერების ფაქტები ამის გამო განზოგადებულ ხასიათს იძენენ: რაგინდ დიფუზიური და გაურკვეველიც უნდა იყვნენ, ისინი მაინც ინდივიდუალური შინაარსის განცდებად რჩებიან. ამგვარ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა პრინციპიალურად ზოგად შინაარსთან, მოვლენების ან საგნების რომელიმე ჯგუფის ნიშანთა ერთობლიობასთან, არამედ მხოლოდ ნაკლებად გარკვეულ, დიფუზიურ განცდასთან, რომლის მიკუთვნება რომელიმე გარკვეული ინდივიდუალური შინაარსისათვის, სწორედ ამ დიფუზიურობის გამო, ძნელი და ზოგჯერ სრულიად შეუძლებელიც ხდება.

ამგვარად დამტკიცებულად უნდა ჩავთვალოთ, რომ ჩვენი წარმოდგენა-სიზმრის დროს პრინციპიალურად არ განსხვავდება აღქმისაგან და იგი შეიძლება არა მხოლოდ ადამიანს ჰქონდეს, არამედ ცხოველსაც.

ცხადია, არ შეიძლება წარმოდგენასთან, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით,—იმ მნიშვნელობით, რომელიც აქ იგულისხმება,—იმ იდეის გაიგივება, რომელიც საფუძვლად უდევს ვერბალურად სტიმულირებული განწყობის ექსპერიმენტს. წარმოდგენა, როგორც ვიცით, შეიძლება განვითარების შედარებით ადრინდელი საფეხურის ცოცხალ არსებასაც ჰქონდეს. ვერბალურად სტიმულირებული იდეა კი მხოლოდ განვითარების მაღალ საფეხურზე გვხვდება—იგი მხოლოდ მეტყველ არსებას—ადამიანს შეიძლება ჰქონდეს.

4. ვ ე რ ბ ა ლ უ რ ი ზ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა დ ა ს ი ზ მ რ ი ს მ ო ქ მ ე დ ე ბ ა. რ. ნათაძის ერთ-ერთ შრომაში გამოვლინებულია ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც იგი შემდეგ დებულებაში აყალიბებს: „სასცენო გარდასახვის არს სასცენო სიტუაციის, ე. ი. მსახიობის მიერ წარმოდგენილი (არა რეალური) სიტუაციის შესატყვისი განწყობის აღმოცენება შეადგენს“ [1].

ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ წარმოდგენის საფუძველზე განწყობის ფიქსაცია ნიჭიერ მსახიობებს უფრო ეხერხებათ, ვიდრე სცენის გარეშე მდგომ პირებს, რომელთაც სცენიური გარდასახვის უნარი არა აქვთ განვითარებული. განსაკუთრებით დამახასიათებელია, რომ წარმოდგენის საფუძველზე განწყობის ფიქსაციის უნარი უფრო ძლიერი აქვთ სასცენო ნიჭის მქონე სტუდენტებს, ვიდრე ამ ნიჭს მოკლებულთ. თავისი დებულების მართებულობას ავტორი სხვადასხვა ცდებისა და მათი კომბინაციების საფუძველზე ამტკიცებს.

რათა ნათელი გახდეს, რა დიდი განსხვავებაა ამ მხრივ სასცენო ნიჭით დაჯილდოებულთა და ამ ნიჭს მოკლებულ პირთა შორის, მივმართოთ ამ ავტორის ზოგიერთ მონაცემს, მაგ., რომელიც მოცემული აქვს მას თავის № 1-ს ცხრილში. აქ ჩვენ ვხვდავთ, რომ თეატრალური ნიჭის მქონე სუბიექტები მკვეთრად განსხვავდებიან თავისი მაჩვენებლებით სცენის გარეშე მდგომი პირებისაგან.

---

[1] რ. ნ ა თ ა ძ ე, წარმოდგენით შექმნილი ფიქსირებული განწყობა და სასცენო გარდასახვის უნარი, ფსიქოლოგია, III. 1945.

1	...მსახურებულ...მახიობები	10	10	90	22,2	33,3	33,3	11,1
2	...ხელგაზრდა მსახიობები	7	14,3	85,27	33,3	33,3	33,3	—
3	...ინსტიტუტის ხიბლიური ...სტუდენტებე...	10	20	80	25	25	37,5	12,5
4	...პირები, რომელთაც ...შირი აქვთ ...ტეატრთან ...	25	19,8	90,1	75	8,3	8,3	8,3

...ამსახურებულ მსახიობებს შორისაც შეიძლება ყოფილიყვნენ ისეთი ...რომელნიც არ იყვნენ მოკლებული თეატრალური ხელოვნების ნიჭს, ...ჩვენებლები (31%) მსაზიობთა (87,8%) და თეატრალური ინსტიტუტის ...სტუდენტების (30%) შედარებით, თითქმის სამჯერ უფრო ...ჩანს. ცხადად ჩანდა ჩატარებულმა ექსპერიმენტმა, რომ თეატრალური ხელოვნების წარმოდგენით სტიმულირებული ვიწრო სფეროს საფუძველზე ემოციური ასოციაციების ურთიერთობათა შორის მაღალი დადებითი კორელაცია არსებობს. ამ ცდებში ცპ-ს სიტყვიერად წინადადება ეძლევა ...ის მიმართ გრძნობა-ხელში დიდი, ხოლო მარცხნაში პატარა მოცულობის ბურთი. გაწყვეტილ ინტერესს შეიცავს ის გარემოება, რომ ...ვებით, იგივე შედეგი გვაქვს ცდის გართულებულ პირობებშიც, როდესაც ...ა ტეტალერად ალიქვამს ისეთ გამღიზიანებელს, რომელიც სრულიად ...ვითომდაც წარმოდგენილს საგანწყობო ობიექტებს. სინელდობრივ ...ხელი ეძლევა მარპანტიეს ობიექტები. მას უნდა გაეჩნდეს შესატყვისობა. მაგრამ იმავე დროს ექსპერიმენტატორი მას სთხოვს წარმოდგენილ სიმძიმეები განლაგებულია საწინააღმდეგო მიმართულებით: იქ, სადაც ბურთია, მან უნდა წარმოიდგინოს მსუბუქი და პირიქით, სადაც ...ს მსუბუქს, იქ უნდა მძიმე წარმოიდგინოს.

მიღებული მონაცემების შედეგად ნათელი ხდება, რომ ცპ-ები ასეთ ...წარმოდგენის გზით მარპანტიეს ილუზიის დაძლევას. ამასთანავე ირკვევა, რომ ...დროდ ეხერხება სასცენო ნიჭის მქონე პირებს (65,2%), და სრულიად ...ხერხება იმათ, რომელთაც თეატრალურ ხელოვნებასთან (მოსამსახურენი ...შეალო კვალიფიკაციისა) არავითარი კავშირი არა აქვთ. ეჭვი არაა, რომ მიღებული მაჩვენებლები კარგად ამჟღავნებენ იმ განსხვავებას, რომელიც ...ორ კატეგორიას შორის დასტურდება.

ამ ცდების მეორე ვარიანტში დასატესტად, რომ გამოყობის ფიქსაციის წარმოდგენაზე ასოციაციურ მეხსიერებაში მეტყველებაში, რომელსაც წარმოდგენა ობიექტის ფორმის, მოძრაობის არეალთან გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებაში იყო ფიქსირებული. ცპ-ს, ძაგალითად, ხელში უჭირავდა შიგნით ტოლი თანაბრად ნაწილებად დაყოფილი ბრტყელი ფორმა. ამ პირობებში მას, წარმოდგენის ასოციაციურ, განწყობა უფრო ადვილად დიდხანს და მარცხნივ პატარა ობიექტებზე. როგორც ირკვევა, თვალსაჩინო ზიჩის შეთავაზებები ამ ცდაც გაცილებით უფრო ხშირად (77,8%) ხვდებოდა, ვიდრე ჩვენი დავალებები ცპ-ებში (23,8%).

ცდების სხვა ვარიანტების განხილვის გარეშეც დასაწყისში შეიძლება ითქვას, რომ განწყობის ფიქსაციის უნარი ობიექტის ასეთი წარმოდგენის ფუძეებზე, რომელიც ეწინააღმდეგება აქტუალურ ველში, გაცილებით ნაკლებად გამოცდილებულია სასცენო ნიჭით დაჯილდოებულ პირებში, ვიდრე თანატოლების გარეშე, მდგომ სუბიექტებსა და აგრეთვე სასცენო ნიჭის თვალსაჩინოდ ნაკლებად გამოხატულ სტუდენტებს შორის.

ამგვარად, განხილული ექსპერიმენტების მონაცემების თანაბარმა ეფექტურობით ითქვას: რომ ფიქსირებული განწყობა წარმოდგენის საფუძველზე გაცილებით უფრო ხშირად უმეშავდება სამსახიობო ნიჭის მქონე პირებს. ვიდრე იმათ, ვინც ამ ნიჭს მოკლებულია.

3. ცდების „წარმოდგენათა და „ილეთთა ბაზ გვეუბნება ეს გარემოება? ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ განხილული, ისევე როგორც სხვა ანალოგიური ცდებშიც, მნიშვნელობა აქვს არა ნაცნობი წარმოდგენის უნარს, არამედ უფრო ისეთ უნარს, რომელიც საშუალებას იძლევა ობიექტებს ადვილად სათუთველად. მაგრამ ცდების შედეგი, რომელიც სასცენო ნიჭით დაჯილდოებულ პირთაგან მივიღეთ პირველი შეხედვით ეწინააღმდეგება ამ ჰიპოთეზას, ჩვენ ხომ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ პირებს აზროვნების უნარი ჭარბად განვითარებული აქვთ, ისინი დანარჩენ სუბიექტებს, არსებობს სხვა საშუალებებიც ცპ-ის ანალიზი უნარის, გამოსარკვევად, და უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელი მონაცემები ყოველთვის არ ემთხვევა ჩვენი ცდების შედეგებს. ეს გარემოება ძალაუნებურად სვამს ჩვენს წინაშე საკითხს: რას იკვლევენ ჩვენი ცდები—აზროვნებას თუ უბრალოდ წარმოდგენის უნარს?

ამ საკითხის გადაწყვეტად მივმართოთ ზოგიერთ მონაცემებს, მიღებულს იმავე ცდების პროცესში. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მნიშვნელოვანი განსხვავება ცპ-თა ანალიზულს ორ კატეგორიას შორის: მათ შორის რომელსაც არტისტული ნიჭით დაჯილდოებული სუბიექტი ადვილად სწყვეტს ამოცანას, მაგ., წარმოდგინოს ალქაში მოცემულის საწინააღმდეგო გარდასახვება, ცპ-ს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სასცენო ხელოვნებასთან, ეს უძნელდება და ზოგჯერ იმდენად უძნელდება, რომ იგი იძულებული ხდება უარი თქვას დავალების შესრულებაზე. უნდა აღინიშნოს,

რიმ ამ მეორე ჯგუფის ცპ-ბი ამ დავალების შესრულების დროს ძლიერ დაძაბულობას განიცდიან, მალე იღლებიან და ცდების დროს იძახიან: „ვიკრებ ძალებს“... „არაჩვეულებრივი დაძაბულობა“... „რა საშინელებაა“, „იცით, არა ჩვეულებრივად დავიღალე“... „გული დამეღალა“... და სხვა. თუ ასეთი ცპ. ბოლოს და ბოლოს ახერხებს დავალების შესრულებას, ეს ხდება ხანგრძლივი ძალისხმევის შედეგად: ძალიან 15—26 ექსპოზიციის შემდეგ შესაძლებელია ამ კატეგორიის ცპ. მიღებული დავალების შესრულებას, მაშინ როდესაც პირველი კატეგორიის ცპ. ამას უკვე 3—5 ექსპოზიციის შედეგადაც ახერხებს.

ერთი სიტყვით, ვიმეორებთ, მაშინ, როდესაც საცნო ნიჭით დაჯილდოებული პირები დავალებას შედარებით ადვილად ასრულებენ, ჩვეულებრივი ცპ-ბი ამაში მეტწილად საგრძნობ უძლურებას იჩენენ.

არსებითი მნიშვნელობა ამ დავალების შესრულების მიმდინარეობას აქვს —იმ ხერხებს, რომელსაც სცენიური ნიჭით დაჯილდოებული პირები მიმართავენ, როდესაც მათ დავალების შესრულება უძნელდებათ. მაგ. ცპ. რომელიმე წარმოდგენის ფიქსაციას ახდენს, მაგრამ უცბად წარმოდგენა გამოვარდება, და ცპ. რამდენიმე ხანს, ასე ვთქვათ, ხელცარიელი რჩება, და ეს გრძელდება მანამდე, სანამ საჭირო წარმოდგენის ხელახლად გამოწვევა არ ხერხდება: „ისევ ჩაირთო“... „ისევ გამოითიშა“ ამბობს ერთი. „დავიჭირე“, „ისევ გაიპარა“, „არის“, „ისევ ვგრძნობ სიმძიმეს“, ამბობს მეორე. ცდები მათი პირობების მნიშვნელოვანი გართულების მიუხედავად, ამ კატეგორიის ცპ-თა შემთხვევაში შეუდარებლად უფრო ადვილად მიმდინარეობენ, ვიდრე იმ ცპ-თა შემთხვევაში, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ სცენასთან.

აქ განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს განსხვავების არსი, რომელიც თავს იჩენს ცპ-თა ორი სხვადასხვა ჯგუფის ქცევაში. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი ჯგუფი—სცენიური ნიჭით დაჯილდოებული პირები—დავალების შესასრულებლად საჭირო განწყობას შედარებით ადვილად იმუშავებს: ამ ჯგუფის ცპ-ს სწორედ იმის აქტივაცია ეხერხება, რაც დავალების შესასრულებლადაა საჭირო—სათანადო წარმოდგენის გამოსაწვევად მისთვის 3—5 ცდაა საკმარისი. მეორის მხრივ, ასეთი წარმოდგენის გამომუშავების ხერხი ამ შემთხვევაში სპეციფიკურ ხასიათს ატარებს: ხდება ამ წარმოდგენის „ჩართვა“ და „გამოთიშვა“, ცპ-ს ან აქვს ეს წარმოდგენა, ან სულ არა აქვს. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ეს წარმოდგენა ან სულ არ არის, ან თუ არის, — დასრულებული სახითაა წარმოდგენილი.

ეს გარემოება საკმარისად კარგად ახასიათებს ასეთი „წარმოდგენის“ ბუნებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წარმოდგენა ისეთი ფსიქიკური აქტია, რომელიც გარკვეულად განსხვავდება იმისაგან, რაც განსაზღვრავს ჩვენი ექსპერიმენტების დროს სცენის გარეშე მდგომი ცპ-ბის ქცევას. ცპ-თა ამ უკანასკნელი ჯგუფის ქცევა ძირითადად აზრის აქტებით, ან უკეთ, იდეებით განისაზღვრება: სასცენო ნიჭით დაჯილდოებული პირები კი ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, არა აზრის აქტს, არამედ ცხოველს, ინდივიდუალურ ხატს მიმართავენ, გარკვეულ წარმოდგენას, რომელიც, თუ ჩნდება და მოქ-

ქედობს ცნობიერებაში, ყოველთვის დამთავრებულ მთლიანობას წარმოადგენს. ამით განსხვავდება იგი იმ აზრისაგან, იმ იდეისაგან, რომლითაც ამ შემთხვევაში ჩვენი ჩვეულებრივი ცპ-ბი ხელმძღვანელობენ.

პოკლედ, ცპ-თა ამ ორი ჯგუფის განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: სცენიური ნიჭით დაჯილდოებულ სუბიექტს ჩვენი ცდების პირობებში ინდივიდუალურად განსაზღვრული ხატი ან წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა უჩნდება; სხვებს კი, ე. ი. ჩვეულებრივ ცპ-ებს, ამის საცვლად ი დ ე ა, ან აზრი ალმოუცენდებათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელნი აზროვნებს აქტებს აწარმოებენ ან თავისი ქცევის მიმდინარეობას ძესატყვისი განწყობის საფუძველზე წარმართავენ.

რასაკვირველია, ყოველივე ეშვს გარეშეა, რომ ჩვენი ცპ-ების პირველი ჯგუფი სრულიად არაა მოკლებული აზროვნების უნარს და შესაფერ პირობებში მათ ამ უნარის გამოყენება შეუძლიათ. მაგრამ ჩვენი ცდების სპეციფიკუმში ისეთია, რომ ამ ჯგუფის სუბიექტთა შემთხვევაში ხატოვანი წარმოდგენის სტიმულაცია უფრო ადვილად ხდება, ვიდრე აზროვნების მეტად თუ ნაკლებად განზოგადებული პროცესების აქტივაცია. ის ფაქტი, რომ დანარჩენ ცპ-თა შემთხვევაში თავს იჩენს არა კონკრეტი წარმოდგენის, არამედ მეტად თუ ნაკლებად განყენებული აზრის სტიმულაცია, ვფიქრობთ, შეიძლება იმ გარემოებით იქნეს ახსნილი, რომ აქ ხატოვანი წარმოდგენა არ არის იმდენად აქტუალური, როგორც სცენიური ნიჭით დაჯილდოებული სუბიექტების შემთხვევაში.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ განწყობის ალმოცენების დროს, „წარმოდგენის“ საფუძველზე სცენიური ნიჭით დაჯილდოებულ პირებს ჩვენი ექსპერიმენტის პირობებში ნამდვილად წარმოდგენათა ინდივიდუალური, კონკრეტი ხატები უჩნდებათ; მაშინ როდესაც ჩვეულებრივი ცპ-ები ასეთ შემთხვევაში უფრო იდეას ან ზოგჯერ ცნებასაც მიმართავენ ხოლმე.

IV

ძირითადი დასკვნები

ჩვენი მსჯელობის დასასრულ, რომ გადავხედოთ განხილული ცდების საფუძველზე მიღებული შედეგების საერთო სურათს, ნათელი გახდება, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ ექსპერიმენტთან, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან წააგავს განწყობის ჩვეულებრივ ცდებს, სულ ახალ გარემოებას ჰფენს ნათელს. სახელდობრ, ჩვენ დავინახეთ, რომ შესაძლებელი ყოფილა განწყობის ცდების ახალ პლანში დაყენება: შესაძლებელი ყოფილა მათი ჩატარება ისეთ პირობებში, რომელიც მხოლოდ ადამიანისათვისაა მისაწვდომი—ჩვენ შეგვძლებია ამ ცდების ობიექტივაციის პლანში—ადამიანის ცნობიერებაში ახახული სინამდვილის პლანში—განმეორება.

მართლაც და, ჩვენი ძირითადი ცდები შემდეგი წესით მიმდინარეობენ: სუბიექტს „მოთხოვნილება“ უჩნდება ექსპერიმენტატორის დავალება შეას-

არსებული ვერბალიზაციის შესახებ, იგი ობიექტი, რომელიც ამ ვერბალიზაციის შესაძლებლობას ქმნის, ასევე ხელისგან კონტიკულ ცნობიერებას იძულებს ფაქტის, რომელიც ამ ობიექტის ძიებისათვის, გაჩენისთვის, რომ ცნობიერებამ, სულიერებამ ხელახლა გარკვევით, თავის სპეციფიკურ ფუნქციებს ახლებს.

გაბნეულის ცნების ძნელად სახელი ხდება, როდესაც ობიექტის შეცნობაში ჩნდება, რომელიც ობიექტის შიგნით გაიხსნება არა ობიექტის ფიქტიური ახალი ობიექტების, არამედ წარმოსახული, გაუცნობიერებელ „წარმოდგენილ" ობიექტების მიმართაც გამოიყენება. ძველისადმი, გაუცნობიერებლის არა მხოლოდ უშუალოდ მოცემული, არამედ ადრეული ცხოვრების ასახული სინამდვილის პლანშიც: იგი აღმოცენდება იმ ახალი ვარაუდის, რომელიც ობიექტივაციის საფუძველზე იშლება.

ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: ხომ არ წარმოადგენს ასახიანი სუბიექტივიტეტის ის გარემოება, რომ მას შეიძლება გაუჩნდეს ისეთი გაუცნობიერებელი სინამდვილის ცნობიერი ასახვის საფუძველზე მოქმედება, რომელის ასმოცენებაც სინამდვილის ვერბალური ასახვითაა შეზღუდული.

ზემოთ ნათქვამის მიხედვით, ამ კითხვაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ. ამგვარ ეჭვებს შეიძლება თქმა, რომ ვერბალური სინამდვილე, ვერბალური შემოძრავებული მოტივი მხოლოდ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს, ვინაიდან მხოლოდ სინამდვილე მხოლოდ ადამიანისთვის შეიძლება იყოს აქტუალური, ე. ი. იმ არსებისათვის, რომელსაც მეტყველებისა და აზროვნების უნარი აქვს.

ამგვარად, ადამიანი ცხოველთა სამყაროს სხვა წარმომადგენლებისაგან პირველ რიგში, იმით განსხვავდება, რომ იგი სინამდვილის ორ პლანში ცხოვრობს—მასზე აქტუალურად მოქმედსა და მის ცნობიერებაში ასახულისა, აზრით სინამდვილის პლანში. სწორედ ეს გარემოება—ე. ი. ის გარემოება, რომ ადამიანი არა მხოლოდ აქტუალურად მოცემულს, არამედ აგრეთვე ასახულს, რეპრეზენტირებულს სინამდვილეშიც ცხოვრობს—მის სპეციფიკურ თავისებურებას რომ წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის აქტიურობა არა თითოეულ ცალკე მომენტში აღქმული სინამდვილის ვიწრო ველით შეიზღუდება, არამედ იმ მოვლენათა გაცილებით უფრო ფართო სპექტრით, რომელთა მნიშვნელობაც აწყობს მჭიდრო ფარგლებს სცილდება: ადამიანი წარმოადგენს არსებას, რომლის მდგომარეობაც არამხოლოდ იმით განისაზღვრება, რაც ხდება მის გარშემო თითოეულ ცალკე მომენტში, არამედ იმითაც, რაც წარსულში მომხდარა, ან შეიძლება მომავალში მოხდეს. მოკლედ, ადამიანი წარმოადგენს არსებას, რომელსაც თავისი ქცევის წარმართვა არა მხოლოდ ცალკე მომენტის შემთხვევით წამოჭრილ გარემოებათა მიხედვით შეუძლია, არამედ აგრეთვე არსებითადაც, ე. ი.—ქცევის აქტებს, ძირითად, შინაგან თვისებათა მიხედვითაც.

ადამიანის ეს თავისებურება, ძირითადად, ობიექტივაციის აქტს იმყარებს—აქტს, რომლის არსსაც ქცევის აქტუალურ პირობებში ალმოცენებული განწყობის რეალიზაციის შეფერხება, ან შეჩერება შეადგენს. შეფერხდება თუ არა აქტუალური განწყობის მოქმედება, სუბიექტს უამრავი ტენდენციისა უჩნ-

დება დაუკვირდეს აქტუალურ სიტუაციას, შეისწავლოს იგი და შემდეგ ქცევის რომელსამე გარკვეულ აქტს მიმართოს.

ამგვარად, ობიექტივაცია ადამიანის აქტიობის მიმართულებას ცვლის და მის ბაზაზე სიტუაციის, როგორც ასეთის, შესწავლის ტენდენცია ჩნდება. აქ, ამ ნიადაგზე ადამიანის ინტელექტის აქტიობა აღმოცენდება, ინტელექტია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ისტორიაში ეგოდენ ფართო გასაქანი ჰპოვა თავისი პროგრესიული განვითარებისათვის.

ინტელექტის მუშაობის ბაზაზე იმ ქცევის შესატყვისი განწყობა ყალიბდება, რომლის შესრულების განზრახვაც ნებელობით აღჭურვილ ადამიანს უჩნდება.

წმინდა ადამიანური ქცევის სქემა ამისდა მიხედვით ასე უნდა იქნეს წარმოდგენილი:

შეფერხება ქცევის პროცესში, დამახასიათებელი განვითარების ადამიანური საფეხურისათვის, ობიექტივაციის აქტს განსაზღვრავს—ობიექტივაციის აქტსა, რომელიც ქცევის არსებული სიტუაციის გაშუქების მიზნით სუბიექტის აქტიობას ახალ მიმართულებას აძლევს: მის ნიადაგზე შემეცნების აქტების რიგი აღიძვრის, რომელიც მიმართულია იქეთ, რომ დასმული საკითხის—„რა არის ეს?"—საბოლოოდ გადაწყვეტის ფორმა მონახოს და ეს ფორმაა, რომ სუბიექტის შემდგომი მიზანშეწონილი ქცევის განწყობას საფუძვლად ედება.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1948, IX. 15).

ს ტ ა ლ ი ნ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს თ ბ ი ლ ი ს ი ს ს ა ხ. უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს შ რ ო მ ე ბ ი, XXXIV, 1948
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV, 1948

ზ. ალფლედიანი

ბგერათმონაცვლეობის ზოგიერთი საკითხი ძართულში[1]

პოზიციურისა და ისტორიული ბგერათმონაცვლეობის განსხვავება

ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმაში ბგერათა კანონზომიერ შენაცვლებას ეწოდება ბგერათმონაცვლეობა. შეიძლება ერთმანეთს ენაცვლებოდეს თანხმოვნები — ესაა თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა (მაგ.: ბ/ფ, დ/თ და სხვა), ან ხმოვნები ენაცვლებოდეს ხმოვნებსავე (მაგ.: ა/ე, ე/ი და სხვა) — ესაა ხ მ ო ვ ა ნ თ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა.

იშვიათ შემთხვევაში ერთმანეთს შეიძლება ენაცვლებოდნენ ხმოვანი და თანხმოვანი. ასეთია, მაგ., ო/ვ ქართულში: მ ა წ ო ნ ი / მ ა წ ვ ნ ი ს, ნ ი ო რ ი / ნ ი ვ რ ი ს და სხვა.

თანხმოვანთმონაცვლეობის ნიმუშად ქართულიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ, მაგ., გ ა ლ ო ბ ა, ვ გ ა ლ ო ბ დ ი, მაგრამ გ ა ლ ო ფ ს, გ ა ლ ო ფ თ (მონაცვლეობაა ბჟღერი და ყრუ თანხმოვნებისა გარკვეულ პირობებში ანუ ფონეტიკურ პოზიციაში: მჟღერის წინ ბ, ყრუს წინ ფ); ბ ე დ ი, ბ ე დ მ ა, მაგრამ ბ ე თ ს (ან ბ ე ც), ბ ე თ შ ი (ან ბ ე ჩ ი) და მრავალი სხვა ასეთი.

თანხმოვანთმონაცვლეობა გვაქვს აგრეთვე შემდეგ შემთხვევებში: კ რ ე ბ ა / კ რ ე ფ ა, ს უ ლ ი / ს უ ნ ი; მაგრამ აქ სრულიად არა ჩანს ფონეტიკური განპირობებულობა: პირველ ნიმუშებში ბ-ს ენაცვლებოდა ფ, როცა იგი აღმოჩნდებოდა ყრუ თანხმოვნის წინ; აგრეთვე დ/თ. აქ კი ბ-ც და ფ-ც, ლ-ც და ნ-ც ერთნაირ პირობებშია, მაგრამ განსხვავებულია ერთმანეთისაგან: ვგრძნობთ კი, რომ კ რ ე ბ ა / კ რ ე ფ ა ერთი და იგივე სიტყვაა, ერთმანეთისაგან მნიშვნელობით ოდნავ განსხვავებული; აგრეთვე ს უ ლ ი / ს უ ნ ი[2].

ხმოვანთმონაცვლეობის ნიმუშად ქართულიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ, მაგ., იმერული წ ე ვ ი დ ა / წ ა ვ ა (ე/ა), მ ე ვ ი დ ა / მ ო ვ ა (ე/ო) და საერთო ქართული გ ლ ე ჯ ს / გ ლ ი ჯ ა (ე/ი). პირველ შემთხვევაში (ე/ა, ე/ო) ხმოვანთმონაცვლეობა განპირობებულია ფონეტიკური პოზიციით (ა და ო გადადის

---

[1] წაკითხულია მოხსენებად ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის სხდომაზე 15/X—48 წელს.

[2] იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, 43 გვ.

ე-ში მომდევნო მარცვლის ი-ს გავლენით), ხოლო მეორე შემთხვევაში განპირობებულობას ადგილი არა აქვს.

ბგერათმონაცვლეობის აქ წარმოდგენილი სახეები არ არიან ერთნაირი ღირებულების: პირველნი (გალობა/გალოფს..., ბედი/ბეთს..., წევიდა/წავა...) დღევანდელი ცოცხალი წარმოთქმის მოვლენებია, განპირობებული წარმოსათქმელი ბგერის პოზიციით; მეორენი (კრება/კრეფა. გლეჯს/გლიჯა) ისტორიულადაა დაძკვიდრებული ენაში და არაა განპირობებული წარმოსათქმელი ბგერის პოზიციით.

მაგრამ უმთავრესია ის, რომ პირველი რიგის ბგერათმონაცვლეობას, რომელსაც პოზიციური ბგერათმონაცვლეობა შეგვიძლია ვუწოდოთ, არა აქვს დაკისრებული არავითარი მნიშვნელობითი (სემანტიკური ან გრამატიკული) როლი; ის მხოლოდ ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური მოვლენაა: მაგალითად, ვიტყვით ჩვენ გალობს თუ გალოფს, წევიდა თუ წავიდა, ამით არ შეიცვლება ამ სიტყვების მნიშვნელობა; ეს კია, მხოლოდ, რომ გალობს ერთგვარად ნაძალადევია წარმოთქმაში და წევიდა არაა ლიტერატურული.

მეორე რიგის ბგერათმონაცვლეობას კი, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ისტორიული ბგერათმონაცვლეობა, დაკისრებული აქვს გარკვეული ფუნქცია — სემანტიკური ან გრამატიკული: კრება სხვას ნიშნავს და კრეფა სხვას, ისე როგორც სული და სუნი; აგრეთვე ფუძედრეკად ზმნაში ე საფეხური მიუთითებს აწმყოზე, ხოლო ი — ნამყო წყვეტილზე.

როგორც ამ მსჯელობიდან ჩანს, ორივე რიგის ბგერათმონაცვლეობა ფონეტიკური მოვლენაა, რამდენადაც ორივე შემთხვევაში ერთმანეთს ენაცვლება ბგერები, რომელთაც თავისთავად მნიშვნელობა არა აქვთ. აზრის მხრით კი მათ შორის არსებითი განსხვავებაა, სახელდობრ: მეორე რიგის მონაცვლეობა სემანტიზებულია (კრეფა/კრება, სუნი/სული) ან გრამატიზებული (გრეხს/გრიხა).

ამიტომ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ პირველი რიგის ბგერათმონაცვლეობა მხოლოდ ფონეტიკურია ანუ ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური, ხოლო მეორე რიგისა — ფონოლოგიური.

ა. ბგერათმონაცვლეობის, როგორც ფონეტიკური პროცესის, სემანტიზაცია

ბგერათმონაცვლეობა ფონეტიკისა და სემანტიკა-გრამატიკის მიჯნაზე ძევს. პირველადია მასში ფონეტიკური პროცესი. მრავალია ისეთი ფონეტიკური პროცესი, რომელსაც სემანტიკურ-გრამატიკული ფუნქცია არ მოუპოვებია. მაგ., არავითარი ფუნქცია არა აქვს ქართული სიტყვის ბოლოში მჟღერ ჩქამიერთა გაყრუებას: სულ ერთია, იტყვით სოფლად თუ სოფლათ, — მათი მნიშვნელობა ერთი და იგივე იქნება; ესაა მხოლოდ, რომ წარმოთქმაში უფრო ბუნებრივია სოფლათ.

ასევეა მნიშვნელობას მოკლებული მჟღერი ჩქამიერის გაყრუება რუსულსა და გერმანულში: სულ ერთია, გითქვამს **ног** თუ **нок**, **Grad** თუ **Grat** — ამით

ამ სიტყვების მნიშვნელობა არ შეიცვლება; ესაა მხოლოდ, რომ გაყრუებული ვარიანტები (k, t) უფრო სწორია წარმოთქმაში.

ეს ის ენებია (ქართული, რუსული, გერმანული), რომლებშიც სიტყვის ბოლოს ჩქამიერი მჟღერი თანხმოვნები ყრუვდებიან. ბაგრამ ზოგ ენაში ასეთი თანხმოვნები მჟღერადვე რჩებიან სიტყვის ბოლოს; ასეთია, მაგ., ინგლისური და ფრანგული. არ შეიძლება, მაგ., ინგლისურში sag სიტყვაში ბოლო g წარმოითქვას k, რადგანაც სხვა მნიშვნელობა გამოვა: sag (წარმოითქმის sæg) ნიშნავს 'დაფერდება, დაქანება', sack (sæk) 'ტომარა, პალტო'; ასევეა განსხვავებული ერთმანეთისაგან სიტყვები save (seiv) 'ვადარჩენა, დაზოგვა' და safe (seif), 'უვნებელი, სეიფი'; cab (cæb) ეტლი, ბეეტლე და cap (cæp) 'ქუდი; robe (roub) 'მოსასხამი' და rope (roup) 'თოკი', nib 'წვეტი' და nip 'ჩქმეტა' და მრავალი სხვა.

ხშირია შეთხვევები, როცა ბგერის პოზიციური ფონეტიკური ვარიანტები (მაგ., გაყრუებელი სახეები კრუების წინ ან სიტყვის ბოლოში) მოიპოვებენ ფონემის ფუნქციას და ამ გზით ისინი გრამატიზირდებიან ან სემანტიზირდებიან.

ქართულში ამ უკანასკნელის ნიმუშს წარმოადგენს კრეფა, რომელიც, უეჭველია, გამოსულა კრება-საგან: იყო ფუძე კრებ — 'შეგროვების' მნიშვნელობით; ამ ფუძის აწმყოს ფორმებში (ვკრებ, კრებ, კრებს, ვკრებთ, კრებთ — მაშასადამე, სიტყვის ბოლოს ან ყრუთანმოყვანთა წინ) ბ-ს გაყრუება მოხდარა რომელიღაც დროიდან, როცა ჯერ კიდევ ფუძეს ერთი მთლიანი ძველი მნიშვნელობა ('შეგროვება') უნდა ჰქონოდა (საბას კრება 'შეყრილობა' დიფერენციაციის შემდეგ დამკვიდრებული უნდა იყოს).

როგორც ჩანს, აზრის მეტი სიზუსტით გამოხატვის საჭიროებამ მოითხოვა გამოხატულიყო ერთჯერადი მოქმედების გვერდით (საბათი მოწყვეტა 'ხილთა და ყვავილთა მოკრება') აგრეთვე მრავალჯერადი მოქმედებაც, როცა აზრის ცენტრში იდგა არა მცენარისა ან ხისაგან ნაყოფის მოკილების მომენტის ('მოწყვეტის') ცნება, არამედ მისი დაგროვება.

ასეთ პირობებში შესაძლებელი იყო გამოყენებული ყოფილიყო კრებ-ფუძის ის პოზიციური ფონეტიკური ვარიანტი, რომელიც არსებობდა სინამდვილეში (ე. ი. ცოცხალ წარმოთქმაში) კრეფ-ის სახით და რომელიც, როგორც ასეთი, ერთგვარად „თავისუფალი" იყო რაიმე განსაზღვრული მნიშვნელობისაგან. სწორედ ამ პირობებში უნდა მომხდარიყო ამ ერთი სიტყვის ორი სახესხვაობის (კრება — კრეფა) სემანტიკური დიფერენციაცია (უკვე საბას ეპოქამდე: მან მოგვცა ცნობა უკვე მომხდარი დიფერენციაციის შესახებ): კრება 'შეყრილობა', კრეფა 'ხილთა მოწილვა. გინა ყვავილთა მოწყვეტა' (მოწყვეტა, საბა, 176, 226).

ამის შემდეგ, რა რომ კრეფ ფუძეს აზრის გარკვეული ნუანსი დაუკავშირდა, იგი დაუპირისპირდა კრებ-ფუძეს (კრებ — კრეფ), რომელიც დაპირისპირებაც, უკვე აღარ შეიძლებოდა წამლილიყო, რადგან წამყვანი შეიქნა აზრის მოთხოვნილება — სემანტიკა.

მაშასადამე, ჯერ წმინდა ფონეტიკური ანუ ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური პროცესი და შემდეგ მისი გამოყენება აზრის სადიფერენციაციოდ, ე. ი. მისი სემანტიზაცია (კრებ-/კრეფ- მონაცვლეობისათვის შად. არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 296—7).

ზუსტად ასეთსავე პროცესს ჰქონია ადგილი ძველი ქართულის წყუედ-ფუძის ფონეტიკური და სემასიოლოგიური დიფერენციაციისათვის.

მისი ზოგადი მნიშვნელობა იყო, ალბათ, 'მოშორება, მოცილება, დაშორიშორება...'. ერთი მხრით, მოხდა დ-ს აბრუპტივიზაცია წინა წყ-სთან უშუალო მეზობლობაში (მაგ., ვნებითში წყდ- და მივიღეთ წკტ-, რომელიც გამოყენებულ იქნა სადიფერენციაციოდ, დაუპირისპირდა რა წყდ-ს (წყდ—წკტ). დიფერენციაციის შესრულების შემდგომი ეტაპია ასახული საბას განსაზღვრაში: წყუედა 'მოსრეა, მოწყუედა დაკოცა, მოწყუეტა ხილთა და ყვავილთა მოკრეფა' (საყურადღებოა, სხვათა შორის, ერთგვარი მერყეობა, რომელსაც იჩენს საბა, თუ ეს კორექტურული შეცდომა არაა: მოკრეფის მნიშვნელობით 226 გვ. მოწყვეტა აქვს მოცემული, ხოლო 176 მოწყვედა. აქედან შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ საბას დროს დიფერენციაცია არ იყო განმტკიცებული).

აქაც, მაშასადამე, მოხდა ფონეტიკური ვარიანტის (წყვეტ) სემანტიზაცია.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ დღევანდელ ქართულში არის ერთგვარი მიდრეკილება ამ ორი ტერმინის (წყვედა და წყვეტა) ფონეტიკური უნიფიკაციისადმი ტ-ს შემცველი ვარიანტის სასარგებლოდ. ასევეა, მაგრამ უფრო სუსტი, მიდრეკილებაა აგრეთვე კრება—კრეფა-ს ფონეტიკური უნიფიკაციისადმი კრება-ს დესემანტიზაციის სახით, ე. ი. იმავე კრეფა-ს სასარგებლოდ.

ფონეტიკური ვარიანტების სემანტიზაციას ვხედავთ აგრეთვე ბგერაცვლების აღმნიშვნელი სიტყვების თავკიდური თანხმოვანთა მონაცვლეობაში: ჭრიალი-ჟრიალი-ჭრიალი...

იმის შესახებ, თუ რომელია მათგან ძირითადი სახესხვაობა, რომლის ვარიანტებს ბგერადობის ეს ნუანსები აღსჩენია, გადაჭრით რისამე თქმა საძნელოა. სავარაუდოდ კი შეიძლება ითქვას, რომ უმრავლესობისათვის გამოსავალი წერტილი უნდა იყოს ჭრიალი. მოვიყვან 11 ტერმინის სიას საბას (და დ. ჩუბინაშვილის) განსაზღვრით (ანბანის რიგზე):

1. გრიალი წისქვილის კმად
2. კრიალი კულის (ხის სასმისის) კმად
3. ზრიალი საზარელი მრავალკმიანობა
4. ჟრიალი მრავალთ-ეულთ კმა
5. სრიალი вылет с шумом, напр., стрела, пуля... (დ. ჩუბინაშვილი)
6. ღრიალი უკაფიო ყვირილი
7. ყრიალი მწერთა კმიანობა

8. შ რ ი ა ლ ი ქართაგან ფურცლის კმა
9. წ რ ი ა ლ ი მაკვლის ხელზე წასმის კმა
10. ჭ რ ი ა ლ ი კართა და ურემთა კმიანობა
11. ხ რ ი ა ლ ი ჩამოცვენის კმა.

სემანტიკურად ამათი ერთმანეთთან კავშირი ეჭვს გარეშეა: ყველა მათგანი გამოხატავს ამა თუ იმ ბგერადობას. მაგრამ არაა აშკარა ყველი მათი ფონეტიკურად ერთმანეთისაგან წარმოქმნა. ყოველ შემთხვევაში შესაძლებელია, ვფიქრობ, ამ მონაცვლეობათა ერთი ნაწილის (2—5 და 8—10) გაერთიანება კ რ ი ა ლ ი ს გარშემო — ამისაგან დანარჩენების წარმოქმნის ნიშნეულობით. მართლაც, ფონეტიკურად შესაძლებელია კ რ ი ა ლ ი ქცეულიყო როგორც წ რ ი ა ლ ა დ, ისე ჭ რ ი ა ლ ა დ — მარტივ ხშულთა აფრიკატიზაციის წესით (მაგ., ძ რ წ ო ლ ა / კ რ კ ო ლ ა. ნ ა ხ ო ჭ ი / ნ ა ხ ო კ ი, იხ. ჩვენი გუტურალთა რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში, 34 გვ.); ამათგან კი, დეაფრიკატიზაციის წესით, შესაძლო იყო ხ რ ი ა ლ ი (წრიალისაგან) და შ რ ი ა ლ ი (ჭრიალისაგან): აქედან ხ — შ-ს გამჟღერების გზით მიიღება ზ რ ი ა ლ ი და ჟ რ ი ა ლ ი.

მაშასადამე, კრიალი ორგვარი პროცესით შეიძლებოდა მოგვევლენოდა: 1. სისინა: კ რ ი ა ლ ი > წ რ ი ა ლ ი > ს რ ი ა ლ ი > ზ რ ი ა ლ ი, 2. შიშინა: კ რ ი ა ლ ი > ჭ რ ი ა ლ ი > შ რ ი ა ლ ი > ჟ რ ი ა ლ ი.

არ არის გამორიცხული, რომ ზ რ ი ა ლ ი 'საზარელი ბრავალკმიანობა' მიღებული იყოს ზ ა რ ი-საგან, 'საზარელისაგან შიში' (საბა): ეს იქნებოდა დამთხვევა როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური.

რაც შეეხება დანარჩენ ოთხს (1, 6, 7 და 11), სამი უკანასკნელის (ღ რ ი ა ლ ი - ყ რ ი ა ლ ი - ხ რ ი ა ლ ი) ერთმანეთთან მონაცვლეობითი დაკავშირება საძნელეს არ წარმოადგენს: გამოსავალია, ალბათ, ღ რ ი ა ლ ი, რომელიც გააბრუპტიებულ და დაყრუებულ სახესხვაობას წარმოადგენს ყ რ ი ა ლ ი და ხ რ ი ა ლ ი[1] (დაყრუება თუ გამჟღერება, როგორც წინა ნიმუშებში, პოზიციური არ შეიძლებოდა ყოფილიყო; მაშასადამე, ის იყო ფონოლოგიური).

არნ. ჩიქობავას შენიშვნა (იხ. მისი ჭანურ-მეგრ.-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 349), რომ ქართ. ღრ- ძირში დაკარგულია ო ხმოვანი, არ ეწინააღმდეგება ჩვენს მოსაზრებას: იგი მოწმობს მხოლოდ ხ რ ი ა ლ ი ს გამოდიფერენცირების (გამოყოფის) გვიანდლობას.

მესამეზე (გ რ ი ა ლ ი) ძნელია დარწმუნებით თქმა, რომ იგი ფონეტიკურ კავშირში იყოს ღ რ ი ა ლ ი - ყ რ ი ა ლ ი - ხ რ ი ა ლ ი-სთან, მაგრამ შეუძლებელი ეს არ ჩანს.

სრულიად ანალოგიურ თანხმოვანთმონაცვლეობას წარმოადგენს, აგრეთვე, ბგერადობის სახესხვაობის გამომხატველი ჯგუფი ტერმინთა (ანბანის რიგზე): ზ ი ზ ი ნ ი (არა აქვს განმარტებული საბას), კ ი კ ი ნ ი თხის კმიანობა, ჟ ი ჟ ი ნ ი მრავალ სახით კმიანობა, ს ი ს ი ნ ი ბატის სივილი, ღ ი ღ ი ნ ი საკმ-

[1] შესაძლოა ყ რ ი ა ლ ი წარმოადგენდეს კრიალის ტოლ ძველ ვარიანტს.

კმის თქმა, ყიყინი, გველთა, მყუართა და ბაყაყთა კმიანობა, შიშინი მცირე დოზით. წიწინი ალყის (აბრეშუმის ძაღის) კმა, ჭიჭინი — ჭიჭინას კმიანობა, ხიხინი перхота, побуждение к кашлю (დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი).

მეღერი ვარიანტის (*გიგინი) გამოკლებით, რომელიც ღილინთან და ხიხინთან თუ იყო კავშირში (რაც საეჭვო ჩანს), ჩვენთვის საინტერესო ხმოვანცვლე თანხმოვნების მხრივ ეს ჯგუფი იმეორებს წინას, სახელდობრ: თავს უყრის კიკინის გარშემო, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მათ წყაროდ:

1. კიკინი > წიწინი > სისინი > ზიზინი, 2. კიკინი > ჭიჭინი > შიშინი > ჟიჟინი.

ღილინი-ყიყინი-ხიხინი შესაძლოა წარმოადგენდნენ ურთიერთ ხმოვანცვლე ვარიანტებს. ყიყინი (ისე, როგორც ყრიალი, იხ. ზემოთ) შესაძლოა წარმოადგენდეს კიკინის ტოლ ძველ ვარიანტს.

ანალოგიურად შეიძლება გავაანალიზოთ აგრეთვე ბგერადობის ურთიერთ ხმოვანცვლე ტერმინები ჯგუფებში:

1. კივილი-ჟივილი-სივილი, ყივილი-წივილი-ხივილი (კივილი საბასთან). 2. გუგუნი-ღუღუნი-ყუყუნი 'გუაბში კენესა' (საბა) — წუწუნი (წუწკუნი) — ჭუჭყუნი 'მუცლის კმიანობა', ხუხუნი 'გატყორცის კმა' (საბა). 3. კაკანი-ღალანი-ყაყანი-ჭაჭანი (ჭაჭანება 'ელეხურად ჩამიჩუნი', საბა) და სხვა.

აქაც, მაშასადამე, ისე როგორც კრებ-/კრეფ — და წყვედ-/წყვეტ — შემთხვევებში, ფონეტიკური ვარიანტები გამოყენებულ იქნა ცნებათა დასაზუსტებლად, სადიფერენციაციოდ, მაგრამ გამოყენების პროცესით მაინც განსხვავებულია მისაგან.

იქ (მაგ., კრებ/კრეფ-ში) ჩვენ გვქონდა პოზიციურად წარმოქმნილი ხმოვანცვლეობა, აქ (კრ-/წრ-/სრ-...). მონაცვლეობა არაა პოზიციურად წარმოქმნილი, რადგანაც, მაგ., რ-ს წინ შეიძლება ყოველგვარი თანხმოვანი. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ იმთავითვე წამყვანია აზრი, რომლის „კარნახით" ენიჭა მომხდარიყო დიფერენციაცია.

საყურადღებოა, სემანტიკური დიფერენციაციის თვალსაზრისით, ე. წ. ფუძის კუმშვის გამოყენება სახელში სადიფერენციაციოდ. სახელდობრ: თუ სიტყვა თვალი იბრუნვის ფუძე უკუმშველად (თვალის, თვალით, თვალად), მაშინ სხვა ლექსიკური ბნიშვნელობა ეძლევი მას („ადამიანის ან ცხოველის თვალი"), ხოლო თუ ფუძის კუმშვით (თვალის, თვლით, თვლად), მაშინ სხვა („ძვირფასი თვალი", ან „ურმის თვალი"). ასეთივეა სიტყვა წელი — წლისა, წლები („გავიდა წლები") და წელი — წელისა („წელის ტკივილი").

ცხადია, რომ წმინდა მექანიკური ფონეტიკური პროცესი ენას გამოუყენებია აზრობრივად. ამ შემთხვევაშიც წამყვანია აზრი და არა ფიზიოლოგია.

ვ. თოფურიას მიერ გამოთქმული აზრი, რომ ზემოთ მოყვანილი ბგერადობის გამომხატველი ტერმინების თავკიდური თანხმოვნები შესაძლოა ურთი-

ერთისაგან დამოუკიდებელი წარმოშობისა იყვნენ, არსებითად არაფერს შეცვლის ფონეტიკური პროცესების სემანტიზაციის თვალსაზრისით.

ბ. ბგერათმონაცვლეობის, როგორც ფონეტიკური პროცესის, გრამატიზაცია (მორფოლოგიზაცია)

„ირკვევა, რომ ხმოვანთმონაცვლეობა, როგორც მორფოლოგიური პროცესი, უცხო არ არის მეგრულ-სვანურისთვისო", წერდა ვ. თოფურია შრომაში „რ და ნ თანხმოვანთა მონაცვლეობისათვის სვანურ ზმნაში" (თბილ. უნივ. შრომები, XVIII, 1941, გვ. 62); იქვე შრომის დასკვნაში ნათქვამია: „... ხმოვანთმონაცვლეობა (იგულისხმება მორფოლოგიური) სვანურსა და მეგრულში უდავოა, ქართულში დასამტკიცებელი" (66 გვ.). ავტორს მხედველობაში ჰქონდა აბლაუტის სახელით ცნობილი შინაგანი ფლექსია.

ერთი წლის შემდეგ ვ. თოფურიამ გააანალიზა ოთხი ზმნა მოქმედებითსა და ვნებითს ფორმებში ფუძის ხმოვანთმონაცვლეობის მიხედვით და დაასკვნა, რომ „მოქმედებითის საწარმოებელი ნაწანია „ა" და ვნებითისა — „ე" („მეორე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში", მეცნ. აკადემიის მოამბე, III. №9). ეს ზმნებია: კად/კედ (აღმაკადეთ/შთაიკედ), ცად/ცეთ < *ცედ (გამოიცადებოდა / შევსცეთ), ყავ / ყევ (წარეყავ / წარვჰყევ) და ქარ / ქერ (განქარებად / განქერ).

„ქართული ენაც თავისი განვითარების შემდგომ საფეხურზე ხასიათდება ფუძის ფლექსიით (ფუძის ხმოვანთა ფუნქციონალური ცვლილებით; მაგ., კად/კედ)" (იქვე).

ავტორი ადარებს ამ მხრივ ერთმანეთს სვანურსა და ქართულს და დაასკვნის: „ფუძის ფლექსია სვანურში მკვეთრად ჩამოყალიბებული მოვლენაა... სადაც 'აქრობს' — ლენტეხური დ ე გ ე ნ ი 'ქრება' (ძირია: დგ)... ქართულში კი ხმოვანთა ფუნქციონალური „მონაცვლეობა ასე მკაფიოდ არ არის გამოხატული..." (იქვე, 970).

მაშასადამე, ხმოვანთმონაცვლეობა აქ ზმნის ფუძეში გამოყენებულია მოქმედებითისა და ვნებითი გვარების ერთმანეთისაგან განსასხვავებლად, ე. ი. ფონეტიკური პროცესი (ხმოვანთმონაცვლეობა) გრამატიზებულია (მორფოლოგიზებულია). ესაა ტიპიური აბლაუტი.

ფონეტიკური პროცესის პრინციპულად ასეთსავე მორფოლოგიზაციასთან გვაქვს საქმე ქართულ ზმნაში, როდესაც მისი ფუძის კუმშვა-უკუმშველობასთან და ფუძის დრეკადობასთან დაკავშირებულია აწმყოსა და ნამყო წყვეტილის ერთმანეთისაგან განსხვავება, სახელდობრ:

მონაცვლეობანი:

1. 0 — 0/ა (ან ე): კ-ლავს — კ-ლა / ვკალ(ი); ხ-ნავს — ხ-ნა / ვხან(ი); ჭ-რის — ჭ-რა / ვჭერ(ი); ც-რის — ც-რა / ვცერ(ი)...

2. ე/ი — ი: კრეფს / კრიფა — ვკრიფე; გრეხს / გრიხა — ვგრიხე...

3. 0/ა — ა: თ-ლის / თალა — ვთალე; თხ-რის / თხარა — ვთხარე.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ ამა თუ იმ ფონეტიკურ პროცესს დაუკავშირდა მორფოლოგიური ფუნქცია, ეს არ ნიშნავს, რომ ეს ფუნქცია გამოხატულია მხოლოდ ამით: იძ ენებში, რომლებსაც ჩვენ აქ ვეხებით, ეს ფონეტიკური პროცესი წარმოადგენს მხოლოდ დამატებითს შინაგან ფლექსიას.

უნდა ვიფიქროთ, რომ ისტორიულად უფრო ძველია და ნორმალური პირველი ტიპი (კლავს—კლა/ვკალ(ი), სადაც ხმოვანთმონაცვლეობა განპირობებულია მახვილის ტონა-არქონით: ვკალ(ი, მაგრამ კ-ლავს—კ-ლა (ფუძე მახვილიანია აორისტის I და II პირში, ხოლო უმახვილოა აწმყო მთლიანად და აორისტის III პირი; შეად. არნ. ჩიქობავას „მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში", გვ. 195, სადაც მახვილიანობის მიხედვით აორისტის I და II პირი დაპირისპირებულია მესამესთან; ვა-ქუ-არქუ-ჰრქუა).

მეორე ტიპი მეორეული ჩანს, რამდენადაც მასში მონაცვლეობაა ხმოვანთა არა ძირისა (როგორც პირველ ტიპში (კლ/კალ), არამედ ნაწარმოები (სუფიქსდართული) ფუძისა (კრ-ეფ/-იფ, გრ-ეხ/-იხ; შეად. ვ. თოფურიას „ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, 230 და შემდეგ). მახვილიანობის მიხედვით ასეთი სურათი იყო. ალბათ: კრეფს-*ვკრეფე/*კრფა, გრეხს-*ვგრეხე/*გრხა (შეად. შეკრბა, შედრკა). ი შემდეგაა განვითარებული აორისტის მესამე პირში, რომლის გავლენით განზოგადებულია აორისტის I და III პირში ი საფეხური (კრიფა-კრიფე-ვკრიფე).

რაც შეეხება მესამე ტიპს (თ-ლის/თალა-ვთალე), აქ ა საფეხური განზოგადებულია აორისტის მესამე პირისათვისაც, ალბათ, ანალოგიის ძალით. ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ მახვილი აქაც, რა თქმა უნდა, დაბოლოებაზე უნდა ყოფილიყო (*თალა). როგორც ჩანს, ანალოგიის გავლენას ხელს უწყობდა განსხვავებისადმი მიდრეკილება აორისტის მესამე პირისა სახელზმნისაგან, ე. ი. *თლა (აორ. III პ.) და თლა (სახელზმნა) რომ ერთმანეთს არ დამთხვეოდა.

ასეთი დამოხვევის საწინააღმდეგოა პირველ ორ ტიპში გამორიცხულია; შეად. აორ. III პირი კლა, ხნა, კრა და სახელზმნა კლვა, ხნვა, კრეა (კვლა, ხვნა, კვრა); აორ. III კ. კრ(ი)ფა, გრ(ი)ხა, კრ(ი)ჭა და სახელზმნა კრეფა, გრეხა, კრეჭა.

უფრო სუსტად, მაგრამ მაინც გრამატიზებულია ქართულის საკმაოდ მრავალ სახელში ფუძის კუმშვა, რომლის მიხედვითაც განსხვავებულია ერთმანეთისაგან ბრუნვათა ორი ჯგუფი: ფუძე უკუმშველი (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი და წოდებითი ფორმა) და ფუძეკუნშვადი ბრუნვები (ნათესაობითი, მოქმედებითი და ვნებითი).

სახელთა ფუძის კუმშვა-უკუმშველობა ისეთივე ხმოვანთმონაცვლეობაა, როგორიც ზმნაში აღვნიშნეთ. იქაც და აქაც ხმოვანთმონაცვლეობა განპირობებულია მახვილის გავლენით და გამოყენებულია ძირითად სიტყვის ფორმათა ერთმანეთისაგან განსხვავებლად, ე. ი. იქაც და აქაც ფონეტიკური პროცესი მორფოლოგიზებულია.

(მახვილის ბუნებისა და ადგილის შესახებ სიტყვაში და მისი გაელენა ხმოვნის ამოღების შესახებ ქართულში იხ. არნ. ჩიქობავას „მახვილის საკითხისათვის ქართულში“, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, 191 და 198 და „О лингвистических чертах картвельских языков“ — Изв. АН СССР, отд. литер. и языка, 1948 г., т. VII, 25 და შემდ.).

რაც შეეხება თანხმოვანთმონაცვლეობის გრამატიზაციას, იგი საერთოდ უფრო ნაკლებადაა გავრცელებული სხვადასხვა ენაში, ვიდრე ხმოვანთმონაცვლეობისა. მაგ., რუსულში საკმაოდ გავრცელებულია გრამატიზებული თანხმოვანთმონაცვლეობა ფუძეებში: друг/друж, пек/печ, глод/глож და სხვა. ქართულში (და ქართველურ ენებში), ვ. თოფურიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართული და მეგრული ენები თანხმოვანთმონაცვლეობას, როგორც გრამატიკულ პროცესს, არ იცნობენ“ („რ და ნ თანხმოვანთა მონაცვლეობისათვის სვანურ ზმნებში“, გვ. 62), ან „... თანხმოვანთმონაცვლეობა ქართველურ ენათათვის უცხოა“ (იქვე, გვ. 66).

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1948. IX. 5).

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ, XXXIV. [illegible]
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV. [illegible]

ᲜᲘᲛ. ᲧᲐᲣᲮᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲰᲔᲠᲝᲓᲝᲢᲔᲡ „ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ“ I, 2-3 ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲰᲝᲛᲔᲠᲝᲡᲘᲡ „ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲗᲐ ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲘ“ [1]

ჰეროდოტე თავის თხზულებაში „ბერძენ-სპარსელთა ომის“ დასაწყისშივე არკვევს ამ ომის გამომწვევ მიზეზებს. ის ამბობს:

«სპარსელი ისტორიკოსების (οἱ λόγιοι) თქმით ფინიკიელები ყოფილან ამ განხეთქილების გამომწვევნი. ისინი მოვიდნენ ე. წ. მეწამული ზღვის ნაპირებიდან ჩვენ ზღვასთან და დასახლდნენ იმ ქვეყანაში, სადაც ეხლაც ცხოვრებენ. იმათ მაშინვე მიჰყვეს ხელი შორეულ ქვეყნებში ზღვაოსნობას, და მიჰქონდათ საქონელი, როგორც ეგვიპტური ისე ასირიული, სხვადასხვა ქვეყნებში. მათ შორის არგოსშიც, იმ დროს არგოსი ყველაზე დაწინაურებული (προεῖχε πάντα) მხარე იყო იმ ქვეყანაში, რომელსაც ამჟამად ჰელადა ეწოდება.

«აი, ამ არგოსში მოვიდნენ ფინიკიელები და გამოაფინეს თავიანთი საქონელი. მათი მოსვლის მეხუთე თუ მეექვსე დღეს, როდესაც მათ უკვე თითქმის ყველაფერი გაყიდული ჰქონდათ, ზღვის ნაპირას მოვიდნენ ქალები. მათ შორის შეფის ასულიც; მისი სახელი იყო, როგორც ელინებიც ამბობენ, იო, ინაქეს ასული. ქალები იდგნენ ხომალდის კიჩოსთან და ჰყიდულობდნენ საქონელს, რაც კი მოეწონებოდათ; ფინიკიელებმა ერთმანეთში მოილაპარაკეს და თავს დაესხნენ მათ. მეტი წილი ქალებისა გაიქცა, ხოლო იო რამდენიმე სხვა ქალთან ერთად ფინიკიელებმა გაიტაცეს: ჩაყარეს ისინი ხომალდში და ეგვიპტისაკენ გასცურეს. აი, ამრიგად მოხვდა იო ეგვიპტეში — ამბობენ სპარსელები და არა ელინები, და ამით დაიწყო პირველად უსამართლობა.

«ამის შემდეგ ზოგიერთი ელინი (მათი სახელები გადმოცემული არაა), ამბობენ, მივიდა ფინიკიის ტვიროსში და მოიტაცა მეფის ასული ევროპე: ესენი კრეტელები უნდა ყოფილიყვნენ. აი, ეს იყო ბარი-ბარ (ἴσα πρὸς ἴσα). ხოლო ამის შემდეგ უკვე ელინები გახდნენ მიზეზნი მეორე უსამართლობისა.

«იმათ გასცურეს გრძელი ხომალდით აია-კოლხიდაში (ἐς Αἶαν τε τὴν Κολχίδα) და ფაზისის მდინარისკენ. მის შემდეგ რაც მათ მოითავეს ის საქმე, რისთვისაც მივიდნენ, გამოიტაცეს იქიდან მეფის ასული მედეა. კოლხთა მეფემ ელადაში მოციქული (κήρυκα) გაგზავნა და მოითხოვდა დაკმაყოფილებას

---

[1] წაკითხულია მოხსენებად ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ სახელობის თბ. სახ. უნივერსიტეტის საისტორიო სესიაზე 1948 წლის 4 იანვარს.

მოტაცებისათვის (αἰτέειν δίκας τῆς ἁρπαγῆς)" და უკან მოითხოვდა თავის ქალიშვილს. იმათ კი უპასუხეს: თქვენ ხომ არ გიზღუდიათ ჩვენთვის (οὐδὲ... ἔδοσάν τοι δίκας) არგოსელი იოს მოტაცებისათვის, და არც ჩვენ გიზღუდეთ თქვენო.

ამის შემდეგ მეორე თაობაში ალექსანდრემ, პრიამეს ძემ, რომელსაც ეს სმენოდა, მოისურვა ელადიდან მოტაცებით მოეყვანა ცოლი, რადგან იცოდა, რომ ის ამისათვის პასუხს არ აგებდა (οὐ δώσει δίκας): იმათაც ხომ არ უგიათ პასუხი. და მან ამრიგად რომ ელენე მოიტაცა, ელინებმა გადაწყვიტეს, ჯერ მოციქულები (ἀγγέλους) გაეგზავნათ და ელენეც მოეთხოვათ უკან და საზღაური მოტაცებისათვის. როდესაც [ელინებმა] ასეთი წინადადებით მიმართეს, [ტროადელებმა] მათ ბრალდებად წაუყენეს მედეას მოტაცება და უთხრეს: თქვენ არც გიზღუდიათ, არც დაგიბრუნებიათ [მედეა], როდესაც უკან მოითხოვდნენ, სხვებისაგან კი გსურთ საზღაური მიიღოთო «(Herodot. I, 1-3). რადგან ელინებმა ასეთი პასუხი მიიღეს ტროადელებისაგან, მოაწყეს ლაშქრობა: ასე დაიწყო ტროადის ომი.

მაშასადამე, ტროადის ომი, ჰეროდოტეს მოთხრობით, გამოწვეულია შემდეგი მიზეზით: ბერძნებმა კოლხებს მოსტაცეს **მედეა**; ამის ასანაზღაურებლად, ტროადის მეფის შვილმა ალექსანდრე-პარისმა ბერძნებს ელენე მოსტაცა. ნათლად არის ნათქვამი: ... μετὰ ταῦτα, Ἀλέξανδρον τὸν Πριάμου ἀκηκοότα ταῦτα, ἐβουλήσατο οἱ ἐκ τῆς Ἑλλάδος δι' ἁρπαγῆς γενέσθαι γυναῖκα, ἐπιστάμενον πάντως ὅτι οὐ δώσει δίκας οὐδὲ γὰρ ἐκείνους δεδόναι „ამის შემდეგ, მეორე თაობაში, ალექსანდრემ, პრიამეს ძემ, რომელსაც სმენოდა ეს (ე. ი. მედეას მოტაცება), მოისურვა ელადიდან მოტაცებით მოეყვანა ცოლი, რადგან იცოდა, რომ ის ამისათვის პასუხს არ აგებდა: იმათაც ხომ არ უგიათ პასუხიო".

ამგვარად, არ უნდა იყოს საეჭვოებელი, რომ ამისდა მიხედვით, რაც ამ მოთხრობაშია გადმოცემული, ტროადელები და კოლხები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. იმის წარმოდგენით, ვინც ტროადის ომის წარმოშობის ეს ვარიანტი შექმნა, ტროადელები და კოლხები — თუ გაიგივებული არ არიან — ერთ ბანაკში მაინც არიან და დაპირისპირებულნი ბერძნებთან.

ჯერჯერობით ნაადრევია ვეძიოთ ამ ფაქტის ისტორიულობა: იმის უარყოფა კი არ შეიძლება, რომ ამ მოთხრობაში უნდა ვგულისხმობდეს დაპირისპირება ორი ბანაკისა: ერთ ბანაკში არიან ელინები, ბერძნები; მეორე ბანაკში კოლხები და მათთან ერთად ტროადელები; ელინების მტრობა კოლხებთან იმით არის გამოხატული, რომ ბერძნებს კოლხეთიდან ოქროს საწმისი წაუღიათ და მეფის ასულიც მოუტაციათ; კოლხების მტრობა ბერძნებისადმი გამოხატულია იმით, რომ მედეას სანაცვლოდ ტროადელებს ბერძენთა მეფის მეუღლე, მშვენიერი ელენე, მოუტაციათ. ამის გამო გაჩაღებულა ომი ბერძნებსა და ტროადელებს შორის.

ბუნებრივია, რომ საქმის ასეთს ვითარებაში ჩვენ მივმართავდით ტროადის ომის მასალებს და დავუწყებდით ძიებას ჰეროდოტეს მიერ გადმოცემული ფაქტის რაიმე გამამართლებელ საბუთებს.

ცნობილია, რომ „ილიადის" მეორე სიმღერის მეორე ნახევარში მოთავსებულია „ხომალდების კატალოგი" (κατάλογος τῶν νεῶν, Iliad. II, 494—877).

აქ ჩამოთვლილი არიან როგორც ბერძენთა ისე ტროადელთა მხარეზე მებრძოლი სამხედრო ნაწილები, დაწვრილებით არის დასახელებული, თუ ვინ არიან მოსული ბერძნების ლაშქარში და ვინ არიან ტროადელთა ბანაკში.

„ხომალდთა კატალოგი" შემდეგ არის ჩართული. „კატალოგი" შედგება ორი ნაწილისაგან: უდიდესი ნაწილი (v. 494—759) უჭირავს ბერძენთა რაზმების სიას. შედარებით მცირე ადგილი უკავია ტროადელთა და მათ მოკავშირეთა სიას.

ბერძენთა სია სრულია: დასახელებულია თითოეული წინამძღოლის ხომალდთა რაოდენობა; ორ შეთხვევაში ისიც კია ნათქვამი, თუ თითო ხომალდში რამდენი მეომარი იჯდა; ამავე დროს ყოველ კერძო შემთხვევაში წინამძღოლის გენეალოგია არის აღებული და მისი ხელქვეითი ქვეყნის მოსახლეობაც დახასიათებული. ასეთ დაწვრილებითს აღწერას ხშირად ათ ტაეპზე მეტი აქვს დათმობილი. ასე, მაგალითად, პილოსის მეფის ნესტორისა და მისი გვარის დახასიათებას 12 ტაეპი აქვს დათმობილი, არკადიისას — 12 ტაეპი, ბეოტიისას — 17 ტაეპი.

ტროადელთა სია კი მოკლეა (v. 816—877): ზოგჯერ ორი სტრიქონით განისაზღვრება ცნობა ომში მონაწილეობის მისაღებად მოსული გვარისა და მისი მეთაურის შესახებ, მაგალითად:

თრაკიელებს უძღოდა გმირი პეიროე და აკამანტიც;
აკრავს ბათ ქვეყანას გარე ჰელესპონტი, მდინარე სწრაფად (844—45).
ევფემოს მთავარი ჰყავდათ წინამძღოლ დ შუბოსან კიკონთ,
ტროიზენელ კეადეს შვილი და აღზრდილი ზევსის მიერ (846—47).

აქედან ცხადია, რომ ტროადელთა ამ სიას, როდესაც არ უნდა იყოს ის შედგენილი, ბევრი რამ აკლია: 1) ჯერ ერთი აკლია იმიტომ, რომ საზოგადოდ „ილიადა" არ არის მოღწეული იმ სახით, როგორც ის ძველებს ხელთ ჰქონდათ; 2) მერე: ამ სიის შემდგენელი ბერძენია და თუ ვინ იბრძოდა ბერძენთა მხარეზე, ამის შესახებ მას შედარებით უფრო ზედმიწევნითი ცნობები ექნებოდა; 3) კატალოგის ბედს გადასწყვეტდა ის გარემოებაც, რომ მრავალი არა-ბერძენი ტომის სახელიც ბერძნებს დავიწყებული ექნებოდათ. ავტორმა ხედმიწევნით რომ არ იცის, თუ სადაურია ზოგიერთი ხალხი ტროადელთა ბანაკში მოსული, ზოგადად ლაპარაკობს τηλόθεν („შორიდანვ").

ბერძენთა ბანაკში (v. 494—759)

	წინამძღოლი	ხომალდთა რაოდენობა	თითო ხომალდში
1. ბეოტიელები	(5 კაცი)	50	120 კაცი
2. ორქომენი	ასკალაფე, იალმენე.	30	
3. ფოკიდელები	სქედიოსი, ეპისტროფოსი	40	
4. ლოკრიდელები	აიანტი ოილეოსის ძე	40	
5. ევბეელები	ელეფენორი	40	
6. ათენი	მენესთევსი	50	
7. სალამინი	აიანტი ტელამონისძე	12	
8. არგოსი	დიომედე. სთენელე, ევრიალე	80	

9. მიკენი	აგემემნონი	100	
10. ლაკედემონი	მენელაოსი	60	
11. პილოსი	ნესტორი	90	
12. არკადია	აგაპენორი	60	
13. ელიდა	(4 ქალი)	40	
14. დულიქია	მეგესი	40	
15. ითაკე	ოდისევსი	12	
16. ეოლია	თოასი	40	
17. კრეტა	იდომენევსი	80	
18. როდოსი	ტლეპოლემოსი	9	
19. სვიმე კ.	ნირევსი	3	
20. ნისიროსი კ.	ფიდიპე, ანტიფოსი	30	

Το Πελασγικον Ἄργος

21. მირმიდონელები	აქილევსი	50	
22. ფილაკე	პროტეზილაე		
	პოდარკე	40	
23. ფერე	ეუმელე	11	
24. ბეოთია	ფილოქტეტე	7	50 ქალი
	მედონი		
25. ტრიკკე და ითომე	პოდალირი. მაქაონი	30	
26. ორმენია	ევრიპილე	40	
27. არგისსა	პოლიპეტე	40	
28. კიფოსი	გუნეევსი	22	
29. მაგნეტები	პროთოოსი	40	

ტროადელები და მათი მოკავშირეები (v. 816—877).

1. ტროადელები	ჰექტორი	
2. დარდანები	ენეასი	
3. ძელია	პანდარე	
4. ადრასტეა	ადრასტე. ამფიოსი	
5. პერკოტე	ასიოსი	
6. პელასგები (ლარისიდან კვიმესთან, ეოლიაში)	ჰიპოთოე	
7. თრაკიელები	აკამასი	
8. კიკონები	ევფემოსი	
9 აბიდონი	პირექმე	*τηλοθεν ἐξ Ἀμυκλαιου*
10. პაფლაგონია	პილემენე	
11. ჰალიზონები	ოდიოსი. ეპისტროფოსი	*τηλοθεν ἐξ Ἀλιβης*
12. მიხიელები	ქრომიოსი. ევხენორი	
13, ფრიგიელები	ფორკისი. ასკანიოსი	*τηλ' ἐξ Ἀσκανιης*
14. მეონიელები (= ლიდიელები)	ანტიფოსი. მესთლე	
15. კარიელები	ნასტესი	
16. ლიკიელები	სარპედონი. გლავკე	*τηλοθεν ex Λυκιης*

ამ სიაში ჩვენს ყურადღებას იპყრობენ ის ხალხები, რომლებზედაც აღნიშნულია „შორიდან" მოვიდნენო[1]. ასეთია ოთხი, უკეთ — ხუთი:

[1] „შორიდან" მოსულ ტომებზე ჩვენი ყურადღება მიპყრობია კერძო საუბარში, ჯერ კიდევ ამ 20 წლის წინათ. პ. ინგოროყვამ.

საგანგებო განხილვას საჭიროებს აგრეთვე „პელასგიკური არგოსიდან" მოსული ტომების სია (21—29), რამდენადაც ეს ტომები თვით პოემაშივე ბერძნებისაგან გამოცალკევებული არიან.

Παφλαγόνων ἀπὸ
ἀμιδῶνος τηλόθεν ἐξ Ἀμυδῶνος,
ἀλιβόθεν τηλόθεν ἐξ Ἀλύβης,
ἀσκανίης τῆλ' ἐξ Ἀσκανίης.
Λυκίων ἀπὸ τηλόθεν ἐκ Λυκίης.

ამათგან ოთხზე სწერია τηλόθεν („შორიდან“). სიის ამ ნაწილის შესახებ უნდა ვთქვათ შემდეგი:

1) პირველ ყოვლისა აღვნიშნავთ იმას, რომ ავტორს კარგად ესმის, რომ ეს ხალხები არიან βαρβαρόφωνοι „ბარბაროსულად მოლაპარაკენი“ (იხ. ტაეპი 867).

2) რომელსაც დასახელებული არიან ის ხალხები, რომლებიც ტროადის ახლოს ცხოვრობენ, ავტორი არ ამბობს მათზე τηλόθεν („შორიდან“): მაგალითად, დარდანები, ძელიელები, თრაკიელები.

3) შორეული ქვეყნიდან მოსულთაგან ორის შესახებ საკუთრივ აღნიშნულია: შორეული ლიკიიდან, შორეული ასკანიიდან. ესენი მართლა საკმაოდ შორს არიან ტროადიდან. მაგრამ მცირე აზიის დასავლეთ ნაწილს არ სცილდებიან.

4) დანარჩენთაგან პირველ რიგში არავითარ ეჭვს არ იწვევს

τηλόθεν ἐξ Ἀλύβης

ჯერ კიდევ ძველი ბერძნები კომენტარებს უკეთებდნენ ამ ადგილს: სტრაბონს თავისი „გეოგრაფიის“ XII წიგნის 3. თავში გარჩეული აქვს ჰომეროსის „ილიადის“ ეს ტაეპი. სტრაბონი გადმოგვცემს ძველი ისტორიკოსებისა და გრამატიკოსების (ეფოროსის, დემეტრიოსისა თუ მეტროდორეს) აზრს და ამბობს: ზოგი ფიქრობდა, რომ აქ იყო ἐξ Ἀλόπης (ლოკრიდის ქალაქი), მაგრამ უმეტესობა კი, რასაკვირველია, ფიქრობდა, რომ ეს იყო ἐκ Χαλύβης[1].

დღეს მკვლევართა შორის ორი აზრი არ არსებობს ამის შესახებ[2], რომ უმეტეს შემთხვევაში სწერია:

αὐταρ Ἀλιζώνων Ὄφελος καὶ Ἐπιστροφος ἡγεχον
τηλόθεν ἐξ Ἀλύβης, ὁθεν ἀργύρου ἐστὶ γενεθλή[3].

უძღოდნენ ჰალიძონთ კვალად ოდიოსი და ეპისტროფე
შორეულ ალიბეს მხრიდან, სად საშობლო ვერცხლისა არის.

(„откуда исход серебра нескудный“).

ე. ი. იგულისხმებიან ის ხალიბები, რომელნიც ძველითგანვე ცნობილი იყვნენ როგორც ლითონთა დამმუშავებელნი.

ეს ხალიბები საკმაოდ ცნობილი არიან ბერძნებისათვის. აი, რას გადმოგვცემს აპოლონიოს როდოსელი:

---

[1] Strabonis Geographica, recogn. A. Meineke. II, 773 BT 1915.

[2] „სახელი *Ἀλύβη* მიგვითითებს გვიანდელ ხალიბებზე, *Χαλυβης*, უფრო შორს აღმოსავლეთში, მერმინდელ პონტოს მიწაწყალზე, «სადაც არის ვერცხლის საშობლო», მიგვითითებს აქ არსებულ ვერცხლის საბადოებზე“ („ილიადის“ კომენტარებიანი გამოცემა, I, 132. ბერლ. Berlin 1883).

[3] „ილიადა“ II, 856—857.

...ამ ნაპირის კ... არის კონცხი თემისკირა. აქ ხლვის წყნარ უბეს ერთვის შორიდან ...მალი მდინარე თ...ომოდონტი[1]. თერმოდონტის შესართავთან გაშლილია დიასის ველი და აქვეა ამაზონების სამი ქალაქი. შემდეგ კლდოვან და პირქუშ ძიწაზე ადამიანთა შორის ყველაზე უცნო საბრალო მეშები — ხ ა ლ ი ბ ე ბ ი ცხოვრობენ, რომლებიც რკინას ამუშავებენ. ხალიბების მახლობლად, სტუმართმოყვარე ზევსისადმი შეწირული გენეტაიოსის კონცხის გადაღმა, ცხოვრობენ ცხვრებით მდიდარი ტ ი ბ ა რ ე ნ ე ბ ი. მათ შეზობლად ... სახლობენ მოსინიკები...» (არგონავტიკა II. 370—379)[2].

«მეორე დღეს და მომდევნო ღამეს [არგონავტები] ხალიბთა ქვეყნის გასწვრივ მიცურავდნენ. ხ ა ლ ი ბ ე ბ ი არც მიწას ამუშავებენ ხარების საშუალებით, არც ტკბილი ნაყოფის მომცემ ხეხილების გაშენებას მისდევენ და არც ნახირს აძოვებენ ცვარით მოფენილ ველზე. ისინი ოკინით მდიდარ პირქუშ მიწა თხრიან და მოპოებულ მ დ ნს სურსათზე ცვლიან. ისე არ დადგება დღე, რომ ხალიბებისათვის მძიმე შრომა არ მოჰქონდეს. მათ მძიმე შუშაობა შავ ქვარტლში და კვამლში გაალაჟვარ. ხალიბთა მიწის უკან მიტოვებით შემდეგ არგონავტებმა სწრაფად შემოუარეს გენეტელი ზევსის კონცხს და ტ ი ბ ა რ ე ნ ე ბ ი ს ქვეყნის გასწვრივ მიცურავდნენ» (არგონავტიკა II, 100—110)[3].

5) აქვე არიან მოხსენებული პაფლაგონიელები, რომლებიც ენეტებიდან გამოიყვანა მათმა წინაძღოლმა პილემენიოსმა: ისინი ცხოვრობენ მდინარე ჰართენიოსის გარშემო. ჰართენიოსი ჰალისის მახლობლად არის[4].

მაშასადამე, ტროადელთა ჯარში ყოფილან ერთი მხრით ტროადის მახლობლად მცხოვრებნი (პროპონტიდის გადაღმა, ევროპაში, — თრაკიელები, და მცირე აზიის დასავლეთი ნაწილის მიზიელები, ლიდიელები, კარიელები, ლიკიელები, ფრიგიელები), ხოლო მეორე ხრით — მდინარე ჰალისის მახლობლად (და მის აღმოსავლეთითაც) მოსახლე პაფლაგონიელთა ტომები და ხალიბები. ესე იგი: ტროადელთა ბანაკში არიან მცირეაზიელი „ბარბაროსი“ ტომები და ქართველურ ტომთაგან — ხ ა ლ ი ბ ე ბ ი. როგორც ზემოთაც ვთქვით, ტროადელთა მხარეზე მებრძოლ ტომთა სია სრული არ არის. საფიქრებელია, რომ ამ სიაში სხვა ქართველური ტომებიც იქნებოდნენ.

Κάλυκοι ამ სიაში არ იქნებოდა, რადგან ჰომეროსის დროს ეს სახელი უცნობია ბერძნებისათვის. იმ დროს კოლხების ქვეყანას იცნობდნენ Αἶα-ს სახელწოდებით: ასეც იცნობს მას „ოდისეა“.

ამგვარად, ჰ ე რ ო დ ო ტ ე ს „ისტორიის“ I, 2-3 თავის და ჰ ო მ ე რ ო ს „ხომალდთა კატალოგის“ პარალელურ განხილვას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ რომელიღაც ბერძნული ტრადიცია ქართველურ ტომებს სთვლიდა ტროადელების ბანაკში, სხვანაირად რომ ვთქვათ: ტროადელებსა და ქართველურ ტომებს სთვლიდა ერთი ორიენტაციის ხალხებად, რომლებიც უპირის-

---

[1] თ ე რ მ ო დ ო ნ ტ ი — მდინარე კაბადოკიაში (პაფლაგონიაში, პონტოში), ერთვის შავ ზღვას; წინათ ერქვა *Κρυσταλλος* (Plut. Flav. 15); ამჟამად ეწოდება Iermeh.

[2] ა პ ო ლ ო ნ ი ო ს რ ო დ ო ს ე ლ ი, არგონავტიკა. ბერძნულიდან თარგმნა აკ. ურუშაძემ. თბ. 1948, გვ. 81.

[3] იქვე, გვ. 101.

[4] დღეს მას თურქულად ჰქვია Bartan-Su ან Bartine. ცხადია, ეს ბერძნული „პართენიოსის“ გათურქულებული ფორმაა.

ბერდებოდნენ ბერძნებს. მაშასადამე, ტროადის ომის თქმულებაშიც შეიძლება ვეძებოთ ანარეკლი ბრძოლისა მერმინდელი საბერძნეთის წინამებრძოლ მოსახლეობასა და ახალ მოსახლეობას, ახალ მოსულ ბერძნებს შორის (შეად. ბრძოლა ზევსსა და პრომეთეს შორის).

ასეთია ჩვენი ჰიპოთეზა ჰეროდოტეს I, 2-3 თავის და ჰომეროსის „ხომალდთა კატალოგის" გაგებისათვის. ამჟამად, ყოველ შემთხვევაში იმის თქმა შეიძლება, რომ ზემოთქმულის მიხედვით ეს ჰიპოთეზა საფუძველს მოკლებული არ არის და რომ ამ ჰიპოთეზის საფუძველზე ღირს წარმოება შემდგომი კვლევა-ძიებისა [1].

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1948. VI. 15).

С. Каухчишвили

Первые главы „Истории" Геродота и „Перечень кораблей" Гомера

Резюме

1. Геродот в первых главах своей „Истории", выясняя причины Греко-персидских войн, предварительно напоминает читателю о старых распрях, существовавших между Азией и Европой; среди этих распрей упоминаются и следующие инциденты: греки похитили Колхидянку Медею (I, 2), а в отмщение за это троянцы похитили у греков Елену (I, 3). Таким образом, существовала греческая традиция, по которой Колхя и Троянцы представ-

---

[1] Отсюда ясно, что, когда мы хотим от древнегреческих писателей узнать о Закавказье, нельзя ограничиваться только теми местами, где упоминаются „Колхи", „Колхида", „Иберия", „Мидия" или что-нибудь подобное, а должны учитывать весь комплекс сведений. Эти сведения разбросаны и скрыты. Такой подход к источникам требует большой работы, когда необходимо выявить даже те места, где прямо не упоминается „Колхида" или „Иберия", но сам текст относится к Колхиде или Иберии.

Об этом см. наше исследование, опубликованное в 1940 году в Трудах Института истории и археологии Академии наук Грузинской ССР, том VII, под заглавием „Риторический характер школы Гомера в Колхиде" (см. наше исследование „Риторический характер школы Гомера в Колхиде": Труды Института истории и археологии Академии наук Грузинской ССР, т. X—B, стр. 337—340), а также в Ист. Груз. ССР, где необходимое место нами дополнено: отрывок из „Истории" Геродота должен быть понят как место, где начинается повествование о причинах Троянской войны, поэтому в нем и не упоминается Колхида (Ист. Груз. ССР, I, 4).

дялись народностями одной и той же ориентации и они противопоставлялись, в политическом и общественном отношении, грекам.

2. В таком контексте становится понятным то обстоятельство что во время Троянской войны на стороне троянцев борются некоторые из тех народностей, родство которых с древнейшими картвельскими племенами не может подлежать сомнению.

3. Во второй половине II песни „Илиады" (т. н. „Перечень кораблей") упомянуты некоторые племена как пришедшие в Трою „издалека"; среди них наше внимание обращают:

а) Халидзоны, пришедшие „из Алибы, стран отдаленных, откуда исход серебра неоскудный" („Илиада" II. 856—857);

б) Енеты, обитавшие „окрест потока Парфения", и к востоку от этой реки.

4. Среди этих племен никаких сомнений не вызывает племя из Алибы: Это — Χάλυβες по поздней шей орфографии, населявшие страну, которая считалась „родиной серебра" (ὅθεν ἀργύρου ἐστὶ γενέθλη: „Илиада" II, 857).

5. Таким образом, и в сказании о Троянской войне отражена борьба между греками и догреческим населением Греции (ср. борьбу между новым богом Зевсом и божеством догреческого населения Прометеем).

ტრუდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 1948
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV, 1948

კ. კეკელიძე

ქართველი ქალები შაჰ-აბაზ პირველის კარზე[1]

დიდი უბედურება დაატყდა თავს ქართლ-კახეთს შაჰ-აბაზ პირველის დროს. ამ სისხლისმსმელმა ჯალათმა ბევრი ქართველი იმსხვერპლა სხვადასხვა დროს ომში, კახეთის თითქმის მთელი გლეხობა გარეკა სპარსეთში და იქ უდაბურ ადგილებში დაასახლა; ფეოდალური არისტოკრატიის მრავალი წარმომადგენელი ჯარსა და ადმინისტრაციაში მოხელეებად და მოსამსახურეებად გაიხადა. მისი ვერაგობისა და სისასტიკის მსხვერპლნი გახდნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც. როდესაც ამას ვამბობ. მხედველობაში არ მყავს არც დედა თეიმურაზისა, ქეთევან დედოფალი. რომელმაც 1624 წელს ენით გამოუთქმელ ტანჯვაში დაასრულა თავისი სიცოცხლე სპარსეთში, არც ხურაბ ერისთვის ცოლი. რომელიც. მისი ქმრისა და გიორგი საакაძის ბიერ წამოწყებულ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შეეწირა იქვე მსხვერპლად, არც ქეთევანის საყვარელი მოახლე თინათინ წიბა, რომელიც, ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ, სპარსეთში ცოლად შეურთავს ცნობილ ევროპელ მოგზაურს პეტრე დელა ვალეს და მხოლოდ ამ გზით განთავისუფლებულა ტყვეობიდან. ნე მხედველობაში მყავს ის ქალები მეფე-დიდებულთა ოჯახებიდან, რომელნიც იგზავნებოდნენ შაჰის კარზე, როგორც შეუღლენი და თანამეცხედრენი მრისხანე ტირანისა, ან იძულებით, ან ნებაყოფლობით, უკანასკნელ შემთხვევაში იმ ანგარიშით, რომ დასიძების გზით აეცილებინათ და ასე თუ ისე შეერბილებინათ გულისწყრომა და რისხვა ამ ჯალათისა. საბოლოოდ ამ ქალებსაც სამშობლოსათვის განწირულთა როლში ვხედავთ. რამდენი მწარე ცრემლი დაუღვრიათ მათ, სამშობლოსა და მშობლიურ მხარეს გამორებულთ! რამდენი დამცირება, შეურაცხყოფა და გულისტკივილი განუცდიათ ნათ უცხო ქვეყანაში! ეს ქალები ღირსნი არიან იმისა, რომ მათი სახელიც მოხსენებულ იქნეს იმ პირთა შორის, რომელნიც სამშობლოს სამსხვერპლოზე იწვოდნენ ქვეყნის ავბედობის დროს.

პირველწყაროების მიხედვით[2], რომელნიც ხშირად ბუნდოვანსა და ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობებს შეიცავენ, შაჰ-აბაზ პირველს ცოლად ჰყოლია რამდენიმე ქართველი ქალი; მათი ვინაობა და თავეადასაკალი ჯერ

[1] წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახელობის თბ. სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე 1948 წლის ივნისში.

[2] სია მათი მოცემულია ამ ნარკვევის ბოლოში.

კიდევ გაურკვეველი და საძიებელია. ამ ხაზით კვლევა-ძიება კი საჭირო და აუცილებელია როგორც წმიდა ისტორიული, ისე ლიტერატურული თვალსაზრისით: ამ ქალებს იხსენიებენ არა მარტო საისტორიო, არამედ ლიტერატურული ძეგლებიც: საისტორიო პოემები და აგიოგრაფიული შრომები.

ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს: «შაჰ-აბას ყაენს ცოლად ჰყვანდა და ნამეტნავად უყვარდა ანდუყაფარ ამილახორის დაჲ თამარი» (გვ. 27). ანდუყაფარ ამილახორი იყო გამაჰმადიანებული ფეოდალი, ერთგული და მოყმე სპარსელებისა. მას ცოლად ჰყავდა შვილი ყორჩიბაშისა, შვილისშვილი შაჰ-აბაზისა, ცოლისდაჲ სვიმეონ მეფისა. ერთ დროს ის ოჯახობით, გიორგი სააკაძის ბრძანებით, დატყვევებული იყო არშის ციხეში. სხვა წყარო ამ ცნობისა დღესდღეობით არ ჩანს. არ ჩანს სხვა წყარო იმავე გორგიჯანიძის არც მეორე ცნობისა: 1592 წელს ხონთქარს ამბავი მოუვიდა, რომ შაჰ-აბაზმა «ნეფის სვიმონის ქალი შეირთო, ფახრიჰ-ჯან ბეგუმი, ცოლადო» (გვ. 16).

შაჰ-აბაზს ცოლად ჰყოლია აგრეთვე და კახეთის მეფის თეიმურაზ პირველისა. უკანასკნელი ერთს თავის ნაწარმოებში წუთისოფელს უჩივის: «დამიკარგე ძე, ასული, ძმა, არ ვიცი და სად აგე» (თეიმურაზ I, გამ. ა. ბარამიძისა, გვ. 110, სტრ. 85). ის თითქოს თვით თეიმურაზს გაუგზავნია, დედასა და შვილთან ერთად, შაჰისათვის. 1618 წელს თეიმურაზი სწერს მოსკოვის მეფეს მიხეილ თეოდორეს ძეს: «შაჰ-აბაზმა მთხოვა ცოლად ჩემი და, დავით მეფის ასული, და დამპირდა—მოვინათლებიო» (М. Полиевктов, стр. 44). ჯუშტი ამბობს: «და აწ მისრულნან შესძლენა შააბაზს დაჲ თჳსი» (გვ. 174—175). ეს მოხდარა მაშინ, როდესაც თეიმურაზი ეახლა შაჰს პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ, 1611 წელს. თეიმურაზის ამ დას, რომელიც 1604 წელს 12 წლის ყოფილა (С. Белокуров, стр. 492), სახელად ჰრქმევია ელენე. ხსენებულ წელს რუსი ელჩები ეუბნებიან ქართლის მეფეს გიორგის: «აი ახლაც (и ныне) ყიზილბაშის შაჰმა წაჰგვარა ალექსანდრე მეფეს (კახეთისას) შვილისშვილი, დავით მეფის ასული.... გააუპატიურა ის და შემდეგ უკანვე დააბრუნაო» (С. Белокуров, стр. 500). კახთა მეფის დავითის ასული არის, ეჭვი არაა, თეიმურაზის და; ეჭვი არაა აგრეთვე, რომ რუსი ელჩები სწორედ ამ დას გულისხმობენ, ელენეს, რადგანაც მეორე და თეიმურაზს თითქოს არ ჰყოლია. ალბათ ეს ბედშავი ქალი ჯერ 1604 წელს იყო გაგზავნილი შაჰთან, რომელმაც 1611 წელს მეორედ მოიხოვა ის.

არაა მართალი ან. ფურცელაძე, რომელიც ირწმუნება, რომ ეს ქალი შემდეგ შაჰმა მისცა ცოლად ლორისტანის ვალსო (გვ. 165). ლორისტანის ვალს მისცეს არა და თეიმურაზისა ელენე, არამედ ასული მისი თინათინი, რომელიც ცოლად ჰყავდა შაჰ-სეფი ყენენს (ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 36). ამის შესახებ ანტონ კათოლიკოზი ამბობს: «ესე ჰეშმარიტად ვუწყი, ვითარმედ წარიყვანა ქალი იგი[1] შაჰმა და ჰყვა ცოლად და შემდეგ მისცა ვალსა ლორისტანისასა, რომელიც, მგონიეს, ვითარმედ ახსოვდა იგი მცირედრე

[1] მართალია, ანტონი ამ შემთხვევაში გულისხმობს არა ელენეს, არამედ თეიმურაზის ასულს თინათინს, მაგრამ, როგორც დავინახავთ, ეს სწორი არაა.

დედასა ჩემსა სიქვრივესა შინა მისსა მოხუცებული ფრიად» (საქართ. საზოთხე. გვ. 592). თეიმურაზის და ელენე, ტიმოთე გაბაშვილის ცნობით (მოხილვა. გვ. 157), შემდეგში (ალბათ სადედოდან თავის დახწევის შემდეგ) იერუსალიმში შემონაზვნებულა ელისაბედის სახელით და აუშენებია იქ მონასტერი წმ. ნიკოლოზის სახელობისა[1].

უფრო მეტი ცნობა მოგვეპოვება ლუარსაბ მეფის დის შესახებ, რომლის თავგადასავალს ჩვენი წყაროები აქა თუ იმ სახით უკავშირებენ ქართველთა ტრაგედიას მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში. ამ ქალის შესახებ ჩვენს წყაროებში დიდი უთანხმოებაა.

ჯერ ვიკითხოთ, რამდენი და ჰყავდა ლუარსაბს? ამ საკითხზე წყაროები სხვადასხვა პასუხს იძლევიან.

ფარსადან გორგიჯანიძე გვაუწყებს, რომ გიორგი მეფეს «ორი ქალი ჰყვანდა», ერთს ერქვა ლელა, მეორეს ხვარეშანიო (გვ. 20). ამ ცნობას მხარს უჭერს მოკლე რედაქცია ლუარსაბის მარტვილობისა, სადაც ვკითხულობთ: გიორგი ბეფესა და მის ცოლს თამარს «დაშთეს ყრმანი ორნი და ასულნი ორნი» (ხელნ. A 130, გვ. 287, 176 გვ.151, № 3269, გვ. 235)[2]. ასეთივე ცნობა მოეპოვება ბერი ეგნატაშვილსაც: «და დარჩა ორი ასული, სატრფიალო და შვენიერი, ერთსა ერქუა ხორაშან და მეორესა თინათინ» (გვ. 113). ბესარიონ კათოლიკოზიც ლუარსაბის მარტვილობაში ამბობს: «ესე მარტოდ (ლუარსაბი) ესკათ ორთა ასულთა თანა», რომელთაგან «პირველსა ეწოდა ელენე და უმრწეესსა ხუარანშა» (გვ. 408). ვახუშტიც ორს მხოლოდ ასულს გულისხმობს, რომელთაგან ერთს ეწოდება თინათინ, მეორეს ხვარეშან (გვ. 53, 57, 174 175). ასევე ორს დას, ელენესა და ხვარეშანს, გულისხმობს ანტონ კათოლიკოზიც (საქართ. საბოთხე, გვ. 590). იოანე ბატონიშვილიც თავის «ისტორიაში» ორი დის შესახებ ლაპარაკობს, ერთს ჰრქმევია ელენე, მეორეს ხვარეშან.

აი რიგად, როგორც ვხედავთ, ყველა არსებული და დღესდღეობით ცნობილი წყარო მხოლოდ ორი დის შესახებ ლაპარაკობს. ამიტომ გაუგებარია, საიდან შეიტყვეს მ. საბინინმა (საქართ. სამოთხე, გვ. 581, შენ. 2) და ანტონ ფურცელაძემ (გვ. 264, შენ. 1), რომ ლუარსაბს სამი და ჰყავდა: ელენე, ხორეშან და თინათინ?

როგორც ზემოთ დავინახეთ, ლუარსაბის ორს დას წყაროებში ეწოდება: ლელა-ხვარეშან (გორგიჯანიძე), ელენე-ხვარეშან (ლუარსაბის მარტვილობა № 3269, ბესარიონ და ანტონ კათოლიკოზები, იოანე ბატონიშვილი), თინათინ-ხვარეშან (ეგნატაშვილი, ვახუშტი). ამ ცხრილში ხვარეშანი საერთოა, ლელა და ელენე საქართველოში ერთსა და იმავე პირადაა მიღებული (ა. ფურცელაძე, გვ. 61, 104, 183 შენ. 1, 264), დარჩა, მაშასადამე, თინათინ, რომელიც მესამე დად არის მიღებული. ეს თინათინ, ა. ფურცელაძის სიტყვით, თითქოს, ძმასთან ერთად, რომელსაც დავითი ერქვა, გიორგი მეფის

[1] А. Цагарели, Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, стр. 120.

[2] ამ რედაქციის გამოცემაში, რომელიც მ. საბინინს ეკუთვნის, «ორნი»-ს ნაცვლად ბრჭყალებში რედაქტორის მიერ ჩასმულია «სამნი» (საქართ. სამოთხე, გვ. 581).

ბიერ გაგზავნილი იყო ოსმალეთში დატყვევებულის სიმონ მეფის გამოსახსნელად, იქვე დარჩა და გარდაიცვალა (გვ. 103 შენ. 1,264 შენ. 1, 406). მაგრამ ასეთი რამ არც ერთმა წყარომ არ იცის. კერძოდ არ იცის ფარსადან გორგიჯანიძემ, რომელიც საგანგებოდ აღნიშნავს დავითის სტამბოლს წარგზავნას (გვ. 20), არც პარიზის ქრონიკის ავტორმა. ვფიქრობთ, ან. ფურცელაძემ ასეთი დასკვნა გააკეთა გიორგი მეფის სიტყვების საფუძველზე რუსი ელჩების მიმართ: «მამა ჩემმა თავი შეალია ოსმალთა და ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლას, ამჟამად ის ოსმალთა ტყვეობაში იმყოფება და მასთან ერთად ჩემი შვილებიო» (С. Белокуров, стр. 498). მაგრამ ამ სიტყვების სიზუსტე საეჭვოა, ყოველ შემთხვევაში 1605 წელს, როდესაც ადგილი აქვს ამ საუბარს, სვიმონ მეფე უკვე მკვდარია.

საიდან გაჩნდა მაინც ეგნატაშვილისა და ვახუშტის თინათინი? ვახუშტის წყარო ეგნატაშვილია, ხოლო უკანასკნელს, ეტყი არაა, ლუარსაბის დედ თინათინად შეცდომით მიუღია თეიმურაზ პირველის ასული თინათინი. ამ თინათინის შესახებ ყოფილა ცნობა, რომ ის ცოლად ჰყავდა შაჰ-აბაზს; ანტონ კათოლიკოზი ქეთევანის მარტვილობაში ამბობს: «არა ვუწყი მართალი, თუ რომლითა მიზეზითა ანუ ოდეს წაართუა თეიმურაზს შაჰ-აბაზმან ასულიცა თინათინი» (საქართ. სამოთხე, გვ. 592). ეს ცნობა მცდარია, თეიმურაზის ქალი თინათინი ცოლად ჰყავდა არა შაჰ-აბაზს, არამედ შაჰ-სეფი ყეენს, რომელსაც ის თეიმურაზმა გაუგზავნა 1639 წელს, ეს დაბოწმებულია კატეგორიულად ფარსადან გორგიჯანიძის მიერ (გვ. 36, ვახუშტი, გვ. 185). შაჰ-სეფის შემდეგ ის მიუცია, როგორც ანტონ კათოლიკოზი აცბობს (საქართ. სამოთხე, გვ. 592), ლორისტანის ვალისათვის[1].

ამრიგად, საკითხი თინათინის შესახებ იხსნება და გვრჩება ორი დ ლუარსაბისა: ბვარეშანი და ლელა-ელენე. მეორე დის ნამდვილი, ქრისტიანული სახელი არის, როგორც ეს რუსი ელჩების მიერაც დამოწმებულია, ალბათ, მერე მისთვის შეურქმევიათ ლელა, რომელიც ბგერულად ძლიერ ახლოა ელენესთან.

რომელი იყო მათ შორის უფროსი? გორგიჯანიძის მოწმობით, უფროსი იყო ლელა (გვ. 20); ამასვე გადმოგვცემს ლუარსაბის მარტვილობის როგორც სრული (ბესარიონ კათოლიკოზის), ისე მოკლე (S 3269) რედაქცია, საბოლოიროდ სხვა წყაროები: ლუარსაბის მარტვილობის საბინინისეული რედაქცია (საქართ. სამოთხე, გვ. 581), ვახუშტი (გვ. 175) და ანტონ კათოლიკოზი (საქართ. სამოთხე, გვ. 590) უფროსად სთვლიან ხვარეშანს.

საფიქრებელია, რომ ლელა ან ელენე მართლაც უფროსი იყო; საქმე ისაა, რომ 1605 წელს, მოსკოვის ელჩებთან მოლაპარაკების დროს, ბორის გოდუნოვის სარძლოდ სწორედ ელენე იყო გამოთხოვილი, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ის ასაკით უფროსი იყო. მართლაც, რუსი ელჩები კითხულო-

---

[1] ეს თინათინი, ანტონ კათოლიკოზის ცნობით (საქ. სამოთხე, გვ. 590), თეიმურაზს ჰყოლია პირველი ცოლისაგან; თუ ეს ასეა, ის დაბადებული იქნება არა უგვიანეს 1610 წლისა. რუსი ელჩის ცნობით, ეს ქალი თითქოს შაჰ-აბაზ მეორეს დაუბრძანია (Посольство князя Мышецкого, 176).

ამბობს: «სჯერს თუ არა გიორგი მეფეს გაუგზავნოს უფროსი ქალი (большую царевну) რძლად მოსკოვის მეფესთან?» (С. Белокуров, стр. 470).

ამ ქალს ელენეა ის ლელა ბატონიშვილი, რომელიც «არჩილიანშია» მოხსენებული. როგორც რუსთა ელჩების მოხსენებიდან ჩანს, 1604 წელს ის ათის წლისა ყოფილა (С. Белокуров, стр. 495, 498); ის ცოლად უნდა შეირთო ბორის გოდუნოვის შვილს თეოდორეს. მართალია, დამყვრება ქართველებისა რუსებთან ამ გზით არ მოხერხდა სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგრამ ასეთი სურვილი მაჩვენებელი იყო ქართველთა პოლიტიკური მიდრეკილებისა რუსეთისადმი, რაც ასე აშინებდა სპარსელებს, კერძოდ შაჰ-აბაზს. ამიტომ საგულისხმოა, რომ, რუსებისაგან დაშორებისა და სპარსეთთან დაახლოებისა და დაკავშირების მიზნით, რუსთა სარძლოდ სახელდებული ელენე შაჰ-აბაზმა თვითონ შეირთო ცოლად და «ფათმან სულთან ბეგუმ დაარქვა» (ივ. გორგიჯანიძე, გვ. 20, პარიზის ქრონიკა, გვ. 27).

არსებობს ცნობა, თითქოს ეს ქალი შემდეგში შაჰ-აბაზს მოეშორებიოს ცოლად და მიეცეს ცოლად კახეთის გაგის ფეიქარ-ხანისათვის. 1623 წელს, ალყაყების სამზადისში, ის თითქოს გიორგი სააკაძემ აღუთქვა ცოლად ზურაბ ერისთავს სპარსეთში განწირული მისი მეუღლის სანაცვლოდ. მართლაც, არჩილ მეფის «თეიმურაზიანით», გიორგი სააკაძე ეუბნება ზურაბს: «ცოლს ჩქეთესსა გიშოვნი, ბატონიშვილსა ლელასა» (594). ბერი ეგნატაშვილი გადმოგვცემს: «გამარჯუებულნი ქართველნი წარვიდენ ფეიქარ-ხანად, რომელი არს კახეთს. რამეთუ ამას ფეიქარ-ხანს ჰყვანდა ცოლად ბატონიშვილი ლელა. და უნდოდათ დასხმოდენ თავსა ფეიქარ-ხანს და ისე მოეკლათ და ბატონიშვილი ლელა გაეოერთმიათ და ზურაბ ერისთავისათვის მიეცათ. და რა წარვიდენ, მაშინ იგრძნა ფეიქარ-ხან და წარვიდა გაქცეული. გაიოუდგნენ და ვერ ეწივნენ ბარდამდი და ვეღარა მოეწივნენ» (გვ. 153 - 154).

ვახუშტის სიტყვით, ფეიქარ-ხანის ცოლი იყო არა ლუარსაბის და (შაჰ-აბასის ნაცოლარი), არამედ და ბაგრატ მეფისა (1615—16[illegible] წ.), ასული ქაიხოსრო-ხანისა, სვიმონ დიდის ძმისა, რომელსაც აგრეთვე ლელა ერქვა (გვ. 2[illegible]—23). ვის მხარეზეა სიმართლე? მართალია, არც არჩილი, არც ეგნატაშვილი არ ამბობენ, რომ ლელა ბატონიშვილი არის ლუარსაბის და. მაგრამ სიმართლე მაინც მათს ცნობაში უნდა გვქონდეს. საქმე ისაა, რომ არჩილი «თეიმურაზიანის» სხვა ადგილას ადასტურებს, რომ ლელა ლუარსაბის და არის. დაბარცხებული ფეიქარ-ხანის დადევნების ეპიზოდს ასეთი სათაური აქვს: «ბატონიშვილი ლელა უნდოდათ ეშოვნათ, მეფის ლუარსაბის და, ზურაბისთვის შეერთოთ, ვეღარ მიუსწრეს» (არჩილიანი, ტ. II, გვ. 70). უფრო კატეგორიულად ამას იოსებ თბილელი ამბობს «დიდმოურავიანში»:

მან ცოლი დასთმო, ჩაიგდო სირცხვილად სრულად არაცა:
ვჰკადრე: უკეთეს შეირთავ შენთვის მწვე გასახარათა;
ლუარსაბ მეფის დის შერთვა შენთვის არს ეს საკმარათა (183).

ამასვე ადასტურებს ე. წ. პარიზის ქრონიკაც (გვ. 143). რასაკვირველია, არჩილისა და თბილელის ცნობა ამ შემთხვევაში უფრო მისაღებია, ვიდრე ვახუშტისა.

პარიზის ქრონიკის ცნობით, ეს ამბავი—ლელას თავიდან მოშორება და ფეიქარ-ხანზე გათხოვება,—მომხდარა ლუარსაბის სიკვდილის (1622 წ.) შემდეგ უმალვე: «ლუარსაბ გულაბის ციხეში შვილდის საბლით დაარჩვეს და ლუარსაბ მეფის და ფათმა სულთან ბეგუმ ყაენის სახლით გამოიყვანეს და ფეიქარ-ხანს მისცეს» (გვ. 43). მართლაც, თეიმურაზის ელჩი, მთავარეპისკოპოსი თეოდოსი, რომლისაგან 1624 წელს მოსკოვში გებულობენ, რომ ელენე ცოლად ჰყავს ფეიქარ-ხანს, საქართველოდან წამოსულა 1623 წლის მარტში (М. Полиевктов, стр. 62, 67), მაშასადამე მისი, ლელას, ფეიქარ-ხანზე გათხოვება 1622 წელს მომხდარა, ასე რომ 1623 წელს შეეძლოთ ზურაბისათვის აღეთქვათ მისი თავი.

თუ რატომ ან როგორ გაუშვა ეს ქალი შაჰ-აბაზმა, ამაზე 1624 წლის 24 მარტს რუსი კელარი ონიკე, რომელიც თეოდოსი მთავარეპისკოპოსს კარგად იცნობდა, იძლევა შემდეგს ცნობას: «А владеет-де ныне всею грузинскою землею шах. А посажен у него [в грузинской] земле начальной человек Бей-Кар хан (=ფეიქარ ხანი)... дал за него шах карталинова царя Юрьеву (=გიორგი) дочь Олепу (=ელეხე-ლელა). А первее был шах женился на ней сам. А выдал-де ее за то, блюдясь от нее порчи»... (М. Полиевктов, стр. 67). მას შემდეგ, რაც შაჰმა სიცოცხლეს გამოასალმა ლუარსაბ მეფე, რომელსაც, წყაროების ცნობით, მისი და ლელა, ცოლი შაჰისა, რამდენადაც მოსაბერებელი იყო, ეხმარებოდა, შაჰი უკვე მას ვეღარ ენდობოდა; მას ჩავარდნია გულში შიში—არ გამაფუჭოს ლელამ, და მიუცია ის ფეიქარ ხანისთვის. სწორე და ლუარსაბისა, ხვარეშანი, რომელსაც რუსები ეძახიან Христина-Кристена, Хотошен (М. Полиевктов. стр. 231, 299, 416), ცოლად შეირთო თეიმურაზ პირველმა. არსებობს ცნობა, თითქოს თავდაპირველად ის დანიშნული ჰყავდა არაგვის ფეოდალს ზურაბ ერისთავს, ნუგზარის შვილს. ფარსადან გორგიჯანიძისა (გვ. 20) და პარიზის ქრონიკის (გვ. 27 სიტყვით, ქალი (ხორეშანი) არაგვის ერისთვის შვილისთვის ნაქადები იყო». ცალსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს, რომ ნუგზარ ერისთავს, რომელთანაც ომი შეაფარა ლუარსაბისავან სასიკვდილოდ განწირულმა გიორგი სააკაძემ, ლუარსაბის მოთხოვნაზე - მოებეცი გიორგის თავით, თავისა და სააკაძის სახელით შეუთვლია: «თქვენ მტრის ქნილობით ერთს ნაბოძები ქალი წაგვართვით და მეორეს ნათხოვნი ქალი დაგვიგდეთო» (გვ. 21). წინადადება — «ერთს ნაბოძები ქალი წაგვართვით», გულისხმობს იმას, რომ, შაჰ-აბაზის მოთხოვნით, ლუარსაბი იძულებული გახდა ხორეშანი «წაერთმია» ზურაბ ერისთავისათვის და თეიმურაზისათვის მიეთხოვებინა. ხოლო სიტყვები — «მეორეს ნათხოვნი ქალი დაგვიგდეთო», მიუთითებენ ლუარსაბის მიერ თავისი ცოლის, გიორგი სააკაძის დის, გაშვებას, რაც «მიგდებას» უდრიდა[1].

[1] საყურადღებოა, რომ ზურაბ ერისთავმა შემდეგში (ვახუშტით 1623 წელს) ცოლად შეირთო თეიმურაზის ქალი ნესტან-დარეჯანი, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, იყო ნაშობი პირველი ცოლისაგან. მართლაც, ის რომ მეორე ცოლის, ხვარეშანისაგან, ყოფილიყო ნაშობი, 1623 წელს იქნებოდა ათი წლის ბიოლოდ. ამ ასაკში კი ქალის გათხოვება დაუშვებელი იყო.

ამასთან ერთად არსებობს ცნობა, თითქოს ამ ხვარეშანის შერთვა გახარებული ჰქონდა თვით შაჰ-აბაზს. ჯერ კიდევ არჩილ მეფე ათქმევინებს «თეიმურაზიანში» შაჰ-აბაზს:

ჩემი არის თეიმურაზ ძველითგანვე სისხლის მსმელი,
პაპა მისმა ქალი მამცა, რად წამართვა, რად მყო მელი? (491).

თეიმურაზის პაპას, ალექსანდრე მეფეს, რამდენადაც ვიცით, შაჰ-აბაზისათვის საკუთარი ქალი არ მიუცია, რომ თეიმურაზს ის მისთვის წაერთმია. იქნება ალექსანდრემ შაჰს მიჰგვარა, ჯერ კიდევ თეიმურაზის გამეფებამდე, მისი და ელენე, რომელიც მერე თეიმურაზმა უკან დაიბრუნა? მაგრამ ელენე, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, თეიმურაზს კი არ დაუბრუნებია, არამედ თვით შაჰს გამოუგზავნია უკან. თან, როგორც ნაჩვენები იქნება, «წარჩინებულად» ლუარსაბის და არის ნაგულისხმევი და არა თეიმურაზისა. შესაძლოა დაეჭვათ შემდეგი: ალექსანდრე იყო ბიძა (დედით) ხვარეშანისა; იქნება იმან დადებითი როლი ითამაშა თავისი დისშვილის შაჰისადმი მითხოვების საქმეში, რომელიც მერე, თეიმურაზთან დამოყვრების გამო, არ განხორციელდა.

როგორც უნდა იყოს, ასეთი ცნობა მართლა არსებულა. ბესარიონ კათოლიკოზი ლუარსაბის მარტვილობაში გადმოგვცემს შემდეგს: ლუარსაბმა «სცა შაჰ-აბაზს ცოლად თავისი და ელენე, «ხოლო ვან (შაჰ-აბაზმა) შემდგომად მცირედისა მეორისაცა დისა მისისა ჴელ-ყო ბოთხოვნად, რომელსა ეწოდა ხუარანშა, იგიცა ცოლად, რომელი ესე სასმენელადცა უცხო იყო ქრისტიანეთა შორის», ამიტომ ლუარსაბი «მეყსეულად ემზახა კახთა მეფესა თეიმურაზს და მიათხოვა იგი ცოლად». (გვ. 410). ალბათ ამ აქტს შაჰ-აბაზი სთვლის თეიმურაზის მხრივ საცოლის «წართმევად».

არჩილსა და ბესარიონ კათოლიკოზს მხარს უჭერს ვახუშტიც, რომელიც ამბობს: შაჰ-აბაზს უნდოდა გაეგო, მისცემს თუ არა ცოლად ლუარსაბი თეიმურაზს თავის დას, «რომელი არა წარეველინა მას უხუცესი, არამედ უმცროსი» (გვ. 175). ამავე ცნობის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ორი ცალკე კომენტი, რომელთაგან ერთი ანტონ კათოლიკოზს ეკუთვნის, მეორე იოანე ბატონიშვილს. ანტონი კვეთევან დედოფლის მარტვილობაში, ხოლო იოანე «ქართლის ისტორიაში» გადმოგვცემენ:

ანტონი:

«ესოსრულმან შაჰ-აბაზ ალვანად ქალაქსა, ზედწოდებულსა განძად, ჰკითხა გიორგი სააკაძესა, ვითარცედ: თქუენ შორის კაცსა ცოლ-წაგურილსა რაჲმე თახაძს? იტყჳს არაქელ ვიხძე, სომეხი ისტორიკოსი, ვითარმედ მიუგო გიორგი სააკაძეთან შაჰ-აბაზს: ეგეგითარი კაცი წარმგურელსა ცოლისასა აღუოხრებს მამულსა, თუ საკმე ძალუძს მორევნად, და წარმოტყუენავს ყოველსავე მისსა და მოჰკლავსცა. ხოლო ჰრქუა ესენი გიორგი ამისათჳს [რაჲთუ] იცოდა, ვითარმედ თჳითმპყრობელისათჳს ჰკითხვს იგი, ცხოვრებისა მეფისა. მიუგო შაჰ-აბაზ: მე ვარო, რომელსა წარმტაცა ცოლი თეიმურაზ (საქართ. სამოთხე, გვ. 591)».

იოანე:

ერთხელ შაჰ-აბაზმა ჰკითხა მასთან მყოფ სააკაძეს: «უკეთუ ვინმე თქუენგანმან წაიყვანოს ცოლი, გითარ უკვე დასჯდეს ეგე საქმე სჯული თქუენი? სააკაძემ უპასუხა: «ესეგვარისა კაცისა სათანადო არს მოკლვად და მოოხრებად მამულთა მისთად და აკლებად ცოლითა უკვე საცხოვრებელითა და იავარყოფად მათით». მაშინ შაჰ-აბაზმა ჰრქვა: «კეთილ ხედავ საქმე, რომელ ჩემმან თეიმურაზ გამოიცვალა მეუღლე ჩემი, და მეფისა ლუარსაბისაგან, ვინ მას წამგვარა დაბეშნული ჩემგან».

ნოყვანილი ცნობებიდან ისე გამოდის, თითქოს შაჰ-აბაზი და თეიმურაზი ერთსა და იმავე დროს თხოულობდნენ გიორგი მეფის ქალებს, და თეიმურაზმა და ლუარსაბმა, რომელთაც წინასწარ ჰქონდათ გადაწყვეტილი ერთმანეთს დამოყვრებოდნენ. შაჰს, რაღაც მოსაზრებით, ხვარეშანი კი არ გაუგზავნეს, არამედ უფროსი და ლელა. მაგრამ შაჰსა და თეიმურაზს ერთსა და იმავე დროს არ შეურთავთ გიორგი მეფის ქალები. ბერი ეგნატაშვილი ამბობს: «ოაჯამს გამეფდა პატარა ლუარსაბ, მაშინ სთხოვა ყეენ[მან შააბაზ და თჳსი ცოლად, და მისცა და თჳსი» (გვ. 113). მაშასადამე, შაჰ-აბაზს ლუარსაბის და შეურთავს უკანასკნელის გამეფების წელს, ესე იგი 1606 წელს, თეიმურაზმა კი ხვარეშანი შეირთო 1612 წელს. ეს ერთი.

მეორე: ლუარსაბსა და თეიმურაზს შორის ისეთი მახლობელი ნათესაობა იყო, რომ იმათ აზრად ვერ მოუვიდოდათ თავისი ნებით ერთმანეთს დამოყვრებოდნენ. წყაროების გადმოცემით, ქორწინებით დამოყვრება მათ შეუძლებლად მიაჩნდათ, საჭირო გამხდარა საეკლესიო კრების საგანგებო კომპრომისური ხელმოწერა (ქვეყნის ინტერესების მხედველობაში მიღებით), ისიც მას შემდეგ, რაც თეიმურაზმა სათანადო «საკანონო» გაიღო. ასეთს დამოყვრებას ვინი ვერ გაბედავდნენ იმიტომაც, რომ ორივენი ეძებდნენ კავშირს მართლმადიდებელ რუსეთთან, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა იმასაც, თუ როგორ იცავდნენ ისინი საეკლესიო წესებსა და კანონებს. რუსებს მართლაც ჰქონიათ ამისათვის ყურადღება. 1637 წლის დოკუმენტში ვკითხულობთ: «ოუბერაზ მეფეს მახლობელი ნათესავი ჰყავს ცოლად; როდესაც საქართველოში იყო იერუსალიმის პატრიარქი თეოფანე, მან მოინდომა მათი განქორწინება, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეფემა და დედოფალმა მას მისცეს ძვირფასი საჩუქრები: შემკული ოქროს ბარძიმი და არამცირე ოქროს ფული, ნება დართო ეცხოვრათ წინანდებურად» (М. Полиевктов, стр. 416). ერთი სიტყვით, ლუარსაბის და თეიმურაზის დამოყვრება მოხდა არა მათი საკუთარი სურვილით და წინასწარი განზრახვით, არამედ, როგორც წყაროებშიც არის აღნიშნული, ძალდატანებით, თვით შაჰ-აბაზის დაჟინებითი მოთხოვნისა და ძიძიანების შედეგად.

ბესარიონ კათოლიკოზი სხვანაირად აწუხებს ამ ფაქტს. მისი სიტყვით, შაჰმა «ითხოვა ლუარსაბისაგან ცოლად მეორე მისი დაც და, რომ თავიდან ეცილებინა ასეთი «ქრისტიანეთა შორის სასმენელად უცხო» ქორწინება (ერთი ცოლის მიერ ორი დის ცოლად შერთვა), «მყის ემზახა ქახთა შეფესა თეიმურაზს» ლუარსაბი. მაგრამ რატომ მაინცდამაინც ახლო ნათესავს «ემზახა» ის, განა არ შეიძლებოდა ვინმე სხვისთვის მიეცა ეს ქალი? მერე, თუ შაჰისთვის ორი დის შერთვა «უცხო იყო სასმენელად ქრისტიანეთა შორის», ისეთი ნათესაობების შეუღლება, როგორიც იყვნენ თეიმურაზი და ხვარეშანი, კი «იყო სმენილი ქრისტიანეთა შორის»? რასაკვირველია, არა! ვიმეორებთ, ეს შეუღლება მოხდა ძალდებით, შაჰის მოთხოვნითა და ძალდატანებით, მაშასადამე, ზედმეტია და შეუძლებელი ლაპარაკი შაჰის მხრივ მისთვის საცოლოს წაგვრა-წართმევა—შეყვარებაზე. მაგრამ იმ ადამიანისათვის, რომელიც, როგორც იტყიან, «შარზე»

იყო და ყოველ მიზეზს ეძებდა თეიმურაზთან და ლუარსაბთან კონფლიქტის შესაქმნელად, ახალი «შარი», რასაკვირველია, მოულოდნელი არაა.

სხვა საკითხია, თუ რატომ სცდილობდა შაჰ-აბაზი თეიმურაზისა და ლუარსაბის დამოყვრებას, მართლა «ზაკვით», როგორც ზოგიერთი წყარო უჩვენებს, თუ პოლიტიკური მოსაზრებით?

ახლა, ეს პატარა ექსკურსი რომ შევაჯამოთ, შემდეგს სურათს მივიღებთ:

1. შაჰ-აბაზს I ცოლად ჰყოლია ოთხი ქართველი ქალი: ა) ანდუყაფარ ამილახორის დაჲ თამარი, ბ) მეფის სიმონის დაჲ ფახრიჰ-ჯან ბეგუმი, გ) თეიმურაზ პირველის დაჲ ელენე, დ) ლუარსაბ მეფის დაჲ ლელა.

2. ლუარსაბ მეფეს ჰყავდა არა სამი, არამედ ორი და: ლელა და ხვარეშანი; ამათში უფროსი იყო ლელა.

3. ლელა თავდაპირველად უნდა შეერთო რუსთა ცეზის, ბორისის გოდუნოვის, შვილს თეოდორეს, მერე ის გამოითხოვა შაჰ-აბაზმა, რომელმაც მას უწოდა ფათმან-სულთან-ბეგუმ.

4. 1623 წელს შაჰ-აბაზმა, გარკვეული მოსაზრებით, ის დაუთმო კახეთის მმართველს ფეიქარ-ხანს, რომლისათვის ის უნდა წაერთმია ზურაბ ერისთავს.

5. ხვარეშანი ჯერ უნდა შეერთო არაგვის ერისთავს ზურაბს, მეორე, 1612 წელს, ის შეირთო თეიმურაზ პირველმა შაჰ-აბაზის დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად.

6. ყოველ საფუძველს მოკლებულია შაჰ-აბაზის ბრალდება, თითქოს ხვარეშნის შერთვა მას უნდოდა, მაგრამ თეიმურაზმა და ლუარსაბმა ის შეუცვალეს ან წაართვეს მას.

7. მცდარია ანტონ კათოლიკოზის ცნობა, ვითომც შაჰ-აბაზს ცოლად ჰყავდა აგრეთვე თეიმურაზის ასული თინათინი, ეს უკანასკნელი იყო ცოლი არა შაჰ-აბაზისა, არამედ შაჰ-სეფი ყაენისა.

ნია პირველწყაროებისა

ლიტერატურული

1. «თეიმურაზიანი» არჩილ მეფისა (არჩილიანი, ტ. II, გამ. ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილისა).
2. «დიდმოურავიანი» იოსებ თბილელისა (გამოცემა გ. ლეონიძისა).

ისტორიული

3. ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია (გამ. ს. კაკაბაძისა, ცალკე ამონაბეჭდი «საისტორიო მოამბის» II ტომიდან).
4. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება (გამ. ი. ჯავახიშვილისა).
5. ლუარსაბ მეფის მარტვილობა: ვრცელი — ბესარიონ კათოლიკოზისა (გამ. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, გვ. 407—16), და ორი მოკლე: ა) საბინინისეული (საქართ. სამოთხე, გვ. 580—582, ხელნ. A 130. 176). ბ) ხელნაწერი S 3269.

6. ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება 1469—1800 წ., მეორე გამოც. ზ. ჭიჭინაძისა, 1913 წ.
7. ცხოვრება საქართველოსი, ე. წ. პარიზის ქრონიკა, გამ. ზ. ჭიჭინაძისა 1910 წ.
8. ანტონ კათოლიკოზი, წამება ქეთევან დედოფლისა (საქ. სამოთხე. გვ. 583—597).
9. იოანე ბატონიშვილი, ისტორია ქართლისა (კალმასობაში), ჯერ გამოუცემელი.

დიპლომატიური

10. მოხსენებანი მოსკოვის ელჩებისა და ქართველ მეფეთა მიწერ-მოწერანი რუსეთის მეფეებთან: ა) 1578—1613 წლებისა (С. Белокуров, Сношения России с Кавказом, Москва 1869 г.), და ბ) 1615—1640 წლებისა (М. Полиевктов. Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, Тбилиси, 1937 г.).

მონოგრაფიული ლიტერატურიდან უნდა დასახელებულ იქნეს ა. ფურცელაძის „ვეფხისტყაოსანი საკაცე და მისი დრო“, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, თბილისი 1912 წ.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1948. IX. 15).

ჯუღაშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 1948
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV, 1948

პ. თაყაიშვილი

გორისჯვრის ქანკელის წინ დასადგმელი ჯვარი

ქალ. გორის სამხრეთ-დასავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, საკმაოდ მაღალ გორაკზე, ციხის გალავანში იდგა ქვის პატარა ეკლესია ჩვეულებრივი რიგისა, რომელსაც გორისჯვარი ეწოდებოდა[1]. უწინ ამ ეკლესიაში ინახებოდა ქანკლის წინ დასადგმელი ჯვარი, რომელიც რევოლუციის დროს გორელ მემამულეს, გიორგი ამილახვარს, გადაეტანა თავის სასახლეში და მიესაკუთრებინა. ამ უკანასკნელისაგან იქნა შეძენილი ჯვარი საქართველოს ისტორიის და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისათვის 1920 წელს. თვით ციხე და ეკლესია, რომელსაც წინათ ჯვარი ეკუთვნოდა, ამჟამად დანგრეულია. ერთიცა და მეორეც 1920 წლის საბჭოთა მიწისძვრამ ვაასწორა მიწასთან.

ჯვარი ხისაა, სიმაღლით 1,89 მეტრი, სიგანით 0,84 მეტრი. შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზედაც რელიეფური ჰედვით გამოხატულია წმ. გიორგის ცხოვრებისა და წამების სცენები (ტაბ. 1). ცენტრში, ჯვარედინზე, მოთავსებულია გამოხატულება ჯვარცმისა თანამდგომებით. ღვთისმშობლითა და იოანეთი, ხოლო ჯვარს ქვემოთ—ადამის თავისა (ტაბ. 2). ჯვარცმის თავზე ასომთავრულით აწერია: «იჳ ქ̃ე ბ̃ფე ჰთა» (იესუ ქრისტე, ძეუფე ჰურიათა). საერთოდ სურათებს თან ახლავს მათი შინაარსის გამჭვარტავი ასომთავრული წარწერები.

ჯვარცმის ზემოთ გამოხატულ პირველ სცენას აწერია: «წ̃ს გიორგისგნ ჯოთ (წმიდის გიორგისაგან კერპთ) შემუსვრა». (ტაბ. 3). მის ზემოთ: «წ̃ს ბ̃გს ურმს თლზდ დკრვა» (წმიდის გიორგის ურმის თვალზედ დაკერა) (ტაბ. 3). ამის ზემოთ: «წ̃ს გ̃ის ურმს (ურმის) თვლით დჭრა (დაჭრა) და ანგელოზსგნ (ანგელოზისაგან) აღდგინება» (ტაბ. 3).

ჯვრის მარცხენა მკლავზე: „წ̃ს გიგს დცრვა (დაცერვა)» (ტაბ. 4). შემდეგ: «წ̃ს გიგს შოლტით ცემა» (ტაბ. 4). შემდეგ: «წ̃ს გ̃გს კრშიდ (კირშიდ) ჩასმა» (ტაბ. 4).

---

[1] მოკლე ცნობები ამ ეკლესიის შესახებ იხ. Brosset, Voyage archéologique Rapp. IV, 26 — 24; ბროსემ გორის ჯვარი ინახულა 1848 წ. 30 მარტს. მას ეახლა დიმიტრი პეტვინეთხუცესი შვილი. მ. თ მოყავთ ორი მხედრული წარწერა XVIII საუკუნისა და ერთიც XIX საუკუნის დასაწყისისა. ხოლო კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი არ უნახავთ. იხ. აგრეთვე Пр. Уварова, Материалы по археологии Кавказа, IV, стр. 161 — 162; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства", стр. 53—54.

ჯვრის მარჯვენა მკლავზე უწარწერო სურათებია შენდეგი თანამიმდევრობით: წმ. გიორგის ხერხით წამება (ტაბ. 5); წმ. გიორგის დაადვეს ძელი და ძვლებს უმტვრევენ (ტაბ. 5): წმ. გიორგი მეფე დიოკლეტიანეს წინაშე (ტაბ. 5).

ჯვრის ქვემო ტოტზედაც უწარწერო სურათებია. ასეთი თანამიმდევრობით: უშუალოდ ჯვარცმის ქვემოთ წმ. გიორგი ტახტზე ზის და ფეხით გველეშაპს თრგუნავს (ტაბ. 2,6). ქვემოთ: იესო ქრისტე ეცხადება სიზმარში წმ. გიორგის. (ტაბ. 6). შემდეგ: წმ. გიორგი ხის ძირას ზის, მას გლიკერია ევედრება და იქვე გლიკერის ხარია, წმინდანის მიერ გაცოცხლებული (ტაბ. 6). ქვემოთ სურათზე კვლავ წარწერაა: «წ~ს გ~ის წამება» (ტაბ. 7). უფრო ქვემოთ გამოხატულია ძლევამოსილი, ცხენოსანი წმ. გიორგი, მის წინ მეფის ასული თოკით მოათრევს წმ. გიორგის მიერ მოკლულ გველეშაპს; ზემოთ მარჯვნივ სამი ფიგურაა, რომელთაგან ერთი, მეფურად შემოსილი, ლასიკ ქალაქის გასაღებს აძლევს წმინდანს; მარცხნივ სეგმენტიდან მაცხოვრის მაკურთხეველი მარჯვენაა გამოწვდილი (ტაბ. 7): უფრო ქვემოთ ეროი ფიგურიტა მთლად უკავია ლამაზ, წნულ 16 სტრიქონიან ასომთავრულ წარწერას (ტაბ. 8), ოომელიც ჯვრის გაკეთების დროინდელია. წარწერა ქარაგმებით ასეა წარმოდგენილი:

წქ[1]: მოწწ~თა: შ~ს: დუ~ვლო: ვრსკ~ლო:
კერპთ: შმუსრველო: დ~ მოწ~მო: დიდო:
ლმობა: ტნისა: დ~: ძვლთა: ჩმთა: ბრძვილნი
გ~ნმიკურნე: მე: მე~ფსა: ალექსანდრეს:
რომლთა: ვ~ნებთ: ხ~ტთა: თქვ~ნთა: მოჭედა
წქ: ჩ~ნ: ღ~თივ: გვირგვინოსნმნ: მ~ფთ: მ~ფმნ: პტრო
წმნ: ალ~ქსნდრე: ვიგ~ულთ: თ~ა: შეწ~ვნით
ა: შ~ნ: ძლიერისა: დ~: ახოვნისა: დ~: ღ~წლ: მ~რ
ვლისა: წი~სა: დიდისა: მოწმისა: გი~სათა: დ~
მოვჭედინთ: ხტი: მსგვსებისა: თქნისა
თ~ყვნის: საცმლ~დ: შნდა: დ~: სდიდებ
ელდ: დ~: დგსვნთ: გორისჯრის: ტ~ძრსა: შ~ა
შ~ნსა: რ~თა: გ~ნმიკურნო: ჩემ: შორისასა: ა
მის: კორციელისა: სალმობისა: დ~: მიო
ხო: მოსლვსა: მ~ს: მისსა: დიდებით: რომ~ლი
სთვის: წ~მა: ახოვნებმნ: შენმნ:

ქარაგმების გახსნის შემდეგ წარწერა შენდეგნაირად წაიკითხება:

წქ. მოწამეთა შორის დაუვსებელო ვარსკულავო,
კერპთ შემმუსვრელო და მოწამეო დიდო,
ლმობა ტანისა და ძვალთა ჩემთა ბრძვილნი
განმიკურნე მე, მეფესა ალექსანდრეს,
რომელთა ევნებეთ ხატთა თქვენთა მოჭედა.

[1] დედანზე წერილ-ქანი მონოგრამით არის წარმოდგენილი.







წქ. ჩუენ ღმრთივ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან, პატრონმან ალექსანდრე, ვიგულეთ თანა შეწევნითა შენ ძლიერისა და ახოვანისა და ღვაწლ მრავლისა, წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისათა, და ძოვაჰედინეთ ხატი ბსგავსებისა თქუენისა თაყვანის საცემლად შენდა და სადიდებელად და დაჳსვენეთ გორის ჯვარს, ტაძარსა შინა შენსა, რათა განბიკურნოთ ჩემ შორისასა ამის კორციელისა სალმობისა[1] და მიხო მოსლვასა მას მისსა დიდებით, რომლისთვის წაძა ახოვანებამან შენმან.

სამწუხაროდ, წარწერას თარიღი არ ახლავს და ამიტომ ძნელია დანამდვილებით თქმა, თუ რომელ ალექსანდრეს ეკუთვნის იგი. ქალ. გორი ქართლში იძყოფება და ამიტომ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ წარწერა მეფე ალექსანდრე დიდს (1412—1442) გულისხმობს, იმ ალექსანდრეს, რომელმაც მცხეთის ტაძარი აღადგინა. მაგრამ სურათების სტილი და ნაწილობრივ წარწერების ხასიათიც უფრო XVI საუკუნის კახელი ოსტატების ნამუშევრებს მოგვაგონებს და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჯვრის შეძერწვა ვერცხლის ნაჭედი ფირფიტებით კახეთის მეფის ალექსანდრე II (1574 — 1605) საქმეა, იმ ალექსანდრესი, რომელმაც ესოდენ უხვად უბოძა ზარები სვანეთის ეკლესიებს. როგორც ვიცით, მას ცოლად ჰყავდა ასული მძლავრი ქართლელი ფეოდალის, ბარძიმ ამილახვრისა, რომელსაც ეკუთვნოდა გორის ჯვრის ეკლესია და მამული. ეს გარემოება კიდევ უფრო ადასტურებს აზრს, რომ ჯვარი, კახეთის მეფის ალექსანდრე II მიერ უნდა იყოს შეძერწილი.

ქვემოთ, ჯვრის ფეხზე არის მეორე, მერმინდელი, მხედრული წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ ფეხი ვერცხლის ფირფიტებით შეუჭედიათ 1707 წ. (ტაბ. 9). აი ეს წარწერა:

«ქ ეჰა მეუფისა მის მაღლისა მკნეო მკედარო, ძლიერო და ჴძლეველო, სასწაულთა სიმრავლითა ვითარცა ზღვისა ქვიშითა აურაცხელო, ღვაწლ მრავლითა ქუეყანასა ზედა გამოჩინებულო, ვითარ გადიდო, ანუ ვითარ შეგამკო, დიდო მოწამეთა მთავარო გიორგი! შეიწირე მცირე ესე მოსართმი ფერკთა ქუეშე თქუენთა, და მოვაჰედინეთ ფეკი დასადგმელი თქუენი იქით და აქათ ჩვენ გივის ამილახორის ძემ გიორგიმ, რ˜თ[ა] და[გ]ვიფარო საფარველით[ა] შენითა დღეთ[ა] ცხოვრებისა ჩემისათა, ამინ.

ქ˜ს ტჟე სეკდენბერს».

ქორონიკონი უდრის 1707 წელს.

[1] სწორი ქართულით უნდა წერებულიყო: სალმობა.

პ. უვაროვას გამოცემაში ორივე წარწერაა მოყვანილი, მაგრამ მათი ტექსტიცა და თარგმანიც ისეა დამახინჯებული, რომ ვერ იცნობს კაცი (Матер. по Арх. Кавк. IV стр. 162 — 163). თუნდაც ის რად ღირს, რომ მეორე წარწერაში ნაჩვენები ქრონიკონი ა. ხახანაშვილს ამოკითხული აქვს, როგორც 351 (=1663 წ.), ხოლო პირველი წარწერის შესახებ კი ნათქვამია, იგი ძნელი გასარჩევია, ვინაიდან თითოეული სიტყვა ძლიერ შემოკლებულიაო. წარწერა მართლაც ძალიან არის დაქარაგმებული. მაგრამ სამაგიეროდ მისი ასოები ზედმიწევნით მკაფიოდაა გამოსახული, წარწერა საერთოდ კარგადაა შენახული და ამიტომ მისი წაკითხვაც დიდს სიძნელეს არ წარმოადგენს.

ჯვრის ქუდს პირამიდული მოყვანილობა აქვს. იგი დაფარულია ტლანქი შტამპიანი სურათებით.

ერთ-ერთ წახნაგზე ქვემოთ, ჩუქურთმიან ოთხკუთხედში, გამოხატულია ცხენოსანი, გველის მგმირავი წმ. გიორგი. ზემოთ ორი მრგვალი მედალიონია. ერთში გამოხატულია კვლავ ცხენოსანი და გველის მგმირავი წმ. გიორგი, ხოლო მეორეში ღვთისმშობელი. ქუდის სულ ზედა ნაწილში გამოხატულია ჯვარი ჯვარცმულითურთ (ტაბ. 10).

მოპირდაპირე წახნაგზე იგივე სიუჟეტები მეორდება, მაგრამ ქვემოთ გამოხატული ცხენოსანი წმ. გიორგი უბრალო ოთხკუთხედშია, და არა ჩუქურთმიანში (ტაბ. 11).

მეორე წახნაგზე გვაქვს: ქვემოთ ცხენოსანი, გველის მგმირავი წმ. გიორგი: შუაში მრგვალ მედალიონში წელზევით გამოხატული ღვთისმშობელი, ხოლო ზემოთ — კვლავ ცხენოსანი, გველის მგმირავი წმ. გიორგი (ტაბ. 12). ასეთივე სიუჟეტებია მოპირდაპირე წახნაგზედაც. პ. უვაროვას მოჰყავს ჯვრის მხოლოდ ზემო, ქუდიანი ნაწილის ჯვრის სურათი (op. cit, გვ. 142).

Е. Такайшвили

Предалтарный крест Горис-Джвари

Резюме

На вершине довольно высокой горы, в 2 километрах к юго-западу от гор. Гори, в крепости стояла небольшая однонефная каменная церковь обычного типа, называвшаяся Горис-Джвари, „Горийский крест[1].“ В ней хранился предалтарный крест, который во время революции находился в распоряжении местного помещика, князя Георгия Амилахвари.

---

[1] Краткие сведения об этой церкви см. Brosset, Voyage archéologique. Rapp. VI. p 26—28; Прасковья Сергеевна Уварова, Материалы по археологии Кавказа IV, стр. 161—162; Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства (стр. 53—54).

От последнего этот крест был приобретен нами для музея Грузинского общества истории и этнографии в 1920 году. Сама крепость и церковь, которой раньше этот крест принадлежал, теперь уже в развалинах. Они были сравнены с землей страшным землетрясением 1920 года.

Горисджварский крест—деревянный, имеет в вышину 1 метр, 88 сант. в ширину 84 сант. Обит он серебряными пластинами, на которых рельефным чеканом представлены сцены из жития и мученичества св. Георгия (таб. 1). В центре, в перекрестии, помещено изображение распятия с богородицей и Иоанном и с головой Адама под крестом (таб. 2). Над распятием надпись асомтаврули, в русском переводе гласит: „Иисус Христос, царь иудеев". Грузинские надписи асомтаврули, сопровождающие фигуры, разъясняют их содержание.

Первая сцена над распятием—„Сокрушение идолов св. Георгием" (таб. 2, 3); выше св. Георгия привязывают к колесу (таб. 3); еще выше: „колесование (разрезание на части колесом) св. Георгия и воскрешение его ангелом" (таб. 3.)

На левом рукаве креста надрезывание св. Георгия ланцетами (таб. 4); далее „биченание св. Георгия" (таб. 4), еще далее „св. Георгия сажают в (горячую) известь" (таб. 4). На правом рукаве креста фигуры без надписей; порядок их такой: мучение св. Георгия пилою (таб. 5); далее на св. Георгия наложили доску и ломают ему кости (таб. 5), еще дальше „св. Георгий перед царем Диоклетианом" (таб. 5).

На нижней части креста фигуры тоже без надписей, но они следуют в таком порядке: непосредственно под распятием св. Георгий сидит на троне и попирает ногами дракона (таб. 2, 6); ниже Христос является во сне св. Георгию (таб. 6); еще ниже св. Георгий сидит под деревом, пальмой, к нему молитвенно обращается Гликерий; тут же бык Гликерия, которого святой оживил (таб. 6); ниже снова надпись: „мучение св. Георгия" (таб. 7), выше над Георгием ангел с короной в руках; еще ниже св. Георгий триумфатор, верхом на коне, перед ним царевна, тащущая на веревке убитого св. Георгием дракона; сверху направо три фигуры. из которых одна, в царском одеянии, вручает святому ключи гор. Ласии; налево из сегмента благословляющая десница Спаса (таб. 7).

Ниже одна пластина занята красивой надписью асомтаврули в 16 строк, характера вязи (таб. 8). Она современна сооружению креста и в переводе гласит:

„Неугасимая звезда среди мучеников, сокрушитель идолов великомученик, излечи болезни тела и немощи костей моих, мне, царю Александру, который изволил вычеканить твои образа".

„Мы боговенчанный царь царей, патрон Александр, вознамерились с помощью твоей, сильного, доблестного, много побед совершившего, св. великомученика Георгия, и велели вычеканить образ подобия твоего, для поклонения тебе и возвеличения твоего, и положили в Горис-Джвари, и в церкви твоей, дабы ты исцелил недуги тела моего и был ходатаем в день оный пришествия во славе Того, для Которого приняла мученичество доблесть твоя".

Надпись, к сожалению, не имеет даты, поэтому трудно точно сказать, какому царю Александру она принадлежит. Город Гори находится в Картли и поэтому можно было предположить, что надпись упоминает царя Грузии Александра Великого (1412—1442)), того самого, который возобновил Мцхетский собор, но стиль рисунков и отчасти характер надписи скорее напоминают произведения кахетинского царства XVI века, и поэтому нужно полагать, что обивка нашего креста чеканными серебряными пластинками принадлежит кахетинскому царю Александру II (1574—1605), тому самому, который так обильно снабдил сванетские церкви колоколами. Александр II кахетинский был женат на дочери сильного карталинского феодала Бардзима Амилахвари, которому принадлежала Горисджварская церковь и имение Горисджвари. Это обстоятельство еще более подтверждает мнение, что упомянутый крест обит кахетинским царем Александром II.

Ниже на ножке креста имеется другая поздняя надпись мхедрули, которая в переводе означает:

„О доблестный воин обладателя высокого неба, сильный и непобедимый, совершивший неисчислимые, подобно морскому песку, победы, во всем мире прославленный, как мне тебя восхвалить!".

„Великий глава мучеников, Георгий, прими сие малое подношение под ноги ваши! Распорядились оковать подножие ног ваших и с той и с этой стороны, мы, сын Гиви Амилахвари, Георгий, чтобы ты покрыл меня твоим покроном во все дни моей жизни, аминь. Короникон 395 (1707), в сентябре".

В издании П. С. Уваровой об этих двух надписях упоминается, но тексты и перевод их искажены до неузнаваемости (Матер. по арх. Кавказа IV, стр. 162—163).

Достаточно сказать, что во второй надписи А. Хаханов вычитал 351 короникон (1663), а относительно первой надписи сказано, что она трудно дается разбору, так как каждое слово в ней сильно сокращено. Это верно, но зато буквы очень отчетливы и надпись в целом очень хорошо сохранилась; поэтому ее дешифровка не представляет особого затруднения.

Шапочка креста. Пирамидальная шапочка креста покрыта штампованными изображениями грубой работы. На одной грани внизу в орнаментированном четыреугольнике представлен св. Георгий верхом на коне, поражающий змия. Выше два круглых медальона: в одном св. Георгий верхом поражает змия, во второй погрудное изображение Богородицы. На самом верху крест с распятием (таб. 10). На противоположной грани повторены те же сюжеты. Разница только в том, что нижний св. Георгий не в орнаментированном, а в простом четыреугольнике (таб. 11). На второй грани представлены: внизу св. Георгий верхом на коне, поражающий змия, выше поясное изображение Богородицы в круглом медальоне, а на самом верху опять св. Георгий верхом, поражающий змия (таб. 12). П. Уварова приводит снимок только верхней части креста с шапочкой (op. cit. стр. 142).

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 194
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV, 194

გ ი ო რ გ ი ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი

ქვაბის-ხევის ხეობის ძველი ბაზილიკა

ბორჯომის რაიონში ქვაბის-ხევის ხეობაში, ბორჯომიდან ახალციხისაკენ მიმავალ შარა გზასთან მდებარე სოფლის ზემოთ ორი კილომეტრის მანძილზე, შენახულა საყდრის ნანგრევი, რომელიც ნაჩვენებია 1910—12 წლებში შედგენილს, ბორჯომის ყოფილი საუფლისწულო მამულების გეგმაშიც, ქვაბის-ხევისა და მარიამწმინდის-ხევის შესართავთან. ეს საყდრის ნანგრევი, როგორც თვითონ გადმომცა, სახა 1947 წელს აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა და გადმოაღებინა შიგ დაცული კედლის მხატვრობიდან ორი საეროპირის სურათი. ამ ნააბობმა გადამადგმევინა ფეხი და მიმდინარე წელს აგვისტოში მეც ვეწვიე ამ ნანგრევს, მარიამწმინდის საყდრად წოდებულს.

ეს საყდარი მოთავსებულია ფრიალოზე და დასცქერის ბაღლიდან ქვაბის-ხევის ხეობას, მდინარის მარცხენა ნაპირს. ხეობის აღმა მიმავალ გზიდან, შეიძლება ითქვას, საყდარი არა ჩანს, რასაც ხელს უწყობს ფრიალოს ძლიერად დაქანებულ კალთასა და საყდრის გარს ატეხილი საკმაოდ ხშირი ტყე. საყდრამდე, დაახლოვებით კილომეტრ-ნახევრის მანძილზე, აღმართი უნდა აიაროს კაცმა ტყეში გაკეთრილი ბილიკით.

ტაფობი, რომელზედაც ამართულია მარიამწმინდის საყდარი, თავის სიფართოვით ცოტათი სჭარბობს საყდრის სიგრძესა და ოდნავ დაქანებულია ჩრდილოეთისაკენ. საყდარს მისი სამხრეთი უკირაეს. საყდარი ბაზილიკაა. როგორც ეტყობა, ტაფობი გადიდებულია ხელოვნურად აღმოსავლეთის მხარეზე, საცა პირდაპირ ბაზილიკის წინ აზიდულია ფრიალოს მცირე ნაკვეთი (ბაზილიკის მთავარ ქიმზე ოდნავ მაღალი). მისასვლელი ბაზილიკას ჩრდილოეთიდან ასდის, დასავლეთიდან და სამხრეთიდან კი დაშვებული კალთის მხარეს მცირე სიფართოვის შემოსასვლელი აქვს.

ბაზილიკა, მარიამ-წმინდად წოდებული, სამნავიანია, თავისი არქიტექტურული ფორმების მიხედვით, რასაც ჰმოწმობს, როგორც მისი შინაგანი სივრცის აგებულება, ისე მისი გარეგანი გასახოვნება (იხ. გეგმა და განაკვეთი)[1].

[1] საილუსტრაციო მასალად გამოყენებული ანაზომი მხოლოდ წინასწარი მნიშვნელობისა არის გათვალისწინებული. ფასადი და განაკვეთი მხოლოდ სქემატურად ასახავენ ნაგებობის ფორმებს, სქემატურია აგრეთვე დასავლეთი სარკმლის მორთულობა. ანაზომები აიღო და ნახაზები შეასრულა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ლ. რ ა ჩ ვ ე ი -

ქვაბის-ხევი

მარიამწმინდა



სქემატური ანაბეჭდი 1948. 14. VIII. არქ. ე. ჩუბინაშვილი

სავრამ, ეტყობა, ამ საყდრის ამგები არა გრძნობდა მოცემულის არქიტექტონიკური კომპოზიციის სივრცის დამახასიათებელ კერძო თვისებებს. ბაზილიკის ფორმას პირობითად იძლევა. ჩანს, ამგები დაემორჩილა შემკვეთავს — იქნებ მონასტრის წინამძღვარს, რომელიც ალბათ მარტო იმას ესწრაფოდა, რომ ხავის პატარა მონასტერში ჰქონოდა საყდარი, საცა წირვა-ლოცვის შესრულების შესაძლებლობა იქნებოდა, და არა ხუროთმოძღვრული ნაგებობა ჩვეულებრივ შენობათაგან გამორჩეული. ამაზე მიგვითითებს ხმარებული სააღმშენებლო მასალა და მასალის დამუშავება. მარიამწმინდის ბაზილიკის მცირე ზომები მის შინაგან სივრცეს თავისებურობას არ უქმნის. შუა ნავის ფართობი, საკურთხევლის შიგ მოყოლებით, ძლივს სჭარბობს 25 კვადრატულ მეტრსა, სიგანე კი თითოეული გვერდის ნავისა უდრის მხოლოდ 1,20 მ.

გვერდის ნავები გამომიჯნულია მთავარისაგან, თითოეული, სულ წყვილი თაღით, ე. ი. ნაგებობაში შემსვლელის თვალს ხედება მარჯვნივ და მარცხნივ თითო მცირე სვეტი, რომლებზედაც, თითოეულზე, დაყრდნობილია გვერდის ნავის მალთა შემკვრელი წყვილი თაღი. სვეტები მთლიანი ქვისაგანაა გამოკვეთილი, ოთხ წახნაგოვანია (წახნაგების სიგანე 40—50 სანტიმეტრამდეა), ხოლო კუთხეები — ჩამოკვეთილი (ჩამოკვეთილის ოლე სიგანით 5 სმ). სვეტთა სიმაღლე 1,25 მეტრია. მათზე იმპოსტები უბრალო კვადრატული ფიქალებია, რომელთა ზემო ნახევრის კიდეები შვეულად არის ნათალი, ქვემო კიდეები კიდევ ან ოდნავ ალმაცერად, ან ამოღარვითაა ნათალი. ამ იმპოსტებს ებჯინება თითო წყვილი თაღი, თითოეული — მთავარ ნავის მხარეს თითო კიბურით (იხ. განაკვეთი). კვარცხლბეკის ნაცვლად თითოეული სვეტის ქვეშ აშოდებულია ქვის ფიქალი, თითქმის შენობის ნიადაგის ზედაპირის სიმაღლეზე. მთავარი ნავის კამარა, მიუხედავად პატარა ზომისა, როგორც ჩანს, შეიცავდა მარტო ერთს შუა სართავ თაღს კი არა, არამედ მეორესაც დასავლეთ კედლის გაყოლებით. ორივე ხსენებულ თაღს საყრდნობლად ჰქონია სიგრძივი კედლებიდან წამოწვდილი კონსოლები. შუჭი ეძლევა მთავარ ნავს ერთი, შედარებით დიდი, მაღლა გამოღებული დასავლეთი სარკმლიდან და სამხრეთის ორი მცირე სარკმლიდან.

მარიამწმინდის ბაზილიკის საკურთხეველი ღრმაა და ფართო, გეგმაში ოდნავ ნალისებური ფორმისა. საკურთხევლის მთელ ნახევარწრის გარს შემოკოლებული აქვს ხარისხი, ხარისხის შუა ადგილზე კიდევ საკურთხევლის სარკმლის ჩამოსწვრივ ამართულია დიდი ქვა. ძნელია ახლა გადაწყვეტით ითქვას რაზე ამგვარ მოვლენაზე: კედელთან მიდგმული აღნიშნული ქვა ტრაპეზია, თუ წინამძღვრის საჯდომად იყო იგი განკუთვნილი. სარკმელი მაღლაა მოთავსებული. მისი ზემო ნაწილი კონქის ქუსლის ხაზზე მოდის. სარკმელს არა აქვს ჩაფიოდ გამოკვეთილი ფორმა, რაც ცხადად მიგვითითებს მხატვრული მიდგომის გაუთვალისწინებლობაზე.

ა. ი ა შ ვ ი ლ მ ა. უნდა აღვნიშნო, რომ ჯერ კიდევ 1912 წელს აკად. ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს ჩანაწერებით ამ ბაზილიკის გეგმა აზომა ხუროთმოძღვარმა მ. კ ა ლ ა შ ნ ი კ ო ვ მ ა თავის სტუდენტობისას (იხ. ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, შედგენილი ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ. ტფ. 1924, ტაბ. 62).

გვერდის ნავები ერთი სიგანისაა, მაგრამ აღმოსავლეთ ნაწილში სხვადასხვანაირადაა მოწყობილი თითოეული მათგანი. ჩრდილოეთის ნავი მთლიანად ღიაა აღმოსავლეთის აფსიდამდე, თვით აფსიდის ჩათვლით. ეს აფსიდი წარმოადგენს ნახევარწრეს, არც თუ ძალიან სწორს, და აქვს ერთი პატარა სარკმელი. ამ სარკმლის ფორმა მხოლოდ რეალური პირობებითაა გამოწვეული. სახელდობრ იმით, რომ ზედ ნაგებობის წინ აღმართულია კლდე. სარკმლის ზემო თაღი ძლიერადაა აზიდული ფასადისაკენ იმ ანგარიშით, რომ ამ ნავს მეტი შუქი მისცეს. მეორე სარკმელი ჩრდილოეთის ნავისა მოკემულია დასავლეთით.

ბაზილიკის სამხრეთ ნავს აღმოსავლეთით აკრავს გამოცალკევებული ეკვდერი, მაგრამ გარკვეული ფორმა მას არა აქვს. დაბალი კარი აერთებს მას გვერდის ნავთან; აქ იგი სწორკუთხოვანია, იმ დროს როდესაც ეკვდერის მხრით მას ნახევარწრიული ზედი აქვს. მისი წირთხლები დიდი ფილა ქვებისაგანაა. აფსიდური მორგვალება პირდაპირ, უშვერილოდ, უერთდება კედლებს. ეკვდერის სარკმელი აღმოსავლეთით კი არაა, არამედ სამხრეთით. ამასაც არა აქვს გარკვეული ფორმა. სამხრეთით ნავი, ისე როგორც ჩრდილოეთისა, შეიცავს სარკმელს დასავლეთით და აგრეთვე სამხრეთითაც: ორივე პატარაა.

მთელი ბაზილიკა თავისი კედლების და კამარების მთლიანი მასიებით ნაგებია, უმთავრესად, იქვე კლდეებიდან ანატეხი თითქმის გაუთლელი ქვებით. ამიტომაა რომ ქვების არამკთუ ფორმა, ზომაც შემთხვევითია. ფასადებზე ქვები ნაწილობრივ უშველებელი ლოდებია, ნაწილობრივ საკმაოდ დიდი, მაგრამ დაბალი. ლოდები, რამდენადაც ამის გამორკვევა შეიძლებოდა, ღრმადან სხედან კედლებში და თავისი რამდენადმე გათლილი ზედაპირით სტოვებენ კედლებზე მიდებული ფიქალების შთაბეჭდილებას, მაგრამ არის დიდი ლოდები ოდნავ მოსწორებული ზედაპირით. ბაზილიკის შიგნითაც კედლების წყობა ასევე ტლანქი, სრულიად შემთხვევითი ფორმის ქვებითაა გაკეთებული, მაგრამ უფრო წვრილით. ეს ემჩნევა განსაკუთრებით შუა ნავსა. გვერდის ნავებში კი არის შესხეული ქვებიც, უფრო მეტად ჩრდილოეთ ნავში. გვერდის ნავების ყრუ კედლებმა, ასე ვთქვათ, გვიკარნახეს, რომ თვალი აგვეღევნებინა წყობის რიგებისათვის.

კამარებიდან გადარჩენილია ჩრდილოეთ ნავის კამარა. ნაშენია დამტკრეული წვრილი თხელი ქვებით, რომლებიც წყობაში წიბოებზეა დაყენებული. ამავე სახისაა სამხრეთი ნავის კამარის ნაფლეთები, ასეთივეა კამარა სამხრეთი ეკვდრისა. მთავარ ნავში არც კამარაა შენახული, არც კამარის სართავი თაღები. თაღებისაგან გადარჩენილია თაღის კონსოლებზე რაღაც ციტა მეტი. მთავარი ნავის აფსიდი და კონქი კი ჯერ კიდევ ნაგრად დგას. რამდენადაც აფსიდის კედელი შეღესილი არაა, ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთავარ ნავის კედლის წყობა შედგება შემთხვევითი ფორმის ქვებისაგან, ისე როგორც სხვა დანარჩენ მთლიან მასიებში. კონქი კი გამოყვანილია ლოდების შრეების შემჭნელი, შესხეული თლილი ოთხკუთხედი ქვების სწორი რიგებით.

სრულიად ისევე, როგორც კონქი, თლილი ოთხკუთხედი ქვებითაა გამოყვანილი ნაგებობის სხვა საგანგებოდ გამორჩეული ნაწილები. ესაა ჯერ ერთი ნაგებობის შიგნითა თაღები: საკურთხეველის აფსიდის გარე თაღი და თაღები მთავარ ნავიდან გვერდის ნავებისაკენ. გარე თაღი აფსიდისა აყვანილია კარგა ნათალი მსხვილი ოთხკუთხედი ქვების ორი წყობით, მთავარი ნავიდან გვერდის ნავებისაკენ თაღები კიდევ მოცემულია შეერილით, ე. ი. თლილი ოთხკუთხედი ქვებით გამოყვანილ. მათ წყობას აქვს ორმაგი სიგანე. როგორც ადამიანის თვალში ერთგვარ მეტოქეობას უწევს კედლების უსწორმასწორო ქვებისაგან გამოყვანილ წყობას. ნათალია აგრეთვე, თუმცა ნაკლებად, სვეტებიცა და მათი იმპოსტებიც, რომლებზედაც დანდობილია თაღები, და სვეტების ქვეშ ამოდებული ფიქალები.

ნახსენებ ნაწილებს გარდა თლილი ქვებით გამოყვანილია აგრეთვე დასავლეთი კედლის პილასტრებზე თაღების იმპოსტები; იმპოსტები აფსიდის კუთხეებში, საკურთხევლის კამარის ქვეშ ამოდებულნი, და ბოლოს კიდევ მთავარი ნავის კამარის სართავი თაღის იმპოსტები. ამას გარდა აღსანიშნავია, რომ დასავლეთის კედელზე იმპოსტებიდან დაწყებული სარკმლამდე გატარებულია ერთი ოლე ნათალი ქვების წყობისა.

არც გარეგნობა ერჩევა მარიამწმინდის ბაზილიკისა თავისი მხატვრულობით. ეს გარეგნობა სრულიად შეესაბამება ბაზილიკის შინაგანი სივრცისა. მისი მაღლა აზიდულის შუა და დაბალი გვერდის ნაწილების აღნაგობას. აღმოსავლეთი ფასადი თითქმის მისვენებია კლდეს, ჩამოკვეთილს ალბათ ბაზილიკის ასაგებად; სამხრეთი ნავის წინ კლდე უფრო უკან არის დაწეული, შუა ნავის წინ — 1,5 მეტრზე, ეს არის საკურთხეველის სარკმლის გასწვრივ, თორემ ისე მხოლოდ 1 მეტრითაა შუანავის სხვა ადგილებისაგან უკან დაწეული. ფასადის ზემოთ კი, შუა-ნავის სახურავის ჩრდილოეთ ნახევრის პირდაპირ, კლდე ნაგებობას შეჰხებია. ჩრდილოეთი ნავის წინ კლდე ისევ უკან არის დაწეული, და უფრო ძლიერად. შექმნილა გასასვლელი სიგანით 1,5 მეტრი, ზევით რამდენადმე გაფართოვებული. უკანასკნელს გარემოებას გამოუწვევია ჩრდილოეთ ნავის აღმოსავლეთისაკენ გაჭრილი სარკმლის თავის ძლიერ მაღლა აზიდვა შიგნიდან გარეთ. ფასადის ორივე სარკმლის ხვრეტილები არაერთი არაა მოპირკეთებული, კედელში უბრალოდ არის გაჭრილი. ასევეა მოცემული სამხრეთ ფასადის სარკმლები: ორი — გამოჭრილი მთავარი ნავიდან და ერთი გვერდის ნავიდან. სამივე თვალისთვის ოდნავ დასანახავი ხვრეტილებია წარმოდგენილი. ჩრდილო ფასადი ტყისაკენ მიმართული მთლად ყრუა. ნაგებობა აქ ჩამორიგებული იყო პატარა მონასტრის დანარჩენი ნაგებობანი.

რამდენადმე გაძორჩეულია დასავლეთი ფასადი (იხ. ნახაზი). მის ცენტრში დაბალი გარედან სწორკუთხა კარია, რომელსაც ოდესღაც თავს ხურავდა დიდი უსწორო ბალავარი. შესასვლელის თავზე სარკმელია, შედარებით სხვებთან დიდი სიმაღლის მქონე და, რაც მთავარია, გულმოდგინედ დამუშავებული: ოთხი თანატოლი თლილი ქვით გაფორმებული წინაპირზე და სარკმელი. ასეთივე ქვაა გადებული სარკმლის ძირს. სარკმლის საკმაოდ დიდს ზედა ქვაზე სარკმლის ხვრეტილის თავზე მოცემულია ნახევარ-წრის მსგავსად

პატარა ფოსო (სიღრმე). ე. ი. ეს მორთულობაცაა და ამავე დროს გამარტივებული გადმოცემა სარკმლის ზემოთა ნაწილის ჩვეულებრივი ნახევარწრისა. ამ ფიქალის დანარჩენს ზედაპირზე კიდევ გამოყვანილია ოდნავ შეღრმავებული სამი ბოთარედი, თითოეული ტოლ-ტოტებიანი ჯვრითურთ, მოთავსებული ორმაგ სალტაში (იხ. სქემატური ნახაზი). ამ მთვარედებით შეესებული ფიქალი



არ წარმოადგენს წესიერ სწორკუთხედს, რაც საერთოდ დამახასიათებელია მთელი ნაგებობისათვის, მხოლოდ შორეულად უახლოვდება ამ ფორმას, ამასთან ერთ კუთხეს მთლად მოკლებულია. ამ ფასადის კედლის წყობის ზედაპირი მოსწორებულია ნაკერებისა და ქვების უსწორ-მასწორო ნაწილების დამატებითი სქელი შელესვით, ასე რომ ფასადის ქვედა ნახევრის უმეტეს ნაწილში მხოლოდ აქა იქ თუ ჩნდება ქვების ზედაპირის ნაწილი. სხვა ფასადებზე კი არაფერი ამის მსგავსი არ არის. ამ ფასადზე უნდა აღინიშნოს კიდევ კარების სიმაღლეზე აქეთ-იქით შუა ნავზე გაყოლებული ქუსლი, ალბათ ნაგულისხმევი, მაგრამ, რამდენადაც ჩანს, გამოუხორციელებელი პორტიკისათვის. სარკმლის გვერდების ქვებზე კიდევ ერომანეთის პირდაპირ მოჩანს სამ-სამი მცირე ნახვრეტი, როგორც ეტყობა, ჭიერნარით ნაკეთები სახეების მჭონე კერამიკული ბანდულის დასამაგრებლად.

ბაზილიკის კარნიზები უმთავრესად ამორგვალებული პროფილისაა და პირდაპირ ეერთდებიან კედლის სიბრტყეს. სახურავი ყოფილა გადაფენილი ქვის დიდი ლორფინებით.

როგორც უკვე იყო აღნიშნული წინასწარ, მარიამწმინდა — ბაზილიკა ბაბის-ხევის ხეობაში ბორჯომის ახლოს მდებარე, არაა თვალსაჩინო თავისი არატვრული გადაწყვეტილებით. პირიქით, ეს არის ჩვეულებრივი რიგის ნაგებობა გარკვეული ფუნქციების შესასრულებლად — სახელდობრ, პატარა სამონასტრო ეკლესია. მაგრამ მისი დამახასიათებელი, ცალკეული თვისებების შეჯამება ნებას იძლევა, ვიგულვოთ ის VIII—IX საუკუნის ჯგუფის ნაგებობად. შეეცდები დავასახელო ელემენტები, რომლებიც, მგონია, ამაზე მიუთითებენ.

ჯერ თვალი გადავავლოთ ნაგებობის გეგმასა და ფორმებს. ესაა ისეთი ბაზილიკა, როგორიც საკმარისი სიმრავლით იყო აგებული ხანძისა და შატბერდის ამგების გრიგოლისა და მისი მოწაფეებისაგან VIII საუკუნის დამლევსა და IX საუკუნის მთელ მანძილზე; კერძოდ, თვით ბორჯომის მხარეში აგებული სამეკლესიანი ბაზილიკები საკვირიკესა და ნეძეში. ამ დროს ბაზილიკებს უკვე ეკარგებათ თავისი კერძო თავისებური ხუთერული თვისებები — დაგრძელებული ფართო სივრცის რიტმული ნაკვეთები, რომელთაც ჰქმნიდა მრავალი წყვილი სვეტის ალმართვა. ამის მაგივრად ჩნდება, თავის დროვე მთავარზე დამხმარე განაკვეთების მქონე, შესასვლელიანი მოკლე მთავარი სივრცე, სრულიად მოკლებული თანდათანობით გაშ-

ლასა; ის მაინც ვერ აღწევს შუაგულ-გუმბათიანი ტაძრების ნაგებობის შენ-ყობილს ერთიან მთლიანობას. მხოლოდ ერთი დაბალი, მაგრამ არა-დაძირე-ბული, პატარა სვეტი, მასზე დამყარებული ორი შედარებით ფართო თაღით თითოეულ მხარეში (შესასვლელიდან) და ამ თაღებს შორის აფსიდის თაღი იძლევიან უფრო ისეთსავე შთაბეჭდილებას, როგორსაც შუაგულ-გუმბათიანი ნაგებობანი, ე. ი. შთაბეჭდილებას წუა ვერტიკალური ხაზისა თითოეული მხარის მიმართულებით. ასეთი მიდგომა აღნიშნულ საუკუნეებში უდავოდ-ჰარბობს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებში. ორი გვერდის აფსიდისა და მერმე ცხადად გამომიჯნული ეკვდერის არსებობაც უეჭველად ამორებს ამ ბაზილიკას ქართული ხუროთმოძღვრების ადრეულ საუკუნეებს.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტია ამ ბაზილიკის ნაგებობაში მოხმარე-ბული საამშენებლო მასალა და ხასიათი ამ მასალის დამუშავებისა. ყველა ეს აღნიშნულ ეპოქაზე მიგვითითებს, ისე როგორც ასეთივე ფაქტები მეტ რიცხვ ნაგებობათა. ეს ის ეპოქაა, როცა ქართველი ხალხი ქონებრივად რამდენადმე იყო შეიწროებული და არ შეეძლო ჩვეულებრივი რიგის ნაგებობაზე და-ხარჯა იმდენი სახსარი და მიექცია მისთვის იმდენი ყურადღება, რამდენსაც ხარჯავდა ის ძეგლებზე თავისი კულტურისა და კერძოდ ხუროთმოძღვრების აყვავების ბრწყინვალე ეპოქაში. ნაგებობაზე ნახმარია იქვე მახლობლად მოტე-ბილი ქვა, ზედმეტი ნაწილების მოსაშორებლად, და ნახმარია მრავალნაირი ხომისა. მერმე, შენობის კედლების მთავარი პერანგი უშველებელი ფიქალე-ბითაა შექმნილი. ქვებია გათლილი მხოლოდ შენობის პასუხსაგებ ადგილე-ბის გამოყვანისათვის, და ისიც ქვების მხოლოდ ის მხარეები, რომელთა გათლა აუცილებელ მოთხოვნითაა გამოწვეული: თაღები ნაკეთებია შა-გარეგან აბრისში სრული სისწორის დაცვით; ქვებს კი, პირდაპირ კედელში ჩართულთ, შერჩენიათ თავისი შემთხვევითი ფორმა, რომელიც გვიჩვენებს კედლის შემდგომ წყობას. ამაზე ჩვენ მიგვითითებს თავისი დამუშავებით ბაზილიკის შესასვლელის ბალავარი, რომელიც მოსწორებულია მხოლოდ სიოს ჰორიზონტალის ხაზით: ამასვე გვიმოწმებენ დასავლეთი სარკმლის, მხო-ლოდ თვით სიოში შემოხაზული, თლილი ქვებიც. ხოლო უკვე რამდენჯერმე ნახსენები ორი პატარა სვეტია დამუშავებული ოთხივე მხრივ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ სვეტების თლა არაა დიდი ღირსებისა.

ერთადერთი დეკორატიულად გაფორმებული ადგილი ბაზილიკაში ჩანს დასავლეთის სარკმელია. უკვე იყო ნათქვამი, რომ ამ სარკმლის ზემო ფართო ფიქალზე ამოკვეთილია სამი სადა ტოლ-ტოტებიანი ჯვარი, მოთავსებული ოდნავ შეღრმავებულ ფონის მქონე მცირე წრეებში. ჯვართა ტოტების შემო-ხაზვა მიღწეულია დაახლოებით გარე წრიდან ფარგლის შემოტარებით, ე. ი. ტოტები ფართოვდება ნახევარწრიულად გარე მხრისაკენ; ზემო თავის მოყვა-ნილობაც ნახევარ-წრიულად ბოლოვდება. ანალოგიურსავე მთვარედს ჩვენ ვხედავთ ჩვენი ბაზილიკის დროს აშენებულს სირგოში[1]: ჩვენ ვხედავთ აქ

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. IX, № 6, 1948, გვ. 392, სურ. 13.

სარკმლის ფიქალის ანალოგიურს სამშთვარედიან მორთულობას მის ნახევარ წრიულ ზედში, მაგრამ ერთი კი არის, რომ სირგოში მოცემულია ჯვრების ნაცვლად ორნამენტალური ვარდულები[1].

ამგვარად, მგონია, რომ ეს არა აშკარად გამოკვეთილი უმნიშვნელო თვისებები ნებას იძლევიან გადაჭრით დავათარიღოთ მარიამწმინდის ბაზილიკა VIII—IX საუკუნეებით, უფრო IX-თი — ნავთა გამყოფების წახნაგოვანი პატარა სვეტების მოხმარების მიხედვით.

ყველა მონაცემი გვეუბნება, რომ ბაზილიკის კედლები არ იყო ნაგულისხმევი კედლის მხატვრობისათვის, რაც რამდენადმე უდგება უფრო დასახელებულ ხანას, ვიდრე მოგვიანო საუკუნეებს. სამარეთ ეკვდერში ამჟამად დაცული კედლის მხატვრობა ეკუთვნის უფრო გვიან დროს (XII—XIII ს.ს.); ასეთია ყველაზე უკეთესად შენახული გამოსახულება ორი ერისკაცისა — მამაკაცი წარწერით „შოთა“ და მის წინ მდგომი ქალი წარწერით „იაჲ“[2]. ესენი დახატულნი არიან ჩრდილოეთ კედელზე, კუთხიდან შესასვლელის იქით, ღია მორუხო, თუ მომწვანო ფონზე. მათ ქვევით გაყოლებულია ორნამენტალური ოლე — თეთრსა თუ რუხ ფონზე წითლითა, ვიწრო ლურჯისა და ფართო წითლის ილეებით შემოჩარჩოებული. კედლის ქვედა ნაწილი დაახლოებით ნახევარი შეტრის სიმაღლეზე სრულიად მოუხატავია. პორტრეტების ზემოთ უკვე კამარაში ორ ნახევარ-ნახევარი გამოსახულებაა მღვდელმთავრებისა, ამათ წინ კიდევ ერთი მთელი ფიგურა. დანარჩენი მხატვრობა ფრაგმენტულია: კონქში შარავანდიან იოანე ნათლისმცემელი ვედრებისა, მის ქვევით მღვდელმთავრებია, გადარჩენილია ამათგან ერთი. სამხრეთის სარკმლამდე, როგორც ჩანს, ამგვარი გამოსახულება ექვსი ყოფილა.

შენახულია კიდევ ბაზილიკაზე მიშენებული პატარა ადგილსამყოფი სამხრეთი ნავის აღმოსავლეთით. ისინგან კლდემდე გადაყვანილია თაღი და მის წინ ამოყვანილია კედელი შესასვლელით. მისი სივრცე შევსებულია წყობით. ეტყობა, რომ ეს იყო ორსამარიანი განსასვენებელი.

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IX, № 6, 1948, გვ. 393, სურ. 14.

[2] სწორედ ამ პორტრეტების პირები იყო გადმოღებული აკად. ნ. ბერძენიშვილის მეკვეთით.

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIIIa, 1948
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIIIa, 1948

აბელ ჯიქვიძე

თბილისის სასულიერო სემინარია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა საქართველოში[1]

თბილისის სასულიერო სემინარია დაარსდა 1817 წელს. იგი არ ჰგავდა ბაძიალოვსკის მიერ აღწერილ რუსულ ბურსას და არც მხოლოდ ბურსის შექმნით იყო გამოწვეული მისი გახსნა.

ამ დროისათვის მეფის ადგილობრივმა მთავრობამ ძირითადად უკვე მოახერხა საეკლესიო ნებით მომდინარე საქ. ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმება, ამ ეკლესიის მამულების სახაზინო საკუთრებად გატარება და ქართველი სამღვდელოების მოქცევა რუსეთის იმპერიის სამსახურში. მაგრამ მთავრობას კარგად ესმოდა, რომ ქართველი სამღვდელოების არსებული კადრები ავიდა გამოსაყენებელი არ იყო რუსეთის სახელმწიფოს სამსახურისათვის და ამიტომ ჭარბა შეეცადა იგი მისთვის შესაფერი სამღვდელთმსახურო ახალი კადრების შექმნას.

ამ მიზნით გაიხსნა სემინარია თბილისში და მისი მოსამზადებელი საფეხურის სკოლები რამოდენიმე მაზრაში[2].

სემინარიის მიზნისა და დანიშნულების შესახებ მის წესდებაში (XIX საუკუნის 20-იან წლებს რომ ეხება) ვკითხულობთ შემდეგს: „თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა განათლების მიზანია მათი მომზადება მართლმადიდებელ ეკლესიის სამსახურისათვის ან სამღვდელთმსახურო წოდებებისაგის საერთოდ საქართველოში თუ ამიერკავკასიის მხარეში არსებულ ეკლესიებთან“ (საქართვ. სახელმწ. ცენტრ. საისტორიო არქივი, ფონდი 112, საქმე 451, ფურც. 8—15).

სემინარიის გახსნის დღიდან 1823 წლამდე ყალიბდება ორი განყოფილება: დაბალი და საშუალო განყოფილება. დაბალ განყოფილებაში ისწავლებოდა: სამოქალაქო ისტორია, შსოფლიო გეოგრაფია, რიტორიკა, სიტყვიერება, ენა უკანასკნელი ქართულიდან რუსულად თარგმნაში გამოხატებოდა. საშუალო განყოფილებაში ისწავლებოდა: რიტორიკა, სიტყვიერება, ფილოსოფია, ლო-

---

[1] წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახელობის თბ. სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე 1947 წლის 3 ნოემბერს.

[2] თბილისში 1817 წ., გორში 1818 წ., თელავში—1825 წ., ქუთაისში—1825 წ., ახალციხეში 1830 წ., ოზურგეთში 1846 წ., (ფ. 112, საქმე 119).

გიკა, ფილოსოფიურ სისტემათა ისტორია, ძველი აღთქმის ისტორია, საეკლესიო ისტორია. 1827 წელს გაიხსნა საღვთისმეტყველო განყოფილება, რომელსაც 1835 წლიდან ეწოდა უმაღლესი განყოფილება. ამ განყოფილებაში ასწავლებოდა ღვთისმეტყველება და ახალი აღთქმის ისტორია (საქ. სახ. ცენტრ. საისტორიო არქივი, ფონდი 112, საქმე № 515, ფურც. 584—585, საქმე № [illegible] ფურც. 96).

1835 წლის 13 აპრილის უმაღლესი ბრძანებით გატარდა თბილისის სასულიერო სემინარიის რეფორმა, რომლის თანახმად ეს სასწავლებელი იძულებული შიდა გუბერნიების სემინარიებს გაუთანასწორდა (ცხსენებული არქივი, ფონდი 112, საქ. № 94, ფურც. 296—302). აღნიშნული რეფორმის საფუძველზე ერთ-ერთ უმთავრეს საგნად დადგენილ იქნა რუსული ენა. სასულიერო დაბალ სასწავლებლებში რუსული ენა იკავებდა ლათინური ენის ადგილს, ხოლო ლათინური ენა სავალდებულო ხდებოდა სემინარიის ყველა კლასებისთვის. ამასთან ერთად შემოღებულ იქნა ბერძნული ენა. არჩევით უნდა ესწავლებინათ თათრული და ოსური ენები, როგორც სემინარიაში ისე სასულიერო დაბალ სასწავლებლებში. მათემატიკის სწავლებიდან თავს იკავებდნენ. ფიზიკა უერთდებოდა ფილოსოფიას. ფიზიკურ-მათემატიკური კლასის მაგივრად საშუალო განყოფილებაში იქმნებოდა რუსეთისა და საქართველოს ისტორიის კლასი, იმგვარადვე, როგორც დაბალ განყოფილებაში მსოფლიო ისტორიის კლასი (იქვე).

რიტორიკა, ლოგიკა და ფილოსოფია უნდა ესწავლებინათ რაც შეიძლებოდა უბრალოდ, რომ გადაცემა ამ შემთხვევაში არ ყოფილიყო ლრმა და ზუსტი, ან განყენებული თეორიებით არ დაემძიმებინათ მოწაფეთა გონება. მოწაფეებს მხოლოდ უნდა განემეორებინათ ის, რასაც მოუთხრობდა მათ მასწავლებელი.

არც მსოფლიო ისტორიის სწავლება იყო საჭირო ფართოდ, რომ ამით არ დაემძიმებინათ მოწაფეთა მეხსიერება, სხვა უფრო ახლობელი საგნების (იგულისხმება სალმრთო წერილი, ძველი და ახალი აღთქმის ისტორია) შესწავლისათვის საჭირო (იქვე).

1854 წელს გატარდა მეორე რეფორმა თბილისის სასულიერო სემინარიაში. გაუქმდა ბერძნული და ლათინური ენების სწავლება. მათ მაგივრად დაწესდა „თათრული“ და ოსური ენები. კავკასიის ოსური და მუსლიმანური მოსახლეობის ქრისტიანიზაციის მიზნით მთავრობას შემოჰქონდა აღნიშნული ენები სემინარიაში, და, ამრიგად, სემინარიას გარეგნულად მიზნად უსახავდა მისიონერების მომზადებასაც (ცხსენ. არქივი, ფონდი 112, საქმე № 94, ფურც. 296).

ამ რეფორმის თანახმად სემინარიაში პირველად შემოჰქონდათ მათემატიკური საგნები: ალგებრა და გეომეტრია. მაგრამ ეს საგნები განკუთვნილი იყვნენ გონებრივი ვარჯიშობისათვის, რომ ამით ხელი შეწყობოდა უმთავრესი საგნების (იგულისხმება საღვთისმეტყველო საგნები) შეთვისებას. ფიზიკა უფროს კლასებში უერთდებოდა ალგებრა-გეომეტრიას იმ ანგარიშით, რომ მოწაფეები ყოველგვარი ცდის გარეშე გასცნობოდნენ ბუნების მთავარ ძა-

ლებს. გათვალისწინებული იყო აგრეთვე მედიცინა, ბუნების ისტორიის და სოფლის მეურნეობის სწავლება.

ის საგნები, რომლებსაც აქ შევეხეთ, არ იყო მთავარი, მთავარი იყო ღვთისმეტყველო საგნები, რომელთა შესახებ 1854 წლის წესდებაში ვკითხულობთ: „თბილისის სემინარიის ძოწაფეთა განათლებაში მიზანს თანაბრად ერთადერთი და უმთავრესი საგანი მისი უნდა იყოს ღვთისმეტყველო მეცნიერებანი. ამიტომ სემინარიის ხელმძღვანელობა მთელი ყურადღება მიქცეული უნდა იყოს მართლმადიდებლური სარწმუნოების ზუსტი და ნათელი სწავლებისათვის, სასტიკი მეთვალყურეობით, რომ ყოველი ჭეშმარიტება მასში მტკიცდებოდეს საკვლთო წერილიდან და წმიდათა მამათა ცხოვრებიდან (ფონდი 112, საქმე № 451. ფურც. 8—15).

ასე განისაზღვრა თბილისის სემინარიის სასწავლო გეგმა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან. ამ გეგმის მიზანი იყო მოემზადებინათ ეკლესიის მსახურნი, მეფის თვითმპყრობელობისათვის თავისებური დასაყრდენი კულტურული ძალა.

დადებითი ცოდნა ამ სასწავლო გეგმის მიხედვით გამოდიოდა რელიგიის მსახურად. მას ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო-მათემატიკური საგნების მიხედვით ხელი უნდა შეეწყო მხოლოდ რწმენის გონებრივი განმტკიცებისათვის.

უკვე 1841 წლის სემინარიის საწესდებო პროექტიდან ვკითხულობთ: „საწყისი ყოველადბრძნულისა არის ღვთისმოშიშობა. შიშით შეპყრობა უნდა ხდებოდეს არა მარტო სიტყვით, რომლის სწორი განმეორება უსარგებლო რჩება, არამედ ღვთის ყოვლადმოქმედების, მასთან განუყრელი კავშირის ცნებების რაც შეიძლება მეტად განმტკიცებით და გავრცელებით. ეს ცნებები რაც შეიძლება მეტად უნდა მტკიცდებოდეს ალმზრდელ მასწავლებელთა მაგალითით, მათი ღვთისმოშიშობით. ღვთისმოშიშობა არის ქვაკუთხედი ქრისტიანული ალზრდისა“ (საქ. სახ. ცენტრ. საისტ. არქივი, ფონდი 112, საქმე № 179. ფურც. 229).

მაგრამ სარწმუნოებრივი ალზრდისათვის, რასაკვირველია, თვით ალმზრდელი უნდა ყოფილიყო მორწმუნე და მეფისა და ტახტისადმი ფანატიკურად ერთგულად განწყობილი. ამიტომ სემინარიაში ალმზრდელ მასწავლებლებად ინიშნებოდნენ მონარქისტი ბერ-მონაზვნები, კერძოდ თბილისის სემინარიაში ძოედინებოდნენ შიდა გუბერნიებში ათვალისწუნებული უვიცი მღვდლები.

როგორ, რა საშუალებით უნდა ემოქმედათ სემინარიის ალმზრდელ-დარიგებლებს?

მათ მოეთხოვებოდათ უპირველესად ყოვლისა, სასტიკი მეთვალყურეობა მოწაფეებზე, რომ ყველაფერი ამ უკანასკნელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმართული ყოფილიყო ღვთისა და რუსეთის მეფისადმი გულმოდგინეობისა და ერთგულების ცხადსაყოფად. არავითარ გადახრას ამ მიმართულებიდან ადგილი არ უნდა ჰქონოდა.

სემინარიის ალმზრდელ-მასწავლებლობის ამ საქმიანობის რაციონალიზატორი შეიქმნა სემინარიის ინსპექტორა, რომელმაც ადრიდანვე მოინახა თავის

მოქმედების სარბიელი. ეს სარბიელი შემდეგ უფრო გავრცელდა და განმტკიცდა.

ეს სარბიელი ფართო გასაქანს აძლევდა აღმზრდელ-მეთვალყურეების მიერ ჯაშუშობას, მოწაფეთა სულში ძვრომას, ყველაფერ ძას, რაც ტერორის ქვეშ აყენებდა მოსწავლე ახალგაზრდობას და სუსტდებდა მის ბუნებას.

უკვე 1841 წლის ხსენებულ საწესდებო პროექტის მეთორმეტე მუხლი განმარტავს მოწაფეებზე მეთვალყურეობას: „ქველა ასაკში—ამბობს მუხლი—განსაკუთრებით ყმაწვილობაში კეთილი წესები და კეთილჩვეულებები უნდა დაცულ იქნეს თვალყურის დევნებით. ამიტომ მოსწავლეთ ყველა მდგომარეობაში გარს უნდა ერტყას ყველაზე მეტად ყურადღებითი ზედამხედველობა. ზედამხედველთა მზრუნველი თვალი მოწაფეებზე მარტო კლასებში კი არ უნდა იყოს მიპყრობილი, არამედ კლას-გარეთაც, სდევდეს მათ კლას-გარეთ, უჩინრად, შეუმჩნეველად, სდევდეს მათ სასწავლებლის გარეთ“ (იქვე).

სემინარიის ინსპექციისა და რექტორატის კარგად ცნობილი საქმიანობა XIX საუკუნის 80—90-იან წლებში უნდა წარმოვიდგინოთ მხოლოდ გავრცელებად იმისა, რასაც აქ მოყვანილი წესდების მეთორმეტე მუხლი ლაპარაკობს.

გაბატონებული კლასის იდეოლოგია გაბატონებული იდეოლოგიაა—ამბობს მარქსი. აქედან გასაგებია, თუ ქრისტიანული რელიგია დემოკრატიულ ფენებში რატომ პოულობდა ნიადაგს. ეს ხელს უწყობდა დაბალ სოციალური ფენების განწყობილებას სარწმუნოებრივი აღმზრდელობითი ზომებისადმი და ამიტომ იყო რომ მეფის რუსეთის ხელისუფლება პოლიტიკური მოსაზრებით სემინარიებში დემოკრატიულ ფენებს უხსნიდა კარს.

ჯერ კიდევ ოციან წლებში მთავრობის საინსტრუქციო მიმართვებში სემინარიისადმი კონტინგენტად მითითებულია უპატრონო ბავშვები, ობოლ-ლარიბთა წრეები, საიდანაც სემინარიას უნდა ეკრიბა შეგირდები.

საგლეხო რეფორმის შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიის კონტინგენტს თანდათან და ბოლოს მთლიანად სოფელი ქმნის. სემინარიაში მიდიოდნენ სოფლის მღვდლებისა და დიაკვნების შვილები, საერთოდ გლეხთა ახალგაზრდობა, იშვიათად ქალაქელები, რომლებიც ვერ ახერხებდნენ გიმნაზიაში სწავლის გაგრძელებას.

მეფის ხელისუფლება თავიდან დემოკრატიულ ფენებს სემინარიაში სარწმუნოებრივი აღზრდისათვის ხელსაყრელ ნიადაგად სთვლიდა, მაგრამ ამ მიმართულებამ შემდეგ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. XIX საუკუნის 70—80-იან წლებში სწორედ ამ დემოკრატიულმა ფენებმა გაუხსნეს გზა ხალხოსნურ მოძრაობას და თბილისის სასულიერო სემინარია გახდა ამ მოძრაობის ერთ-ერთი მძლავრი კერა.

ამიერიდან სასულიერო სემინარია გაიყო ორ სულ სხვადასხვა სფეროდ: ერთი მხრით ბერმონაზონი მონარქისტი რუსი მასწავლებლები, რომელთა საქმიანობას წარმართავდა სინოდის ობერპროკურორის დასაყრდენი რექტორატი და ინსპექცია, მეორე მხრით რევოლუციურად განწყობილი, ხალხოსნური იდეებით გატაცებული ქართველი ახალგაზრდობა. ეს იყო ორი სულ სხვადა-

სხვა სამყარო და, რაც დრო გადიოდა, ერთმანეთს უფრო და უფრო ეძიჯნებოდა.

თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობა თავიდან ზღუდავდა სემინარიაში საერო ხასიათის წიგნებს. 1868 წლის შემდეგ, რაც სემინარიაში უკვე მესამედ გატარდა რეფორმა, გამრავლდა საღვთისმეტყველო და სამღვდელთმსახურო საგნები, აღდგა კლასიკური ენები,—სემინარიაში იწყება ენერგიული ზომები საერო განათლების ელემენტების წინააღმდეგ. სემინარიის ადმინისტრაცია სასტიკად ებრძოდა და არ უშვებდა მოწაფეთათვის საკითხავად მეტადრე ლიბერალური იდეების გამომხატველ თხზულებებს.

1874 წელს, სინოდის მიერ დანიშნული რევიზიის შედეგად სემინარიიდან დათხოვნილ იქნა იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც თავისი თანამდებობა რევიზორ კერსკის განცხადებით გამოუყენებია მოწაფეებში მავნე აზრების გავრცელებისთვის. იაკობ გოგებაშვილს ალუძრავს მოწაფეებში სიყვარული ბოკლისადმი და სემინარიისაგან დაუშვებელ სხვა ავტორთა თხზულებებისადმი.

კერსკის რევიზიასთან დაკავშირებით სემინარიის მმართველობის 1874 წლის საქმეში ვკითხულობთ შემდეგს: „თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფენი კითხულობენ დობროლიუბოვს, ჩერნიშევსკის, პისარევს, ბელინსკის, ლესინგს, ტენს, ჟურნალ სოვრემენიკს. დობროლიუბოვი უკვე გახდა ავტორიტეტად. მოწაფეები იჩენენ სოლიდარობას აღნიშნული მწერლების იდეალებისადმი (ხსენებული ფონდი, საქმე 705, ფურც. 21—29).

მოწაფეებში მავნე აზრების გავრცელებისათვის დათხოვნილ იქნა აგრეთვე მასწავლებელი ნიკო ცხვედაძე. კერსკი თავის ანგარიშში მიუთითებს ნიკო ცხვედაძის რაციონალისტურ შეხედულებებზე: „მასწავლებელ ცხვედაძის) მიმართულება საკმაოდ იქნა გამოაშკარავებული 1872 წლის რევიზიის დროს: თვით რევიზორის თანდასწრებით მას, როგორც სალმრთო წერილის მასწავლებელს, არ გაუძნელდა მოწაფეებთან გამოეთქვა თავისი რაციონალისტური შეხედულებანი მოსეს ხუთი წიგნის შესახებ (ბიბლიიდან), ხოლო მოსწავლეთა მცდარ შეხედულებებს და მსჯელობათ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მათ დავალებებში, სტოვებდა ყოველგვარი შენიშვნებისა და შესწორებების გარეშე [1].

ნ. ცხვედაძის მიერ ნაწარმოები ქრისტიანული დოგმატიკის კრიტიკისადმი დამახასიათებელია ცნობები მისი პედაგოგიური პრაქტიკიდან. გიორგი ნათაძე წერს: „ნ. ცხვედაძე დაბადებას მოწაფეებს კლასში რეალისტურად ხსნიდა, რელიგიის წარმოშობას და ისტორიას თავისუფალი მოაზროვნის თვალსაზრისით აშუქებდა“ (ლიტერატურული მატიანე, 3—4, გვ. 232).

სემინარიის რევიზიას არც არაფერი ჰქონდა დასაკვეხნი მისი აღმოჩენისათვის, რადგან ს წიგნები, რომელსაც რევიზია უთითებს, როგორც მავნე და

[1] Отчет о ревизии духовно-учебных заведений в Тифлисе в 1873—1874 году“. 33. 141.

დაუშვებელ აზრების გამავრცელებელ ლიტერატურას, ყველა თვით სემინარიის ბიბლიოთეკაში ნახა კერძოდ. ეს წიგნები ადრევე სემინარიის რექტორ არქიმანდრიტ ვიქტორინს შეაძენინებს ი. გოგებაშვილმა და ნ. ცხვედაძემ, როგორც აუცილებელი და მეტად საჭირო ლიტერატურა სემინარიის ბიბლიოთეკისათვის. სულ ეს ლიტერატურა სემინარიაში დაუჯდა 200 მანეთი, რომელსაც რასაკვირველია, ორმაგად ამ ლიტერატურის მოსასპობად თავის ჯიბიდან გაიხდიდა არქიმ. ვიქტორინი, რომ სცოდნოდა შინაარსი იმ წიგნებისა, მაგრამ სხვისი რეკომენდაციით შეიძინა.

იაკობ გოგებაშვილის და ნიკო ცხვედაძის მოღვაწეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სემინარიელ ძოწაფეთა აღზრდა-განათლების საქმეში და, პირველ რიგში, ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობისათვის, რომელიც მიმართული იყო სემინარიის კარცერული რეჟიმის წინააღმდეგ. ეს მოძრაობა მალე გადაიზარდა ნაროდნიკულ მოძრაობაში. სემინარიელი ნაროდნიკები 70-იან წლებისა, მათ შორის ცნობილნი დავით კეზელი, სტეფანე ჭრელაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი და ნ. ლომოური, იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის მოწაფენი იყვნენ. შეიძლება ითქვას, რომ ნაროდნიკებს საქართველოში 80-იან წლებში ძირითადად სემინარიელები შეადგენდნენ. 1881 წელს, როცა ქართველმა ნაროდნიკებმა იწყეს ჟურნალი „იმედის“ გამოცემა და შეუტიეს „ივერიას“-„დროების“ პოზიციებს, აკაკიმ დასცინა მათ და მღვდლებისა და დიაკვნების შვილები უწოდა.

ნაროდნიკული მოძრაობა ჩვენში გაჩნდა 70-იანი წლების დასაწყისში და გამოხატავდა ქართველი საზოგადოების უფრო რადიკალური ნაწილის პროტესტს გლეხთა უუფლებობის წინააღმდეგ, ე. წ. თავისუფლების ბატონყმური ხასიათის წინააღმდეგ. მალე ნაროდნიკების რევოლუციურმა ბრძოლამ მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი. 1873 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში მთავრობამ აღმოაჩინა მოწაფეთა წრე, რომელიც ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას. წრეს ხელმძღვანელობდნენ დავით კეზელი, ივანე მახვილაძე და სტეფანე ჭრელაშვილი. ისინი დააპატიმრეს; მათ აღმოაჩნდათ ჩერნიშევსკისა და ზიჩნევსკის რევოლუციური პროკლამაციები. საქმეში (საქ. ისტ. არქივის ფონდი № 7) დაცულია კეზელის მიერ ამხანაგებისადმი გაგზავნილი წერილები, რომლებიც გაჟღენთილია თვითმპყრობელობისადმი დიდი სიძულვილით („უაღრესი სისულელისა და სიჩერჩეტის განხორციელებაა „А“, რომელიც სახელმწიფოს სათავეში დგას, „როდის წავლენ რუსები აქედან? ე. ი. რუსი ბიუროკრატია, ა. კ.).

კეზელი შენატრის თავისუფალ საქართველოს, რუსეთის მფლობელობიდან მის დახსნას. ეს წერილები მრავალმხრივ არის საინტერესო და საყურადღებო და, უპირველესად, კეზელის ბრძოლის მოტივებისათვის: „მე მინდა ჩემი ძალღონე შევსწირო ხალხის კეთილდღეობას—წერს იგი,—მაგრამ ხშირს ჩემს იმ პირობები, რომელშიც ვიმყოფები და რომლის დასახასიათებლად ძლიერ ღარიბია ადამიანის სიტყვა. მე მინდა განათლება, სწავლა, როგორც საშუალება სხვა დიდი მიზნისათვის“.

სხვა ადგილას კეზელი წერს: „ოჰ, რა საშიშროებაა ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა და სიკვდილი ჭეშმარიტებისა და ხალხის თავისუფლებისათვის“.

კეზელისათვის აუტანელია სასულიერო სემინარია. ამ წერილებს ის დუშეთიდან სწერს ამხანაგებს, 1872 წ. სემინარიიდან გაქცეული. იგი დროს უყვილა დაკარგვად თვლის სემინარიაში სწავლას. მას სძულს საღვთისმეტყველო საგნები და კლასიკური ენები (ბერძნულ-ლათინური ენები); ძალიან აინტერესებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, საერო ლიტერატურა და ევროპული ენები. ხალხის საკმსახურისათვის კეზელს აუცილებელ პირობად მიაჩნია ვილოს უმაღლესი სპეციალური განათლება. წერილში, რომელიც წარმოადგენს მოწოდებას საქართველოს ახალგაზრდობისადმი, იგი წერს: „ჩვენი ახალი ლიტერატურის წარმომადგენლები შეეხენ. ყველა თანამედროვე საჭირბოროტო კითხვებს, მაგრამ არც ერთი მათგანი გადაჭრილი არ არის... ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელები ივიწყებენ ერთ გარემოებას, რომელთანაც დაკავშირებულია თვითმპყრობელობით შეკიწროებული ჩვენი წინსვლა. ჩვენში არ არსებობს დაწესებულება, რომელიც ზრუნავდეს ისეთი ახალგაზრდობის სწავლა-განათლებაზე, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება“.

1876 წელს იაგორ იოსელიანმა გასცა საქართველოს ნაროდნიკული ორგანიზაცია. საქართველოს სახელმწიფო არქივში მეშვიდე ფონდით დაცულია ნაროდნიკული ორგანიზაციის საქმე № 21, რომელიც შედგენილია ჟანდარმთა სამმართველოს კაპიტან ქრისტოფოროვის მოხსენების საფუძველზე იაგორ იოსელიანის თანამშრომლობით. 1925 წელს ქრისტოფოროვის მოხსენება გამოქვეყნდა ჟურნალ „რევოლუციის მატიანეში“ (რევოლუციის მატიანე 1925 წ. № 1). ნაროდნიკული ორგანიზაციის ყველა მთავარი წარმომადგენელნი 1876 წელსვე დააპატიმრეს. ქრისტოფოროვის მოხსენებაში დახასიათებულია სემინარიელი დავით კეზელი, რომელიც გადასახლებიდან პეტერბურგის ფსევდონიმით სწერდა ამხანაგებს, რომ მალე ჩამოვა, ხოლო მანამდე იხსენიებდნენ მას ყოველ შეკრებაზე.

ჯერ კიდევ ნაროდნიკული ორგანიზაციის აღმოჩენამდე სემინარიელების კ. კეზელისა და სტ. ჭრელაშვილის საქმესთან დაკავშირებით მთავრობა დარწმუნდა, რომ სემინარიის მოწაფეთა მოძრაობა გამოხატავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და ჩაშთვალა კეზელისა და მისი სემინარიელი ამხანაგების შეხედულებანი საშიშ, სემინარიის ცხოვრებისათვის უალრესად მავნე მიმართულებად. ამიტომ 1875 წლიდან მან გაატარა სათანადო ცვლილებები თბილისის სასულიერო სემინარიაში. ეს იყო უკვე მეოთხე რეფორმა, რომელიც უპირველესად მიმართული იყო ეროვნული ელემენტების წინააღმდეგ სასწავლო გეგმაში. ქართული ენა და საქართველოს ისტორია, რომელიც ისწავლებოდა რუსეთის ისტორიასთან ერთად, განიდევნა სემინარიიდან. ამან გამოიწვია დიდი აღშფოთება ქართველობაში და მეტადრე ნაროდნიკული იდეებით გატაცებულ მოსწავლე ახალგაზრდობაში.

კერსკის რევიზიის შედეგად სემინარიაში მძვინვარე რეაქციამ აიტეხა ქართველი ფეოდალური არისტოკრატიაც, რომლის მთავარი წარმომადგენელი გრიგოლ ორბელიანი თავის დისადმი მიმართულ ერთ-ერთ წერილში

ამბობს: „საქართველოში ურიები, თათრები, სომხები, ლოთრანები (ლიუტერ-ბები, ა. კ.) ილოცავენ თავიანთ ენაზე და არავინ არის დამძლელი მათი... ძნელად ქართველებს უნდა მოესპოთ ქართულ ენაზე ლოცვა? რათა? ესოდენ სხვადასხვა ხალხთა შორის მარტო ქართველები ამოუოჩევიათ დასაჩაგრავად! აი საქართველოს ბედი", („ლიტერატურული მატიანე", წიგნი 3—4, გვ. 229).

გრიგოლ ორბელიანი, რასაკვირველია, მისტიროდა ქართულ ენას და არა ქართულად ლოცვას.

ეს იყო სამოცდაათიან წლებში, როცა ლიბერალურ-ბურჟუაზიული რეფორმების შედეგად რუსეთის იმპერიას კონსტიტუციასაც კი სწამებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ რეფორმატორი და რუსეთის ფაქტიური დიქტატორი ლორის-მელიქოვი იძლეოდა განმარტებას—არ ეწერათ თავისუფლებაზე, კონსტიტუციაზე. მე ამის დავალება არა მაქვსო.

რა მდგომარეობა უნდა შექმნილიყო მას შემდეგ, რაც ნაროდოვოლცების გასროლამ რუსეთში გამოიწვია პოლიტიკური რეაქცია?

თვითმპყრობელობა თავისი ალორძინების დღიდანვე შეეცადა ფეხქვეშ გაეთელა იმპერიის განაპირა ქვეყნები, კერძოდ საქართველო, რომლის სახელი 1882 წლიდანვე ამოშლილ იქნა იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ქსელიდან და მის მაგივრად თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, როგორც რუსული გუბერნიები, დაუმორჩილდნენ პეტერბურგს. ის საერო საგანმანათლებლო ნაკადი, რომელიც ეგრეთ წოდებულ დიდი რეფორმებიდან მომდინარეობდა, თვითმპყრობელობის ფანატიკოსის, ყოვლის შემძლე პობედონოსცევის მძლავრობით უცბად ჩაიწრიტა. განათლებამ უალრესად კლერიკალური ხასიათი მიიღო. თბილისის სასულიერო სემინარიაში რეაქცია ზეიმობდა. შეიცვალა სასწავლო გეგმა და კიდევ უფრო მკაცრი და აუტანელი გახდა სემინარიის რეჟიმი.

1884 წელს გაუქმებულ იქნა ფილოსოფიის სწავლება, მისი კათედრა ღვთისმეტყველების კათედრა კიდევ უფრო გაფართოვდა. ცალკე დამოუკიდებელ საგნებად გამოიყო ჰომილეტიკა, ლიტურგიკა. სემინარია ახლა გახდა ტიპიური ბურსა და კიდევ მეტი: მისი მმართველობის ცენტრი რექტორისა და ინსპექციის შემადგენლობით გადაიქცა ერთგვარ იეზუიტურ ორდენად, რომელმაც გაამრავლა ჯაშუშები, იწყო ნაციონალური შუღლის გაღვივება ქართველ და რუს მოსწავლეთა შორის და ისევ და ისევ ქართველობის წინააღმდეგ.

„რექტორს უნდოდა რაღაც ანტი-ქართული პარტია შეექმნა—წერს იმ დროის სემინარიელი ალ. ფრონელი თავის დღიურში.—ამ მიზნისათვის აირჩია რუსები და ბერძნები ერთი ამხანაგის ბერძნის თაოსნობით და სულ ჯაშუშებად კი გადააქცია" („ლიტერატურული მატიანე,—3—4, გვ. 284). სემინარიის საერთო საცხოვრებელს რექტორი და ინსპექტორი უყურებდნენ არა როგორც საშუალებას სემინარიელთა საბინაო ცხოვრებისათვის, არამედ როგორც ყველაზე მოხერხებულ ობიექტს ჯაშუშური საქმიანობისათვის.

ამ ჯაშუშობის მიზანი იყო დროულად ზომების მიღება ყოველივე იმის ალსაკვეთად, რაც ეწინააღმდეგებოდა სემინარიელ ქართველ მოწაფეში რუსული სულის შემუშავებას, ქართველების გარუსებას, ერთი მხრით, და, მეო-

რე მხრით, იმის ალსაკვეთად, რაც ეწინააღმდეგებოდა თვითმპყრობელობის იდეურ დასაყრდენს. ამიტომ ბურსაკული ცხოვრებით ისედაც გაჩახაგებულ მოწაფეთა ტერორიზირება ჩვეულებრივი და ყოველდღიური მოვლენა იყო თბილისის მართლმადიდებლურ სასულიერო სემინარიაში.

თვითმპყრობელობა ცდილობდა კლერიკალიზმით დაემალა თავისი ნამდვილი სახე განაპირა ქვეყნების მიმართ, მაგრამ მისი პოლიტიკის კლერიკალური საბოსელი მხოლოდ ბადე იყო, რომელსაც არ შეეძლო დაეფარა ამოწვდილი მახვილი.

ეს მახვილი სამკვდრო-სასიცოცხლოდ მიიმართა ქართველობის ეროვნული არსებობის წინააღმდეგ, მაშინ როცა რუსეთის მფლობელობამ თავისი ობიექტური შედეგებით საქართველო უკვე წამოსწია ეროვნული ალორძინების გზაზე.

ეროვნული ჩაგვრით გალიზიანებულმა ქართველმა ინტელიგენციამ განმათავისუფლებელი დროშით იწყო თავდაცვითი ბრძოლა. ეს ბრძოლა მოედვა ყველა დარგს, იგი მძლავრად გაიშალა სემინარიაშიც.

სემინარიის ინსპექტორის მიერ მოწაფეთა ტერორიზირებას, ქართულენის, ჟურნალ-გაზეთების, წიგნების, გასართობების დევნას, საზოგადოებრივ აწესებულებებიდან მოწაფეთა იზოლაციას და, ბოლოს, დიდმპყრობელურ შოვინიზმს, რომლის ეურთგულესი დამცველნი და გამტარებელნი წინააღმდეგ ქართული ელემენტისა თბ. სემინარიაში უსულგულო და უვარგისი რუსი მოხელენი იყვნენ.—სემინარიელებმა სალიტერატურო წრეების ჩამოყალიბებით, ალმანახ—ჟურნალების გამოცემით უპასუხეს.

ეს სალიტერატურო წრეები წარმოიქმნა ნაციონალური ბრძოლის ნიადაგზე, მაგრამ წრეების საქმიანობა არ ყოფილა ნაციონალური და მით უმეტეს შოვინისტური. ამ წრეებში განიცადეს ალორძინება ნაროდნიკული სოციალიზმის იდეებმა და 80-იან წლებშიც თბილისში სემინარიელ მოწაფეთა ლიტერატურული საწრეო შემოქმედების საგანი ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და სხვა გამოჩენილი რუსი და ევროპელი მწერლები იყვნენ.

სალიტერატურო წრეებმა გააერთიანა სემინარიელი და გიმნაზიელი მოწაფენი.

„გუშინწინ—წერს ალ. ცაგარელი თავის დღიურში—გიმნაზიელებთან ვიყავით და სწორედ გავიხარე იქ ყოფნით. სამ-ოთხი საათი მშვენიერ საუბარში გავატარეთ ...სხვადასხვა ხალხოსნობისაგან ანუ ნაციობისაგან შედგებოდით. სომხებიც იყვნენ, ქართველებიც, რუსებიც, მაგრამ არა უჭირს რა. ახალგაზრდას არ ულირს ძვირად ნაციონალობა, ის ისე სასტიკად გაიზიარებს ნაკლოლიანებას თავის ერისას, როგორც სხვა ხალხის მშვენიერი. სიამოვნებით და ხარხარით დავრჩებით. როცა ძველ „სოვრემენნიკში“ წავიკითხეთ ნ. ჩერნიშევსკის წერილი ზორიანთან მიწერილი. რა ძალაა ჭალმისა, სიტყვისა, რა პარიოსნება იხატება ამ პატარა წერილში?!.. (ლიტ. მატიანე. 3—4. გვ. 279).

ამრიგად, ნაციონალურ-კოლონიურმა მჩაგვრელმა ზომიერმა, რომლის ერთ-ერთი ბურჯი 80-იან წლებში თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობა იყო, კიდევ უფრო გაზარდა საზოგადოებრივი მოძრაობა, ბრძოლა

ავითმპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ, კერძოდ, სემინარიაში. ბრძოლამ ფარული საზოგადოებრივი ხასიათი მიიღო და მეტად გაძაფრდა განსაკუთრებით ამას შემდეგ, რაც სემინარიელმა მოწაფემ ლალიაშვილმა ერმა პრინტების ნიშნად სემინარიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი მოჰკლა. ეს მოხდა 1886 წლის 10 ივნისს. ლალიაშვილის საქმესთან დაკავშირებით მთავრობამ აღმოაჩინა თბილისის სასულიერო სემინარიაში რევოლუციური წრე, რომელიც ჩამოყალიბდა 1885 წლის ნოემბერში. ამავე წლის 12 ოქტომბერს სემინარიელებს დაუარაებიათ ჟურნალი „ყვავილი". წრეში ჩაბმული ყოფილან არა მარტო სემინარიელები, არამედ გარედან მოსული პროპაგანდისტებიც. ერთ ასეთ პროპაგანდისტად ჟანდარმთა სამმართველო ასახელებს ს. ჭიჭინაძეს. ჭიჭინაძე სემინარიელ გოლა ჩიტაძესთან ერთად კერ კიდევ 1878 წლიდან აწარმოებდა საწრეო მუშაობას თბილისის მუშა ხელოსნებში. გოლა ჩიტაძე იყო რევოლუციონერ ნაროდნიკებისა და მუშა-ხელოსნების კავშირის სულის ჩამდგმელი. იგი რუსულიდან ქართულად თარგმნიდა, ჰექტოგრაფზე ბეჭდავდა და ავრცელებდა რევოლუციური ხასიათის ლიტერატურას.

ჩანს, რომ მთავრობის მიერ აღმოჩენილი რევოლუციური წრე სემინარიაში არ იყო ერთადერთი წრე, რომ ასეთი წრეები 70-იანი წლების ბოლოს და 80-იან წლებში არსებობდნენ როგორც სემინარიაში, იგე მუშებში უკვე სემინარიელების მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით. ამ დროის მუშა-ხელოსანთა წრის ერთ-ერთი ორგანიზატორი მიხა ჩოდრიშვილი მუშათა წრეების ხელმძღვანელად სემინარიელებს ან მისი სიტყვით „სემინარისტებს" ასახელებს.

იოსებ ლალიაშვილის დღიურიდან ჩანს, რომ რევოლუციონერ მოწაფეთა წრე იკრიბებოდა და სხდომებს მართავდა კუკიაში კვირაში ორჯერ—სამშაბათობით და პარასკეობით. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტისადმი მოხსენებაში ლალიაშვილის საქმესთან დაკავშირებით წერს: „სემინარიის ინსპექტორის აზრით სემინარიიდან დათხოვნილი უნდა იქნას უწინარეს ყოვლისა: ცხაკაია მიხეილ VI კლასის მოწაფე; ნიკოლოზ სახუტოვი, IV კლ. მოწაფე: ოსტომ ჩიკვილაძე, იოსებ ფრინველიშვილი, ნიკოლოზ შჩედლოვი, ყველანი IV კლასის მოწაფენი, და აგრეთვე სემინარიაში წესიერების აღდგენის მიზნით მოშორებულ უნდა იქნან თბილისის სემინარიას IV კლასის მოწაფე სპირიდონ ვირსალაძე, II კლასისა—ხარიტონ კასრაძე, ნიკო დოლიძე და გრ. ოქროპირიძე".

იოსებ ლალიაშვილს დღიურები უწარმოებია შიფრით და უეჭველია სემინარიელები მაშინ ამ შიფრს მიმართავდნენ არა მარტო დღიურებისა და წერილებისათვის. იმავე მოხსენებაში ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი წერს: „ამასთანავე მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ რექტორ ჩუდეცკის მკვლელობის გამო მოხდენილ წინასწარ გამოძიების დროს სემინარიის ინსპექტორმა სტეფანოვმა წარუდგინა გამომძიებელს ხელთნაწერი რვეული (დღიური), რომელიც ჩამოართვეს ლალიაშვილს 1885 წლის 7 დეკემბერს. ამ დღი-

რის ნაწილი შიფრითაა დაწერილი. რვეული გამომძიებლის მიერ ჩემდამი წმუნებულ სამმართველოში გადმოცემის შემდეგ გავსინჯეთ და შიფრით აწერილი ადგილი წავიკითხეთ. აღმოჩნდა, რომ რვეულის ავტორს ცალკე ბიზოდები სემინარიის ცხოვრებიდან და მოწაფეების შეტაკებანი სემინარიის ხელმძღვანელობასთან ჩაუწერია რვეულში. შიფრით დაწერილი ადგილები ნაწილობრივ შეეხება იმავე შეტაკებებს და ზოგიერთი ადგილებიდან ირკვევა, რომ არსებობს წრე განსაზღვრული მიზნით. შიფრით დაწერილი ტექსტის მინაწერს. რომელიც უფრო საყურადღებოა, ამასთანავე გიდგენთ, რათა იქონიოთ მასზე აქცევილი წარმოდგენა. ამასთანავე მოვალედ ვრაცხ თავს, რომ განვმარტო—ციფრის გასაღები არის ქართული ასოების ქვეშ მიწერილი ციფრი 1-დან 9-მდე, აგრეთვე 20, 30—100-მდე, შემდეგ 299, 300, 400—1000-მდე და დასრულს 2000, 3000 და სხვა ასოების რიცხვის მიხედვით ბოლომდე" (რევოლუციის მატიანე, 1925 წ. № 1, გვ. 85).

როგორც ცნობილია, ჩუდეცკის დასაფლავების დღეს ეგზარხოს პავლეს მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ დიდი მღელვარება გამოიწვია მაშინდელ ქართველ საზოგადოებაში. დიმიტრი ყიფიანმა მოითხოვა ეგზარხოსს დაეკრძალებინა საქართველო, რასაც შედეგად მოჰყვა ყიფიანის გადასახლება სტავროპოლში, სადაც ის მეფის ოხრანკის აგენტებმა მოჰკლეს 1887 წლის 24 ოქტომბერს. დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა გადაიქცა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქართველობის ეროვნულ დემონსტრაციად. მეფის ადგილობრივი მთავრობა უმწეო გამოდგა აიძულებინა დიმიტრი ყიფიანის დამკრძალავი საზოგადოება ჩუმად, გაუხმაურებლად მიებარებინათ მიწისათვის ბრძოლაში დაცემული ეროვნული გმირი. პოლიციამ ვერ შეაკავა დიდი პროცესია, რომელმაც თვითმპყრობელი მთავრობის წინააღმდეგ პროტესტით გაიარა გოლოვინის პროსპექტი და ჭავჭავაძის ქუჩით გაემართა მაწყმინდისაკენ. პროცესიას ხელმძღვანელობდა ვალერიან გუნია.

კონფიდენციალურ მოხსენებაში, შინაგან საქმეთა მინისტრისადმი, მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი ცდილობდა დაეფარა დ. ყიფიანის დაკრძალვის დღის ეროვნული ბრძოლის მნიშვნელობა და პოლიტიკური დიმენსიები. ქართველობის დემონსტრაციას ის უწოდებდა „უწესო დემონსტრაციას", რომელიც თითქოს მოხდა დიმიტრი ყიფიანის ძმისწულის ნოტარიუს ივანე ყიფიანის გამოწვევით და მისი მეთაურობით. „აქ, როგორც ყოველთვის, გამოვიდა საფლავის ორატორი წერეთელი" (საქ. სახელმწიფო არქივი, ფონდი 12. საქმე № 549). ასეთ შეფასებას აძლევდნენ თავიანთი თავის დასაცავად რეაქციონერები ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას საქართველოში, საფლავის ორატორს უწოდებდნენ ისინი ქართველთა ეროვნულ სიამაყეს აკაკი წერეთელს, მაგრამ სწორედ მათი მისამართით წერდა „ივერია" დიმიტრი ყიფიანის მოკვლის გამო: „დიახ, ბატონებო, იგი აღარ არის... გარდაიცვალა, და არ გარდაიცვლებიან მხოლოდ მისი ღვაწლნი, მისი საქმენი... მის თანა კაცხვა ნათქვამი:

„მოკვდა და თვისის ანდერძით
ან ისევ საქმობს მკვდარიო“ („ივერია“ 1887 წ. № 225).

აკაკიც ხომ ამ საქმეს ესიტყვებოდა, რაშიც რეაქცია ხედავდა თავის სასიკვდილო მახვილს. XIX საუკუნის 70—80-იან წლებში ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის სამი ნაკადი გამოირჩეოდა:

ერთი,—რომლის დროშაზე ეწერა „ენა, სარწმუნოება, მიწა-წყალი“, ებუყარებოდა თავადაზნაურულ წრეებს. მას იერიში მიჰქონდა მეფის ადგილობრივ ბიუროკრატიაზე და ეროვნული მეობის შელახვას მხოლოდ ამ ბიუროკრატიის მოქმედებაში ხედავდა. დ. ყიფიანი იყო ამ მიმართულების ბაირალტარი.

მეორე,—წოლებრივ საქართველოს ეროვნულ ძალთა ჰარმონიაში, ქვეყნის ევროპეიზაციის ნიადაგზე, ხედავდა პირობას საქართველოს პოლიტიკური თავისუფლებისათვის და ბრძოლას უცხადებდა მთელ არსებულ პოლიტიკურ წყობილებას. ამ მიმართულების დამცველად და მის ბაირალტრად გამოდიოდა „დროება“-„ივერიის“ გარშემო თავმოყრილ თერგდალეულთა ორომბა ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით.

მესამე ნაკადს შეადგენდა ნაროდნიკული მოძრაობა, რომელიც ერის ხსნის პირობად გლეხთა სრულ ეკონომიურ თავისუფლებას აღიარებდა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. ქართული თეატრი და პრესა ყველა ამ ნაკადებს აერთიანებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ საერთო ბრძოლად რეაქციის წინააღმდეგ. დასობრივი სხვაობა არ უშლიდა ხელს პრესაში ქართველ მოღვაწეთა გაერთიანებას, მით უმეტეს, რომ 1885 წლიდან 1894 წლამდე „ივერია“ იყო ქართული საზოგადოებრივი აზროვნების გამომხატველი ერთადერთი პერიოდული ორგანო.

რეაქცია უტევდა ალორძინების გზაზე შემდგარ ქართულ ეროვნულ კულტურას, რომ მოესპო ივი, რადგან მმართველობის დარგში საქართველოში მას არაფერი ჰქონდა ვასაკეთებელი. არაფერი საქმე ჰქონდა იმიტომ, რომ ის დემოკრატიული ელემენტები, რომლებიც შეიჭრნენ რუსეთის სახელმწიფო წყობილებაში 60-იანი წლების ბურჟუაზიული ლიბერალური რეფორმების შედეგად და რომელთა წინააღმდეგ თვითმპყრობელობის ძველი ფორმების ალსადგენად ტაირაზმა რეაქცია, საქართველოს არ შეხებიან.

ნაროდნიკული ორგანიზაციის განადგურების შემდეგ 1876 წლიდან რევოლუციური მუშაობა საქართველოში ნაროდნიკებს არ შეუწყვეტიათ და, როგორც ვნახეთ, სემინარიაში და მუშათა წრეებში ეს მუშაობა გრძელდებოდა. 80-იან წლებში სემინარიელმა ნაროდნიკებმა დააარსეს ჟურნალი „იმედი“ და დაიწყეს ბრძოლა „ივერია“-„დროების“ წინააღმდეგ. „იმედი“ გამოდიოდა 1881—1883 წლებში. აქ არ შევუდგებით ამ ბრძოლის შესახებ მსჯელობას. აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს:

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი მეცნიერი სემინარიელი ნაროდნიკებიც ისე, როგორც თერგდალეულები და საერთოდ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწენი,

კულტურულ საქმიანობის წარმოებას უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებენ. მაგრამ ნაროდნიკული „იმედი“ ხალხში კულტურული საქმიანობის წარმატების საფუძველს სათანადო ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში ხედავს. პირველად საჭიროა შეიცვალოს ეკონომიურ-პოლიტიკური პირობები და მერე საკითხები, განათლების საკითხები, მაშინვე გადაწყვეტილი იქნებაო.

„სახალხო განათლებისათვის საჭიროა პირველად საზოგადო-პოლიტიკური თავისუფლება—მხოლოდ ამგვარმა თავისუფლებამ შობა ევროპაში სახალხო განათლება და, როდესაც ის თავისუფლება არ იყო, მაშინ არც სახალხო განათლება ყოფილაო“, წერდა „იმედი“ („იმედი“ 1882 წ. № 5, გვ. 9). იგივე „იმედი“ წერდა: „შკოლაზე წინა დგანან: ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური ხასიათის რიგიანი მოწყობილობანი და შემდეგ სასწავლებელი. სანამ კაცობრიობის ბედ-იღბალი იმნაირ გზაზე დგება, რომ ზოგს მეტისმეტი სიმდიდრისაგან ჭკუა-გონება დაკარგული ექნება და უმეტესი ნაწილი კი დღითი-დღე პურის მოპოვების ფიქრში იქნება, შკოლას დიდი მნიშვნელობა არ ექნება. სანამ, ჩვენდა საუბედუროდ, საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ხელფეხი შეკრული გვექნება, ენა მაგრად დაბმული და ჭკუა-გონება დატყვევებული, მანამდის წყალწაღებულსავით ხავსს უნდა ვეკიდებოდეთ, და მცირე იყოს, თუ სასარგებლო რამ დავინახეთ, აღტაცებული მივეგებნეთ. სწორედ ამნაირი გრძნობით მივეგებეთ ჩვენ 1879 წელს ჩვენში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ („იმედი“ 1881 წ., № 5, გვ. 105).

„იმედმა“ რა თქმა უნდა, სწორად გაიგო, რომ სახალხო განათლებისათვის საჭირო იყო სათანადო მატერიალური ბაზა და ხალხის თავისუფლება, მაგრამ, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ეს თავისუფლება, „იმედმა“ ვერ თქვა. „იმედმა“ იცოცხლა სამ წელიწადს. 1884 წლიდან ის აღარ გამოსულა. ამის შემდეგ „იმედის“ სულისჩამდგმელი სემინარიელი ნაროდნიკები (ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი) „ივერიაში“ გადაბარგდნენ. „იმედის“ ჯგუფი ქართველი ნაროდნიკებისა „ივერიაში“ გაითქვიფა. თავიანთი დროში „იმედისტებმა „ივერიას“ დაუთმეს.

70—80-იან წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მან შეასრულა ისტორიული როლი ეროვნული გათვითცნობიერებისა და შეგნების გასაღვივებლად. მანვე ჩაჰყარა სასაძირკვლე აგური ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის, რამაც გასაქანი მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის ნიადაგზე ჰპოვა.

80-იან წლებში მძვინვარე საპროტესტო მოძრაობა 90-იანი წლების დასაწყისში გადაეზარდა საგაფიცკო მოძრაობას. ბრძოლამ ფართო ორგანიზაციული ხასიათი მიიღო. 1893 წლის ნოემბერში სემინარიელები ლ ა დ ო კ ე ც ხ ო ველ ი ს ხელმძღვანელობით ამზადებდნენ გამოსვლებს. სემინარიის ადმინისტრაციას უკვე ჰქონდა ცნობები ქალაქგარეთ საბურთალოზე სემინარიელების შეკრების შესახებ, სადაც სემინარიელ კ ე ც ხ ო ველ თ ან ერთად ხელმძღვანელ ჯგუფში ჩანდა სემინარიიდან გარიცხული მ ი ხ ა ც ხ ა კ ა ი ა. სემინარიის ადმინისტრაცია მოელოდა მოწაფეთა გამოსვლებს 30 ნოემბერს, როცა მან

ლექსიო დღესასწაულთან დაკავშირებით უნდა მოეწოდებინა მოწაფეთა-თვის სააქტო დარბაზში პარაკლისის გადასახდელად.

დადგა ეს დღეც. სემინარიის რექტორის ბრძანებაზე სააქტო დარბაზში გამოცხადდა მხოლოდ 17 კაცი. ცოტა გვიან ინსპექციამ შეამჩნია, რომ სემინარიელები უკვე გოლოვინის პროსპექტზე მიემართებოდნენ. ინსპექტორი ქერახოვსკი, თვითმპყრობელობის ჯაბუში და გაქნილი მზვერავი, ამ დღის შესახებ წერდა ჟურნალში: „იმ დროს, როცა სემინარიაში დაიწყო აქტი, მოწაფეები ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ჯგუფებით გაემართნენ გოლოვინის პროსპექტითა და საქართველოს სამხედრო გზით, გაიარეს „ჯვარი“ და გაიფანტნენ რა მიმდინარეზე, იწყეს ძეკრება და სრულ შეკრებამდე მღეროდნენ ქართულ სიმღერებს. ყველაზე გვიან მოვიდნენ მოწაფეები გაფრინდაშვილი და აბესაძე (IV²), რომელთაც თან ახლდათ უმეტესობისათვის უცნობი გარეშე პირი შემდეგი ნიშნებით: ტანით დაბალი, დიდი, გაწეწილი ულვაშით, ოდნავ შესამჩნევი თხელი წვერით, მაგრამ ნათელი და დიდი ულვაშით. ასაკი ცუდად. სათანადო მონაცემების მიხედვით ეს იყო რექტორ დეკანოზ ფედეცკის დროს ყოფაქცევაში „სამიანით“ სემინარიიდან გარიცხული მოწაფე ბაკაია. ხსენებული გარეშე პირის გამოჩენისთანავე ჩამოვარდა სიჩუმე. მოწაფეები განლაგდნენ მიწაზე. დაიწყო კრება. თავმჯდომარეობდა იგივე გარეშე პირი, რომელმაც დიდი აღფრთოვანებით რუსულად წარმოსთქვა სიტყვა: აუცილებელია ერთი სული, ერთი გული, ერთი აზრით, ისმოდა სიტყვებში. სხდომა, რომელიც დაიწყო დაახლოებით 2 საათზე, გათავდა სალამოს 7 საათზე ადრე ... 3 საათიდან 5 საათამდე სემინარიის შენობაში სრული სიჩუმე მეფობდა თითქმის ყველა მოწაფეების არ ყოფნის გამო“ (საქ. სახ. ცენტრ. საისტორიო არქივი, ფონდი 112, საქმე 1348, ფურც. 179—181).

ეს იყო მხოლოდ პროლოგი გამოსვლებისა, რომლებიც მოხდა მეორე დღეს, პირველ დეკემბერს. სემინარიელები მესამე გაკვეთილის დაწყების დროს გავიდნენ კლასებიდან ეზოში. ყველამ დასტოვა მეცადინეობა, შეიკრიბნენ და იწყეს საპროტესტო სიტყვების წარმოთქმა. რექტორის და ინსპექტორის დაჟინებით მოთხოვნაზე—დაშლილიყვნენ და დაბრუნებულიყვნენ მოწაფეები გაკვეთილზე, სემინარიელები პასუხობდნენ, რომ ისინი გაფიცული არიან. შედგენილია და გაგზავნილი ეგზარხოსის სახელზე მოთხოვნათა ფურცელი. რომელთა დაკმაყოფილებასაც უცდიდა კრება. სემინარიელები წერდნენ: „ბოლოს და ბოლოს მოთმინების ფიალა აივსო, ჩვენ აღარ შეგვიძლია ადამიანის პიროვნების ჩაგვრისა და მისი ზნეობრივი დამონების ატანა. ჩვენ ვბრალობთ და ყოვლად თავაზიან თხოვნაზე რექტორი, რატომ—არ ვუწყით, ციხეში გადასახლებით გვემუქრება... ვიმეორებთ, მეტის ატანა უაზროა და ამიტომ ჩვენ სემინარიის მოწაფენი, ყველანი, მოვითხოვთ:

1. „მამა რექტორმა ხელი აიღოს ჩვენი დევნის სისტემაზე და ზნეობრივ ძალადგინებაზე, რაც შემდეგში გამოიხატება: ჩვენს განცხადებებს ის არ ღებულობს. გვლანძღავს, გვიკრძალავს ქართულად ლაპარაკს, ქართულად გალობას, საერო გაზეთებისა და წიგნების კითხვას. გვიკრძალავს, მაგალითად, დოს-

ტოლვსკის და ტურგენევის ნაწარმოებთა კითხვას. 2. „ნება არ ეძლეოდეს ინსპექტორებს და მასწავლებლებს ჩვენი დაპატიმრების და შეურაცხყოფის. 3. „ზედამხედველები პოკროვსკი და ივანოვი გაძევებულ იქნენ სემინარიიდან. 4. „აღდგენილ იქნას ქართული ენა და ქართული გალობა. 5. „დაარსდეს სემინარიაში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრები. 6. „მოისპოს სემინარიაში ჯაშუშობა" (მარჭს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 31, საქმე 148, ფურც. 10—16).

სემინარიელები მოითხოვდნენ მათი ვანცხადების დაკმაყოფილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სწავლაზე ხელს იღებდნენ. შეიძრა მთელი საეკლესიო და საერო ხელისუფლება, ეგზარხოსი და ეანდარმები გაეშურნენ სემინარიისაკენ. ეგზარხოსის შეკითხვაზე, თუ რად ჯანყობენ სემინარიელები, მოწაფე ა ბ ე ს ა ძ ე მ განაცხადა: „როგორ შეგვიძლია არ ავღელდეთ, როდესაც ჩვენი ერი იღუპება, მას ენას სჭრიანო" (იქვე, ფურც. 17).

გაფიცვა ოთხ დღეს გაგრძელდა. მეოთხე დღეს სემინარიელები მოითხოვდნენ რუსეთის მეფისა და დედოფლის სურათების ჩამოხსნას. მთავრობამ სემინარიელთა გამოსვლა ჩაახშო დიდი ხნის სეპარატისტული მოძრაობის შედეგად, საქართველოს რუსეთისაგან განცალკევების იდეით მონათლა ეს გამოსვლები და სემინარია დახურა. ქანდარმთა სამმართველოს უფროსის მოხსენებაში პოლიციის დეპარტამენტისადმი სემინარიელთა ამ გამოსვლების შესახებ ვკითხულობთ: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მთავარი ხელმძღვანელი იმ მიმართულებისა, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვივება, არის თავადი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე. თავადი ილია ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო ჭკუისა და მდგომარეობის პატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში, საერთოდ, და თავისუფლად მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ დრო და დრო მასთან იმართება კრებები, სადაც არკვევენ სხვადასხვა ხასიათის სოციალურ კითხვებს. უეჭველია, არსებობს მეორეხარისხოვანი პიროვნებანიც, რომელნიც მაცადინეობენ აღელვონ ახალგაზრდობა და შეთავსებინონ აზრი სეპარაციაზე. მათი აღმოჩენა ჩემთვის ჯერჯერობით შეუძლებელია". (რევ. მატიანე, 1925 წ. № 1, გვ. 89).

სემინარიელ მოწაფეთა გამოსვლების მიზეზების, მომზადებისა და მიმდინარეობის სწრაფად გამორკვევის შედეგად სემინარიელები ადმინისტრაციამ ქანდარმთა სამმართველოს თანამშრომლობით დაჰყო სამ კატეგორიად: 1. გამოსვლების ხელმძღვანელები, 2. გამოსვლების აქტიური მონაწილენი და 3. გამოსვლების მხარის დამჭერნი. პირველი და მეორე კატეგორიის მიხედვით გაირიცხა 87 მოწაფე. პირველი კატეგორიის 12 კაცს (და მათ რიცხვში ლ ა დ ო კ ე ც ხ ო ვ ე ლ ს) ეკრძალებოდა სხვა სემინარიაში სწავლის გაგრძელება.

სემინარიელი რევოლუციონერები ახლა უფრო დახელოვნებული კონსპირატორები აღმოჩნდნენ ორგანიზაციული შეტევისათვის, რომლის მაგალითი თვით ლ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი იყო. საქმეში დაკოლია სემინარიის ინსპექტორის დღიური, რომელიც მოწმობს, თუ როგორ უშიშრად ეჭირა თავი მოწაფე ლ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ს სემინარიის ადმინისტრაციის წინაშე და როგორ მოხერ-

ხებულად უხვევდა თვალს იგი ჯაშუშ ინსპექტორს, როცა ეს უკანასკნელი მას იავის ნამდვილ საქმეს გართულს წაასწრებდა. ინსპექტორი წერს: „ჩემგან შენიშნული იყო მოწაფე ვლადიმერ კეცხოველი, რომელიც ამხანაგების ჯგუფში რაღაცას კითხულობდა. მე დაძაბეჭვა აძახ და ვუბრძანე ეჩვენებინა, თუ რას კითხულობდა ის. მაგრამ კეცხოველმა ხელთნაწერი უბის ჯიბეში ჩაიდო, გახტა, ქარგა მანძილით დამცილდა, ამოიღო კვლავ იგი და მომაძახა:—არ მოგცემ, იქვე კი დახია. ამაზე მე ვუპასუხე, რომ მისი მოქცევის შესახებ მოვახსენებდი უფროსს. „ქარგი მოახსენეთ“. უკანასკნელი სიტყვები მოწაფე კეცხოველისაგან წარმოთქმული იყო გამომწვევი და გაბედული ტონით. დილის ლოცვის შემდეგ კეცხოველმა რომელიც მოწვეული იყო განმარტებისათვის, მოგვცა მისი ხელთნაწერის ნახევები. აღმოჩნდა რომ ეს იყო სრულიად უდანაშაულო ხასიათის კერძო წერილი ყოფილი სემინარიელისა კეცხოველისადმი“. (საქ. ცენტრ. ისტორიო არქ. ფ. 112, საქმე 1348 ფურც. 81).

ცხადია, რომ ვლადიმერ კეცხოველმა ჯიბეში შესცვალა ხელთნაწერი იმ ფურცლით, რომლის ნახევები მან ბეც ინსპექტორს წარუდგინა. მიუხედავად იმისა, რომ ლ. კეცხოველს ეკრძალებოდა სწავლის გაგრძელება სხვა სემინარიაშიც, მაინც 1894 წელს მან მოახერხა ჩარიცხულიყო კიევის სასულიერო სემინარიაში, სადაც ის ამ დროიდან განაგრძობდა რევოლუციურ მუშაობას.

თბილისის სასულიერო სემინარიელთა გამოსვლები 1893 წლის დეკემბერში ჩაითვლება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრ გამოხატულებად. ის ჯერ კიდევ არ იყო თავისუფალი ნაროდნიკული გავლენისაგან, რასაც მოწმობს ამ გამოსვლების ერთ-ერთი ხელმძღვანელის მიხა ცხაკაიას წერილი ქართულ ბოლშევიკურ გაზეთ „ბრძოლაში“ 1917 წელს. ლადო კეცხოველისადმი მიძღვნილ გაზეთის მოწინავეში, რომელიც გაყლენთილია გამოჩენილ რევოლუციონერისადმი უღრმესი სიყვარულით, მ. ცხაკაია წერს: „ჩვენო ლადო, სად ხარ ეხლა, დასწრებოდი ამ ნათელ, მზიან დღეებს... მარა არა მარტო შენ მახსენდები იმ შორეულ დროიდან, არა, ძმობილო, შენთან ერთად მახსენდებიან შენი წინამორბედნი გოლა ჩიტაძე და ეგნატე ნინოშვილი... („ბრძოლა“, 1917 წ. № 1, 4 ივნისი).

გოლა ჩიტაძის მოგონება ლადოსთან ერთად იმ დროიდან, ესე იგი 90-იანი წლების დასაწყისიდან, დამახასიათებელია და ნათლად მოწმობს, რომ ნაროდნიკ გოლა ჩიტაძეს წინანდებურად უთმობდა მაშინ მიხა ცხაკაია ეროვნულ-განმათავისუფლებელ დროშას, რადგან თვით მიხას არ ჰქონდა გასწორებული მაშინ, 1893 წელს, ანგარიში თავის ძველ ნაროდნიკობასთან.

1894 წლის სექტემბრისათვის, როცა სემინარიაში განახლდა მეცადინეობა, 411 მოწაფიდან დარჩა მხოლოდ 314 მოწაფე. II, III, IV კლასის პარალელური კლასები დაიხურა. მთავრობამ საჭიროდ დაინახა ყველა სემინარიელისათვის სავალდებულოდ გაეხადა სემინარიის საერთო საცხოვრებელში ცხოვრება. მანამდე საერთო საცხოვრებელში აცხოვრებდნენ მხოლოდ ამ მოწაფეებს, რომლებიც ირიცხებოდნენ სახაზინო ხარჯზე. ამიერიდან საერთო საცხოვრე-

ველი ეხებოდა ყველას. ეს ზომა საჭირო გახდა მთავრობისათვის, რომ როგორმე თავიდან აეცილებინა მოწაფეებზე საზოგადოებრივი გავლენა, რითაც ის ხსნიდა 1893 წლის გამოსვლებს, რომ სემინარიაში გარედან მოსულმა მოწაფეებმა გამოიწვიეს და გააადვილეს, მისი აზრით, მოწაფეთა მღელვარება (საქ. ცენტრ. საისტორიო არქივი, ფონდი 112, საქმე № 1329, ფურც. 42—62.) ახლა ალარაფერი უშლიდა ხელს სემინარიის ადმინისტრაციას მოეწესრიგებინა დილის, შუადღის და სალამოს ლოცვა, ღამისთევა—ლიტანია, რადგან ყველა სემინარიელებზე უკვე საერთო საცხოვრებლიდან და თვით საერთო საცხოვრებელში აწარმოებდა ის ზვერვას. მას არაფერი უშლიდა ხელს უფრო მკაცრად გაეტარებინა ისეთი დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ზომები, როგორიც იყო მოწაფეთა სისტემატური ჩხრეკა, დასმენა, ჯგუფური გაბაასების აკრძალვა.

ისევ კონდუიტი და ამას მივუმატოთ კიდევ კარცერი, რომელნიც ერთად და ცალ-ცალკე ატყვევებდნენ ყმაწვილის მჩქეფარე და მებრძოლ სულს, აყენებდნენ მას მორალურ ტკივილებს.

ასეთი იყო თბილისის სასულიერო სემინარია მისი არსებობის 77 წლისთავზე, 1894 წელს. როცა იქ ფეხი შედგა სრულიად ახალგაზრდა **სტალინმა**— 15 წლის ს ო ს ო ჯ უ ღ ა შ კ ი ლ მ ა.

ამ დროიდან თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა რევოლუციური მოძრაობა ნაროდნიკული პოზიციებიდან სოციალ-დემოკრატიულ პოზიციებზე გადადის. ამ დროიდან სემინარიელთა მოძრაობა წლების მანძილზე განუყრელად დაკავშირებულია ახალგაზრდა სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან, რაც გარდატეხას ახდენს საზოგადოებრივ პოლიტიკურ მოძრაობაში 90-იანი წლების ბოლოს და 900-იანი წლების დასაწყისში მთელი საქართველოსა და ამიერკავკასიის მასშტაბით. მაგრამ ეს უკვე ცალკე მოხსენების საგანი შეიძლება იყოს.

1901 წელს, 22 აპრილს, როცა ახალგაზრდა **სტალინის** ხელმძღვანელობით საქართველოს მუშათა კლასმა თავის მძლავრ დემონსტრაციაზე, **თბილისში,** პირველად აღმართა დემოკრატიისა და სოციალიზმის წითელი დროშა, **ქართველი** ინტელიგენციიდან მასთან ერთად იდგნენ სემინარიელები. **თბილისის** სემინარია, რომელმაც მუშათა კლასს ახალგაზრდა **სტალინი** მისცა, ამ დროსაც ითვლებოდა რევოლუციონერთა ბუდედ. ეს დემონსტრაციაც იყო პროლოგი იმ დიდი ბრძოლებისა, რომლებმაც საქართველოს, სხვა დიდებასთან ერთად, მოუპოვეს ეროვნული თავისუფლებაც.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. XI. 10).

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 194-
ТРУДЫ ТБИЛИССК. ГОСУДАРСТВ. УНИВЕРСИТЕТА им. СТАЛИНА, XXXIV, 194-

ნ. დგებუაძე

ეკონომიურ ფაქტორთა გავლენის გამოკვლევის ძირითადი საკითხები

ეკონომიურ ფაქტორთა გავლენის გამოკვლევა შეიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

1. გამოსაკვლევ სამეურნეო მოვლენაზე მოქმედ ცალკეულ ფაქტორთა გავლენის გაზომვის ერთი მთლიანი მეთოდისა და მის საფუძველზე საერთო, ზოგადი ხერხებისა და წესების ჩამოყალიბება;

2. ამ ფაქტორთა ურთიერთმოქმედებისა და ზეგავლენის შესაძლებელ კომბინაციათა განსაზღვრა და

3. ყველა სხვა არსებულ მეთოდთან და ხერხებთან შედარებით საფუძვლად აღებული მეთოდისა და ხერხების თანაბარი ან მეტი ეფექტურობისა და სხვა უპირატესობათა ნათელყოფა და ყველა სხვა, მანამდე გამოყენებული მეთოდისა და ხერხის კრიტიკული შეფასება.

აღნიშნულ საკითხთაგან ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ ორ პირველ საკითხს.

მარქსიზმ-ლენინიზმის უმდიდრეს საგანძურში — მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის შრომებში — მოცემული გვაქვს ძირითადი ხელმძღვანელი იდეები, გამოსავალი, ფუძემდებელი პრინციპული მითითებები და თვით ანალიზურ გაანგარიშებათა შეუდარებელი ნიმუშები, რაც მტკიცე და ურყევ საფუძველს შეადგენს იმისათვის, რომ აგებულ იქნას ეკონომიურ ფაქტორთა გავლენის გამოკვლევის მთელი მეთოდოლოგია და მეთოდიკა.

ეს მეთოდიკა შემდეგ შეიძლება და უნდა ფართოდ იქნას გამოყენებული სოციალისტურ საწარმოთა ეკონომიკის ანალიზის დროს.

მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა მითითებების თანახმად ცალკეულ ფაქტორთა გავლენის გამოკვლევის ძირითადი მეთოდია ყველა შემთხვევაში თითო გამოსაკვლევ ფაქტორს გარდა ყველა დანარჩენი ფაქტორის გავლენის თანმიმდევრობით გამორიცხვა ანუ გამოთიშვა.

ეს გამოთიშვა მიიღწევა ყველა დანარჩენი ფაქტორის აღებით „უცვლელ პირობებში“ და მხოლოდ ერთი, გამოსაკვლევი ფაქტორის მნიშვნელობის (სიდიდის) შეცვლით.

გამოთიშვის ეს ხერხი არის როგორც თვით განმსაზღვრელი ფაქტორის გამოვლენის, ისე მისი გავლენის გაზომვის საშუალებაც.

თავის შესანიშნავ ნაშრომში „სოციალიზმის კიდევ ერთი განადგურება“ ვ. ი. ლენინი ეკამათვერება რა სტრუვეს მცდარ, არამეცნიერულ დებულებებს, შენიშნავს:

„შეიძლება მოინახოს ათასობით საქონელი და ასობით განყოფილება ან პერიოდი მისი ფასების ისტორიიდან, როდესაც შესაძლებელი ხდება მოცილებულ იქნას ყველა და ყოველგვარი გარეშე ფაქტორის გავლენა — გარდა შრომის „ფაქტორისა“ — და როდესაც გვაქვს ზუსტი მონაცემები შრომის ამ რაოდენობის შესახებ, რომელიც მოცემული სახის საქონლის წარმოებაზე გამოიყენება“ [1].

საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობის ცვალებადობა არის ფასების ცვალებადობის საფუძველი. ყველა დანარჩენი ფაქტორის გავლენა შეიძლება მოცილებულ, გამორიცხულ ან გაბათილებულ იქნას.

ცალკეულ ფაქტორთა გავლენის გაზომვა ხდება იმგვარად, რომ „რიგრიგობით გამოვიკვლიოთ თითოეული მათგანის განკერძოებული ზემოქმედება“ [2], ამისთვის კი „რიგრიგობით თითოეულ ფაქტორს განვიხილავთ როგორც ცვალებადს, ხოლო დანარჩენებს — როგორც მუდმივს“ [3].

ფაქტორთა ასეთი განხილვა „ხდება მხოლოდ მეთოდოლოგიურად, ხელოვნურად, მხოლოდ შესწავლის გასაადვილებლად“ (ი. სტალინი).

მარქსის უკვდავ „კაპიტალში“ მოცემულია ცალკეულ ფაქტორთა გავლენის გაანგარიშების ბევრი შესანიშნავი ნიმუში. მაგალითად, მარქსს გამოჰყავს ოგების ნორმის ერთ-ერთი განტოლება $p' = m' \frac{v}{c}$ და შენიშნავს: „ახლა ჩვენ გადავიდეთ იმაზე, რომ მოგების ზემოაღნიშნული განტოლება $p' = m' \frac{v}{c}$ სხვადასხვა შესაძლებელი შემთხვევებისთვის გამოვიყენოთ. $m' \frac{v}{c}$-ის ცალკე ფაქტორებს რიგრიგით ჩვენ მათ ღირებულებას გამოვაცვლევინებთ და განვსაზღვრავთ ამ ცვლილებათა გავლენას მოგების ნორმაზე“... თვით ამ ცვლილებათა გავლენის გამორკვევა კი ხდება შემდეგი წესით: „ნაშრავლს $m' \frac{v}{c}$ ჩვენ ვანაწილებთ მის ორსავე ფაქტორად: m'-ად და $\frac{v}{c}$-დ; პირველად m'-ს ჩვენ მივიჩნევთ მუდმივ სიდიდედ და გამოვიკვლევთ $\frac{v}{c}$-ის შესაძლებელ ცვლილებათა გავლენას; შემდეგ წილადს $\frac{v}{c}$-ს ჩვენ მივიჩნევთ მუდმივ სიდიდედ და m'-ს განვაცდევინებთ შესაძლებელ ცვლილებებს; დასასრულ, ჩვენ ყველა ფაქტორს ცვალებადად მივიჩნევთ და მით ამოვწურავთ ყვე-

---

[1] В. И. Ленин, Сочинения, т. 20, изд. 4-ое, стр. 185; (სიტყვა „მოცილებულ“ ბაზგასმულია ჩვენ მიერ — ნ. დ.).

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, 1, გვ. 32.

[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 472.

ლა შემთხვევას, რომლებიდანაც შესაძლებელია მოგების ნორმის კანონები იქნეს გამოყვანილი“ [1].

მარქსი იკვლევს და ადგენს კანონებს, რომლებსაც ექვემდებარება გამოსაკვლევი მოვლენის, ჩვენს მაგალითში მოგების ნორმის, ცვლილება მისი განმსაზღვრელი სხვადასხვა ფაქტორის — ზედმეტი ღირებულების ნორმისა, ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის სიდიდისა და მათი შეფარდების ცვლილებებთან დაკავშირებით. „კაპიტალში“ ამგვარი კანონების სახით გამოკვლეულია ზედმეტი ღირებულების ნორმისა და მასის ურთიერთობა, სამუშაო ძალის ფასისა და ზედმეტი ღირებულების ცვლილებები და სხ. მაგრამ „კაპიტალი“ ამას გარდა ცალკეულ განმსაზღვრელ ფაქტორთა გავლენის სიდიდის გაანგარიშების ნიმუშებსაც გვაძლევს. მაგალითად, როდესაც იკვლევა მოგების ნორმის ცვლილება მუდმივი კაპიტალი c-ის და მასთან ერთად ერთობლივი კაპიტალი C-ის სიდიდის სხვადასხვაობის შესაბამისად.

აქ განმსაზღვრელი ფაქტორის გავლენა წარმოგვიდგება როგორც გამოსაკვლევი ეკონომიური მოვლენის — მოგების ნორმის — სიდიდეთა სხვაობა. მარქსის მიერ განხილული მაგალითის თანახმად, პირველად ერთობლივი კაპიტალი გახდა 200 ნაცვლად 150-ისა. ამ რიცხვთა %-ული შეფარდება 200×100 : 150 = 133,33. ამდენჯერვე უნდა შემცირდეს მოგების ნორმაც, რომელიც იყო 66 ⅔ %. მოგების ახალი ნორმა გახდება 66 ⅔ : 133,33 = 50 %; ან სხვანაირად: ერთობლივი კაპიტალის გადიდება 50-ს უდრის (200 — 150), რაც ამ კაპიტალის ახალი სიდიდის მიმართ შეადგენს 50×100 : 200 = 25 %-ს. ამაევე პროცენტით შემცირდება მოგების პირვანდელი ნორმაც: 66 ⅔×25 : 100 = 16 ⅔. ეს არის ერთობლივი კაპიტალის სიდიდის შეცვლის გავლენა; იგი მიიღება ასეთი გზითაც: 66 ⅔ − 50,0 = 16 ⅔ % და ა. შ.

ფაქტორთა გავლენის გამოკვლევის ზემოდახასიათებული მეთოდი შეიცავს შემდგომი კვლევის საფუძველს.

ამ მეთოდის გამოყენების ხერხი ბევრნაირია, მაგრამ ფაქტორთა გავლენის გაანგარიშებისას ყველა ეს ხერხი არსებითად შეიძლება დაყვანილ იქნას მხოლოდ ორ ხერხზე. ესენია:

1. გაშლილი სხვაობის ხერხი, რომელსაც საწარმოთა ეკონომიკის ანალიზში ჯაჭვური ჩასმის ხერხი ეწოდება, და

2. შეკუმშული სხვაობის ხერხი, რომელსაც სიმოკლისათვის შეგვიძლია ვუწოდოთ სხვაობის ხერხი.

ეს ორი ძირითადი ხერხი გამოიყენება იმისდა მიუხედავად, ვაწარმოებთ ჩვენ მოქმედებებს აბსოლუტურ თუ პროცენტულ რიცხვებზე და იმისდა მიუხედავად, თუ როგორია ურთიერთობა განმსაზღვრელ ფაქტორსა და გამოსაკვლევ სამეურნეო მოვლენას შორის — პირდაპირ თუ შექცევით პროპორციული. აქ მხოლოდ მხედველობაშია მიღებული, რომ პროცენტული რიცხვები გამოსახავენ თანაფარდობას, რომლის მხოლოდ შესაბამისი გამოყენების საფუძველზე მიიღება საჭირო აბსოლუტური რიცხვები.

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, 1, გვ. 27 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — ა. ფ.).

ამა თუ იმ გამოსაკვლევ სამეურნეო მოვლენაზე მოქმედ ფაქტორთა გავლენის გაზომვა, რომელი ხერხიც არ უნდა იქნეს ამ დროს გამოყენებული, შეიძლება შემდეგი სამი ძირითადი მიმართულებით:

1. პირდაპირი მიმართულებით, — ცალკეული ფაქტორების რიცხობრივ მნიშვნელობათა ცვლილებებიდან (გადიდება — შემცირებიდან) ან მათი გავლენის რიცხობრივი სიდიდიდან გამოსაკვლევი სამეურნეო მოვლენის ფაქტიური რიცხობრივი მნიშვნელობისაკენ;

2. შექცეული მიმართულებით, — გამოსაკვლევი სამეურნეო მოვლენის ფაქტიური მნიშვნელობიდან ცალკეულ ფაქტორთა გავლენის რიცხობრივი მნიშვნელობისაკენ; და

3. წინა ფაქტორის გავლენის რიცხობრივი მნიშვნელობიდან მომდევნო ფაქტორის გავლენის რიცხობრივი მნიშვნელობისაკენ.

ცალკეულ ფაქტორთა გავლენის გაზომვის რომელი ხერხიც, რა მიმართულებით, რა რიცხვების მიმართ და რა ურთიერთობის დროსაც არ უნდა გამოიყენოთ, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მარტივი და ზოგადი, თეორიულად დასაბუთებული, ხოლო პრაქტიკულად ადვილი და მოქნილი წესები.

მაგრამ ვიდრე ამ წესების ჩამოყალიბებას შევუდგებოდეთ, საჭიროა მოვიყვანოთ კონკრეტული ციფრობრივი მასალა, რომლის საფუძველზედაც უნდა ვიმუშაოთ ცალკეულ ფაქტორთა გავლენის გაანგარიშება და ფაქტორთა ერთის ურთიერთობის შესაძლებელ კომბინაციათა დახასიათება.

საჭირო ციფრობრივი მასალა მოცემულია ქვემოთმოყვანილ ცხრილში:

№ № რიგზე	ფაქტორები	გეგმით	ფაქტიურად	აბსოლუტური სხვაობა + —	გეგმის შესრულების %
		1	2	3	4
1	მუშათა საშუალო—წლიური რაოდენობა	993	1.095	+102	110.272
2	1 მუშის მიერ წლის განმავლობაში ნამუშევარი დღეები	285	279	—6	97.895
3	1 მუშის მიერ დღის განმავლობაში ნამუშევარი საათები	7.845	7.575	—0,27	95.558
4	1 მუშის საშუალო—საათობრივი გამომუშაება (უცვლელ ფასებში, ბანეთობით)	3.444	3 729	+0,285	108.273
5	მთლიანი პროდუქცია 1926/27 წლის უცვლელი ფასებით ათას მანეთობით	7.645	8 628	+983	112.858

ქვემოთ ჩამოყალიბებულია რამდენიმე ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც ამ კონკრეტულ ციფრობრივ მონაცემთა მიხედვით ხდება ცალკეულ ფაქტორთა გავლენის გაზომვა. ეს წესები შემდეგია:

გაშლილი სხვაობის ხერხის მიხედვით გამოსაკვლევი განმსაზღვრელი ფაქტორის გავლენა ყოველთვის უდრის ამ განმსაზღვრელი ფაქტორისა და ყველა მის წინა ფაქტორის ფაქტიურ მნიშვნელობას, გამრავლებულს ყველა მომდევნო ფაქტორის საგეგმო მნიშვნელობაზე, მინუს ყველა წინა ფაქტორის ფაქტიური მნიშვნელობა, გამრავლებული განმსაზღვრელი ფაქტორისა და ყველა მომდევნო ფაქტორის საგეგმო მნიშვნელობაზე.

შეკუმშული სხვაობის ხერხის მიხედვით ეს წესი ასეთ სახეს მიიღებს: ყოველი გამოსაკვლევი განმსაზღვრელი ფაქტორის გავლენა უდრის სხვაობას სწორედ ამ გამოსაკვლევი ფაქტორის ფაქტიურ და საგეგმო მნიშვნელობას შორის, გამრავლებულს ყველა წინა ფაქტორის ფაქტიურ მნიშვნელობაზე და ყველა მომდევნო ფაქტორის საგეგმო მნიშვნელობაზე.

როდესაც ამ ფორმულებს პროცენტების საშუალებით გამოვსახავთ, მივიღებთ ასეთ მარტივ წესებს:

თითოეული გამოსაკვლევი განმსაზღვრელი ფაქტორის პროცენტებში გამოსახული გავლენა უდრის:

გაწლილი სხვაობის წესით:

გამოსაკვლევი განმსაზღვრელი ფაქტორისა და ყველა მის წინა ფაქტორის ხაზით გეგმის შესრულების პროცენტს, მინუს მხოლოდ მის წინა ფაქტორების ხაზით გეგმის შესრულების პროცენტი.

შეკუმშული სხვაობის წესით:

გამოსაკვლევი განმსაზღვრელი ფაქტორის ხაზით გეგმის გადაჭარბების ან ნაკლებ შესრულების პროცენტს. გამრავლებულს ყველა წინა ფაქტორის ხაზით გეგმის შესრულების პროცენტზე.

ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოყალიბებული წესებიდან გამომდინარეობს, რომ ამა თუ იმ ფაქტორის გავლენა უდრის გამოსაკვლევი სამეურნეო მოვლენის გამოსავალ საბაზისო აბსოლუტურ სიდიდეს, პლუს ყველა წინა ფაქტორის გავლენის აბსოლუტურ სიდიდეთა ჯამი, გამრავლებული განმსაზღვრელი ფაქტორის ხაზით გეგმის გადაჭარბებით ან ნაკლებ შესრულების პროცენტზე.

ამ წესის თანახმად ცალკეულ განმსაზღვრელ ფაქტორთა გავლენა უდრის:

1. პირველი ფაქტორის — მუშათა რაოდენობის — შეცვლის გავლენა:

ა. აბსოლუტური რიცხვებით: $7645 \times 10{,}272\% = 785$ ათ. მან.;

ბ. პროცენტებით: $100 \times 10{,}272 = 10{,}272\%$.

2. მეორე ფაქტორის — მუშის მიერ წლის განმავლობაში ნამუშევარი დღეების — შეცვლის გავლენა:

ა. აბს. რიცხვებით: $(7645 + 785) \times (-2{,}105) = -160{,}9 - 16{,}4 = -177$ ათ. მან.;

ბ. პროცენტებით: $(100 + 10{,}272) \times (-2{,}105) = -2{,}105 - 0{,}217 = -2{,}322\%$.

3. მესამე ფაქტორის — მუშის მიერ დღის განმავლობაში ნამუშევარი საათების — შეცვლის გავლენა:

ა. აბსოლუტური რიცხვებით: $(7645 + 785 - 177) \times (-3{,}442) = -263{,}1 + -27{,}0 + 6{,}1 = -263{,}1 - 20{,}9 = -284$ ათ. მან.;

ბ. პროცენტებით: $100{,}0 + 10{,}272 - 2{,}322) \times (-3{,}442) = -3{,}442 + 0{,}354 + 0{,}080 = -3{,}442 - 0{,}274 - 3{,}716\%$.

4. მეოთხე ფაქტორის — მუშის საშუალო საათობრივი გამომუშავების — შეცვლის გავლენა:

ა. აბსოლუტური რიცხვებით: (7645+785—177—2ª4)×8,273=+632+ +65,0—14,6—23,4=+632+27=+659 ათ. მან.;

ბ. პროცენტებით: (100+10,272—2,322—3,716)×8,273=8,273+ +0,850—0,192—0,307=+8,273+0,351=+8,624%.

ჩვენ აქ სპეციალურად არ ვიკვლევთ შემთხვევებს, როდესაც იცვლება ბაზა—გამოსაკვლევი მოვლენის აბსოლუტური სიდიდე. როგორც აღვნიშნეთ, შეცვლილი ბაზა შეიძლება იყვეს ან წინა ფაქტორის გავლენის აბსოლუტური სიდიდე, ან გამოსაკვლევი სამეურნეო მოვლენის ფაქტიური მოცულობა, ან რომელიმე სხვა შუალედური მაჩვენებელი. ყოველგვარი რთული გაანგარიშების თავიდან ასაცილებლად ასეთ შემთხვევაში აუცილებელია პირველ რიგში გამოვარკვიოთ რა შეფარდებაში იმყოფება ეს ახალი ბაზა პირველ გამოსაყვანი ბაზასთან. ხოლო რადგანაც ცალკეულ ფაქტორთა გავლენის აბსოლუტური სიდიდე უცვლელი რჩება, ვიდრე ამ ფაქტორის ადგილი სხვა ფაქტორთა ცვალებადობის პროცესში არ შეცვლილა, ამიტომ საჭირო შედეგის მისაღებად საკმარისია სწორედ შებრუნებული შეფარდებით შევცვალოთ ამათუიმ განსაზღვრელი ფაქტორის გავლენის გამოსავალი პროცენტი. ასე, მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ მეორე ფაქტორის გავლენის პროცენტი, ვიდრე მისი ადგილი სხვა ფაქტორთა ცვალებადობის პროცესში არ შეცვლილა, უდრის —2,105×110,272=—2,322%-ს. ეს პროცენტი გამოსაკვლევი სამეურნეო მოვლენის საბაზისო მოცულობის მიმართ შეადგენს 7645×(—2,322)= =—177 ათას მანეთს. მაგრამ, ვთქვათ, შევცვალეთ ბაზა. გამოსაკვლევი სამეურნეო მოვლენის საბაზისო მოცულობის, 7645 ათას მან.-ის, ნაცვლად ავიღეთ მისი ფაქტიური მოცულობა 8628 ათას მან. პირვანდელი მოცულობა გადიდდა. ახალი მოცულობა შეადგენს გამოსავალი ბაზის 112,858%-ს. ცხადია, ამ ახალი ბაზიდან ფაქტორის გავლენის წინანდელი სიდიდის მისაღებად ფაქტორის გავლენის პროცენტი —2,322 უნდა გაიყოს 112,858-ზე, რაც მოგვცემს 2,052%-ს. 8.628×(—2,052%) შეადგენს —177 ათას მანეთს.

ან და კიდევ ვთქვათ ახალ ბაზად ავიღეთ წინა ფაქტორის გავლენის აბსოლუტური სიდიდე, მაგალითად, 785 ათ. მან. იგი პირვანდელ გამოსაყვანი ბაზასთან შედარებით ნაკლებია $\frac{7645}{735}$=9,739-ჯერ. ცხადია, იმისათვის, რომ ფაქტორის გავლენის აბსოლუტური სიდიდე უცვლელი დარჩეს, ამ განმსაზღვრელი ფაქტორის გავლენა, პროცენტულად გამოსახული, უნდა გადიდდეს იმდენჯერ, რამდენჯერაც შემცირდა გამოსავალი ბაზა. განმსაზღვრელი ფაქტორის ახალი გავლენა იქნება —2.322×9,739=—22,614; 785×(—22,614)= =—177 ათ. მან. და ა. შ.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხია ფაქტორთა გაელენის შესაძლებელი კომბინაციები.

მარქსი არაერთგზის აღნიშნავს, რომ ფაქტორთა გავლენის გამოკვლევის დროს[1]. „... შესაძლებელია მეტად სხვადასხვაგვარი კომბინაციები, სახელ-

[1] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 464.

ეობრ: როდესაც ერთი ამ სამ ფაქტორთაგანი მუდმივია, ხოლო ორი — ცვალებადი, ან ორი მუდმივია და ერთი ცვალებადი, ანდა, ბოლოს, — სამივე იმავდროულად ცვალებადია. ამ კომბინაციების რიცხვი იზრდება კიდევ იმის გამო, რომ სხვადასხვა ფაქტორებას იმავდროული ცვლილების დროს ამ ცვლილების სიდიდე და მიმართულება შეიძლება სხვადასხვა იყოს...“.

მეორე ადგილას მარქსი ფაქტორთა გავლენის გამოკვლევის დროს კიდევ შენიშნავს:

„ცხადია, აქ მრავალი კომბინაცია არის შესაძლებელი. შეიძლება ცვლილებას განიცდიდეს ორი ფაქტორი და ერთი უცვლელი რჩებოდეს, ანდა შეიძლება სამივე განიცდიდეს ცვლილებაა იმავდროულად. ისინი შეიძლება იცვლებოდნენ ერთი და იმავე ან სხვადასხვა ხარისხით, ერთი და იმავე ან ერთი მეორის საწინააღმდეგო მიმართულებით, ამიტომ მათი ცვლილებანი შეიძლება ერთმანეთში ნაწილობრივ ან სრულიად გაბათილდნენ...“ [1]

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სხვადასხვა ფაქტორი „შეიძლება სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა პროპორციით იცვლებოდეს“, ამიტომ გამოსაკვლევმა ფაქტორმა და მასზე დამოკიდებულმა საძიებურნო მოვლენამ „შეიძლება ფრიად მრავალი კომბინაცია განიცადოს“.

მასთან „ამ სხვადასხვა ფაქტორების ვარიაციები შეიძლება ერთმანეთს აბათილებდეს“ [2].

ჩვენს კონკრეტულ ციფრობრივ მაგალითში ფაქტოროა კომბინაციების საკითხი ასე წარმოგვიდგება: ვინაიდან სულ 4 ფაქტორია, ხოლო თითოეულ ჯგუფს თანმიმდევრობით მხოლოდ 4 ადგილი უჭირავს, ამიტომ ყველა ფაქტორის ხაზით შესაძლებელია მიღებულ იქნას მხოლოდ 16 ისეთი მწკრივი, რომელთაგან თითოეულში წინა მწკრივთან შედარებით ერთი რომელიმე ფაქტორის მნიშვნელობა არის განსხვავებული.

ამ მწკრივების თანმიმდევრობის ნათლად წარმოდგენის მიზნით მივიღოთ ასეთი პირობითი ნიშნები: თითოეული მოქმედი განმსაზღვრელი ფაქტორის საგეგმო მნიშვნელობა (=100%-ს) აღვნიშნოთ ასოთი **ბ**. ხოლო ფაქტიური მნიშვნელობა ასოთი **შ**, მივიღებთ ასეთ 16 მწკრივს:

№ № რიგებ.	ფაქტორთა თანმიმდევრობა და მნიშვნელობა				№ № რიგებ.	ფაქტორთა თანმიმდევრობა და მნიშვნელობა				№ № რიგებ.	ფაქტორთა თანმიმდევრობა და მნიშვნელობა			
	I	II	III	IV		I	II	III	IV		I	II	III	IV
1	ბ	ბ	ბ	ბ	6	ბ	შ	შ	შ	11	შ	ბ	შ	შ
2	შ	ბ	ბ	ბ	7	ბ	ბ	შ	შ	12	შ	ბ	ბ	შ
3	შ	შ	ბ	ბ	8	ბ	ბ	ბ	შ	13	ბ	ბ	შ	ბ
4	შ	შ	შ	ბ	9	ბ	შ	ბ	ბ	14	ბ	შ	ბ	შ
5	შ	შ	შ	შ	10	ბ	შ	შ	ბ	15	შ	ბ	შ	ბ
										16	შ	შ	ბ	შ

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 472.

[2] იქვე, გვ-გვ. 84 და 85.

ამ 16 მწკრივიდან შესაძლებელია მიღებულ იქნას თითოეული ფაქტორის ხაზით 24 სხვადასხვაგვარი დაპირისპირება; რადგანაც დასაპირისპირებელ მწკრივთა რაოდენობა სულ 16-ია, ხოლო ყოველი წყვილი მწკრივიდან რომელიმე გამოსაკვლევი ფაქტორის გავლენის მხოლოდ ერთი სიდიდე მიიღება. ამიტომ, ცხადია, რომ თითოეული ფაქტორის ხაზით სულ მიღებული იქნება მისი გავლენის 8 განსხვავებული მნიშვნელობა ან სიდიდე:

ამ კომბინაციათა მიხედვით თითოეული ფაქტორის გავლენა, სხვა ფაქტორთა გავლენასთან დაკავშირებული, ზემოჩამოყალიბებული ზოგადი წესების თანახმად ასეთ სიდიდეებს გვაძლევს:

შესაძლებელ კომბინაციათა რაოდენობა

№ № რიგებ	ფაქტორების დასახელება				
	I მუშათა რაოდენობა	II 1 მუშის მიერ წლის განმავლობაში ნამუშევარი დღეები	III ერთი მუშის მიერ დღის განმავლობაში ნამუშევარი საათები	IV ერთი მუშის საშუალო საათობრივი გამომუშავება	ყველა ფაქტორის გავლენის ჯამი (პროცენტებით)
	1	2	3	4	5
1	+10,272	—2,322	—3,716	+8,624	+12,858
2	+10,272	—2,322	—4,023	+8,931	+12,858
3	+10,272	—2,427	—4,109	+9,122	+12,858
4	+10,272	—2,427	—3,796	+8,809	+12,858
5	+10,272	—2,242	—3,796	+8,624	+12,858
6	+10,272	—2,513	—4,023	+9,122	+12,858
7	+10,055	—2,105	—3,716	+8,624	+12,858
8	+10,055	—2,105	—4,023	+8,931	+12,858
9	+9,709	—2,105	—3,370	+8,624	+12,858
10	+9,709	—2,033	—3,442	+8,624	+12,858
11	+10,888	—2,105	—4,023	+8,098	+12,858
12	+10,888	—2,280	—4,023	+8,273	+12,858
13	+10,513	—2,105	—3,370	+7,820	+12,858
14	+10,513	—2,105	—3,648	+8,098	+12,858
15	+10,513	—2,280	—3,648	+8,273	+12,858
16	+10,513	—2,201	—3,727	+8,273	+12,858
17	+10,513	—2,201	—3,442	+7,988	+12,858
18	+10,513	—2,033	—3,442	+7,820	+12,858
19	+9,918	—2,242	—3,442	+8,624	+12,858
20	+9,918	—2,427	—3,442	+8,809	+12,858
21	+10,739	—2,427	—3,442	+7,988	+12,858
22	+10,739	—2,427	—3,727	+8,273	+12,858
23	+11,121	—2,427	—4,109	+8,273	+12,858
24	+11,121	—2,513	—4,023	+8,273	+12,858

აქ მოყვანილი გაანგარიშებები ერთგვარად სქემატურია, მაგრამ დროისა და ადგილის დიდ ეკონომიას იძლევა.

ეს ცხრილი საშუალებით თვალსაჩინოს ხდის იმ გარემოებას, რომ რამდენიმე ფაქტორის მოქმედების პირობებში თითოეული განმსაზღვრელი ფაქტორის გავლენას განსაზღვრავს ამ ფაქტორის ადგილი ცვალებადობის პროცესში და მის წინ შეცვლილ ფაქტორთა ხაზით გეგმის შესრულების რიცხობრივი მნიშვნელობა (პროცენტი).

როდესაც ამა თუ იმ განმსაზღვრელ ფაქტორს ცვალებადობის პროცესში პირველი ადგილი უჭირავს, მაშინ ყველა მის წინ მოქმედ ფაქტორთა სიდიდე მიღებულია 1-ის ანუ 100%-ის ტოლად. რადგან ყოველი რიცხვი 1-ზე გამრავლებული გვაძლევს კვლავ იმავე რიცხვს, ამიტომ როდესაც ამა თუ იმ განმსაზღვრელ ფაქტორს პირველი ადგილი უჭირავს, მაშინ ამ ფაქტორის ხაზით გეგმის გადამეტების პროცენტი და გავლენის პროცენტი ერთიმეორეს საშუალებით ემთხვევა.

როდესაც რომელიმე აღებულ განმსაზღვრელ ფაქტორს ცვალებადობის პროცესში უჭირავს მეორე ადგილი, მაშინ დანარჩენ ფაქტორთაგან მის წინ იქნება ერთ-ერთი რომელიმე. სულ ოთხი ფაქტორის მოქმედების პირობებში ამ ფაქტორის წინ იქნება ერთ-ერთი დანარჩენი სამი ფაქტორიდან. ამრიგად, აქ სამ შესაძლებლობასთან გვაქვს საქმე.

იმ შემთხვევაში, როდესაც განმსაზღვრელ გამოსაკვლევ ფაქტორს უჭირავს მესამე ადგილი, ცხადია მის წინ გვექნება დანარჩენი სამიდან რომელიმე ორი ფაქტორის ნამრავლი სხვადასხვა კომბინაციით, ამიტომ აქაც საქმე გვაქვს სამ შესაძლებლობასთან.

დასასრულ, როდესაც ამა თუ იმ განმსაზღვრელ ფაქტორს უჭირავს უკანასკნელი, მეოთხე ადგილი, მაშინ მის წინ ერთად მოქმედებს ყველა დანარჩენი სამი ფაქტორი. ცხადია, რადგანაც ამ ფაქტორების სიდიდეთა გადამრავლების დროს მათ კომბინაციას მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ აქ თითოეული ფაქტორის მიმართ მხოლოდ ერთი შესაძლებლობა არსებობს.

ამრიგად, თითოეული ფაქტორის გავლენას შეიძლება სულ ჰქონდეს 8 მნიშვნელობა; რადგანაც ამ გავლენის ცვალებადობა დანარჩენი სამი ფაქტორის სიდიდეზეა დამოკიდებული, ამიტომ ოთხი ფაქტორის მოქმედების პირობებში სულ შესაძლებელია $8 \times 3 = 24$ კომბინაცია.

თითოეული ფაქტორის გავლენის აბსოლუტური სიდიდე დამოკიდებულია, ამრიგად, ფაქტორის გავლენის პროცენტზე და იმ ბაზაზე, საიდანაც აიღება ეს პროცენტი. აქ განმსაზღვრელია ამხანაგი სტალინის მითითება მოცემული პროდუქციის ზრდის ტემპების საკითხზე:

„პროდუქციის ზრდის ტემპების შესწავლის დროს არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ზრდის პროცენტების მხოლოდ საერთო ჯამის განხილვით,— საჭიროა ვიცოდეთ კიდევ, რა იფარება ზრდის თვითეულ პროცენტში, და რა გორია პროდუქციის წლიური ზრდის საერთო თანხა“ [1].

---

[1] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 474.

ყველა ზემოთ განვითარებული დებულებები, მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული წესები და გაანგარიშებები ცხადჰყოფენ, რომ:

1. ამა თუ იმ გამოსაკვლევ სამეურნეო მოვლენათა გადიდება-შემცირებაზე განმსაზღვრელი ფაქტორების გავლენა შეიძლება გაანგარიშებულ იქნას ცალკე მეთოდით, მაგრამ სხვადასხვა წესით და ხერხით; ყველა ეს წესი და ხერხი საბოლოო ანგარიშში ერთსა და იმავე შედეგს გვაძლევს.

2. რა გზითაც არ უნდა მიმდინარეობდეს ფაქტორთა გავლენის გამოკვლევა—პირდაპირი ანგარიშით, შებრუნებული ანგარიშით თუ წინა ფაქტორთა გავლენის სიდიდიდან გამომდინარე,—ყველა შემთხვევაში გამოიყენება ან ჯაჭვური ჩასმის ხერხი ან სხვაობის ხერხი, მასთან ერთიც და მეორეც გამოსახება ან აბსოლუტური რიცხვების მეშვეობით, ან პროცენტების მეშვეობით.

3. ყველა სხვა თანასწორ პირობებში პროცენტების ხერხი უფრო ეფექტურია და მარტივი, რადგან ყველგან, სადაც საგეგმო მონაცემებია გაანგარიშებაში ჩაბმული, ფაქტორების მნიშვნელობათა გამრავლება-გაყოფის დროს საგეგმო მნიშვნელობანი მიჩნეულია 100%-ად ანუ 1-ად, მაშინ როდესაც აბსოლუტური რიცხვების გამოყენების დროს განმსაზღვრელ მოქმედ ფაქტორთა საგეგმო მნიშვნელობანი ყოველთვის გამოისახება თავისი სიდიდის პირველადით განსხვავებული რიცხვებით, რაც ართულებს შესაბამის გაანგარიშებათა დროს ამ რიცხვების გამრავლება-გაყოფის მოქმედებებს.

4. ყველა შემთხვევაში ყველაზე უფრო მარტივია და ზოგადი ფაქტორთა გავლენის გაზომვის ის წესი, რომლის მიხედვით თითოეული მოქმედი განმსაზღვრელი ფაქტორის გავლენა უდრის ამ ფაქტორის ხაზით გეგმის გადაჭარბების პროცენტს გამრავლებულს ყველა მის წინ მოქმედ ფაქტორთა ხაზით გეგმის შესრულების პროცენტზე. ხოლო გავლენის პროცენტის გადამრავლებით გამოსაკვლევი სამეურნეო მოვლენის გამოსავალ (საბაზისო) აბსოლუტურ სიდიდეზე უნდა მივიღოთ ამ ფაქტორის გავლენის აბსოლუტური მნიშვნელობა.

ფაქტორთა გავლენის ანალიზის ამოცანაა „... მთელი პროცესის ასახვა, ყველა ტენდენციის მხედველობაში მიღება და მათი ტოლქმედის ანუ მათი ჯამის, მათი შედეგის განსაზღვრა“ (ლენინი).

ამა თუ იმ განმსაზღვრელი ფაქტორის გავლენა ყოველთვის მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ფაქტორის ხაზით გეგმის გადაჭარბებით თუ ნაკლებ შესრულების პროცენტთან; მაგრამ გამოსაკვლევი ფაქტორის გავლენა სავსებით ემთხვევა გეგმის გადაჭარბებით შესრულების პროცენტს მხოლოდ იმ ერთ შემთხვევაში, როდესაც გამოსაკვლევი ფაქტორი პირველი იცვლება ყველა მოქმედ ფაქტორთა ცვალებადობის პროცესში. არც ერთ დანარჩენ შემთხვევაში ასეთ დამთხვევას ადგილი არა აქვს, რადგან განმსაზღვრელი ფაქტორის გავლენის სიდიდე დამოკიდებულია გეგმის შესრულებაზე იმ ფაქტორთა ხაზითაც, რომლებიც მოქმედებენ გამოსაკვლევად აღებული ფაქტორის წინ. მაშასადამე, იმისდამიხედვით, თუ რამდენი ფაქტორი მოქმედებს გამოსაკვლევი ფაქტორის წინ და რა ზომით არის თითოეული მათგანის ხაზით გეგმა შესრულებული, გამოსაკვლევი განმსაზღვრელი ფაქტორის გავლენის სი-

დიდეც მეტი იქნება ან ნაკლები ამ ფაქტორის ხაზით გეგმის გადაჭარბებით შესრულების პროცენტზე.

ფაქტორთა გავლენის სიდიდე საერთოდ, როგორც სხვა ყველაფერი, „დამოკიდებულია პირობებზე, ადგილსა და დროზე“. (სტალინი).

ფაქტორთა გავლენის სიდიდის ზომა ექვემდებარება იმ ძირითად წესს, რომლის თანახმად თუ მათი ცვლილება „სწარმოებს ერთი და იმავე მიმართულებით, იმ შემთხვევაში ერთი ცვლილება აძლიერებს მეორის მოქმედებას“. (მარქსი).

6. სსრ კავშირის სოციალისტური მრეწველობის საწარმოთა ანგარიშგების აგებულება ზემოგანვითარებულ დებულებათა გამოყენების საფუძველზე უზრუნველყოფს საწარმოს მუშაობაზე. მოქმედ ფაქტორთა გავლენის გაზომვას მეტად მარტივი და ადვილი წესით, რაც აღრიცხვისა, გეგმიანობისა და კონტროლის დარგის მუშაკთა შრომის დიდ ეკონომიას იძლევა და ამით უდიდეს სახალხო-მეურნეობრივ მნიშვნელობას იძენს.

ჩაბეჭდილია 1/XI 1948 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/XI 48 წ. ტირაჟი 500.
უე 16936. ანაწყობის ზომა 7×11. სასტამბო თაბახი 27. საალრიცხვო-გამომც. — 32.
სტამბის შეკვეთა № 378. გამომცემლობის შეკვეთა № 40.

სტალინის საბ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, მარიის ქ. 1